ТБИЛИССКИЙ ФИЛИАЛ ИНСТИТУТА
МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА
при ЦК ВКП (б)

Г. В. ХАЧАПУРИДЗЕ

БОРЬБА ЗА ПРОЛЕТАРСКУЮ РЕВОЛЮЦИЮ В ГРУЗИИ

ОЧЕРКИ

1917
1921

ПАРТИЗДАТ ЦК КП (б) ГРУЗИИ. 1933
ТБИЛИСИ

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის
თბილისის ფილიალი

ბ. ვ. ხაჭაპურიძე

ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში

ნარკვევები

1917
1921

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტიამომცველობა 1938
თბილისი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

1935 წლის 21-22 ივლისს თბილისის პარტაქტივის კრებაზე გაკეთებულ თავის მოხსენებაში — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ — საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა **ლ. ბერიამ** პირველმა მოგვცა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ძირითადი ეტაპების ნამდვილი ბოლშევიკური გაშუქება. ამ ორგანიზაციებთან განუყოფლად არის დაკავშირებული ლენინის ყველაზე უახლოესი თანამოღვაწისა და თანამებრძოლის, ჩვენი პარტიისა და კომინტერნის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობა.

ამ მოხსენების უდიდესი მნიშვნელობა მთელი ჩვენი პარტიისათვის პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგმა ლ. ბერიამ დაგვანახვა ამხანაგ სტალინის განსაკუთრებული როლი, როგორც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებლისა და უშუალო ხელმძღვანელისა, მათი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე.

„ამხანაგ ბერიას მოხსენება, — სწერდა „პრავდა“ 1935 წ. 10 აგვისტოს. — უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში. იგი დეტალურად გვაცნობს ყოფილ მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე. საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამოღვაწე. მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირულ მებრძოლებს, რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს ამიერკავკასიაში, ამხანაგ სტალინის უახლოეს შეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამხელს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და ულმობელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, რომელთაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა“.

დიდმა **სტალინმა** ისტორიულ სტატიაში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ (ჟურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია“ № 6. 1931 წ.) მთელი ბოლშევიკური შეურიგებლობით დასვა საკითხი ბოლშევიკური ისტორიკოსების წინაშე ნახევრადცენტრისტული, ნახევრადმენშევიკური იდეებისა და ტროცკისტული კონტრაბანდის ლიკვიდაციის შესახებ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში. პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში ამ-

ხანაგმა სტალინმა წამოაყენა ჩვენი პარტიის ისტორიის ბოლშევიკურად შესწავლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. საჭიროა „...სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, — სწერდა ამხანაგი სტალინი. — მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე დავაყენოთ ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე, გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული და სხვა ყოველგვარი ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატურად ჩამოვგლიჯოთ მათ ნიღაბი“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1934 წ. 16 მაისის დადგენილება „საბჭოთა კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“, სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ახალი დადგენილების გამოქვეყნება 1936 წ. 26 იანვრის თარიღით, ამხანაგ ი. სტალინის, ს. კიროვისა და ა. ჟდანოვის შენიშვნები საბჭოთა კავშირის ისტორიისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტებზე და მთავარი რედაქციის შესწორებანი „საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიის“ I ტომზე გვიჩვენებენ, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ მთავრობა და პარტია, დიდი სტალინის მეთაურობით, ისტორიული მეცნიერების ფრონტს, ჩვენს ქვეყანაში ისტორიის მარქსისტულ-ლენინური შესწავლისა და მისი სწავლების დაყენების ამოცანებს.

ამხანაგ ბერიას მოხსენების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, — სწერს „პრავდა“, — აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამხელს მთელი რიგი ავტორების ცდებს — მრუდე, მახინჯ სარკეში გვიჩვენონ ამიერკავკასიის ორგანიზაციის ისტორია, მოახდინონ მისი ფალსიფიკაცია, დაამახინჯონ იგი.

წიგნი „ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში“ წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის მიერ გამოშვებულ ნაშრომს.

ეს წიგნი წარმოადგენს არა სისტემატურ შრომას, არამედ მთელ რიგ ნარკვევებს, რომლებიც ეხება და აშუქებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1917 — 1921 წლებში მომხდარ ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას.

მაგრამ ეს ნარკვევები დაკავშირებულია ერთმანეთთან არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ ორგანიულადაც, და მიზნად ისახავენ გააშუქონ საქართველოს ბოლშევიკების მეთაურობით წარმოებული პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის გმირული ბრძოლა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოში.

„რუსეთის ფედერაციის ყველა განაპირა კუთხიდან ამიერკავკასია,— სწერდა ამხანაგი სტალინი 1918 წ. სტატიაში: „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით“. — ნაციონალური შემადგენლობის სიმდიდრისა და მრავალფეროვანობის მხრივ, მგონი, ყველაზე დამახასიათებელი კუთხეა. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ინგუშები და ოსები, ჩეჩნები და აფხაზები, ბერძნები და კუმიკები — ასეთია ამიერკავკასიის შვიდმილიონიანი მოსახლეობის ნაციონალური მრავალფეროვნობის დაახლოე-

ბითი სურათი. არც ერთ ამ ნაციონალურ ჯგუფს არ გააჩნია ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად შემოხაზული საზღვარი. ყველა ისინი ცხოვრობენ ერთმანეთში შეჭრილ მიწებზე, ერთიმეორეში არეულნი, და ეს არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც".

ამიტომ, საქართველოში პროლეტარული რევოლუციისათვის წარმოებული ბრძოლის გაშუქებისას, ჩვენ აუცილებლად უნდა შევხებოდით ამ ბრძოლის განვითარებას ამიერკავკასიაში მთლიანად, რამდენადაც მოვლენები საქართველოში ვითარდებოდნენ არა იზოლირებულად, არამედ ამიერკავკასიის სხვა ხალხთა ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1907 — 1912 წლების პერიოდიდან ამ-ბანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით პროლეტარული „ბაქო ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბურჯად, ლენინური პარტიის შეურყეველ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა" (ლ. ბერია).

და 1917 — 1921 წლების პერიოდში ამიერკავკასიაში პროლეტარული რევოლუციისათვის წარმოებულ ბრძოლაში ბაქოს პროლეტარიატი უმთავრეს და ავანგარდულ როლს ასრულებდა, ამიტომაც ჩვენს ნაშრომში ბაქოს საგრძნობი ყურადღება აქვს მიქცეული.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამოცანად არ დაგვისახავს სრულად და სისტემატურად გაგვეშუქებინა ისტორია კლასობრივი ბრძოლისა ამიერკავკასიაში მთლიანად.

რუსეთში დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ძალა-უფლება საქართველოში, უცხოეთის იმპერიალისტების დახმარებით, ხელში ჩაიგდეს საქართველოს მენშევიკებმა.

თავისი ბატონობის დროს მენშევიკებმა ქვეყანა ეკონომიურ კატასტროფამდე და კულტურულ დეგრადაციამდე მიიყვანეს.

მოსწყვიტეს რა საქართველო საბჭოთა რუსეთს, საქართველოს მენშევიკებმა, მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად, ამიერკავკასია გადააქციეს უცხოეთის ინტერვენტებისა და რუსეთის კონტრრევოლუციის პლაცდარმად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მენშევიკებმა მოაწყვეს საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა — ოსთა, აჭარელთა, აფხაზთა, სომეხთა და სხვ. სისხლისმღვრელი დარბევები.

საქართველოს ხალხის ინტერესების ღალატით მენშევიკებმა საარაკო ტანჯვა და გაჭირვება არგუნეს „საკუთარ" მუშებსა და გლეხებს.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდის კონკრეტული ისტორიული მასალის შესწავლა გვიჩვენებს, თუ როგორ განუწყვეტლად იზრდებოდა და ვითარდებოდა ბოლშევიზმის გავლენა ქართველ ხალხში.

ამ პროცესის შეჩერება არავითარ ძალას არ შეეძლო.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება 1921 წლის თებერვალში — ეს, უწინარეს ყოვლისა, არის შედეგი შინაგანი პროცესის განვითარებისა და რევოლუციის მომწიფებისა თვით ქვეყნის შიგნით.

საქართველოს მშრომელებისა და გმირული წითელი არმიის შეერთებულ-

მა ძალღონემ გააადვილა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები შექმნილი და გამოკედილია ამხანაგ **სტალინის** მიერ.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, — სწერს ამხანაგი ლავრენტი ბერია, — მოეპოვებათ ლენინური პარტიის მშენებლობისათვის იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“ (ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 19, გამ. 1935 წ.).

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს ბოლშევიკები ლენინ-სტალინის პარტიის მოწინავე რიგებში იყვნენ. საქართველოს ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ურღვევი მეგობრობით შეადუღეს საქართველოს მუშები და გლეხები რუს ხალხთან და ამხედრებდნენ მათ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგში — მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

„სამოქალაქო ომის წლებში, რუსეთის ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ, როცა მენშევიკებმა საქართველოში ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს და ქართველ ხალხს უცხოეთის იმპერიალისტების უღელი დაადგეს, საქართველოს ბოლშევიკებმა არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებში შესძლეს მოეწყოთ წინააღმდეგობის გაწევა საქართველოს გამცემლებისათვის საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აჯანყებების მოწყობის სახით, და მენშევიკების ხელისუფლების ძირის გამოთხრა“. (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წერილიდან საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის გამო. „პრავდა“ № 55, 1936 წ.).

ჩვენ არ ვაცხადებთ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის 1917 — 1921 წლების პერიოდის გადმოცემის პრეტენზიას; ჩვენ ამოცანად ვისახავდით გვეჩვენებინა საქართველოს ბოლშევიკების ეს ხელმძღვანელი და ორგანიზატორული როლი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისთვის ბრძოლაში.

შესასწავლი პერიოდის სირთულისა და სიძნელის გამო ერთ ნაშრომში შეუძლებელი იყო საქართველოში მომხდარი ყველა მოვლენის ამომწურავი გაშუქება.

1936 წ. 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა იზეიმა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების 15 წლისთავის დიდი დღესასწაული. ამ დღეს ქართველმა ხალხმა პატაკით მიმართა დიდ სტალინს, საბჭოთა კავშირისა და მთელი ქვეყნის მშრომელებს თავის 15 წლის მიღწევათა შესახებ.

საბჭოთა საქართველო — მეფის რუსეთის ეს ყოფილი კოლონია, ჩამორჩენილი როგორც ინდუსტრიალურად, ისე კულტურულად, რომელიც ნამდვილ კატასტროფას განიცდიდა მენშევიკების დროს, ლენინისა და სტალინის დროშით, ამიერკავკასიის ძმურ ხალხებთან და დიდ საბჭოთა კავშირთან ხელიხელჩაკიდებული, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი ლავრენტი ბერია, — გადაიქცა სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკად, სსრ კავშირის მარგალიტად.

მიდიან რა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ კომუნიზმის სრული გამარჯვების გზით. საქართველოს მუშები და გლეხები, მისი ახალთაობა ყოველმხრივ უნდა სწავლობდნენ და იარაღდებოდნენ გმირული წარსულის — პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლის ისტორიის ცოდნით.

თუ ეს წიგნი — „ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისთვის საქართველოში“ შესძლებს სამსახური გაუწიოს ამ დიად საქმეს, მაშინ მე ჩემს შრომას საესებით გამართლებულად ჩავსთვლი.

პროფ. გ. ხაფაპურიძე.

1936 წ. 25 მარტი.

ამიერკავკასია
1917 წლის რევოლუციის
წინაღღით

I

იმპერიალისტური ომი, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა ყველა კლასობრივი, ეკონომიური, ნაციონალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი, რევოლუციის ძლიერი დამაჩქარებელი შეიქნა მეფის რუსეთში და, მასთან ერთად, ამიერკავკასიაშიაც.

„იმპერიალისტურ ომს, — სწერდა ლენინი, — ობიექტური აუცილებლობით უაღრესად უნდა დაეჩქარებინა, უკიდურესად უნდა გაემწვაეებინა კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეს ბრძოლა უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომად მტრულად განწყობილ კლასებს შორის“ [1].

ომის სიმძიმე უდიდესი სიძლიერით დაატყდა თავს ამიერკავკასიას.

მსოფლიო ომმა ამიერკავკასიის სოფლები განსაკუთრებით კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენა.

ოფიციალური შემცირებული ცნობები ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე 1916 წელს (პროცენტობით). ამ ცნობების 1913-1914 წლებთან შედარება შემდეგ სურათს იძლევა:

ნათესების ფართობი ქუთაისის გუბ. შემცირდა 25%-ით, ტფილისის გუბერნიაში — 30%-ით (მაგრამ ტფილისის გუბერნიაში ეს შემცირება ცალკე რაიონებში 50 — 75 % ს აღწევდა), განჯის გუბერნიაში — 40%-ით ხოლო ბათომის ოლქში — 60%-ით [2].

ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში მესაქონლეობა ჩავარდა. საქონლის ჭირის გავრცელებამ აქ პირდაპირ კატასტროფული ხასიათი მიიღო. ბათომის ოლქში დაიღუპა მუშა-საქონლის საერთო რიცხვის სამი-მეოთხედი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 30%. დახოცილი საქონლის ასეთივე პროცენტი იყო ტფილისის გუბერნიაშიაც, ხოლო ერევნის გუბერნიაში მთელი შინაური საქონელი ჭირით დაავადდა.

დაახლოებითი გამოანგარიშებით, აზერბაიჯანში, მარტო ყაზახის მაზრაში, დაიხოცა 50 ათასი სული ცხვარი, შუშის მაზრაში — 25 ათასი და სხვ.

შუშის მაზრის 19 სოფელში სპეციალური გამოკვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ იქ შრომის უნარის მქონე მამაკაცები დარჩენილია მხოლოდ 10 — 13%, ქალები — 15 — 20%; მუშა-საქონელი შემცირდა 66%-ით; ნათესების ფართობი ომის წინა დროსთან შედარებით შემცირდა 59%-ით; მოსავლიანობა დაეცა 75%-ით.

---

[1] ლენინი, ტ. XX, გვ. 23.

[2] საარქივო ფონდი, საქმე № 579, ფ. ფ. 21 — 27. „1916 წლის 27 — 28 (14-15) დეკემბრის თათბირი, მოწვეული კავკასიაში მეფის ნაცვლის კანცელარიის მიერ იმ მიზეზების გამოსარკვევად, რომლებიც გავლენას ახდენენ ნათესების ფართობის შემცირებაზე“.

იმ ღრმა კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც სოფლის მეურნეობას შოედო, გლეხთა ძირითადი მასა (საშუალო და ღარიბი გლეხები) მომვლელთა უყოლობისა, საკვების უქონლობისა და აგრეთვე სახელმწიფო გადასახადების გასტუმრებისათვის იძულებული იყო ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი ჰირუტყვიც კი გაეყიდნა.

„ომიანობის დროის პირობებმა, — სწერდა სომხური ლიბერალურ-ბურჟუაზიული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ორგანო „გიუხატნესი", — ჩვენს სოფლებში საშინელი ცვლილებანი გამოიწვიეს, რაც მათ განადგურებას უქადის: ამ მოკლე ხანში საშინლად შემცირდა მუშა-ხელისა და მუშა-საქონლის რაოდენობა, ე. ი. ის ფაქტორები, რომლებიც გლეხთა მეურნეობის საფუძველს შეადგენენ" [1].

ზემოხსენებული საზოგადოების მიერ ჩატარებულმა სოფლის მეურნეობის გამოკვლევამ სომხეთის ცალკეულ რაიონებისათვის შემდეგი სურათი მოგვცა:

„ახალ-ბაიაზეთის მაზრაში ნათესების ფართობი შემცირდა 12%-ით, ხოლო ხორბლეულის მოსავლიანობა — 17%-ით. დარალაგეზის მაზრაში შემოდგომის ნათესების ფართობი შემცირდა 27%-ით, ხორბლეულის მოსავლიანობა — 25%-ით. ახალი მოსავალი გლეხებს ძლივს თუ ეყოფოდათ ერთ ან ორ თვეს. 1917 წლის ჯერ კიდევ დასაწყისში მოსახლეობა პურის დიდ ნაკლებობას განიცდიდა".

ასეთსავე კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების მოსახლეობაც.

თიანეთის მაზრის უფროსი 1916 წლის მარტის თვიურ ანგარიშში სწერდა, რომ ხსენებული მაზრის მოსახლეობის სამი-მეოთხედი სრულიად უპუროდ დარჩა.

„პირველ ხანებში, — სწერდა მაზრის უფროსი, — მოსახლეობა პურს სჭამდა შემცირებული რაოდენობით, ახლა კი მხოლოდ დღეგამოშვებითო" [2].

ასეთსავე მდგომარეობას აგვიწერდნენ თავიანთ ყოველთვიურ საიდუმლო მოხსენებებში მეფის სხვა მოხელეებიც.

გლეხთა განადგურების ფაქტებს გვერდს ვერ უვლის აგრეთვე ქართული ბურჟუაზიულ-ლიბერალური პრესაც. აი რას სწერდა ქართული სოფლის მდგომარეობის შესახებ გაზ. „სახალხო ფურცლის" კორესპონდენტი იმერეთიდან:

„ერთის თვალის გადავლებით ვნახე ყანები ხონიდან ქუთაისამდე, სამტრედიიდან ხონამდე და რიონიდან ლანჩხუთამდე. მრავალი მამული დაუმუშავებელი რჩება. ეხლა თესვის დროა, მაგრამ ნახევარს დახნულიც არა აქვს. ამ მხრივ ხალხის გაჭირვება კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან ყანების გათოხვნა მეტ მუშა-ხელს თხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა... მუშა-

---

[1] გაზ. „ბაკუ" № 17, 21 იანვარი, 1917 წ.

[2] ცენტრ. არქივის საქმე № 1654.

ხალხის ოჯახი ქვეითდება — ეკონომიურად ეცემა: მამაკაცი ომშია გაგზავნილი, შინ დარჩენილი ქალები კი ვერაფერს ხდებიან, გაპირვებას ვერ უმკლავდებიან, ცუდად იკვებებიან, ცუდად იცვამენ, ცივდებიან და სნეულდებიან. ავადმყოფობა, სნეულება ძალიან გავრცელებულია. საერთო გაპირვებამ ხალხის ჯანმრთელობა შეარყია... არ არსებობს საექიმო დახმარება. ხალხი ფიზიკური გადაშენების გზას ადგია“ [1].

„სტირის და კვნესის მუშა, მშრომელ, ჯანსაღ მამაკაცთაგან დაცარიელებული, დაწრეტილი ქიზიყი... — იწერება იმავე გაზეთში მეორე კორესპონდენტი კახეთიდან...

ქიზიყი დაცარიელდა არა მარტო ჯანღონით სავსე მამაკაცთაგან, არამედ მუშა-საქონლიდანაც. ღღემდის სამჯერ მოხდა ცხენების მოკითხვა — მობილიზაცია; უარებელი ცხენი გარეკეს ქიზიყიდან; სამგზის სახედრების მობილიზაცია იყო, ერთხელ ძროხის რეკვიზიცია, ერთხელ ხარების მობილიზაცია. ეხლა, სულ ბოლო დროს, კიდევ აპირებდნენ ქიზიყიდან ხარების გარეკას, მაგრამ სოფელ ბოდბეში საქონლის ჭირი გაჩენილა და დროებით შეაჩერეს მუშა-საქონლის გარეკა ომის საჭიროებისათვის...

...თუმცა ცხვრის მობილიზაცია ჯერ არ ყოფილა სამხედრო საჭიროებისათვის, სამაგიეროდ ისეთი ავი, ბოროტი ზამთარი შეესწრო წელს ქიზიყის მეცხვარეებს, რომ ცხვარი გაუნახევრდათ“...[2]

ომის ყოველი წელიწადი სოფლის უბედურებას თანდათან უფრო აძლიერებდა. გადასახადების განუწყვეტელი ზრდა, სხვადასხვაგვარი რეკვიზიციები, მუშა-საქონლის მობილიზაცია და სხვა უმთავრესად მხარზე აწვებოდა გლეხობის ძირითად მასას — საშუალო და ღარიბ გლეხებს.

მემამულეები და კულაკები, ყოველგვარი მევახშეები და მედუქნეები სოფლის გაპირვებული მდგომარეობით სარგებლობდნენ. ისინი, გამდიდრების სურვილით საღერღელაშლილნი, მიწის საიჯარო ფასებს თანდათან მაღლა სწევდნენ; დიდ ფასებში ჰყიდდნენ სიმინდსა და სხვა ხორბლეულს; სპეკულაციურად ზრდიდნენ ფასებს სოფლად მოტანილი მასობრივი მოთხოვნილების საგნებზე და სხვ.

ამიერკავკასიის სოფლის მდგომარეობას ის გარემოებაც ამწვავებდა, რომ აქ თვით 1917 წლამდე კიდევ უფრო მეტად, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ რაიონებში, არსებობდნენ ბატონყმური ურთიერთობანი.

ლენინის სიტყვები: „არც ერთ ქვეყანაში გლეხობას არ განუცდია ისეთი განადგურება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და ისეთი დაცინვა, როგორც რუსეთში“ [3], — საუკეთესოდ ახასიათებს გლეხობის მდგომარეობას ამიერკავკასიაში 1917 წ. თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ.

პოლიტიკურად უუფლებო და ნაციონალურად დაჩაგრული გლეხობა ფეოდალიზმის უამრავ ნაშთთა გამო უდიდეს შევიწროებას განიცდიდა.

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“ № 569, 1916 წ. 7 მაისი.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი“ № 647, 1916 წ. 12 აგვისტო.

[3] ლ ე ნ ი ნ ი. ტ. XV, გვ. 132.

თურქი გლეხები ნამდვილ ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ თავიანთ ხანებთან და ბეგებთან.

საკმარისია ზერელედ გავეცნოთ მაჰმადიანთა ცხოვრებას, რათა შევამჩნიოთ, რომ თითქმის ნახევარზე მეტი ბოროტმოქმედება, შურისძიება და სისხლისმღვრელი შეტაკება მაჰმადიანთა შორის მიწის მოუწყობლობის ნიადაგზე ხდებოდა.

უკეთეს მდგომარეობას გლეხები არც სომხეთში განიცდიდნენ. მიუხედავად ზოგიერთი ავტორის მტკიცებისა, რომ თითქოს სომხეთმა მე-19 საუკუნეში უკვე აღარ იცის ბატონყმური ურთიერთობა, ფაქტიურად ეს უკანასკნელი 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე არსებობდა გლეხობის მთელი რიგი კატეგორიებისათვის.

ასე, მაგალითად, ეჩმიაძინის მაზრის 5 სოფელი, სადაც 10.920 სული ცხოვრობდა, ნამდვილ ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ეჩმიაძინის მონასტერთან.

სომხური ეკლესიის ბატონყმური უფლება გლეხებზე დადასტურებულ იქნა რუსეთის ცარიზმის მიერ 1836 წელს „იმ განსაკუთრებული დამსახურების გამო", რომელიც გამოიჩინა სომხის სამღვდელოებამ „ერევნის გუბერნიის დაპყრობის დროს" და აგრეთვე იმისათვის, რომ კათალიკოსებმა „სახელი გაითქვეს განსაკუთრებული ერთგულებით" რუსეთის მიმართ და სომხის ხალხში მუდამ აღვივებდნენ ცარიზმისადმი კეთილგანწყობილებას არა მარტო გონივრული რჩევა-დარიგებითა და შთაგონებით, არამედ თავისი პირადი მაგალითითაც"[1].

„ყოვლად სამღვდელო" კათალიკოსი, რომელსაც მხარს უჭერდა დაშნაკცუტუნის[2] ბურჟუაზიულ-ნაციონალ-შოვინისტური პარტია წინააღმდეგი იყო სომეხ გლეხობაზე გავრცელებულიყო ის ყოვლად უმნიშვნელო და კუდშეკვეცილი რეფორმაც კი, რომელიც ძალაუნებურად და უმთავრესად გლეხთა მოძრაობის გაძლიერების ზეგავლენით გაიმეტა სამოციან წლებში თვითმპყრობელურმა რეჟიმმა ამიერკავკასიის გლეხობისათვის.

ნამესტნიკის კანცელარია 1909 წელს თავის მოხსენებაში „ამიერკავკასიაში დროებითი-სავალდებულო ურთიერთობათა ლიკვიდაციის შესახებ" იძულებული იყო აღენიშნა, რომ:

> „ეჩმიაძინის მონასტრის მიწებზე დღემდე ცხოვრობს მოსახლეობა, რომლის ურთიერთობა მიწის მესაკუთრესთან არავითარი კანონით არ არის მოწესრიგებული, და ამიტომ სინამდვილეში მონასტერთან ისეთ დამოკიდებულებაში იმყოფება, რომელიც ძლიერ უახლოვდება მთელს იმპერიაში გაუქმებულ ბატონყმობას".

---

[1] უმაღლესი აქტები და უქაზები, 1872 წ., გვ. 386.

[2] ეს პარტია 1917 წ. ყოველმხრივ ცდილობდა სომხურ ეკლესიას შერჩენოდა მიწები და ამით ხელშეუხებლად დარჩენილიყო ბატონყმური ურთიერთობა სომხურ სოფელში. ამ პარტიის წარმომადგენლები ამიერკავკასიის კომისარიატის უბადრუკი საადგილმამულო კანონმდებლობის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ.

ამის შესახებ სწერდა აგრეთვე ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი „ბაკუ“ სათაურით — „ბატონყმობა ეჩმიაძინში“.

„გლეხები, — ნათქვამია ამ, წერილში, — როგორც ძველი ბატონყმობის დროს, ისე ახლაც უხდიან მონასტერს თავის მოსავლიდან საკმაოდ დიდ ნაწილს. მონასტერს გადასახადების აკრეფის ზრუნვითაც კი არ უნდა თავი შეიწუხოს და ამ საქმეს იჯარით ანდობს საეკვო ხასიათის ექსპლოატატორებს, რომლებიც ამ გადასახადების აკრეფით მდიდრდებიან და სუქდებიან.

სოფელი ოშაკანი მონასტერს ჩვეულებრივ უხდიდა წელიწადში 1.800 ფუთ ხორბალს, წელს კი მონასტერმა ეს გადასახადი იჯარით გასცა 2.850 ფუთის ვარაუდით, ე. ი. 1.050 ფუთით მეტი რაოდენობით. მოიჯარადრენი, რომლებმაც მონასტერს 2.850 ფუთი უნდა აუკრიფონ, რასაკვირველია, თავის სასარგებლოდაც შეაწერენ გლეხებს პროპორციულად ამდენადვე მეტ გადასახადს.

ამ უკანასკნელ დროს მონასტერი ეგრეთწოდებული „ბახატის“ მიწებიდან აღარ ჰკრეფდა „ბახრას“ (ნატურალური გადასახადი ხორბლით. — ბ. ხ.), რადგან ამ მიწებზე ახდევინებდა დაწესებულ ფულად გადასახადს. მაგრამ წელს მონასტერმა მოიჯარადრეებს ხელშეკრულებაში აუცილებელი პირობა შეატანინა, რომ ღალას ამ მიწებიდანაც ხორბლეულად აიღებენ. ამ გარემოებამ ოდესღაც მღელვარება და შეტაკება გამოიწვია მონასტრის მმართველობასა და გლეხებს შორის, და, უეჭველია, იგივე მოგველის შემდეგშიაც“ [1].

მიწებზე, ნატურალურ გადასახადს გარდა, გლეხები მონასტერს უხდიდნენ ფულსაც და უსრულებდნენ სხვადასხვა ვალდებულებებსაც: მოსავალს უზიდავდნენ თავისი ტრანსპორტით, ახდენდნენ მონასტრის შენობების შეკეთებას, უესებდნენ საყინულეს ყინულით, გამოჰყავდათ ყოველგვარი შემთხვევისათვის ურმები, მუშა-საქრნელი, მუშები და სხვ.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ 5 წლით ადრე ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე სომეხი გლეხები იურიდიულადაც კი არ იყვნენ განთავისუფლებულნი ეჩმიაძინის მონასტრის ბატონყმური დამოკიდებულებისაგან.

დროებით-ვალდებული გლეხების დამოკიდებულება მემამულეთაგან ცენტრალურ რუსეთში, როგორც ვიცით, მოისპო ჯერ კიდევ 1881 წ. გამოცემული სპეციალური კანონით. ეს კანონი ამიერკავკასიაში გატარდა მხოლოდ 1912 წლის დეკემბერში, ე. ი. 31 წლით გვიან, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში. ეს კანონი ეჩმიაძინის მონასტრის გლეხებსაც შეეხო. მაგრამ დროებით-სავალდებულო ურთიერთობისაგან განთავისუფლების აღიარებით მემამულეთა ბატონობა და გლეხების ექსპლოატაცია ფაქტიურად სრულიადაც არ მოსპობილა.

თუმცა მეტროპოლიაში გამოსასყიდი გადასახადები 1907 წლის 1-ლ იანვარს გაუქმდა, მაგრამ ამიერკავკასიის გლეხობამ თავისი ნადელები 1912 წლის კანო-

---

[1] გაზ. „ბაკუ“ № 152, 1910 წ.

ნის ძალით გამოსყიდვით მიიღო, და ეს მაშინ, როდესაც თვით ხელისუფლების აღიარებით გლეხობამ ყოველწლიური გადასახადით დიდიხანია გადაუხადა მემამულეებს ნადელების ღირებულება და კიდევ მეტიც; ახლა გლეხებს ხელმეორედ უნდა გადაეხადნათ მემამულეთათვის 24 მილიონ მანეთზე მეტი, მხოლოდ იმ „შეღავათით", რომ ამ თანხის გადახდა განაწილებულ იქნა 56 წლის განმავლობაში.

1912 წლის კანონმა ვერ მოაწესრიგა გლეხთათვის ტყეებით, საძოვრებით, წყლითა და მემამულის დანარჩენი მიწებით სარგებლობა. ეს კი ნიადაგს ჰქმნიდა გლეხების კიდევ უფრო მეტად შევიწროებისა და დამონებისათვის.

„ჩამონაპრები" წინანდებურად მემამულეთა ხელში დარჩა. ცარიზმი საქართველოში ადგილობრივი ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს იცავდა, რის გამოც მან ხელუხლებლად დასტოვა ისეთი არქაიული, საშუალო საუკუნის ინსტიტუტი, როგორიც იყო ხიზნობა. ხიზნობა აქ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე გაჩნდა, ხიზნობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოქცეული, უმიწო გლეხები მემამულე-ბატონების მიწებზე განსაკუთრებულ საიჯარო პირობებში სახლდებოდნენ. ბატონყმობის მოსპობისა და მიწებზე ფასების აწევის შემდეგ, ხიზნები — ეს მუდმივი „მოიჯარადრენი" მემამულეთათვის ხელსაყრელნი არ იყვნენ. ამიტომ სასამართლოს წესით მემამულეები ცდილობდნენ გაგდაესახლებინათ ხიზნები, ან თვითნებურად გაეღიდებინათ მათთვის საიჯარო ადასახადი. ხიზნების მდგომარეობა დროებით-ვალდებულ გლეხთა მდგომარეობაზე უარესი იყო, რადგან გამოსახლების დროს მათ ეკარგებოდათ დამუშავებული ბაღი, სამეურნეო შენობები და სხვ.

გამოსასყიდი აქტების შედგენა 1912 წ. კანონის თანახმად ისე ჭიანურდებოდა, იმდენი ბოროტმოქმედება ხდებოდა, რასაკვირველია, მემამულეთა სასარგებლოდ, ისე მედგრად იცავდნენ სპეციალური კომისიები მემამულეთა ინტერესებს, რომ ამიერკავკასიის 5 გუბერნიაში, ნაცვლად 6.184 გამოსასყიდი აქტისა, 1917 წლის 1 იანვრისათვის შედგენილი იყო მხოლოდ 2.795 აქტი, ე. ი. ნახევარზე ნაკლები. ეს იმას ნიშნავს, რომ დროებით-ვალდებული გლეხობის 55 პროცენტი, მიუხედავად 1912 წლის 20 დეკემბრის კანონისა, 1917 წ. თებერვალ-მარტის რევოლუციამდე ფაქტიურად ისევ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა.

ამნაირად, ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ რუსულ სოფელში ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა შენარჩუნება ძლიერ აფერხებდა გლეხური მეურნეობის განვითარებას, რომ კაბალური პირობები ისევ ანადგურებდნენ გლეხობის ძირითად მასებს, — სავსებით შეეფერება ამიერკავკასიას, სადაც რუსეთის თვითმპყრობელობამ ფეოდალურ-ბატონყმური ელემენტების სასარგებლოდ გლეხური მეურნეობა კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა მემამულური მეურნეობისაგან.

მენშევიკები ატყუებდნენ და არწმუნებდნენ მასებს, რომ ამიერკავკასიაში ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ლიკვიდაცია შესაძლებელია კანონმდებლობითი გზით, ზევიდან ბოძებული რეფორმებითო.

მხოლოდ გლეხთა მასების რევოლუციურ ბრძოლას, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ბატონყმობისა და ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მხოლოდ მემამულურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების მოსპობას შეეძლო რადიკალურად გადაეჭრა აგრარული საკითხი და მოეხდინა გლეხობის ძირითადი მასების ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის ლიკვიდაცია.

თუ რამდენად უუფლებო მდგომარეობას, მემამულეთა აღვირახსნილ თარეშსა და ექსპლოატაციას განიცდიდა საქართველოს სოფელი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა ხანებში, ამას ნათლად გვიხატავს 1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ერთერთი მონაწილის კორესპონდენცია:

„როგორც ძველად, ისე ახლაც, — სწერს კორესპონდენტი, — მათრახი და ფიზიკური გამკლავება ძალაშია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველად „თათქარიძეები“ (ქართველ მემამულეთა სინონიმია. — **გ. ხ.**) სცემდნენ და ლანძღავდნენ გლეხებს ქართულად, ახლა კი ამას რუსულად სჩადიან, რადგან მათ რუსული ენა ისწავლეს. შორაპნის მაზრაში თარეშობს და გლეხებს ანადგურებს თავ. დავით ბაგრატიონი, ქართლში — თავ. მდივნები და ციციანოვები“.

გლეხები, მიწის დიდი სიმცირის გამო, იძულებულნი იყვნენ იჯარის მეტად მძიმე, კაბალურ, საშუალო საუკუნეების ფორმებს დათანხმებულიყვნენ.

წვრილი და დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა სრულიად მოდუნებული იყო. იგი განიცდიდა, ერთი მხრით, ცარიზმის სასტიკ ნაციონალურ-კოლონიალურ ჩაგვრას, რადგან სოფლად დაცული იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, ხოლო, მეორე მხრით, მას ავიწროებდნენ და ყვლეფდნენ მემამულეები, კულაკობა და მევახშეები, რომლებიც ომის დროს მეტად გამდიდრდნენ.

აქედან გამომდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკიდურესი ჩამორჩენა, პრიმიტიულობა და მოსავლიანობის დიდად შემცირება. სისტემატური მოუსავლობა, შიმშილი, სოფლის გაღარიბება და გაჩანაგება იმ სიდუხჭირეთა შედეგად, რაც გამოწვეული იყო სამი წლის იმპერიალისტური ომით, — აი საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის დახასიათება 1917 წლის წინადღით.

II

მეფის კოლონიალური პოლიტიკის გამო ამიერკავკასია რჩებოდა „კიდევ უფრო გლეხურ ქვეყნად, ვიდრე რუსეთი“ (ლენინი).

მეფის მთავრობა ყოველმხრივ ხელს უშლიდა ადგილობრივი კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარებას. მეფის მთავრობა მედგრად იბრძოდა იმისათვის, რომ ამიერკავკასია გადაექცია სამრეწველო ნედლეულის წყაროდ და რუსეთის სამრეწველო საქონლის გასასაღებელ ბაზრად.

ამიერკავკასიას ყველა პირობები ჰქონდა და, უწინარეს ყოვლისა, უმდიდ-

რესი ნედლეულის ბაზა მოეპოვებოდა საკუთარი მრეწველობის განსავითარებლად. აქ იყო მთელი მსოფლიოს ნავთის მარაგის 20% და მთელი მსოფლიოს მარგანეცის მარაგის ერთი-მესამედი. მეტად სუსტად სწარმოებდა ამიერკავკასიაში ისეთი იშვიათი ლითონების დამუშავება, როგორიც არის: კალა, თუთია, ბარიტი, გუმბრინი, დიატომიტი და სხვა. არ ყოფილა გამოყენებული არც უმდიდრესი ჰიდრო-ენერგეტიული რესურსები. ნავთისა და მარგანეცის ექსპლოატაცია კი მტაცებლურად და, შედარებით, მცირე რაოდენობით სწარმოებდა.

გარდა ბაქოს ნავთის მრეწველობისა, ჭიათურის მარგანეცისა და ალავერდის სპილენძის საადნობი ქარხნებისა, რომლებიც უცხოელი კაპიტალისტების ხელში იმყოფებოდნენ, ამუშავებდნენ აგრეთვე ქვანახშირს ტყიბულში. ამასთან, მუშაობდნენ თამბაქოს ფაბრიკები, არყისა და კონიაკის გამოსახდელი ქარხნები, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები და სხვ. ტფილისში, ბაქოში, ერევანში, ბათომსა და ქუთაისში. უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ბაქოს მსხვილი მრეწველობა არ განვითარებულა თვით აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობიდან. ამის გამო, ამხ. სტალინმა თავის საბოლოო სიტყვაში რკპ (ბ) მე-10 ყრილობაზე შემდეგი განაცხადა:

> „ბაქო აზერბაიჯანის საშოდან კი არ წარმოშობილა, არამედ ზევიდანაა დაშენებული ნობელის, როტშილდის, ვიშაუსა და სხვ. მიერ. რაც შეეხება თვით აზერბაიჯანს, ის ყველაზე ჩამორჩენილ პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობის ქვეყანას წარმოადგენს“[1].

1912 წ. ოფიციალური ცნობებით, იმ მუშების საერთო რიცხვი, რომლებიც ამიერკავკასიის მრეწველობაში მუშაობდნენ, 95 ათასს აღწევდა. აქედან 36.316 კაცი (38%) ქ. ბაქოს ნავთის სარეწაოებში მუშაობდა[2].

---

[1] სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 80, გამოც. 1934 წ.

[2] მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად ხდება ამიერკავკასიის ინდუსტრიალური აყვავება; იგი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

აი რას სწერს ამის შესახებ ამხ. ლ. ბერია თავის სტატიაში — „ამიერკავკასიის ბოლშევიკები სოციალიზმისათვის ბრძოლაში“, რომელიც მოთავსებულია ჟურნ. „ბოლშევიკში“ (№ 11 — 1934 წ.): „საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 13 წელმა, სოციალისტურმა მშენებლობამ შესცვალა ამიერკავკასიის სახე. ქვეყანა, რომელსაც არავითარი მსხვილი მრეწველობა არ მოეპოვებოდა, გარდა ნავთის მრეწველობისა, ინდუსტრიალური კერებით დაიფარა.

მივარდნილი პატარა საგუბერნიო ქალაქი ელისავეტპოლი საბჭოთა განჯად — საფეიქრო და ზეთის მრეწველობის ცენტრად გადაიქცა.

პატარა, მიყრუებული ქალაქი ნუხა აბრეშუმის მრეწველობის ცენტრი გახდა.

ლენინაკანი საფეიქრო ცენტრად გადაიქცა.

საქართველოში ყოფილმა დაბა ზესტაფონმა ააშენა და აამუშავა სრულიად საკავშირო მნიშვნელობის გიგანტი — ფერომარგანეცის ქარხანა.

ტყვარჩელის ველურ ხეობაში ქვანახშირის მაღაროების მშენებლობა სწარმოებს. მაღაროს მუშები უკვე მზად არიან მიაწოდონ ქვეყანას „ნაგორას“ ნახშირის პირველი პარტია.

ქუთაისი, ეს იმერეთის თავადახნაურობის ყოფილი ციტადელი, ქალაქი, სადაც „გრანატის“ სიტყვარის მიხედვით 1909 წ. სულ 202 მუშა იყო, საქართველოს მეორე სამრეწველო

იმპერიალისტურ ომს არ შეეძლო არ მოეხდინა თავისი გავლენა ამიერკავკასიის მრეწველობაზე. ომის წლები წარმოების შემოკლებისა და ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ მუშათა რიცხვის შემცირების ნიშნით ჩატარდა.

ომის დროს დიდ კრიზისს განიცდიდა ნავთის მრეწველობაც, რომლის პროდუქციის გასაღებაც უმთავრესად უზრუნველყოფილი იყო ომიანობის დროის მოთხოვნილებით. ამას ადასტურებს ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭოსა და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობის საბჭოს მოხსენებითი ბარათები, რომლებიც მათ წარუდგინეს მთავრობას 1916 წელს [1].

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს სარეწაოებზე 1916 წლისათვის მუშათა საერთო რიცხვი არ შემცირებულა, საშუალო თვიური ამოღება ერთ მუშაზე მაინც თანდათანობით მცირდებოდა: თუ 1913 წელს საშუალო თვიური ამოღება ერთ მუშაზე 18 ტონას უდრიდა, 1915 წელს ამოღება დავიდა 14 ტონამდე, ხოლო 1916 წელს —13 ტონამდე (25%-ით).

იმპერიალისტური ომის მეორე წელმა მკვეთრად გააუარესა ბაქოს პროლეტარიატის მატერიალური მდგომარეობა. სარეწაოს მუშის საშუალო თვიური ხელფასი, რომელიც 1913 წელს 43 მანეთს და 75 კაპ. უდრიდა, 1915 წელს გადიდდა მხოლოდ 53 მან. 75 კაპიკამდე (22,9%), ხოლო 1916 წ. — 73 მ. 59 კაპ. (70%). პირველი მოთხოვნილების საგნებზე კი ამავე დროს ფასები, ომის წინადროინდელ ფასებთან შედარებით, ძლიერ გადიდდა.

მაგალითად, ბაქოს ქალაქის გამგეობის ცნობებით, თუ 1914 წლის პურის ფასს 100% მივიღებთ, მაშინ 1916 წლის სექტემბერში პურის ფასი 166%-ს შეადგენდა, ხოლო 1917 წ. იანვრისათვის ის 200%-მდე ავიდა. თუ თვალს გადავავლებთ ფასების მოძრაობას პირველი მოთხოვნილების სხვა საგნებზე,

---

ცენტრად გადაიქცა. ის ნავთის მრეწველობას აწვდის ბარიტსა და გუმბრინს, რომელიც ამერიკიდან შემოზიდული „ფლორიდინის" მაგიერობას ეწევა. მის საწარმოებში 30.000 მუშაზე მეტი მუშაობს. ქუთაისის მიდამოებში უკვე აშენდა და ამუშავდა რიონის ჰიდრო-ელექტროსადგური (48.000 კილოვატი).

ერევანში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი მეფის დროს ძლივსძლივობით აღწევდა 30.000-ს, რომელთაც ვიწრო და მტვრიან ქუჩებში სული ეხუთებოდათ, ამჟამად 130.000-მდე მცხოვრებია. აქ შენდება მთელი რიგი ახალი ქარხნები, აქვე შენდება სრულიად საკავშირო მნიშვნელობის გიგანტი — სინთეტიური კაუჩუკის კომბინატი. ქალაქში ასფალტი იგება. ქუჩებში უკვე ტრამვაი დადის.

ტფილისი — კავკასიაში მეფისნაცვლის ყოფილი ადმინისტრატიული და სავაჭრო ცენტრი, სადაც, გარდა რკინიგზის მთავარსახელოსნოებისა, არც ერთი მსხვილი საწარმო არ ყოფილა, ამიერკავკასიის მეორე ინდუსტრიალურ ცენტრად ხდება ბაკოს შემდეგ.

მაგრამ განსაკუთრებით დიდად გაიზარდა ბაქო, რომელმაც შეჰქმნა ახალი ნავთის სარეწაოები, მოწინავე სანავთო ტექნიკის ქარხნები და ააშენა სამაგალითო მუშათა უბნები, ახალი სახლების მთელი კვარტალები, კულტურის სასახლეები, პარკები და ბაღები.

ამიერკავკასიის ფედერაციის მთელი მრეწველობის პროდუქცია ომის წინადროინდელ პროდუქციას სჯარბობს 3-ჯერ და კიდევ მეტად, ხოლო ელექტრო-ენერგიის გამომუშავება 4-ჯერ და კიდევ მეტად. ამიერკავკასია მეფის ჩამორჩენილი ნახევრადკოლონიიდან, რომელიც წარსულში რუსეთზე უფრო გლეხური იყო, ინდუსტრიალურ-აგრარულ მხარედ გადაიქცა.

[1] რსფსრ ცენტრ. არქივის საქმე № 13082.

დავინახავთ, რომ ფასები ძროხის ხორცზე იმავე პერიოდში გაიზარდა 327%-მდე, ბრინჯზე — 355%-მდე, კვერცხზე — 392%-მდე, მზისუმზირის ზეთზე — 450%-მდე, კარაქზე — 520%-მდე, კრუჟკა რძეზე — 305%-მდე და სხვ.

მარგანეცის მრეწველობა, რომელიც მთლიანად საზღვარგარეთის ექსპორტისათვის იყო გათვალისწინებული (ექსპორტის დიდი ნაწილი გერმანიაში გადიოდა), ომის დაწყებისთანავე დიდ და ღრმა კრიზისს განიცდიდა.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიყვანოთ შემდეგი ცნობები:

მარგანეცის საერთო ამოღება 938 ათასი ტონიდან — 1913 წ. დაეცა 252 ათას ტონამდე — 1916 წ. და 208 ათას ტონამდე — 1917 წელს. მუშათა რიცხვი კი 3,5 ათასიდან შემცირდა 985-მდე [1].

ტყიბულის ქვანახშირის ამოღება, 1913 წელთან შედარებით, დაახლოებით სამ-ნახევარჯერ შემცირდა და 1917 წლის დასაწყისისათვის 70 ათასი ტონის ნაცვლად მხოლოდ 22,7 ათას ტონას იძლეოდა.

1914 წლამდე მთელი რუსეთის სპილენძის ერთ-მესამედ ნაწილს ამუშავებდნენ ამიერკავკასიაში (ალავერდისა და კედაბეკის სპილენძის სადნობი ქარხნები). ომის დროს კი სპილენძის აპოღება მკვეთრად ეცემა: 1913 წელს ამოღებულ იქნა 10.467 ტონა, 1914 წელს — 8.534 ტონა, 1915 წელს — 4.284 ტონა და 1916 წელს — 3.584 ტონა.

ომის გამო დაზარალდა აგრეთვე აბრეშუმის ძაფსახვევი მრეწველობაც, რომელშიაც ომამდე 124 საწარმო იყო.

ამ მრეწველობის პროდუქცია 175,2 ათასი ფუთიდან — 1913 წელს დაეცა 59,6 ათას ფუთამდე — 1915 წელს [2].

რაც შეეხება ღვინო-კონიაკისა და სარეტიფიკაციო ქარხნებს (ერევნის, გორის, აბასთუმნის, ტფილისისა და სხვ.), ისინი ომის დროს ყველანი დაიკეტა.

სოფლის მეურნეობის ღრმა კრიზისმა კატასტროფული მდგომარეობა გამოიწვია ამიერკავკასიის ქალაქების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. პროდუქტების მწვავე ნაკლებობის გამო გააფთრებით იზრდებოდა აღვირახსნილი სპეკულაცია. ფულის კურსის დაცემის გამო ცხოვრება დღითი-დღე ძვირდებოდა.

ტფილისის პოლიცმეისტერი ზდანოვსკი თავის საიდუმლო მოხსენებაში, 1916 წ. 21 თებერვალს, ასე ახასიათებდა ტფილისის ბაზრის მდგომარეობას:

„6 თვის განმავლობაში ფასები ასე შეიცვალა: 1) პურის ფასმა მოიმატა 33%-ით, 2) ხორცი გაძვირდა 78%-ით, 3) ბურღული გაძვირდა 40%-ით, 4) შაქარი — 15%-ით, 5) კართოფილი — 100%-ით, 6) მარილი — 25%-ით, 7) საპონი — 40%-ით, 8) წუმწუმა — 20 %-ით, 9) სანთელი — 100%-ით, 10) ფქვილი — 31%-ით და სხვ.“

„თუ გავითვალისწინებთ ომის პირველი პერიოდის ფასებს, — განა-

---

[1] საქ. ცენტრ. სტატ. სამმართვ. და „1909-21 წ. წ. სტატისტ. ცნობათა კრებული“, გვ. 49.
„ამიერკავკასიის სტატისტიკურ-ეკონომიური კრებული“, გვ. 280.

გრძობს იგივე ზდანოვსკი, — და დავაკვირდებით მის ყოველდღიურ ზრდას, თუ მივიღებთ მხედველობაში ბინების სიძვირეს, ფეხსაცმელის, ტანისამოსისა და, საერთოდ, პირველი მოთხოვნილების საგნების სიძვირეს, ცხოვრების გაძვირება საშინელი სახით წარმოგვიდგება".

„ცხოვრების გაძვირებამ ისეთი ხასიათი მიიღო, — კვლავ განაგრძობს იგივე პოლიციმეისტერი, — რომ ჯერ კიდევ გასულ წელს ქალაქის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი მხოლოდ პურითა და მოცვის ჩაით იკვებებოდა, ახლა კი მისთვის ეს უკანასკნელიც ფუფუნების საგნად გადაიქცა, რადგან შაქარი გაძვირდა და აღარც იშოვება" [1].

ტფილისის ბაზრის მდგომარეობის დამახასიათებელი ოფიციალური ცნობები წარმოდგენას იძლევა აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ქალაქების სასურსათო მდგომარეობაზედაც.

ზემოთ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ცნობები ცხოვრების გაძვირების შესახებ პროლეტარულ ბაქოში, სადაც მუშათა ეკონომიური მდგომარეობა და მშრომელი მოსახლეობის საერთო მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა.

ამიერკავკასიაშიაც სწორედ ისევე, როგორც პეტერბურგში, მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, მშრომელი მასების მატერიალური პირობების გაუარესების გამო, არსებული წყობილების წინააღმდეგ იწყება სტიქიური მასობრივი მოძრაობა, როგორც ხალხის უკმაყოფილების მასობრივი გამოხატულება (ეგრეთწოდებული „დედაკაცთა ამბოხებანი").

მოძრაობა დაიწყო ბაქოში 1916 წლის თებერვალში, რის შემდეგაც გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ტფილისში, სოხუმში, გროზნასა და დარუბანდში და აგრეთვე ამიერკავკასიის დანარჩენ რაიონებშიაც, მაგალითად: ხონში, სამტრედიაში, კულაშში და ქუთაისის, ახალქალაქის, გორისა და სხვა მაზრებში.

აუტანელი გაჭირვებით სასოწარკვეთილებამდე მისული მასების სტიქიურ და დაურაზმავ გამოსვლას ცარიზმი უაღრესად სასტიკი ზომებით უსწორდებოდა და სპობდა, რისთვისაც თვით აშკარა დახვრეტებსაც კი არ გაურბოდა. ჯერ მარტო ბაქოში ხალხის დახვრეტის დროს, რომელთა უმეტეს ნაწილს ქალები შეადგენდნენ, ოფიციალური ცნობით, პოლიციის მიერ მოკლული და დაჭრილი აღმოჩნდა 66 კაცი. ნამდვილად კი, დამსწრეთა გადმოცემით, დაზარალებულთა რიცხვი რამდენიმე ასეულ კაცს აღემატებოდა.

იმპერიალისტურმა ომმა მუშათა მასობრივი მოძრაობის უდიდესი აზვირთება, როგორც ცნობილია, მთელი რუსეთის იმპერიაში შეაფერხა. ომის წინა ხანებში დაიწყო მუშათა გაფიცვების შეიარაღებულ აჯანყებად გადაზრდა; ამიერკავკასიაში მაშინ განსაკუთრებით გრანდიოზული სახე მიიღო ნავთის სარეწაოებში მომხდარმა გაფიცვამ. ბაქოს მუშების ბრძოლას განსაკუთრებით მძაფრი და

[1] ცენტრ. არქივი, ფონდი № 63, საქმე № 3337, ფურც. 72 — 74.

ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. 1914 წლის 30 (17) ივნისისათვის ნავთის საწარმოების გაფიცულ მუშათა საერთო რიცხვი, ოფიციალური ცნობებით, 28.933 კაცს უდრიდა, ხოლო რევოლუციური ორგანიზაციების ცნობებით, ბაქოში გაფიცულ მუშათა რიცხვი ამ დროს 50 ათას კაცამდე აღიოდა. ბაქოს გაფიცვის მთელი ორგანიზაციული მუშაობა და ხელმძღვანელობა საგაფიცვო კომიტეტის ხელში იყო, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რსდმპ (ბ) ბაქოს ორგანიზაციასთან. წმინდა ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად, გაფიცვა შემდეგი ლოზუნგებით მიმდინარეობდა: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს მაზუთის არმიას“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ვიმეორებთ, ომის გამოცხადებამ შეაფერხა მუშათა კლასის რევოლუციური გამოსვლები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მეფის მთავრობა ზეცურად გაუსწორდა მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებს და განსაკუთრებით კი ამ მოძრაობის სათავეში მყოფ ბოლშევიკებს. ოფიციალური ცნობებით, ბაქოში 1914 წლის 11 ივლისს დააპატიმრეს 892 კაცი. გაფიცვის დროს ბაქოდან ეტაპით გაიგზავნა 100 კაცზე მეტი, ხოლო 1.500 კაცზე მეტი გამოასახლეს მუშათა ბინებიდან.

იმპერიალისტური ომის პირველ პერიოდში მუშათა მოძრაობა მოდუნებული იყო, მაგრამ 1914 წლის ბოლოს და 1915 წლის პირველ ნახევარში, ოფიციალური ცნობებით, ბაქოში მაინც გამოცხადდა 14 პატარა გაფიცვა, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა საერთო რიცხვით 1.020 კაცამდე.

1915 წლის ზაფხულიდან მუშათა მოძრაობას ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ნავთის სამრეწველო რაიონის მუშათა საერთო გაფიცვისათვის.

ბაქოს მრეწველობის მუშათა მასების აქტიურობა კიდევ უფრო იზრდება 1916 წელს, როდესაც გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი უკვე 12.000 კაცს სჭარბობს.

ომის დროს გაფიცვები ხდებოდა სამრეწველო ბაქოს გარეთაც, აზერბაიჯანის სხვა რაიონებშიაც.

1915 წლის 22 (9) აპრილს ნუხაში გაიფიცნენ ძმ. ტერ-გევორქოვების აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშები. 24ᲐᲞᲠᲘᲚᲘ(11) აპრილს იქვე გაჯი-კაფაროვის ქარხანაში გამოცხადდა სხვა ძაფსახვევი ფაბრიკების ორასი მუშა, რომლებიც ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი, და მათ მოითხოვეს, რომ აქაურ მუშებს შეეწყვიტნათ მუშაობა. მათვე აიძულეს მუშები შეეჩერებინათ მუშაობა ჯაფარ ჰუსეინოვის ფაბრიკაშიაც. მუშები მოთხოვნებს უყენებდნენ მწარმოებლებს შრომის ხელფასის გადიდებისა და სამუშაო დღის 11½ საათიდან 10 საათამდე შემცირების შესახებ. მუშების შემდეგი გამოსვლა 1916 წლის იანვარში იყო. მუშაობა განახლებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილეს.

სააქციო საზოგადოება „ტაუზის“ ცემენტის ქარხნის მუშები (ცემენტის ქარხანა სადგურ ტაუზიდან 3 კილომეტრის დაშორებითია) 1915 წელსაც გაი-

ფიცნენ ეკონომიურ ნიადაგზე და მოითხოვეს 9 საათის სამუშაო დღის შემოღება.

1915 წელს საქართველოში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მუშათა გაფიცვებს, უმთავრესად წვრილ საწარმოებში. მაგალითად, 22 (9) თებერვალს ტფილისში გაიფიცნენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშები; გაფიცვაში 240 მუშიდან მონაწილეობას იღებდა 194 კაცი. გაფიცვა გამოწვეული იყო მუშათა ზოგიერთი კატეგორიისათვის შრომის ხელფასის შემცირებით. საფოთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობის მაღაზიის მოსამსახურეებმა 2 აპრილს (20 მარტს) მუშაობა შესწყვიტეს და ადმინისტრაციას ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს.

23 (10) ივლისს მუშაობა შესწყვიტეს და ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს ადმინისტრაციას კ. რეგერის წიგნთსაკაზმავი სახელოსნოს მუშებმა. 28 (15) ივლისს მუშაობა შესწყვიტეს ადელხანოვისა და კომპანიის სააქციო საზოგადოების საჩექმე განყოფილების მუშებმა.

ოქტომბერში ტფილისში გაიფიცნენ ძმ. საფარიანცებისა და ტერ-საააკოვის მაღაზიის ნოქრები, რომელთაც მიემხრო აგრეთე ამავე ფირმის სახელოსნოს 50 მუშაც. ოქტომბერში გაიფიცნენ გაზ. „კავკაზსკოე სლოვოსა“ და გაზ. „ორიზონის“ სტამბის მუშები და აგრეთვე თაიროვის, ალიხანოვისა და ტოლეს ზეთისა და საპნის ქარხნების მუშები. გაფიცვა შესწყდა 19 (6) ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნები და გაუდიდეს მათ ხელფასი (40%-დან 70%-მდე).

27 (14) ოქტომბერს ტფილისის ჟანდარმთა სამმართველომ მიიღო ცნობები, რომ მზადდება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა. პოლიციის მიერ მიღებული რეპრესიული ზომების მეოხებით (საგაფიცვო კომიტეტის დაპატიმრება) ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა აღარ მომხდარა.

26 (13) ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზების ტფილისის მთავარი სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეებმა ადმინისტრაციას ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს და გაფიცვით დამუქრნენ, თუ მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნენ.

3 დეკემბერს (20 ნოემბერს) ტფილისში გაიფიცა ქართული საგამომცემლო ამხანაგობის სტამბის 88 მუშა. 8 დეკემბერს (25 ნოემბერს) მუშაობა შესწყვიტეს აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტებმა და მოითხოვეს ჯამაგირის გადიდება.

ამავე ნოემბერში ორგანიზებულად ემზადებიან გაფიცვებისათვის ბუფეტებისა და რესტორნების მუშა-მოსამსახურენიც.

1915 წელს ტფილისს გარეთ მომხდარ გამოსვლებში ყველაზე დიდ გამოსვლად უნდა ჩაითვალოს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მომხდარი გაფიცვა, სადაც მუშებმა მრეწველებს წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნები, სახელდობრ:

„1. სამუშაო დღე განსაზღვრულ იქნას მაღაროებს შიგნით — 8 საათით, მაღაროებს გარეთ — 9 საათით;

2. დღიური ხელფასი გადიდდეს 30%-ით;

3. დუქნებიდან პროდუქტები გაიცეს წინასწარ დადგენილი ნიხრით, წინააღმდეგ შემთხვევაში დღიური ხელფასი გადიდდეს 40%-ით; პურს ფასი არ უნდა მოემატოს;

4. მაღაროებთან მოეწყოს იმგვარივე სახის მუშათა სასადილო, როგორიც წინათ იყო;

5. აეკრძალოს უფროს მუშებს მუშების დათხოვნა თავისი პირადი შეხედულებით;

6. არაკეთილსინდისიერი მუშების დათხოვნა უნდა ხდებოდეს თვით მუშებისაგან შემდგარი განსაკუთრებული კომისიის მიერ".

მიუხედავად მწარმოებელთა მუქარისა, რომ ისინი გაფიცულ მუშებს დაუპატიმრებდნენ და ფრონტზე გაგზავნიდნენ, გაფიცვა მაინც ერთსულოვნად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა. მუშებმა მიაღწიეს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას: მაღაროებს შიგნით 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, შრომის ხელფასის გადიდებას და სხვ.

1916 წელს ახასიათებს რევოლუციური აზვირთების ახალი აღმავლობა და საგაფიცვო მოძრაობის შემდგომი ზრდა.

აი საქართველოში 1916 წელს მომხდარი გაფიცვების მოკლე ნუსხა:

თებერვალში გაიფიცნენ ს. გასპარიანცის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები.

10 მარტიდან (26 თებერვლიდან) ორი დღის განმავლობაში გაფიცული იყო ტყიბულის მაღაროების 450 მუშა. მუშებმა განაახლეს მუშაობა წარდგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.

აპრილში და მაისის დასაწყისში ჭიათურაში მარგანეცის მრეწველობის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეებმა წერილობრივად წარუდგინეს მრეწველებს ეკონომიური მოთხოვნები. მუშები მოითხოვდნენ უმთავრესად ხელფასის გადიდებას, არსებულ ხელშეკრულებასთან შედარებით, ვაგონის მუშათათვის — 40%-ით, ხოლო დანარჩენთათვის—35%-ით. მრეწველები იძულებული შეიქნენ დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნები.

მაისში 12 დღის განმავლობაში გაფიცული იყო ტფილისის თამბაქოს ქარხნის — „კომეტას" 200 მუშა. გაფიცულებმა მოიპოვეს 9 საათიანი სამუშაო დღე და ხელფასის მომატება 20-დან 40%-მდე.

გაიფიცნენ აგრეთვე სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სპილენძის სატკეცი ქარხნისა და ბეპლეს სამანქანო სახელოსნოების მუშებიც.

9 ივნისს (27 მაისს) მუშაობა შესწყვიტა ადელხანოვის ქარხნის სახელოსნოების 107 მუშამ. 13 ივნისს (31 მაისს) თავი დაანება მუშაობას ამავე ქარხნის სამკერვალო განყოფილებაში მომუშავე 500 მუშამ, რადგან მათი ეკონომიური მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს.

ჭიათურაში მუშაობა შესწყვიტეს მარგანეცის მზიდავებმა და მეურმეებმა.

1916 წლის ივნისში გაიფიცნენ ფოთის პორტის მუშები. მუშებმა მოთხოვ-

ნა წარუდგინეს რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოებას, რუსეთისა და აზოვ-შავიზღვის სანაოსნო საზოგადოებას და აგრეთვე ყველა კერძო ტვირთგამგზავნ კანტორებს — გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის ქირის გადიდების შესახებ.

მიუხედავად პოლიციის მიერ წარმოებული დევნისა და რეპრესიებისა, მუშები დათმობაზე მაინც არ მიდიოდნენ და მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას 50%-ით. როგორც ვიცე-გუბერნატორის ცნობიდან სჩანს, „სანაოსნო აგენტებსა და მუშებს შორის წარმოებული საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მხარეთა შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება“ [1]. მუშებმა გაფიცვა მოიგეს, მათი მოთხოვნები სავსებით დაკმაყოფილებულ იქნა.

17 (4) ივლისს სამტრედიაში მუშაობა შესწყვიტა სარქისოვის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში მომუშავე 80 ქალმა. მუშა-ქალებმა მოთხოვნა წარუდგინეს დამქირავებელს სამუშაო ხელფასის 50%-ით გადიდების შესახებ. გაფიცვა მუშა-ქალთა დამარცხებით დამთავრდა. გაფიცულები დაითხოვეს და მათ ადგილას ახლები მიიღეს (გარდა 20 კაცისა).

8 აგვისტოს (26 ივლისს) მუშაობა შესწყვიტეს ტფილისის სადგურის დეპოსა და სავაგონო პარკის ხელოსნებმა და მუშებმა, ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობის გამო.

აგვისტოში, მიუხედავად რჩევა-დარიგებისა და შემდეგ კი თვით დამუქრებისა პოლიციის მხრივ, ტფილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები სამუშაოდ მაინც არ გამოვიდნენ.

ჟანდარმთა აგენტურა აღნიშნავდა, რომ ტრამვაის მუშების გამოსვლას არა აქვს სტიქიური ხასიათი და რომ აქ საქმე მარტო ეკონომიური მოთხოვნების წამოყენებაში არ არის. ადგილი აქვს „შეთქმულებას, არიან დამცველები; ცხადია, მათ ვიღაცა ხელმძღვანელობს, თითქოს თავისი გავლენის ძალას სინჯავსო“ [2].

1 სექტემბერს (18 აგვისტოს) „მირის“ თამბაქოს ქარხანაში გაიფიცა 153 მუშა (აქედან 94 ქალი). გაფიცულებმა მწარმოებელთაგან მოითხოვეს სამუშაო ხელფასის გადიდება, სამუშაო დღის შემცირება და იმის გარანტია, რომ საერთო თანხმობის გარეშე არც ერთი მუშა არ დაეთხოვნათ და სხვ... გაფიცვას მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ერთ თვეზე მეტს გაგრძელდა. მუშებმა თავის მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას მიაღწიეს.

4 სექტემბერს (22 აგვისტოს), სუსტი დარაზმულობის გამო, დამარცხებით დამთავრდა ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა მიერ გამოცხადებული გაფიცვა.

სექტემბერში მუშაობა შესწყვიტეს ტფილისის სასაქონლო სადგურის მუშებმა. ხელისუფლება იძულებული შეიქნა მუშები სარკინისგზო რაზმის ჯარისკაცებით შეეცვალა. ამავე თვეში გაიფიცნენ საფაროვის თამბაქოს ფაბრიკისა

---

[1] საარქივო ფონდი № 63, საქმე № 3375, ფურცელი 5.

[2] საარქივო ფონდი № 84, 1916 წ. გაფიცვების საქმე №

და პეტროსოვის და კომპანიის მაკარონის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი. პირველ შემთხვევაში მუშებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმება არ მოხდა და საფაბრიკო ინსპექტორის განკარგულებით მუშები მათთვის საბოლოო ანგარიშის გასწორებისთანავე დაითხოვეს.

ოქტომბერში გაიფიცნენ ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები. ამ ფაბრიკაში 400 მუშა მუშაობდა, რომელთა შორის 300 ქალი იყო. სამუშაო დღე 11 საათს გრძელდებოდა, დღიური ხელფასი კი 40 კაპიკიდან დაწყებული 1 მან. და 25 კაპიკამდე ადიოდა. ბევრ განყოფილებაში დამქირავებელმა „საკორდო“ მუშაობა შემოიღო. მუშებმა თავიანთი რწმუნებულების საშუალებით მოთხოვნა წარუდგინეს ფაბრიკის დირექტორს ხელფასის 40%-ით გადიდების შესახებ; მოითხოვეს აგრეთვე ფაბრიკაში 9-საათიანი სამუშაო დღის შემოღება და „საკორდო“ მუშაობის გაუქმება. რადგან დამქირავებელმა მუშების მოთხოვნათა შესრულებაზე უარი განაცხადა, მუშებმა ორგანიზებულად შესწყვიტეს მუშაობა.

ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ აგრეთვე „ტოლესა და კომპანიის“ საქციო საზოგადოების საპნის ქარხნის მუშები. ეს ქარხანა სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდა და მისი ხელმძღვანელები მუშათა მოთხოვნების თვით ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზედაც კი არ სთანხმდებოდნენ.

ნოემბერში ტფილისში გაიფიცნენ ენფიანჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების მუშები და აგრეთვე ადელხანოვის საქციო საზოგადოების ტყავის ქარხნის მუშები.

დეკემბერში კვლავ გაიფიცნენ ადელხანოვის ქარხნის ტყავეულობის განყოფილების მუშები. ეს ქარხანა თავდაცვის საქმეზე მუშაობდა. თუმცა მუშათა მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს, მაგრამ მუშები მაინც იძულებული გახდნენ განეახლებინათ მუშაობა, რადგან მათ გამოუცხადეს, რომ, თუ გაფიცვა გაგრძელდა, ყველა მუშას კავკასიიდან გადაასახლებენო.

რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტებს ამიერკავკასიაში განსაკუთრებით აშინებდა საგაფიცვო მოძრაობის გაშლა რკინიგზელთა შორის. ომის წლებში ჟანდარმთა სამმართველოსა და რკინიგზის ადმინისტრაციის მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი „პროფილაქტიური“ ზომები. მუშათა მიღება ტფილისის მთავარ სახელოსნოებში ხდებოდა განსაკუთრებული საპოლიციო შერჩევით.

ამიერკავკასიის რკინიგზებზე გადმოჰყავდათ „განსაკუთრებით კეთილსაიმედო პირები“. რუსული შავრაზმული ორგანიზაცია — „ტფილისის პატრიოტული საზოგადოება“ — ბრძოლის პროვოკაციული მეთოდებით ცდილობდა გავლენა მოეპოვებინა მუშათა უფრო ჩამორჩენილ ფენებში, რისთვისაც ის ენერგიულად ავრცელებდა მათ შორის „პოგრომული“ შინაარსიის ფურცლებსა და ბროშურებს, რომლებსაც „ოხრანკის“ ხელმძღვანელობით სცემდა დეკანოზი გოროდცევი და სხვ.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზებზე მოქმედებდა განსაკუთრებული გენერალ-გუბერნატორი, რომელიც წარმოუდგენელი სისასტიკით იყენებდა 1905

წლის 27 (14) დეკემბერს გამოცემულ დებულებას რკინიგზების განსაკუთრებული დაცვის შესახებ [1].

ომის გამოცხადებისთანავე მთავრობამ ტრანსპორტს, როგორც ფრონტისა და ზურგის მომსახურების ორგანოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და შეუდგა რკინიგზების გასამხედროებას. ამიერკავკასიის რკინიგზების მეთაურად ხელახლა დაინიშნა განსაკუთრებული სამხედრო გუბერნატორი და რკინიგზელები ჩაყენებულ იქნენ სამხედრო რეჟიმის განსაკუთრებულ პირობებში.

ეს კიდევ არაფერი, ტფილისის დეპო და რკინიგზის მთავარი სახელოსნოები „ოხრანკისა“ და პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათი აგენტები საამქროებსა და სახელოსნოებში დაძრწოდნენ.

1-ლი მაისის წინადღეებში პოლიცია და „ოხრანკა“, მოელოდა რა პოლიტიკურ დემონსტრაციებს და მუშათა გამოსვლებს, განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა და წინასწარ გზავნიდა მთავარსახელოსნოებისა და დეპოს ტერიტორიაზე პოლიციის გაძლიერებულ რაზმებს. როდესაც 1915 წლის 1-ლ მაისს აქ მაინც აღმოჩნდა საპირველმაისო მოწოდებები რუსულ და ქართულ ენებზე, ამან ძალზე დააფრთხო მთავრობა და მთელი არეულობა გამოიწვია მის რიგებში.

ამასთან ერთად, მთავრობა, ითვალისწინებდა რა რკინიგზის მნიშვნელობას ომის პერიოდში, ცდილობდა უფრო ხელსაყრელ მატერიალურ პირობებში ჩაეყენებინა რკინიგზის მუშები, რისთვისაც მუშათა ერთი ნაწილის მოსყიდვასაც კი არ თაკილობდა.

> „ამ მიზნით, გასული წლიდან, — სწერს ამიერკავკასიის რკინიგზების უფროსი, — მე ხელოსნებს და მოსამსახურეებს საკმაოდ გადიდებული რაოდენობით ვაძლევდი სასურსათო ბილეთებს, რომ წასულიყვნენ და ეყიდნათ სურსათი იმ ადგილებში, სადაც იგი უფრო იაფ ფასებში იშოვებოდა; ვაძლევდი აგრეთვე ავანსსაც. თვით გზათა სამმართველო ამზადებდა მთავარ სახელოსნოებისათვის ყოველგვარ პროდუქტებს და ურიგებდა მუშებს“ [2].

მაგრამ ვერც მთავრობის ღონისძიებებმა (მუშების მოსყიდვამ და სხვ.) და ვერც რეპრესიულმა ზომებმა ვერ შესძლო რკინიგზის მუშების გარევოლუციონერების შეფერხება. მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ცდები კი, მოახლოებული სამეურნეო კატასტროფის გამო, უნაყოფოდ რჩებოდა.

საარქივო საქმეებში ტფილისის გუბერნიაში მომხდარი გაფიცვების შესახებ მრავალი დოკუმენტი მოიპოვება, რომელიც იმას მოწმობს, რომ მთავარ სახელოსნოებისა და დეპოს მუშები სისტემატურად მოითხოვდნენ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუშები არ შეუშინდნენ არავითარ სასტიკ ზომებს და, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, 1915 წლის ოქტომბერში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო გაფიცვას მეტად მკაცრი შედეგები მოჰყოლოდა, მაინც გაიფიცნენ და წა-

---

[1] 1904 — 1908 წ. წ. საკანონმდებლო აქტები, გვ. 210.

[2] საქ. ცენტრ. არქივის ფონდი № 84, საქმე № 3362, 1926 წ., ფურც. 27—28.

მოაყენეს პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები. პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა აგრეთვე 1916 წლის ზაფხულში გამოცხადებულ გაფიცვასაც.

ჟანდარმთა პოლკოვნიკ პასტრულინის მოხსენებაში „რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთათვის თვალყურის დევნების შესახებ", ჟანდარმერიისა და პოლიციის ცნობათა საფუძველზე, ლაპარაკია მთავარ სახელოსნოების მუშათა და სხვა რკინიგზელთა შორის არსებულ მღელვარებაზე.

ომის წლებში ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე დეპოსა და მთავარ სახელოსნოებში. ამის შესახებ პირდაპირ ლაპარაკობს „ოხრანკა" თავის მოხსენებებში. კერძოდ, "ოხრანკის" ცნობებით, ბოლშევიკებმა დიდი აგიტაცია გასწიეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ (ბოლშევიკების რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე რკინიგზელებში ხელიდან-ხელზე გადადიოდა და სხვ.).

გამხრწნელ მუშაობას რკინიგზელთა შორის, განსაკუთრებით ა. კ-ის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და სადგ. ტფილისის დეპოში, ქართველი მენშევიკები აწარმოებდნენ, რომელნიც ხელს უწყობდნენ ობორონცულ შეხედულებათა გავრცელებას მუშათა ერთ ნაწილში.

III

ამიერკავკასიის საგაფიცვო მოძრაობას ომის წლებში არსებითად ეკონომიური ხასიათი ჰქონდა. მუშები ჩვეულებრივ მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გაუმჯობესებას, სამუშაო დღის შემოკლებას და სხვ.

ეს ეკონომიური გაფიცვები მეტისმეტად აღვივებდნენ მუშებში რევოლუციურ განწყობილებას და რაზმავდნენ მუშათა არმიას. მუშები პრაქტიკულად რწმუნდებოდნენ, რომ ომს მტაცებლური ხასიათი აქვს; ისინი რწმუნდებოდნენ, რომ გაბატონებული კლასები დანაშაულებრივ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ეკონომიურმა ბრძოლამ გააძლიერა მუშათა პოლიტიკური აქტივობა და გადაიზარდა აშკარა იმპერიალისტური ომისა და ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის საწინააღმდეგო ბრძოლად შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „ძირს იმპერიალისტური ომი!"

თუ როგორ ხდებოდა ეკონომიური ბრძოლის პოლიტიკურ ბრძოლად გადაზრდა, ამის მაგალითი ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ იმ მოწოდებიდან, რომელიც გამოუშვიათ ტფილისის ტრამვაის მუშებს 1916 წლის 1 მაისს, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„გავიფიცოთ პირველ მაისს... ამ დღეს მუშები უარს ამბობენ მუშაობაზე და ერთდღიან გაფიცვას აცხადებენ. ასე ხდება საზღვარგარეთ. ასე ხდება მთელს რუსეთსა და კავკასიაში. ჯერი ჩვენზეა, ამხანაგებო! შარშანდელი გაფიცვით ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენმა მტრებმა თავი მოიხარეს ჩვენი ერთსულოვანი ბრძოლის წინაშე...

ამხანაგებო! ჩვენ ვერ გავჩუმდებით, როდესაც მთელს რუსეთში პეტერბურგისა და მოსკოვის მუშების მეთაურობით გაფიცვა მიმდინარეობს. ჩვენ ვერ ვუღალატებთ საერთო-რუსეთის მუშურ საქმეს. გავიფიცოთ, ამხანაგებო, რუსი მუშების სასიხარულოდ და მჩაგვრელი კაპიტალისტებისათვის შიშისზარის დასაცემად"... [1]

ეკონომიური ხასიათის საგაფიცვო მოძრაობა საუკეთესო სკოლა იყო, რომელიც ამიერკავკასიის პროლეტარიატს მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის ამზადებდა.

პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად, კავკასიის ფრონტის ჯარის გარევოლუციონერებაც ხდებოდა.

არმიაში უდიდეს რევოლუციურ როლს თამაშობდნენ მოწინავე და შეგნებული მუშები, რომლებიც გაფიცვებში მონაწილეობის მიღების გამო ფრონტზე იგზავნებოდნენ. ეს მუშები ჯარისკაცთა მასებში პროპაგანდას აწარმოებდნენ სამხედრო-პოლიციური დიქტატურისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

თუმცა თვითმპყრობელობა ყოველივე ზომებს ხმარობდა, რომ დაეცვა არმია „რევოლუციური გავლენისაგან", მაგრამ მის რიგებში მაინც თანდათან უფრო მეტად ვრცელდებოდა ბოლშევიკური ფურცლები, ბროშურები და ლოზუნგები. აი რას სწერდა შინაგან საქმეთა მინისტრი 1916 წლის 24 დეკემბრის თარიღით ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს:

„მიღებული ცნობებით, ზოგიერთ ადგილას ბოროტ ელემენტებს განუზრახავთ გამოიყენონ სიძვირე მოსახლეობის ასაღელვებლად, არეულობის მოსახდენად და ჯარის ნაწილებში აგიტაციის გასაწევად... ამიტომ დარაზმეთ აგენტურა ამ მოვლენის შესასწავლად, ფხიზლად ადევნეთ თვალყური დანაშაულებრივ მოწოდებებს ხელმისაწვდომი საშუალებებით... თვალყური ადევნეთ სამხედრო ნაწილების განწყობილებას საერთოდ, ყოველნაირი ზომები იხმარეთ ჯარში აგიტაციისა და მღელვარების თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც აუცილებელია მუდმივი კონტაქტი სამხედრო ხელმძღვანელობასთან" [2].

აგენტურის მთელ რიგ სხვა ცნობათაგან ჯარში რევოლუციური ფურცლების გავრცელების შესახებ მოვიყვანთ შემდეგს:

ერევნის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო იწერება, რომ სოფ. იგდირში, პოლიციის ჩაფარმა ბაზარში გავლის დროს შეამჩნია, რომ ხუთი ჯარისკაცი რაღაც დაბეჭდილ ქაღალდებს კითხულობდა; ჩაფარმა მოასწრო ამ ქაღალდების სათაურის წაკითხვა — „რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია" [3].

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ხსენებული ჯარისკაცები ვერ აღმოაჩინეს.

---

[1] საარქივო ფონდი № 63, საქმე № 2763.

[2] [3]—საარქივო ფონდი № 63, საქმე № 3019.

ფრონტზე და მახლობელ ზურგში მყოფ ჯარისკაცთა განწყობილების საილუსტრაციოდ გამოდგება აგრეთვე ჯარისკაცთა წერილებიც, რომლებსაც სამხედრო ცენზურა სინჯავდა და რომელთა უმრავლესობაც დანიშნულებისამებრ აღარ იგზავნებოდა. ამ წერილებში ჯარისკაცები სჩივიან ფრონტზე ცხოვრების განსაკუთრებით მძიმე პირობების შესახებ.

ცალკეულ სამხედრო ნაწილებში გავრცელებული იყო ტიფი, ხოლერა და ყოველგვარი ეპიდემიური სნეულებანი.

„ზამთრისათვის ყაზახები ტიტვლები არიან, — იწერება ერთი ყაზახი, — არ არის ჯუბები, ჩექმები, ნაბდის ჩექმები, თბილი საცვლები, პური საძაგელია და მასში ბუზები და სხვა სიურპრიზები მრავლად მოიპოვება“ [1].

მეორე წერილში, რომელსაც ფრონტის ჯარისკაცი ტფილისში გზავნის, სწერია:

„ნეტა ადამიანურად მაინც გვექცევოდნენ, ისე გვეპყრობიან, როგორც ძაღლებს, ასე ცუდად ტუსაღებსაც კი არ მოეპყრობიან“ [1].

„მე ხშირად მომდის ხოლმე თავში თვითმკვლელობის აზრი, — იწერება მესამე ჯარისკაცი,—ასეთ კატორღულ ცხოვრებას ისევ თავის მოკვლა სჯობია... ჯარში როზგით ცემაა შემოღებული მცირეოდენი დანაშაულისათვის“.

ჯარში თანდათან უფრო იზრდებოდა განწყობილება, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ეს უაზრო და მტაცებლური ომი. აი ამ განწყობილებათა ნიმუშები, რომელიც ფრონტის ჯარისკაცთა წერილებიდან გამოსჭვივის:

„როდის დადგება ის მომენტი, როდესაც ამ საშინელ ომზე ილაპარაკებენ, როგორც წარსულზე“...

„ომის შემდეგ მოვითხოვთ ყველაფრის ანგარიშს... ჩვენ მივეცით ყველაფერი, რასაც კი ჩვენგან მოითხოვდნენ, მაგრამ დადგება განკითხვის დღეც“...

კავკასიის ფრონტის შტაბის სამხედრო-საცენზურო განყოფილება ჯარისკაცთა წერილების მიხედვით აღნიშნავდა, რომ ჯარის ცალკეული ნაწილები უარს ამბობდნენ იმაზე, რომ უფროსებს დამორჩილებოდნენ:

„ჩვენთან, — იწერება ერთი ჯარისკაცი, — ერთმა პოლკმა მოითხოვა დასვენება და შეტევაზე აღარ გადავიდა, არც სხვა გაუშვა. უნდოდათ ამ პოლკის დასასჯელად ორი ბათალიონი გაეგზავნათ, მაგრამ მათაც უარი სთქვეს დასამშვიდებლად წასვლაზე. ჩვენი ნაწილი ამ პოლკის უკან დადგა, მაგრამ შეტევაზე მაინც არ გადავიდა“ [1].

1915 წლის ნოემბერში ბათომში ადგილი ჰქონდა მე-18 პლასტუნთა ბა-

---

[1] საარქივო ფონდი № 63, საქმე № 1913, 1916 წ.

თალიონის გამოსვლას. ამ ბათალიონის ერთ ყაზახს სოლოვიოვს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს განზრახ ჩადენილი „ასოთმავნებლობისათვის“. პლასტუნებმა ღამით გაიგეს თუ არა ეს ამბავი, საჩქაროდ ტანთჩაიცვეს, დაავლეს ხელი თოფებსა და ვაზნებს და სასწრაფოდ გაემართნენ იმ საავადმყოფოსაკენ, სადაც სოლოვიოვი იწვა, რომ ეს უკანასკნელი განეთავისუფლებინათ.

ჯარისკაცები ოფიცრების მისამართით ასე ჰყვიროდნენ: „რა საპიროა ცქერა და მათთან ბევრი ლაპარაკი, კომენდანტმა ელშინმა ციხე გაჰყიდა, მაგრამ არაფერი უთქვამთ, ჩვენმა ჯარისკაცმა კი თავისთავი დაიჭრა და ის ამისათვის უნდა დახვრიტონ!“ ერთ ოფიცერს ზეურაცხყოფა მიაყენეს და სროლაც ასტეხეს. სამხედრო ხელმძღვანელობამ სხვა ნაწილების დახმარებით ძლივს მოახერხა პლასტუნების დამშვიდება [1].

1915 წელს მღელვარებას ადგილი ჰქონდა ყაგიზმანში — ახულგინის ქვეითა პოლკში, ახალსენაკში — სათადარიგო ჯარის ნაწილში, ერევანში — 114 ქვეითა ბათალიონში და სხვ.

ჯარის გახრწნას ახასიათებს დეზერტირობის ზრდა, რამაც ამიერკავკასიაში მასობრივი ხასიათი მიიღო. ყველა მაზრის უფროსები თავიანთ მოხსენებებში, განსაკუთრებით 1915 წლიდან, აღნიშნავდნენ, რომ რაიონში გაჩნდა უამრავი დეზერტირი, რომელთაც მოსახლეობა არამც თუ არ სდევნიდა, პირიქით, მხარს უჭერდა და ეხმარებოდა, რომ თავი დაეღწიათ და დამალოდნენ პოლიციის დევნას. ხელისუფლებას ხშირად უძნელდებოდა დეზერტირებთან ბრძოლა, რადგან ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივ შეიარაღებულნი იყვნენ და ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასიაში 1905 წლის რევოლუციის განადგურების შემდეგ მისი მრავალი აქტიური მონაწილე სოფლად იმალებოდა და აქტიურ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა. ომის დროს მათი მოქმედება მეტისმეტად გამოცოცხლდა. ისინი სარგებლობდნენ გლეხობის დახმარებით. ხშირად ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირი-ჯარისკაცები ამ რევოლუციური ჯგუფების რიგებში დგებოდნენ.

„როგორც ინტელიგენტების, ისე გლეხთა მოსახლეობის დეფექტად,— სწერს, მაგალითად, თელავის მაზრის უფროსი 1916 წლის 14 (1) მარტს,— უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი სრულიად მალავენ 1905 წლის კახეთის ავაზაკთა ნაშთებს, რომლებთანაც ბრძოლა მეტად ძნელია. უნდა აღინიშნოს აგრეთვე დეზერტირების გამრავლებაც, რომელთაც მოსახლეობა თავშესაფარს აძლევს... ამავე კუთხის ავაზაკების ტერორის გამო“.

მოძრაობამ ცალკეულ რაიონებში იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ სამხედრო ხელისუფლებას 1916 წლის მეორე ნახევარში არა ერთხელ გაუგზავნია ჯარის მსხვილი ნაწილები მასთან საბრძოლველად.

თუ რამდენად იყო გავრცელებული დეზერტირობა ამიერკავკასიაში, სჩანს

---

[1] საარქივო ფონდი № 63, საქმე № 3019, ფურცელი 32—33.

შემდეგი ცნობებიდან: თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტში, ტფილისის სამხედრო უფროსთან გამოცხადდა 2.819 დეზერტირი. ა. კ-ის განსაკუთრებულ კომიტეტში 29 (16) მაისს გამოცხადდა გორის მაზრის 5.000 დეზერტირის დელეგაცია და სხვ.

ჯარში რევოლუციური განწყობილების ზრდის მაჩვენებელია აგრეთვე იმ ჯარის ნაწილების მოქმედებაც, რომლებიც გაიგზავნენ 1916 წელს ა. კ-ის სხვადასხვა ქალაქებში სასურსათო ამბოხებათა ჩასაქრობად.

1916 წელს, ბაქოს არეულობის დროს, მეფისნაცვლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში თავ. ორლოვი თავის საიდუმლო ცირკულარში სწერს:

„ამ არეულობის ჩაქრობის დროს სამხედრო და საპოლიციო ნაწილების მიერ შენიშნული იყო როგორც საერთო მოვლენა, რომ „პოგრომებმა“ ჯარისკაცთა შორის უფრო მეტი თანაგრძნობა გამოიწვიეს, რის გამოც ისინი ხან სრულებით არ ეწინააღმდეგებოდნენ „პოგრომშჩიკებს“ და უბრალო მაყურებელთა როლში გამოდიოდნენ, ხან კი, თუ იღებდნენ რაიმე ზომებს არეულობის ჩასაქრობად, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ მათთან ოფიცრები იყვნენ; ამასთან, შენიშნულია აგრეთვე, რომ ჯარისკაცები მეტად რბილად და თავისი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდნენ“ [1].

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უკმაყოფილება ფეხს იკიდებდა თვით ყაზახთა იმ ნაწილებშიაც კი, რომლებიც 1905 წელს ცარიზმის ყველაზე უფრო საიმედო დამცველებს წარმოადგენდნენ.

ტფილისში მომხდარი არეულობის დროს მე-2 საპოლიციო უბნის უფროსი ზედამხედველი იტყობინებოდა, რომ 1916 წლის 5 ივლისს, ღამით, მისდამი რწმუნებული უბნიდან 9 „გოროდოვოის“ თანხლებით პოლიცმეისტრის სამმართველოში გაგზავნილ იქნენ არეულობის მონაწილენი (9 მამაკაცი და 9 ქალი). პოლიცმეისტრის სამმართველოსთან საგუშაგო რაზმში მყოფმა დონის ყაზახთა ასეულმა, რომელიც გამოწვეული იყო დაპატიმრებულთა ციხეში წასაყვანად, ძალით გაანთავისუფლა ეს დაპატიმრებულნი; ამასთან, ყაზახებმა პოლიციელებს შეჰყვირეს: „შესდექით, არამზადებო!“ და იარაღით დაემუქრნენ.

ქ. სოხუმში მომხდარი სასურსათო არეულობის გამო ოლქის უფროსი 1916 წ. 24 (11) ივლისის თარიღით იწერებოდა:

„როცა, ბოლოსდაბოლოს, შევძელით ხალხის გარეკა, რაზედაც საკმაოდ დიდი დრო დაიხარჯა, მე ვუბრძანე ასეულის უფროსს მათრახი ეხმარა დამრბევთა წინააღმდეგ და გაერეკნა ისინი მაღაზიებიდან, ხოლო ჩაფრებსა და „გოროდოვოებს“ კი ვუბრძანე ხალხი ახლოს არ გაეტარებინათ. როცა ყაზახები დამრბევლებთან მივიდნენ, მათში რაღაც არევდარევა მოხდა და უკან დაბრუნდნენ. სხვათა შორის, ვიდრე ასეულის უფროსი მათრახს იხმარდა დამრბევთა წინააღმდეგ, მან მომახსენა: როცა ყაზარმიდან გამოვედით, იმ რაზმის ჯარისკაცებმა, რომელიც ყაზახებთან ერთად ერთ ყაზარმაში არის მოთავსებული, ყაზახებს ასე მოაყვირეს: „აბა ერთი

[1] კავკასიის მეფისნაცვლის საარქივო ფონდი № 3376, 1916 წ.

სინჯეთ და ხელი ახლეთ დედაკაცებს, მაშინ ჩვენ ვიცით, რასაც გიზამთო...“ მე ზუსტი ცნობები მქონდა იმის შესახებ, რომ გარნიზონი: მოლაშქრეთა ასეული, ყაზახთა ნახევარი ასეული და აგრეთვე ჯარისკაცები, რომლებიც ოლქში იმყოფებიან პოლიციის დასახმარებლად, ქალების მხარეზე იყვნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ისინი ქალებს დაეხმარებიან, თუ პოლიციის მხრივ რაიმე ძალადობას ექნება ადგილი“ [1].

მოყვანილი ფაქტები, ახასიათებენ რა კავკასიის არმიის გახრწნას, ერთხელ კიდევ ადასტურებენ რევოლუციური კრიზისის ზრდას.

იმპერიალისტური ომის პერიოდი ამიერკავკასიაში აღინიშნა დიდი აჯანყებით აჭარისტანში, რომელიც პირველი თვეებიდანვე საომარ მოქმედებათა ასპარეზად გადაიქცა. ქალაქის დაცვის აუცილებლობის საბაბით მთავრობამ სასწრაფო წესით გაანადგურა მუშათა ორგანიზაციები; ბათომის ციხე-სიმაგრის რაიონში საალყო წესები გამოცხადდა და ყველანი, ვისზედაც კი ეეჭვ ჰქონდათ, რომ ისინი რევოლუციურ მოძრაობაში იღებდნენ მონაწილეობას, კავკასიის სამხედრო ოლქის საზღვრებიდან გადაასახლეს.

ომის პირველი დღეებიდანვე რუსეთის სარდლობამ სამარცხვინო დაბნეულობა და მოუმზადებლობა გამოიჩინა. 1914 წლის ნოემბერში თურქეთის ჯარის ნაწილებმა ართვინის ოლქი და მთელი ზემო-აჭარა ისე დაიპყრეს, რომ წინააღმდეგობა თითქმის არავის გაუწევია. მყისვე იფეთქა აჯანყებამ აჭარაში.

აჭარლების მიერ დაწყებული ბრძოლა თვითმპყრობელურმა მთავრობამ ყაჩაღურ მოძრაობად მონათლა და ბრალი დასდო აჭარლებს სახელმწიფო ღალატში. ამ ბრძოლის ხელმძღვანელობას ის მოლებსა და ბეგებს აწერდა, რომელთაც თურქეთის ბატონობის აღდგენა სურდათ. უდავოა, რომ ზოგიერთი ფეოდალური ჯგუფი, რომელსაც კავშირი ჰქონდა თურქეთის პანისლამისტებთან, და ფანატიკოსი მოლები, რომლებიც საღმრთო ომს — „ჰაზავატს“ აცხადებდნენ გიაურების წინააღმდეგ, ცდილობდნენ სახალხო მოძრაობა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, მაგრამ აჯანყება არსებითად ცარიზმისა და რუსეთის იმპერიალიზმის კოლონიალური ჩაგვრისა და ძარცვა-გლეჯის პირდაპირი შედეგი იყო. ანალოგიურმა მოძრაობამ, კოლონიალური რევოლუციის სახით, როგორც ვიცით, თავი იჩინა უფრო ფართო მაშტაბით 1916 წელს უზბეკისტანისა, ყირგიზეთისა და კაზაკსტანის მთელ რიგ რაიონებში, სადაც მკვიდრი მოსახლეობის ექსპლოატაციის აჭარისებური წინაკაპიტალისტური ფორმები არსებობდა.

რუსეთის ჯარი უკან დახევისას, როცა ის თავზარდაცემული გარბოდა, ველურ ძალადობას იჩენდა და უდიდეს შეურაცხყოფას აყენებდა ყოვლად უმიზეზოდ აჭარის სრულიად უდანაშაულო მოსახლეობას, ცეცხლს უკიდებდა და სძარცვავდა მათ სახლებსა და ქონებას და სხვ.

გენერალმა ელშინმა, მაგალითად, ბრძანება გასცა ციხე-სიმაგრის რაიონიდან ყველა იქ მცხოვრები აჭარელის ძალად გადასახლების შესახებ.

---

[1] კავკასიის მეფისნაცვლის საარქივო ფონდი, საქმე № 3401, 1916 წ.

აჭარლების აჯანყება სასწრაფოდ იქნა ჩაქრობილი. სამხედრო ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა აჭარლებს. ერთერთი გაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც აჭარაში 15 სოფელი შემოიარა, იტყობინებოდა, რომ 337 სახლიდან 220 დასწვესო. იმპერიალისტური ომის შედეგად, რომელსაც ცარიზმის მხრივ „რეაქციური, მტაცებლური, მონათმფლობელური ხასიათი" (ლენინი) ჰქონდა, და აგრეთვე აჭარელ მეამბოხეთა განადგურების შედეგად, აჭარის სოფელმა სრული განადგურება და სიღატაკე განიცადა. საოლქო სასოფლო-სამეურნეო თათბირზე, რომელიც შესდგა ბათომში 1916 წლის 30 (17) მარტს, გამოირკვა, რომ აჭარაში ნათესების საერთო ფართობი, წარსულ წლებთან შედარებით, 50—60%-ით შემცირდა; მოსახლეობის $^1/_3$ სრულიად გაძვალტყავებული იყო: მას არ ჰყავდა მუშა-საქონელი, არ გააჩნდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, არც სათესი მასალა და არც მუშა-ხელი.

IV

ქართველი მენშევიკები ვერ ხედავდნენ ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათ არ უნდოდათ დაენახათ სარევოლუციო მოძრაობის ზრდა ამიერკავკასიაში.

იმპერიალისტურმა ომმა ცხადლივ დაადასტურა მენშევიკური პარტიის გამცემლობა. როგორც ყველა სხვა ქვეყნის მენშევიკები, ისე ქართველი მენშევიკებიც გადაიქცნენ „იმპერიალისტების მტაცებლური - ზრახვების თანამონაწილეებად — ბანდიტიზმის თანამონაწილეებად" (ლენინი).

1914 წელს მენშევიზმი „საბოლოოდ გადაიზარდა სოციალ-შოვინიზმად, საბოლოოდ გადავიდა ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ" (ლენინი).

ამ მხრივ ქართველი მენშევიკები არ ჩამორჩნენ თავიანთ უფროს თანამოძმეებს მეორე ინტერნაციონალიდან და აშკარა მოწოდებით გამოვიდნენ — მხარი დაეჭირნათ ომის დროს მეფის მონარქიისათვის, რომელიც ევროპისა და მსოფლიო რეაქციის დასაყრდენს წარმოადგენდა და ასეული წლების განმავლობაში რუსეთის მრავალ სხვადასხვა ერს სჩაგრავდა [1].

როგორც საარქივო მასალებიდან გამოირკვა, ნ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ თავის პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში, როდესაც ის ხელში ჩაუვარდა ოხრანკას, ფიცი მისცა მას, რომ „იცხოვრებდა პატიოსანი შრომით" და პატიოსნად „შეასრულებდა რუსეთის ქვეშევრდომის მოვალეობას". რეაქციის წლებში ნ. ჟორდანია და მისი მიმდევრები, ლენინის შეფასებით, ლიკვიდატორების ყველაზე ცუდ ტიპს წარმოადგენდნენ. როცა მეფის რუსეთი იმპერიალისტურ ომში ჩაება, ქართველი მენშევიკების მეთაურმა მოუწოდა თავისი პარტიის წევრებს მონაწილეობა მიეღოთ „სამშობლოს კეთილდღეობისათვის" მილიტა-

[1] სწორედ ასეთი პოზიცია დაიკავა ქართველი მენშევიკების ლიდერმა—ნ. ჟორდანიამ.

ღვინის სარდაფი. კასრზე ზის ნ. ჟორდანია, კიბეზე — ნ. ჩხეიძე — II და IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი. 1916 წ.

რისტული გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს სოციალდემოკრატიულ ფრაქციას ხმა მიეცა სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცებისათვის.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საქართველოს მენშევიკური პარტიის ყველაზე გავლენიანი წევრები — ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ს. ჯიბლაძე და ი. ჭუმბურიძე — 1915 წლის ივლისში დაპატიმრებულ იქნენ საპირველმაისო მოწოდების გამოშვებისათვის[1]. მაგრამ მეფის სატრაპის — ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი თვალთმაქცური და პროვოკაციული პოლიტიკით, სექტემბერში ისინი ციხიდან უკვე გაანთავისუფლეს და მათ წინააღმდეგ ყოველგვარი დევნა შესწყვიტეს[2].

ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, თუ რა განიცადეს მენშევიკების ბელადებმა მეფის ციხეში, მაგრამ მაინც ვნახოთ, რა მოხდა შემდეგ.

„როგორც კი საოლქო კომიტეტის წევრი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები (ზემოხსენებული ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ს. ჯიბლაძე და

[1] გადარჩენილი საარქივო საბუთებიდან სჩანს, თუ რა „კარგ“ გავლენას ახდენდა მეფის საპყრობილე მენშევიკურ ბელადებზე. 1902 წელს, მაგალითად, ნ. ჟორდანიამ დაკითხვის დროს შეუწყნარებელი ჩვენება მისცა ქუთაისის ციხეში და ტფილისის მეტეხის ციხეში, ხოლო 1906 წ. ნ. რამიშვილმა საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ჟანდარმერიასთან ბოლშევიკების წინააღმდეგ (იხ. 1931 წ. „ბორბა კლასოვ“ № 3-4, სტატ. „რამიშვილი და ჟანდარმები“, გვ. 48).

[2] საარქივო ფონდი № 36, საქმე № 3245. ტფ. საგუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პასტერნაკის მოხსენება, ფურც. 89—94.

ი. ჭუმბურიძე) სექტემბერში ციხიდან გაანთავისუფლეს,— სწერს ჟანდარმთა პოლკოვნიკი პასტრულინი თავის მოხსენებაში შინაგან. საქმეთა მინისტრის ამხანაგის სახელზე,—მთელი ორგანიზაციის მოქმედება გამოცოცხლდა“ [1].

თუ რა მიმართულებით მიდიოდა ეს „გამოცოცხლება“— სჩანს შემდეგი ფაქტებიდან: ციხიდან განთავისუფლებული ნ. ხომერიკის, ნ. რამიშვილის, ს. ჯიბლაძისა და ი. ჭუმბურიძის ინიციატივით 17 (4) სექტემბერს ახალსენაკში მოწვეულ იქნა მენშევიკური პარტიული კონფერენცია.

„ამ კონფერენციაზე, — სწერს თავის მოხსენებაში 1915 წლის 14 (1) ნოემბრის თარიღით მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებულ განყოფილებას ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ტრესკინი,— გაიმარჯვა „თავდაცვის იდეამ“, რომელსაც იცავდა ანი (ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია). ამის საუკეთესო საბუთია თათბირის გადაწყვეტილება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის მიღების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ იცვლება კავკასიის სოციალდემოკრატიის ტაქტიკა, რომელიც პასიური და საეჭვო ნეიტრალიტეტიდან გადადის აქტიურ გამოსვლებზე თავდაცვის იდეის სასარგებლოდ. ამისდა შესაბამისად შეიცვალა აგრეთვე გაზ. „აზრის“ მიმართულებაც (მენშევიკური გაზეთი იყო.—ბ. ხ.), რომელიც ჯერ კიდევ ამ დღეებში აშკარად აცხადებდა, რომ სოციალდემოკრატია, ეწინააღმდეგება რა დაპყრობითი ომს, ყოველგვარი საშუალებით უნდა იცავდეს სამშობლოს მტრის მიერ დაპყრობისაგანო“.

თუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს ჟანდარმერიის ზემოთმოყვანილ მოხსენებას და მენშევიკების ტაქტიკას, რომელმაც უკვე გარკვეული სახე მიიღო საპყრობილიდან მათი ლიდერების განთავისუფლების შემდეგ, დავინახავთ, რომ ნ. რამიხშვილის, ნ. ხომერიკის, ს. ჯიბლაძისა და ი. ჭუმბურიძის განთავისუფლება ციხიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ განსაზღვრულ პირობათა საფუძველზე მომხდარიყო.

მენშევიკები შეუდგნენ აქტიური მონაწილეობის მიღებას ეგრეთწოდებული სათავდაცვო ორგანიზაციების მუშაობაში, სასურსათო ორგანოებში, სხვადასხვა ოპიტეტებში და სხვ.. ისინი, როგორც თავიანთი ტაქტიკის ერთგულნი, ცდილობდნენ მუშათა კლასის ინტერესები ცარიზმისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის დაემორჩილებინათ.

თავიანთ სამარცხვინო მონაწილეობას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში, გაფიცვების ჩაშლას და მტაცებლური ომისათვის აქტიური მხარისდაჭერის სასარგებლო აგიტაციას მენშევიკები ნიღბავდნენ მიკიბულ-მოკიბული რეზოლუციებით, რომლებიც ძლივსღა ჰფარავდნენ მათს ნამდვილ მიზნებს.

„რუსეთის მუშათა კლასი, — აცხადებდნენ ქართველი მენშევიკები რეზოლუციის პროექტში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა მონაწილეობის შესახებ, — მოკლებულია შესაძლებლობას აშკარად დაირაზ-

[1] საარქივო ფონდი № 36, საქმე № 3245. ტფ. საგუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პასტრულინის მოხსენება, ფურც. 89—94.

მოს და ლეგალურ ასპარეზზე დაიცვას თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები... ამიტომ განსაზღვრულ პირობებში დასაშვებია ზემოხსენებული კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა“ [1].

მასების გამოსვლებს შიმშილის ნიადაგზე მენშევიკები „პოგრომული“ ხასიათის გამოსვლებად ნათლავდნენ და მოითხოვდნენ თვითმპყრობელობისაგან უსასტიკესი ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ.

ცნობილია, მაგალითად, რომ დასავლეთ-საქართველოში, სასურსათო სიძნელეთა ნიადაგზე მომხდარ გამოსვლებთან დაკავშირებით, ქუთაისის გუბერნიის სოფლებში, მღვდელი ხუნდაძისა და პოლკოვნიკი მიქელაძის თანხლებით, მოგზაურობდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ცნობილი მენშევიკი, ნ. ჩხეიძე, იმ მიზნით, რომ „თვითნებური გამოსვლების“ ლიკვიდაცია მოეხდინა.

ნ. ჩხეიძემ თავის გამოსვლებში, ლენინის სიტყვით, „ოპორტუნისტული უმსგავსობის“ პოზიცია დაიკავა.

„ბატონ ჩხეიძეს, — სწერს ლენინი 1916 წლის სექტემბრის დამდეგს თავის სტატიაში „ოპორტუნიზმის გამართლების ცდები“, — გამომეღავნებული რევოლუციური „უკმაყოფილება მასებისა“ „გადაჰქონდა“ ლიბერალური ბრძოლის „კალაპოტში“ (მხოლოდ მშვიდობიანი კოოპერატივები, მხოლოდ ლეგალური, გუბერნატორის მიერ მოწონებული ზეგავლენა საქალაქო საბჭოებზე და სხვ.), და არა მიზანშეწონილი რევოლუციური ბრძოლის კალაპოტში...

რევოლუციური სოციალ-დემოკრატი იტყვის: დუქნის დარბევა მიზანშეუწონელია, მოვაწყოთ დემონსტრაცია უფრო სერიოზულად, თუნდაც ბაქოს, ტფილისისა და პიტერის მუშებთან ერთად, ერთსა და იმავე დროს, მივმართოთ ჩვენი შური და მტრობა მთავრობის წინააღმდეგ, მოვიმხროთ ჯარის ის ნაწილი, რომელსაც ზავი სურს. განა ასე ლაპარაკობდა ბ. ჩხეიძე? არა, ის მოუწოდებდა ლიბერალებისათვის მისაღები „ბრძოლისაკენ“ [2].

იცავდნენ რა ლოზუნგს — „ომი საბოლოო გამარჯვებამდე“, მენშევიკები აქტიურად ეხმარებოდნენ მთავრობას ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცთა წინააღმდეგ, რომელთაც არ სურდათ ბრძოლა იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და ცარიზმის სასარგებლოდ.

„სოც.-დემოკრატ. მენშევიკური ფრაქციის წევრი ჩხენკელი და აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში მყოფი სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჩხეიძე, — სწერს 1916 წლის 5 ოქტომბერს ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პასტრულინი პოლიციის დეპარტამენტს, — მოგზაურობდნენ სხვადასხვა დროს ქუთაისის გუბერნიაში და... აგიტა-

---

[1] საარქივო ფონდი № 36, საქმე № 2730, 1915 წ., ფურც. 114—115.

[2] ლენინი. ტ. XIX, გვ. 300 (რუს. გამოც.).

ციას ეწეოდნენ მოსახლეობაში, რომ საჭიროა დეზერტირობასთან ბრძოლა, მათი გამომჟღავნება და პოლიციისათვის გადაცემაო“ [1].

1915 წელს აჭარლების აჯანყების ჩაქრობის დროს მენშევიკებმა თვითმპყრობელობის აგენტების როლი შეასრულეს. მათ დეპუტატ ჩხენკელის მეთაურობით გააჩაღეს აჭარელთა შორის ფართო აგიტაცია „ყველა ქართველისათვის ერთი მთლიანი სამშობლოს“ საჭიროებაზე [2].

თავისი მოქმედებით ქართველმა მენშევიკებმა ხელისუფლების არა მარტო სრული ნდობა, არამედ საკმაოდ აშკარა წახალისებაც კი დიმსახურეს. მათ თავიდან აიცილეს არა მარტო ცარიზმის რეპრესიები, არამედ დევნას გადაარჩინეს აგრეთვე თითქმის ყველა თავისი ხელმძღვანელიც, რომელნიც გაშმაგებით იცავდნენ პრესაში სოციალ-შოვინიზმის „ობორონცულ“ პოზიციას და „მთლიანი და განუყოფელის“ იდეას. კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია სავსებით კმაყოფილი იყო მენშევიკური პარტიისა და მისი ბელადების როლითა და მოქმედებით.

ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ის ატესტატიც, რომელიც მისცა მენშევიკებს მეფისნაცვლის თანაშემწემ სამოქალაქო ნაწილში — პეტერსონმა:

„ამჟამად, — სწერდა პეტერსონი, — სრულიად არ არის საჭირო, რომ ამ პარტიის წევრთა წინააღმდეგ მიღებულ იქნას რაიმე რეპრესიული ზომები“ [3].

ომის დროს ცარიზმს კვერს უკრავდნენ სხვა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიებიც, რომლებიც მოქმედებდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე. ჟანდარმთა პოლკოვნიკი პასტრულინი თავის ანგარიშში დაშნაკცუტუნის, ჰინჩაკისტებისა და სოციალ-ფედერალისტების მოღვაწეობის შესახებ სწერდა:

„ამ რევოლუციური ორგანიზაციების მოქმედებაში... და საზოგადოებრივ განწყობილებაში საზოგადოებრივი წესიერებისა და სახელმწიფოებრივი მშვიდობიანობისათვის სახიფათო არაფერია“ [4].

V

ერთადერთი პარტია, რომელიც ომის წლებში თანამიმდევრულად იცავდა რევოლუციურ-ინტერნაციონალურ პოზიციას, რომელიც არ ჰყრიდა იარაღს

---

[1] ამოღებულია ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ პასტრულინის მოხსენებიდან პოლიციის დეპარტამენტში 1916 წ. 5 ოქტომბრის თარიღით.

[2] საბჭოთა დიდი ენციკლოპედია, ტომი XIX, გვ. 583.

[3] საარქ. ფონდი № 63, საქმე № 2748, ფ. 41.

[4] საარქ. ფონდი № 63, საქმე № 3464.

ცარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბოლშევიკების ლენინური პარტია იყო.

მხოლოდ ბოლშევიკები ასწავლიდნენ მასებს:

„შეეგნოთ თავიანთი ნამდვილი პოლიტიკური ინტერესები, ებრძოლნათ სოციალიზმისა და რევოლუციისათვის იმპერიალისტური ომებისა და იმპერიალისტური დროებითი ზავების ყველა ხანგრძლივი და სულის შემხუთავი ნაშთების დაძლევის გზით“ (ლენინი).

მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტური ომის წინა წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა უდიდესი რეპრესიები და დარბევა განიცადეს ცარიზმის მხრივ, მათ მაინც შესძლეს არალეგალური ორგანიზაციებისა და ყველაზე მტკიცე კადრების შენარჩუნება ისე, რომ ერთი წუთითაც კი არ შეუჩერებიათ ბრძოლა ბოლშევიკური პარტიულობისათვის და ამზადებდნენ მასებს რევოლუციური მოძრაობის ახალი აზვირთებისათვის.

იმ დროს, როდესაც მენშევიკები ომის დაწყებიდანვე ობორონცობას ქადაგებდნენ და ცარიზმს უთანხმდებოდნენ, ბოლშევიკები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის აუცილებლობის რევოლუციურ თეორიას იცავდნენ. ბოლშევიკები ემხრობოდნენ ცარიზმის დამარცხებას ომში და დაძმობილების პოლიტიკას ატარებდნენ ფრონტზე. ბოლშევიკები ასწავლიდნენ მუშათა კლასსა და გლეხობას, რომ ერთადერთ სამღვთო და სამართლიან ომს წარმოადგენს მხოლოდ მუშათა კლასის ომი მისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, მისი კლასობრივი მტრის, ე. ი. კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ტყუილად კი არ სწერდნენ მეფის ჟანდარმები თავიანთ უფროსებს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესახებ:

„ეს ორგანიზაციები ატარებენ „პორაჟენცული“ სახელწოდებით ცნობილ შეხედულებებს, რომელიც გულისხმობს პროპაგანდის წარმოებას მოსახლეობაში იმის შესახებ, რომ საჭიროა დამარცხდეს რუსეთი, დაუყოვნებლივ შესწყდეს ომი და დადებულ იქნას სამარცხვინო ზავი, რათა ამით გაადვილდეს რევოლუციის სწრაფად მოხდენა და რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დაწესება. მენშევიკების მიერ იმ კონფერენციის[1] მოწვევასთან ერთად, რომელიც ჩვენ ზევით ვახსენეთ, ამ ორგანიზაციებმა მოაწყვეს თავიანთი თათბირი, სადაც გამოიტანეს ლენინის საპროგრამო მოთხოვნათა მსგავსი მთელი რიგი დადგენილებანი“.

იმპერიალისტური ომის დროს ყველაზე უფრო ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაციები ამიერკავკასიაში იყვნენ ბაქოში, ტფილისში, ჭიათურასა და ქუთაისში, ხოლო სასოფლო ადგილთა შორის — გურიაში, სადაც ბოლშევიკების მნიშვნელოვანი კადრები არსებობდნენ.

მიუხედავად მუშაობის წარმოუდგენლად ძნელი პირობებისა, ბოლშევიკებმა მოაწყვეს საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პარტიის უმნიშვნელოვანესი

---

[1] იგულისხმება მენშევიკების კონფერენცია ახალსენაკში 1915 წ. 17 (4) ოქტომბერს.

დოკუმენტები, საპირველმაისო პროკლამაციები, ციმმერვალდის მემარცხენე კონფერენციის მანიფესტი და რეზოლუციები და სხვ.

ბოლშევიკები მუშათა და ჯარისკაცთა შორის ავრცელებდნენ რევოლუციურ დოკუმენტებს და უშუალო მუშაობას აწარმოებდნენ მასებში პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებით. მათ სერიოზული მუშაობა გააჩაღეს ამიერკავკასიის მშრომელი მასების გასანთავისუფლებლად ობორონცული და შოვინისტური გავლენისაგან და გამოამჟღავნეს გაბატონებული კლასებისა და წვრილბურჟუაზიული პარტიების გამცემლური პოლიტიკა.

მიუხედავად ცარიზმის დევნისა, ობორონცული პარტიების ცილისწამებისა და თავდასხმისა, ბოლშევიკებმა მაინც დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს, რის მეოხებითაც მათ თვით ომიანობის დროის პირობებშიაც კი შესძლეს მოეწყოთ 1915 წლის შემოდგომაზე ქ. ბაქოში კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირი. ამ თათბირს, რომელმაც პარტიული კონფერენციის ხასიათი მიიღო და რომელსაც ს. შაუმიანი ხელმძღვანელობდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თათბირი პარტიის მუშაობის ყველა მნიშვნელოვან საკითხს შეეხო; ამ თათბირზე არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ორგანო — „კავკასიის ბოლშევიკური ბიურო“.

ბოლშევიკებმა ენერგიული ბრძოლა ჩაატარეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა მონაწილეობის წინააღმდეგ და დარაზმეს მუშათა მნიშვნელოვანი მასები ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო. ტფილისის ბოლშევიკური ბიუროს ასეთი მუშაობა აღნიშნა აგრეთვე ჟანდარმთა სამმართველომაც, რომელიც სწერდა, რომ ბიუროს დავალებით პროპაგანდა სწარმოებდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშა-ამრჩეველთა შორის არჩევნების ჩაშლისათვის, რაც ბიურომ ფაქტიურად კიდეც განახორციელაო [1].

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების არჩევნების წინადღით ქ. ბაქოში მოხდა 28 ჩხრეკა და დაპატიმრებულ იქნა 13 ბოლშევიკი, როგორც

> „მუშათა ელემენტების ამღელვებელნი პარტიული მიზნებით და უშუალო მონაწილეობის მიმღებნი საპირველმაისო მოწოდებებისა და აგრეთვე ციმმერვალდის ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენციის რეზოლუციების გავრცელებაში“ [2].

ბოლშევიკური პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელიც საერთო-პოლიტიკური კრიზისის დროს რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა მასებში და მეთაურობდა რევოლუციური მოძრაობის დასახულ აღმავლობას.

სტიქიურად დაწყებული ბრძოლა ბოლშევიკებს პროლეტარიატის შეგნებული კლასობრივი ბრძოლის ხაზზე გადაჰყავდათ. ბაქოში, ტფილისში, ქიათურასა და სხვა ადგილებში ბოლშევიკები ყოველდღიურ შეუპოვარ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ამას მოწმობს უამრავი პარტიული დოკუმენტი. ამას მოწმობენ აგრეთვე

---

[1] საარქივო საქმე № 3386.

[2] იქვე.

ჟანდარმთა მოხსენებებიც; ასე, მაგალითად, „1916 წლის პირველი თვეების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვაში“, რომელიც შედგენილია ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ, ნათქვამია:

„ამა წლის იანვარ-თებერვალში ტფილისში გაიმართა მთელი რიგი ბოლშევიკური კრებები, რომლებზედაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება ფართოდ ჩაებათ მუშათა წრეები ორგანიზაციაში და ყოველმხრივ ჩაეგონებინათ ფაბრიკა-ქარხნების მუშათათვის ორგანიზაციაში შესვლის აუცილებლობა, რადგან ბოლშევიკური ორგანიზაცია — ეს ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც სწორად აშუქებს მიმდინარე მომენტის საკითხებს მარქსისტული თვალსაზრისით“[1].

იმავე აგენტურული ცნობებით, ბოლშევიკებმა 1915 და 1916 წლების განმავლობაში ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში მოახერხეს მუშათა მასობრივი არალეგალური კრებების მოწყობა, სადაც აგიტაციას ეწევოდნენ არსებული წყობილებისა და ომის წინააღმდეგ. მოუწოდებდნენ ამ კრებების მონაწილეებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ 1-ლი და მე-2 ხარისხის მოლაშქრეთა ომში გაყვანისათვის.

ამავე დროს ბოლშევიკური ორგანიზაციები იქრებოდნენ ზურგისა და ფრონტის სამხედრო ნაწილებში. მაგალითად, ირანში[2] იმ სამხედრო ნაწილებში, რომელთაც ხოის, დალმანის, შერეფხანისა და ურმიის პროვინციები ეკავათ, მთელი რიგი ბოლშევიკები მუშაობდნენ. აქვე არსებობდნენ პარტიული უჯრედებიც და მოწყობილი იყო სისტემატური კავშირი ტფილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა საფრონტო უჯრედებს, აწვდიდა მათ ლიტერატურას და სხვ.

დიდი გავლენა ჰქონდათ ბოლშევიკებს აგრეთვე ჩრდილოეთ-ირანში დაბანაკებული ჯარის ნაწილებშიაც. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დილმანში შემდგარი ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მეტწილად ბოლშევიკური იყო. დიდი გავლენა მოიპოვეს ბოლშევიკებმა შერეფხანეში დაარსებულ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოშიაც. გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებდნენ ბოლშევიკები აგრეთვე თურქეთის ფრონტზე, არზრუმის რაიონში.

ომის დროს ამიერკავკასიის გაბატონებული კლასები მთელი ძალღონით აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს თურქებსა, სომხებსა და ქართველებს შორის და ამით ცდილობდნენ შეენელებინათ ხალხთა მასების ყურადღება რევოლუციისადმი. სომხის ბურჟუაზია, რომელიც უსაზღვროდ მდიდრდებოდა ომის დროს განუზომელი მოგებითა და თავშეუკავებელი სპეკულაციით, კავკასიის ნამესტნიკის ვორონცოვ-დაშკოვის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. მადლობის ნიშნად სომხის ბურჟუაზია ჯვარს ეცმოდა ტახტისა და სამშობლოს ერთგულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ზრუნავდა და ერთგუ-

[1] არქივი, საქმე № 3235.

[2] სპარსეთს ამჟამად ირანი ეწოდება.

ლების დამტკიცებას ცდილობდა სომხის ბურჟუაზიის მსახური — „დაშნაკცუტუნის“ პარტია.

ამავე დროს,

„ქართველი და მაჰმადიანი თავადაზნაურობა, რომელიც კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა პირველი ლაქიების როლს იყო შეჩვეული, ვერ შერიგებოდა სომხის ბურჟუაზიის უპირატესულ გავლენას მეფისნაცვალზე და, დაუკავშირდა რა ერთმანეთს, ცდილობდა სახელი გაეტეხნა სომხებისათვის“.

ამასთან,

„მაჰმადიანი ბეგებიც, ზურგგამაგრებულნი კაპიტალისტების მიერ, და ქართველი თავადაზნაურობაც, რომელთაც მხარს უჭერდნენ წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები, ცდილობდნენ სომხის ბურჟუაზიის მსგავსად... თავის კლასობრივ პოლიტიკასა და ქიშპობაში ჩაეთრევინათ ხალხთა მასები და გაეღვივებინათ ქართველ ხალხში მტრობა და ღვარძლი მთელი სომხის ხალხისადმი“ [1].

ბოლშევიკური ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ პროლეტარულ-ინტერნაციონალურ პოზიციებს და გაბედულად ამხილებდნენ გაბატონებული კლასების ამ პოლიტიკას.

ბოლშევიკები ომის წლებშიაც უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ნაციონალურ საკითხს ამიერკავკასიაში და ისეთ პროგრამას იცავდნენ, რომელიც ძირშივე მოსპობდა საუკუნოებრივი ნაციონალური ჩაგვრის საფუძვლებს. ნაციონალური საკითხი სპეციალურად განხილულ იქნა 1915 წელს კავკასიის ორგანიზაციების კონფერენციაზე, რომელმაც სათანადო რეზოლუცია მიიღო. ხელმძღვანელობდნენ რა ლენინურ-სტალინური მოძღვრებით ნაციონალურ საკითხში, ბოლშევიკები იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპს და აბამდნენ მასებს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ.

„რუსეთის პროლეტარიატს, — სწერდა ლენინი 1915 წელს, — არ შეუძლია ხალხის სათავეში იყოს და ძლევამოსილი დემოკრატიული რევოლუციისაკენ მიდიოდეს (ეს არის მისი უახლოესი ამოცანა), ...თუ კი ახლავე, სრულად და „rückhaltlos“ (უყოყმანოდ) არ მოითხოვს ცარიზმის მიერ დაჩაგრული ყველა ერის რუსეთისაგან გამოყოფის თავისუფლებას. ჩვენ მოვითხოვთ ამას არა დამოუკიდებლად ჩვენი რევოლუციური ბრძოლისაგან სოციალიზმისათვის, არამედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ბრძოლა ცარიელ სიტყვად დარჩება, თუ არ დავუკავშირებთ მას ყველა დემოკრატიული საკითხისა და მათ შორის ეროვნული საკითხის რევოლუციურ დაყენებას. ჩვენ მოვითხოვთ დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის თავისუფლებას, ე. ი. დამოუკიდებლობას, ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ჩვენ ვოცნებობდეთ სამეურნეო დანაწილებაზე ან წვრილ სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ, პირიქით, ამას მოვითხოვთ იმიტომ, რომ

[1] იხ. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის 1915 წლის თებერვლის რეზოლუცია — კავკასიის ერთა ურთიერთობის შესახებ.

ჩვენ გვსურს მსხვილი სახელმწიფოები, ერთა დაახლოება და თვით შეერთებაც კი, მაგრამ ნამდვილ დემოკრატიულ, ნამდვილ ინტერნაციონალისტურ ბაზისზე, რაც გამოყოფის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. როგორც მარქსი მოითხოვდა 1869 წელს ირლანდიის გამოყოფას არა დანაწილების, არამედ ირლანდიისა და ინგლისის შემდგომი თავისუფალი კავშირის მიზნით, არა „ირლანდიისადმი სამართლიანობისათვის", არამედ ინგლისის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ინტერესისათვის, ისე ჩვენც დემოკრატიის, ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის წინაშე პირდაპირ ღალატად მიგვაჩნია უარყოფა რუსეთის სოციალისტების მიერ ერთა თვითგამორკვევის თავისუფლების მოთხოვნისა, ჩვენ მიერ აღნიშნული აზრით"[1].

ნაციონალური საკითხის არასწორად დაყენების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შეურიგებელი ბრძოლის წარმოება უხდებოდათ ყველა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან და უწინარეს ყოვლისა კი მენშევიკებთან, რომლებიც უარყოფდნენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ მნიშვნელობას და იცავდნენ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პრინციპს.

„პარტიული არალეგალური მუშაობა, — აღნიშნავდა „სოციალ-დემოკრატი", — ძლიერ იზრდება კავკასიის ყველა ადგილებში. მოძრაობა იქმნება და მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტების ლოზუნგებითო.

ფედერალისტებს განსაკუთრებით არ მოსწონთ ბოლშევიკური მიმდინარეობა კავკასიის სოციალდემოკრატიაში და ისინი სასტიკად ესხმიან თავს, სწორედ ამ მიმდინარეობას. სოციალ-პატრიოტი „ანიც"[2] ეკამათება ბოლშევიკებს ლეგალურ პრესაში. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, ბოლშევიკური მიმდინარეობა საგრძნობლად იზრდება კავკასიაში. ისეთი დიდი სამრეწველო ცენტრები, როგორიც ბაქო და გროზნაა, მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური მიმდინარეობის ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებიან.

ტფილისში და რამდენიმე სხვა პუნქტშიაც ბოლშევიკები საკმაო გავლენით სარგებლობენ. მოწყობილია არალეგალური სტამბა. იბეჭდება ფურცლები და მოწოდებები"[3].

ვინაიდან ბოლშევიკური პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელიც მეთაურობას უწევდა რევოლუციურ მოძრაობას და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, სავსებით გასაგებია, თუ რატომ დარაზმა ცარიზმმა თავისი ძალები ბოლშევიზმის წინააღმდეგ როგორც რუსეთის ცენტრში, ისე ამიერკავკასიაში. რადგან პროვოკატორებმა მოახერხეს შემძვრა-

---

[1] ლენინი. ტ. XVIII, გვ. 399—400.
[2] ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი.
[3] „სოციალ-დემოკრატი" № 5, 1916 წ.

ლიყვნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებში, გახშირდა ცალკეული ორგანიზაციების ჩავარდნა და ყველაზე უფრო აქტიურ მუშაკთა დაპატიმრება. 1916 წლის 30 (17) აგვისტოს, ღამით, დაპატიმრებულ იქნა ბოლშევიკური ორგანიზაციის ტფილისის კომიტეტის მთელი პარტიული ხელმძღვანელი აქტივი. ამ დაპატიმრების უმთავრესი მიზეზი, როგორც ჟანდარმთა მოხსენება იუწყებოდა, ის იყო, რომ არ დაეშვათ კავკასიის ბოლშევიკური ბიუროს სახელით ისეთი ფურცლების გამოშვება და გავრცელება, სადაც მოთხოვნილი იქნებოდა ზავის დაუყოვნებლივ შეკვრა. ოხრანკამ მოახერხა შეევიწროებინა ამიერკავკასიის დანარჩენი ბოლშევიკური ორგანიზაციებიც. მაგრამ ამით იმ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის შეჩერება, რომელსაც ბოლშევიკები მეთაურობდნენ, მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა.

1917 წლის იანვარსა და თებერვალში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განუწყვეტლივ აცხადებენ გაფიცვებს ბაქოს სარეწაოების მუშები. საპოლიციო ხელისუფლებას უკვე შეუძლებელი იყო მხედველობიდან გასცდენოდა გაშლილი ბრძოლის პოლიტიკური ხასიათი.

მეფისნაცვლის თანაშემწე, სამოქალაქო ნაწილში გენ.-ლეიტენანტი ორლოვი ბაქოში 30 (17) იანვარს მომხდარი გაფიცვის შესახებ სწერდა:

„16 იანვარს, ღამით, ბაქოში, კრებაზე დააპატიმრეს 25 მუშა... 17 იანვარს, საღამოთი, გაიფიცნენ ნობელის ქარხნის მუშები, ხოლო მეორე დღეს გაფიცვას მიემხრნენ დანარჩენი სარეწაოების მუშებიც. 20 იანვარს გაფიცულთა რიცხვი 7 ათას კაცს აღემატებოდა.

გაფიცულები მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას, რაზედაც მათ უარი ეთქვათ. დაპატიმრებულთა დანაშაულის გამოსარკვევი კვლევა-ძიების მოხდენის შემდეგ, საჩქაროდ განთავისუფლებულ იქნა 14 კაცი...[1] ბაქოს ჟანდარმთა ზედამხედველობას მიღებული აქვს ცნობები, რომ შესაძლებელია გაფიცვის განახლება, რომ იგი საყოველთაო გაფიცვად გადაიქცევა და წარდგენილი იქნება პოლიტიკურ-ეკონომიური მოთხოვნები“ [2].

30 (17) იანვრის გაფიცვის შემდეგ სამხედრო ცენზურამ დაიჭირა ბალახანის ერთი მუშის წერილი, რომელსაც იგი თავის მშობლებს უგზავნიდა ტფილისში. ეს წერილი ოხრანკის დაკვირვებებზე გაცილებით უფრო ნათლად გადმოგვცემს მუშათა განწყობილებას 30 (17) იანვრის გაფიცვის დროს და გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიის მუშათა მოწინავე რაზმები ფეხდაფეხ მისდევდნენ პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტარულ ავანგარდს.

„...უკვე სამი დღეა, რაც გაფიცული ვართ,— იწერება მუშა, — არ ვიცით, როდის შეუდგებით მუშაობას, გაფიცვა დაიწყო 30 (17) იანვარს.

---

[1] სხვათა შორის, დაპატიმრებულთა შესახებ ორლოვმა ბაქოში გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „სასურველია 25 დაპატიმრებულის საქმის გამოძიების დაჩქარება, მაგრამ ყველას განთავისუფლება შეუძლებელია, რომ ამით არ დაეცეს ხელისუფლების პრესტიჟი“... (საარქივო ფონდი № 63, საქმე № 3736).

[2] „1917 წლის რევოლუცია“. ცენტრ. არქივის დოკუმენტ. კრებული, გვ. 10.

აგიწერთ, რამ გამოიწვია იგი: საბუნჩაში გაიმართა საიდუმლო კრება, რომელზედაც ჩვენი ამხანაგები ლაპარაკობდნენ სიძვირეზე და იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ ჩვენს გაჭირვებას. და აი, დააპატიმრეს ისინი ამისათვის. ჩვენ ყველას გული ბოღმით აგვევსო, რომ ასე გვექცევიან. რამდენი სისხლი დაიღვარა და რამდენი კიდევ იღვრება, მაგრამ, რა გამოვიდა. ახლა ჩვენ აღარ შეგვფერის ძილი, თორემ ჩვენს წინაშე მაგარი რამ კედელი იმართება და მის გარღვევას ველარ შევძლებთ. ეჰ, სხვასაც მოგწერდი... არა, ეს ჩვენ არ გვაშინებს. პოლიცია და ყაზახები არ გვცილდებიან. სადაც გაიხედავ, ყველგან მათრახებია,— ეჰ, შენც კარგად იცი“ [1].

რევოლუციის ზრდასა და მის აუცილებლობაზე სწერდა თავის წერილში 1916 წლის 26 დეკემბრის თარიღით ბაქოს ორგანიზაციის ერთერთი აქტიური წევრი — გიორგი სტურუა [2].

„ჩემი რწმენა ისეთია, რომ დღევანდელ კრიზისში ბაქოს პროლეტარიატმა უდიდესი როლი უნდა ითამაშოს.

ეკონომიურმა ჩაგვრამ, ერთის მხრით, სიძვირესთან, ხოლო მეორე მხრით, ექსპლოატაციასთან დაკავშირებით, ყოველგვარი საზღვარი გადალახა.

დიდ ქარხნებში ხდება ხშირი გაფიცვები... თუ მოხერხდა ბაქოს პროლეტარიატის დარაზმვა და 1914 წლის მსგავსად საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, — მთელი რუსეთი შეინძრევა და ბაქოელებს გაჰყვება პიტერი, მოსკოვი, ერთი სიტყვით, ის ცენტრები, სადაც ადგილი აქვს მღელვარებას. რევოლუცია თვითონ აკაკუნებს კარებს“ [3].

გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებდნენ ბოლშევიკები აგრეთვე სოფლის გლეხობაშიაც. 1917 წლის წინადღით ნამდვილი სარევოლუციო სიტუაცია შეიქმნა სოფლადაც.

ამ გარემოების დაფარვა არც მეფის პოლიციას შეეძლო.

„როგორც, საერთოდ, თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, — სწერს ქუთაისის გუბერნატორი,— და აგრეთვე, როგორც ჩვენი პირადი მოხსენებებიდანაც იცით, სოციალდემოკრატიული მოძღვრების იდეებისა და ამოცანების თანამგრძნობი უფრო გურიის მოსახლეობაა, რაც დამტკიცდა აგრეთვე ჯერ კიდევ 1905 წლის სახალხო მოძრაობის დროს... გურულ გლეხებში „მღელვარება“ დაიწყო, ისინი უარს ამბობენ მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, ყოველდღე აწყობენ არალეგალურ მიტინგებს, ხოლო აგიტატორები აგიტაციის საშუალებით აღელვებენ და ამხედრებენ მცხოვრებთ მთავრობისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ“ [4].

---

[1] „1917 წლის რევოლუცია“, გვ. 10.

[2] გ. სტურუა 1916 წ. შემოდგომაზე ციმბირიდან გამოიქცა და არალეგალურად მუშაობდა ბაქოში. 1917 წლის იანვრის გაფიცვის ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის გ. სტურუა ისევ დაუპატიმრეს და ბაქოდან გადაასახლეს.

[3] მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის არქივიდან.

[4] საარქივო ფონდი № 63, საქმე № 2748, ფ. 39.

ქუთაისის გუბერნატორის მეორე მოხსენებაში კვლავ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გურიის რევოლუციური ორგანიზაციის წევრები

„გაძლიერებულ პროპაგანდას აწარმოებენ და ხალხს რევოლუციური აჯანყებისათვის ამზადებენ; ამასთან, ხმას ავრცელებენ, რომ რუსეთში რევოლუცია ახლოვდება, რის გამოც ყველგან საყოველთაო პროპაგანდა სწარმოებს ხალხშიაც და ჯარშიაც“ [1].

1916 წლის ზაფხულში მეფისნაცვლის თანაშემწემ გენ.-ლეიტენანტმა ორლოვმა დაუგზავნა ადგილებს ცირკულიარი, რომელშიაც სწერდა:

„...ამ უკანასკნელ დროს მთელს რუსეთში (და ამიერკავკასიაშიაც.— გ. ხ.) ადგილი ჰქონდა ხალხის აჯანყებებს, რომლებიც ზოგიერთ ადგილას ხანგრძლივ ხასიათს იღებს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მომავალში მოსალოდნელი არეულობების შემთხვევისათვის, ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით, წინდაწინვე გამომუშავებულ იქნას ზომები ამ არეულობათა თავიდან ასაცილებლად და ჩასაქრობად როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საჭიროა აგრეთვე შემუშავებულ იქნას ჯარისა და საპოლიციო რაზმების განაწილებისა და გამოწვევის გეგმა და შედგენილ იქნას ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საოლქო და სამაზრო პოლიციამ ცალკეულად და სამოქალაქო ხელისუფლების დასახმარებლად გამოწვეულ ჯარის ნაწილებთან ერთად“ [2].

„...რევოლუციისათვის არ კმარა,— სწერდა ლენინი,— რომ გაყვლეფილმა და დაჩაგრულმა მასებმა შეიგნონ ძველებურად ცხოვრების შეუძლებლობა და მოითხოვონ მისი შეცვლა; რევოლუციისათვის საჭიროა, რომ ექსპლოატატორებს აღარ შეეძლოთ ძველებურად ცხოვრება და მართვა-გამგებლობა. რევოლუცია მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, როცა „ქვედა ფენებს“ აღარ სურთ ძველი და როცა „ზედა ფენებს“ აღარ შეუძლიათ ძველებურად“ [3] (კურსივი ჩვენია.—გ. ხ.).

1917 წლის წინადღით ამიერკავკასიაშიაც ისევე, როგორც ყოფილი მეფის რუსეთის მთელს ტერიტორიაზე, ხდებოდა რევოლუციური სიტუაციის გადაზრდა რევოლუციად. „ქვედა ფენებს“ არ სურდა ძველებურად ცხოვრება, ხოლო „ზედა ფენებს“ უკვე აღარ შეეძლოთ მართვა-გამგებლობა ძველებურად. მოძრაობას მეთაურობდნენ ამიერკავკასიის რევოლუციური მუშები — რუსეთის გმირი პროლეტარიატის ეს ერთერთი რაზმი, რომელსაც „შეეძლო ჩაგვრის პასიური მდგომარეობის გარდაქმნა აღშფოთებისა და აჯანყების აქტიურ მდგომარეობად“ (ლენინი).

---

[1] საარქივო ფონდი, საქმე № 3236, „გლეხთა მასებში რევოლუციური პროპაგანდის თავიდან აცილების შესახებ“.

[2] საარქივო ფონდი, საქმე № 1632.

[3] ლ ე ნ ი ნ ი. ტ. XXV, გვ. 260.

მ უ შ ა თ ა

მოძრაობა 1917 წელს

I

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქართველი მენშევიკები თავიანთ რუს მოძმეებთან ერთად ლიკვიდატორობის გზას დაადგნენ. ქართველი მენშევიკების ბელადმა ნ. ჟორდანიამ აშკარად განაცხადა: პროლეტარიატმა ხელი უნდა აიღოს დემოკრატიული რესპუბლიკის, 8-საათიანი სამუშაო დღისა და სხვ. მოთხოვნებზე და ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოლოს „ზომიერი კონსტიტუციისათვისო". ამიტომ მენშევიკები შეუდგნენ ისეთი „ლეგალური პარტიის" შექმნას, რომელიც მისაღები იქნებოდა სტოლიპინის რეჟიმისთვისაც.

ახასიათებდა რა ქართველი მენშევიკების გამცემლურ პოზიციას, ამხანაგი სტალინი 1909 წელს თავის ცნობილ „წერილში კავკასიიდან" სწერდა:

> „...ტფილისელი მენშევიკების ახალი ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციის მიერ დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას, იმ ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს, რომ პროლეტარიატი ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად გადაიქცეს" [1].

იმპერიალისტური ომის დროს მენშევიკები „სამშობლოს დაცვის" საკითხში იდგნენ ბურჟუაზიასთან მჭიდრო თანამშრომლობის პოზიციაზე, ობორონცული იდეებით სწამლავდნენ მუშათა მასების შეგნებას, მონაწილეობას ღებულობდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და ყოველმხრივ ებრძოდნენ გაფიცვებსა და პოლიტიკურ დემონსტრაციებს.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რეაქციისა და იმპერიალისტური ომის პერიოდში, მაშინ, როდესაც რევოლუციურ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მეფის პოლიცია და ოხრანკა დაუნდობლად ანადგურებდნენ, მენშევიკები თავისუფლად განაგრძობდნენ თავიანთ მოღვაწეობას ლეგალური არსებობის პირობებში და ინარჩუნებდნენ თავიანთ კადრებს და პარტიულ აპარატს.

მენშევიკებს არც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ უღალატნიათ თავისი თეორიისათვის, ისინი ბურჟუაზიას კვლავ რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად სთვლიდნენ და უარყოფდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდის შესაძლებლობას.

მენშევიზმმა თავისი თვალსაჩინო ლიდერის ნ. რამიშვილის—ამ ქართვე-

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი. „წერილი კავკასიიდან", გვ. 15, საქ. სახელგამი, ტფილისი, 1932 წ.

ლი ნოსკეს პირით, რომელმაც შემდეგ სისხლში ჩაახშო პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობა, განაცხადა, რომ მეფის ბურჟუაზიულ-მემამულური IV სათათბირო „ცარიზმის დამხობისა და რევოლუციის მოახლოების ორგანოდ გადაიქცეაო“.

„თებერვლის რევოლუცია, — ამტკიცებდა ნ. ჟორდანია, — წარმოიშვა არა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი წინააღმდეგობიდან, არა ორგანიზებულ შრომასა და სახელმწიფოებრივ შრომას და გაბატონებულ კაპიტალს შორის ბრძოლიდან, არამედ, პირიქით, ის აღმოცენდა მმართველობის პოლიციურ ფორმასა და სამრეწველო განვითარების მოთხოვნილებას შორის წინააღმდეგობათა შედეგად, ახალი ეკონომიური და საზოგადოებრივი მოძრაობისა და მმართველობის თვითმპყრობელური მეთოდების ურთიერთ ბრძოლის შედეგად... ძველი წყობილება დამხობილ იქნა ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების მიერ. რევოლუციაში მონაწილეობა მიიღეს ყველა კლასებმა, დაწყებული მემარჯვენე ბურჟუაზიიდან“ [1].

მენშევიკები თავიანთი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე უბოროტესი მტრები იყვნენ მარქსისა და ლენინის მოძღვრებისა — პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური რევოლუციის შესახებ; ისინი ლიბერალური რეფორმატორების ერთსა და იმავე საბუთებს იმეორებდნენ და ცდილობდნენ მოერიგებინათ მუშათა კლასი კაპიტალისტურ წყობილებასთან. თავიანთ მთავარ ამოცანას ისინი იმაში ხედავდნენ, რომ დაეცვათ „კლასებისა და სოციალური ფენების ერთიანობა“ და ფიქრობდნენ, რომ:

„ყველა გადაუდებელი საკითხები ეკონომიური, კლასობრივი და ნაციონალური ხასიათისა, როგორც, მაგალითად, სამუშაო დღის შემოკლება, ხელფასის გადიდება, ტყითა და საძოვრებით სარგებლობა და სხვ., აგრეთვე ნაციონალური სკოლებისა და ეკლესიების გახსნა, კომისრების დანიშვნა ნაციონალური ნიშნის მიხედვით და სხვ. უნდა გადაპრილიყო დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმებით, შემარიგებელი კამერების საშუალებით“[2].

ამნაირად, მენშევიკების იდეოლოგების აზრით, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დღეების შემდეგ ერთგვარი, კლასობრივი ჰარმონია უნდა დამყარებულიყო, სასწაულმომქმედ „შემარიგებელ კამერებს“ უნდა გადაეჭრა ყველა სადაო საკითხები გამყვლეფელ და გაყვლეფილ კლასებს შორის. კლასების ბრძოლა დღის წესრიგიდან იხსნება, რადგან ის „ზედმეტი“ ხდება. მენშევიკების ეს გამცემლური ტაქტიკა არსებითად იმის ცდას წარმოადგენდა, რომ შიგნიდან გაეხრწნათ მუშათა კლასი ისე, რომ მას ხელისუფლების დაპყრობა არ შესძლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თებერვლის რევოლუცია ქართველი მენშევიკებისათვის მოულოდნელი იყო. რევოლუციის მომწიფების საერთო პროცესმა, რომელიც აშკარა იყო აგრეთვე ამიერკავკასიაშიაც 1917 წლის წინადღით, მათთვის

---

[1] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ბროშურა „ბოლშევიზმი“.

[2] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. „ორი წლის მანძილზე“, სტატიები და სიტყვები, გვ. 8.



მეფის ნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვთან საადარბაზოდ მისული
ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი.

შეუმჩნევლად ჩაიარა. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დაბნეულობა, რომელმაც მენშევიკების ლიდერები მოიცვა პირველ ხანებში, როცა მათ სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქციის თავმჯდომარის ნ. ჩხეიძისაგან მიიღეს კონსპირატიული დეპეშა: „მთავრობაძე[1] გარდაიცვალა, აცნობეთ მის ნათესავთ და ნაცნობებსო“.

რაკი მენშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ თვითმპყრობელობა სამუდამოდ დაეცა, რაკი მათ ჯერ კიდევ ეშინოდათ, არ მომხდა-

[1] მთავრობაძე — მთავრობა.

რიყო რაიმე მოულოდნელი იმ მხრივ, რომ ძველ ხელისუფლებას კვლავ ძალა არ მოეკრიფნა და დროებითი დამარცხებიდან ისევ შეტევაზე არ გადასულიყო, ამიტომ მენშევიკების ბელადებმა ამჯობინეს დიდი საიდუმლოებით შეენახნათ ეს ცნობა და აერჩიათ დაცდის ლაჩრული პოზიცია. ამიტომ მეფისნაცვალმა კავკასიაში და კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარმა სარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვმა, რომელმაც 1915 წლის დასასრულს ვორონცოვ-დაშკოვი შესცვალა, პირველ დღეებში, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, მოახერხა ყოველგვარი რყევისა და წინააღმდეგობის გარეშე მთლიანად და უვნებლად შეენარჩუნებინა ამიერკავკასიაში ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის ძველი აპარატი.

ქართველი მენშევიკების ბელადებმა ნ. ჟორდანიამ და ნ. რამიშვილმა, მიიღეს თუ არა ცნობა თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და რიგს გარეშე აუდიენციაზე წავიდნენ მეფის სატრაპთან, რომ გამოეთქვათ თავიანთი უქვეშევრდომილესი გრძნობები. იმ დროს, როდესაც პეტროგრადში ჯერ კიდევ გრძელდებოდა მუშებისა და ჯარისკაცების გმირული ბრძოლა მეფის ხელისუფლების დამცველებთან, კვლავ მშრომელთა სისხლი იღვრებოდა და რევოლუციის მსხვერპლი მრავლდებოდა. ქართველი მენშევიკები „მამლაყინწურად“ ფართხუნობდნენ და სამარცხვინოდ დახოხავდნენ ტახტიდან ჩამოგდებული იმპერატორის უბრწყინვალესი ბიძის — ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვის წინაშე, ეჩურჩულებოდნენ და ეთათბირებოდნენ ამ სატრაპს და რომანოვების დინასტიის ინტერესების ერთგულ დამცველს თავიანთი შემდგომი მოქმედების შესახებ.

> „...პირადად მე დანიშნული ვარ ახალი მთავრობისაგან ჯარის მთავარსარდლად, — ეუბნებოდა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვი სადარბაზოდ მისულ მენშევიკებს, — მარა ამ ორ-სამ დღეს ვერ მივალ, სანამ აქ მოწესრიგებული არ იქნება ადგილობრივი მთავრობა. აგრეთვე მეტად დაინტერესებული ვარ ომის საქმეში. მტერი უნდა დავამარცხოთ, მე მგონი თქვენც ეს უნდა გინდოდეთ. რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს, ადგილი მექნება. საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოში და ტფილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს, ჩემის აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალდემოკრატია, რომელსაც აქ, კავკასიაში, დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს, რომ ეს აწიც ასე გაგრძელდება“ [1].

ცნობა მეფისნაცვალთან ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის დარბაზობის შესახებ ჩვენ გავიგეთ არა რომელიმე შემთხვევით აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტის საშუალებით; ამ სამარცხვინო ფაქტის შესახებ თვით მენშევიკურმა გაზეთმა „თანამედროვე აზრმა“ აუწყა თავის მკითხველებს.

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 52, 5 მარტი, 1917 წ.

მენშევიკებს იმდენად არ სწამდათ რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების სიმტკიცე, რომ საჯაროდ ახდენდნენ ძველ მთავრობასთან თავიანთი ერთობისა და ამ ხელისუფლებისაგან კეთილსაიმედობის ატესტაციის მიღების დემონსტრაციას.

ამნაირად, იმ დროს, როცა რუსეთის სატახტო ქალაქში რევოლუციურმა მასებმა ძირს დასცეს რომანოვების მონარქია, ამიერკავკასიაში სწორედ მეფისნაცვალი (და არა სხვა ვინმე) თავის მოვალეობად სთვლიდა „მოეგვარებინა საკითხი ხელისუფლების შესახებ". გავლენიანი „სოციალისტური" პარტიის ბელადებმა ჟორდანიამ და რამიშვილმა არამც თუ არ გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, მეფისნაცვლის მიერ დასახული ღონისძიებანი მათ შექნილი მდგომარეობიდან ყველაზე ნორმალურ გამოსავლად მიიჩნიეს.

როგორც ცნობილია, მეფის ძია მაინცადამაინც დიდი ჭკუის პატრონი არ იყო. მიუხედავად ამისა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მან სწორად შეაფასა მენშევიკების როლი. ქართველმა მენშევიკებმა თავიანთი „კონტრრევოლუციური მოღვაწეობით თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ სავსებით დაადასტურეს მეფის სატრაპის სიტყვები.

მენშევიკების ბელადებმა იმდენად დაარწმუნეს ხელისუფლება თაკიანთ ერთგულებაში, რომ 18 (5) მარტს მეფისნაცვლის თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტ ორლოვს სრული საფუძველი ჰქონდა გენერალ-გუბერნატორების, გუბერნატორების, ქალაქთა უფროსებისა და ჟანდარმთა პოლკოვნიკებისათვის დაეგზავნა ცირკულიარული დეპეშა, სადაც ის, სხვათა შორის, სწერდა:

> „კავკასიის მოსახლეობა სრულ სიმშვიდეს იცავს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და თვით სოციალდემოკრატებიც კი გვპირდებიან, რომ მომავალშიაც დაიცავენ წესრიგს მოსახლეობას შორის" [1].

1905 წ. რევოლუციის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ნაციონალურ ბურჟუაზიას უნარი არ შესწევდა მეთაურობა გაეწია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რომ ის პროლეტარიატისა და შეიარაღებული აჯანყების შიშით აშკარად დაადგა რუსეთის გაბატონებულ კლასებთან შეთანხმების გზას და გაერთიანდა მასთან საერთო ბრძოლაში რევოლუციის წინააღმდეგ.

ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო რაიმე სერიოზული კონფლიქტის შესახებ ნაციონალურ ბურჟუაზიასა და ძველ ხელისუფლებას შორის 1917 წელსაც. ტფილისის ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომაზე ქალაქის თავმა ხატისოვმა დიდის ამბით განაცხადა:

> „რაკი სამხარეო ხელისუფლება კომიტეტს (იგულისხმება სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტი) კანონიერ მთავრობად სცნობს და მასა და საზოგადოებას შორის არც არის და არც შეიძლება კოლიზიები იყოს, რაიმე გამოსვლებისა და მანიფესტაციების აუცილებლობაც იხსნებაო" [2].

---

[1] საარქივო ფონდი № 156, საქმე № 1789.

[2] „კავკაზსკოე სლოვო", 4 მარტი, 1917 წ.— ქალაქის თავის ა. ხატისოვის გამოსვლა ქალაქის საბჭოს სხდომაზე.

ქალაქის საბჭოს ხმოსანმა, მენშევიკების ბელადმა ნ. რამიშვილმა თავისი გამოსვლის დროს ქალაქის საბჭოს იმავე სხდომაზე ა. ხატისოვის მიერ წამოყენებულ ფორმულიროვკაში შეიტანა მენშევიკური ტაქტიკისათვის ჩვეული მხოლოდ სანახევრო შესწორება:

„მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ჩვენ ნდობით მოვეპყრათ სამხარეო ხელისუფლებას, როდესაც ის გულწრფელობის სრულ გარანტიას მოგვცემსო“ [1].

ქართველმა მენშევიკებმა თითქოს არ იცოდნენ 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებით, თუ რა ფასი ჰქონდა ძველი ხელისუფლების გარანტიას, როცა იგი რევოლუციური აღმავლობის ჟამს იძულებული იყო წასულიყო დათმობაზე. მათ კარგად იცოდნენ, რომ თვითმპყრობელობა, როცა მან 1905 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ სიმაგრე იგრძნო, მაშინვე შეუდგა თავის მერე გამოცემული შეკვეცილი და უბადრუკი „17 ოქტომბრის მანიფესტისა“ და 1905 წლის 24 (11) დეკემბრის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების საარჩევნო კანონის გაუქმებას.

მიმდინარე მომენტის შესახებ ტფილისის ქალაქის საბჭომ, სადაც მენშევიკებიც მონაწილეობდნენ, ერთხმად გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც დაეკალა ა. ხატისოვს:

„უქვეშევრდომილესად მოეხსენებინა კავკასიის არმიის უკანასკნელი მთავარსარდლისათვის, რომ ქალაქის თვითმართველობა, რომელიც მთელი მოსახლეობის აზრსა და გრძნობებს გამოხატავს და რომელიც ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ მისი იმპერატორობითი უმაღლესობა უდიდეს დახმარებას გაუწევს ახალი წყობილების დამყარებას რუსეთში... სიმშვიდისაკენ მოუწოდებს მოსახლეობას და მას თავის წმინდა ვალად მიაჩნია განაცხადოს, რომ ამ სიწყნარის დაცვის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს ის, რომ არ იქნას დაშვებული არც ერთი მხრით მანიფესტაციები და ქუჩის დემონსტრაციები“ [2].

ამნაირად, ამიერკავკასიაში პირველ ხანებში ხელუხლებელი დარჩა მეფის ხელისუფლების მთელი აპარატი. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ უარი სთქვა მანიფესტის გამოქვეყნებაზე ყოფილი მეფის ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგომის შესახებ იმ საბუთით, რომ მანიფესტი არ იყო გამოქვეყნებული კანონის მიერ გათვალისწინებული წესით [3]. მანვე განაცხადა უარი იმაზე, რომ განკარგულება გაეცა ჟანდარმთა მოხსნის შესახებ რკინიგზის ხაზიდან, იმის შიშით, რომ შეუძლებელი იქნება ჯაშუშობის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება... რადგან ჯაშუშობასთან ბრძოლა მოითხოვს თანამიმდევრულ მუშაობასო [4]. მეფისნაცვლის თანაშემწემ გენერალმა ორლოვმა საიდუმლო ცირკულარი დაუგზავნა ხელისუფლე-

---

[1] „კავკაზსკოე სლოვო“, 17 (4) მარტი, 1917 წ.— ს.-დ. წარმომადგენლის ნ. რამიშვილის გამოსვლა.

[2] ტფილისის ქალაქის გამგეობის ოქმები, 1917 წ.

[3] „1917 წ. რევოლუცია“, გვ. 31, საქ. ცენტრ. არქივის გამ.

[4] იქვე, გვ. 31.

ბის წარმომადგენლებს, რომლითაც წინადადებას აძლევს მათ ყოველგვარი ზომები მიიღონ სიმშვიდისა და გარეგნული წესრიგის დასაცავად და, თუ საჭირო იქნება, იარაღსაც მიმართონ. ამავე ცირკულარში ნათქვამია:

„პეტერბურგში შესდგა დროებითი მთავრობა, სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის სახით, როძიანკოს თავმჯდომარეობით, რომელმაც დაისახა პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი მიზანი — დასძლიოს რევოლუციური მოძრაობა და იქონიოს თავის ხელში ძალაუფლება იმ მომენტამდე, ვიდრე არ იქნება აღდგენილი მთავრობა“ [1]. (როგორც ვხედავთ, სამხარეო ხელისუფლება მშვენივრად გაერკვა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ რაობაში. — გ. ხ.).

ასეთსავე დაცდის პოლიტიკას აწარმოებდა ტფილისის ქალაქის მაშინდელი საბჭოც, რათა პირველი შესაძლებლობისთანავე გადასულიყო შეტევაზე რევოლუციის წინააღმდეგ. ის თანახმა იყო ხელოლოდ დროებით გამოეცვალა აბრა, ხოლო არსებითად ყველაფერი ძველებურად დაეტოვებინა. მაგალითად, 19 (6) მარტს ტფილისის ქალაქის საბჭოში განხილულ იქნა საკითხი პოლიციის მილიციად გარდაქმნის შესახებ, მაგრამ მთელი ეს გარდაქმნა მხოლოდ სახელის გამოცვლას გულისხმობდა.

„ჩვენ ვისარგებლებთ ძველი შტატებით,— გულახდილად განაცხადა ამის შესახებ ა. ხატისოვმა, — ოღონდ იმ „გოროდოვოებს“, რომლებიც უკვე ქალაქის სამსახურში ითვლებიან, ხვალიდან მხრებზე წითელი ნიშანი ექნებათ წარწერით — „ქალაქის ახალი მილიცია“ [2].

ასეთი მდგომარეობა, რა. თქმა უნდა, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რევოლუციის შეჩერება და ძველი წესების დაცვა ამიერკავკასიაში როგორც ამიერკავკასიის ძველი ადმინისტრაციის, ისე მისი დამხმარე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ძალღონეს აღემატებოდა.

მიუხედავად ძველი ხელისუფლებისა და ნაციონალური ბურჟუაზიის მოლაპარაკებისა, იმის შესახებ, რომ არ დაუშვან არავითარი გამოსვლები, ამიერკავკასიას მაინც ფართოდ მოედო რევოლუციის აღსანიშნავი მასობრივი მანიფესტაციები. ყველგან შეუდგნენ ძველი ადმინისტრაციის გაუქმებას. მოეწყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები და სხვ.

მაშინ, როდესაც ბაქოს ქალაქის საბჭომ და ეგრეთწოდებულმა დროებითმა აღმასრულებელმა საბჭომ სასწრაფოდ გამოაცხადეს, რომ მხარს უჭერენ დროებითი ბურჟუაზიულ მთავრობას, ბაქოს პროლეტარიატი თვითმპყრობელობის დამხობისა და დროებითი მთავრობის შექმნის ცნობას საყოველთაო გაფიცვით შეხვდა. მუშები არც ამით დაკმაყოფილდნენ და წარუდგინეს ნავთის სარეწაოების მეპატრონეებს მოთხოვნები მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა

[1] „1917 წლის რევოლუცია“, გვ. 23, საქ. ცენტრ. არქივის გამ.
[2] ქალაქის გამგეობის 1917 წ. 6 მარტის ოქმები.

და საწარმოებიდან წარსული მოქმედებით შებღალული და საძულველი ადმინისტრატორების დაუყოვნებლივ გაძევების შესახებ.

დაწვრილებითი ცნობები პეტერბურგში მომხდარი ამბების შესახებ თანდათანობით ვრცელდებოდა ამიერკავკასიის მეტისმეტად შორეულ კუთხეებში და ამ ცნობებმა რადიოტელეგრაფის, სატახტო გაზეთებისა და სპეციალური რევოლუციური ლიტერატურის საშუალებით თურქეთის ფრონტის უაღრესად შორეულ საბრძოლო პუნქტებს მიაღწია. ჯარში მოძრაობა დაიწყო. ბრძოლა ჯარში რევოლუციური პროპაგანდის განვითარებისა და ფრონტზე ლიტერატურის, მრავლად გავრცელების წინააღმდეგ, როგორც ამას თვით ხელისუფლებაც აღიარებდა, უკვე შეუძლებელი იყო. სამხედრო ხელისუფლება შეშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ 21 (8) მარტს ერევნის გუბერნიაში აჯანყდა მე-25 მსროლელი პოლკი, ხოლო 20 (7) მარტს — ყარსის ციხე-სიმაგრის გარნიზონი, რომელმაც სცნო აღმასრულებელი კომიტეტის ხელისუფლება, დააპატიმრა ციხის კომენდანტი ლინდენბაუმი, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი სოლომონოვი, ქალაქის კომენდანტი ბრიუკოვეცკი, ბრიგადის მეთაური შუხოვი, გუბერნატორი სუშინსკი, ვიცე-გუბერნატორი შმერლინგი და გარნიზონის სხვა ოფიცრები [1].

დროებითი მთავრობის დადგენილებით, მეფისნაცვლის მაგივრად, „იმ მიზნით, რომ სასწრაფოდ დამყარებულიყო წესრიგი და მოწესრიგებულიყო ამიერკავკასიის საქმეები“, დაარსდა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიაც სახელმწიფო სათათბიროს 5 წევრი შევიდა. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს უნდა განეხორციელებინა დროებითი მთავრობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში. თავიანთი რწმენით და პოლიტიკური მიმართულებით ამ კომიტეტის წევრები იმდენად კონტრრევოლუციონერები იყვნენ, რომ ქ. ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მენშევიკებმაც კი პროტესტი განაცხადეს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის შემადგენლობის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი ისევ დამშვიდდნენ და დაკმაყოფილდნენ მით, რომ ამიერკავკასიის კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა სახ. სათათბიროს წევრი მენშევიკი ა. ჩხენკელი, რომელმაც თავის ხელში აიღო მხარის შინაგანი მმართველობის საქმეები, რითაც ყველაზე უფრო აქტიურ როლს თამაშობდა ამ კომიტეტში.

ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ყველა ახლადშექმნილ ორგანოში — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრში, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოში და აღმასრულებელ კომიტეტებში — ხელმძღვანელ ადგილებზე თავიდანვე წამოსკუპდნენ ქართველი მენშევიკები.

შეჰკრეს რა ბლოკი ესერებთან, ქართველი მენშევიკები გაბატონებულ პარტიად გადაიქცნენ ამიერკავკასიაში; ისინი შეუდგნენ მთელი პოლიტიკის ხელმძღვანელობას მთელს ამ მხარეში და პირველი დღეებიდანვე დაიწყეს ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა.

---

[1] ცენტრ. არქივი, „1917 წ. რევოლუცია“, გვ. 56.

1917 წელს დაწერილ ბროშურაში — „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში“ — ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

„...რუსეთი ახლა სდუღს და გადმოდის. მილიონმა და ათეულმა მილიონმა ხალხმა, რომელსაც ათეულწლობით ეძინა პოლიტიკურად, რომელიც დაბეჩავებული იყო პოლიტიკურად ცარიზმის საშინელი ჩაგვრით და კატორღული შრომით მემამულეებისა და მექარხნეების სასარგებლოდ, უკვე გამოიღვიძა და პოლიტიკისაკენ გაიწია. მერე, ვინ არიან ეს მილიონები და ათეული მილიონები? მეტწილად წვრილი მესაკუთრეები, წვრილი ბურჟუები, ადამიანები, რომელნიც კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შუა დგანან. რუსეთი ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა. უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, დაიმორჩილა შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ესე იგი მუშათა ფრიად ფართო წრეებს გადასდო, შეჰყარა წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე“ [1].

ეს დახასიათება კიდევ უფრო შეეფერება ამიერკავკასიას, ვიდრე ცენტრალურ რუსეთს. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ 1916 წ. შემოდგომისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციების საუკეთესო ხელმძღვანელები ციხეებში ისხდნენ ან გაძევებულნი იყვნენ ამიერკავკასიის საზღვრებიდან.

ბოლშევიკებს მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეეძლოთ თავი დაეღწიათ არალეგალური მდგომარეობისათვის, გამოსულიყვნენ ფართო პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე და გაეჩაღებინათ მუშაობა გავლენის მოსაპოვებლად მუშათა კლასზე, არმიასა და გლეხობის ფართო მასებზე. მენშევიკებს კი თებერვლის რევოლუციის მომენტში ძლიერი ორგანიზაცია და თავისი ლეგალური პრესა ჰქონდათ. მათი ლიდერებისა და პარტიული აქტივის უმრავლესობას არა თუ არ შეხებია მეფის ოხრანკა, არამედ ისინი თავისუფლადაც კი ცხოვრობდნენ და სხვადასხვაგვარ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობდნენ.

ქართველი მენშევიკების სახით თავისი კლასობრივი ინტერესების საიმედო დამცველები ჰპოვა არა მარტო ნაციონალურმა ბურჟუაზიამ, არამედ ფეოდალურმა თავადაზნაურობამაც. დემოკრატიული ფრაზების ნიღაბ ქვეშ მენშევიკები ბურჟუაზიულ-მემამულური ბლოკის სამსახურში დგებიან.

მთელი დროის განშავლობაში, 1917 წ. თებერვლიდან ოქტომბრამდე, მენშევიკებს არ უცდიათ გადაეკრათ რომელიმე სოციალური წინააღმდეგობა-თაგანი, რაც დაუყოვნებელ გადაწყვეტას მოითხოვდა. ისინი კვლავ იმპერიალისტური ომის საკითხების პოზიციას იცავდნენ, „იცავდნენ არმიას უკიდურე-

[1] ლენინი. ტომი XX, გვ. 150.

სი პოლიტიკური გამოსვლებისაგან" და თითქმის სავსებით ხელუხლებლად სტოვებდნენ ჯარის ძველ შავრაზმულ უფროს შემადგენლობას.

რაკი ამ რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად ბურჟუაზიას სთვლიდნენ, მენშევიკები ძირითად ტაქტიკურ დებულებად ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კონტაქტისა და ურთიერთ შეთანხმების აუცილებლობას აყენებდნენ. „დარაზმულმა პროლეტარიატმა არ უნდა დააშინოს ბურჟუაზია, რომ იგი (პროლეტარიატი) არ დარჩეს იზოლირებული" (ნ. ჟორდანიას გამოსვლიდან ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობაზე 1917 წ. 31 (18) მარტს). აქედან საპროგრამო ლოზუნგად წამოყენებულ იქნა კლასების პოლიტიკური და ეკონომიური თვითშეზღუდვის დევიზი; ამასთან, აქ მხედველობაში ჰყავდათ მხოლოდ მუშათა კლასი და გლეხობა. იმპერიალისტური ბურჟუაზიის სასარგებლოდ მუშებსა და გლეხებს ომი უნდა განეგრძოთ, ხოლო სოციალური რეფორმების გატარება უნდა გადაედოთ დამფუძნებელ კრებამდე, რომელსაც ომის დამთავრებამდე არც კი იწვევდნენ. ადგილობრივ მემამულეებთან სრული შეთანხმებით მენშევიკები იბრძოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ გლეხებს ხელში ჩაეგდოთ მიწები და წინადადებას აძლევდნენ მათ დაეცადათ მანამდე, ვიდრე დამფუძნებელი კრება გადაწყვეტდა აგრარულ საკითხს. ასეთი პოლიტიკა ტარდებოდა მუშათა კლასის მიმართაც.

რათა სრული კონტაქტი და მეგობრობა ყოფილიყო დაცული ბურჟუაზიასთან, რომელიც დროებითი მთავრობის სახით სათავეში ედგა თებერვლის რევოლუციას, პროლეტარიატს, მენშევიკების აზრით, უარი უნდა ეთქვა თავის კლასობრივ პროგრამაზე და ეკონომიური ბრძოლის საკითხებში იგი ზომიერი და ფრთხილი უნდა ყოფილიყო.

ქართველი მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატი უნდა ცდილობდეს არა სოციალურ გარდაქმნას, არამედ პოლიტიკურ თავისუფლებათა განმტკიცებას, რომ საჭიროა „ყველა რევოლუციონერები და ოპოზიციონერები შემჭიდროებული რიგებით მიდიოდნენ ბოლომდე, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებამდე". ამნაირად, დემოკრატიული რესპუბლიკა მენშევიკების ლტოლვა-სურვილების საზღვარს წარმოადგენდა.

ბაქოელი მენშევიკები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოში, კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის წარმოებული მოლაპარაკების გაჭიანურებით გამოწვეული მუშათა მასების უკმაყოფილების შესახებ შემდეგს სწერდნენ:

„მუშათა დეპუტატების საბჭოს მუდამ მტკიცედ ახსოვდა, რომ ჯერ საჭირო იყო პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება, ხოლო შემდეგ მუშათა კლასის ეკონომიურ მოთხოვნათა განხორციელება"[1].

მარტის დღეებში, როცა სატახტო ქალაქის მეფაბრიკე-მექარხნეებმა პეტროგრადის პროლეტარიატის უდიდესი საგაფიცვო აზვირთების შიშით ხელი მო-

[1] „ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებები" № 31, 1917 წ.

აწერეს შეთანხმებას 8-საათიანი სამუშაო დღისა და მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ნ. ჟორდანია მოითხოვდა, რომ:

„მუშათა კლასობრივი მოთხოვნები დაკმაყოფილებულიყო არა ბრძოლით, არამედ შეთანხმებით, და საკითხის გადაპრა 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ გადადებულიყო დამფუძნებელ კრებამდე“.

თანახმად ამისა, მენშევიკები წინადადებას აძლევდნენ მუშებს უარი ეთქვათ „კლასობრივი ბრძოლის ბასრ იარაღზე — გაფიცვაზე“. მათი აზრით, კონფლიქტის გადასაპრელად მყვლეფელთა და გაყვლეფილთა შორის არსებობდა მეორე, უფრო მსუბუქი საშუალება. ეს იყო გზა მოლაპარაკებისა, და შეთანხმებისა მომრიგებელი კამერების საშუალებით.

ისინი ცდილობდნენ უმნიშვნელო დათმობებით, მცირედი მოწყალებითა და ცალკეული წვრილმანი რეფორმებით კაპიტალისა და შრომის ინტერესები ერთმანეთთან შეერიგებინათ და ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში დაეტოვებინათ.

II

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ოდნავადაც არ შეუმსუბუქებია ამიერკავკასიის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა. ამის შესახებ საკმაოდ მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს 1917 წლის 23 მარტის (5 აპრილის) გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე მოთავსებული კორესპონდენცია, სადაც აწერილია ტფილისის გალეტის ფაბრიკა „ობორონაში“ არსებული შრომის პირობები.

„ამ ფაბრიკის მუშებსა და მის მეპატრონეს შორის კონფლიქტი ჩამოვარდა შრომის ფრიად არადამაკმაყოფილებელი პირობების ნიადაგზე. მუშებმა წარადგინეს მოთხოვნები შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ფაბრიკის პატრონი არ უთმობს... დაახლოებით 120 მუშა მუშაობს 2 ცვლად, თვითეული 12 საათს. 12 საათის განმავლობაში მუშებს არა აქვთ უფლება არც ისადილონ, არც ჩაი დალიონ და ყველაფერი ეს მალულად ხდება. მუშებისათვის არ არის არც დღესასწაული, არც კვირა. ისინი მანქანებივით მუშაობენ. მუშებს არა აქვთ აგრეთვე საავადმყოფო სალარო, რის გამოც ავადმყოფობის ან დაშავების დროს მუშები ღვთის ანაბარად რჩებიან; ფაბრიკის პატრონი მათ არავითარ დახმარებას არ უწევს. ასეთ მძიმედ დამქანცველ მუშაობაში მუშები თვიურად 20-დან 60 მანეთამდე იღებენ... ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი მცირე ხელფასით პროდუქტების დღევანდელი სიძვირის დროს მუშებს არ შეუძლიათ თავის გამოკვება და თავიანთი ძალღონის შენარჩუნება“.

ეს კორესპონდენცია კომენტარიებს არ საჭიროებს, ის მუშათა განუსაზღვრელი ექსპლოატაციის ჩვეულებრივ სურათს იძლევა. იმავე გაზეთში 1917

წლის 31 (18) აგვისტოს მოთავსებული იყო კორესპონდენცია მუშათა მდგომარეობის შესახებ კატარის ქარხნებში. სპილენძის სამადნოებისა და ორი სპილენძის სადნობი ქარხნის მუშები (უმთავრესად სომხები და თურქები) სამხედრო ვალდებულებად ითვლებოდნენ... მუშები ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ და უნდა შეესრულებინათ ადმინისტრაციის ყოველგვარი კაპრიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დათხოვნით და სამხედრო უფროსთან გაგზავნით ემუქრებოდნენ. სამუშაოს მიხედვით მუშები სამ კატეგორიად განიყოფებოდნენ: მადნის ამომღებნი, მადნის დამხარისხებელნი და ქარხნის მუშები. მადნის ამომღები მუშები სპილენძს საგრძნობ სიღრმეში ამუშავებდნენ, სადაც მტვრით, თოფის წამლითა და ნახშირმჟავით გაჟღენთილ ჰაერს სუნთქავდნენ. ჯანსაღი არც ქარხნის მუშების სამუშაო იყო, რადგან მადნის წვისა და დნობის დროს მწამლავი გაზები უხვად გროვდებოდა. მუშის საშუალო დღიური ხელფასი 11-საათიანი სამუშაო დღის პირობებში საშუალოდ 1 მ. 10 კ. უდრიდა. რადგან ეს ხელფასი საარსებოდ საკმარისი არ იყო, მუშათა ცოლები და მცირეწლოვანი ბავშვები იძულებულნი იყვნენ მაღაროებში ემუშავნათ.

მიუხედავად იმისა, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნახევარი წელი იყო გასული, მუშების საშინელი ყვლეფა მაინც წინანდებურად გრძელდებოდა. მოწყობილი იყო მუშათა დეპუტატების საბჭო და მომრიგებელი კამერა, მაგრამ მათ ხელმძღვანელობას შემთანხმებელი პარტიები უწევდნენ, რომლებიც სრულიადაც არ ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ მუშათა მდგომარეობა. როცა მუშები ხელფასის გადიდებას მოითხოვდნენ, საბჭოში მათ ეუბნებოდნენ:

„თქვენ, ამხანაგებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ წარმოება ზარალობს, ამიტომ ხელფასის მომატება შეუძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოები უნდა დაიხუროს, და ეს მაშინ, როცა წარმოება ამჟამად თავისუფალი რუსეთისათვის აუცილებელია. სპილენძის თვითეული ნაჭერი ჩვენ გვაძლევს ვაზნებს, რომლითაც მტრის რამდენიმე ჯარისკაცის განგმირვა შეიძლება. ამიტომ თქვენ უნდა გააათკეცოთ თქვენი ენერგია, სამუშაო დროის შემცირება და ხელფასის მომატება კი შესაძლებელია მხოლოდ საბოლოო გამარჯვების შემდეგ“.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მოხდენისთანავე „ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ სწერდა:

„ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები, რომ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს. ბევრი კონფლიქტი მეტად ძნელად გვარდებოდა... ზოგიერთი საწარმოს მუშები ეკონომიურ მოთხოვნებს აყენებდნენ და გაფიცვით იმუქრებოდნენ. საბჭო იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო, რომ კონფლიქტების ლიკვიდაცია მოეხდინა. გამოშვებულ იქნა რამდენიმე მოწოდება მუშებისადმი იმის შესახებ, რომ ზომები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უკვე მიღებულია და მალე კიდეც განხორციელდებაო“.

ობორონცები, რომლებმაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოებში უმრავლესობა მიიღეს, ყოველმხრივ აფერხებდნენ პროლეტარულ მოძრაობას,

ახდენდნენ გაფიცვების ლიკვიდაციას და არწმუნებდნენ მუშებს, რომ ომისა და რევოლუციის პირობებში დროული არ იქნება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვას საკითხი მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ფრავლად წარმოიშვნენ პროფესიული კავშირები. აგვისტოს დასაწყისისათვის მარტო ტფილისში არსებობდა 31 პროფკავშირი 30 ათასი წევრით, ხოლო მაისიდან აქ მოეწყო პროფკავშირთა ცენტრალური ბიურო. პროფკავშირთა მეტ ნაწილს მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

ამიერკავკასია თანდათანობით მოიცვა მომრიგებელ კამერათა ქსელმა და 1 ივნისიდან (19 მაისიდან) ტფილისში მოქმედება დაიწყო ცენტრალურმა მომრიგებელმა კამერამ.

მაგრამ პროფკავშირებთან ერთად საწარმოებში ამავე დროს გაჩნდნენ პროფესიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ფორმები — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებიც წარმოადგენდნენ მუშათა თვითმოქმედების პირველად ორგანოებს, წარმოების კონტროლის, შრომის დაცვისა და ხელშეკრულების დადების პირველად ინსტანციებს.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები თავის გარშემო იკრებდნენ ცალკეულ საწარმოთა მუშების ფართო მასებს და ბოლშევიკების დასაყრდენ პუნქტად ხდებოდნენ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. ამიერკავკასიის პროლეტარიატის ავანგარდს წარმოადგენდნენ ნავთის სარეწაოთა მუშები. მაგალითად, ბაქოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში კონტრრევოლუციური შემთანხმებელი პარტიების წინააღმდეგ უდიდესი როლი ითამაშეს.

„მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩამორჩენა მასების გამემარცხენების ტემპისაგან, — სწერდა ამხ. ს. შაუმიანი, — გავლენას ახდენდა, სხვათა შორის, საფაბრიკო-საქარხნო, სარეწაო და სახომალდო კომიტეტების შემადგენლობაზედაც, რომელიც თანდათან უფრო ბოლშევიკური ხდებოდა. ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა ჩვენი ფრაქციის მიერ, რომლის მოთხოვნა-წინადადებითაც საბჭოს იწვევდნენ განსაკუთრებით სერიოზული საკითხების გადასაჭრელად არა ჩვეულებრივი, არამედ გაფართოებული შემადგენლობით. გადამწყვეტი ხმის უფლებით საბჭოს სხდომებს ესწრებოდნენ საფაბრიკო-საქარხნო სარეწაო და სახომალდო კომიტეტები, სადაც უმრავლესობა ჩვენს მხარეზე იყო“ [1].

რაც შეეხება ტფილისს და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებს, უნდა ითქვას, რომ, თუმცა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები აქაც გავრცელებულ იქნენ და მათ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი როლის შესრულებაც შესძლეს ზოგიერთ საწარმოში (არსენალი, ელექტროსადგურები და სხვ.), მაგრამ უმეტეს შემთხვე-

[1] სურ. შაუმიანი. „ბაქოს კომუნა“, გვ. 5.

ვაში ისინი მაინც პროფკავშირების ნებისყოფის ჩვეულებრივ შემსრულებლებად დარჩნენ და მენშევიკების იმავე გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. დაწესებული პროფკავშირული „ნორმების“ დამრღვევი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს იღებდნენ. მაგალითად, ამიერკავკასიის პროფკავშირული კონფერენციის რეზოლუციის თანახმად, 1918 წლის 8 — 13 იანვარს (1917 წ. 26 — 31 დეკემბერს) პროფკავშირთა წევრებს წინადადება მიეცათ გაეჩაღებინათ ბრძოლა

„საქარხნო სეპარატიზმის წინააღმდეგ და კონტროლის ორგანოების დასაქვემდებარებლად მრეწველობის რეგულირების სახელმწიფო ორგანოებისათვის, იმის წინააღმდეგ, რომ საკონტროლო ორგანოებს არ მიეთვისებინათ ქარხნის მმართველობის ფუნქციები და, მით უმეტეს, ხელში არ ჩაეგდოთ მთლიანად საწარმოები. იმ შემთხვევაში, თუ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და მუშათა საკონტროლო ორგანოები ნაბიჯს გადასდგამდნენ საწარმოთა ხელში ჩასაგდებად, კონფერენცია წინადადებას აძლევს კავშირის წევრებს გამოვიდნენ ამ ორგანოებიდან“ [1].

1917 წლის შემოდგომისათვის შესამჩნევად იზრდება ბოლშევიკების როლი ამიერკავკასიის მთელ რიგ პროფესიულ კავშირებში.

საქართველოში ბოლშევიკური განწყობილება ძლიერდება ელექტრონზე მომუშავეთა, მეტყავეთა და მეთამბაქოვე მუშათა, ლითონზე მომუშავეთა და ნემსით მომუშავეთა პროფკავშირებში. ამ მხრივ განსაკუთრებით განირჩევა ტყავზე მომუშავეთა კავშირი, სადაც სექტემბერში პასუხისმგებელ მდივნად ირჩევენ ბოლშევიკს, ხოლო გამგეობის 14 წევრიდან — 9 ბოლშევიკს. მაგრამ ბოლშევიკების გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო ბაქოს პროფკავშირებში. აქ ნავთის მრეწველობისა და მისი დამხმარე საწარმოების მუშათა პროფკავშირი — ეს ყველაზე მსხვილი და მოწინავე პროფკავშირი მაისიდან უკვე ბოლშევიკების ხელში იყო. ამ კავშირის პრეზიდიუმში, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგებოდა, სამი ბოლშევიკი იყო (ფიოლეტოვი, ბასინი, ვარნაჩევი), გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფიოლეტოვი.

1917 წლის 3 ივნისს (21 მაისს) ტფილისში შესდგა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობა. მენშევიკები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ ყრილობას, თავის ორგანოში — „ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებებში“ — სწერდნენ:

„ჩვენი მხარის ცხოვრების ესა თუ ის მიმდინარეობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერს ყრილობა მთავარ საკითხებში... ყოველ ეჭვს გარეშეა, — განაგრძობს გაზეთი იმავე სტატიაში, — ყრილობისათვის პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლები იქნება ნაციონალური, საადგილმამულო და სასურსათო საკითხები“ [2].

---

[1] „ამიერკავკასიის პროფკავშირთა პირველი სამხარეო კონფერენცია“, გვ. 38, ტფილისი, 1917 წ.

[2] „ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 43, 1917 წლის 21 მაისი.

ამასთან, მენშევიკური ორგანო სრულიად არაფერს ამბობდა მუშათა საკითხის შესახებ, რომელიც, ალბად, სერიოზულ საკითხად არ მიაჩნდა. მართალია, ყრილობამ მოისმინა. მოხსენება მუშათა საკითხის შესახებ (მომხსენებლად გამოვიდა ნ. რამიშვილი), მაგრამ ამ მოხსენების გამო გამოტანილ იქნა სრულიად უწყინარი და საკმაოდ აბსტრაქტული რეზოლუცია ზოგიერთი კეთილი სურვილებით, როგორც, მაგალითად, 8-საათიანი სამუშაო დღე, ქალისა და ბავშვის შრომის დაცვა, ხოლო ამ საკითხების თვით გადაჭრა არავის არ ევალებოდა.

ხელფასის გადიდების საკითხი და მეწარმეთა და მუშათა შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტების მოგვარება ისევ მომრიგებელი კამერების ხელში რჩებოდა. ამ ყრილობაზე ბოლშევიკი დელეგატის ინიციატივით დაისვა საკითხი მუშათა კონტროლის შესახებ.

1917 წლის 7-8 მაისს (24-25 აპრილს) „რეზოლუციის თეზისების მონახაზში საბჭოების შესახებ“ ლენინი სწერდა:

„სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია, რომ მას შემდეგ, რაც რევოლუციური ენერგია უაღრესად განვითარდა დედა-ქალაქში, სადაც ხალხმა და განსაკუთრებით კი მუშებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ცარიზმის დასამხობად, — იმ დედა-ქალაქში, სადაც ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება დამხობილი აღმოჩნდა და კაპიტალის ყველაზე უფრო ცენტრალიზებულმა ხელისუფლებამ უდიდესი ძალაუფლება კაპიტალისტებს ჩააბარა, საბჭოთა ხელისუფლება (და პროლეტარიატის ხელისუფლება) სუსტი აღმოჩნდა, რევოლუციის შემდგომი განვითარების ამოცანა განსაკუთრებით მძიმე შეიქნა, რევოლუციის ახალ ეტაპზე გადასვლა მეტისმეტად ძნელი დარჩა, ხოლო ბურჟუაზიის წინააღმდეგობა ყველაზე უფრო ძლიერი გამოდგა.

აქედან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ვიდრე დედა-ქალაქებსა და უმსხვილეს ცენტრებში იძულებულნი ვართ მთავარი ძალღონე მოვაბმაროთ ძალების მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს რევოლუციის მეორე ეტაპის დ ა ს ა მ თ ა ვ რ ე ბ ლ ა დ, — ადგილებზე შეიძლება და საჭიროც არის უ შ უ ა ლ ო დ წინ წავწიოთ რევოლუცია, განვახორციელოთ მუშათა დეპუტატების საბჭოების ერთძალაუფლებიანობა, გავაღვივოთ მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციური ენერგია, გადავიდეთ წარმოებისა და პროდუქტების განაწილების კონტროლზე და სხვ.“ [1].

მუშათა კონტროლი ბოლშევიკური პარტიისათვის რევოლუციის შემდგომი განვითარების ლოზუნგს წარმოადგენდა.

ამიტომ, სრულიად გასაგებია ის სიმკაცრე, რომლითაც გამოვიდნენ ქართველი მენშევიკები ბოლშევიკების წინადადების წინააღმდეგ მუშათა კონტროლის საკითხში. მენშევიკები ბურჟუაზიულ წყობილებას იცავდნენ და პროლეტარიატის დიქტატურის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ გამოდიოდნენ.

„მუშათა კონტროლის განხორციელება წარმოებასა და განაწილე-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი. ტ. XX, გვ. 306.

ბაზე? — განაცხადა მენშევიკმა აიოლომ, — არის სოციალიზმის განხორციელება. ასეთი კონტროლის განსახორციელებლად მუშათა დეპუტატების საბჭოს საკმაო ძალა-უფლება არ გააჩნიაო“ [1].

თავის საბოლოო სიტყვაში გადაჭრით გამოვიდა აგრეთვე მუშათა კონტროლის წინააღმდეგ მომხსენებელი ნ. რამიშვილიც.

„ადგილობრივი მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლი, — ამბობდა იგი, — და თვით საერთო-რუსეთის მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლიც ლოკაუტს გამოიწვევს. მუშებს თვითონ მოუხდებათ წარმოების გაძღოლა, მაგრამ საამისო ძალა მათ არ შესწევთო“.

მენშევიკებმა, რომელნიც ყრილობის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ, საკითხი მუშათა კონტროლის შესახებ ჩაშალეს. ისინი მხოლოდ იმაზე დასთანხმდნენ, რომ, უკეთუ მწარმოებელნი მასობრივ ლოკაუტს მიმართავდნენ, მუშებს დროებითი მთავრობისაგან სახელმწიფო კონტროლის შემოღება მოეთხოვათ. ეს კი კონტროლის იმავე ბურჟუაზიის ხელში დატოვებას ნიშნავდა.

ამ კონტროლის ფასი ბოლშევიკებმა მშვენივრად იცოდნენ; ამიტომ იყო, რომ ისინი ასე ენერგიულად ეწეოდნენ პროპაგანდას პროლეტარულ მასებში მუშათა კონტროლისათვის და ამხელდნენ მენშევიკების მიერ განზრახული სახელმწიფო კონტროლის ნამდვილ არსს.

ბრძოლა მუშათა კონტროლისათვის ერთერთი პოპულარული ლოზუნგი იყო პროლეტარული მასების მისამხრობად.

ავიღოთ ოუნდაც ბათომი. პითოევის ქარხანაში, სადაც ხელით სასროლ ყუმბარებს და ნაღმებს ამზადებდნენ, 500-ზე მეტი მუშა მუშაობდა, რომელთა შორის იყვნენ: რუსები, ქართველები, სომხები და სხვ.. ქარხანაში ყველაზე დიდი გავლენით ესერები სარგებლობდნენ, ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ მაისში დაისახა მიზნად პითოევის ქარხანაში ესერებისა და მენშევიკების გავლენა აღმოეფხვრა და მუშათა მასები თავის მხარეზე გადაეყვანა. ამ მიზნის განსახორციელებლად პარტიული ორგანიზაციის დადგენილებით ქარხანაში სამუშაოზე მოეწყო ერთ-ერთი მუშა-მელითონე ბოლშევიკი, რომელმაც შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა მუშათა გასათვითცნობიერებლად და მოსამზადებლად, როგორც საერთო-პოლიტიკურ საკითხებში, ისე წარმოებაში-მუშათა კონტროლის შემოღების საკითხშიაც. ბოლშევიკურ აგიტაციას მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ესერების ხელმძღვანელობამ, რომელიც ცემითაც კი გაუმასპინძლდა ყველა იმათ, ვინც ბოლშევიკებს აშკარად თანაუგრძნობდა, მაგრამ ესერებმა მაინც ვერ მოახერხეს მასების შენარჩუნება. მუშებმა მიიღეს ბოლშევიკების წინადადება მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ. მალე ქარხანაში მელითონე-მუშათა ძლიერი ბოლშევიკური უჯრედი ჩამოყალიბდა.

---

[1] საარქ. ფონდი № 2, საქმე № 75, კავკასიის მუშ. და გლეხთა დეპუტატების 1-ლი საოლქო ყრილობის 1917 წლის 13 ივნისის (31 მაისის) სხდომის ოქმები.

იმპერიალისტური ომის გაგრძელებისაკენ მიმართული დროებითი მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მეფის ხელშეკრულებათა ხელუხლებლობას იცავდა, და კერენსკის ბრძანება ივნისის შეტევის შესახებ — ერთის მხრით, ხოლო რევოლუციური აზვირთების ზრდა (საგაფიცვო მოძრაობის ზრდა რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და ბოლშევიკების ივლისის გამოსვლა პეტერბურგში) — მეორე მხრით, არ შეიძლებოდა უშედეგოდ დარჩენილიყო მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში.

აპრილში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე მენშევიკი მომხსენებელი წულაია 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ, თუმცა სოციალდემოკრატიის პროგრამაში 8-საათიანი სამუშაო დღე გათვალისწინებულია, მაგრამ

„მომენტი მოითხოვს თავი შევიკავოთ ცხოვრებაში მისი აუცილებელი გატარებისაგანო“ [1].

მაგრამ, მიუხედავად მენშევიკების ქადაგებისა, ტფილისში, მაგალითად, მუშები, ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით, მთელ რიგ საწარმოებში (ქალაქის ტრამვაი, სტამბები და წიგნსაკაზმავები) უკვე 1917 წლის მარტის ბოლოდან შეუდგნენ 8-საათიანი სამუშაო დღის გატარებას.

მუშათა ძალდატანებით მეწარმენი ბოლოსდაბოლოს იძულებულნი გახდნენ საჭიროდ მიეჩნიათ 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება და 2 მაისიდან (19 აპრილიდან) ოფიციალურად შეუდგნენ მის განხორციელებას. პროლეტარიატის ასეთი გამარჯვების ფაქტის წინაშე მენშევიკებს აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ თავიანთ პრესაში აეტეხნათ თვალთმაქცური ხმაური მუშათა კლასის დიდი გამარჯვების შესახებ კაპიტალთან ბრძოლაში.

მაგრამ საქართველოს პროლეტარიატს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მარტო 8-საათიანი სამუშაო დღის მოპოვებით. დაწყებული საგაფიცვო ბრძოლა გაგრძელდა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ლოზუნგით.

გაფიცვები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს ედებოდა. ასე, მაგალითად, 1917 წლის აპრილის დამლევისათვის ტფილისის საწარმოებში (ადელხანოვის ქარხანა და სხვ.) თავი იჩინა მთელმა რიგმა სერიოზულმა კონფლიქტებმა. 31 (18) მაისიდან ტფილისში დაიწყო სამრეცხაოთა და სამღებროთა მუშების გაფიცვა; გაფიცულებმა წამოაყენეს მოთხოვნა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ექსპლოატაციის უფრო სასტიკი ფორმების მოსპობის შესახებ. გაფიცვა შესწყდა მხოლოდ 4 ივნისს, მას შემდეგ, როცა გაფიცულთა მოთხოვნები დააკმაყოფილეს.

8 ივლისს (25 ივნისს) გაიფიცნენ კლუბებისა და რესტორნების მოსამსახურენი. გაფიცვისათვის მხარის დაჭერის მიზნით მათ შეუერთდნენ ელექტრიკოსები, რომლებმაც კლუბებს სინათლე შეუწყვიტეს. ივლისში გაიფიცნენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკისა და აგრეთვე დანდუროვის, ჩილინგაროვის, პოპოვისა და როტინოვის სავაჭროთა მუშები. ამ გაფიცვას ხელმძღვანელობას

[1] „კავკაზსკი რაბოჩი“ № 35, 26 აპრილი, 1917 წ.

უწევდა საავეჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირი, რომელმაც თავი აარიდა კონფლიქტის გადაცემას მენშევიკების მიერ რეკლამირებული მომრიგებელი კამერისათვის.

ივლისში ტფილისში გაიფიცნენ პურისმცხობელი მუშები, კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების მოსამსახურენი, ტფილისის სადგურის რკინიგზის ბუფეტის მზარეულები და მოსამსახურენი. ამავე თვეში გამოვიდნენ მასწავლებლებიც, რომლებმაც თავისი კავშირის მეშვეობით განაცხადეს, რომ ისინი არ შეუდგებიან მეცადინეობას მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

აგვისტოში გაფიცულნი იყვნენ ტფილისის კოოპერატივის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ძალით ხსნიდნენ სამუშაოდან იმათ, ვინც არ ემორჩილებოდა საგაფიცვო კომიტეტის დირექტივებს. 1-ლ სექტემბერს (19 აგვისტოს) მთელს ამიერკავკასიაში გამოცხადდა ზინგერის კომპანიის მოსამსახურეთა გაფიცვა. სექტემბერში გაფიცულნი იყვნენ აფთიაქების მუშაკები, ფოტოგრაფიების მოსამსახურენი. სახელოსნო — „რეზინოვაია პოდოშვას“ მუშები, სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშები, ხაიტოვიჩის მექანიკური სახელოსნოსა და თამბაქოს ფაბრიკების მუშები.

18 (5) ოქტომბერს გაფიცვა გამოაცხადეს ტფილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათომისა და სხვა ქალაქების სახელმწიფო მოსამსახურეებმა. ოქტომბერში გაფიცულნი იყვნენ ტფილისის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები, სომეხთა კონსისტორიისა და სემინარიის მოსამსახურენი, აფთიაქის მოსამსახურენი და სახალხო სახლის მუშა-მოსამსახურენი. 31 (18) ოქტომბერს გაიფიცნენ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ყველა განყოფილების მოსამსახურენი. ნოემბერში დაიწყო ბეჭდვითი საქმის მუშათა გაფიცვა.

საგაფიცვო მოძრაობა მარტო ტფილისით არ განსაზღვრულა. გაფიცვა გავრცელდა აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებშიაც.

იწყება ეკონომიური გაფიცვების პოლიტიკურ გაფიცვებად გადაზრდა. ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების დათხოვნილ მუშათა კრებაზე 1917 წლის 16 (3) სექტემბერს გამოტანილ იქნა რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო:

> „მოთხოვნილ იქნეს მუშების მიღება; ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ბრძოლის ყოველგვარ კულტურულ საშუალებათა გამოყენების შემდეგ, მოთხოვნილ იქნეს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოახდინოს თამბაქოს ქარხნების კონფისკაცია“ [1].

მომრიგებელი კამერები ყოველგვარ ავტორიტეტს ჰკარგავენ. თანდათან უფრო ხშირია შემთხვევები, როცა მუშები უარს ამბობენ მიმართონ მომრიგებელ კამერებს საქმის გასარჩევად.

თანდათან უფრო ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც, მხარეები მომრიგებელი კამერების გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ. მაგალითად, რესტორნების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვასთან დაკავშირებით, მუშათა და ჯარის-

---

[1] „ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 42.

კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციაში გამოირკვა, რომ „მუშებს არ სურთ იცნონ კამერის გადაწყვეტილება“. მომრიგებელი კბმერის განაჩენი სირულეში ვერ მოიყვანეს აგრეთვე ვერც იარალოვის ქარხანაში. ადელხანოვის, ტოლესა და თაიროვის ქარხნებში თვითონ მეპატრონეებმა უარჰყვეს მუშებთან მომხდარი კონფლიქტის გარჩევა მომრიგებელი კამერის საშუალებით.

ტფილისის საავჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა 16 (3) სექტემბრის კრებაზე გამოტანილ რეზოლუციაში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„კონტრრევოლუციურმა მოღვაწეებმა პროლეტარიატის რევოლუციური ორგანოები და დემოკრატია დააყენეს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ რევოლუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად საჭიროა ხელთ აიღონ მთელი ძალაუფლება“.

ძლიერი იყო ობორონცული განწყობილებანი და მენშევიკების გავლენა ტფილისის რკინიგზის მუშათა შორის. რკინიგზელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 24 სექტემბრისათვის გამოაცხადა რკინიგზის საყოველთაო გაფიცვა მთელს რუსეთში. ამ ღონისძიებისათვის რკინიგზელებს იმიტომ უნდა მიემართნათ, რომ იძულებული გაეხადნათ მთავრობა დაეკმაყოფილებინა სრულიად რუსეთის რკინიგზელთა ყრილობის მიერ გამომუშავებული მოთხოვნები. მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა, სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან ერთად, ენერგიული აგიტაცია გააჩაღეს გაფიცვის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში და ამ გაფიცვის ჩაშლა მათ კიდეც მოახერხეს. ამასთან რკინიგზელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის—ა. ზურაბოვის მიერ ხელმოწერილი დეპეშა იმის შესახებ, რომ დროებითი მთავრობა

„მთელი ხალხის ნებისყოფის განსახიერებაა და, მაშასადამე, მათ შორის, ჩვენიც, რკინიგზელებისაც. გამოცხადებული გაფიცვა იქნება გაფიცვა ამავე ხალხის წინააღმდეგ. იმ დამღუპველი შედეგების შიშით, რომლითაც რკინიგზის გაფიცვა ქვეყნის თავისუფლებას ემუქრება, ამიერკავკასიის რკინიგზელები სასტიკ პროტესტს აცხადებენ გაფიცვის გამოცხადების წინააღმდეგ“ [1].

მაგრამ შემდეგში ჩვენ რკინიგზელთა შორისაც ვამჩნევთ იმ მოვლენას, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილიც თანდათან აღწევს თავს ობორონცული პარტიების გავლენას. მენშევიკების ცდა— ჩაეშალნათ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში 31(18) ოქტომბერს მოწვეული კრება მიმდინარე მომენტის შესახებ, მარცხით დამთავრდა. კრებამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც ამხელდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მისი ლაქიების — წვრილბურჟუაზიული პარტიების დანაშაულებრივ პოლიტიკას. რეზოლუცია თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„კრება ფიქრობს, რომ მხოლოდ ძალაუფლების გადასვლას დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ხელში, მისი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების

[1] „ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 144.

მოწინავე საბჭოების სახით, შეუძლია იხსნას სამშობლო მოსალოდნელი დაღუპვისაგან“ [1].

მასების ბოლშევიზაციის ზრდა და „კეთილსინდისიერ“-ობორონცული განწყობილების ნაშთების ლიკვიდაცია უფრო მკვეთრად და გარკვევით ხდებოდა ნავთის მრეწველობის ცენტრში —ბაქოში, ვიდრე საქართველოში.

ბაქოს პროლეტარიატის ბრძოლა დაიწყო 1917 წელს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების საკითხის გამო. კომისიის სხდომაზე, რომელიც მუშათა დეპუტატების საბჭოსა და ნავთის მრეწველთა წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა, მრეწველებმა გადაჭრით გაილაშქრეს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ.

თავის რეზოლუციაში მრეწველებმა შემდეგი განაცხადეს:

„ომის დროს ყველა მოქალაქის მთელი ღონისძიება იქით უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტად განვითარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ნაყოფიერება, და რომ სამუშაო დროის შემცირების საკითხი ეხება არა მარტო მუშებს და მრეწველებს, არამედ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის ინტერესებსაც. ამიტომ ბაქოს მრეწველები ფიქრობენ, რომ ამ საკითხის გადაჭრა მთლიანად; მთელი მისი სიგრძე-სიგანით, უნდა გადაიდოს მის საკანონმდებლო წესით განხილვამდე“.

მიუხედავად იმისა, რომ 8-საათიანი სამუშაო დღე ტფილისში ოფიციალურად დაწესებული იყო 1917 წლის 2 მაისს (19 აპრილს), ქ. ბაქოში მას იღებენ მხოლოდ „პრინციპის სახით“.

როგორც ვხედავთ, ობორონცული ლოზუნგები მშვენივრად გამოყენებულ იქნა ბურჟუაზიის მიერ როგორც ძლიერი იარაღი პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ბურჟუაზია ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა თავისი ლაქიების — მენშევიკებისა და ესერების სამსახური.

ამნაირად, ბაქოელთა გამარჯვება სამუშაო დღის შემცირების საქმეში პირობითი იყო, რადგან სავალდებულო კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ შემთანხმებლურ აღმასკომს არ გამოუცია.

ბრძოლა 8-საათიანი სამუშაო დღისათვის ცალკეულ საწარმოებში, ხანდახან რამდენიმე ათასი კაცის მონაწილეობით (ნავთის სარეწაოთა მუშები, ბეჭდვითი საქმის მუშები და სხვ.), ძალაუფლების ბაქოს საბჭოს ხელში გადასვლამდე გრძელდებოდა.

ბაქოს პროლეტარიატს გმირული ბრძოლის წარმოება მოუხდა კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე კლასობრივი ფორმა მიიღო და ბაქოს მთელი სამრეწველო რაიონის მუშათა სექტემბრის გრანდიოზულ გაფიცვად გადაიქცა.

ბაქოს პროლეტარიატმა პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებას ჯერ კიდევ 1904 წელს მიაღწია. მაგრამ პირველი რევოლუციის დამარცხებისა

---

[1] ჯრ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 180, 1917 წ.

და უაღრესად სასტიკი რეაქციის ეპოქის დაწყების შემდეგ ბურჟუაზიამ შესძლო მუშების ყველა მონაპოვართა ლიკვიდაცია მოეხდინა.

ბოლშევიკური ორგანიზაციის ორგანომ — „ბაკინსკი რაბოჩიმ" თებერვლის რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით გაამახვილა საკითხი კოლექტიური ხელშეკრულების დადების აუცილებლობის შესახებ.

„ბევრ ადგილას, — სწერდა გაზეთი, — ჯერ კიდევ არსებობს მშიერი ხელფასი. ყოველ ფირმაში სხვადასხვაგვარი ხელფასი და შრომის პირობებია. ნავთის მრეწველნი წინანდებურად რყვნიან მუშებს საჩუქრებითა და სხვადასხვა სახის სამოწყალოებით... საიჯარო ბურღვის მუშები კიდევ უფრო საშინელ პირობებში იმყოფებიან — ისინი სავსებით წვრილ წურბელა-მოიჯარადრეთა კლანჭებში არიან. სარეწაოთა მუშები კი დღემდეც პარიებს წარმოადგენენ. ყველა მუშათა შორის... საჭიროა ბოლო მოეღოს ნავთის მრეწველთა პოლიტიკას, რომელიც რყვნის მუშებს. საჭიროა ერთნაირი პირობები შეიქმნას ყველა სარეწაოებში... და მით მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს ნავთის მრეწველობისა და დამხმარე საწარმოების ყველა მუშის ნამდვილ გაერთიანებას და შეკავშირებას".

ბოლშევიკური ფრაქციის წინადადებითა და გავლენით ბაქოს საბჭო იძულებული იყო გამოეყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კოლექტიური ხელშეკრულების მომზადება. კომისიამ თავისი მუშაობა მაისის შუა რიცხვებში დაამთავრა. 1917 წლის 4 ივნისს (22 მაისს) საბჭოში კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ა. ჯაფარიძემ. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მოლაპარაკება მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად.

იმის გამო, რომ ბაქოს საბჭოს უმრავლესობა — მენშევიკები, ესერები და დაშნაკელები — ბურჟუაზიის შევიწროების წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან მათ ეშინოდათ, რომ კოლხელშეკრულების დადება ბურჟუაზიის ინტერესებს შებღალავდა და მით „რევოლუციურ ერთობას" დაარღვევდა, მეწარმენი დაჟინებით აჭიანურებდნენ მოლაპარაკებას, ხოლო შემდეგში, ივნისის საფრონტო შეტევის გავლენით, კონტრრევოლუციური ძალების მობილიზაციით მთელს რუსეთში და იმ მხარის დაჭერით, რომელსაც კონტრრევოლუციური პარტიები უწევდნენ მათ, ამ უკანასკნელებმა, იგრძნეს რა თავისი ძალა, სრულიად უარი განაცხადეს მოლაპარაკების წარმოებაზე.

14 (1) ივლისს საბჭოს სხდომაზე კოლხელშეკრულების შესახებ მომხსენებელმა ა. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მოლაპარაკება ნავთის მრეწველებთან შეწყვეტილია იმის გამო, რომ ამ უკანასკნელებმა გადაჭრით უარყვეს კომისიის განაკვეთი და არ მოისურვეს არავითარ დათმობაზე წასვლა. იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომელიც მრეწველებმა დაიკავეს კოლხელშეკრულების საკითხში. მუშათა მასების ზეგავლენით, მენშევიკურ-ესერული საბჭოს უმეტესობაც კი იძულებული იყო მიეღო რეზოლუცია, რომელშიაც მოითხოვდა განხილულიყო საკითხი ერთი დღის გაფიცვა-პროტესტისა და 8-საათიანი სამუშაო დღის დეკრეტირების შესახებ. რეზოლუცია მოითხოვდა, რომ ის მრეწველები, რომლე-

ბიც შეაშოკლებდნენ თავის წარმოებას, დაეპატიმრებინათ და გადაეცათ სასამართლოსათვის, ხოლო სამხედრო ვალდებულნი გაეგზავნათ ფრონტზე.

შაგრამ ეს რეზოლუცია მხოლოდ ქალალდზე დარჩა. საქმით კი მენშევიკები, ესერები და დაშნაკელები ყოველმხრივ აქიანურებდნენ პროლეტარიატის ბრძოლის ორგანიზაციას და იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ საკითხი კოლხელ-შეკრულების შესახებ გადაჰქონდათ განსახილველად ბაქოს რაიონში შრომის სამინისტროს წარმომადგენელთან — მენშევიკ ის. რამიშვილთან, რომელიც ჯერ-კიდევ მაისში იყო გამოგზავნილი ტფილისიდან „შრომისა და კაპიტალის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად“.

ერთადერთი პარტია, რომელიც გადაჭრით აწარმოებდა პროლეტარიატის დარაზმვას ბურჟუაზიასთან საბრძოლველად, — ეს ბოლშევიკური პარტია იყო.

მუშათა კრებებსა და პრესაში სწორედ ბოლშევიკებმა იწყეს პროლეტარიატის მოწოდება აშკარა ბრძოლისათვის გათავხედებული კაპიტალის წინააღმდეგ. სტატიაში — „კოლექტიური ხელშეკრულება“ გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ სწერდა:

„ისინი (მრეწველები) განგებ აქიანურებდნენ და აზვიადებდნენ, განგებ ათამაშებდნენ მუშებს, რადგან მათ კონტრრევოლუციის იმედი ჰქონდათ; იმედოვნებდნენ, რომ რევოლუცია შეჩერდებოდა... თუ თქვენ (მრეწველებო) არ შეგიძლიათ შეამციროთ თქვენი მადა, თუ თქვენ არ შეგიძლიათ დააკმაყოფილოთ ისიც კი, რაც მუშებს ომამდე ჰქონდათ... თუ, მართლაცდამართლაც, წარმოებას არ შეუძლია მუშაობა თქვენი ხელმძღვანელობით ისე, როგორც წინათ მუშაობდა, ჩვენ არ შეგვიძლიანება მოგცეთ, რომ შემდეგშიაც უკონტროლოდ იბატონოთ... ჩვენ ასე გეტყვით: შორს სისხლიანი ხელები ხალხის დოვლათისაგან... თქვენ — ამ ომის დამნაშავეებს, თქვენ — ამ ნგრევის დამნაშავეებს არ შეგიძლიათ მისი დაძლევა და საქმის მოგვარება. ძირს მძარცველ-კაპიტალისტები, მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს“.[1]

ცნობამ იმის შესახებ, რომ კაპიტალისტებმა მოლაპარაკება შესწყვიტესო, მუშებში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

სასწრაფო მასობრივ კრებებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ მუშები სრულიადაც არ ფიქრობდნენ იარაღის დაყრას და ბრძოლის შეწყვეტას. საგულისხმოა, მაგალითად, ის გარემოება, რომ შავქალაქში გამართულ მიტინგზე ბოლშევიკ ლ. ლ. პიატაკოვის (მოკლულ იქნა თეთრგვარდიელების მიერ 1918 წ.) მოხსენების შემდეგ ნავთის მრეწველებთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ კრებამ ერთხმად მოითხოვა მთელს მრეწველობაზე კონტროლის დაწესება და ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია.

აი ერთი ამ პერიოდის ტიპიური რეზოლუციათაგანი, რომელიც მუშათა კრებამ მიიღო:

„ჩვენ, ალი-აბას დადაშევის მემკვიდრეთა „სუხოი დოკის“ მუშებმა და ხელოსნებმა, განვიხილეთ რა საკითხი კოლექტიური ხელშეკრულების

[1] „ბაკინსკი რაბოჩი“ № 21, 1917 წ.

შესახებ, გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლუცია: ვხედავთ რა, თუ როგორ იგდებენ აბუჩად ბ-ნი კაპიტალისტები კოლხელშეკრულების დამდებ კომისიას და აგრეთვე მუშებს, პროტესტს ვუცხადებთ ბატონ კაპიტალისტებს და, რადგან პირველი მოთხოვნილების პროდუქტები და აგრეთვე ფეხსაცმელი და ტანისამოსი თანდათან ძვირდება, ვაცხადებთ, რომ ამ-ერიდან ასე ცხოვრება შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ეკონომიური მოთხოვნები 3 ივლისისათვის დაკმაყოფილებული არ იქნა, ჩვენ ვიტოვებთ თავისუფალი მოქმედების უფლებას, თვით აქტიურ გამოსვლამდე, და მედგრად დავიცავთ ჩვენს ეკონომიურ მოთხოვნებს“ [1].

1917 წლის 19 (6) ივლისს სარეწაო-საქარხნო კომისიების, პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების კონფერენციაზე, სადაც კოლხელშეკრულების საკითხი ირჩევოდა, ბოლშევიკებმა კონკრეტული წინადადება წამოაყენეს იმის შესახებ, რომ გადასულიყვნენ საგაფიცვო ბრძოლაზე კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ბოლშევიკების წინადადება უარყოფილ იქნა. კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა ოპორტუნისტული რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო:

„მიგვაჩნია რა გაფიცვა მუშათა კლასის ბრძოლის ყველაზე ნამდვილ საშუალებად მისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, კონფერენცია, უწევს რა ანგარიშს მომენტის პირობებს და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, აუცილებლად სთვლის მიმართოს ამ საშუალებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულიად შეუძლებელი იქნება თავისი უფლებების მოპოვება შეთანხმების გზით, ან საქმეში სახელმწიფოს ჩარევით, და ამიტომ გაფიცვა და დემონსტრაცია მას არადროულად მიაჩნია“ [2].

შემთანხმებლური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შეუპოვარმა ცდამ — შეეჩერებინათ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა — გამოიწვია ის, რომ მუშათა მასების ბოლშევიზაციის პროცესი დაჩქარდა. ბოლშევიკების გავლენა თანდათან უფრო იზრდებოდა. მაგალითად, ბოლშევიკურ კრებაზე ბი-ბი-ეიბათის რაიონში 2 აგვისტოს (20 ივლისს) ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებებით გამოირკვა, რომ მუშებში დაიწყო გადამწყვეტი გარდატეხა ბოლშევიზმისაკენ; ანალოგიური ცნობები მოდიოდა აგრეთვე ბალახანიდან და სხვა რაიონებიდანაც.

ბრძოლა კოლექტიური ხელშეკრულებისათვის უდიდეს როლს თამაშობდა.

მენშევიკები, ესერები და დაშნაკელები არავითარ სერიოზულ და საქმიან ნაბიჯს არ სდგამდნენ მუშათა კლასის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მაშინ როცა კაპიტალისტების მხრივ წინაალმდეგობა თანდათან უფრო ძლიერდებოდა.

---

[1] „ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 77, 1917 წ.

[2] „ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 79, 1917 წ.

რაკი მუშებმა უარი მიიღეს კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე, ცალკეულ საწარმოებში დაიწყო მუშათა გაფიცვები და ნიადაგის მომზადება საყოველთაო გაფიცვის გამოსაცხადებლად. ვერც შრომის მინისტრის სკობელევის ჩამოსვლამ პეტროგრადიდან და ვერც ადგილობრივი ობორონცული პარტიების თავგამოდებულმა ცდამ საქმეს ვერ უშველეს და ვერ შეაჩერეს აღმავალი მოძრაობა. „ბაკინსკი რაბოჩიმ“ 26 (13) სექტემბერს, გაუკეთა რა ანალიზი ბაქოს საბჭოს დემორალიზაციას და გახრწნას, მუშათა მასებში გადარჩევის ლოზუნგი გადაისროლა, რამაც მხ ურვალე გამოძახილი ჰპოვა ბაქოს პროლეტარიატში. მუშები მოითხოვდნენ არა მარტო საბჭოს გადარჩევას, არამედ იმასაც, რომ ბოლო მოღებოდა ორხელისუფლებიანობას და მთელი ძალაუფლება ახლად არჩეულ საბჭოს გადასცემოდა. მაგალითად, ძმათა ნობელის ამხანაგობის 1-ლი სარეწაოს მუშათა და მოსამსახურეთა კრებამ ბალახანაში დაადგინა: 1) მთელი ძალაუფლება გადაეცეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, 2) გადარჩეულ იქნას ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

1-ლ ოქტომბერს (18 სექტემბერს) მუშებმა გაფიცვა მოახდინეს ძმათა ნობელების ქარხანაში შავ ქალაქში და აგრეთვე „კავკაზ ი მერკურის“ დოკებზე გაფიცული მუშები მოითხოვდნენ კოლხელშეკრულების დადებას.

ყველა დიდ ქარხნებსა და სარეწაოებში გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეეწყვიტნათ მოლაპარაკება და გამოეცხადებინათ გაფიცვა.

ჯერ კიდევ 22 (9) სექტემბერს სარეწაო-საქარხნო კომისიების კონფერენციაზე, რომელზედაც ბოლშევიკი ზარგაროვი თავმჯდომარეობდა, კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ გამოვიდა ამხ. ა. ჯაფარიძე, რომელმაც განაცხადა:

> „კოლხელშეკრულების შეკვეცა ჩვენ არ შეგვიძლია, მრეწველები, სულ ერთია, მაინც არაფერს არ დასთმობენ. შემთანხმებლურ პოლიტიკას რევოლუციაში არც ერთ საკითხში წარმატება არ მოუცია და არ მოგვცემს არც კოლხელშეკრულების საკითხში. მთელი ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისათვის ცენტრში და ადგილებზე — ეს აუცილებელი გარანტია და ერთადერთი გზაა მომწიფებული პოლიტიკური და ეკონომიური საკითხებისა და მათ რიცხვში კოლექტიური ხელშეკრულების საკითხის რევოლუციურად გადაჭრისათვის“.

რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტის სხდომაზე 24 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაფიცვისათვის მხარის დაჭერისა და მის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ. ამავე სხდომაზე ბაქოს კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანა მრეწველობის ნაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ [1].

4 ოქტომბერს (21 სექტემბერს) სარეწაო-საქარხნო კომისიების კონფერენციამ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, შრომის საბჭოსა და პროფკავშირთა საბჭოს წევრებთან ერთად, გადასწყვიტა თავი საგაფიცვო კომიტეტად გამოაცხადოს.

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“ № 59, 1917 წ.

მენშევიკები და ესერები, როგორც ბურჟუაზიის ერთგული მსახურნი, ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალნათ ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა. ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა ნავთის მრეწველთა სხდომაზე ტფილისიდან ჩამოსულმა ქართული მენშევიზმის ბელადმა ე. გეგეჭკორმა, რომ გაფიცვა მას შეცდომად მიაჩნია, რომ მუშები ისე არიან გატაცებულნი, რომ ჭკუა-გონებას ვერ ემორჩილებიანო.

კიდევ უფრო გულახდილად წამოაყრანტალა მენშევიკური პარტიის გამცემლურ-შემთანხმებლური ტაქტიკა მეორე მენშევიკმა, დროებითი მთავრობის შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა ბაქოს რაიონში—ისიდორე რამიშვილმა.

გაფიცვის გამოცხადების წინადღით მან სარეწაო-საქარხნო კომისიების კონფერენციაზე განაცხადა:

„ვიდრე თქვენ, ამხანავებო, გაფიცვისათვის ემზადებით, მე ჩემს ძველ შემარიგებლურ პოლიტიკას ვაწარმოებ, რაც თქვენ ყველამ დიდი ხანია იცით და რაც არასოდეს არ მოგწონდათ. ვიდრე თქვენ ბრძოლისათვის ემზადებოდით, მე მივმართე პეტროგრადსა და ტფილისს, რომ ხელისუფლება ჩარეოდა საქმეში ამ გაფიცვის თავიდან ასაცილებლად“.

„ნუ გეშინიათ,—ამბობდა ი. რამიშვილი კონფერენციაზე მეორედ გამოსვლის დროს, — რომ მე მსურს თქვენი გაფიცვის ჩაშლა; მე რომ ეს შემეძლოს, ამას ეხლავე მოვიმოქმედებდი. ურთიერთ დათმობის გზით შესაძლებელი იქნებოდა მომავალი გაფიცვის თავიდან აცილება. მე წინადადებას ვიძლევი დაწყებულ იქნას მოლაპარაკება“ [1].

მაგრამ ბაქოს მუშები, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ, იმ რევოლუციურ გზას შერჩნენ, საიდანაც ლამობდნენ მის გადაცდენას ბურჟუაზიის მაჩანჩალები.

სექტემბრის დღეებში მენშევიკებმა და ესერებმა ბაქოში თვალსაჩინოდ დაადასტურეს ის დახასიათება, რომელიც მისცა ლენინმა წვრილბურჟუაზიულ პარტიებს 1917 წელს:

„ყოველ გადამწყვეტ, ყოველ მნიშვნელოვან საკითხში წვრილბურჟუაზიული დემოკრატია კუდში მისჩანჩალებდა ბურჟუაზიას, მისი უფრო ძლიერი დამატება და მორჩილი იარაღი იყო ფინანსიურ მეფეთა ხელში“.

საგაფიცვო კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმით გაფიცვა 5 ოქტომბერს (27 სექტემბერს) დაიწყო. საწარმოთა მაჯისცემა ერთბაშად მიეუჩდა. მთელი დღის განმავლობაში წესრიგი არსად დარღვეულა. სარეწაოს მოედანზე საგაფიცვო კომიტეტმა ფხიზელი მეთვალყურეობა დააწესა და დაცვაც გააძლიერა. „გაფიცულთა განწყობილება ურყევია“— იუწყებოდა „ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ [2].

13 ოქტომბრის (30 სექტემბრის) მოწოდებაში საგაფიცვო კომიტეტი სწერდა:

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“ № 59, 1917 წ.

[2] „ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 145, 1917 წ.

„ამხანაგებო, თქვენი რევოლუციური დისციპლინა და სიმტკიცე ყველას ფრთებს გვასხამს. ჩვენ ბედნიერნი ვართ მოგიძღვნათ სალამი, გისურვოთ გამარჯვება და აღგითქვათ მხარის დაჭერა, რასაც ჩვენ განუწყვეტლივ ვღებულობთ ჯარისა და ფლოტის სხვადასხვა ნაწილებისა და პროფკავშირებისაგან, ან-და, სხვადასხვა პირთაგან. გაუფრთხილდით ამ ყურადღებას და კიდევ უფრო შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები. თქვენს მტრებს არ სძინავთ. ისინი ცდილობენ დაშალონ თქვენი მტკიცე რიგები. ისინი ვერ ბედავენ თავიანთი საზიზღარი მუშაობის აშკარად წარმოებას და, როგორც გამცემლები, ფარულად მოქმედებენ. ისინი საზიზღარ ხმებს ავრცელებენ, რომ არევდარევა შეიტანონ თქვენში. იყავით ფრთხილად, იცოდეთ, რომ ყველგან, მთელს ჩვენს ფრონტზე აღფრთოვანება სუფევს. ერთიანი მრავალტომიანი პროლეტარული ოჯახი რკინის ხელით სჯედს ჩვენთვის გამარჯვებას“ [1].

ბაქოს პროლეტარიატმა 1917 წ. სექტემბრის დღეებში სიმტკიცისა და დარაზმულობის იშვიათი მაგალითები გვიჩვენა. საგაფიცვო მოძრაობაში მთელი პროლეტარიატი მონაწილეობდა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში იყო. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. ჯაფარიძე.

გაფიცვა ხანგრძლივი არ ყოფილა. გაფიცვის მესამე დღეს უკვე დაიწყო მეწარმეთა მოლაპარაკება საგაფიცვო კომიტეტთან, და ბურჟუაზია იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეღიარებინა.

მრეწველებმა ვალდებულება მიიღეს თავის თავზე ორი კვირის შემდეგ საბოლოოდ დაედოთ ხელშეკრულება.

16 (3) ოქტომბერს, დღის 12 საათიდან, საწარმოებში გამართული მიტინგების შემდეგ, გაფიცული მუშები მუშაობას შეუდგნენ.

ბრძოლა კოლექტიური ხელშეკრულებისათვის რევოლუციის განვითარების პირობებში მასების ბოლშევიზაციის ერთერთი საშუალება იყო ბოლშევიკებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად წარმოებული ბრძოლის განსაზღვრულ ეტაპზე.

ა. ჯაფარიძე, აფასებდა რა ბაქოში მომხდარი საყოველთაო გაფიცვის მნიშვნელობას, „ბაკინსკი რაბოჩის“ ფურცელზე, 17 (4) ოქტომბრის თარიღით, სწერდა, რომ მუშებმა დაამარცხეს შემთანხმებლობა, გაფიცვამ დაამტკიცა მასების დარაზმულობა და შემჭიდროება და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, გაფიცვის დღეებმა დაამტკიცეს მუშებისა და გლეხების ხელში ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგის სისწორე და შესაძლებლობა.

III

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკები მთელი თავისი ჩქეული ენერგიით შეუდგნენ პარტიული ორგანიზაციების აღდგენას ამიერკავკასიაში. ეს მუშაობა ისევე, როგორც მთელს რუსეთში, არაჩვეულებრივ რთულს პირო-

[1] „ბაკოს ბუშ. და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოს უწყებები“ № 147, 1917 წ.

ა. ჯაფარიძე

ებში მიმდინარეობდა, რაღგან იმპერიალისტური ომი კვლავ გრძელდებოდა, ქვეყანა საერთო რღვევას განიცდიდა, ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიები სდევნიდნენ და მასების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუგნებლობის გამო ამ პარტიებს ჯერ კიდევ ნდობით ეპყრობოდა.

რევოლუციის შემდეგ იწყება ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეური და რიცხობრივი ზრდა. პარტიის რიგებში შედიან მოწინავე მუშები. ეწყობა ბოლშევიკური უჯრედები როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა უდიდესი შინაპარტიული აღმზრდელობითი მუშაობა გაშალეს თავის წევრთა შორის და შეუდგნენ მათს შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით. ბოლშევიკური გაზეთები, ბროშურები და ფურცლები ფართოდ ვრცელდებოდა მშრომელ მასებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პირველ პერიოდში, ტფილისის ბოლშევიკების ერთმა ჯგუფმა ამხ. ფ. მახარაძის ინიციატივით მენშევიკების ობორონცულ პარტიასთან ურთიერთობის საკითხში აშკარად მცდარი შემთანხმებლური პოზიცია დაიკავა და მენშევიკებთან ორგანიზაციული გაერთიანება მოითხოვა.

ომის წლებში ლენინს არაერთხელ გაუფრთხილებია პარტია იმის შესახებ, რომ ახალ პირობებში შესაძლებელია თავი იჩინოს გამაერთიანებელმა ციებცხელებამ. 1916 წელს ლენინი კიდევდაკიდევ სწერდა:

„...მთავარ პარტიულ საკითხად რუსეთში იყო და რჩება საკითხი „ერთიანობის" შესახებ. ტროცკის თავის გაზეთის 500—600 №№-ში ვერ დაუმთავრებია და მთლიანად ვერ მოუფიქრებია ბოლომდე: ერთიანობა ჩხეიძესთან, სკობ[ელევთან] და კომპ.? თუ არა? ვგონებ „გამაერთიანებლები" პიტერშიაც დარჩნენ, თუმცა ისინი მეტად სუსტნი არიან (მათ ხომ არ გამოუციათ პიტერში „რაბ[ოჩიე] ვედომოსტი"?). „მაკარი", ამბობენ, მოსკოვშია და ისიც შემარიგებლობსო. შემარიგებლობა და გამაერთიანებლობა ყველაზე უფრო მავნებელია მუშათა პარტიისათვის რუსეთში, ის არა მარტო იდიოტიზმია, არამედ პარტიის დ ა ღ უ პ ვ ა ც. ვინაიდან ს ა ქ მ ი თ გაერთიანება (ან შერიგება და სხვ.) ჩხეიძესთან და სკობელევთან (თავი და თავი ისინი არიან, რადგან მათ თავი „ინტერნაციონალისტებად" მოაქვთ) — არის „ერთიანობა" ო[ისტებთან] [1], ხოლო მისი საშუალებით პოტრესოვთან და კომპ., ე. ი. საქმით ლ ა ქ ი ა ო ბ ა სოციალ-შოვინისტების წინაშე... ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ მხოლოდ იმათ, ვინც შეიგნო ერთიანობის იდეის მთელი მატყუარობა და გათიშვის აუცილებლობა ამ ძმაბიჭებთან (ჩხ[ეიძესთან] და კომპ.) რუსეთში" [2].

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ლენინი კვლავ აფრთხილებდა პარტიას პარტიის რიგებში გამაერთიანებელი ტენდენციების საფრთხის შესახებ. წერილში ა. მ. კოლონტაისადმი, 1917 წლის 18 (5) მარტის თარიღით, ლენინი სწერდა:

„ჩ ე მ ი ს ა ზ რ ი თ, უ მ თ ა ვ რ ე ს ი ა ხ ლ ა ი ს ა ა, რ ო მ თ ა ვ ი დ ა ნ ა ვ ი ც ლ ი ნ ო თ ს ო ც ი ა ლ-პ ა ტ რ ი ო ტ ებ თ ან (ან, კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ს ა შ ი შ ი ა, ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს, ტ რ ო ც კ ი ს ა დ ა კ ო მ პ. მ ს გ ა ვ ს მ ე რ ყ ე ვ ე ბ თ ან) უ გ უ ნ ე ბ ი „გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ებ ე ლ ი" ც დ ე ბ ი დ ა გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო თ ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს მ უ შ ა ო ბ ა მ ტ კ ი ც ე-ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი გ ე ზ ი თ" [3].

ბოლშევიკური პარტიის წინაშე იდგა უდიდესი ამოცანა გაეჩაღებინა ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის.

---

[1] რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტი, მენშევიკების ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც დაარსდა 1912 წელს „აგვისტოს" კონფერენციაზე. საორგანიზაციო კომიტეტი არსებობდა 1917 წლამდე, როდესაც არჩეულ იქნა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

[2] ლენინის კრებული, ტომი II, გვ. 278.

[3] ლენინი. ტ. XX, გვ. 14.

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მეტი ნაწილის მიმხრობა და იმ მენშევიკებისა და ესერების გამცეშლური პოლიტიკის მხილება, რომელნიც მოუწოდებდნენ მასებს მსარი დაეჭირათ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის.

„ამ პერიოდში, — სწერს ამხანაგი სტალინი, — იმპერიალიზმის ყველაზე საშიში სოციალური დასაყრდენი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიული პარტია, ესერებისა და მენშევიკების პარტია იყო. რატომ? იმიტომ, რომ ეს პარტიები მაშინ შემთანხმებლურ პარტიებს, იმპერიალიზმსა და მშრომელ მასებს შორის შეთანხმების პარტიებს წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, რომ ბოლშევიკების მთავარი იერიშები მაშინ მიმართული იყო ამ პარტიების წინააღმდეგ. რადგან ამ პარტიების უიზოლაციოდ არ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ განხეთქილება მოხდებოდა მშრომელ მასებსა და იმპერიალიზმს შორის, ხოლო ამ განხეთქილების უზრუნველყოფის გარეშე არ შეიძლებოდა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების იმედი გვქონოდა. ბევრს მაშინ არ გაეგებოდა ბოლშევიკური ტაქტიკის ეს თავისებურება და ბრალს სდებდნენ ბოლშევიკებს ესერებისა და მენშევიკების „ზედმეტ სიძულვილში“ და მთავარი მიზნის „დავიწყებაში“. მაგრამ ოქტომბრის მომზადების მთელი პერიოდი მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მხოლოდ ასეთი ტაქტიკით შეეძლოთ ბოლშევიკებს უზრუნველეყოთ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება“ [1].

იცავდა რა იმ აზრს, რომ თითქოს აუცილებელი ყოფილიყოს მენშევიკებთან გაერთიანება და ეწეოდა რა საამისო პროპაგანდას, ამხ. ფ. მახარაძე „კავკაზსკი რაბოჩის“ მოწინავე წერილში სწერდა:

„...მაგრამ მანამდე, ვიდრე ჩვენ ყველანი, ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, ერთიანი პროგრამის ნიადაგზე ვდგევართ და ერთნაირად გვესმის ის უდიდესი ამოცანები, რომელთა შესრულებაც ისტორიამ მუშათა კლასს დააკისრა, ჩვენ არ უნდა დავქსაქსოთ ჩვენი ძალები, არამედ უნდა შევერთდეთ და შეექმნათ ერთი ძლიერი ორგანიზაცია.

თავისთავად ცხადია, რომ მთლიანი ორგანიზაციის დროსაც არა თუ შესაძლებელია, არამედ ჯანსაღი განვითარების ინტერესებისათვის უნდა არსებობდნენ კიდეც იდეური სხვადასხვაობა და უთანხმოებანი, პირიქით, ეს იდეური უთანხმოებანი განუწყვეტლივ უნდა აცხოველებდნენ პარტიის ცხოვრებას, წინ ეწეოდნენ მას და არ აძლევდნენ ერთ წერტილზე შეჩერების საშუალებას“ [2].

ამხ. ფ. მახარაძე იმ თეზისის დაცვით, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები ფრსებითად ერთიანი პროგრამის ნიადაგზე დგანან და ერთნაირად ესმით ის უდიდესი ამოცანები, რომელთა შესრულებაც ისტორიამ მუშათა კლასს დააკისრა, ახდენს ბოლშევიზმის ისტორიისა და იმ უდიდესი ბრძოლის შინაარსის

---

[1] სტალინი. „ოქტომბრის გზაზე“, გვ. XXIII, გამოც. 1925 წ.
[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 28 მარტი, 1917 წ.

დაუშვებელ დამახინჯებას, რომელსაც აწარმოებდა ბოლშევიკური პარტია ოპორტუნიზმის წინააღმდეგ დღიდან თავისი ჩასახვისა.

გათიშვა II ყრილობაზე და ლენინურ-სტალინური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნა სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის უდიდესი უფსკრული აღმოჩნდა რევოლუციის ყველა ძირითადი ამოცანის გაგებაში. ლენინის უკვდავი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან გენიალური გამჭრიახობით გამოააშკარაკა მენშევიკების — მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის ამ აგენტების — ოპორტუნიზმი.

„ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, არსებობს 1903 წლიდან“ [1].

ებრძოდნენ რა შემარიგებლურ ელემენტებს საკუთარ რიგებში, ბოლშევიკებმა დაიცვეს თავისი პარტია და განამტკიცეს ეს მონაპოვარი III ყრილობაზე 1905 წელს.

პარტიის მთელი შემდგომი ისტორია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შეურიგებელი ბრძოლაა პროლეტარიატის ყველა მტრისა და უწინარეს ყოვლისა კი მენშევიზმის წინააღმდეგ.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკები, რომელთაც მესაჭედ ამხანაგი სტალინი ჰყავდათ, — სწერს ამხ. ლ. ბერია, — შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა კი მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, „შემარიგებლებისა“ და „შემთანხმებლების“ წინააღმდეგ.

ისტორიულმა „წერილებმა კავკასიიდან“, რომლებშიაც ამხანაგი სტალინი ნიღაბს ხდის სტოლიპინის „მუშათა პარტიის“ იდეოლოგებსა და მშენებლებს, უდიდესი როლი ითამაშეს მენშევიკების გამოაშკარავებისა და განადგურების საქმეში“ [2].

ტფილისში ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანება ორგანიზაციულად გაფორმებულ იქნა 1917 წლის 24 (11) მარტს და ამავე დღეს არჩეულ იქნა ტფილისის საერთო პარტიული კომიტეტი.

ბოლშევიკების გაერთიანება მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში დაუშვებელი ნაბიჯი იყო, ეს ეწინააღმდეგებოდა მენშევიკების როლის ლენინურ-სტალინურ შეფასებას, რომელთა შესახებაც ლენინი თავის სტატიაში „ორ-ხელისუფლებიანობის შესახებ“ სწერდა, რომ ისინი:

„**აბნელებენ მუშათა შეგნებას, და არა ანათლებენ მას, უნერგავენ წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს, და არა უარყოფენ მათ, ამტკიცებენ ბურჟუაზიის გავლენას,**

---

[1] ლენინი, ტ. XXV, გვ. 174.

[2] ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 171, პარტგამომც., 1935 წ.

Суббота, 1 Іюля 1917 г. Россійская Соціалъ - Демократическая Рабочая Партія. Цѣна 7 коп.

КАВКАЗСКІЙ РАБОЧІЙ

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

Органъ Тифлисскаго Комитета Р. С.-Д. Р. П. (большевиковъ)

№ 88 ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА № 88

ПОДПИСКА НА КАВКАЗСКІЙ РАБОЧІЙ

Телефонъ № 3—11.

БЮРО

БЮРО

3-го Іюля собраніе коллегіи пропагандистовъ

ОЦѢНКА ФАКТА,

ბოლშევიკური გაზ.„კავკაზსკი რაბოჩიი“ პირველი გვერდი, 14 (1) ივლისი, 1917 წ., № 88.

მასებზე, და არა ანთავისუფლებენ მასებს ამ გავლენისაგან“[1].

ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებამ უარყოფითი როლი ითამაშა, ვინაიდან ეს ხელს უშლიდა რევოლუციაში მენშევიკების ნამდვილი როლის მხილებას და შათგან მუშათა მასების ჩამოშორებას.

მაგრამ, მიუხედავად ამხანაგების ერთი ჯგუფის მცდარი ცდისა — შეექმნათ გაერთიანებული ორგანიზაცია მენშევიკებთან ერთად, „გაერთიანების“ პირველი დღიდანვე გამწვავდნენ პრინციპული უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის რევოლუციის შემდგომი განვითარების ყველა ძირითად საკითხებში.

იმ დროს, როცა მენშევიკები ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებით კმაყოფილდებოდნენ, ბოლშევიკები შეუდგნენ თავისი საკუთარი პოლიტიკური ხაზის გატარებას და აძლევდნენ მასებს ბოლშევიკურ ლოზუნგებს. ბოლშევიკური ხაზი მიმართული იყო რევოლუციის შემდგომი განვითარებისაკენ, მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისაკენ, მუშათა კლასისა და უღარიბესი

---

[1] ლენინი. ტ. XX, გვ. 95.

გლეხობის დარაზმვისაკენ ხელისუფლებისათვის პირდაპირი ბრძოლის გასაჩაღებლად.

ბოლშევიკები ბრძოლას აწარმოებდნენ ნაციონალურ ცრურწმენათა დასაძლევად, რასაც მძლავრად ჰქონდა გადგმული ფესვები არა მარტო ამიერკავკასიის გლეხობაში, არამედ მუშათა ერთ ნაწილშიაც. ამიერკავკასიის ბოლშევიკები თანდათანობით იპყრობდნენ მშრომელ მასებს და ჰქმნიდნენ და ამზადებდნენ ოქტომბრის პოლიტიკურ არმიას.

24 (11) მარტს ტფილისში გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“.

იცავდნენ რა ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს, ქართველი მენშევიკები თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე აწარმოებდნენ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ და ცდილობდნენ მათს გაძევებას მასებისაგან. მენშევიკები ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ბოლშევიკური ბეჭდვითი ორგანოების — „კავკაზსკი რაბოჩის“, „ბაკინსკი რაბოჩისა“ და სხვ. გავრცელებას. ბოლშევიზმთან ბრძოლაში მათ უმალვე გადმოიღეს რუსეთის კონტრრევოლუციის ღონისძიებანი (გაზეთ „პრავდას“ დახურვა პეტროგრადში) და ჯერ კიდევ 2 მაისს (19 აპრილს) ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით, დაადგინა კონფისკაცია მოეხდინა და არ გაევრცელებინა არც ფრონტზე და არც ზურგში 40 ათასი ეგზემპლიარი „პრავდა“, როგორც „მავნე და საშიშარი გაზეთი“.

პეტროგრადში მოწვეული ბოლშევიკების აპრილის კონფერენციის შემდეგ, ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით, ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გასწყვიტეს ორგანიზაციული კავშირი მენშევიკებთან და შეჰქმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური პარტია (ყველაზე ადრე ეს მოხდა ტფილისში, შემდეგ ბაქოში, ბათომში და სხვა ადგილებში).

მენშევიკებთან გათიშვის გამო რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტი თავის მიმართვაში ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი, 1917 წლის 19 (6) ივნისის თარიღით, სწერდა:

> „მომენტის სერიოზულობა და წამოყენებულ ამოცანათა სწორი გადაჭრის სიძნელენი დაჟინებით გვიკარნახებენ, რომ საჭიროა პროლეტარიატისა და მისი პარტიის ორგანიზაციული შემჭიდროება სოციალიზმის დროშის გარშემო, რომელიც აშუქებს გარედან შემოტანილ წვრილბურჟუაზიულ ქანაობათაგან თავისუფალი წმინდა პროლეტარული პოლიტიკის დაცვის ეკლიან და მძიმე გზას... მენშევიკები მხარს უჭერენ დროებითი მთავრობას, რომელიც აქტიურად რაზმავს კონტრრევოლუციას და აწარმოებს შეტევითი იმპერიალისტურ ომს; ისინი მხარს უჭერენ ეგრეთწოდებულ „თავისუფლების სესხს“ და ეწინააღმდეგებიან ფრონტზე დაძმობილებას; ისინი ცდილობენ ინტერნაციონალის აღდგენას არა ყველა იმპერიალისტებთან გათიშვის საფუძველზე, არამედ შეიდემანებთან ერთად, რომლებმაც თავი ბურჟუაზიას მიჰყიდეს.
>
> ჩვენს პარტიას არ შეუძლია წავიდეს რაიმე დათმობაზე... რევოლუ-



ქუთაისი, 1 ივნისი 1917 წ.

ფასი 10 კაპ.

ბრძოლა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის

№ 1

მეუშვრავლესეთა გაზეთი

№ 1

ბოლშევიკური გაზ. „ბრძოლის“ № 1, 1917 წ.

ციური ობორონცობის სასარგებლოდ, რათა დაიცვას პროლეტარიატი ყოველგვარი მისთვის უცხო გავლენისაგან, და ის გადაკრით სწყვეტს კავშირს ობორონცობასთან. ამიტომ კრებამ (ტფილისის ორგანიზაციის) დაადგინა: გასწყვიტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც სდგას რევოლუციური ობორონცობის თვალსაზრისზე, გამოიწვიოს იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე ბოლშევიკი და შეჰქმნას ცალკეული სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც გაიზიარებს რევოლუციური სოციალდემოკრატიის თვალსაზრისს“.[1]

ბოლშევიკური გავლენა მოედო ამიერკავკასიის სოფლებსაც. იგი შესამჩნევი გახდა აგრეთვე ჯარისკაცთა მასებშიაც.

ტფილისში გარნიზონის ჯარისკაცები განსაკუთრებული ხალისით ესწრე. ბოდნენ ბოლშევიკურ მიტინგებს, რომელიც ალექსანდრეს ბაღში იმართებოდაეს მიტინგები ნამდვილ ბოლშევიკურ სკოლად გადაიქცა, სადაც ჯარისკაცები ორატორების დახმარებით ბოლშევიკურ ხაზს ეცნობოდნენ რევოლუციაში. პარტიის ლოზუნგები: „ძირს ომი“, „მიწა გლეხებს“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და სხვ. ჯარისკაცებში მხურვალე გამოძახილს პოულობდნენ.

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი“ № 67, 19 (ბ) ივნისი, 1917 წ.

ბოლშევიკების მტკიცე მუშაობის მეოხებით ჯარისკაცთა მასები არმიაში ჩქარა თავისუფლდებიან მენშევიკური ობორონცული პარტიებისა და ესერების გავლენისაგან და დგებიან ბოლშევიკური დროშის ქვეშ.

მიუხედავად მენშევიკებისა და ესერების გაბატონებული და მმართველი პარტიების სასტიკი წინააღმდეგობისა, ტფილისში 8 ივლისს (25 ივნისს) მოეწყო ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 10 ათასი ჯარისკაცი. მიტინგზე მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია:

„მაშინ, როდესაც ყველა მეომარი ქვეყანა გამოფიტულია, შეტევა არასოდეს და არავის გამარჯვებას არ მიანიჭებს. ამ შეტევის ერთადერთი შედეგი იქნება დასახიჩრებულ და დავრდომილ მსხვერპლთა ახალი მილიონები, დადგება ადამიანთა დასისხლიანებული ხორცის ახალი მთები და კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის ახალი ზეიმი. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბრძანება შეტევის შესახებ არ შეიძლება თავისუფალი ხალხის ბრძანება იყოს, ეს იმ ბურჟუაზიის საქმეა, რომელიც დროებითი მთავრობაში უმრავლესობას შეადგენს და ომის საქმეს თავის სასარგებლოთ სწყვეტს. და ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო დაჟინებით, კიდევ უფრო გადაჭრით მოვითხოვთ, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში“ [1].

პეტროგრადში პროლეტარიატის ივლისის გამოსვლის დროს, რაც კონტრრევოლუციურმა დროებითმა მთავრობამ მუშათა და ჯარისკაცთა დახვრეტით დაამთავრა, ბოლშევიკების სამხარეო ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო ერთბაშად მიეცა სწორი პოლიტიკური შეფასება მომხდარი ამბებისათვის.

ეს კიდევ ცოტაა. ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის სახელით, მენშევიკებთან, ესერებთან და სხვა პარტიებთან ერთად, ხელმოწერილ იქნა მოწოდება, სადაც რევოლუციურ ძალთა ერთიანობისათვის დაუშვებლად იყო მიჩნეული

„ყოველგვარი ცალკეული გამოსვლა, როგორც შეიარაღებული, ისე შეუიარაღებელი, ვისაც არ უნდა მოეწყო იგი, რევოლუციურ ორგანიზაციათა ცენტრებისა და რევოლუციურ პარტიათა წარმომადგენლების შეუტყობინებლად და მათი თანხმობის გარეშე“ [2].

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოასწორეს თავიანთი შეცდომა და სწორი შეფასება მისცეს პეტროგრადში 17 (4) ივლისს მომხდარ დემონსტრაციას.

რსდმპ (ბ) ტფილისის საერთო-საქალაქო კონფერენციის რეზოლუციაში ამის შესახებ ნათქვამი იყო:

„პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატი და რევოლუციური ჯარების ერთი ნაწილი კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და წვრილბურჟუაზიული ფენების იდეოლოგებთან წარმოებულ გადამწყვეტ ბრძოლაში ამჟამად ავანგარდში უდგას უდიდეს სოციალურ მოძრაობას. შემთან-

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 85, 27 ივნისი, 1917 წ.

[2] „გოლოს კრაევოგო სოვეტა“ № 19, 1917 წ.

ხმებლური პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგების (მენშევიკებისა და ესერების) ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი საბჭოების უმეტესობის შეტევისათვის მხარის დაჭერამდე, ხელს უწყობდა კონტრრევოლუციური ძალების აშკარა ორგანიზაციას, კაპიტალისტ-მინისტრების, სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მეთაურობით, და ძალადობის გამოყენებას რევოლუციური მასებისა და სოციალისტური პროლეტარიატის ბელადების წინააღმდეგ“ [1].

რეზოლუციის შემდგომ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ:

„რევოლუციის გამარჯვებით დამთავრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავა“.

რევოლუციური ხელისუფლების უახლოეს ამოცანად რეზოლუცია აყენებდა ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკასთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტას, წარმოების ორგანიზაციას და მასზე კონტროლის დაწესებას, ბურჟუაზიის ზედმეტი მოგების კონფისკაციას, მემამულეების, მონასტრებისა და სხვა მიწების დაუყოვნებლივ კონფისკაციას და მათს გადაცემას გლეხთა საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში და სხვ.

ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ მუშაობას აწარმოებდა მუშა-ახალგაზრდობაში და უკვე სექტემბერში ტფილისში მოეწყო ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტების კავშირი—„სპარტაკი“.

პეტროგრადში მომხდარი ივლისის ამბების შემდეგ დააპატიმრეს მთელი რიგი ბოლშევიკები. მათ ბრალს სდებდნენ პროვოკატორობასა და გერმანელთა სასარგებლო ჯაშუშობაში; ქართველი მენშევიკები ურცხვად იმეორებდნენ ბურჟუაზიის საზიზღარ ცილისწამებას.

სტატიაში—„ლენინელთა ახალი შემოტევა“—მენშევიკური გაზეთი „ბორბა“ გააფთრებით გაჰყვიროდა:

„ლენინელების მიერ გადადგმული ნაბიჯები ერთიმეორეზე უფრო უგუნურია. დაძმობილების ქადაგება, შემდეგ გლეხთა მიერ მიწების ძალად ხელში ჩაგდების ქადაგება, ხოლო მის შემდეგ „კრონშტადტის რესპუბლიკა“... ისინი აწყობენ მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებულ გამოსვლას, არც მეტი და არც ნაკლები! ლენინური კამპანიის უგუნურება ჩვენთვის უკვე ცხადი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ ისინი სერიოზულად ფიქრობდნენ სამოქალაქო ომის დაწყებას... რუსეთის რევოლუცია განადგურების საფრთხის წინაშე იმყოფება... მაგრამ მას ეს საფრთხე მოელის უკვე არა მარჯვნიდან, არა იმდენად მარჯვნიდან, რამდენადაც „მარცხნიდან“... კონტრრევოლუცია გადაბარგდა მემარცხენე ფრთაზე, ლენინელებთან, რომლებმაც... მზაკვრულად დაჰფარეს ეს შავი რაზმი პროლეტარული წითელი დროშით... [2] ბრძოლა დაუნდობე-

---

[1] „კავკასკი რაბოჩი“ № 97, 1917 წ.

[2] გაზ. „ბორბა“ № 33, 1917 წლის 14 ივნისი.

ლი, ბრძოლა თანამედროვე ბოლშევიზმთან ანუ მაქსიმალიზმთან, — სწერდა იგივე გაზეთი, — მორიგი ამოცანაა ყველა იმათი, ვისთვისაც ძვირფასია რევოლუციისა და თავისუფლების ინტერესები“ [1].

მუშათა და მშრომელთა შორის ბოლშევიკური გავლენის ზრდასთან ერთად, კლასობრივ ძალთა განწყობილების ცვლილებასთან ერთად და სოციალისტური რევოლუციის გაძლიერების მიხედვით, მენშევიკები ცალკეული დევნა-წასისინებისაგან გადადიან აშკარა ბრძოლაზე ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დიდი ხნით ადრე ქართველი მენშევიკები ირაზმებიან როგორც აქტიური ძალა რევოლუციის წინააღმდეგ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც მუშათა და გლეხთა მასების უდიდესი რევოლუციური აღმავლობის შედეგი იყო, ერთადერთი თანამიმდევრული ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც ლენინი და სტალინი მეთაურობდნენ, ქართველმა მენშევიკებმა შეაფასეს როგორც „ნაძირალების“, „დაურაზმავი ბრბოს“ აჯანყება. თვით აჯანყება კი მათ გამოაცხადეს „ავანტურისტების ბლანკისტურ შეთქმულებად რევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ“.

პოლიტიკური ხელისუფლების დამყარება რუსეთის პროლეტარიატის მიერ უარიბეს გლეხობასთან კავშირში მენშევიკებს „დემაგოგ-ბოლშევიკების“ „წუთიერ გამარჯვებად“ ეჩვენებოდათ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აუცილებელ ლიკვიდაციასა და დაღუპვაში.

ტფილისის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, რომელიც სასწრაფოდ მოწვეულ იქნა ოქტომბრის გადატრიალებასთან დაკავშირებით, მენშევიკი ე. გეგეჭკორი ამბობდა:

„ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალება, თუნდაც პეტროგრადის პროლეტარიატისა და გარნიზონის მეტი ნაწილის მხარის დაჭერით, მაგრამ მთელი დანარჩენი რუსეთის თანაგრძნობის გარეშე, შეთქმულობის მეთოდს წარმოადგენს.

ძალაუფლების ასეთი საშუალებით ხელში ჩაგდება განწირულია, ის აუცილებლად დამარცხდება, რადგან ხელისუფლება მოიპოვება მხოლოდ ბრძოლით და მთელი კლასის აჯანყებით, და არა შეთქმულობით. ამნაირად შექმნილი ხელისუფლება ვერ იარსებებს. ბოლშევიკებმა იხელმძღვანელეს რა იმ გარემოებით, რომ ამჟამად შესაძლებელია სოციალისტური რევოლუცია, სახიფათო გზა აირჩიეს და ხელი მიჰყვეს პროლეტარიატის უდროო იზოლაციას მთელი დანარჩენი დემოკრატიისაგან. ძალაუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენს ამ გზაზე გადადგმულ ერთერთ ნაბიჯს და უკვე იწვევს პროლეტარიატის იმ ნაწილის იზოლაციას, რომელიც ბოლშევიკებს მიჰყვება, და აგრეთვე მის დამარცხებას“ [2].

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 29, 1917 წლის 9 ივნისი.

[2] „ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ № 175, 13 ნოემბერი (31 ოქტომბერი), 1917 წ.

ბოლშევიზმის ძველთაძველი მტრები და კონტრრევოლუციის ხელის შემწყობნი—ქართველი მენშევიკები—უარს არ იტყოდნენ იმაზე, რომ დაუყოვნებლივ შეეწყოთ ხელი ოქტომბრის მონაპოვართა სისხლიანი განადგურებისათვის, მაგრამ ამ პროგრამით აშკარად გამოსვლა მათ პირველ ხანებში ვერ გაბედეს.

ამიტომ, პეტროგრადის პროლეტარიატის გამოსვლის საპასუხოდ მენშევიკებმა წამოაყენეს მოთხოვნა აჯანყების მშვიდობიანი ლიკვიდაციისა და ერთნაირი დემოკრატიული ხელისუფლების შედგენის შესახებ, დაწყებული ბოლშევიკებიდან სახალხო სოციალისტებამდე, ამ უკანასკნელთა ჩარიცხვით.

ეს პირველი ნაბიჯი იყო მენშევიკების კამპანიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ისინი ყალბ ხმებს ავრცელებენ იმის შესახებ, რომ თითქოს ბოლშევიკები დამარცხდნენ, დროებითი მთავრობის ერთგულმა ჯარებმა გაიმარჯვეს და სხვ.. მენშევიკმა ა. ჩხენკელმა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის სახელით დეპეშა დაუგზავნა საგუბერნიო კომისრებს. ამ დეპეშაში ლაპარაკი იყო „ხელისუფლების კრიზისზე“ პეტროგრადში, რის გამოც ის წინადადებას იძლეოდა „მიღებულ იქნას უაღრესად გადამწყვეტი ზომები წესიერებისა და სიწყნარის დასაცავად და არ იქნას დაშვებული წესრიგის არავითარი დარღვევა და არავითარი თვითნებური გამოსვლები“. იგივე ა. ჩხენკელი 10 ნოემბერს (28 ოქტომბერს) უქვეშევრდომილეს დეპეშას უგზავნის კერენსკის.

მენშევიკები პრესაშიაც და კრებებზედაც თანდათან უფრო გაბედულად გამოდიოდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ, ბეჭდავდნენ გაზეთებში აშკარად ყალბ ცნობებს, ლაფში სვრიდნენ ბოლშევიკებს, ამახინჯებდნენ და სახელს უტეხდნენ სახალხო კომისართა მოღვაწეობას. საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები მენშევიკებში უდიდეს სიძულვილსა და გაბოროტებას იწვევდნენ.

„ეს დემაგოგიაა საშინაო პოლიტიკაში, — გაჰკიოდნენ დორბლმორეული მენშევიკები გაზ. „ერთობის“ ფურცლებზე,—ეს დემაგოგიაა საგარეო პოლიტიკაში. მათი (ე. ი. ბოლშევიკების.—გ. ხ.) დეკრეტები ვერავითარ გამოძახილს ვერ პოულობენ რევოლუციურ მასაში. მათი დაბირებანი მხოლოდ დაბირებად დარჩებიან“.

მიწის შესახებ გამოცემული უდიდესი დეკრეტის გამო, რომელმაც მემამულეთა ბატონობის საფუძვლები მოსპო და გლეხთა ბატონყმური ექსპლოატაციის სრული ლიკვიდაცია მოახდინა, მენშევიკურმა გაზეთმა „ბორბამ“ მთავარი საადგილმამულო კომიტეტის სახელით მოწოდება დაბეჭდა მოსახლეობის მიმართ, სადაც ნათქვამი იყო:

„დეკრეტი არის უკანონო და არანამდვილი. მას შეუძლია მხოლოდ უწესობის გაძლიერება და მიწების თვითნებურად ხელში ჩაგდების გახშირება. ის სრულიად შეუძლებელს გახდის მიწის საკითხის სწორად გადაჭრას. წინადადება გეძლევათ არ შეასრულოთ ეს დეკრეტი და არც სხვას მისცეთ მისი შესრულების ნება“.

13 ნოემბერს (31 ოქტომბერს) გაზ „ერთობა“ აუწყებდა მოსახლეობას

ბოლშევიკების „უკანასკნელი დღის“ შესახებ. მეთაურ წერილში — „ბოლშევიკური აჯანყების ლიკვიდაციის წინადღით“ — „ერთობა“ სწერდა:

„უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს სახელმწიფო დაწესებულებები და გადასცეს ისინი მთავრობას. აჯანყების ლიკვიდაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. მოხდა ის, რასაც ჩვენ თავიდანვე მოველოდით. შეთქმულობა ყოველთვის დამარცხებით თავდება, მით უმეტეს, თუ ის არ ემყარება ფართო მასების თანაგრძნობას და მხარის დაჭერას. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნენ ბოლშევიკები. რევოლუციური დემოკრატიის დიდი ნაწილი გამოეყო მათ და აჯანყების ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო... უმცირესობა უძლურია მოახვიოს უმრავლესობას თავისი სურვილები... ბოლშევიკები დამარცხდნენ...“

ავრცელებდნენ რა ასეთ ყალბ ხმებს, მენშევიკები ამავე დროს ენერგიულად მუშაობდნენ კონტრრევოლუციის ძალთა უშუალო ორგანიზაციისათვის. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კლასებს, რომ გაერთიანებული ძალღონით ჩაეკლათ რევოლუცია თავის ქვეყანაში და ხელი გაეწოდებინათ დასახმარებლად რუსეთის კონტრრევოლუციისათვის.

მენშევიკების ერთერთი უპირველესი ღონისძიება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოველად საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის შექმნა იყო. ამ კონტრრევოლუციური კომიტეტის ინიციატივით 24 (11) ნოემბერს ტფილისში შესდგა თათბირი ამიერკავკასიაში ხელისუფლების მოწყობის შესახებ. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ: მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრები, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო, ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ქალაქის გამგეობა, ნაციონალ-შოვინისტური პარტიები და სხვ.. ამ თათბირს დაესწრნენ კონტრრევოლუციური რუსი გენერლებიც: კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი, შტაბის უფროსი გენერალი ლებედინსკი, გენერალი ლევანდოვსკი, არმიის შტაბში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტები და ამერიკის კონსული. თათბირმა გადაწყვეტილება გამოიტანა დამოუკიდებელი ხელისუფლების მოწყობის შესახებ.

ამნაირად, სოციალ-შოვინისტებმა აშკარა კონტრრევოლუციონერ-მებატონეებთან ერთად შეჰქმნეს მთლად ამიერკავკასიის საერთო ხელისუფლება, მენშევიკი ევგ. გეგეჭკორის მეთაურობით.

„მათი (მენშევიკების) პოლიტიკა, — სწერდა ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, — მეტად ნათელია: დაჰკარგეს რა ყოველგვარი ნიადაგი რუსეთში, საბოლოოდ გაიტეხეს რა სახელი იქ და შეირცხვინეს რა თავი იქაურ ბურჟუაზიასთან კავშირით, მათ სურთ გამაგრდნენ აქ — პერიფერიაში, განაპირა მხარეში. ამით აიხსნება მათი გეგმა ამიერკავკასიის გამოყოფისა რუსეთისაგან, მათი ქათინაურები და რეფერანსები სომხის, ქართველი და მუსულმანი შოვინისტების წინაშე“ [1].

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 206, 1917 წ.

მენშევიკები არ მალავდნენ თავიანთ ნამდვილ ზრახვებს. მათ აშკარად იწყეს იარაღის ყღარუნი. ხელისუფლების მოწყობის შესახებ მათ გამოუშვეს მოწოდება მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი, სადაც აცხადებდნენ:

„სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალდემოკრატი-მენშევიკები, ინტერნაციონალისტები და ყველა სოციალისტური პარტიები სწყვეტენ კავშირს პეტროგრადის ბოლშევიკებთან და ჰქმნიან ამჟამად ახალ დემოკრატიულ ხელისუფლებას, საკმაოდ ავტორიტეტულს და ძლიერს, რომელიც შესძლებს ენერგიული ბრძოლის წარმოებას როგორც ანარქისტულ გამოსვლებთან—მარცხნივ, ისე კონტრრევოლუციურთან—მარჯვნივ და მიიყვანს ქვეყანას დამფუძნებელ კრებამდე“.

რაც შეეხება „მარჯვნივ“ ბრძოლას, მენშევიკები აქ აშკარად სტყუოდნენ. მათ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ოქტომბრამდე მჭიდრო კავშირი დაამყარეს ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან. ნ. ჟორდანიას მიერ ჯერ კიდევ მარტში დაწყებული ფარული მოლაპარაკება მათთან აშკარად ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებულ ქართულ ნაციონალურ კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნა ტფილისში ნოემბრის ოციან რიცხვებში. კრება სრული ერთიანობის სურათს წარმოადგენდა, რადგან მასში მონაწილეობას იღებდნენ ყველანი, დაწყებული ნ. ჟორდანიათი, რომელიც „ნაციონალურ გმირად“ იყო აღიარებული, და გათავებული ნაციონალ-დემოკრატებით, ფედერალისტებითა და საქართველოს კათალიკოს კირიონით.

„ჟორდანიამ და ჩხენკელმა, და მათთან ერთად მენშევიკურმა ცხვრის ფარამ, ქართველი შოვინისტების სასიამოვნოდ და სასაცილოდ ფეხქვეშ გასთელეს მუშათა კლასის დროშა — დროშა ინტერნაციონალიზმისა და ააფრიალეს მაღლა ნაციონალური შოვინიზმის სამფეროვანი დროშა. ამაზე მეტი სირცხვილი და გაბახება შეუძლებელია“—სწერდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ [1].

* *

ცნობას პეტროგრადში მომხდარი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ მხურვალედ გამოეხმაურა ამიერკავკასიის პროლეტარიატი.

ამხანაგმა სტალინმა თავის სტატიაში — „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბ ქვეშ“, რომელიც დაწერილია 1918 წლის მარტში შამქორში რევოლუციური ჯარისკაცების დახვრეტასთან დაკავშირებით, აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა.

„ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შესცვალა მდგომარეობა. მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობანი და დასვა საკითხი ძალაუფლების მშრომელი კლასების ხელში გადასვლის შესახებ. ძახილი— „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს“ მეხივით გავარდა მთელს სახელმწიფოში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები. და როცა ეს ძახილი ჩრდილო-რუსეთში გაისმა და იქ ხორცის შესხმა იწყო, ამიერკავ-

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 206, 1917 წ.

კასიის შეძლებულმა კლასებმა ნათლად დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას მათთვის აუცილებელი სიკვდილი მოაქვს“ [1].

არსენალის რაიონის საერთო კრება, რომელსაც 2 ათასამდე კაცი დაესწრო, 9 ნოემბერს (27 ოქტომბერს) მხურვალედ მიესალმა პეტროგრადის მუშების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების აჯანყებას.

„პეტროგრადში დამყარებული სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მთავრობა,— ნათქვამია რეზოლუციაში,— არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა, რომლის დასაცავადაც ჩვენ ფიცსა ვდებთ რკინის კედელივით აღვიმართოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველა ძალთა და მათს თავისუფალ თუ დაქირავებულ მსახურთა წინააღმდეგ“ [2].

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარსახელოსნოების მუშათა კრებამ, რომელსაც 500 კაცი დაესწრო, 3 ნოემბერს გამოიტანა რეზოლუცია, სადაც აცხადებს, რომ ის

„რევოლუციური პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს, რომელთაც აღმართეს აჯანყების დროშა და ჩამოაგდეს მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობა, მიესალმება მოწინავე მებრძოლთ — პეტროგრადის მუშებს, ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, რომ სახელოსნოს მუშები ხელიხელჩაკიდებულნი რუსეთის ყველა მუშებთან და პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის ავანგარდთან ერთად გამოვლენ მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს — დასაცავად ბურჟუაზიისა და მემამულეთა ყველა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ“ [3].

ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირმა 12 ნოემბერს (30 ოქტომბერს) თავის სხდომაზე საწარმოთა რწმუნებულებთან ერთად გამოიტანა გადაწყვეტილება გაუგზავნოს სტამბის მუშათა სახელით:

„ძმური სალამი რუსეთის რევოლუციის მოწინავე რაზმს — პეტროგრადის მუშებს და ჯარისკაცთა გარნიზონს — მისი სახელოვანი ბრძოლისათვის და... ცნობილ იქნას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ გადარჩევის აუცილებლობა, რითაც შესაძლებლობა მიეცეს მუშებსა და ჯარისკაცებს გამოსთქვან თავისი ნამდვილი ნებისყოფა და აღჭურვონ თავისი ნდობით რევოლუციური დემოკრატიის ჭეშმარიტი წარმომადგენლები“ [4].

მხურვალედ მიესალმა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ბათომის მუშათა კრება (1.500 კაცის შემადგენლობით). რეზოლუციები და მისალმებანი

---

[1] გაზ. „პრავდა“ № 55 და 56, 1918 წ. 26 და 27 მარტი.
[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 136. 1917 წ. 4 ოქტომბერი.
[3] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 194, 1917 წ.
[4] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 198, 1917 წ.

გამოჰქონდათ აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლის რაიონებშიაც.

თავისთავად გასაგებია, რომ ასეთი რეზოლუციები ჯერ კიდევ არ მოწმობდნენ იმას, რომ საქართველოს მთელი მუშათა კლასი საესებით განთავისუფლდა შემთანხმებლური იდეებისაგან, გასწყვიტა კავშირი კონტრრევოლუციურ მენშევიზმთან და დადგა ბოლშევიკური დროშის ქვეშ.

„კარგი რეზოლუციები და დეკლარაციები... ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია, რადგან ეს ნიშნავს მხოლოდ გამარჯვების სურვილს, და არა თვითონ გამარჯვებას“ [1].

მაგრამ შემთანხმებლებისაგან უფრო შეგნებული მუშების ჩამოშორება 1917 წელს უკვე მეტი სისწრაფით მიმდინარეობდა.

მენშევიკების სოც.-დემ. ორგანიზაციების საოლქო ყრილობაზე 1917 წ. 13 ოქტომბერს (30 სექტემბერს) ნ. ჟორდანია, ეხებოდა რა პროლეტარიატის განწყობილებას, იძულებული იყო განეცხადებინა:

„თავისი ტაქტიკა მენშევიკებმა ახლა ისე უნდა ააგონ, რომ მუშათა მასები გაანთავისუფლონ იმ ბოლშევიკური განწყობილებისაგან, რომელსაც ისინი მოუცავს“ [2].

1917 წლის დასასრულიდან და 1918 წლის დასაწყისიდან მეტად სწრაფი ტემპით იწყო გარევოლუციონერება არა მარტო ამიერკავკასიის სამრეწველო პროლეტარიატმა, არამედ გლეხობამაც.

ფრონტზე წარმოებული ივნისის შეტევის შემდეგ ამიერკავკასიაში სწარმოებს კონტრრევოლუციური მენშევიკებისა და ესერების პარტიებისაგან ჯარისკაცთა მასების ჩამოშორების გაძლიერებული პროცესი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კი არმიის ბოლშევიზაცია კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით მიმდინარეობს. ჯარისკაცთა შორის უდავოდ გაბატონდა ბოლშევიკური პარტიის გავლენა.

მაგალითად, 10 ნოემბერს (28 ოქტომბერს) ტფილისში 36 ჯარის ნაწილმა მოაწყო ეგრეთწოდებული სადელეგატო კრება, რომელმაც უარჰყო ჯარისკაცთა დეპუტატების ძველი მენშევიკურ-ესერული საბჭო, მოითხოვა მისი გადარჩევა და კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის მოწვევა.

24 (11) ნოემბერს ტფილისში შესდგა მრავალათასიანი საგარნიზონო მიტინგი, სადაც დადგენილ იქნა: მხურვალედ მიესალმონ პეტროგრადის რევოლუციური არმიას, რომელმაც ჩამოაგდო კერენსკის კონტრრევოლუციური მთავრობა.

„...ვაღიარებთ, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში,—რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას შეუძლია მიანიჭოს ქვეყანას საყოველთაო მშვი-

---

[1] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, გამოც. 10, გვ. 589-590.
[2] ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე“, გვ. 40.

დობიანობა. მისცეს პური მშიერთ. მიწა—გლეხებს. თავისუფლება—ყველას და შეუბრალებლად ჩაახშოს ყოველგვარი კონტრრევოლუციური ცდები"[1].

გაბოლშევიკებული არმია ამიერკავკასიაში მზად იყო რევოლუციურ მუშებთან და გლეხებთან ერთად გამოსულიყო იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ამიერკავკასიაში. რევოლუციის გაძლიერების დროს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. 1917 წლის დასასრულს და 1918 წლის დამდეგს. ჯარს უეჭველად გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა. ეყრდნობოდა რა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებს, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა (შესდგა 1917 წლის 15 (2) ოქტომბერს თბილისში) დაადგა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მიერ ხელისუფლების დაპყრობის გზას.

მალე კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობის შემდეგ მუშათა კლასმა ღარიბ გლეხობასთან კავშირში, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგნენ ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი, მოახდინა რუსეთში დიადი სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც კაცობრიობის ცხოვრებაში სათავე დაუდო ახალ ერას.

კონკრეტული ისტორიული მასალის შესწავლას მივყავართ იმ უდავო დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიაში 1917 წლის შემოდგომაზე შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია, რომ იქ არსებობდა საკმაო ბაზა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გასაშლელად.

თბილისის ჯგუფი: — ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, მ. ორახელაშვილი, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვ., რომლებიც შემდეგში ფაშისტებად და ხალხის საზიზღარ მტრებად გადაიქცნენ, რომლებიც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ცდილობდნენ წაეყვანათ პარტია მენშევიკური გზით, — კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობისა და დიადი ოქტომბრის შემდეგაც განაგრძობდა თავის საზიზღარ გამცემლურ ხაზს ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ამ ჯგუფმა გვერდი აუარა ჯარის ნაწილების რევოლუციურ განწყობილებას, ბრძოლის ნაცვლად იცავდა დებულებას — „ძალაუფლების მშვიდობიანი გზით ხელში ჩაგდების" შესაძლებლობის შესახებ და წამოაყენა ლოზუნგი: „ბრძოლა საბჭოების ხელისუფლების ცნობისათვის — ოპორტუნისტული პარტიების მიერ".

ამ გამცემლურმა ტაქტიკამ „კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაჭრის" შესაძლებლობის შესახებ გამოიწვია ის, რომ, თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბოლშევიკური ფრაქცია დასთანხმდა დაეთხოვა სადელეგატო კრება, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, და ასე ჩამოიშორა მსხვილი ორგანიზაცია, რომელიც ჯარის 36 ნაწილს აერთიანებდა.

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" № 206, 1917 წ.

ს. შაუმიანი

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ბლოკმა, მენშევიკების მეთაურობით, მოიმიზეზა, რომ ბოლშევიკები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ჰეტროგრადთან დიდი შეიარაღებული დემონსტრაციის მოსაწყობად[1]; ქ. ტფილის-

[1] მენშევიკებმა გაიგეს რომ ამხ. ს. შაუმიანმა 6 დეკემბერს (23 ნოემბერს) პირდაპირი მაგთულით აცნობა ამხანაგ სტალინს: „მოეწყო ამიერკავკასიის ხელისუფლება

ში მან სამხედრო წესები გამოაცხადა და 12 დეკემბერს (29 ნოემბერს) ხელში ჩაიგდო არსენალი.

თვით მენშევიკების მიერ დაწყებული სამოქალაქო ომის თვალსაჩინო გაკვეთილების შემდეგ (არსენალის ხელში ჩაგდება, იარაღის აყრა რევოლუციური სამხედრო ნაწილებისათვის, დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნა სოფლად გლეხთა გამოსვლების წინააღმდეგ, აშკარა კავშირი ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრრევოლუციასთან და სხვ.), ბოლშევიკებმა დასძლიეს თავის საკუთარ რიგებში „კონსტიტუციური ილუზიები", დაეყრდნენ რევოლუციურ მასებს და დაადგნენ ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის გზას.

მოწინავე რაზმად მენშევიკებთან, მუსავატელებთან და დაშნაკელებთან— ამ „ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართულ ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან" (სტალინი) ბრძოლაში ბაქოს პროლეტარიატი მიდიოდა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სექტემბრის გაფიცვამ ბაქოში კლასობრივი ბრძოლა მეტისმეტად გაამწვავა. 28 (15) ოქტომბერს ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, სარეწაო-საქარხნო კომისიებისა და მუშათა კონფერენციების წარმომადგენელებთან ერთად, ბოლშევიკების ინიციატივით, გამოაქვს გადაწყვეტილება საბჭოებისათვის ხელისუფლების გადაცემის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბაქოს საბჭოს ძალა და გავლენა კიდევ უფრო იზრდება. გადარჩევის შემდეგ ახალ საბჭოში ბოლშევიკები კიდევ უფრო მაგრდებიან. საბჭოს თავმჯდომარედ ს. შაუმიანს ირჩევენ.

ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატი დგება გადამწყვეტი შეიარაღებული ბრძოლის გზაზე პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის.

ობორონცებისა და ნაციონალისტებისაგან გეგეჭკორის მეთაურობით. ჩვენ მას ბრძოლა გამოვუცხადეთ, რაკი ის კონტრრევოლუციურად ვაღიარეთ.

ჯარს ასეთი მთავრობის შექმნა რუსეთისაგან ჩამოშორებად მიაჩნია. შეგვიძლია დაეყრდნოთ ჯარების უმრავლესობას და ბაქოს საბჭოს და ვაიძულოთ ისინი იცნონ სახალხო კომისართა ხელისუფლება.

მოველით პასუხს".

მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში

I

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ამიერკავკასიის მქონებელი და ექსპლოატატორული კლასები და მათი დამქაშები დაუფარავი მტრობითა და სიძულვილით შეხვდნენ.

ანტისაბჭოთა ჭოალიციამ ნაჩქარევად შეხანხლა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი, რომელმაც თავის-თავი მთელი მხარის სრულუფლებიან მთავრობად გამოაცხადა.

ამ მთავრობის შედგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ნაციონალისტური პარტიები: ქართველი მენშევიკები, სომხის დაშნაკელები და ბეგებისა და ხანების პარტია — თურქი მუსავატელები.

ამ პერიოდის ნაციონალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკის შესახებ ამხანაგი სტალინი სტატიაში „ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი“ სწერდა:

„რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში (1917 წლის თებერვლიდან) ნაციონალური მოძრაობა განაპირა მხარეებში ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს ატარებდა. რუსეთის ერებმა, რომელნიც „ძველი რეჟიმის“ მიერ საუკუნოებით იჩაგრებოდნენ და იყვლეფებოდნენ, პირველად იგრძნეს თავისი ძალა და გადაეშვნენ მჩაგვრელებთან ბრძოლაში. „ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია“ — ასეთი იყო მოძრაობის ლოზუნგი. რუსეთის განაპირა ქვეყნები მყისვე დაიფარნენ „საერთო-ნაციონალური“ დაწესებულებებით. მოძრაობის სათავეში ნაციონალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია იდგა“ [1].

ბურჟუაზიის მოძრაობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოკანებს არ სცილდებოდა.

„ლაპარაკი იყო, — განაგრძობს ამხანაგი სტალინი, — ცარიზმისაგან, როგორც ნაციონალური ჩაგვრის „ძირითადი მიზეზისაგან“, განთავისუფლებისა და ნაციონალური ბურჟუაზიული სახელმწიფოების შექმნის შესახებ. ერთა თვითგამორკვევის უფლებას განმარტავდნენ როგორც ნაციონალური ბურჟუაზიის უფლებას განაპირა კუთხეებში — თავის ხელში აეღო ძალაუფლება და გამოეყენებინა თებერვლის რევოლუცია „თავისი“ ნაცი-

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 70.

ონალური სახელმწიფოს შესაქმნელად. რევოლუციის შემდგომი განვითა-
რება არ შედიოდა და არც შეიძლებოდა შესულიყო ზემოხსენებული ბურ-
ჟუაზიული ინსტიტუტების ანგარიშში"[1].

ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის პოლიტიკის ინიციატორები, ყველაზე უფრო მომქმედი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები ქართველი მენშევიკები იყვნენ. მეთაურობდნენ რა კონტრრევოლუციურ ბლოკს ამიერკავკასიაში, ისინი სხვა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებზე უფრო აქტიურად ცდილობდნენ შეეჩერებინათ აქ „ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური მსვლელობა" (ლენინი). წარმოადგენდნენ რა იმ პერიოდში მთელი მხარის გაბატონებულ პარტიას, მენშევიკები ხელმძღვანელობას უწევდნენ კოალიციის მთელს კონტრრევოლუციურ პოლიტიკას. გამოაცხადა რა ბოლშევიკური მოძრაობა „ანარქიად", მენშევიკურმა საოლქო კომიტეტმა სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა კონტრრევოლუციურ პარტიებთან ბლოკის შეკვრის შესახებ, რათა ბრძოლა ეწარმოებინა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ამის შესახებ მენშევიკური კომიტეტის სხდომაზე, 14 (1) ნოემბერს, ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

„შ ე ვ უ თ ა ნ ხ მ დ ე თ ყ ვ ე ლ ა პ ა რ ტ ი ე ბ ს დ ა ხ ა ლ ხ ე ბ ს მ თ ა ვ-
რ ობ ის შ ე ს ა დ გ ე ნ ა დ, რ ო მ ე ლ ი ც ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა ხ ე-
ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ნ დ ო ბ ი თ ყ ო ვ ე ლ გ ა რ ი ა ნ ა რ ქ ი ის ჩ ა ს ა ხ შ ო-
ბ ა დ"[2].

ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად, ყველა კონტრრევოლუციურ პარტიებთან მოლაპარაკების საწარმოებლად და მათთან შესათანხმებლად არჩეულ იქნა კომიხია ნ. ჟორდანიას, ე. გეგეჭკორის, ე. ერზიკიანისა და ა. ჩხენკელის შემადგენლობით.

საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის დაშორებულმა და გათიშულმა მდგომარეობამ ჩრდილოეთ-კავკასიაში კონტრრევოლუციის დროებით გამარჯვების გამო, ამიერკავკასიის ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, სამრეწველო პროლეტარიატის სისუსტემ, წვრილმესაკუთრული მოსახლეობის დიდმა სიჭარბემ, ნაციონალურ წინააღმდეგობათა უაღრესად რთულმა გადახლართვამ და მენშევიკებისა და ესერების გამცემლობამ შეაფერხა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში.

ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში — „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბქვეშ" — კლასობრივ ძალთა განწყობილებას, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიაში 1917 წლის რევოლუციის პერიოდისათვის, შემდეგნაირად აფასებდა:

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გამოც. 1934 წ. გვ. 51.

[2] მენშევიკების საოლქო კომიტეტის 1917 წ. ოქმები. 14 (1) ნოემბრის სხდომა. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინს-ტის ტფ. ფილიალში ინახება მენშევიკების საოლქო კომიტეტის 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის ოქმების დედნები. ჩვენ პირველად ვაქვეყნებთ ამ ოქმებიდან ამონაწერებს.

„...ამიერკავკასიის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა. თუ არ ჩავთვლით ბაქოს — მთელი მხარის ამ საომრეწველო ოაზისს, რომელსაც, უმთავრესად, უცხოეთის კაპიტალი ამოძრავებს, მაშინ ამიერკავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას ცოტად თუ ბევრად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით — განაპირა კუთხეებში, ზღვების ნაპირებთან, და წმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით — ცენტრში. ტფილისის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში დღემდისაც ბლომად მოიპოვებიან უზარმაზარი ლატიფუნდიების მქონე მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალური ქართველი თავადები, რომელთაც ჰყავთ სპეციალური შეიარაღებული ბანდები და ხელთ უპყრიათ თათარ-სომეხ-ქართველი გლეხების ბედიღბალი. სწორედ ამით აიხსნება აგრარული „არეულობის“ ის მკაცრი ფორმები, რომლებშიაც ხშირად იხატება იქ გლეხთა უკმაყოფილება. აქვე უნდა ვეძიოთ ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის სისუსტისა და დაუხვეწელობის მიზეზი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს), რომელსაც ძალიან ხშირად ჩრდილავს აგრარული „არეულობა“. ყველაფერი ეს ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნის შეძლებული კლასებისა და ეგრეთწოდებული „სოციალისტური“ ინტელიგენციის (რომლის უმეტესობა თავადაზნაურულია) პოლიტიკური კოალიციისათვის ჩვენს ქვეყანაში ამჟამად აბობოქრებული მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ“ [1].

თუმცა მენშევიკები თავიანთ თავს „რევოლუციურ დემოკრატებს“ უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი კონტრრევოლუციურ და ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას აწარმოებდნენ ამიერკავკასიაში, რადგან მათ მიზნად დაისახეს რადაც უნდა დამჯდარიყო გადაერჩინათ ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლება. ქართველი მენშევიკები აჩაღებდნენ და ასულდგმულებდნენ ბრძოლას რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელიც თავის კლასობრივ დიქტატურას ახორციელებდა. მათ ამიერკავკასია გადააქციეს კონტრრევოლუციის კერად, სადაც რუსეთის ყოველი კუთხიდან იკრიბებოდნენ და ირაზმებოდნენ პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ანტისაბჭოთა ძალები, დამსხვრეულ კლასთა ნაშთები. მენშევიკები თავის სეპარატისტულ პოლიტიკას მასების მოსატყუებლად იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს ბოლშევიკები რუსეთში „მოძალადენი“ და „უზურპატორები“ არიან, რომ მათი დაღუპვა უახლოეს დღეებშივე აუცილებელია და სხვ.

იმ თათბირზე, სადაც საკითხი ირჩევოდა ამიერკავკასიაში ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ, ნ. ჟორდანიამ განაცხადა:

„ცენტრი ჩვენ ვერ გვიხსნის, მასზე იმედის დამყარება ნიშნავს — მიეცე ილუზიას... და აი, ვიდრე არ მოეწყობა, ცენტრალური ხელისუფლება, საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი მთავრობა, რომელმაც თავისი პა-

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი. „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ“, გვ. 81 - 82.

„სუბისმგებლობით ყოველგვარ საშუალებას უნდა მიმართოს ამიერკავკასიის გადასარჩენად“.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მენშევიკები, როგორც II ინტერნაციონალის ღირსეულნი შვილნი, კაუცკების, ჰილფერდინგების, ბაუერებისა და დანების მიერ გამხნევებულნი, მართლაც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ.

ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელსაც მენშევიკი ე. გეგეჭკორი მეთაურობდა, ფაქტიური კავშირი დაამყარა ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრრევოლუციასთან და ვაზნებით, უმბარებითა და სხვადასხვა იარაღით მოამარაგა გენ. კალედინი და ესაული კარაულოვი, განწირული კლასების — მემამულეებისა და კაპიტალისტების — ეს გამხეცებული მომხრენი.

„ამიერკავკასიის ხელისუფლება თავისი პოლიტიკით, — სწერდა ს. შაუმიანი, — არა მარტო არაპირდაპირ, არამედ პირდაპირაც უწევს დახმარებას კალედინს და აშკარად მახვილს სცემს ზურგში რევოლუციას, ღალატობს რუსეთის პროლეტარიატს, ჯარისკაცებსა და გლეხებს“ [1].

მართლაც, ქართველი მენშევიკები აშკარად უწვდიდნენ ხელს რუსეთის კონტრრევოლუციის ყველა წარმომადგენელს.

მოქმედებდნენ რა აგრესიულად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მენშევიკები ამავე დროს განაგრძობდნენ ბრძოლას ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა და აგრეთვე რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცთა წინააღმდეგ. მთელს ამიერკავკასიაში ამ პერიოდში სასწრაფოდ ეწყობა ეგრეთწოდებული ნაციონალური ჯარის ნაწილები და აგრეთვე იარაღს ისხამს მემამულეთა ბანდები სოფლად აღმავალ რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად და სხვ.

მენშევიკებმა ტფილისში ხელთ იგდეს არსენალი, რომელსაც ჯარის ბოლშევიკური ნაწილები იცავდნენ, და ამით მოუსპეს ბოლშევიკურ პარტიას შეიარაღებული ბაზა. სოფლად გაძლიერებულ აგრარულ მოძრაობას მენშევიკები „ხულიგნობად“ და „ძარცვა-გლეჯად“ ნათლავენ და გამოაქვთ დადგენილება — „სასურველად იქნას ცნობილი კაზაკთა ნაწილების გაგზავნა იმ ადგილებში, სადაც არეულობა ხდება“. გლეხთა მოძრაობას მეფურ-ჯალათური სისასტიკით ახშობენ.

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოთხოვნით 1917 წლის დეკემბერში მოწვეული კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის უმრავლესობა ბოლშევიკური აღმოჩნდა. ახლად არჩეულმა არმიის სამხარეო საბჭომ უარი სთქვა ამიერკავკასიის კომისარიატის ცნობაზე და გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო:

...„მტკიცედ იცავს რა ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა და დეკრეტებს მიწის, ზავისა და მუ-

[1] ს. შაუმიანი. „სტატიები და სიტყვები“, გვ. 104.

შათა კონტროლის შესახებ, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო თავს აცხადებს უზენაეს ხელისუფლებად სამხედრო მმართველობის სფეროში“ [1].

მაგრამ არსენალის ხელში ჩაგდებამ საშუალება მისცა მენშევიკებს განეიარაღებინათ ტფილისის გარნიზონი და შეიარაღებული ძალის გარეშე დაეტოვებინათ არჩეული საბჭო. როგორც კი საარმიო სამხარეო ყრილობის დელეგატები წავიდ-წამოვიდნენ, მენშევიკებმა გარეკეს სამხარეო საბჭოს ბოლშევიკური უმრავლესობა და შეჰქმნეს ახალი, თავიანთი მონა-მორჩილი საბჭო, რომელიც სრულიადაც არ გამოხატავდა არმიის სულიერ განწყობილებას. არმიის ბოლშევიკური სამხარეო საბჭო იძულებული გახდა პროლეტარულ ბაქოში გადასულიყო და იქ განეგრძო მუშაობა.

არანაკლებ პროვოკაციულად მოქმედებდნენ ქართველი მენშევიკები ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების მიმართ. მენშევიკებმა უარი სთქვეს გლეხთა მეორე სამხარეო ყრილობის მოწვევაზე. მუშათა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობა მოწვეულ იქნა მხოლოდ 1917 წლის დეკემბერში. აშკარა დემაგოგიისა და ძალადობის საშუალებით და აგრეთვე არჩევნების არევდარევით მენშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ ყრილობიდან წავიდნენ ბაქოს, ჩრდილოეთკავკასიისა და შავიზღვის სანაპიროების ბოლშევიკი-დელეგატები, რითაც უზრუნველჰყვეს მათ თავისთვის ხმების ფაქტიური უმრავლესობა და მიაღებინეს ყრილობას ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მხარეში აღმავალი რევოლუციური მოძრაობის საწინააღმდეგო რეზოლუციები.

ამ დროს კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდნენ ნახევარ მილიონამდე რუსი ჯარისკაცები, რომლებიც მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. ეშინოდათ რა ამ უდიდესი რევოლუციური ძალის, ხელისუფლების სამხარეო ორგანოებმა იმ საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დასდვეს ჩრდილოეთკავკასიის კონტრრევოლუციონერებთან იმის შესახებ, რომ არ გაეშვათ ჩრდილოეთისაკენ შეიარაღებული ჯარისკაცები, რათა შეეიარაღებინათ ეგრეთწოდებული ნაციონალური ჯარის ნაწილები ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, დადგენილება გამოიტანეს იარაღი აჰყარონ კავკასიის ფრონტიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ სამხედრო ეშელონებს. მალე, ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის უშუალო განკარგულებით, განჯასა (ამჟამად კიროვაბადი) და ტფილისს შუა, სადგურ შამქორთან, როცა ჯარის განიარაღებას ცდილობდნენ, მოხდა განსაკუთრებული სიმკაცრით დახვრეტა ბოლშევიკურად განწყობილი იმ რუსი ჯარისკაცებისა, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიემგზავრებოდნენ კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

შამქორთან მომხდარი ამბავი — სამოქალაქო ომის დიდი ეპიზოდია ამიერკავკასიაში. აქ მოკლულ იქნა 2 ათასზე მეტი რუსი ჯარისკაცი. ჯარისკაცების სისხლიანი გაცილებით მენშევიკები გამცემლობის ახალ საფეხურზე ავიდნენ.

ამნაირად, ქართველმა მენშევიკებმა, ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 230, 1917 წ.

კავშირში, არსენალის ხელში ჩაგდებით, რევოლუციური ჯარისკაცების დახვრეტით, გლეხთა აჯანყებების ჩაქრობით და მუშათა დეპუტატების საბჭოების ყრილობის არევდარევით ფეხი შესდგეს პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში.

*

თავის მოწოდებაში ამიერკავკასიის ერებისადმი ამიერკავკასიის კომისარიატი უხვ დაპირებებს იძლეოდა. ის დაპირებას იძლეოდა, რომ ახლო მომავალში გადასჭრიდა საადგილმამულო, სასურსათო, ეროვნულ და ფინანსიურ საკითხებს, ჩამოაგდებდა ზავს, დააწესებდა კონტროლს წარმოებაზე, შემოიღებდა დემოკრატიულ ერობას, იხსნიდა ქვეყანას სამოქალაქო ომის საშინელებათაგან და სხვ... სინამდვილეში კი ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლებას არც ერთი გაბედული ნაბიჯი არ გადაუდგამს დაგროვილ სოციალურ წინააღმდეგობათა გადასაჭრელად, არ გაუტარებია ცხოვრებაში არც ერთი სერიოზული ღონისძიება, რომელიც გააუმჯობესებდა მუშებისა და გლეხების მდგომარეობას.

კოალიციურმა მთავრობამ თავისი პოლიტიკით ამიერკავკასია სრულ ეკონომიურ კრახამდე მიიყვანა. გლეხები კვლავ ფეოდალურ-ბატონყმურ ექსპლოატაციას განიცდიდნენ, რადგან მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა ხელშეუხებელი დარჩა. მუშათა კლასი შიმშილსა და სიღარიბეში იმყოფებოდა. ამავე დროს გაბატონებული პარტიების წაქეზებით დაიწყო ერთა შორის აშკარა შეტაკებები ნაციონალურ ნიადაგზე. ფრონტის დანგრევის შემდეგ მთელი მხარე თურქების შემოსევის საფრთხის წინაშე დადგა. აი როგორ ახასიათებდა ამხ. ს. შაუმიანი ამიერკავკასიის მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა კონტრრევოლუციური ბლოკის პოლიტიკის შედეგად:

„ობორონცული ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლება, რომელიც რუსეთში უკვე დამხობილია, ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას კავკასიაში. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები ან სრულიად არ არსებობენ, ანდა, თუ არსებობენ, რეაქციურ-ობორონცული ორგანიზაციების უსაქმო დანამატთა როლს ასრულებენ.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ინტერნაციონალურ-დემოკრატიული და რევოლუციური საბჭოების ნაცვლად, ჩვენ გვყავს რეაქციურ-ბურჟუაზიული ან მემამულურ-ეროვნული საბჭოები, რომლებიც ნაციონალურ მთავრობათა როლს ასრულებენ. საბჭოთა ინტერნაციონალური წითელი გვარდიის ნაცვლად, ჩვენ გვყავს რეაქციური ელემენტების ხელმძღვანელობით მომქმედი ნაციონალური პოლკები. ამნაირი ნაციონალისტური პოლიტიკის მეოხებით კავკასია, და კერძოდ ამიერკავკასია, აუცილებლად კონტრრევოლუციისა და ნაციონალური ომების უფსკრულში მიექანება. მუსულმან ბეგებთან და ხანებთან, ქართველ თავადაზნაურობას-



ъ Народныхъ Комиссаровъ

Къ отходящимъ войскамъ Кавказской Арміи.

Товарищи солдаты!

ს. შაუმიანის მიმართვა კავკასიის არმიისადმი.

თან და სომხის ბურჟუაზიულ ელემენტებთნ შემთანხმებლური პოლიტიკის გამო არა თუ არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გატარდეს რაიმე რევოლუციური ღონისძიება (როგორც, მაგალითად, მიწების გადაცემა გლეხებისათვის, კონტროლის დაწესება წარმოებაზე, ვაჭრობაზე და სხვ. და თვით ხელახალი უბრალო ადმინისტრატიული დაყოფაც კი ერობის შემოსაღებად კავკასიაში), არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდებიან კონტრრევოლუციური კლასები და იმუქრებიან საბოლოოდ ჩაახშონ ის თავისუფლებაც კი, რომელიც მოპოვებულია თებერვლის რევოლუციით"[1].

ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინადღით ტფილისსა და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ინიციატივით, ტფილისში (15-დან 20 ოქტომბრამდე — ახალი სტილით) შესდგა რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის ყრილობა.

ყრილობამ გამოარკვია ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობა მხარეში, აღნიშნა ბოლშევიზმის გავლენის ზრდა კავკასიაში და მასების ჩამოშორება ობორონცული პარტიებისაგან. ამასთან, ყრილობამ გადაჭრით უარჰყო მენშევიკების საოლქო ყრილობის წინადადება მათთან გაერთიანებისა და თვით

---

[1] ს. შაუმიანი. „სტატიები და სიტყვები", გვ. 108.

რაიმე შეთანხმების შესახებ დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნების ჩატარების საქმეში.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები და გამოტანილ იქნა გადაწყვეტილებანი ისეთი საყურადღებო საკითხების შესახებ, როგორიც იყო დამოკიდებულება დამფუძნებელი კრებისადმი, აგრარული საკითხი და ნაციონალური საკითხი.

განსაკუთრებული საბრძოლო ხასიათი ჰქონდა ყრილობაზე ამხ. ს. შაუმიანის გამოსვლას, რამაც ხელისუფლების კრიზისისა და ბოლშევიკური რევოლუციის მოახლოების საუცხოო ანალიზი მოგვცა.

ყრილობა ერთხმად დაადგა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების აუცილებლობის პოზიციას.

„მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები, — ნათქვამია ამის შესახებ რეზოლუციაში, — არ. უნდა შეუშინდნენ სიძნელეებსა და მსხვერპლის გაღებას და გაბედული ნაბიჯი გადასდგან ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და დაღუპვისაგან რევოლუციისა და ქვეყნის გადასარჩენად. ყრილობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ძალაუფლების დაპყრობა საბჭოების მიერ, რომელნიც პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას წარმოადგენენ, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის სიგნალი გახდება“.

ამ ყრილობაზე არჩეულ იქნა პარტიის ახალი სამხარეო კომიტეტი, კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლი შტაბი, რომელიც შემდეგში ხელმძღვანელობას უწევდა ბრძოლას ოქტომბრის გამარჯვებისათვის მთელს მხარეში[1].

მიუხედავად პროვოკაციისა, დევნისა, დაპატიმრებისა, რედაქციების დარბევისა და ბოლშევიკური გაზეთების დახურვისა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროს მაინც ფართო მასობრივ მუშაობას აწარმოებდნენ პროფკავშირებში, საბჭოებში, ჯარსა და გლეხობაში და რაზმავდნენ მასებს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობისათვის.

ბოლშევიკური ლოზუნგები თანდათან უფრო მეტ გამოძახილს პოულობდნენ მუშებსა და გლეხებს შორის.

ამიერკავკასიაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში მოწინავე რაზმს წარმოადგენდა ბაქოს პროლეტარიატი. ბაქოს მუშათა შორის ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დასაწყისიდან უდიდეს თეორიულ, საორგანიზაციო და აღმზრდელობითი მუშაობას ეწეოდა ამხანაგი სტალინი. ბაქოს პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთისათვის.

1904 წლის დეკემბრის გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა, რის შედეგა-

---

[1] რსდმპ (ბ) კავკასიის პირველი საოლქო ყრილობის ანგარიშები იბეჭდებოდა გაზეთებში: „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ (იხ. „ბაკინსკი რაბოჩი“ №№ 68, 71 და 73).

ყრილობის რეზოლუციები პარტიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოცემულ იქნა აგრეთვე ცალკეულ ბროშურადაც.

დაც მუშებმა რუსეთის მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიის პირველი კოლექტიური ხელშეკრულება მოიპოვეს. ბაქოს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ბოლშევიკური იდეების დანერგვაში მთელი ამიერკავკასიის მრავალერიან პროლეტარიატს შორის.

„პირველ საერთო გაფიცვას ბაქოში 1903 წლის გაზაფხულზე, — სწერს ანხანაგი სტალინი,—მოჰყვა სამხრეთ-რუსეთის ქალაქთა ცნობილი ივლისის გაფიცვები და დემონსტრაციები; მეორე საერთო გაფიცვა 1904 წლის ნოემბერ-დეკემბერში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა მთელს რუსეთში; 1905 წელს ბაქოს პროლეტარიატი, ერთბაშად გაიმართა რა წელში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ებმება ბრძოლაში და მისი ენტუზიაზმი ედება „მთელს კავკასიას“; 1906 წლიდან, უკვე რევოლუციის უკანდახევის შემდეგ, ბაქო მაინც აღარ „სცხრება“ და ყოველწლიურად უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას რუსეთში, დღეასასწაულობს პროლეტარულ პირველმაისობას, რითაც სხვა ქალაქებში კეთილშობილური შურის გრძნობას იწვევს“ [1].

1907 წლიდან სამრეწველო ბაქოში გადადის ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბელადად აღიარებული, ლენინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი და აჩაღებს იქ უდიდეს მუშაობას ერთი მთლიანი, მტკიცე პროლეტარული არმიის დარაზმვისათვის სხვადასხვა ეროვნებათა მუშებისაგან — თურქების, სომხების, ირანელების, ქართველებისა და რუსებისაგან, რომლებიც საოცარ ექსპლოატაციას და ჩაგვრას განიცდიდნენ ცარიზმისა და კაპიტალისტებისაგან.

ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით 1907 წლის შემოდგომაზე ქ. ბაქოში რამდენიმე კვირის განმავლობაში აშკარად ახდენდა თავის სხდომებს მუშათა პარლამენტი. ნავთის მრეწველები იძულებულნი იყვნენ ეცნოთ ამხანაგ სტალინის მეთაურობით ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ შექმნილი „ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირი“ და მასთან გაემართათ მოლაპარაკება კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ. 1908 წელს ქ. ბაქოში, სადაც ამხანაგი სტალინი მუშაობდა, როგორც ლენინის მიერ შეგროვილი ცნობებიდან სჩანს, გაფიცული იყო 46.698 მუშა [2].

ქ. ბაქოში ამხანაგ სტალინს მუშები განსაკუთრებული სიყვარულითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ. მენშევიზმთან ბრძოლაში ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. ინდუსტრიალური ქალაქი ბაქო ბოლშევიზმის ციტადელად გადაიქცა ამიერკავკასიაში.

„1907 — 1912 წ. წ. პერიოდში, — სწერს ამხ. ლ. ბერია, — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაიზარდა, განმტკიცდა და მენშევიკებთან ბრძოლაში გამოიწრთო

---

[1] ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 80, გამოც. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომც., 1935 წ.

[2] ლენინის კრებული, ტ. XXV, გვ. 140.

ბაქოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც მიიმხრო სოციალდემოკრატიულ მუშათა უმრავლესობა. მუშათა ყველა რაიონი ბოლშევიკების ხელში იყო (ბალახანა, სურახანა, რომანი, ბიბი-ეიბათი, შავი ქალაქი, თეთრი ქალაქი, რკინიგზა და სხვ.).

ბაქო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბურჯად, ლენინური პარტიის უძლეველ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა"[1]

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბაქოს პროლეტარიატი, ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

საქართველოში მუშათა გამემარცხენებისა და მენშევიკებისაგან მათი ჩამოშორების პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ოქტომბრის რევოლუციამდე. უფრო მოწინავე, შეგნებული მუშები იქაც უკვე ბოლშევიკური პარტიის რიგებში იბრძოდნენ და პარტიის საბრძოლო ლოზუნგების გარშემო ირაზმებოდნენ. მაგრამ 1917 წლის დასასრულს მუშათა მნიშვნელოვანი ფენები ჯერ კიდევ მაინც მენშევიკებს მიჰყვებოდნენ[2]. მენშევიკები მთელი თავისი ძალღონით ცდილობდნენ „ეხსნათ" ამიერკავკასიის პროლეტარიატი პროლეტარული რევოლუციისაგან, რისთვისაც უმტკიცებდნენ მათ, უპირველეს ყოვლისა, მის ფაქტიურ შეუძლებლობას, რის დასასაბუთებლადაც მოჰყავდათ რუსეთის საწარმოო ძალთა სუსტი განვითარებისა და ჩამორჩენილობის ძველი გაცვეთილი თეორია, რაც, მათი აზრით, შეუძლებლად ხდიდა პროლეტარიატის გამარჯვებას და სოციალიზმის აშენებას. ქართველი მენშევიკები დაჟინებით უმტკიცებდნენ მუშებს, რომ სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია განვითარების მშვიდობიანი პარლამენტური გზით.

„სოციალისტური გადატრიალება, — სწერდა, მაგალითად, მენშევიკური ოფიციოზი „ბორბა", — იქნება არა პროლეტარიატის ბრძოლის შედეგი... არამედ ცხოვრებაში შექმნილი ობიექტური პირობების უბრალო შედეგი. ეს პირობები შეიქმნება არა სოციალისტური წყობილებით, არამედ სწორედ კაპიტალისტურით. სოციალიზმი უკვე მზად იქნება კაპიტალისტური წყობილების წიაღში"[3].

1918 წლის 8 — 13 იანვარს (26 — 31 დეკემბერს) ტფილისში გაიხსნა მენშევიკების მიერ მოწვეული ამიერკავკასიის პროფკავშირთა კონფერენცია, სადაც

---

[1] ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". პარტგამომცემლობა, 1935 წ., გვ. 128-129.

[2] ტფილისში ბოლშევიკების გავლენის ზრდის ერთერთ მაჩვენებლად 1917 წ. ჩაითვლება შედეგები ტფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებისა დამფუძნებელ კრებაში. პირველ შემთხვევაში — 30 ივლისს ბოლშევიკებმა მიიღეს 5.083 ხმა, ხოლო მეორე შემთხვევაში — ნოემბერში უკვე 19.157 ხმა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების გავლენა კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპებით იზრდებოდა.

[3] გაზ. „ბორბა" № 12, 1918 წ.



Россійская Соціалъ-Демократическая Рабочая Партія.

Пролетаріи всѣхъ странъ соединяйтесь!

РЕЗОЛЮЦІИ

Кавказскаго Краевого Съѣзда
Р. С-Д. Р. П. (большевиковъ),

засѣдавшаго 2—7 октября, 1917 года, въ гор. Тифлисѣ.

Цѣна 20 к.

Изданіе Кавказскаго Краевого Комитета Р. С-Д. Р. П. (большевиковъ).

ბროშურის — „რსდმპ (ბ) კავშირის სამხარეო ყრილობის რეზოლუციების“ პირველი გვერდი

უმთავრესად წარმოდგენილი იყო პროფკავშირული ბიუროკრატია. თუ როგორ სწარმოებდა ამ კონფერენციის მოწვევა — ეს იქიდან სჩანს, რომ პროლეტარულ ბაქოს პროფკავშირთა 74.623 წევრიდან კონფერენციაზე სულ 32 დელეგატი

ჰყავდა, და ეს იმ დროს, როცა ქ. ტფილისის პროფკავშირთა 21.839 წევრიდან ამ კონფერენციას 34 დელეგატი ესწრებოდა. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკები კონფერენციაზე საგრძნობ ფრაქციას წარმოადგენდნენ და თანამიმდევრულად იცავდნენ რევოლუციურ პოზიციებს მუშათა მოძრაობაში.

რომ ამ მხრით თავიდან აეშორებინათ მოსალოდნელი საფრთხე, მენშევიკებმა კონფერენცია წინასწარ დასახულ შეზღუდულ ფარგლებში მოაქციეს. ისინი ცდილობდნენ დაენახვებინათ ყველასათვის და უწინარეს ყოვლისა კი რუსეთის ბოლშევიკებისათვის, რომ „კავკასიის პროლეტარიატი არ არის შეპყრობილი განუხორციელებელი ოცნებით რუსეთის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე დაუყოვნებლივ გარდაქმნის შესახებ“. თუმცა კონფერენციის დელეგატთა უმრავლესობა, რომელიც მენშევიკებს ეკუთვნოდა, ამიერკავკასიის მუშათა მასების სულიერ განწყობილებას სრულიადაც არ გამოხატავდა, მაგრამ მენშევიკებმა მაინც შესძლეს გაეტარებინათ მათთვის სასურველი რეზოლუციები.

ამ კონფერენციაზე მენშევიკებმა სასტიკად გაილაშქრეს საბჭოთა ხელისუფლების ისეთ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთაც ბურჟუაზიული და მემამულური კერძო საკუთრების ლიკვიდაცია მოახდინეს.

მენშევიკებმა განსაკუთრებით გაილაშქრეს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის წინააღმდეგ მუშათა კონტროლის შესახებ.

ეშინოდათ რა იმის, რომ ამიერკავკასიის პროლეტარიატს ქვევიდან არ გაეტარებინა მუშათა კონტროლი და არ შეერყია ამით კერძოკაპიტალისტური საკუთრების საფუძვლები, მენშევიკები გაბოროტებით აკრიტიკებდნენ დეკრეტს მუშათა კონტროლის შესახებ, უწოდებდნენ მას „პოლიტიკურ სპეკულაციას“, „დეკრეტულ სოციალიზმს“ და სხვ.

> „პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის განსახორციელებლად (რუსეთში) არ არსებობს არც ობიექტური და არც სუბიექტური პირობები...— ამბობდა ყრილობაზე მომხსენებელი ი. ტრეიმანი. — „წარმოებათა ხელში ჩაგდება... მუშათა კონტროლი შეჰქმნის მხოლოდ არევდარევას და გადაიქცევა რეაქციურ ანარქოსინდიკალიზმის ზეიმად“ [1].

მენშევიკები წინადადებას იძლეოდნენ პროფკავშირები შეგვეგუებინა კაპიტალისტური წყობილების პირობებისათვის, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ მრეწველობის რეგულირება და კონტროლი კაპიტალისტური სახელმწიფოს საქმეა. მიუხედავად ბოლშევიკების წინააღმდეგობისა, მენშევიკებმა გაატარეს რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევდა კავშირებს „ეწარმოებინათ ენერგიული ბრძოლა და აგიტაცია მუშათა მასაში ეკონომიური ცხოვრების სახელმწიფოებრივი სისტემით რეგულირების აუცილებლობისათვის და დაეპირისპირებინათ ის პროლეტარიატის დამღუპველი მუშათა კონტროლის გატარების ცდებისათვის... თუ მოხდებოდა, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და მუშათა კონტროლის ორგანოები ხელში ჩაიგდებდნენ საწარმოებს, კონფერენცია წინადადებას აძლევდა კავშირის წევრებს გამოსულიყვნენ ამ ორგანოებიდან“ [2].

მენშევიკები ცდილობდნენ შეერიგებინათ მუშებისა და კაპიტალისტების

[1] „კავკასიის პროფკავშირთა სამხარეო კონფერენცია“, გვ. 51 - 52.
[2] იქვე, გვ. 88 - 89.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესები, რისთვისაც ისინი კონფერენციაზე გაფიცვის წინააღმდეგ გამოვიდნენ და პროფმოძრაობის აპოლიტიკურობას იცავდნენ. მოხსენებაში ეკონომიური ბრძოლის შესახებ მენშევიკი ა. ხელაძე, თუმცა ფორმალურად არ უარყოფდა გაფიცვას როგორც ბრძოლის საშუალებას, მაგრამ წინადადებას იძლეოდა მისთვის მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში მიეშართნათ. ვინაიდან მენშევიკები მტრულად იყვნენ განწყობილნი პროლეტარიატის რევოლუციური აჯანყებისა და ხელისუფლების დაპყრობის იდეისადმი, ისინი ურჩევდნენ მუშებს მშვიდობიანი გზით დაეცვათ თავისი ინტერესები და არწმუნებდნენ მათ გაეტარებინათ ბურჟუაზიული ტრედუნიონისტური პოლიტიკა.

„პროფკავშირების განკარგულებაში, — ამბობდა იგივე ა. ხელაძე, — მოიპოვება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სატარიფო ხელშეკრულებები, მომრიგებელი კამერები... ინგლისის ტრედუნიონები შეიძლება დავსახოთ მაგალითის მაჩვენებლად მუშების მოხერხებული ბრძოლისა კაპიტალისტების წინააღმდეგ. ისინი გაფიცვას ძლიერ იშვიათად მიმართავენ, მაგრამ მიზანს მაინც აღწევენ“ [1].

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მენშევიკების მუშათა კანონმდებლობას ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში განსაკუთრებული წერილსაქმიანობა ახასიათებდა. ერთადერთი ღონისძიება, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატმა გაატარა მუშათა კანონმდებლობის სფეროში თავისი არსებობის მთელი დროის მანძილზე, ეს იყო 1918 წლის 27 (14) იანვარს გამოქვეყნებული კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ, მაგრამ ეს კანონი მხოლოდ იმას ადასტურებდა, რაც მუშებს ფაქტიურად უკვე თავისთავად ჰქონდათ მოპოვებული; 8-საათიანი სამუშაო დღე ტფილისში ჯერ კიდევ 1917 წლის მაისიდან იყო შემოღებული, თუმცა ამა თუ იმ საბაბით კაპიტალისტები მას ხშირად არღვევდნენ.

მენშევიკები იბრძოლნენ მუშათა კონტროლის წინააღმდეგ, მაგრამ მათ არც ის სახელმწიფოებრივი კონტროლი განუხორციელებიათ, რომელიც მათ მიერვე იყო დასახული და რომლის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ და სწერდნენ მენშევიკურ პრესაში.

მხოლოდ 1918 წლის თებერვალში დაისვა პირველად ამიერკავკასიაში საკითხი იმის თაობაზე, რომ საჭიროა დროებითი მთავრობის 1917 წლის 24 (11) ოქტომბრის შეკვეცილი კანონის განხორციელება მუშათა სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

საავადმყოფო სალაროთა კონფერენციას, რომელიც მოწვეული იყო მენშევიკების მიერ, თვით მათ უწოდეს „უბადრუკი“. ამიერკავკასიის კომისარიატი აჭიანურებდა კანონის გამოცემას შრომის ხელშეკრულებისა და იმის შესახებ, რომ დამქირავებელთათვის მომრიგებელი კამერების გადაწყვეტილებანი სავალდებულო ყოფილიყო.

ამნაირად, „მუშათა საკითხში“ მენშევიკები ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში ბურჟუაზიასთან შეთანხმებისა და „მომრიგებელი კამერების“ (რო

[1] „კავკასიის პროფკავშირთა სამხარეო კონფერენცია“, გვ. 17.

მელთა გადაწყვეტილებახიც, როგორც ვიცით, დამქირავებელთათვის სავალდებულო არ ყოფილა) აუცილებლობის შთანერგვის პოლიტიკას ვერ გასცილდნენ.

კიდევ უფრო საცოდავი დ, სამარცხვინო იყო მენშევიკების ღონისძიებანი მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საქმეში. ყველა ღონისძიებანი, რაც კი მიიღო საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ამ მიმართულებით, იმაში გამოიხატა, რომ კავშირებმა გახსნეს წერა-კითხვის შესასწავლი 4 სკოლა, სადაც სულ 180 მოწაფე ირიცხებოდა. სკოლებს ფინანსიურ სახსარს ქალაქის თვითმართველობა აძლევდა, მაგრამ მალე დაარსების შემდეგ ისინი დახურვის საფრთხის წინაშე დადგნენ.

„ამჟამად, — სწერდა გაზეთი „ბორბა" 1918 წლის 25 (12) აპრილს, — ქალაქის თვითმართველობის მძიმე ფინანსიური კრიზისის გამო ეს სახსარი ამოწურულია. ეს გარემოება კი საკითხს აყენებს საბჭოს სკოლების შემდგომი არსებობის შესახებ".

II

თუმცა მენშევიკები გაფიცვებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, მაგრამ ცხოვრებამ დაანგრია მათი კონტრრევოლუციური ჯებირი. მენშევიკებისაგან მუშათა ჩამოშორების პროცესს 19 8 წელს გაცილებით უფრო მასობრივი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე 1917 წელს. ამ მხრივ დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ხელისუფლების ეგრეთწოდებულ „დემოკრატიულ ორგანოებს" როგორც ცენტრალურს, ისე ადგილობრივს, თანდათანობით ეკარგებოდათ ავტორიტეტი მუშათა თვალში, რის გამოც მუშები გაურბოდნენ მათში მონაწილეობის მიღებას.

ამის შემდეგ მენშევიკურმა საბჭოებმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგეს. ისინი იკრიბებოდნენ მხოლოდ ფორმალურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე.

უბადრუკ მდგომარეობაში იყვნენ აგრეთვე პროფკავშირებიც, რომელთაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

მუშათა სექციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები უმეტეს შემთხვევაში არ სდგებოდა და შემდეგი დროისათვის იდებოდა, რადგან ქვორუმი არ გროვდებოდა. ამავე მიზეზით იშვიათად იმართებოდა აგრეთვე პროფკავშირთა საბჭოს სხდომებიც. მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა დაუსწრებლობის გამო 2 თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა თათბირის მოწყობა შრომის სამინისტროსთან და სხვ.

მენშევიკები გულდასმით ჰფარავდნენ უკანონოდ შექმნილი მენშევიკური საბჭოებისა და პროფესიული ორგანიზაციებისადმი მუშების ასეთი დამოკიდებულების ნამდვილ მიზეზს. ასეთ „გულგრილობას და არაფრის კეთებას მთელს

პროლეტარულ ფრონტზე“ მენშევიკები ხსნიდნენ „სერიოზული რეაქციის დაწყებით, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა ბრძოლა“ [1].

მენშევიკების საერთო პოლიტიკის დამარცხება, ეკონომიური კრიზისის გაღრმავება, უმუშევრობა და მუშათა გაღატაკება კიდევ უფრო ამწვავებდნენ კლასობრივ წინააღმდეგობებს, ეწევოდნენ მუშებს რევოლუციური ბრძოლისაკენ და ხელს უწყობდნენ მათს ჩამოშორებას მენშევიკებისაგან.

...„მასები იწყებენ განთავისუფლებას ობორონცული ოპიუმისაგან, — სწერდა ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, — იზრდება აღშფოთება და უკმაყოფილება ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის წინააღმდეგ. მასები რწმუნდებიან იმაში, რომ ეს ხელისუფლება მათ სილარიბის, შიმშილისა და კონტრრევოლუციის კლანჭებში მიერეკება“ [2].

მეტად დიდ კვალს აჩნევდა საქართველოს მუშათა განწყობილებას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალო უდიდესი გამარევოლუციონერებელი ზეგავლენაც.

„ბუნებრივია, რომ ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ბევრი მონაპოვარი მოჰქონდა, — სწერდა ამხანაგი სტალინი) — ამხედრებდა ამიერ კავკასიის პროლეტარიატს ახალი ბრძოლისათვის. თვით მთვლემარე ტფილისის მუშებმაც, მენშევიკური კონტრრევოლუციის ამ ბურჯებმაც კი იწყეს ჩამოშორება ამიერკავკასიის კომისარიატისაგან და საბჭოთა ხელისუფლებას მოითხოვდნენ“ [3].

დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე ბაქოს პროლეტარიატიც, რომელიც საბჭოებისათვის თავდადებული ბრძოლით

„ძილს უფრთხობდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს და მისთვის წასაბაძ მაგალითსა და იმ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა, რომელიც გზას უნათებდა მას სოციალიზმისაკენ“ [4].

1918 წლის 5 თებერვალს (22. იანვარს) მბეჭდავთა კავშირმა ტფილისში გაფიცვა გამოაცხადა, რადგან დამქირავებლებს 1917 წ. 13 იანვარს (31 დეკემბერს) ვადაგასული ძველი ტარიფის ნაცვლად არ სურდათ ხელი მოეწერნათ ახალ შეთანხმებაზე. თუმცა მბეჭდავები ხელფასის მხოლოდ საარსებო მინიმუმის დონემდე აყვანისათვის იბრძოდნენ, მაგრამ დამქირავებლები მაინც არაფერს სთმობდნენ. დამქირავებლებმა დაადგინეს: „ახალი ტარიფის პირობები ყოვლად შიუღებლად ჩაითვალოს და სრულიად უარყოფილ იქნას“. სტამბების მეპატრონენი ცდილობდნენ მუშებში განხეთქილება შეეტანათ და გაფიცვა ჩაეშალნათ,

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 5, 1918 წ.

[2] „კავკაზსკი რაბოჩი“ № 28, 1918 წ.

[3] სტალინი. „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბში“, კრებ. „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ“, გვ. 90.

[4] იქვე.

მაგრამ მბეჭდავები იმდენად ერთსულოვნად და დარაზმულად გამოვიდნენ, რომ მათ გაიმარჯვეს და ახალი კოლხელშეკრულების დადებას მიაღწიეს.

ამ დროს თითქმის მზად იყვნენ გაფიცვისათვის რკინიგზელებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მენშევიკები ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდნენ.

ეკონომიური მდგომარეობა რკინიგზელებისა, რომელთა რიცხვიც ამიერკავკასიაში 36 ათასს აღწევდა, განსაკუთრებით მძიმე იყო. ხელფასს ისინი მთელი თვეობით ვერ ღებულობდნენ. თვით მუშების გამოანგარიშებით, მთავრობას მიუცემელი ჰქონდა მათთვის დაახლოებით 24 მილ. მანეთამდე [1].

რკინიგზის მთავარსახელოსნოების მუშათა საერთო კრებაზე ტფილისში, 1918 წლის 11 თებერვალს (29 იანვარს), ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა მთავრობისაგან ჯამაგირის გადახდას სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად; წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილი იყო საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. ყველაზე მოწინავე მუშები კი რწმუნდებოდნენ იმაში, რომ, ბურჟუაზიული რეჟიმის დროს, საერთოდ, შეუძლებელია პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას შეუძლია იხსნას ისინი კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან და შესაძლებელი გახადოს ამიერკავკასიის ყველა მშრომელის ძმური სოლიდარობის განმტკიცება.

„ჩვენ ვწყვეტთ ყოველივე კავშირს ადგილობრივ კოალიციურ ბურჟუაზიულ მთავრობასთან, რომელიც არავითარი ნდობის ღირსი არ არის ჩვენის მხრით“ — ამბობდნენ თავის რეზოლუციაში რკინიგზელები. — ამ მთავრობამ ჩვენ რუსეთის პროლეტარიატს ჩამოგვაშორა და ჩიხში მოგვამწყვდია. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან შეიძლება იყოს აქ მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლების გამოცხადება“ [2].

იმ გარდატეხას, რომელიც რკინიგზელებს ემჩნეოდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

„მენშევიზმის ციხე-სიმაგრეში (ე. ი. რკინიგზის პროლეტარიატში.— **Ბ. ხ.**), — სწერდა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, — უდიდესი ნაპრალი გაჩნდა, რომელშიაც ბოლშევიზმი სრულიად თავისუფლად შედის“ [3].

თებერვალში შავიზღვის რკინიგზის მშენებელ მუშათა და კავკასიის საგზაო-სამიმოსვლო ოლქის მუშათა დიდი გაფიცვა მოხდა. გაიფიცნენ აგრეთვე ფოთის ნავთსადგურის მუშებიც.

7 მარტს (22 თებერვალს) ტფილისში გაფიცვა გამოაცხადა ოფიციანტების კავშირმა, რომელშიაც დაახლოებით 2.120 წევრი ითვლებოდა. გაფიცვა 9 დღეს გაგრძელდა.

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი“ № 28, 1918 წ.
[2] „კავკაზსკი რაბოჩი“ № 22, 1918 წ.
[3] იგივე გაზეთი № 21, 1918 წ.

თებერვალში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშათა დიდი გაფიცვა მოხდა. რადგან ნახშირი რუსეთიდან ვეღარ შემოჰქონდათ, ტყიბულის მაღაროებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა მიეცა. მაგრამ კაპიტალისტებმა ნახშირის ამოღება კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რის გამოც მთავრობა 1917 წ. სექტემბერში იძულებული გახდა თავის ხელში აეღო მთელი წარმოება. მაგრამ ტრანსპორტის მოშლილობისა (მაგალითად თებერვალში 10 ათასი ტონის ნაცვლად გამოზიდულ იქნა სულ 500 ტონა ნახშირი), ფინანსიური კრახისა და მენშევიკების მუშათა პოლიტიკის გამო შრომის ნაყოფიერება ნახშირის ამოღების საქმეში არა თუ არ გაიზარდა, არამედ, პირიქით, იგი კატასტროფულად დაეცა. მენშევიკებს არ გაუუმჯობესებიათ არც ტექნიკა და არც წარმოების პირობები; პირიქით, მათ კიდევ უფრო მეტი დეზორგანიზაცია შეიტანეს მასში. მუშებს მასობრივად ითხოვდნენ. ხელფასს მუშებს მთელი თვეობით არ აძლევდნენ. ამის გამო 28 (15) იანვარს ტყიბულის მუშებმა მთელი რიგი უსაჭიროესი ეკონომიური მოთხოვნები წამოაყენეს. მუშებმა, რაკი ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი, 1-ლ მარტს (16 თებერვალს) გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც ერთ თვეზე მეტს გაგრძელდა და შემდეგში არა ერთხელ განმეორდა. ეკონომიური ხასიათის მასობრივ გაფიცვებს ადგილი ჰქონდა სხვა საწარმოებშიაც როგორც ტფილისში, ისე მთელს ამიერკავკასიაში.

23 (10) მარტს მუშაობა შესწყვიტა კოლოფის ნაკეთობათა ყველა ხელოსანმა. 21 — 23 (8 — 10) მარტს გაფიცულნი იყვნენ ადელხანოვის ქარხნის მუშები. ამ გაფიცვის შესახებ გაზ. „ბორბა“ მყვირალა შენიშვნაში — „ცენტრალურ მომრიგებელ კამერაზე თავდასხმა“ — სწერდა:

„მუშებსა და ქარხნის მართველობას შორის მომხდარი შეთანხმებით კონფლიქტი გადაცემული ჰქონდა გადასაწყვეტად ცენტრალურ მომრიგებელ კამერას, რომელმაც გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება. ქარხნის მმართველობა კამერის გადაწყვეტილებას ემორჩილება, საჩქმე განყოფილების მუშებმა კი 5 აპრილს განუცხადეს შემთანხმებელ კომისიას, რომელსაც ამ დროს სხდომა ჰქონდა ქარხანაში, რომ ისინი კამერის გადაწყვეტილებას არ ღებულობენ და მოითხოვენ თავისი მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას. რომ თავისი გაიტანონ, ისინი დააპატიმრებენ ქარხნის მთელს ადმინისტრაციას, რომელიც დაპატიმრებული ეყოლებათ მანამდე, სანამ ის სავსებით არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს“ [1].

ამ პერიოდში საგაფიცვო მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ არა მარტო საქარხნო-სამრეწველო მუშები, არამედ უფრო ჩამორჩენილი პროფესიების მუშებიც, მაგალითად: აბანოს, სასაკლაოს, სამრეცხაოთა და სამღებროთა მუშები და სხვ. თვით მენშევიკებიც კი აღიარებდნენ, რომ მრეცხავთა და მღებავთა კავშირს უხდებოდა კოლექტიური ხელშეკრულების დაცვა და ისეთი მოთხოვნების წაყენება, რაც დიდი ხანია შესული იყო რუსეთის რესპუბლიკის მუშათა კანონმდებ-

[1] გაზ. „ბორბა“ № 51, 1918 წ.

ლობაში[1] (აქ მხედველობაშია მიღებული, რა თქმა უნდა, დროებითი მთავრობის კანონმდებლობა. — ბ. ხ.).

აშკარა კონფლიქტამდე მივიდა საქმე აფთიაქებში მომუშავეთა და აფთიაქების მეპატრონეთა შორის. მხოლოდ იმის შიშით, რომ მოსახლეობა საექიმო დახმარების გარეშე არ დარჩენილიყო, შრომის სამინისტრო იძულებული გახდა ჩარეულიყო კონფლიქტში და დაეჯერებინა აფთიაქის მეპატრონენი — დაეკმაყოფილებინათ მოსამსახურეთა მოთხოვნები. მწიფდებოდა სერიოზული კონფლიქტი ტფილისის ქალაქის საწარმოთა მუშებსა და ქალაქის გამგეობას შორის ხელფასის ნიადაგზე. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გადიდებას, რაზედაც ტფილისის ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა, თუმცა ტრამვაის ტარიფის უკანასკნელი გადიდებით ქალაქის გამგეობა 2 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავლის მიღებას მოელოდა.

აპრილის დამდეგს გამოცხადდა ყველა საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა გაფიცვა.

მუშების გამოსვლა ეკონომიური მოთხოვნებით კონტრრევოლუციური ბლოკის დიქტატურის პირობებში ეკონომიური ბრძოლის ფარგლებს მეტად შორს იტოვებდა. რამდენადაც ეკონომიური ბრძოლა კონტრრევოლუციას ასუსტებდა და სახელმწიფოებრივ აპარატში არევდარევა შეჰქონდა, იმდენად ეს გაფიცვები პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდნენ.

მენშევიკებს მშვენივრად ესმოდათ ამ გაფიცვების საშიშროება მათი ხელისუფლებისათვის, თვით იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ისინი ეკონომიური ლოზუნგებით მიმდინარეობდნენ. მენშევიკები ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ, რომ ხელი შეეშალნათ მუშათა საგაფიცვო მოძრაობის განვითარებისათვის. შრომის სამინისტრომ, რომელიც თითქოს იმისათვის იყო შექმნილი, რომ მუშათა ინტერესები დაეცვა, პირველმა გაილაშქრა საგაფიცვო ბრძოლის წინააღმდეგ. თა ის საგანგებო მიმართვაში მუშებისადმი შრომის სამინისტრო სწერდა:

„გაფიცვის გამოცხადება უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს საშუალებას კაპიტალიზმთან ბრძოლაში. შრომის სამინისტრო, როგორც ყოველთვის, ურჩევდა, რომ ყოველგვარი კონფლიქტები მუშათა და მეწარმეთა შორის გარჩეულიყო მომრიგებელ კამერებსა და სამედიატორო სასამართლოებში“[2].

მენშევიკები თავიანთ კრებებსა და პრესაში კიდევ უფრო გაბედულად და აშკარად გამოდიოდნენ გაფიცვების წინააღმდეგ.

„გაფიცვა, — სწერდა, მაგალითად, გაზ. „ბორბა“, — მიჩნეულ უნდა იქნას სრულიად დაუშვებლად“[3].

მუშათა გაფიცვების გახშირებასთან დაკავშირებით გამკიცხავი გადაწყვეტილებები გამოჰქონდა აგრეთვე გაფიცვების წინააღმდეგ პროფკავშირთა მენშევიკურ საბჭოსაც.

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 42, 1918 წ.
[2] გაზ. „ბორბა“ № 41, 1918 წ.
[3] გაზ. „ბორბა“ № 52, 1918 წ.

„განიხილა რა საკითხი ნაწილობრივი გაფიცვების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დროს ტფილისში და რაც მოწყობილი იყო კავშირების ტფილისის საბჭოს ცნობისა და თანხმობის გარეშე... კრებას საჭიროდ მიაჩნია მიუთითოს ამხანაგებს ამგვარ გამოსელათა დამღუპველ შედეგებზე... და წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგს და ყველა კავშირს არ მოაწყონ არც ერთი გაფიცვა, ვიდრე არ მიიღებენ პროფკავშირთა საბჭოს თანხმობას“.

პროფკავშირული ცენტრის ასეთი გადაწყვეტილება გაფიცვების აკრძალვას ნიშნავდა. უარყოფდა რა საგაფიცვო ბრძოლას, პროფკავშირთა მენშევიკური საბჭო, რა თქმა უნდა, არასოდეს არ დასთანხმდებოდა კაპიტალისტების საწინააღმდეგო გაფიცვაზე.

მენშევიკები მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის აშკარად დაცვის ხაზს ატარებდნენ, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ სურდათ „ბრძოლას შრომასა და კაპიტალს შორის მისცემოდა უფლებრივი ფორმა“ (ნ. ჟორდანია). ხშირად მენშევიკები მუშებს მოუწოდებდნენ მსხვერპლის გაღებისაკენ, რასაც მათგან თითქოს თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვდა. მაგალითად, ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის დროს მენშევიკები მოუწოდებდნენ. გაფიცულებს შეეწყვიტნათ ბრძოლა იმ საბაბით, რომ

„დღევანდელი სინამდვილე მოითხოვს მსხვერპლს და ეს მსხვერპლი უნდა გაიღონ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა“ [1].

როცა ყველა ეს განმარტება-დაჯერებანი საქმეს არ შველოდა, მენშევიკები პირდაპირ რეპრესიებს მიმართავდნენ.

პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, აქტიურად გამოდიოდა თვით ბურჟუაზია. საწარმოთა მეპატრონენი, მუშათა ძალების დაქსაქსვისა, მათი ბრძოლისუნარიანობის შესუსტებისა და მათი დამორჩილების მიზნით, განზრახ ამცირებდნენ წარმოებას.

მეწარმენი არც ამით კმაყოფილდებოდნენ და მიმართავდნენ ფარულ საბოტაჟს და პოლიტიკური ბრძოლის უაღრესად მწვავე ფორმას — ლოკაუტს.

ტფილისში 1918 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში კაპიტალისტებმა სათბობისა და ნედლეულის უქონლობის საბაბით, ან მეტად მაღალი ხელფასის არსებობის სიძნელისა და შრომის ნაყოფიერების დაცემის მომიზეზებით მოახდინეს მთელ რიგ მსხვილ და წვრილ საწარმოთა ლიკვიდაცია. ზედიზედ იხურებოდნენ ლითონის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმონი, ტყავისა და ფეხსაცმელების სახელოსნოები, სტამბები და წიგნთსაკაზმავები. შეჩერდა იარალოვის დიდი ქარხანა, სადაც რამდენიმე ასეული მუშა მუშაობდა. დაიხურა ალიხანოვისა და ტოლეს საპნისა და ზეთის გამოსახდელი ქარხნები, ძმ. კარპინსკეების ქარხანა და სხვ.. წარმოებათა ლიკვიდაციის გამო, ტფილისის შრომის ბირჟამ 1-დან 17 თებერვლამდე აღრიცხვაზე აიყვანა 3.720 უმუშევარი.

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 43, 1918 წ.

პეტროგრადში მოწვეული დამფუძნებელი კრების გარეკის შემდეგ, ამიერკავკასიის კონტრრევოლუცია შეეცადა მოეწყო საპროტესტო მიტინგი, მაგრამ ეს ცდა სამარცხვინოდ დამთავრდა.

„ობორონცების მიერ მოწყობილმა საპროტესტო მიტინგმა, — სწერდა „კავკაზსკი რაბოჩი", — მონაწილეთა მეტად მცირე რიცხვი მიიზიდა (200-დან 300 კაცამდე). ამით ამიერკავკასიის დემოკრატიამ უნდობლობა გამოუცხადა ობორონცებს და მთელს მათ პოლიტიკას... დამფუძნებელი კრების დასაცავად მოწვეული ობორონცული მიტინგის ბოიკოტით ამიერკავკასიის ხალხთა მასებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის საბჭოთა ხელისუფლების რწმუნებას მოკლებულნი დამფუძნებელი კრების წევრები — ეს ისეთი ადამიანებია, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ ავტორიტეტს და არ სარგებლობენ მათი ნდობით" [1].

რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 29 (16) დეკემბრის დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერდნენ ლენინი და სტალინი, კავკასიის საქმეთა დროებითი საგანგებო კომისრად, კავკასიაში სამხარეო საბჭოთა ხელისუფლების შექმნამდე, დანიშნულ იქნა ს. შაუმიანი, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1918 წლის 4 თებერვლიდან (22 იანვრიდან). ამის საპასუხოდ ამიერკავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა ს. შაუმიანს და მის მდივანს კუზნეცოვს 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ ამიერკავკასიის საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ორთავეს დაპატიმრებით დაემუქრა. ამავე დროს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი აღჭურვილი იყო უფლებით — მიეღო „მიმდინარე მომენტის მდგომარეობით გამოწვეული ყოველგვარი ზომები ტფილისსა და ამიერკავკასიაში შიმშილისა და რევოლუციური (?) წესრიგის დასაცავად, მისთვის ამიერკავკასიის კომისრის უფლების მინიჭებით და მთელი შეიარაღებული ძალების მის განკარგულებაში გადაყვანით" [2].

ამიერკავკასიის კომისარიატის ყველა ამ კონტრრევოლუციურმა მოქმედებამ, ისე როგორც შამქორთან რუსი ჯარისკაცების დახვრეტამ, უდიდესი პროტესტი და პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები გამოიწვია ფართო პროლეტარულ მასებში.

10 თებერვალს (28 იანვარს) მეტყველთა პროფესიული კავშირის კრებაზე, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, გამოტანილ იქნა ენერგიული საპროტესტო რეზოლუცია შამქორში მომხდარი ამბებისა და იმ ბრძანების წინააღმდეგ, რომელიც ს. შაუმიანის დაპატიმრებას შეეხებოდა. კრებამ დაადგინა ჩაეტარებინა 13 თებერვალს (31 იანვარს) პოლიტიკური გაფიცვა. მეტყველთა კავშირის სახელით გამოშვებულ იქნა შემდეგი მიმართვა ქ. ტფილისის ყველა პროფესიული კავშირისადმი:

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" № 17, 1918 წ.

[2] „ზნამია ტრუდა" № 21, 1918 წ.

СОВѢТЪ НАРОДНЫХЪ
Комиссаровъ

Декабря

НАЗНАЧЕНІЕ

Степанъ Георгіевичъ Шаумянъ членъ Центральнаго Комитета Партіи Большевиковъ, Предсѣдатель Бакинскаго Совѣта Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ, назначается временнымъ чрезвычайнымъ Комиссаромъ по дѣламъ Кавказа, впредь до образованія краевой Совѣтской Власти на Кавказѣ.

Предсѣдатель Совѣта Народныхъ Комиссаровъ

Народные Комиссары:

Управляющій Дѣлами

Секрѣтарь

დადგენილება ს. შაუმიანის ა. კ-ის საქმეთა დროებითი საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ

„მეტყველთა საერთო კრებაზე გადაწყდა საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება ფრონტიდან დაბრუნებული რევოლუციური ჯარების მხეცური დარბევა-განიარაღებისა და მუშურ-გლეხური მთავრობის დროებითი საგანგებო კომისრის ამხ. ს. შაუმიანის დაპატიმრების ცდის გამო. კავშირის გამგეობა თავის მხრით წინადადებას აძლევს ყველა პროფესიულ კავშირს გამოიტანონ ასეთივე გადაწყვეტილება და ამნაირად გამოხატონ თავისი პროტესტი იმ რეაქციურ ზომათა წინააღმდეგ, რომელსაც ამიერკავკასიის კომისარიატი მიმართავს“.

მუშათა ანალოგიური კრებები ჩატარდა ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, სადაც, მიუხედავად მენშევიკების ყველა ბელადის მობილიზაციისა, მიღებულ იქნა აგრეთვე ბოლშევიკური რეზოლუცია.

ს. შაუმიანის დასაპატიმრებლად გაცემული ბრძანებისა და შამქორის სისხლისღვრის დამნაშაეეთა საწინააღმდეგო რეზოლუცია გამოიტანეს მბეჭდავებმაც, რომლებმაც დაადგინეს პროტესტის ნიშნად აღარ გამოუშვან იმ გაზეთების მორიგი ნომრები, რომლებიც ტფილისში გამოდიოდნენ.

13 თებერვალს (31 იანვარს) ალექსანდრეს ბაღში შესდგა ყველა პროფესიული კავშირის გაერთიანებული საპროტესტო მიტინგი. 14 (1) თებერვალს საპროტესტო რეზოლუცია გამოიტანეს სეილანოვის ქარხნის მუშებმა. 15 (2) თებერვალს შესდგა კრება აექალის აუდიტორიაში და სხვ.

პროლეტარიატის განწყობილების განსაკუთრებით მაჩვენებელი იყო სადგ. ტფილისის დეპოსა და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარსახელოსნოებში 7 თებერვალს (25 იანვარს) მომხდარი კრება, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა 2.000 მუშა მაინც. მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის საგანგებო კომისარმა ს. შაუმიანმა, რომელსაც ოვაციებით შეხვდნენ. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია (წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ 50 კაცმა):

„მოისმინა რა ამხ. ს. შაუმიანის მოხსენება „ამიერკავკასიაში წარმოებული კონტრრევოლუციისა და რევოლუციის შესახებ“, კრება აცხადებს, რომ ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა... არის ბურჟუაზიულ-მემამულური შეთანხმების პოლიტიკა, რაც რუსეთში უკვე გაანადგურა ოქტომბრის... რევოლუციამ და რომელიც თავის არსებობას მხოლოდ ამიერკავკასიაში განაგრძობს... ამ პოლიტიკამ მთელი მხარე აუცილებელ დაღუპვამდე მიიყვანა...

ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც უნარი შესწევს დაამხოს და გაანადგუროს ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუცია და გამონახოს გამოსავალი იმ მომაკვდინებელი ჩიხიდან, რომელშიაც მოამწყვდია ამიერკავკასია კოალიციურმა მთავრობამ, არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლება. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციისათვის კრება მოუწოდებს ყველა ამხანაგს უაღრესად ენერგიული და დაუღალავი მუშაობა აწარმოონ ახალი საბჭოების მოსაწყობად, დაშლილი საბჭოების აღსადგენად და მთელი კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობის მოსაწვევად“ [1].

ამ პერიოდში საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, პარტიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, მოაწყო და მეთაურობა გაუწია მუშების ბრძოლას ბურჟუაზიულ-მემამულური კოალიციის სალიკვიდაციოდ და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. ამავე დროს, მუშათა კლასის მიერ საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის გავლენით და ფრონტიდან „გაბოლშევიკებულ“ გლეხ-ჯარისკაცთა დაბრუნებასთან დაკავშირებით, ძლიერდება კლასობრივი ბრძოლა საქართველოს სოფლებში. გლეხები რევოლუციური გზით ახდენენ ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაციას, ხელში იგდებენ მიწებს, ანგრევენ მემამულეთა სახლკარს, ანადგურებენ მათ მამულებს და სპო-

[1] „კავკაზსკი რაბოჩი“ № 21, 1918 წ.

ბენ მკვლეფელი კლასების წარმომადგენლებს. მენშევიკების მიერ სოფლად გაგზავნილი დამსჯელი რაზმები კიდევ უფრო აღვიძებდნენ გლეხთა სიძულვილს მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო ბოლშევიკური ორგანიზაციები, კიდევ უფრო უკაეშირდებოდნენ მშრომელთა ფართო მასებს და იპყრობდნენ გლეხთა მხურვალე სიმპატიას.

თვით მენშევიკებსაც კი უკვე აღარ შეეძლოთ დაემალნათ ის ფაქტი, რომ ბოლშევიკების გავლენა ამიერკავკასიაში განუხრელად იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი შეგნებულად ჩქმალავდნენ ბოლშევიკური პარტიის გმირულ წარსულს, აყალბებდნენ და ამახინჯებდნენ ისტორიულ სიმართლეს და ამით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ბოლშევიზმს ამიერკავკასიაში ნიადაგი არა აქვსო.

„ბოლშევიზმი ჩვენში ყოველთვის უცხო ქვეყნის ყვავილი იყო, — სწერდნენ, მაგალითად, მენშევიკები, — ის ეყრდნობოდა მხოლოდ მოსულ ელემენტებს არმიის სახით; ქვეყნის შიგნით კი, თვით ამიერკავკასიაში, მას ფესვები არ მოეპოვებოდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, ბოლშევიკურმა განწყობილებამ გზა გაიკაფა დასავლეთ საქართველოსაკენაც და იწყებს ხალხის მასებში გავრცელებას“ [1].

ქართველი მენშევიკები, იმ მიზნით, რომ შეეჩერებინათ მშრომელი მასების შემოტევა და ეხსნათ კოალიცია ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, თავისი ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის პოლიტიკის გაგრძელებასთან ერთად, შეუდგნენ საეხარეო საკანონმდებლო ორგანოს — „ამიერკავკასიის სეიმის“ — ორგანიზაციას გარეკილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიიდან არჩეულ წევრთა შემადგენლობით.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკებს უკვე აღარ ჰქონდათ იმედი თვით თავისი ნაციონალური პოლიტიკისაც კი, რომელნიც თვით ნ. ჟორდანიას დახასიათებით აგრეთვე „ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ა გ ი ტ ა ც ი ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ ნ ი გ ა ხ დ ნ ე ნ და მ ა თ შ ო რ ი ს მ ა ს ო ბ რ ი ვ ი დ ე ზ ე რ ტ ი რ ო ბ ა ც დ ა ი წ ყ ო“ [2].

ამის გამო ტფილისში, ე. გეგეჭკორისა და ნ. ჟორდანიას განკარგულებით, გამოწვეულ იქნა გახჯიდან (კროვაბადი) „ველური დივიზია“, რომელიც მოწყობილი იყო აზერბაიჯანის მემარჯვენეთა მიერ და რომელმაც თავი ისახელა ბარბაროსული ძალადობით და ჯარისკაცების დახვრეტით შამქორთან.

21 (8) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით დახურულ იქნა ბოლშევიკური გაზეთები: „კავკაზაკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანვორი კრივი“ და დაბეჭდილ იქნა მათი რედაქციები, კანტორები და სტამბები. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მოსპობასთან ერთად, დაპატიმრებულ იქნენ მთელი რიგი თვალსაჩინო კომუნისტი-მუშაკები. ამიერკავკასიის მთელ რიგ რაიონებში შემოღებულ იქნა სამხედრო წესები. ამიერკავკასიის კომისარიატის ყველა ამ კონტრრევოლუციურ ღონისძიებას წინასწარ იხილავდა და ადასტუ-

[1] „ბოლშევიკი № 5, 1918 წ.

[2] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. „ორი წლის მანძილზე“, სტატიები და სიტყვები, გვ. 154.

რებდა მენშევიკური საოლქო კომიტეტი. იმ მოხსენების გარშემო, რომელიც გააკეთა ე. გეგეკორმა ქალაქში მოსალოდნელი ექსცესების შესახებ ს. შაუმიანის მიერ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად თავის-თავის გამოცხადებასთან დაკავშირებით, მენშევიკების საოლქო ბიურომ გამოიტანა გადაწყვეტილება — „დაეკალოს ამიერკავკასიის კომისარიატს მიიღოს ენერგიული ზომები ქალაქში რევოლუციური (!) წესრიგის დასაცავად თვით იმ პირთა დაპატიმრება-გადასახლებამდე, რომელნიც ხელს უწყობენ წესრიგის დარღვევას“ [1].

კონტრრევოლუციის ასეთ შეძოტევას და მის მიერ სამოქალაქო ომის აშკარად გამოცხადებას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო არ გამოეწვია წინააღმდეგობა მუშათა მასების მხრით. 1918 წლის 22 (9) თებერვალს შესდგა რკინიგზელთა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 3 ათასამდე კაცი. მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს (ოთხმა თავი შეიკავა) გამოაცხადონ გაფიცვა და მოითხოვონ დაპატიმრებული კომუნისტების განთავისუფლება და ბოლშევიკური გაზეთების გამოშვება. იმავე დღეს პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანეს მეტალისტებმა, ელექტრონზე მომუშავეებმა, მეტყვეებმა, მკერავებმა, არსენალის მუშებმა, ტოლესა და ზარგარიანცის ქარხნების მუშებმა და სხვ.

კონტრრევოლუციის შემოტევამ გამოიწვია მუშათა რევოლუციური სოლიდარობა და მათი მზადყოფნა რეაქციისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გასაწევად. გამოყოფილ იქნა საერთო საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა ყველა ძირითადი წარმოების მუშებს.

ამავე დღეს, 22 (9) თებერვალს, დახურული „კავკაზსკი რაბოჩის“ ნაცვლად, რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა გაზ. „კავკაზსკაია პრავდა“.

თავის მიმართვაში მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი კავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი სწერდა:

„თავისუფალი სიტყვის მტრებმა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მტრებმა, ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ბეგების ლაქიებმა, ამიერკავკასიის მენშევიკებმა, რომ მოგისპონ ყოველგვარი საშუალება — გქონდეთ ბეჭდვითი მართალი სიტყვა, დახურეს აგრეთვე ის სტამბაც, სადაც თქვენი გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ იწყობოდა და იბეჭდებოდა, და დაბეჭდეს გაზეთის რედაქციაც.

გაზეთის დახურვით და ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის დაპატიმრებით შეუძლებელია ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის შეჩერება, რომელსაც ცეკხლის რკალი შემოურტყამს ამიერკავკასიისათვის.

10 თებერვლისათვის ისინი დამფუძნებელი კრების გადაყენებულ წევრთაგან იწვევენ ეგრეთწოდებულ სეიმს, რომელსაც სურთ ჩააბარონ მთელი ძალაუფლება და მით გააუქმონ და დააუძლურონ საბჭოები.

10 თებერვალს ისინი საფლავს უმზადებენ ამიერკავკასიის რევოლუ-

[1] საოლქო კომიტეტის 7 თებერვლის (25 იანვრის) ოქმები.

ციას და ემზადებიან იმისათვის, რომ ლურსმნით თავი დაუჭედონ მათ მიერ საბჭოსათვის მომზადებულ კუბოს.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ნუთუ თქვენ ნებას მისცემთ მათ ჩაჭკლან რევოლუციის დიადი მონაპოვარნი — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები?...

ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბუტაფორული სეიმი!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს!

მთელი ხელისუფლება საბჭოებს!" [1].

ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს, 23 (10) თებერვალს, ალექსანდრეს ბაღში, ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტმა დანიშნა საპროტესტო მიტინგი — ბოლშევიკური გაზეთების დახურვისა, ზოგიერთი კომუნისტის დაპატიმრებისა და ამიერკავკასიის სეიმის გახსნის წინააღმდეგ.

მიტინგზე დარაზმულად და წითელი დროშებით გამოცხადდნენ რკინიგზელები, ლითონზე მომუშავენი, მეტყავენი, თამბაქოს ფაბრიკების მუშები და ამ დღეს გაფიცული მრავალი სხვა ფაბრიკა-ქარხნის მუშები. სულ, ჯარის ნაწილებთან ერთად, შეგროვდა რამდენიმე ათასი კაცი.

ამნაირად, ამიერკავკასიის სეიმის გახსნა, რომელსაც იურიდიულად უნდა გაეფორმებინა ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან, ფაქტიურად გადაიქცა მასობრივი პროტესტის დღედ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კოალიციის ნაციონალურ-სეპარატისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ. ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელებს — ქართველ მენშევიკებს — არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ამ გარემოებას და ისინი ახალი დანაშაულის გზას დაადგნენ. მენშევიკები ცდილობდნენ შეეჩერებინათ გაფიცვის გადაზრდა აჯანყებად და ამიტომ 1918 წლის 23 (10) თებერვალს მათ ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტა მოაწყვეს.

მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელების — ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორის დირექტივებით, რომელთაც დაწვრილებით ჰქონდათ გათვალისწინებული მიტინგის დახვრეტის ყოველივე მხარე და თვით ბაღიდან გასასვლელი კარების წინასწარი დახურვაც კი, განსაკუთრებულმა რაზმმა ტყვიამფრქვეველებითა და თოფის სროლით სრულიად გაუფრთხილებლად დახვრიტა მიტინგი. ამ სამარცხვინო და გულშემზარავი საქმის როგორმე მიჩქმალვისა და მუშების დახვრეტის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისათვის მენშევიკები პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იძულებულნი იყვნენ შეექმნათ თვალის ასახვევად საგამომძიებლო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ალექსანდრეს ბაღში მომხდარი მუშათა დახვრეტის გარემოებანი.

მენშევიკური პარტიის ბელადები კი პრესაში, მთავრობის ცნობებსა და თავიანთ გამოსვლებში, ფაქტების დამახინჯებით, ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მიტინგის დახვრეტაში ისინი დამნაშავენი არ არიან.

მაგრამ ვერც ფაქტების ფალსიფიკაციამ და ვერც მენშევიკური გამოძიე-

---

[1] „კავკაზსკაია პრავდა" № 1, 1918 წ.

ბის ტენდენციურობამ ვერ შესძლო დაეფარნა ქართველი მენშევიკების ჯალათური როლი, რომლებმაც თავიანთი სისასტიკით თვით მეფის ოპრიჩნიკებსაც კი გადააჭარბეს.

მენშევიკები რომ ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტის ორგანიზატორები და უშუალო შემსრულებლები იყვნენ და რომ მათ ფართო საზოგადოებრიობის თვალში მხოლოდ შჩედრინის იუდუშკას ყოვლად საზიზღარი როლი გაითამაშეს, ამას მოწმობს მენშევიკების საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელიც შესდგა იმავე დღეს 23 (10) თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის შემდეგ.

„ბოლშევიკების წინააღმდეგ მიღებული რეპრესიების შესახებ, — ვკითხულობთ ოქმში, — მოწონებულ იქნას ამიერკავკასიის კომისარიატის ყველა ნაბიჯები და წინადადება მიეცეს მას მიიღოს გადამწყვეტი ზომები იმ ხულიგანთა წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწოდებენ“ [1].

პროლეტარიატის თვალში მენშევიკებმა საბოლოოდ ამხილეს თავიანთი თავი. აფასებდა რა შამქორსა და ალექსანდრეს ბაღში მომხდარ დახვრეტას, ამხ. სტალინი სწერდა:

„...უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩაპოხადა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკურ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს. ახლა მთელს რევოლუციურ მსოფლიოს საშუალება აქვს თვალნათლივ დაინახოს და დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მისი „სეიმური ნაციონალურ“ დანამატის სახით ჩვენ საქმე გვაქვს უაღრესად ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც მიმართულია ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“ [2] (კურსივი ჩვენია. — გ. ხ).

ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტმა გადასწყვიტა გადაეყვანა მთელი ორგანიზაცია არალეგალურ მდგომარეობაში და შესდგომოდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

„ამიერკავკასია, — როგორც სწერდა ამხ. ს. შაუმიანი რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის გაგზავნილ მოხსენებაში, — შევიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიურად შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში“.

საგაფიცვო კომიტეტმა ტფილისში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადა.

---

[1] მენშევიკების საოლქო კომიტეტის ოქმები, 1918 წ. 23 (10) თებერვლის სხდომა.

[2] ი. სტალინი. საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძიერითადი საკითხების შესახებ, გვ. 95.



Заседание Областного Комитета Закавк. фр. Р.С.-Д.Р.П. 10/II сего года

По вопросу о репрессиях против большевиков — одобрить всю линию Закавказского Комиссариата и предложить Комиссариату принять решительные меры против тех, называющих себя большевиками.

Председатель

Секретарь

25/III

ამიერკავკასიის მენშევიკური საოლქო კომიტეტის 23 (10) თებერვლის ოქმიდან — ალექსანდროვის ბაღში დაცხრეტის გამო

ჯერ კიდევ 4 თებერვალს (22 იანვარს) გორის პარტიული ორგანიზაცია სწერდა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს:

„გორში დაბანაკებული მთელი მეოთხე ქართული პოლკი, რომელიც 6 ასეულისაგან შესდგება და 600-ზე მეტ ჯარისკაცს აერთიანებს, უკლებლივ თანაუგრძნობს ჩვენს პარტიას. ამიტომ გორის ორგანიზაცია გთხოვთ დაუყოვნებლივ მოავლინოთ გორში ინსტრუქტორი საჭირო სამოქმედო ინსტრუქციის მოსაცემად“ [1].

ბოლშევიკური პროპაგანდა ისე ფართოდ მოედო ხსენებულ მე-4 პოლკს, რომ მან 16 (3) თებერვალს უკვე ააფრიალა აჯანყების დროშა ამიერკავკასიის კომისარიატისა და მისი მეთაური მენშევიკების წინააღმდეგ. გორის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა. თუმცა ჯარისკაცთა აჯანყება ჩაქრობილ იქნა. მაგრამ ისინი ყველანი უახლოეს სოფლებში გაიფანტნენ და მათი ხელმძღვანელობით გლეხთა აჯანყება მთელს ქართლსა და სამხრეთ-ოსეთში დაიწყო.

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინტიტუტის ტფილისის ფილიალის საარქივო ფონდი, საქართველოს კომორგანიზაციის ოქმები.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 19 (6) თებერვალს აჯანყდა აგრეთვე ქუთაისის გარნიზონიც. ქალაქი რამდენიმე დღის განმავლობაში აჯანყებულთა ხელში იყო. მენშევიკებმა აჯანყების ჩაქრობა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს, როცა ქუთაისში ჯავშნოსნები და ყველაზე უფრო საიმედო სამხედრო ნაწილები გაგზავნეს.

8 მარტს (23 თებერვალს) გლეხთა აჯანყება დაიწყო ლეჩხუმის მაზრაში. აჯანყებას ხელმძღვანელობას უწევდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები. ამ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ქალები და მოხუცები. ბრძოლა სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგით. აჯანყებულებმა მთელს მაზრაში მოახდინეს მენშევიკური ხელისუფლების ორგანოების ლიკვიდაცია და დაამყარეს სარევოლუციო ხელისუფლება. აჯანყებულები რომ იძულებულეყოთ დაეყარნათ იარაღი, მენშევიკებმა ისეთ ბარბაროსულ საშუალებას მიმართეს, როგორიც არის მთელი ლეჩხუმის მაზრის გამოცხადება კანონს გარეშე.

„ხაზინას, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს და მთავრობის ყველა დაწესებულებებს, — ნათქვამი იყო ამის შესახებ მენშევიკების მიერ გამოკრულ განცხადებაში, — ბრძანება ეძლევათ შესწყვიტონ ყოველივე კავშირი ლეჩხუმის მაზრასთან. ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსს და აგრეთვე ხონის, ტყიბულისა და რაჭის სახალხო მილიციის უფროსებსაც ევალებათ დახურონ ლეჩხუმში მიმავალი გზები და ამით შესწყვიტონ ყოველივე მოძრაობა, ოთხფეხი საქონლის გადარეკა და სურსათ-სანოვაგის შეზიდვა ლეჩხუმის მაზრაში. თუ ამის შემდეგაც ლეჩხუმის მაზრის მოსახლეობა დაუყოვნებლივ არ დაამყარებს რევოლუციურ წესრიგს, არ მოგვცემს არეულობის ხელმძღვანელებს და არ დაჰყრის იარაღს, იძულებული ვიქნებით მთელი ლეჩხუმის მაზრა, როგორც კონტრრევოლუციური, იარაღით დავიმორჩილოთ“ [1].

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ლეჩხუმის მაზრა ზამთრის მეორე ნახევრიდან მხოლოდ და მხოლოდ გარედან შემოტანილი პურით იკვებებოდა. მენშევიკებმა მაზრაში ყველა გზა დაჰკეტეს და მოსახლეობას პური, მარილი და სხვა საკვები პროდუქტები მოუსპეს, რის გამოც აჯანყებულები შიმშილით უნდა ამოხოცილიყვნენ. მიუხედავად ამისა, აჯანყებული გლეხები უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ და იარაღი მხოლოდ მას შემდეგ დაჰყარეს, როდესაც მათი მდგომარეობა სრულიად გამოუვალი გახდა.

ამ დროს მასობრივი აჯანყება დაიწყო აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად სამეგრელოსა და აფხაზეთშიაც.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროს ავანგარდში კვლავ ბაქოს პროლეტარიატი მიდიოდა.

„ქალაქი ბაქო, — ნათქვამი იყო ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს 1918 წ. 28 (15) მარტის გადამწყვეტი-

[1] „ერთობა“ № 51, 4 მარტი, 1918 წ.



Среда, 14 марта, 1918 г. Цѣна 20 коп.

КАВКАЗСКАЯ ПРАВДА

Россійская С.-д. Раб. Партія

Органъ Кавказскаго Краєвого и Тифлисскаго Комитетовъ Р. С. Д. Р. П.

(большевиковъ).

№ 2 ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА № 2

ლებაში, — უნდა გადავაქციოთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საჭირო ბრძოლის დასაყრდენ ადგილად ამიერკავკასიაში. საჭიროა შევქმნათ საბჭოს გარშემო რეალური ძალა, დავეყრდნოთ რუსეთის რევოლუციურ ხელისუფლებას და ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოებს, დავიცვათ თავი და გავავრცელოთ ჩვენი ძალა და გავლენა ამიერკავკასიის მთელს ტერიტორიაზე"[1].

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომის მრავალი ფრონტის არსებობის გამო კავშირის გაბმა საძნელო იყო, ამხანაგი სტალინი მაინც განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდა საქმის მდგომარეობას ამიერკავკასიაში და აძლევდა ბოლშევიკებს მთელ რიგ ისეთ გადამწყვეტ დირექტივებს, რომელთაც უნდა უზრუნველყოთ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

ამას მოწმობს, მაგალითად, ამხანაგ სტალინის წერილი ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძისა და სხვებისადმი, 1918 წლის 31 (18) მარტის თარიღით, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობაზე. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უზრუნველყოფისათვის ამხანაგ სტალინს აუცილებელ პირობად მიაჩნდა, უწინარეს ყოვლისა, ნაციონა-

[1] „კავკაზსკაია პრავდა" № 2, 1918 წ.

ლური საკითხის სწორად გადაჭრა და „ქვედა ფენების“ ორგანიზაცია „მათი-მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

„რა მდგომარეობაშია ახლა ბაქო საერთაშორისო ურთიერთობის მხრივ, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — რა გააკეთა ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის „დამოუკიდებლობისა“ და თურქეთთან დამოუკიდებელი მოლაპარაკების მხრივ, რას ფიქრობენ ამის შესახებ საერთოდ მუსულმანები და განსაკუთრებით კი ბაქოს მუსულმანები, რა აზრის არიან სომხები იმის შესახებ, რაც ახლა ხდება, და განსაკუთრებით კი ყარს-არდაგანის შესახებ, — ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. ერთი რამ უეჭველია: ბაქო გამაგრებულ უნდა იქნას სამხედრო და ფინანსიური მხრით; თუ მუსულმანები ავტონომიას მოითხოვენ, მათ უნდა მიეცეს იგი... ბაქოს საბჭოსთან დაუყოვნებლივ უნდა დაარსდეს მუსულმანური განყოფილება, ფართოდ განვითარდეს მუსულმანური ლიტერატურა, უნდა დაარსდეს ასეთივე სომხური განყოფილება და, საერთოდ, წარმოებულ იქნას პოლიტიკა მუსულმანურ-სომხური ქვედაფენების დარაზმვისა საბჭოების გარშემო მათი ზედაფენების წინააღმდეგ ბრძოლაში“[1].

[1] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობის ოქმები, გვ. 76.

1918 წელი

საქართველოში

I

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დასაწყისიდან 1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე განვლილ დროს ლენინი „საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური მსვლელობის“ პერიოდს უწოდებდა.

„ჩვენ, — სწერდა ლენინი, — რამდენიმე კვირის განმავლობაში დავამხვეთ ბურჟუაზია და დავსძლიეთ მისი აშკარა წინააღმდეგობა სამოქალაქო ომში. ჩვენ ბოლშევიზმის გამარჯვებული ტრიუმფალური მსვლელობით განვვლეთ უდიდესი ქვეყანა კიდით-კიდემდე“ [1].

რუსეთის ცენტრალურ-სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებში, სადაც მრავალრიცხოვანი მუშათა კადრები და ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობდნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ შედარებით ადვილად გაიმარჯვა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო რუსეთის განაპირა მხარეებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და სამხრეთში: ციმბირში, ვოლგის მხარესა და უკრაინაში, სადაც მუშათა კლასი მცირერიცხოვანი იყო, ხოლო ნაციონალური წინააღმდეგობანი — ძლიერი. ამ რაიონებში კონტრრევოლუციის წინააღმდეგობა გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა და საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვება რამოდენიმედ შეფერხდა.

„ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — ერთგვარი გეოგრაფიული გამიჯნვა დაისახა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის. სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების მსელელობაში საბოლოოდ გამოირკვა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის რაიონები. შიდა რუსეთი მისი სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრებით (მოსკოვი და პეტროგრადი), ეროვნულად ერთფეროვანი, უმთავრესად, რუსი მოსახლეობით, რევოლუციის ბაზად გადაიქცა.

რუსეთის განაპირა მხარეები კი, უმთავრესად სამხრეთისა და აღმოსავლეთის განაპირა მხარეები, სადაც არ არსებობდა მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები და მოსახლეობა კი

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი. ტომი XXII, გვ. 375 (რუს. გამოც.).

ეროვნული მხრით უაღრესად სხვადასხვანაირი იყო, რომელიც ერთის მხრით, პრივილეგიურ ყაზახ-კოლონიზატორებისაგან, ხოლო მეორე მხრით, არასრულუფლებიანი თათრების, ბაშკირების, ყირგიზების (აღმოსავლეთში), უკრაინელების, ჩეჩნების, ინგუშებისა და სხვა მუსულმანური ერებისაგან შესდგებოდა, კონტრრევოლუციის ბაზად გადაიქცა.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ რუსეთის მებრძოლ ძალთა ასეთ გეოგრაფიულ განაწილებაში არაბუნებრივი არაფერია. მართლაც და, სხვა ვინ უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა მთავრობის ბაზას, თუ არ პეტროგრად-მოსკოვის პროლეტარიატი? სხვას ვის შეეძლო ყოფილიყო დენიკინ-კოლჩაკის კონტრრევოლუციის დასაყრდენი, თუ არ რუსული იმპერიალიზმის ძველთაძველ იარაღს, პრივილეგიებით აღჭურვილ და სამხედრო წოდებად დარაზმულ ყაზახობას, რომელიც დიდი ხანია ყვლეფდა არა რუს ერებს განაპირა მხარეებში?

განა ცხადი არ არის, რომ არავითარი სხვა „გეოგრაფიული განაწილება“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო?“ [1].

ამიერკავკასია ისეთ მხარეს წარმოადგენდა, სადაც ბრძოლა სოციალიზმის გასამარჯვებლად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად განსაკუთრებით რთულ ნაციონალურ ურთიერთობათა პირობებში სწარმოებდა და სადაც ბოლშევიკურ პარტიას სასტიკი ბრძოლა უხდებოდა არა მარტო მენშევიკებთან და სხვა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ პარტიებთან, არამედ დასავლეთ-ევროპის იმპერიალისტებთანაც, რომლებთანაც ამ პარტიებმა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მიმართული აშკარა კავშირი დაამყარეს.

1918 წლის 29 ივლისს ლენინი, თავის სიტყვაში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, ეხებოდა რა საქმეთა ვითარებას კავკასიაში, აღნიშნავდა:

„...ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგების — კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან მათ განუწყვეტლივ ღალატობდნენ მენშევიკები, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ დამყარებული გერმანიის იმპერიალისტებთან“ [2].

სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ულმობელი ბრძოლა სწარმოებდა, რამდენადაც აქ ამიერკავკასიის კომისარიატის ფირნინით შექმნილი ექსპლოატატორული კლასების კონტრრევოლუციური ბლოკისათვის, რომელსაც ქართველი მენშევიკები მეთაურობდნენ და ასულდგმულებდნენ, პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის თვით ფაქტი და სოციალიზმის გამარჯვება რუსეთში სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა.

„მათ ერთი ფიქრი აქვთ: როგორმე ჩვენი ხანძრის ნაპერწკლები არ მოხვდეს მათ სახურავს“, — ამბობდა ამის შესახებ ლენინი.

---

[1] ი. სტალინი. „სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთ-რუსეთში“, „პრავდა“ № 293, 1919 წ.

[2] ლენინი. ტ. XXIII, გვ. 155 (რუს. გამოც.).

იმ მიზნით, რომ თავისი ბატონობა შეენარჩუნებინათ ამიერკავკასიაში, კონტრრევოლუციური ბლოკი სასტიკად ახშობდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს. ეს ბლოკი კონტრრევოლუციური ბრძოლის ერთერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი აღმოჩნდა რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

„ნაციონალურ მთავრობებს", — სწერს ამხ. სტალინი, იღებს რა მხედველობაში ამიერკავკასიის კომისარიატსაც, — არც კი სურდათ გაეგონათ რა სოციალისტური რევოლუციის შესახებ. მათ, როგორც ბურჟუაზიულ მთავრობებს თავისი ბუნებით, სრულიადაც არ სურდათ დაენგრიათ ძველი ბურჟუაზიული ქვეყანა, — პირიქით, ისინი თავის მოვალეობად სთვლიდნენ შეენარჩუნებინათ და განმტკიცებინათ იგი მთელი ძალღონით. მათ, როგორც იმპერიალისტურ მთავრობებს არსებითად, სრულიადაც არ სურდათ კავშირი გაეწყვიტნათ იმპერიალიზმთან, — პირიქით, ისინი არასოდეს არ იყვნენ იმის წინააღმდეგნი, რომ დაეპყროთ და დაემორჩილებინათ „სხვა" ეროვნებათა ნაწილები და ნაკუწები, თუ კი ამის შესაძლებლობა ექნებოდათ" [1].

როცა 1918 წლის იანვარში ბოლშევიკების მიერ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დათხოვნის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების იურიდიული გაფორმების მიზნით 23 (10) თებერვალს ტფილისში მოიწვიეს ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც შესდგებოდა „სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის ამიერკავკასიიდან არჩეულ ესერ-მენშევიკ-დაშნაკ-ხან წევრთაგან" (სტალინი), რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტმა თავის მიმართვაში მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი ეს კონტრრევოლუციური დაწესებულება შემდეგნაირად დაახასიათა:

„სეიმი წარმოადგენდა ახალ სიყალბეს, ხალხის ახალ მოტყუებას, ახალ საშუალებას ჩაეხშოთ რევოლუცია ამიერკავკასიაში მუსულმან ბეგებისა და ხანების, ქართველი თავადებისა და სომხის ბურჟუაზიის სასარგებლოდ" [2].

ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ თვით სეიმის მოწვევა ნიშნავდა ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთისაგან, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ამიერკავკასიაში და აშკარა ბრძოლის გამოცხადებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ფარდა ახადა მუშებისა და გლეხების ახალი მოტყუილების ფაქტს და, ნაცვლად სეიმის მოწვევისა, მაშინვე წამოაყენა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ნამდვილი, რევოლუციური საბჭოების ახლად შექმნის აუცილებლობის ლოზუნგი.

„საჭიროა ხელახლა და ქვევიდან შევუდგეთ ამ საბჭოების შენებას, — სწერდა სამხარეო კომიტეტი, — გავაერთიანოთ მძლავრ ორგანიზაციებში

---

[1] ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 73-74, გამოც. 1934 წ.

[2] საქ. სარევოლუციო მუზეუმი. ბოლშევიკური პროკლამაციები 1917—1920 წწ., ფურც. 356.

რევოლუციური კლასები და გამოვიყვანოთ ისინი სეიმის გარშემო დარაზმული ფეოდალურ-ბურჟუაზიული ზედაფენების წინააღმდეგ. მუშათა კლასსა და გლეხობას სრული დამონავება მოელის, თუ ისინი ვერ შეიგნებენ ამ ყოვლად აუცილებელ საჭიროებას, თუ ისინი არ შეჰქმნიან ახლო მომავალში მუშათა და გლეხთა დეპუტატების ახალ რევოლუციურ საბჭოებს" [1].

ამიერკავკასიის სეიმში უძლიერესი და ხელმძღვანელი პარტია ქართველი მენშევიკების პარტია იყო. ამ კონტრრევოლუციური ცრუპარლამენტის თავმჯდომარედ არჩეული იყო კ. ჩხეიძე, ცნობილი სოციალ-შოვინისტი ობორონეცი, ბურჟუაზიასთან კოალიციის მომხრე და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე 1917 წ., რომელმაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინადღით პეტროგრადიდან ამიერკავკასიაში გაპარვა მოასწრო.

სეიმი ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკას განაგრძობდა, რის გამოც მას არც ერთი ღონისძიება არ განუხორციელებია მუშათა კლასისა და გლეხობის სასარგებლოდ.

რკპ (ბ) ბიულეტენმა, რომელიც ტფილისში გამოდიოდა, ასე შეაფასა მაშინ ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობა და აგრეთვე სეიმისა და მისი ხელმძღვანელების — მენშევიკების მოღვაწეობა:

„ამიერკავკასიის დემოკრატიამ თანდათან უფრო დაჰკარგა ის წარმატებაც კი, რაც მან თებერვლის გადატრიალების შემდეგ მოიპოვა. ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს არ შეუძლიათ შეიკრიბონ მიტინგებზე, მათ ხვრეტენ, აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს ატუსაღებენ, არ ანებებენ იდღესასწაულონ პროლეტარული ისტორიული დღეები, ხურავენ სტამბებს, სადაც მუშათა გაზეთები იბეჭდება, ახდენენ ჩხრეკას უორდეროდ და სხვ... სადღაა სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, კრებებისა და კოალიციების თავისუფლება, — ეს სამოქალაქო უფლებები, რომლებიც თვით ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური წყობილების დროსაც კი შესაძლებელია? ეს ხომ მენშევიკების პროგრამა-მინიმუმია, რომელსაც ურჩევენ ისინი რუსეთს ახლანდელ რევოლუციაში" [2].

საგარეო პოლიტიკის საკითხებში სეიმი აშკარა ავანტურისტულ გზას დაადგა და უარი სთქვა ბრესტის ზავის ცნობაზე.

როგორც ყველამ უწყის, ლენინური ტაქტიკა, იღებდა რა მხედველობაში საგარეო და საშინაო პირობებს, იმ მძიმე და მძარცველური ზავის ჩამოგდების დროს, რომელიც თავს მოახვია საბჭოთა ხელისუფლებას იმპერიალისტურმა გერმანიამ, გენიალურად ითვალისწინებდა იმას, რომ დროებითი უკანდახევით „...დრო მოეგო, გაეხრწნა მოწინააღმდეგე და დაეგროვებინა ძალები შემდეგში შეტევაზე გადასასვლელად" [3].

კონტრრევოლუციურმა ბლოკმა, ამიერკავკასიის სეიმის სახით, ბრესტის ზავის შეკვრა საბჭოთა რუსეთის მიერ იმ მხრივ გამოიყენა, რომ ყოვლად უმსგავსი

[1] საქ. სარევოლუციო მუზეუმი. ბოლშევიკური პროკლამაციები 1917 — 1920 წწ., ფ. 356.
[2] რკპ (ბ) ბიულეტენი № 5, 1918 წ.
[3] ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 58.

Россійская Коммунистическая Партія (большев.)

Цѣна 15 к. *Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!*

БЮЛЛЕТЕНЬ

Революція въ Закавказьѣ.

Въ Поти получено 13 апрѣля радіотелеграмма изъ Баку за подписью резв. Комиссара С. Шаумяна, слѣдующаго содержанія:

„Возстаніе партіи «муссаватъ» мусульманскихъ помѣщиковъ въ Закавказьѣ раздавлено въ Баку совѣтскими войсками и флотомъ, вслѣдъ затѣмъ разбиты войска и банды Елизаветпольскихъ бековъ у Аджикабула и Дагестанскихъ у Хурдалана. Съ боемъ заняты Ленкоранъ, Хачмасъ, Дербентъ и Петровскъ. Огненое кольцо контръ-революціи вокругъ Бакинскаго Совѣта контръ-революціи въ лицѣ меньшевистско-бекскаго блока.

Петровскъ и Дербентъ взяты революціонными войсками.

Къ сдачѣ Батума и Карса

По имѣющимся у насъ точнымъ свѣдѣніямъ еще во время мирныхъ переговоровъ въ Трапезундѣ, т. „министръ иностран. дѣлъ" А. Чхеидзе телеграфировалъ коменданту крѣпости Батумъ „сдать городъ безъ боя". Подробности сдачи гор. Батума турками, напечатанныя данныя въ контръ-революціонн. меньшевистской прессѣ (напр. въ «Борьбѣ») свидѣтельствуютъ о явномъ предательствѣ. Турки заняли городъ столь малочисленными силами, что

РКП (Б) ბიულეტენის პირველი გვერდი.

ცილისწამების კამპანია გაეჩაღებინა ბოლშევიკური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ. ნაცვლად ბრესტის ზავის ცნობისა, სეიმი ავანტურის გზას დაადგა და გადასწყვიტა მოპოვებინა თურქეთთან ზავის დამოუკიდებელი პირობები.

1918 წლის 22 აპრილს სეიმმა აქ „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა" და „ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკის" შექმნა გამოაცხადა. სეიმის ამავე სხდომაზე მენშევიკმა ონიაშვილმა, როგორც კონტრრევოლუციური ბლოკის აზრის გამომხატველმა, ორიენტაცია საბჭოთა რუსეთზე რეაქციურ ორიენტაციად გამოაცხადა.

„ჯერ კიდევ დიდი საკითხია, — განაცხადა ონიაშვილმა, — რომელი საფრთხე უფრო ცუდია ჩვენთვის, ბოლშევიკური, თუ თურქული"[1].

როგორც ვიცით, ისტორიამ ბრწყინვალედ დაადასტურა ლენინურ-სტალინური პოზიციის სისწორე ბრესტის ზავის საკითხში და ფარდა ახადა მენშევიკების ავანტურას ჩამოეგდოთ დამოუკიდებელი ზავი ამიერკავკასიასა და სულთანის თურქეთს შორის. თურქეთის ჯარმა არ გაუწია ანგარიში არც იმ მოლაპარაკებას, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმი აწარმოებდა, და არც მის პრო-

[1] საბუთები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, გვ. 221.

ტესტებს, ის შეტევაზე გადმოვიდა და, ადვილად დაიკავა რა ყარსი და ბათომი, შემოვიდა გურიაში და უშუალოდ დაემუქრა თვით ტფილისს.

ახლად გამოჩეკილ „ფედერატიულ რესპუბლიკას“, რომელიც შექმნილი იყო ამიერკავკასიის მშრომელთა ნება-სურვილის წინააღმდეგ და რომელსაც ცნობილი ნაციონალ-შოვინისტი ა. ჩხენკელი მეთაურობდა, არ აღმოაჩნდა რეალური ძალა, რომ თურქეთის ჯარების შემოტევა შეეჩერებინა. აშკარა გახდა, რომ კონტრრევოლუციური ბლოკი თავდავიწყებით ჩაება ომში, თუმცა მას არ ჰყავდა ჯარი და არ იყო მომზადებული არც ეკონომიურად და არც ფინანსიურად.

პარტიის VIII საოლქო ყრილობაზე ნ. ჟორდანია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამიერკავკასიის თავდაცვის საკითხში საოლქო კომიტეტმა ვერ შესძლო თან გაეყოლიებინა თვით თავისი პარტიაც კი. სეიმის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია 19-დან 25 წლის ასაკამდე სამარცხვინოდ ჩაშალა. ჯარისკაცების ფრონტზე გაგზავნისათვის მათი ჯარში გაწვევის ნიადაგზე სხვადასხვა რაიონებში სერიოზული აჯანყებები დაიწყო. ასე მოხდა, მაგალითად, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში, საიდანაც მობილიზაციით უნდა გაეწვიათ 3.000 კაცი, მაგრამ სინამდვილეში კი შესაკრებ პუნქტებზე არავინ გამოცხადებულა.

ახლად გამოჩეკილი „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკა“ დაიშალა და თურქებმა, დასდეს რა მენშევიკურ საქართველოსთან 1918 წლის 4 ივნისს „მშვიდობიანობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება, მას თავს მოახვიეს „სამჯერ უფრო კაბალური“ ზავი, ვიდრე ბრესტის საზავო ხელშეკრულება იყო. ახალ ტერიტორიალურ დათმობათა გარდა, მენშევიკური საქართველო ვალდებული გახდა განეიარაღებინა თავისი სამხედრო გემები, მოეხდინა თავისი არმიის დემობილიზაცია, გადაეცა გერმანიისა და თურქეთის სამხედრო ხელისუფლებისათვის რკინიგზა და უმთავრესი გზატკეცილები და სხვ. [1]

მენშევიკები ფიქრობდნენ სამხედრო ავანტურით შეესუსტებინათ შინაური კლასობრივი წინააღმდეგობანი და შეეფერხებინათ რევოლუციური მოძრაობის ზრდა, მაგრამ ისინი მწარედ მოსტყუვდნენ.

ამიერკავკასიის სეიმის არსებობის პერიოდს ახასიათებს ბოლშევიზმის კიდევ უფრო შეუჩერებელი ზრდა საქართველოს მუშათა და გლეხთა მასებს შორის.

მენშევიკების მიერ ალექსანდრეს ბაღში სეიმის გახსნის დღეს 23 (10) თებერვალს მოწვეული მუშათა მიტინგის დახვრეტას ტფილისის პროლეტარიატმა საყოველთაო გაფიცვით უპასუხა.

საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, თავის მიმართვაში ქ. ტფილისის პროლეტარიატისადმი სწერდა:

> „ჯერ კიდევ არ გამშრალა განჯისა და შამქორის წამებულთა უმანკო სისხლი, ჯერ კიდევ არ გაცივებულა ამბერკავკასიის კომისარიატისა და მუსულმან ბეგების ბნელი კავშირის მსხვერპლ რუს ჯარისკაცთა გვამები, რომ აქ, ტფილისშიაც, რევოლუციონერების დევნა და რეპრესიები დაიწყო ამჟანაგ ბოლშევიკების დაპატიმრებით და მათი ჭეშმარიტად პრო-

[1] საბუთები და მასალები, გვ. 341, 357 და 358.



რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.
პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПАРАСКЕВИ, 16 მარტი 1918 წ.

ჩვენი ბრძოლა

ეროვნული გაზეთი.

№ 8

ფასი 15 კ.

ორგანო დასავლეთ ამიერკავკასიის ორგანიზაციის რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების)

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო!

10 თებერვალს ტფილისის ალექსანდრეს ბაღში ტყვიის მფრქვეველებით და თოფის ზალპებით მუშათა მიტინგი დაცხრილეს. 13 მუშის გვამი ცივ სამარეს მიაბარეს, ოცდ
და ათი მუშის, ქალის და ბავშვის სისხლი ბაღის მოედანში ჩაიწოვა. „ხალხუნელია ამ-
ბების“ „გამოსამიებლათ თითქო კომისიაც დანიშნა მთავრობამ. მაგრამ ხუთი კვირა
ბის ამ ავანტიურ კამოსვლის შემდეგ და ჯერ კიდევ კონკრეტულად არ სმენია კომი-
სია—რა გამოიძია და ვინ უნდა დასჯილიყოს ავანტიურის დაწყების. ოფიციალურად, ჩვენთან სულ

ლეტარული გაზეთების დახურვით კომისარიატი ფიქრობდა ჩაექრო ამიერ-კავკასიაში გაჩაღებული სახალხო რევოლუციის ხანძარი და, როცა მშვიდობიანი, უიარაღო მუშები და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში საპროტესტო მიტინგზე შეიკრიბნენ, მან მუხანათურად დახვრიტა ეს უკანასკნელნი, ადამიანთა სისხლით მორწყო ბაღის ხეივნები და მათი ტვინით შელესა ამ ბაღში მდგარი ხეები და სკამები.

ტფილისის მუშათა მასებს არ შეეძლოთ მდუმარებით შეხვედროდნენ გამცემლობის ამ ახალ აქტს და, მიუხედავად მუქარისა და რეპრესიებისა, მათ ამაზე ერთსულოვანი აღშფოთებითა და საპროტესტო გაფიცვით უპასუხეს. ამ გაფიცვით ტფილისის მუშებმა დაგვანახეს, რომ მათთვის უცხო ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიის ინტერესები, რომ მათთვის, პირიქით, ახლობელი და საერთოა მთელი რუსეთის მუშათა ინტერესები, რომ ისინი რევოლუციის გასამარჯვებლად წარმოებულ საერთო ბრძოლაში წავლენ არა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატთან და ობორონცულ ცენტრებთან ერთად, არამედ ხელიხელ ჩაკიდებულნი, მხარდამხარ წავლენ მთელი რუსეთისა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად.

ამნაირად, ჩვენი გაფიცვით დასახული ამოცანა მიღწეულია; კომისარიატისადმი უნდობლობა გამოცხადებულია; ჩვენი ძლიერი პროლეტარული

პროტესტი მისი სიცრუისა და გამცემლობის პოლიტიკის წინააღმდეგ უკვე გამოთქმულია, და ამიტომ ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი მოგიწოდებს თქვენ, ამხანაგებო, კვლავ განაახლოთ მუშაობა. თუმცა ჩვენ ვწუკვეტთ ჩვენს საპროტესტო გაფიცვას, მაგრამ ამით ჩვენ მაინც არ ვანებებთ თავს ჩვენს სარევოლუციო ბრძოლას და, ვდგებით რა ჩვენს დაზგებსა და მანქანებთან, ახალი ენერგიით, ახალი ძალითა და ღონით განვაგრძობთ ჩვენს პროლეტარულ ბრძოლას რევოლუციის სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე სახალხო საქმის ყველა მტრების, გამცემლებისა და მოღალატეების წინააღმდეგ.

მაშ, გაუმარჯოს, ამხანაგებო, ამ ბრძოლას, დეე გაფართოვდეს და განვითარდეს ამ ბრძოლაში ტფილისისა და კავკასიის მუშათა ერთობა მთელი რუსეთისა და მთელი ქვეყნის მუშებთან, მსოფლიო ინტერნაციონალის წითელი დროშისათვის.

ძირს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი და სეიმი!

გაუმარჯოს კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებას — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობას — სახალხო კომისართა საბჭოს!

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!" [1]

მიუხედავად კონტრრევოლუციური რეჟიმის პირობებისა, ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციები მედგრად განაგრძობდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ამიერკავკასიაში.

ბაქოში ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. 1918 წლის აპრილის დასაწყისში იქ მუსავატელების, ბეგებისა და ხანების კონტრრევოლუცია სასტიკად დამარცხდა ცხარე ბრძოლაში და გამოცხადდა ბაქოს კომუნა. იღებდნენ რა ლენინისა და მისი დიდი თანამებრძოლის სტალინისაგან სახელმძღვანელო მითითებებს და უშუალო დახმარებას, ბაქოს კომუნარები, ყოველი მხრით გარშემორტყმულნი ინტერვენტებითა და შინაური კონტრრევოლუციით, მამაცურად იბრძოდნენ სოციალიზმისა და იმისათვის, რომ პროლეტარული ბაქო მთელი ამიერკავკასიის პროლეტარული რევოლუციის ციხე-სიმაგრედ გადაექციათ.

თვით ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა ბაქოში უეჭველად ძლიერ გამარევოლუციონგრებელ გავლენას ახდენდა და მაგალითის მიმცემი იყო მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობისათვის.

„ბოლშევიზმის ზხამი" შეიპრა აგრეთვე ე. წ. ნაციონალურ სამხედრო ნაწილებშიაც, რომელნიც შექმნილნი იყვნენ ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურის განსამტკიცებლად.

მენშევიკების საოლქო ყრილობაზე ვ. ჯუღელმა განაცხადა:

„როცა კავკასიის ფრონტი დაიშალა, ჩვენ შევეცადეთ დაბრუნებუ-

[1] სარევოლუციო მუზეუმი, ბოლშევიკური პროკლამაციები 1917 — 1921 წ. წ., ფურც. 362.

ლი ჯარისკაცები შეგვეგროვებინა ნაციონალურ კორპუსში, მაგრამ მათ ვერ გაამართლეს ჩვენი იმედები, და ერთი თვის შემდეგ ჩვენ იძულებულნი გაკეხდით იარაღი აგვეყარნა მათთვის, რადგან ისინი არაფრით არ განსხვავდებოდნენ წინანდელი ბოლშევიკური პოლკებისაგან“ [1].

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ძალადობის მთელი აპარატი ამ დროს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ნ. ჟორდანია სეიმის ერთერთ სხდომაზე იძულებული იყო განეცხადებინა:

„მუშათა კლასი განწყობილია ბოლშევიკურად. თვით მენშევიკი მუშებიც კი ბოლშევიზმით არიან დაავადებულნი“ [2].

ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მოწოდებას — 1918 წლის 1-ლ მაისს შეკრებილიყვნენ მიტინგებზე — გამოეხმაურა მუშების საგრძნობი ნაწილი. განსაკუთრებული რაზმისა და მილიციის დახმარებით დახურულ სადგომებში მოწვეული მუშათა მიტინგები შემდეგ ისევ გარეკილ იქნა მეხშევიკების მიერ. ერთერთი მრავალრიცხოვანი მიტინგის რეზოლუციაში ბოლშევიკი აგიტატორების გამოსვლის შემდეგ მუშები აცხადებდნენ:

„დიადი საპირველმაისო დღესასწაულის დღეს ჩვენ, ტფილისის მუშები, ჩვენს ძმურ სალამს ვუძღვნით მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს და, კერძოდ, მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ მთელი რუსეთის პროლეტარიატს და გლეხობას, რომელთაგანაც ჩვენს ჩამოშორებას ცდილობს ამიერკავკასიის ბეგურ-მენშევიკურ-დაშნაკური მთავრობა, ხალხთა მასების სურვილისა და ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ. იმის საფრთხით, რომ შეიძლება ჩვენ დაგვხვრიტონ მილიციონერებმა, რომელნიც მიტინგის დაუყოვნებლივ დახურვას მოითხოვენ, ჩვენს აღშფოთებას და ფულის წყრომას გამოვთქვამთ იმ ძალადობისათვის, რომელიც მოახდინა ამიერკავკასიის დემოკრატიაზე დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტმა, და იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია საპირველმაისო მიტინგის გარეკით.

ძირს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა!

გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს!

გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს შრომის კომუნას!“

1918 წლის მაისში ამიერკავკასიის ამბების ანალიზის საფუძველზე, იძლევოდა რა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შეფასებას, „რკპ (ბ) ბიულეტენი“, რომელიც ტფილისში გამოდიოდა, სწერდა:

„...მასები ისეთიგე სისწრაფით რევოლუციონერდებიან, როგორიფაც მემარჯვენდებიან მენშევიკები, რომლებმაც რეაქციურობაში თვით კადეტების პარტიასაც კი გადააჭარბეს. მასები თანაუგრძობენ ბოლშევიკებს. ისინი მათ მოელიან როგორც მხსნელებს მენშევიკური რეაქციისაგან“.

[1] მენშევიკების VIII საოლქო ყრილობის ოქმები, ვ. ჯუღელის მოხსენება.

[2] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. „ორი წლის მანძილზე“, სტატიები და სიტყვები, გვ. 56.

* * *

ჩრდილოეთიდან მომავალი ბოლშევიკური რევოლუციის მუქარის გამო, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკი უსაზღვრო შიშს განიცდიდა ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატის წინაშე და, რაკი არ შესწევდა ძალა გამკლავებოდა მუშათა და გლეხთა გაძლიერებულ აჯანყებას ქვეყნის შიგნით, მან, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, გადასწყვიტა ინტერვენციას დაყრდნობოდა.

„...იერიშმიტანილნი ორის მხრივ: გარედან — საბჭოთა ხელისუფლების მხრივ და შიგნიდან — „თავისივე საკუთარი“ მუშებისა და გლეხების მხრივ, „ნაციონალური“ მთავრობები“, — სწერს ამხ. სტალინი, — იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ პირველივე ბრძოლების შემდეგ. ფინეთის მუშებისა და ტორპარების აჯანყება და ბურჟუაზიული „სენატის“ გაქცევა; უკრაინის მუშებისა და გლეხების აჯანყება და ბურჟუაზიული „რადის“ გაქცევა... აგრარული რევოლუცია კავკასიაში და სრული უძლურება „ნაციონალური საბჭოებისა“ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, — ასეთია ყველასათვის ცნობილი ფაქტები, რაც ცხადჰყოფს განაპირა მხარეთა „მთავრობების“. სრულ მოწყვეტას „თავიანთი“ მასებისაგან. მთლიანად განადგურებულნი „ნაციონალური მთავრობები“ იძულებულნი იყვნენ მიემართნათ დახმარების აღმოსაჩენად „თავიანთი“ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ დასავლეთის იმპერიალისტებისათვის, მთელი ქვეყნის წვრილ ეროვნებათა საუკუნოებრივი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისათვის“ [1].

საქართველოს ნაციონალური საბჭო, რომელიც ჩამოყალიბდა ტფილისში ე. წ. ნაციონალურ ყრილობაზე 1917 წლის ნოემბრის ოციან რიცხვებში, მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების, სამღვდელოებისა და სხვ. მონაწილეობით, ჯერ კიდევ საქართველოს რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებამდე მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის იმპერიალისტებთან ბოლშევიკური მოძრაობის ჩაქრობაზე ქვეყნის შიგნით და საქართველოს უზრუნველყოფაზე „გარეშე საფრთხისაგან“, და ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰყავდა საბჭოთა რუსეთი.

1918 წლის 14 მაისის სხდომაზე [2] ეროვნულმა საბჭომ განიხილა შემდეგი წინადადება:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველ მხრივ მხარი დაუჭიროს გერმანიამ საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებში.

---

[1] ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 75 (ქართ. გამოც.).

[2] 1918 წლის 18 აპრილიდან (ძვ. სტილით) სეიმის გადაწყვეტილებით წელთაღრიცხვა ამიერკავკასიაში შემოღებულ იქნა ახალი სტილით. შემდეგში თარიღები მოყვანილია მხოლოდ ახალი სტილით.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, მიიღოს სათანადო ღონისძიებანი, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ სვლა ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ და იმდენად მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მათთან კონტაქტის დაპერა და საქართველოს უზრუნველყოფა გარედან მოსალოდნელი საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ სამშობლოში სამხედრო-დარაზმული წესით.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და მიანდოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდეს გამოიყენოს ეს ჯარი შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“ [1].

ეს დოკუმენტი არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, თუ ვისი დახმარებით ემზადებოდნენ ქართველი მენშევიკები შეექმნათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელმწიფო და ვისთან შეკავშირებით და რა ფასის გაღებით გადასწყვიტეს მათ ბოლშევიკური მოძრაობის ჩახშობა საქართველოში.

ამიერკავკასიის სვიმი — „ეს კონტრრევოლუციის კერა ამიერკავკასიაში, დაწესებულება, სადაც რევოლუციის მოსპობის გამცემლური საქმე კეთდებოდა ამიერკავკასიაში“ (ს. შაუმიანი), მალე დაიშალა; მას დიდხანს არ უარსებნია.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ე. წ. ნაციონალურმა საბჭომ, ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით, საქართველოს „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადა. ამ საზეიმო სხდომას დაესწრნენ გრაფი შულენბერგი გერმანელი ოფიცრების თანხლებით და ტფილისის მიტროპოლიტი ლეონიდი თავისი ამალით. მენშევიკების მაგალითს მიჰბაძეს დაშნაკელებმა და მუსავათელებმა, რომლებმაც სომხეთი და აზერბაიჯანი „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებად გამოაცხადეს.

რუსეთისა და ამიერკავკასიის პროლეტარიატთან ინტერნაციონალური კავშირის გაწყვეტა, ნაციონალურ ნაჭუჭში განკერძოების მისწრაფება, ქართველი მენშევიკების მიერ ნაციონალ-შოვინისტური პოზიციის დაკავება და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს გამოცხადება — შემთხვევითი მოვლენას როდი წარმოადგენდა. ყველაფერი ეს მოხდა არა მარტო თურქულ-გერმანული იმპერიალიზმის ძალდატანებით (რომელიც უდავოდ დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის დაქუცმაცებაში და აქ რამდენიმე სუსტი სახელ-

[1] მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის არქივი, მენშევიკური მთავრობის ფონდი, საქმე № 7, გვ. 70.

მწიფოს შექმნაში), არამედ იმითაც, რომ ეს იყო იმ პოზიციის ნაყოფი, რომელსაც ქართველი მენშევიკები მრავალი წლის განმავლობაში იცავდნენ.

ნაციონალური საკითხის დაყენებაში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მუდამ ღრმა პრინციპული უფსკრული არსებობდა. ჯერ კიდევ ძველი „ისკრის" ეპოქიდან ბოლშევიკები ერთა თვითგამორკვევის უფლებას იცავდნენ, ხოლო ქართველი მენშევიკები დიდიხნით ადრე 1917 წლის რევოლუციამდე, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, ნაციონალური ბურჟუაზიის სასარგებლოდ გამოდიოდნენ და „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას მოითხოვდნენ".

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომია", რომელიც მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ერთიანობას არღვევდა და წვრილ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს ჰქმნიდა იმ მიზნით, რომ პროლეტარიატი მხოლოდდამხოლოდ ნაციონალურ ინტერესთა კალაპოტში მოემწყვდია და კლასობრივ ბრძოლას ჩამოეშორებინა, თავისთავად ცხადია, ხელსაყრელი იყო მხოლოდ შოვინისტურად განწყობილი ბურჟუაზიისათვის. ამიტომ ბოლშევიკები გადაჭრით ებრძოდნენ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" იდეას, რომელიც ლენინს „რეაქციურად, მავნედ, მეჩხერულად და ნაციონალისტურად მიაჩნდა"[1].

თავის შრომაში — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს დაიბეჭდა, ამხანაგმა სტალინმა ამხილა ქართველი მენშევიკების პოზიციის მთელი ოპორტუნისტული და გამცემლური რაობა ნაციონალურ საკითხში.

„...კულტურულ-ნაციონალური ავტონომია..., — სწერდა ამხანაგი სტალინი, — ძველ ნაუუკებში ჰკეტავს ერებს, სტოვებს მათ კულტურის განვითარების უმდაბლეს საფეხურზე, ხელს უშლის აიწიონ კულტურის უმაღლეს საფეხურებზე... აფერხებს დაგვიანებულ ერთა განვითარებას და ხდის საოლქო ავტონომიას ნაციონალურ კავშირებად დარაზმულ ერთა შეტაკების ასპარეზად.

ამნაირად, საერთოდ უვარგისი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კავკასიაში უაზრო რეაქციურ საქმედ გადაიქცევოდა"[2].

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკებმა პირდაპირი კავშირი დაამყარეს ყველაზე უფრო მემარჯვენე ნაციონალისტურ პარტიებთან და უკვე ამიერკავკასიის მენშევიკურ ყრილობაზე 1917 წლის ივნისში ნაციონალური საკითხი გადაჭრილ იქნა ნ. ჟორდანიას ნაციონალურ-შოვინისტური პოზიციის პრინციპების მიხედვით.

მენშევიკებმა ფეხი შესდგეს ქართული „ნაციონალური ერთიანობის" შექმნის გზაზე, რისთვისაც მათ 1917 წლის ივლისში ქ. ტფილისში დააარსეს ნაციონალური ბიურო, ყველა პარტიისა და მათ შორის აგრეთვე მენშევიკების მონაწილეობით.

---

[1] ლენინი. ტ. XVII, გვ. 95.

[2] ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 37 (რუს. გამოც.).

„ნაციონალური ერთიანობა“ დაპირისპირებული იყო ბოლშევიკური გავლენის ზრდასთან.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 24 (11) ნოემბერს, ქართველი მენშევიკების ინიციატივით გამოტანილ იქნა დადგენილება ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატის დაარსების შესახებ — ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმავე მენშევიკების ინიციატივით 3 დეკემბერს (20 ნოემბერს) მოწვეულ იქნა საქართველოს ეგრეთწოდებული ეროვნული ყრილობა, სადაც თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ჟორდანია, რომელიც მოხსენებით გამოვიდა ინტერპარტიული საბჭოს სახელით. ყრილობამ მენშევიკების მეთაურობით ისეთი პროგრამა მიიღო, რომელსაც საქმე საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ფაქტიური ჩამოშორებისა და „დამოუკიდებელი“ საქართველოს დაარსებისაკენ მიჰყავდა. ეს პროგრამა მოითხოვდა ქართული ნაციონალური ჯარის ნაწილებისა და სრული ადგილობრივი თვითმართველობის შედგენას: ნაციონალური ადმინისტრაციის მოწყობას, საკუთარი კანონების გამოცემის უფლებას და სხვ.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიზმთან, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს და თავიანთი ნაციონალურ-შოვინისტური პოლიტიკით ინტერნაციონალური კავშირის გაწყვეტას მიაღწიეს.

იშვიათი სიცხადით გამართლდა აქ გენიალური შორსმჭვრეტლობა ამხანაგი სტალინისა, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს გვიწინასწარმეტყველებდა, თუ საით მივყევართ ქართველი მენშევიკების გზას ნაციონალურ საკითხში.

1921 წლის 6 ივნისს, ტფილისის პარტაქტივის კრებაზე, დიდმა სტალინმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში შემდეგნაირად დაახასიათა მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკელების ბატონობის პერიოდი:

> „ნაციონალისტური მთავრობების სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანსა (მუსავატელები) და სომხეთში (დაშნაკელები) უქმად არ ჩაუვლია. ამ ნაციონალისტურმა მთავრობებმა, აწარმოებდნენ რა თავიანთ ნაციონალურ პოლიტიკას და მუშაობდნენ რა მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის პრინციპებით, ბოლოს იქამდის მიაღწიეს, რომ თვითეული ამ მცირე ქვეყანათაგანი გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფერის რგოლით, რამაც საქართველოსა და სომხეთს. მოაკლო რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანს და რუსეთს—ბათომით მომავალი საქონელი. მე უკვე არაფერს ვამბობ შეიარაღებული შეტაკებებისა (საქართველო-სომხეთის ომი) და ხოცვა-ჟლეტის (სომეხ-თათართა) შესახებ, როგორც ნა-

ციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. გასაკვირალი არ არის, რომ ამ შხამიან ნაციონალისტურ პირობებში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გასწყდა და მუშათა შეგნება კი ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა."[1].

II

საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადების წინადღით, გერმანიის ჯარის სარდლობასა და მენშევიკებს შორის წინასწარ შემუშავებული შეთანხმებით, ტფილისში ჩამოვიდა გერმანული სამხედრო რაზმი, გენერალ ფონ-კრესის მეთაურობით. საქართველოს მთავრობამ მოსახლეობას აუწყა, რომ გერმანელები მოწვეულნი არიან მის მიერ და მათი მოწვევის მიზანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების დაცვა და შინაური „ანარქიის" ჩახშობა.

28 მაისს გენერალ ფონ-ლოსოვმა ქ. ფოთში ხელი მოაწერა მენშევიკებთან დადებულ შეთანხმებას, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკა სცნობდა ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ზავს და ნებას აძლევდა გერმანელებს დაეწესებინათ კონტროლი და ესარგებლნათ საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზებით. ამასთან მენშევიკურმა მთავრობამ ვალდებულება აიღო გაეტარებინა კანონი მიწის წაღების მონოპოლიზაციის შესახებ და გადაეცა ქართულ-გერმანულ სამთო-სამრეწველო საზოგადოებისათვის მისი ექსპლოატაციის განსაკუთრებული უფლებები და სხვ.

ისახავდნენ რა საბოლოო მიზნად იმას, რომ ხელში ჩაეგდოთ მთელი ამიერკავკასია, სადაც ევროპიდან აზიაში მეტად მნიშვნელოვანი გზა გადის და ნავთით მდიდარი ბაქო იმყოფება, გერმანელებს საქართველოში თავი ისე ეჭირათ, როგორც ამ ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონთ. მათ თავის მიზნად დაისახეს ხელში ჩაეგდოთ საქართველოს ფაქტიური მმართველობა და გადაექციათ იგი გერმანიის კოლონიად. გენერალ ფონ-კრესის წინადადებით მენშევიკურმა მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოს სამხედრო, საფინანსო და საკურსათო სამინისტროებში გერმანელი მრჩევლების დანიშვნის შესახებ. ამის შემდეგ ქართულ ჯარში დანიშნულ იქნა გერმანელი ინსტრუქტორები. ამნაირად,

„...საქართველოს დამოუკიდებლობა, — როგორც ამბობდა ლენინი თავის სიტყვაში სრ. რუს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 29 ივლისს, — გადაიქცა წმინდა წყლის მოტყუილებად, — ჩინამდვილეში

[1] „ამიერკავკასიის ფედერაციის 10 წელი", „ბაკინიგის" გამოც., გვ. 9-10, 1931 წ.

კი ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[1].

ამიერკავკასიის დაშლა და აქ წვრილი სახელმწიფოების გამოცხადება ნაციონალისტური მთავრობების მეთაურობით, უეჭველია, გერმანიის იმპერიალიზმის გეგმებსა და პერსპექტივებს ეთანხმებოდა.

იმპერიალისტურ გერმანიას მენშევიკები ბოლშევიკური საფრთხისაგან მხსნელ ქვეყნად სახავდნენ.

„ანარქია სულს გვიხუთავს, — სწერდა მენშევიკური „ერთობა", — ბოლშევიკები ხაწ ერთს, ხან მეორე ადგილას გვიწყობენ აჯანყებას...

ამიტომ ჩვენი ხალხი ადვილად შეურიგდება უცხო სახელმწიფოს გავლენას, თუ ის ჩვენში წესრიგს დაამყარებს".

საქართველოში ჩამოსვლისთანვე გერმანელები მართლაც დაუყოვნებლივ შეუდგნენ პოლიციური რეჟიმის განმტკიცებას პროლეტარიატის წინააღმდეგ დაიწყეს გლეხთა აჯანყებების ჩახშობა. მაგალითად, გერმანელთა რაზმებმა ბორჩალოს მაზრაში ჩაადგეს გამოსვლა მენშევიკური დიქტატურისა და მემამულეების წინააღმდეგ, მათ მონაწილეობა მიიღეს გლეხთა განიარაღებასა და „წესრიგის დამყარებაში" დუშეთისა და ტფილისის მაზრებში და სხვ. გერმანული ჯარების სარდლობის დახმარების შედეგად ქართველმა მემამულეებმა შესძლეს იმ ფეოდალურ-ბატონყმური ბეგარის აღდგენა, რომელსაც გლეხები მემამულეთა სასარგებლოდ იხდიდნენ.

თვით გაზეთი „ერთობაც" კი მოწინავე წერილში — „გერმანელები ჩვენში" — იძულებული იყო დაეწერა:

„ჩვენს რედაქციას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის სხვადასხვა კუთხიდან და განსაკუთრებით კი იმ რაიონებიდან, სადაც გერმანელთა კოლონიებია; ყველა ამ კორესპონდენციებში ერთხმად სჩივიან კოლონისტების სოფლებში დაბანაკებული გერმანელი ჯარის უხეშ მოპყრობაზე.

ხალხის უკმაყოფილებას ის გარემოება იწვევს, რომ ხშირად ეს ჯარი გერმანელი კოლონისტებისა და მეზობელი სოფლების ურთიერთობაში ერევა, არბევს ქართულ, სომხურ, ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოდ, თავისი საკუთარი ძალით ასამართლებს და ახდევინებს მათ ჯარიმას. არა ერთხელ ყოფილა იმის მაგალითი, რომ თვით კომისრის ჩარევასაც კი ვერ გადაურჩენია ქართველი გლეხები ფიზიკური შეურაცყოფისაგან"[2].

მენშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ იმპერიალისტური გერმანიის დაუხმარებლად ისინი ვერ დარჩებოდნენ მთავრობის სათავეში და ამიტომ ადვილად ურიგდებოდნენ საოკუპაციო რეჟიმს. მეორე მხრით, გერმანელებსაც არავითარი საბუთი არ ჰქონდათ უკმაყოფილონი ყოფილიყვნენ საქართველოს მთავრობით.

---

[1] ლენინი. ტ. XXIII, გვ. 155 (რუსული გამოცემა).

[2] „ერთობა" № 204, 1918 წ.

ინტერვენტები საქართველოში

ეს. სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ გენერალმა ფონ-კრესმა ქართველი მინისტრების კიდევ უფრო წასაქეზებლად საჭიროდ დაინახა წარედგინა ისინი დასაჯილდოებლად თავისი მთავრობისათვის.

„საქართველოს სახელმწიფოს მომავალ ოფიციალურ ცნობასთან დაკავშირებით, — სწერდა ფონ-კრესი გენერალ-რეიხსკანცლერს 1918 წლის 8 სექტემბრის თარიღით, — ... სასურველია საქართველოს ხელმძღვანელ პირებს ვაჩუქოთ გერმანული ორდენები... დასაჯილდოებლად წარდგენისათვის პირველ რიგში ვასახელებ იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც მე ქვევით ჯგუფებად დავყავი ორდენების ხარისხის მიხედვით...

1. მინისტრ-პრეზიდენტი ჟორდანია.

2. საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი და აგრეთვე მისი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი.

შემდეგ ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ჩხეიძე.

3. შემდეგ მინისტრებს, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი არიან ჩვენთვის გერმანიის მთავრობასთან საერთო მუშაობაში, წარმოადგენენ: სამხედრო მინისტრი გიორგაძე, ფინანსთა მინისტრი ჟუ-

რული და რკინიგზათა მინისტრი ლორთქიფანიძე. შემდეგ ნაციონალუ-
რი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბარათაშვილი...“ [1].

საქართველოს მუშათა კლასის გამცემლებმა, მენშევიზმის ლიდერებმა „რწმენითა და სიმართლით“ დაიმსახურეს კაიზერის მთავრობის ჩინ-ორდენები, და მხოლოდ გერმანიაში მოხდარმა რევოლუციამ და საქართველოდან გერმა-სელი ჯარების წასვლამ მოუსპო ნ. ჟორდანიას, ნ. ჩხეიძეს და სხვებს საშუალე-ბა დაემშვენებინათ გულ-მკერდი გერმანული ორდენებით.

ეყრდნობოდნენ რა გერმანულ ხიშტებს, მენშევიკები გაფაციცებით შეუ-დგნენ თავიანთი პროგრამის განხორციელებას, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელმწიფოს აშენებას.

იცავდნენ რა რეფორმიზმისა და კლასთა თანამშრომლობის გზას, ქადაგებ-დნენ რა კონტრრევოლუციურ იდეას კაპიტალიზმის გზით სოციალიზმში მშვი-დობიანი შეზრდის შესაძლებლობის შესახებ და ბოროტად ამახინჯებდნენ რა მარქსიზმს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, ქართველი მენშევიკები განსაკუთრებული გაბოროტებით შეხვდნენ ცნობას რუსეთში ძველი ბურჟუა-ზიულ-ჩინოვნიკური სახელმწიფო აპარატის დანგრევისა და ახალი ტიპის სა-ხელმწიფოს აშენების შესახებ.

„არის ბოლშევიზმის ერთი დანაშაული, — ამბობდა ი. წერეთე-ლი. — რომელმაც სამუდამოდ გაუტეხა გული ამიერკავკასიის დემოკრა-ტიას, ეს ის დანაშაულია, რომელიც ყველაზე მტკივნეულად იქნა მიღე-ბული ჩვენს მიერ და რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთისა-გან ჩამოშორების საქმეში, ეს ის დანაშაულია, რომელსაც ისტორია არა-სოდეს არ დაივიწყებს. და ეს მძიმე დანაშაული უმთავრესად იმაში მდგო-მარეობს, რომ იქ, რევოლუციურ რუსეთში, ბოლშევიკურმა ხელისუფლე-ბამ სასიკვდილო მახვილი ჩასცა სახელმწიფოებრივ აპარატს“ [2].

რადგან საქართველოს მენშევიკური მთავრობა ყველაზე უფრო იმაზე ზრუნავდა, რომ უზრუნველეყო რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი და ხელი შეეშალა მისი შემდგომი გაღრმავებისათვის, ამიტომ ბუნებრივია, რომ მას არ შეეძლო შერიგებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არსე-ბობას.

მიუხედავად სახელმწიფოში მომხდარი კლასობრივი ძვრებისა, მიუხედავად მუშათა მასების დაჟინებითი მოთხოვნისა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რომ მომხდარიყო საბჭოების გადარჩევა, მათი გადარჩევა 1917 წლიდან მაინც არ მომხდარა; ამასთან, საქართველოს საბჭოებში უმრავლესობას კვლავ მენშე-ვიკები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, მენშევიკებმა გადასწყვიტეს ამ საბ-ჭოებისათვისაც კი წაერთმიათ აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც მათ ფორმალურად ეკუთვნოდა.

---

[1] დოკუმენტი პირველად გამოქვეყნდა მთლიანად 1933 წ. 1-ლი დეკემბრის № 330 „პრავდაში“.

[2] გაზ. „ბორბა“ № 57, 1918 წ.

ქ. ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საგანგებო პლენარულ სხდომაზე, მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ი. წერეთელმა განაცხადა: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ყველა ფუნქცია მთავრობას უნდა გადასცეს, ხოლო მან თავისთვის ამ მთავრობის მოქმედების კონტროლის უფლება უნდა დაიტოვოს".

„ხალხს შეეძლო დანგრევა, მაგრამ შექმნა მის ძალას აღემატებოდა", — განაცხადა ნ. ჟორდანიამ.

ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველოში მენშევიკური პარტიის დიქტატურის დროს, 3 წლის განმავლობაში, საბჭო სულ მხოლოდ რამდენჯერმე შეიკრიბა.

„საბჭოს ხელმძღვანელთა დიპლომატიამ, — სწერდა ბოლშევიკური გაზ. „ვოლნა" 1919 წელს, — და საბჭოს უმრავლესობის შისდამი უსიტყვოდ დამორჩილებამ საბედისწერო როლი ითამაშა საბჭოს ცხოვრებაში და მისი სრული ატროფია და უმოქმედობა გამოიწვია" [1].

საბჭოების ასეთი მდგომარეობა უნდა ეღიარებინა თვით სოციალ-ფაშისტს კარლ კაუცკისაც კი, რომელმაც 1920 წელს მენშევიკური საქართველო მოინახულა და იკისრა მისი დაცვა ევროპის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის წინაშე. კაუცკიმ აღიარა, რომ საქართველოს საბჭოები არავითარი გავლენით არ სარგებლობენ.

მენშევიკებმა საქართველოში ხელუხლებლად დასტოვეს მშრომელთა ჩაგვრისა და შევიწროების მთელი ძველი ჩინოვნიკური აპარატი. მეფის ყოფილი ჭოხელეები ძველებურად იყენენ მოკალათებულნი შმართველობისა და სასამართლოს აპარატში.

ერთადერთი რეფორმა, რომლის შესახებაც მენშევიკებმა ყოვლად უსაფუძვლოდ გამოაყრუეს ქვეყანა, როგორც დემოკრატიის უდიდეს მონაპოვარზე, ეს იყო საერობო თვითმართველობის შემოღება საქართველოში. მაგრამ, ატარებდნენ რა ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის პოლიტიკას, მენშევიკებმა სამხრეთ-ოსეთს ეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეფორმაც კი არ აღირსეს.

მენშევიკები ხშირად გამოდიოდნენ განცხადებით, რომ მათთვის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს მუშათა საკითხი შეადგენს, რომ ისინი სოციალისტური რევოლუციის საქმეს აკეთებენ და მუშებს, ამასთანავე, ყოველგვარი ბედნიერების განხორციელებას ჰპირდებოდნენ [2].

---

[1] გაზ. „ვოლნა" № 15, 1919 წ.

[2] მას შემდეგ, რაც ანრი ბარბიუსმა პირადად მოინახულა საბჭოთა საქართველო, შეაგროვა მდიდარი ფაქტიური მასალა მენშევიკური ბატონობის პერიოდიდან და თავის წიგნში— „რა უქნეს საქართველოს" — მიუდგომლად შეაფასა ყველაფერი ის, რასაც მენშევიკები აკეთებდნენ, ამ უკანასკნელებმა არ დააყოვნეს გამოსულიყვნენ საწინააღმდეგო პასუხით.

„მენშევიკური საქართველოს კონსტიტუცია, — სწერდა ანრი ბარბიუსი, — წარმოადგენდა ძველი წყობილების მხოლოდ ფასადის შეცვლას, ზოგიერთი ნაწილობრივი იმიტაციით დასავლეთის დემოკრატიების მსგავსად. არ შეიძლება სერიოზულად ვამტკიცოთ, რომ ეს თითქოს

მუშათა ნამდვილი მდგომარეობა მენშევიკური მთავრობის არსებობის დროს საქართველოში ყველაზე უფრო ნათლად წარმოსადგენი იქნება, თუ ანალიზს გავუკეთებთ მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკის საფუძველებს.

მენშევიკები უშუალო ამოცანად ისახავდნენ იმას, რომ წაეხალისებინათ კაპიტალისტების კერძო ინიციატივა მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში და გადაეცათ მათთვის სახალხო მეურნეობის ყველა მბრძანებლური სიმაღლენი. მათ ფართოდ გაუღეს კარები ბურჟუაზიას და გადასცეს მას ხელმძღვანელი როლი ქვეყნის ყველა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო-ეკონომიურ ორგანიზაციებში. საკანონმდებლო და ეკონომიურ ღონისძიებათა საშუალებით მენშევიკები აძლიერებდნენ და ამტკიცებდნენ ნაციონალური ბურჟუაზიის პოზიციებს (მონოპოლიების მიცემა, მფარველობითი ტარიფების სისტემა, გადასახადების შემცირება ბურჟუაზიისათვის და აგრეთვე მუშათა შრომის ინტენსიფიკაცია, მათი საცხოვრებელი დონის დაწევა, სამეურნეო-ეკონომიური კრიზისის შედეგების გადატანა მუშებზე და სხვ.) და ამუსტებდნენ ამავე დროს მუშათა პოზიციებს.

რეფორმიზმისა და კაპიტალთან „ნაციონალური თანამშრომლობის" პროპაგანდის გაძლიერებით, მენშევიკები ცდილობდნენ ხელიდან გამოეცალათ მუშებისათვის კლასობრივი ბრძოლის ბასრი იარაღი, რა ფორმაშიაც არ უნდა გამოხატულიყო ეს ბრძოლა. ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი მუშათა კანონმდებლობა დაეხასიათებინათ როგორც „ზომიერი და მეტად შეკვეცილი ღონისძიება".

მენშევიკური პარტიის VIII ყრილობაზე მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა, რომელიც აშკარად გამოვიდა ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად, განაცხადა:

„ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად არ არის ობიექტური პირობები. ჩვენ ძალაუნებურად უნდა გაგვეკეთებინა ბურჟუაზიული დემოკრატიის საქმე... ის მთავრობა, რომელიც ივიწყებს ობიექტურ პირო-

---

სოციალისტური მთავრობა, ან ნამდვილი დემოკრატიული მთავრობა მაინც იყო" (ა. ბარბიუსი —„რა უქნეს საქართველოს", გვ. 115).

როცა ა. ბარბიუსი მენშევიკების მუშათა კანონმდებლობაზე ლაპარაკობს, ის სამართლიანად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მენშევიკებს „არაფერი არ გაუკეთებიათ 8-საათიანი-სამუშაო დღის შესახებ". დარჩა შრომის იგივე კანონმდებლობა, რაც ცარიზმის დროს იყო (იქვე).

„მენშევიკური ემიგრანტული ჰაობი ბარბიუსის წიგნის შემდეგ ბოროტად აყაყანდა. მენშევიკებმა კ. კაუცკის წინასიტყვაობით გამოსცეს დ. შარაშიძის წიგნი: „ა. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო", სადაც ისინი უხეშად ამახინჯებენ ფაქტებს და ცდილობენ გააბათილონ ა. ბარბიუსის მტკიცებანი. კერძოდ, მუშათა საკითხის შესახებ მენშევიკებს გამბედაობა შესწევთ ამტკიცონ, რომ თითქოს საქართველოში ძუშებს რვასაათიანი სამუშაო დღე ჰქონდათ, რომ ქალთა შრომა ნორმირებული იყო სოციალისტურ პროგრამასთან შეთანხმებით და რომ შრომის დაცვა აღიარებული იყო „რესპუბლიკის განსაკუთრებულ მოვალეობად". მენშევიკი ავტორი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითქოს „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა თ ვ ი ს უ ზ რ უ ნ ველ ყ ო ფ ი ლ ი ი ყ ო გ ა ფ ი ც ვ ი ს გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი უ ფ ლ ებ ა" და სხვ.

ბებს, აკეთებს რეაქციის საქმეს; ამიტომ, ჩ ვ ე ნ ი მ ი ზ ა ნ ი ზ ომ ი ე რ ი და შ ე ე კ ვ ე ც ი ლ ი ი ყ ო: ჩ ვ ე ნ ა მ ი ს შ ე მ დ ე გ ა ღ ა რ ვ ა ღ რ მ ა ვ ე ბ თ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს“[1].

მუშათა კანონმდებლობის სფეროში მენშევიკები დაკმაყოფილდნენ ივით. რომ „ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით 1918 წ. იანვარში გამოსცეს კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. მაგრამ ეს კანონი პრაქტიკულად ძლიერ ხშირად ირღვეოდა და შეუძლებელიც იყო მისი განხორციელება საქართველოში ბურჟუაზიის განუყოფელი ბატონობის პირობებში, როცა ამა თუ იმ საბაბით არა მარტო ცალკეული მრეწველნი, არამედ თვით სახელმწიფოც კი, რომლის ხელშიაც უდიდესი საწარმონი იმყოფებოდნენ, ამ კანონის შემოღებას ცდილობდნენ. 1918 წლის 14 ნოემბერს შრომის სამინისტროს მიერ მოწვეულ თათბირზე 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ შრომის მინისტრის ამხანაგმა ერაძემ გულახდილად განაცხადა, რომ სამინისტროს აფიქრებს ეს საკითხი და ზრუნავს იმაზე, რომ საქართველოში როგორმე დაცულ იქნას 8-საათიანი სამუშაო დღე მის წინააღმდეგ მიმართული შეტევისაგან.

ფაქტები მენშევიკური საქართველოს ცხოვრებიდან გვიჩვენებენ, რომ შრომის სამინისტროს ზრუნვა ზედმეტი იყო, ვინაიდან შეუძლებელი იყო იმის შენარჩუნება, რაც არ არსებობდა. მაგალითად, გენერალი მდივანი (სამხედრო უწყება) ასეთ განკარგულებას აძლევს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსს:

„რვასაათიან სამუშაო დღეს თქვენს დაწესებულებაში, როგორც მოხელეთათვის, ისე მუშათათვისაც, ვაუქმებ. ყველა ისინი, ვინც ამას არ დაემორჩილება, დაუყოვნებლივ დაითხოვეთ სამსახურიდან“[2].

თათბირი ამ კანონის რეკონიგზაზე გატარების შესახებ პირველად მოწვეულ იქნა მხოლოდ 1918 წლის დასასრულს, ე. ი. თითქმის ერთი წლის გასვლისას თვით ამ კანონის გამოცემის შემდეგ. შრომის სამინისტროს საქმეებში აუარებელი ფაქტი მოიპოვება იმის შესახებ, რომ 8-საათიანი სამუშაო დღის კანონის გაუტარებლობა საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მაგალითად, 1918 წლის დეკემბერში, ძმ. კორსუნსკების საპნის ქარხნის გამოკვლევის დროს, აღმოჩნდა, რომ იქ სამუშაო დღე 12 — 14 საათს გრძელდებოდა.

1918 წლის დასასრულს მენშევიკებმა ზედმეტი მუშაობა დააკანონეს და შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა შემოიღეს. კაპიტალისტური სისტემის პირობებში ეს ახალდაწყებულობა მუშათა ექსპლოატაციის ყველაზე უპირესი საშუალება იყო და იგი ფაქტიურად, რა თქმა უნდა, სრულიად აუქმებდა 8-საათიან სამუშაო დღეს.

მუშათა ინტერესების შებღალვა ამ შემთხვევაში იმდენად ნათელი იყო, რომ თვით სოციალდემოკრატ მუშებშიაც კი პროტესტის ხმა გაისმოდა.

---

[1] მენშევიკების VIII ყრილობის ოქმები, ნ. რამიშვილის მოხსენება.

[2] საქართველოს პროფმოძრაობის არქივი, შრომის სამინისტრო, ფ. № 3, საქმე № 180, გვ. 273.

1917 წლიდან მენშევიკები გაძლიერებით აარსებდნენ საქართველოში ყოველგვარ საარბიტრო კომისიებს, სამრეწველო და სამედიატორო სასამართლოებს და მომრიგებელ კამერებს იმ მიზნით, რომ „მშვიდობიანის გზით მოეგვარებინათ მწარმოებელთა და მუშათა შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტები". ბაგრამ პარიტეტულ საფუძველზე შედგენილი მომრიგებელი კამერები. თვით მენშევიკური გაზეთის — „ერთობის" აღიარებითაც კი, „ზედმეტ მიდრეკილებას იჩენდნენ, რომ საკითხი მეწარმეთა სასარგებლოდ გადაეჭრათ".

ამის შესახებ ლაპარაკობს, სხვათა შორის, შრომის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევაც, საიდანაც სჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საქმის გარჩევის დროს, მეწარმენი გამოცდილ ნაფიც ეექვილებს ქირაობდნენ და ამით ადვილად უგებდნენ საქმეს მუშებს, რომლებიც ხეირიანად ვერც კი ერკვეოდნენ უფლებრივ საკითხებში. კამერებში საქმეები ჩვეულებრივ მეტად ნელის ტემპითა და დიდი გაჭიანურებით ირჩეოდა, რაც ხშირად მთელი თვეობით გრძელდებოდა. ასე, მაგალითად, 1918 წ. 1-ლი აგვისტოსათვის ტფილისის მომრიგებელ კამერაში დანიშნული იყო გასარჩევად 1616 საქმე და გადაწყვეტილი კი სულ მხოლოდ 350 საქმე იყო [1].

თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მილიცია ჩვეულებრივ გულგრილად ეკიდებოდა საქმეს, არ იღებდა ზომებს, რომ იძულებული გაეხადნა მეწარმენი სისრულეში მოეყვანათ მომრიგებელი კამერების გადაწყვეტილებანი და თვით მუშათა სასარგებლოდ გადაწყვეტილი კონფლიქტებიც კი ჩვეულებრივ განუხორციელებელი რჩებოდა, გასაგები იქნება, რომ თვით მუშებიც თანდათან უფრო იშვიათად მიმართავდნენ კამერებს, ფვერდს უხვევდნენ მათ და „არჩევდნენ მოქმედების ძველ, ნაცად ხერხს მეწარმეთა წინააღმდეგ (გაფიცვები)" [2].

მენშევიკებმა მოაწყეს შრომის ბირჟები. მაგრამ მუშები აცხადებდნენ. რომ ეს ბირჟები მეწარმეთა სასარგებლოდ მუშაობდნენ. გარდა ამისა, მუშახელის დაქირავება ხდებოდა აგრეთვე ბირჟის გარეშეც. განაგრძობდნენ არსებობას აგრეთვე კერძო საშუამავლო კანტორებიც. უმუშევრები არავითარ სახელმწიფო დახმარებას არ იღებდნენ.

მეწარმენი ფვერდს უვლიდნენ აგრეთვე არსებულ „კანონს მუშათა მიღებისა და დათხოვნის შესახებ,". შრომის სამინისტროში უამრავი განცხადება შედიოდა იმის შესახებ, რომ მეწარმენი უსაფუძვლოდ ითხოვდნენ მუშებს და ცდილობდნენ ჩაეხშოთ მუშათა ორგანიზაციების მისწრაფებანი — განსაზღვრულ ნორმებში ჩაეყენებინათ მუშათა მიღება-დათხოვნის საქმე. თვით შრომის სამინისტროც კი იძულებული იყო დაეწერა (თუმცა საიდუმლოდ), რომ:

> „ამ საკითხის რადიკალურად გადაჭრისათვის საჭიროა დაჩქარდეს ძველი კანონების გადასინჯვა და ახლების გამოცემა ახალი პირობებისა და დროის მიხედვით; წინააღმდეგ შემთხვევაში მშრომელთა მასა კანონის მფარველობის გარეშე დარჩება".

---

[1] პროფმოძრაობის არქივი, ფ. № 3, საქმე № 218, გვ. 3-4.

[2] პროფმოძრაობის არქივი, შრომის სამინისტრო ფონდი № 3, საქმე № 228, გვ. 29.

განსაკუთრებით ცუდად იყო მოწყობილი მენშევიკების დროს მუშათა დაზღვევის საქმე ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევებში. შრომის სამინისტროს გამოანგარიშებით, მუშათა საყოველთაო დაზღვევის გასატარებლად სახელმწიფოს ხარჯზე საჭირო იყო წლიურად 1.440.000.000 მან.[1]. იმ მოტივით, რომ საქართველოს რესპუბლიკას ასეთი რესურსები არ მოეპოვებოდა, მენშევიკურმა მთავრობამ დაზღვევის საქმის მთელი კანონმდებლობა იქამდის დაიყვანა, რომ მუშას დაშავებისა და ინვალიდობის შემთხვევაში დახმარება ორი კვირის ჯამაგირის რაოდენობით ეძლეოდა. მაგრამ ფაქტიურად არც ეს კანონი სრულდებოდა. მეწარმენი მას სისტემატურად არღვევდნენ.

განსაკუთრებული თვალთმაქცობა გამოიჩინეს მენშევიკებმა კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლების დაკანონების საკითხში.

ქაღალდზე აღნუსხულის მიხედვით თავისუფლად შეიძლებოდა პროფესიულ კავშირებში გაერთიანება და გაფიცვების მოწყობა. პრაქტიკულად კი კავშირები სასტიკი პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამა თუ იმ კავშირის მიერ ოდნავი ოპოზიციის გამოჩენის დროს, მასზე ეპვის მიტანის დროს, რომ ის ბოლშევიკურად არის განწყობილი, პროფკავშირს დაუყოვნებლივ ანადგურებდნენ, ახდენდნენ მის ლიკვიდაციას, აპატიმრებდნენ პროფკავშირის წევრებს, ასახლებდნენ მათ და სხვ. პროფკავშირების საერთო კრების მოწვევა შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამის შესახებ მილიციას ეცნობებოდა.

პოლიტიკური ხასიათის კრებების მოწვევა, სახელმწიფო დაცვის კომიტეტის 1919 წლის 11 ივნისის სავალდებულო დადგენილების თანახმად, შეიძლებოდა მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ.

სიტყვით მენშევიკები აღიარებდნენ გაფიცვების თავისუფლებას ეკონომიურ ნიადაგზე, ხოლო საქმით გაფიცვებს ისეთ დაბრკოლებებს უქმნიდნენ, რომ ეს თავისუფლება არარაობად იქცეოდა.

მენშევიკების VIII ყრილობაზე, მუშათა საკითხის შესახებ, შრომის მინისტრის ამხანაგმა ერაძემ განაცხადა, რომ

„მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც სახელმწიფოს ხელში არიან, გაფიცვები არ უნდა ხდებოდეს. მუშებს უნდა ახსოვდეთ, რომ გაფიცვებით ისინი ანარქიას და სახელმწიფოს დანგრევას იწვევენ"[2].

ამ ყრილობაზე მუშათა საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„მუშაობის შეჩერება სახელმწიფოებრივ საწარმოებში დემოკრატიული მშენებლობის პერიოდში მხოლოდ ანარქიის გაძლიერებას და დემოკრატიის დეზორგანიზაციას იწვევს. ყრილობა გარკვეულ რჩევას იძლევა, რომ ყველა საკონფლიქტო ხასიათის საკითხი, რომელიც კი წარმოიშობა შრომის წარმომადგენლებსა და დემოკრატიულ მთავრობას შორის,

---

[1] არქივი, ფონდი 3, საქმე № 288, ფურც. 29.

[2] VIII მენშევიკური ყრილობის ოქმები, ერაძის მოხსენება.

სწყდებოდეს მომრიგებელ კამერაში და სავალდებულო საარბიტრო სასამართლოში"[1].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მუშათა ყველაზე მეტი რაოდენობა სწორედ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ (მუნიციპალურ, საერობო და სხვ.) საწარმოებზე მოდიოდა. 1920 წლის ცნობებით, მთელს საქართველოში საწარმოთა საერთო რიცხვიდან, რომელიც 822-ს უდრიდა და სადაც საერთო რიცხვით 31.943 კაცი მუშაობდა, 433 უფრო მსხვილი საწარმო, რომელიც საერთო რიცხვით 26.543 კაცს აერთიანებდა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში იყო.

ამნაირად, კრძალავდნენ რა გაფიცვებს სახელმწიფო საწარმოებში, მენშევიკები ამით ართმევდნენ ამ უფლებას საერთოდ მუშათა უმრავლესობას.

ზემოხსენებული VIII პარტიული ყრილობის დირექტივების განსახორციელებლად საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლითაც კრძალავდა გაფიცვას „რკინიგზებზე და მასთან დაკავშირებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში". 1919 წ. გამოიცა ახალი დადგენილება, რომელიც „კრძალავდა მუშობისა და მეცადინეობის შეწყვეტას ისეთ საწარმოებში, სადაც მუშობის წარმოება აუცილებელი იყო საზოგადოებრივი კეთილმოწყობისა და წესრიგისათვის. ამ დადგენილების დამრღვევთ ადმინისტრატიული წესით აპატიმრებდნენ და სატუსაღოში ათავსებდნენ დაახლოებით 1 წლისა და 6 თვის ვადით"[2]. ეს დადგენილება მენშევიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ გაეერცელებინათ ყველა საწარმოზე.

მენშევიკებს არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამთ მუშათა საბინაო საკითხის გადასაჭრელად.

არავითარი საბინაო მშენებლობა არ სწარმოებდა. რადგან მენშევიკები მტკიცედ იცავდნენ ბურჟუაზიის კერძო საკუთრებას, ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა კერძოფლობელობის სახლების არა მარტო სეკვესტრის შესახებ, არამედ ბურჟუაზიის ბინების, სახლებისა და სასახლეების უბრალო შემჭიდროების შესახებაც კი. მუშები ტფილისში თავს აფარებდნენ ქალაქის შორეულ, განაპირა ადგილებში არსებულ კეთილმოუწყობელ პატარა ბინებსა და ქოხმახებში, რომელთა რემონტიც არავის გაუკეთებია იმპერიალისტური ომის დაწყების მომენტიდან და რომელნიც ვერ იფარავდნენ მუშებს ვერც სიცივისა და ვერც წვიმისაგან.

მხოლოდ 1919 წლის დასასრულს მენშევიკურმა „მრომის სამინისტრომ მოიკლა, ბოლოსდაბოლოს, იმისათვის, რომ გამოეკვლია მუშათა საბინაო მდგომარეობა და დაეყენებინა საკითხი იმის შესახებ, რომ ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინათ მუშათა საბინაო პირობები. მაგრამ ამ მხრივაც რეალურად არაფერი გაკეთებულა. მხოლოდ თავიანთი დიქტატურის დასასრულის წინ მენშევიკებმა

[1] VIII მენშევიკური ყრილობის ოქმები, იხ. რეზოლუციები.
[2] 1919 წლის 12 თებერვლის „სოციალ-დემოკრატი".

გადასწყვიტეს მუშათა საბინაო კრიზისის გადასაჭრელად თავისებურ საშუალებათათვის მიემართნათ.

1920 წლის 13 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება:

„უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით მცხოვრები უცხო ქვეყნების ქვეშევრდომნი მონაწილეობას ღებულობენ პოლიტიკურ ორგანიზაციებში და ცდილობენ რესპუბლიკაში არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების მოსპობას... გამოცემულია ბრძანება ზემოთ დასახელებულ უცხოელთა საქართველოს საზღვრებიდან გაძევების შესახებ. განთავისუფლებული ბინები გადაეცემა შრომის სამინისტროსთან არსებულ საბინაო კომისიას გასანაწილებლად იმ მუშებს შორის, რომელთაც ესაჭიროებათ ბინები“ [1].

უცხოელებად ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი იყვნენ რუსი და სომეხი მუშები, რომელთაც ბრალს სდებდნენ ბოლშევიზმში. მაგრამ ამ ბარბაროსული ლონისძიებით და იმ მუშათა გადასახლებით, რომელთაც ბოლშევიკობას აბრალებდნენ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მუშათა მასის საბინაო პირობების გაუმჯობესება.

„არ მოიძებნება არც ერთი პატიოსანი მუშა, — სწერდა ბოლშევიკური გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“, — რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, რომელიც თავისი ოჯახობით შევა ასეთ ბინაში. გადასახლებული მუშის ოჯახის წევრთა კვნესა-გოდება დიდხანს დარჩება იქ“ [2].

მენშევიკებმა თვით ბურჟუაზიული კანონმდებლობაც კი ვერ განახორციელეს მუშათა საკითხში; მათ ვერ შესძლეს აგრეთვე უზრუნველეყოთ მუშათათვის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი.

მთელს საქართველოში მხოლოდ 6 მუშათა კლუბი არსებობდა, მაგრამ მუშათა კლუბებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არც ეს კლუბები წარმოადგენდნენ, რადგან მათი წევრობა მეწარმეთაც შეეძლოთ. წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირემცოდნენი პროფკავშირების წევრთა შორის 30%-მდე ითვლებოდა; მიუხედავად ამისა, მუშათათვის საერთო-განათლების ტიპის მხოლოდ რამდენიმე სკოლა არსებობდა და ისინიც უსახსრობით სულს ღაფავდნენ.

როცა ბოლშევიკური პროპაგანდის გაელენით 1918 წ. შემოდგომაზე მუშათა ერთმა ნაწილმა ხელახლა დააყენა საკითხი წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების აუცილებლობის შესახებ (ამის შესახებ ლაპარაკობდნენ მუშათა წარმომადგენლები 1918 წ. ნოემბერში გამართულ თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო შრომის სამინისტროს მიერ შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად), ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი მენშევიკები ახლა კიდევ უფრო გააფთრებით შეებრძოლნენ მას, ვიდრე 1917 წელს.

[1] „საქართველოს კომუნისტი“ № 49, 1920 წ.

[2] იქვე.

კაპიტალისტები, რომელთაც აქეზებდნენ და მფარველობდნენ მენშევიკები, 1918 წლის მეორე ნახევარში კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ აქტიურ იერიშებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. 1918 წლის სექტემბერში ერთერთი მენშევიკი მუშა მწუხარებით სწერდა „ბორბას“ ფურცლებზე, რომ ყველგან გამოსქვივის ტენდენცია სრულიად გააქარწყლონ რევოლუციის ყველა მონაპოვარი[1].

ბოლოსდაბოლოს თვით შრომის სამინისტროც კი იძულებული იყო აღენიშნა, რომ გათავხედებულმა „კაპიტალისტებმა მთელი კამპანია გააჩაღეს როგორც საზოგადოებაში, ისე პრესაში მუშათა კლასისა და მისი ორგანიზაციების წინააღმდეგ. კაპიტალისტების წარმოდგენით მუშათა კლასი რაღაც საოცარ საშინელებად გადაიქცა, რომლის წინააღმდეგაც საღმრთო ომი უნდა გამოცხადდეს. და რადგან კაპიტალისტები არა ცარიელი სიტყვის, არამედ საქმის ხალხს წარმოადგენენ, ამიტომ ისინიც დაუყოვნებლივ აჩაღებენ შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ“[2].

თუ რამდენად უწევდნენ ანგარიშს კაპიტალისტები მენშევიკური მთავრობის მუშათა კანონმდებლობას და როგორ ეწეოდნენ ისინი მუშათა ექსპლოატაციას, ეს სჩანს, სხვათა შორის, იმ გამოკვლევიდან, რომელიც ჩაატარა შრომის სამინისტრომ ტფილისში 1920 წლის ნოემბერში.

კომისიამ, შრომის სამინისტროს წარმომადგენლის, ამავე სამინისტროს ექიმის, მეტყვეთა პროფესიული კავშირის მდივნისა და სამრეწველო ინსპექტორის წარმომადგენლობით, დაათვალიერა დაბახანის ტყავის დამმუშავებელი სახელოსნოები — „დაბღები“, რომლებიც მოთავსებული იყვნენ ვორონცოვის ქუჩაზე № 30 სახლში, სადაც მათ რამდენიმე შენობა უკავათ-მდ. მტკვრის პირად. იმ სახელოსნოში, სადაც ტყავის გაწმენდა და თრიმლვა სწარმოებდა, 200-მდე მუშა მუშაობდა.

„მოწყობილობა და შრომის პირობები, — სწერდა კომისია თავის აქტში, — წარმოუდგენლად მძიმეა. განათება, სარდაფზედაც რომ არაფერი ვთქვათ, სადაც თითქმის სრულიად ბნელა, თვით პირველ სართულშიაც კი არასაკმარისია. ყველგან წარმოუდგენელი ლაფი და ჭუჭყია, იატაკი დაფარულია სითხითა და დამუშავებული ტყავის ნარჩენებით...

სადგომებში არავითარი ვენტილაცია არ არსებობს და ჰაერიც ძალზე შეხუთული, მძიმე და აყროლებულია, რაც უხვად შეზავებულია მყარი გაზებით შენობაში მოთავსებულ ლპობად ნივთიერებათა მეოხებით... წელამდე შიშველი მუშები მუშაობენ ფეხებით. მუშათა სხეულის ზემო ნაწილი თუმცა დაფარულია ტანსაცმლით, მაგრამ მაინც მუდამ სველია.

თბილი წყლით სავსე ვარცხლებიდან ნახევრად ტანთგახდილ მუშებს ტყავს გასარეცხად მტკვარში ჩასვლა და ისევ უკან დაბრუნება უხდებათ.

ძნელია, — აცხადებს იგივე კომისია, — მუშაობის უფრო ანტისანიტარული და მძიმე პირობების წარმოდგენა.

[1] „ბორბა“ № 177, 1918 წ.
[2] „ბორბა“ № 199, 1918 წ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაბახანის სახელოსნოებში მუშაობა ყველაზე მძიმე და ძნელ სპეციალურ მუშაობას უდრის"[1].

ანალოგიური აქტები ცოტა როდი მოიპოვება მენშევიკური მთავრობის შრომის სამინისტროს საქმეებში. კაპიტალისტების სასარგებლოდ მენშევიკებმა კაპიტალისტური მონობა შეინარჩუნეს მუშებისათვის.

მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოში მთელი სახალხო მეურნეობის მიმართ სრულიად უმნიშვნელო იყო. ამასთან, საქართველოში უმთავრესად წვრილი მრეწველობა იყო. საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, „ტფილისში 1921 წლის დასაწყისისათვის სულ 726 საწარმო ითვლებოდა; აქედან იმ საწარმოთა რიცხვი, რომელთაც 1-დან 50-მდე მუშა ჰყავდა, 684 (94,2%) უდრიდა, ხოლო იმათი რიცხვი, რომელიც 50 და კიდეე მეტ მუშას აერთიანებდა, მხოლოდ 42 (5,8%) იყო. წვრილ საწარმოებს ხშირად თვით მექანიკური ძრავებიც კი არ გააჩნდათ"[2].

ამ საწარმოთა დახასიათება მოგვცა მენშევიკების მიწათმოქმედების მინისტრმა ნ. ხომერიკმა 1920 წლის ოქტომბერში მოწვეულ ეკონომიურ თათბირზე:

„საწარმოთა გახსნა ჩვენში მოდად გადაიქცა, — ამბობდა იგი. — ყველანი მწარმოებლის როლში გამოდიან: ყველანი ქარხანას ან სახელოსნოს აარსებენ. მაგრამ იშვიათია ისეთი მოვლენა, რომ ვინმე წარმოების პირობებს ეცნობოდეს: არ სწარმოებს გასაღების შესაძლებლობის გამორკვევა, არ მოიპოვებიან მცოდნე ადამიანები, სპეციალისტები. ერთი თვის მუშაობის შემდეგ ქარხანა მთელს 11 თვეს გაჩერებულია".

იმპერიალისტურ ომამდე მრეწველობის ყველაზე უფრო მსხვილ დარგად საქართველოში მარგანეცის მრეწველობა ითვლებოდა. ჭიათურა, სადაც მარგანეცს ამუშავებდნენ, მაშინ მსხვილი მრეწველობის მეორე ცენტრად ითვლებოდა ამიერკავკასიაში. თუ როგორ დაეცა ეს მრეწველობა ომისა და მენშევიკების დროს, სჩანს შემდეგი ციფრებიდან. 1914 წელს მარგანეცის ამოღება 813.117 ტონას შეადგენდა, 1919 წელს ამოღება 55.750 ტონამდე დაეცა; მუშათა რიცხვი 1914 წელს 3.095-ს აღწევდა, 1919 წელს მხოლოდ 256 მუშა ირიცხებოდა; მარგანეცის ქარხანა 1913 წელს 23 იყო, 1919 წელს კი 9-მდე დავიდა[3].

წარმოების დაცემისა და მუშათა რიცხვის შემცირების ასეთივე სურათი იყო მრეწველობის სხვა დარგებშიაც. ერთადერთი წარმოება, სადაც არა თუ დაცულ იქნა ომის წინადროინდელი დონე, არამედ ის კიდეც გაიზარდა, ეს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები იყო. ქვანახშირის საერთო ამოღება 1913 წელს დაახლოებით 70.000 ტონას უდრიდა, 1920 წელს კი იგი 15%-ით გადიდ-

---

[1] პროფმოძრაობის არქივი, შრომის სამინისტრო, ფ. № 3, საქმე № 357, ფურც. 161 — 163.

[2] საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველო, სტატისტიკური კრებული, გვ. 47.

[3] საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველო, სტატისტიკური კრებული, გვ. 49.

და, მაგრამ ეს ზრდა გამოწვეული იყო მხოლოდ იმ განსაკუთრებული პირობებით, რომელშიაც ჩავარდა მენშევიკური საქართველო მას შემდეგ, რაც მას აღარ აწვდიდნენ ნავთსა და სხვა თხევად საწვავ მასალას ბაქოდან. მენშევიკური საქართველოსათვის ტყიბულის ქვანახშირის ამოღების გადიდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. რკინიგზები და სამრეწველო საწარმოები თხევადი საწვავი მასალის უქონლობის გამო ქვანახშირზე უნდა გადასულიყვნენ, რის გამოც მისი ამოღება სასიცოცხლო საკითხად გადაიქცა.

ქვანახშირის ამოღების გადიდებას ტყიბულის მაღაროებში ქართველმა მენშევიკებმა მიაღწიეს მხოლოდ მუშათა ექსპლოატაციის გადიდებით და მუშათა კლასზე ახალი იერიშების მიტანით[1].

კატასტროფულ მდგომარეობას განიცდიდა მენშევიკების დროს რკინიგზის ტრანსპორტიც, სადაც 15 ათასამდე მუშა-მოსამსახურე მუშაობდა. მატარებლები ტფილისსა და ბათომს შორის არსებული მანძილის გავლას მთელს კვირას ანდომებდნენ. რკინიგზის დეპო დაზიანებული ორთქლმავლებისა და ვაგონების სასაფლაოს წარმოადგენდა. მეტისმეტად შემცირდა ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვა და სხვ.

საქართველოს პროფესიული კავშირების 1-ლი ყრილობის ცნობებით (ყრილობა მოწვეულ იქნა ტფილისში 1919 წ.), პროფკავშირებში დარაზმულ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვი (ბათომის გამოკლებით) 54.701

---

[1] რომ წარმოდგენა გვქონდეს იმაზე, თუ რამდენად უმნიშვნელო იყო მენშევიკებ ის დროს მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობის განვითარება, საკმარისია შევადაროთ ის საბჭოთა პერიოდს.

თუ 1920 წელს, როცა ქვანახშირის ამოღებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ტყიბულში 80.500 ტონა ქვანახშირი ამოიღეს, 1928 წელს ამოღებულ იქნა 84 ათასი ტონა, 1932 წელს — 205,3 ათასი ტონა, 1933 წელს — 185,5 ათასი ტონა და 1934 წელს — 241,3 ათასი ტონა.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ჯამი (1931—1934 წწ.) 11 მილიონ მანეთს უდრის.

კიდევ უფრო გაიზარდა მარგანეცის მრეწველობის პროდუქცია:

	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	1934 წ.
1. ჩვეულებრივი მადნის ამოღება ათას ტონობით.	81,3	83,7	120,6	428,7
2. გარეცხილი მადნის პროდუქცია. . .	308,9	297,5	360,0	521,3
3. სულ სასაქონლო პროდუქცია. . . .	390,2	381,2	480,0	350,0
4. საერთო პროდუქცია 1926/27 წლის ფასებში (ათას მან.)	5.297,1	5.260,8	6.715,4	11.912,7

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში 1934 წელს 3.374 მუშა ირიცხებოდა. ჭიათურის მრეწველობის რეკონსტრუქციაზე მარტო 1934 წელს დაბანდებულ იქნა 11.500 ათასი მანეთი. ჭიათურის მარგანეცისა და რიონჰესის იაფი ენერგიის საფუძველზე ქ. ჯუღელში (ზესტაფონში) აგებულ იქნა საკავშირო მნიშვნელობის ფერომარგანეცის ქარხანა, რომლის მშენებლობაზედაც 1935 წლის 1 იანვრამდე დაიხარჯა 19 მილიონი მანეთი (იხ. მასალები საქართველოს სსრ-ის მთავრობის ანგარიშისა საბჭოების მე-7 ყრილობაზე, გვ. 30—35).

კაცს შეადგენდა. ქალაქების მიხედვით ეს რიცხვი განაწილებული იყო შემდეგ-ნაირად: ტფილისში — 39.573, ქუთაისში — 3.288, ფოთში — 2.300, სოხუმში — 2.000, ტყიბულში — 1.060, ჭიათურაში — 350, შორაპანში — 1.350, სამტრედიაში — 1.600, სოხუმში — 2.000, სოღნაღში — 300, ოზურგეთში — 850 და თელავში — 30.

ტფილისში საფაბრიკო-საქარხნო მუშათა გამაერთიანებელ ყველაზე მსხვილ პროფკავშირებად ითვლებოდნენ: მელითონეთა კავშირი — 2.000 კაცით, მბეჭდავთა კავშირი — 900 კაცით, დეპოსა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა კავშირი — 3.800 კაცით, თამბაქოს ფაბრიკის მუშათა კავშირი — 2.413 კაცით და სხვ. [1].

ტფილისში სულ 40-მდე პროფესიული კავშირი არსებობდა. მათი უმეტესი ნაწილი სტიქიურად წარმოიშვა ჯერ კიდევ 1917 წელს. არსებობდა 2-3 ერთგვარი პროფკავშირიც, რომლებიც წარმოების ერთი და იმავე დარგისა, მაგრამ სხვადასხვა საწარმოში ჩაბმულ მუშებს აერთიანებდნენ. არსებობდნენ პროფკავშირები ტერიტორიალური ნიშნის მიხედვითაც. ასე, მაგალითად, 1918 წ. არსებობდა „ორთაქალის" (ტფილისის განაპირა უბნის) სახელწოდების მუშათა კავშირი, სადაც შედიოდნენ სხვადასხვა პროფესიის მუშები, დაწყებული მეტყავეებიდან. და გათავებული ზეთსახდელი ქარხნის მუშებით. კავშირები დაქსაქსულნი, კარჩაკეტილნი იყვნენ და ხშირად ისინი ვიწრო, საამქრო ნიშნის მიხედვით შენდებოდნენ.

მენშევიკები განაგრძობდნენ მათ მიერ ომამდე წამოყენებული პოზიციის დაცვას პროფმოძრაობის „ნეიტრალობის" შესახებ, რათა შეეფერხებინათ კლასობრივი ბრძოლის განვითარება და ჩამოეშორებინათ მუშათა მასები ბოლშევიკებისათვის. საქმით კი მენშევიკები ცდილობდნენ გადაექციათ პროფკავშირები თავიანთი პოლიტიკის იარაღად. რამდენადაც უფრო იზრდებოდა მუშათა მასების რევოლუციური აღმავლობა, რამდენადაც უფრო შესამჩნევად ძლიერდებოდა ბოლშევიკური გავლენა ჩვენს ქვეყანაში, იმდენად უფრო ურცხვად მიმართავდნენ მენშევიკები ტერორსა და შიშველ ძალადობას პროფკავშირებში დარაზმულ მუშათა წინააღმდეგ.

„დამოუკიდებლობის" გამოცხადების შემდეგ საქართველოში თავი წამოყო მემამულურმა კონტრრევოლუციამ, რომელსაც მფარველობდნენ საქართველოს ოკუპანტი გერმანელები და შველოდა მენშევიკური მთავრობა. 1918 წლის სექტემბერში საქართველოში, მაგალითად, აღმოჩენილ იქნა თავადაზნაურთა „შეთქმულება", რომელთაც გადასწყვიტეს მოეწყოთ საიდუმლოდ თავადაზნაურთა საგანგებო შეიარაღებული რაზმი, აბდუშელიშვილისა და

[1] საქართველოს პროფკავშირთა 1-ლი ყრილობის ოქმები, გვ. 1 — 6, გამოც. 1920 წ.

გ. ამილახვრის მიერ 1905 წელს მოწყობილი შავი რაზმის მსგავსად, რათა გლეხებისაგან იძულებით აენაზღაურებინათ ღალა და სხვა ზარალი, რომელიც მიაყენა მათ გლეხთა გამოსვლებმა.

ამის გამო მენშევიკური ოფიციოზი — გაზ. „ბორბა" სწერდა:

„მიზანი თავისთავად არაფერს „დანაშაულებრივს" არ შეიცავს, არაფერს არ შეიცავს ისეთს, რისთვისაც საჭირო იყოს საიდუმლოდ შეკრება, რისთვისაც საჭირო იყოს შეთქმულების მოწყობა. მოქალაქეთა შორის არავის არ აქვს აკრძალული ერთად შეკრება და ისეთი საკითხების გადაჭრეა, რაც მათი ჯგუფური ინტერესების დაცვას შეეხება"[1].

მენშევიკური ოფიციოზის გაკვირვება ამ შემთხვევაში სრულიად გასაგები იყო. მართლაც, რად სჭირდებოდა თავადაზნაურობას საიდუმლოდ შეკრება, შეთქმულების მოწყობა, როცა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი მზად იყო მათი სამსახურისათვის, როცა თვით გლეხები სახალხო გვარდიელებს სრულიად სამართლიანად უყურებდნენ, როგორც „თავადაზნაურთა გვარდიას"[2].

მენშევიკების კანონების მეოხებით თავადაზნაურობას საკუთარი სპეციალური ორგანიზაციის გარეშეც შეეძლო გლეხების უმოწყალოდ გაძვალტყავება.

მენშევიკების დროს საქართველოს დედაქალაქი — ტფილისი რუსეთის კონტრრევოლუციის მიმზიდველ ცენტრად გადაიქცა. საქართველოში თავისუფლად ტარდებოდა თეთრგვარდიელი ოფიცრებისა და მოხელეების მობილიზაცია და მათი გამგზავრება მოხალისეთა ჯარში. მენშევიკები იარაღსა და სამხედრო მასალას უგზავნიდნენ დონის მთავრობას. ისინი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენერალ ალექსეევთან, დენიკინთან და სხვებთან. მენშევიკების ბრძანების გამო გენერალ მაზნიაშვილისადმი, რომ სამხედრო გვარდიის მიშველებით ის მოხალისეებს დახმარებოდა, ზაზ. „ბორბა" სწერდა:

„უკუბანთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ამოცანა ადვილი ხდება ჩვენი მთავრობისათვის იმით, რომ ჩვენი რაზმები ყუბანლებთან ერთად ღვრიდნენ სისხლს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში"[3].

მენშევიკებმა თავისუფლად გაატარეს საქართველოს ტერიტორიაზე ბაქოში მიმავალი თურქეთის ჯარები, რითაც უდიდესი სამსახური გაუწიეს საერთაშორისო იმპერიალიზმს ბაქოს კომუნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს კიდევ ცოტაა. 1918 წლის 5 აგვისტოს მენშევიკურმა მთავრობამ თურქეთის ჯარების უფროსის ხალილ-ფაშას პატივსაცემად ბანკეტი გამართა ტფილისში. ბანკეტზე სამხედრო მინისტრი, ცნობილი მენშევიკი გიორგაძე შემდეგი სიტყვით გამოვიდა:

„ფქვენო აღმატებულებავ! ქართველი ერი მთელი მრავალსაუკუნოებრივი ისტორიის მანძილზე ყოველთვის განსაკუთრებით აფასებდა გმირულ მხედრობას. მსოფლიო ომმა ცხადლივ დაამტკიცა, თუ რამდენად

[1] „ბორბა" № 181, 1918 წ. 1 ოქტომბერი.
[2] ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე", სტატიები და სიტყვები, გვ. 83.
[3] გაზ. „ბორბა" № 181, 1918 წ.



ინგლისელებისა და თეთრგვარდიელების მიერ 1918 წელს ვერაგულად დახვრეტილი ბაქოს 26 კომუნარის ძეგლი

დიდ ძალას წარმოადგენენ თურქეთის ჯარი და მისი ღირსეული ხელმძღვანელები. მე დამოუკიდებელი ქართული ჯარის სახელით სპლამს ვუძღვნი ცნობილ ხელმძღვანელს და ვუსურვებ წარმატებას ბრძოლის ველზე თურქეთის ჯარებს და მათ ღირსეულ მოკავშირეებს"[1].

ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ, 1918 წლის 20 სექტემბერს, მენშევიკების, ესერებისა და დაშნაკელების ხელისუფლებამ — ამ „ცენტროკასპიის დიქტატურამ", ინგლისელებთან ერთად, ვერაგულად დახვრიტა ბაქოს 26 კომუნარი.

„ცივილიზებულ" ქვეყნებში, — სწერდა ამხანაგი სტალინი ამ საზიზღარი დანაშაულის შესაფასებლად, — მიღებულია ილაპარაკონ ბოლშევიკების ტერორსა და საშინელებებზე. ამასთან, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს ჩვეულებრივ გვიხატავენ როგორც ტერორისა და დახვრეტის მტრებს. მაგრამ, განა ცხადი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ გასწორებია თავის მოწინააღმდეგეებს ისე მუხანათურად და სულმდაბლურად, როგორც „ცივილიზებული" და „ჰუმანური" ინგლისელები? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ბოლომდე გახრწნილ და ყოველგვარი

[1] „კავკაზსკოე სლოვო" № 166, 1918 წ.

მორალური ძალის დამკარგავ იმპერიალისტურ კაბინეტებს ესაჭიროებათ ღამის მკვლელობანი და ავაზაკური თავდასხმა მოწინააღმდეგე ბანაკის უიარაღო პოლიტიკურ მუშაკებზე?...

როდესაც ბაქოში ინგლიზელებს იწვევდნენ და ბოლშევიკებს ღალატობდნენ, ბაქოელი მენშევიკები და ესერები ფიქრობდნენ „გამოიყენებინათ" ინგლისელი „სტუმრები", როგორც ძალა: ამასთან, ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონებად მენშევიკები და ესერები დარჩებოდნენ, ხოლო „სტუმრები" უკანვე წავიდოდნენ. მაგრამ, სინამდვილეში, პირიქით, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა: „სტუმრები" შეუზღუდველი ბატონ-პატრონები შეიქნენ, ხოლო ესერები და მენშევიკები 26 კომისრის მუხანათური და სულმდაბლური მოკვლის აუცილებელ მონაწილეებად გადაიქცნენ"[1].

ქართველმა მენშევიკებმა საჭიროდ სცნეს მხარი დაეჭირათ ბაქოს კომუნარების მკვლელებისათვის. წინადადებაზე, რომ დეპეშით მიემართნათ ბერლინის სოციალისტური კონფერენციისათვის და პროტესტი განეცხადებინათ კავკასიაში მყოფი ინგლისის მისიის მეთაურთა მოქმედების წინააღმდეგ, საქართველოს მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წლის 29 მარტს შემდეგი ფარისევლური გადწყვეტილება გამოიტანა:

„ც. კ-ს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს წინადადებას, ვინაიდან მას არ მოეპოვება უდავო დოკუმენტალური ცნობები, რომელიც მოწმობდეს ინგლისელების მონაწილეობას ხსენებულ დანაშაულში"[2].

1918 წლის ნოემბერში, გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, გერმანელმა ოკუპანტებმა საქართველო უკვე დასტოვეს. ეწეოდნენ რა ლაქიობას გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე, მენშევიკებმა, ნ. ჟორდანიამ, ი. წერეთელმა, ნ. ჩხეიძის, ე. გეგეჭკორისა და ნ. რამიშვილის ხელმოწერით, წერილი გაუგზავნეს II ინტერნაციონალს, რომელშიაც ამართლებდნენ გერმანელი ოკუპანტების ყოფნას საქართველოში[3]. მაგრამ გერმანელებისადმი სიმპატიურ განწყობილებას მათთვის ხელი არ შეუშლია სწრაფად შეეცვალნათ ორიენტაცია და თავისი ყურადღება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისაკენ მიეპყრათ.

„გუშინ ჰყიდდნენ მას (საქმეზოლოს.—გ. ხ.) გერმანელებზე, დღეს კი ჰყიდიან ინგლისელებზე და ფრანგებზე".

ასე დაახასიათა ლენინმა განაპირა ქვეყნის ბურჟუაზიის მოქმედება.

ინგლისის სარდლობა ისე იქცეოდა საქართველოში, როგორც იქცევიან იმპერიალისტები სხვა რომელიმე დაპყრობილ ქვეყანაში. მათ ხელთ იგდეს ამ

---

[1] ი. სტალინი. „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ", გვ. 105-106.

[2] მენშევიკების ც. კ-ის 1919 წლის 29 მარტის ოქმები.

[3] გაზ. „ბორბა" № 209, 1918 წ.

ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების კონტროლის ყველა ძაფები.

ლუი ფიშერი, წიგნის — „ნავთის იმპერიალიზმის" — ავტორი, ამბობს:

„ინგლისელებმა იწყეს კავკასიაში შინაურულად მოკალათება. მათ თავიანთ განმგებლობაში აიღეს სახელმწიფო ბანკი, ფოსტა, ტელეგრაფი, სასამართლო და სხვ. და შეუდგნენ საპოლიციო და სასურსათო ფუნქციების ასრულებას. საქართველოში ისინი ბრძანებას აძლევდნენ მენშევიკურ მთავრობას, თუ რომელი კომუნისტი უნდა დაეპატიმრებინა მას და რომელი არ უნდა გაენთავისუფლებინა ციხიდან. ინგლისელების საბედნიეროდ, მენშევიკები ისეთივე ერთგულებით ასრულებდნენ ბრიტანეთის გენერლის ბრძანებას, როგორც ისინი რამდენიმე თვის წინათ ასრულებდნენ გერმანელი პოლკოვნიკის ინსტრუქციებს"[1].

ბაქოდან ბათომში ნავთის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად ინგლისელებმა ფაქტიურად თავის ხელში აიღეს საქართველოს რკინიგზების მმართველობის საქმე. მენშევიკური მთავრობა საკუთრებით დამოკიდებული იყო ინგლისის სარდლობისაგან. საკმარისია ითქვას, რომ თვით მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმებიც კი ინგლისის გენერლებს ეგზავნებოდა დასამტკიცებლად. მათ კორექტივები შეჰქონდათ მენშევიკების საფინანსო პოლიტიკაში, აძლევდნენ მათ დირექტივებს და ერეოდნენ სასამართლოს საქმეებში.

როგორც ოკუპირებულ ქვეყანაში ინგლისელი იმპერიალისტები ყოველად მოურიდებლად ხმარობდნენ ძალადობას საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობაზე, თვითნებურად ერეოდნენ რკინიგზის ადმინისტრაციის განკარგულებებში, სცემდნენ მუშებს, ხურავდნენ მუშათა ორგანიზაციებს და სხვ... ინგლისის იმპერიალისტებმა საქართველო გადააქციეს ერთერთ პლაცდარმად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მენშევიკები კი იმპერიალისტური მტაცებლების ნებისყოფის უბრალო შემსრულებლებად გადაიქცნენ.

წერილში — „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთში ნაციონალური საკითხის შესახებ" — ამხანაგი სტალინი, ეხებოდა რა ამიერკავკასიას და მის „დამოუკიდებელ" რესპუბლიკებს, სწერდა:

„იმ დროს, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღდება პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის, განაპირა ქვეყნებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი:

ა) რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა ქვეყნების მშრომელი მასების გაანთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან.

ბ) ანტანტასთან ერთად, და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს. ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთისა და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ თვალთმაქცური მოჩვენებაა, რომე-

---

[1] ლუი ფიშერი. „ნავთის იმპერიალიზმი", გვ. 24-25 (რუს. გამოც.).

ლიც ჰფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, ხახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტების ჯმა თუ იმ ჯგუფისაგან"[1].

III

მენშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის „დამოუკიდებლობას" გამოცხადების დღიდან და გერმანული ოკუპაციის დასაწყისიდან ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა საქართველოში დაჰკარგეს არა მარტო ლეგალური მუშაობის შესაძლებლობა, არამედ ნოთიერი საშუალებანიც, პარტიული აპარატიც, პრესაც და სხვ.

პარტიის წევრთა მეტი ნაწილი დაპატიმრებულ ან გადასახლებულ იქნა რესპუბლიკის საზღვრებიდან.

რკ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ტფილისში დასტოვა კომიტეტის ბიურო და 1918 წლის მაისის დასასრულიდან გადავიდა კავკავში (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე), სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა და საიდანაც უფრო ადვილი იყო რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობა, როგორც საქართველოში, ისე მთელს ამიერკავკასიაში. მენშევიკური საქართველოს მიმართ სამხარეო კომიტეტის წინაშე პირველ რიგში წამოიჭრა ამოცანა დანგრეული პარტიული ორგანიზაციების აღდგენისა და თავისი გავლენის გაძლიერების შესახებ საქართველოს მუშათა და გლეხთა მასებს შორის. შეუპოვარი მუშაობის შედეგად 1919 წლის დასაწყისისათვის სამხარეო კომიტეტმა მოახერხა ამ ორგანიზაციების აღდგენა. ის სიძნელენი, რომელსაც განიცდიდა რუსეთი 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ბაქოს კომუნის დაცემა და ბოლშევიკური ორგანიზაციების დროებით განადგურება საქართველოში ქართველი მენშევიკების მიერ გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ გაეჩაღებინათ ახალი, ტყუილებისა და ცილისწამების კიდევ უფრო ინტენსიური კამპანია ბოლშევიზმისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ბრძოლის სიძნელენი მარტო ამით არ ამოიწურებოდა. როგორც ცნობილია, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები დღიდან ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი" რესპუბლიკების წარმოშობისა ერთმანეთთან მტრულ განწყობილებაში იყვნენ. ძმათა შორის ომი და სისხლიანი შეტაკებანი ნაციონალურ ნიადაგზე ნაციონალისტურ მთავრობათა დიქტატურის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა გააფთრებული ნაციონალ-შოვინისტური აგიტაცია გააჩაღეს და ნაციონალიზმის შხამით სწამლავდნენ მუშებისა და მშრომელი მასების გონებას.

ამიერკავკასიის ქართველი, სომეხი, რუსი და თურქი მუშების წინანდელი ინტერნაციონალური კავშირი, რომელიც ერთ პროლეტარულ ოჯახად რაზმავდა მათ, ნაციონალიზმის შხამის გავლენით შესამჩნევად შესუსტდა. მენშევიკ-

[1] ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", „სტატიებისა და სიტყვების კრებული, გვ. 73-74, ტფილისი, 1934 წ., (ქართ. გამოც.).

ბის სოციალური დემაგოგია, ყოველგვარი ბედნიერების შეპირება მშრომელთათვის, კლასობრივი ბრძოლის უარყოფის პროპაგანდა და „ნაციონალური თანამშრომლობის“ მოწყობა კაპიტალისტებთან ერთგვარ გამოძახილსა და გაჯავალს პოულობდა მუშათა და გლეხთა ერთ ნაწილში და აგრეთვე ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაში.

ყველა ეს გარემოებანი ახალ დამატებითი სიძნელეებს ჰქმნიდნენ პროლეტარიატის ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში კელავ დაისახა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის საკმაოდ მაჩვენებელი სიმპტომები.

ამ მოძრაობას საკმაოდ შეუწყო ხელი ამიერკავკასიაში დაწყებულმა სახალხო-სამეურნეო კრიზისმა. საქართველოში, მაგალითად, ადგილი ჰქონდა წარმოების შემოკლებას მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. სამრეწველო და სავაჭრო საწარმონი იხურებოდნენ არა მარტო ნედლეულისა და მასალის უქონლობით, არამედ, ხშირად, როგორც თვით მუშები აღნიშნავდნენ, მრეწველთა საბოტაჟის მიზეზითაც, რომელნიც ცდილობდნენ საწარმოს დახურვის მუქარით იძულებულნი გაეხადნათ მუშები, უარი ეთქვათ ამა თუ იმ სამართლიანად წამოყენებულ მოთხოვნაზე.

მრეწველობისა და მუშათა კლასის მდგომარეობა საქართველოში 1918 წლის მეორე ნახევარში თვით გაზ. „ბორბაც“ კი იძულებული იყო ასე დაეხასიათებინა:

„სტამბები, წიგნთსაცავები, ფეხსაცმლის სახელოსნოები, ავტოსარემონტო სახელოსნოები და მთელი რიგი სხვა ქარხნები, როგორც, მაგალითად, იარალოვის, ვაზნიანსკისა და სხვ., — ყველანი გაქრობის გზაზე დგანან და მთელ ამ ქალაქზე მეუფებს საზარელი შრში სიმშილის წინაშე. უსაზღვრო სურვილი—რაც შეიძლება მეტი მიიღონ და ბრაფერს ანგარიში არ გაუწიონ. წარმოების მოშლა და შიმშილი შლის ვაივაგლახით მოწესრიგებულ პროფმშენებლობას და კლასობრივ პოლიტიკას ანაწილებს მთელ რიგ ჯგუფობრივ გამოსვლებად“ [1].

მენშევიკების ცდა — სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირების საშუალებით შეეჩერებინათ საწარმოთა სტიქიური ლიკვიდაცია — სრულიად უნაყოფო გამოდგა.

წარმოების შემცირება უმუშევართა სულ ახალახალ კადრებს ჰქმნიდა. გადარჩენილი საწარმონი მეტწილად სრულიად არასაკმაო დატვირთვით მუშაობდნენ და მათში ჩაბმული მუშათა რიცხვი დაყვანილი იყო მინიმუმამდე. 1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩატარებული აღწერის ცნობებით, ტფილისში აღმოჩნდა 8.900 უმუშევარი, ქუთაისში — 3.158, სოხუმში — 960, ფოთში — 330, ბორჯომში — 413 და სხვ. მაგრამ ეს ციფრები სრულიადაც ვერ გვიხატავენ

[1] „ბორბა“ № 115, 1918 წ.

უმუშევართა ნამდვილ რაოდენობას. უმუშევართა მეტად დიდი ნაწილი გაურ-ბოდა რეგისტრაციაში გატარებას შრომის ბირჟაზე; ბევრ მათგანს დაკარგული ჰქონდა იმის იმედი, რომ სამუშაოს იშოვიდა. და მიდიოდა სოფლად ან სრულიად სტოვებდა საქართველოს საზღვრებს. ტფილისში დარჩენილი უმუშევრები საამუშაოს ძებნაში პირდაპირ ალყას არტყამდნენ შრომის სამინისტროს და ყოველდღე დილაადრიანადვე, მწკრივდებოდნენ უდიდეს რიგებში. იმ მწვავე სამეურნეო კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც მენშევიკურ საქართველოში მძვინვარებდა, აქ ფრთები გაშალა თავშეუკავებელმა სპეკულაციამ კვებისა და პირველი მოთხოვნილების საგნებზე. მუშათა რეალური ხელფასი და, მასთან ერთად, მშრომელთა საცხოვრებელი დონეც კატასტროფულად დაეცა. ხელ-ფასის ის მომატება, რომელიც პერიოდულად ხდებოდა, ვერ ეწეოდა იმ სიძვი-რეს, რომელიც თანდათან და განუწყვეტლივ იზრდებოდა; უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერ ეწეოდა მენშევიკური ფულის ნიშნების სამყიდველო უნარის კა-ტასტროფულ დაცემას. გარდა ამისა, როგორც წესი, მუშები და მოსამსახურე-ები ხელფასს მთელი თვეობით ვერ ღებულობდნენ, რაც მათს მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა.

„პირველი მოთხოვნილების საგნების გაშმაგებულმა ძებნამ, — იძუ-ლებული იყო დაეწერა გაზ. „ბორბას", — სრულიად გამოჰფიტა მუშა სუ-ლიერად, მოადუნა მისი ტვინი და ნერვები, და თავისი კლასის შეგნებუ-ლი წარმომადგენლიდან, თავისი კლასობრივი ძლიერებისათვის მებრძო-ლიდან გადააქცია იგი... გზაკვალაბნეულ ობივატელად, რომელიც დუქ-ნებსა და ბაზრებში დაეხეტება იმ იმედით, რომ ხელსაყრელ ფასებში იშოვნის პურს, შაქარს, ნავთს, ლანჩას ფეხსაცმლისათვის... ანდა ცდი-ლობს ამ მომენტში ყველა დასაშვები და დაუშვებელი საშუალებებით შიაღწიოს ხელფასის მომატებას და რადაც არ უნდა დაუჯდეს იყოფინოს საარსებო მინიმუმი"[1].

მუშათა მდგომარეობის ეს დახასიათება განსაკუთრებული სიმწვავით ურ-ტყამს თვით მენშევიკებს, რომელნიც თავის მთავრობას ნათლავდნენ მუშათა მთავრობად, რომლის მთავარ საზრუნავს თითქოს საქართველოს მუშათა კლა-სი შეადგენდა. მალე მუშათა გაშლილმა მასობრივმა მოძრაობამ, მენშევიზმისა-გან მუშათა ჩამოშორებამ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს მუშებში საკმაოდ დიდი რევოლუციური ძალა იმალებოდა და რომ ისინი შორს იყვნენ იმ გზაკვალაბნეული ობივატელებისა-გან, როგორადაც ისინი წარმოდგენილი ჰყავდა მენშევიკურ ოფიციოზს.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები აქებდნენ და ადიდებდნენ „კლასობ-რივ თანამშრომლობას", მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამოდიოდნენ გაფიც-ვების წინააღმდეგ, იმ გაფიცვების, რომელიც მათი თვალსაზრისით დაუშვებე-ლი იყო დემოკრატიულ სახელმწიფოში, 1918 წლის მეორე ნახევარში საგა-ფიცვო მოძრაობის ტალღა კვლავ ახალი ძალით აზვირთდა და თანდათან უფ-

[1] „ბორბა" № 164, 10 სექტემბერი, 1918 წ.

რო გაძლიერდა. ამასთან, მარტო ტფილისში 1918 წლის შემოდგომაზე მუშებსა და მეწარმეთა შორის აღრიცხულ იქნა 1.600 კონფლიქტი. ქუთაისში კი ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა 684 კონფლიქტს[1].

1918 წ. ივნისში ტფილისში გაფიცნენ კასპარიანცის, ტერ-ასატუროვისა და სხვა ხე-ტყის სახელოვნო ქარხნების მუშები. ამავე დროს გაფიცულნი იყვნენ აგრეთვე ტელეფონის ქსელის მუშა-მოსამსახურენიც. ამ უკანასკნელთა გაფიცვის საქმეში ჩაერია პროფკავშირთა საბჭო და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელნიც გაფიცვის შეწყვეტას მოითხოვდნენ.

გაფიცულნი შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ წინასწარ განაცხადეს: „ძალა თქვენს მხარეზეა, და ჩვენც იძულებულნი ვართ დაგემორჩილოთო"[2].

ორმ თვეს გრძელდებოდა ლიტოგრაფიის მუშათა გაფიცვა. მუშები მუშაობას მხოლოდ მას შემდეგ შეუდგნენ, როცა დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნები. ივლისში, 18 მუშის უკანონოდ დათხოვნისა და დაბალი ხელფასის გამო, დიდი კონფლიქტი ჩამოვარდა სამხედრო სტამბის მუშებსა და ჯარის მთავარ შტაბს შორის.

ივლისისა და აგვისტოს ვანმავლობაში გაფიცულნი იყვნენ ქუთაისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურენი. ტფილისში გაფიცულნი იყვნენ ფარმაცევტებიდ ელექტრიკოსები, ქალაქის სასაკლაოს მუშა-მოსამსახურენი, საავტომობილო სახელოსნოთა მუშები და სხვ.

მენშევიკები განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავდნენ გაფიცვისაგან რკინიგზას, სადაც დაწესებული იყო საგანგებო დაცვა. გარდა ამისა, გამოიცა განსაკუთრებული კანონი რკინიგზებზე გაფიცვის აკრძალვის შესახებ. მიუხედავად ამისა, გაფიცვა აქაც მოხდა.

„ნ. ეორდანიასა და გზათა მინისტრის თანხმობით. — ეკითხულობთ გაზ. „ბორბაში", — დაკმაყოფილებულ იქნა რკინიგზელთა მოთხოვნები ხელფასის გადიდების შესახებ, იმ პირობით, რომ ისინი დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ მუშაობას"[3].

1918 წლის სექტემბერში ფოთში გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები. ხოლო ტფილისში მუშაობა შესწყვიტეს ამიერკავკასიის ბანკისა და საკრედიტო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა და სადეზინფექციო კამერების მუშებმა.

გაფიცულნი იყვნენ ამავე თვეში ბორჯომის მამულის მუშებიც. განუწყვეტელი გაფიცვები ხდებოდა მთელს საქართველოში აგრეთვე ოქტომბერსა და დეკემბერში. ეს გაფიცვები გამოწვეული იყო მძიმე ეკონომიური მდგომარეობითა და იმით, რომ მეწარმეებს არ სურდათ. კოლექტიური ხელშეკრულების დადება, ანდა იმ გარემოებით, რომ უხეშად ირღვეოდა მუშათა და მოსამსახურეთა უფლებრივი ნორმები.

---

[1] პროფმოძრაობის არქივი, შრომის სამინისტრო, ფ. № 3, საქმე № 275.
[2] „სოციალ-დემოკრატი" № 5, 1918 წ.
[3] „ბორბა" № 152, 1918 წ.

ნოემბერში ტფილისის ტრამვაელებმა ტფილისის ქალაქის თვითმართველობას მოთხოვნა წაუყენეს ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ღამის სამუშაო საათების შემცირების შესახებ [1].

1918 წლის შემოდგომაზე უკვე მომწიფდა დიდი კონფლიქტი ქ. ტფილისის თვითმართველობასა და 3000 მუშა-მოსამსახურეთა შორის. ქალაქის მეურნეობა მაშინ განსაკუთრებით მწვავე კრიზისს განიცდიდა. მენშევიკებმა ვერ შესძლეს ქალაქის ფინანსების მოწესრიგება. მუშები და მოსამსახურეები მთელი თვეობით ვერ ღებულობდნენ ჯამაგირს. გამგეობას ისიც კი არ შეეძლო ეთქვა, თუ როდის ექნებოდა მას საშუალება დაეკმაყოფილებინა მუშათა და მოსამსახურეთა მოთხოვნები.

18 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობის-მუშათა და მოსამსახურეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მუშათა უმრავლესობას ჯამაგირი მთელი 3 თვის განმავლობაში არ მიუღია და მათ, ქრონიკული ფსმელ-უმელობით უკიდურესად დაუძლურებულნ, უკვე აღარ შეუძლიათ დარჩნენ თავიანთ ადგილას და ულტიმატური ფორმით მოითხოვენ კუთვნილი ხელფასის დაუყოვნებლივ მიცემასო. პროფკავშირთა სამმართველო, რომელმაც მოისმინა საგაფიცვო კომიტეტის მოხსენება, იძულებული იყო აღენიშნა გაფიცვის აუცილებლობა [2].

იმის შიშით, რომ არ შეჩერებულიყო ქალაქის ელექტრონის სადგურის, წყალსადენის, ზფთიაქების, საავადმყოფოების, ტრამვაისა და სხვ. მუშაობა, მთავრობამ სესხი მისცა ქალაქის გამგეობას, რათა მას გაესტუმრებინა მუშათა და მოსამსახურეთა ჯამაგირი და ამით თავიდან აეცილებინა საერთო გაფიცვა.

ამ პერიოდში ერთერთი ყველაზე დიდი და ხანგრძლივი გაფიცვა, რომელშიაც 2 ათასამდე მუშა მონაწილეობდა, ტყიბულის მაღაროებში მომხდარი გაფიცვა იყო. აქ უშუალო ზეტაკება მოხდა მუშებსა და მენშევიკურ მთავრობას შორის.

ვინაიდან ტყიბულის მაღაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტრანსპორტისა და მთელი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, ამიტომ გაფიცვა მეტისმეტად საგრძნობი იყო მთელი რესპუბლიკისათვის.

ნახშირის ამოღების შეჩერება თვით მოკლე ხნითაც კი მოძრაობის შეჩერებით ემუქრებოდა მთელს რკინიგზას და მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ტყიბულის მაღაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის, მენშევიკებმა მაინც ვერ მოახერხეს მოეწესრიგებინათ აქ წარმოება, აემაღლებინათ შრომის ნაყოფიერება და დაემყარებინათ მუშებთან სათანადო ურთიერთობა. მუშაობა მაღაროებში შრომის ელემენტარული პირობების დაუცველად სწარმოებდა. მუშები ჭრაქებითა და ნავთის სანათურებით მუშაობდნენ, რის გამოც მაღაროებში საშინელი კვამლის სიმყარალის სუნი იდგა. მუშებისათვის რამდენიმე ყაზარმა იყო აგებული, მაგრამ თვი-

---

[1] „ბორბა" № 226, 1918 წ.

[2] პროფმოძრაობის არქივი, ფ. № 2, საქმე № 174, გვ. 36.

თეულში, 15 კაცის ნაცვლად, 30-ზე მეტი ცხოვრობდა. სასადილო, რომელსაც 100 კაცი უნდა დაეკმაყოფილებინა, მომსახურეობას უწევდა 500-ზე მეტ მუშას. ითელს წარმოებას მხოლოდ ერთი ექიმი ჰყავდა, მედიკამენტები სრულიად არ ჰქონდა და აგრეთვე არავითარი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა არ სწარმოებდა. ხელფასის მიცემას მუშებს რამდენიმე თვეობით უგვიანებდნენ. მუშებმა კოლექტიური ხელშეკრულების დადებას ვერ მიაღწიეს.

27 ივლისს მუშებმა განუცხადეს ამის შესახებ შრომის საგუბერნიო კომისარს — ურუშაძეს, რომელმაც, ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები მუშათა სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, წინადადება მისცა მათ გადაეცათ საქმე მომრიგებელ კამერაში.

კონფლიქტის გადაჭრა აგვისტოს შუა რიცხვებამდე გაგრძელდა. ბოლოს მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს ხელფასის 50%-ით გადიდება, სურსათის მიწოდება და ხელფასის თავის დროზე დარიგება ფულის წვრილი ნიშნებით. ამასთან ერთად, მუშებმა მოითხოვეს აგრეთვე კოლექტიური ხელშეკრულების დადება. ყველა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მუშები ყოველდღიურად 284 ტონის ნაცვლად, კისრულობდნენ ამოღების გადიდებას 584 ტონით.

მენშევიკური მთავრობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა გაფიცვის ჩასაშლელად. განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, მთავრობა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებული ფინანსიური კრიზისის დროს სახელმწიფოს არ ძალუძს თავის დროზე შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულებანი და რომ გაფიცვა ამ ნიადაგზე უმიზნოა. ბრძოლის განვითარების პროცესში ტყიბულის მუშათა დეპუტატების საბჭომ მუშათა. რევოლუციური ნაწილის ზეგავლენით ახალი მოთხოვნა წამოაყენა მაღაროების მისთვის გადაცემის შესახებ. ბრძოლის დროს ტყიბულის მუშებმა განსაკუთრებული შეურიგებლობა გამოიჩინეს და არავითარ დათმობაზე არ მიდიოდნენ [1].

კლასობრივმა მტრებმა ვერ შესძლეს იმის დაფარვა, რომ მუშათა ყველაზე დიდი გამოსვლები მენშევიკური მთავრობის, როგორც მეწარმის, წინააღმდეგ იმ კომუნისტების უეჭველი გავლენითა და ხელმძღვანელობით ხდებოდა, რომლებიც მაშინ არალეგალურად მუშაობდნენ.

მენშევიკურმა მთავრობამ ტყიბულის მუშათა წინააღმდეგ დევნისა და საზიზღარი ცილისწამების მთელი სისტემა მოაწყო, რომ ჩაეხშო მათი გამოსვლები და იძულებული გაეხადნა ისინი სამუშაოზე გასულიყვნენ. შრომის სამინისტრო, მიმართავდა რა რესპუბლიკის ყველა მუშას ტყიბულის მუშათა გაფიცვის შესახებ, სწერდა:

„... ნუთუ ტყიბულის მუშებს უფლება აქვთ დაარღვიონ ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საწარმოებში წამოჭრილი ყოველგვარი კონ-

[1] „სოციალ-დემოკრატი“ № 17, 1918 წ.

ფლიქტები უნდა გადაიჭრას მომრიგებელი კამერების საშუალებით და არა მუშაობის შეჩერებით. ნუთუ მათ შეუძლიათ დააყენონ რესპუბლიკა, დემოკრატია და მუშათა კლასი განადგურების საბედისწერო საშიშროების წინაშე, გახვიონ ქვეყანა უსაზღვრო უბედურებაში და არ გამოიწვიონ თავისი ქცევით, ამხანაგო მუშებო, თქვენი აღშფოთება და სამართლიანი რისხვა?!

როგორ შეიძლება მოვიწონოთ ტყიბულის მუშათა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნა, რომ მათ მიეცეს უფლება განაგონ მაღაროები, როგორც თავიანთი საწარმო. როცა მათ იციან საბჭოების სამხარეო ცენტრის დადგენილება იმის შესახებ, რომ საბჭოებმა, როგორც კლასების ორგანიზაციებმა, მხოლოდ **საკონტროლო და დამრაზმავი როლი** უნდა ითამაშონ.

გაფიცვა მაღაროებში ხალხთა მასების დღევანდელ მძიმე მდგომარეობაში, და ისიც მუშათა კლასის სწორად გაგებული ინტერესების თვალსაზრისით მიღებულ არაკანონზომიერ მოთხოვნათა გამო, დაგმობილ უნდა იქნას როგორც გამცემლობის აქტი რესპუბლიკისა და დემოკრატიის მიმართ" [1].

მენშევიკებს განსაკუთრებით აღელვებდა ტყიბულის მუშათა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნა მაღაროების მის ხელში გადაცემის შესახებ, რადგან ეს ბოლშევიკური განწყობილების ზრდის მაჩვენებელი იყო. მენშევიკები უზომო გაშმაგებით იბრძოდნენ კაპიტალისტური საკუთრების დასაცავად და მუშათა კონტროლის წინააღმდეგნი იყვნენ.

„კანონიერება, საკუთრების თავისუფლება და ყოველგვარი ბოლშევიკური ექსპერიმენტების უარყოფა— აი ჩვენი უდიდესი პრინციპები" — სწერდა გაზ. „ერთობა".

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური გაზეთების „პოგრომული" სტატიები, შრომის კომისარიატის მოწოდება და მენშევიკების პროვოკაციის მთელი სისტემა ვერავითარ თანაგრძნობას ვერ პოულობდა მუშათა მხრივ. მენშევიკურ გაზეთებში არ არის მოყვანილი მუშათა რომელიმე კრების აქც ერთი ისეთი რეზოლუცია, რომელიც თუნდაც ჰკიცხავდეს ტყიბულის მუშათა გაფიცვას.

აშკარად, მიუხედავად იმისა, რომ მთელი პროფკავშირული აპარატი მენშევიკების ხელში იყო, უკვე 1918 წლის შემოდგომაზე მუშები თანდათან უფრო ხშირად მიმართავდნენ საგაფიცვო ბრძოლას, რაც ძირს უთხრიდა მენშევიკური პარტიის დიქტატურას.

* * *

რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ პროფკავშირთა მუშაობას,

[1] გაზ. „ბორბა" № 173, 1918 წ. 21 სექტემბერი.



რუსეთის კომუნისტური პარტია

ფასი 50 კაპ.

ორშაბათი, 23 დეკემბერი 1918 წ.

ახალგაზრდა კომუნისტი

№ 1. ქუთაისის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის, „ხვარტეკის“ ორგანო № 1.

რედაქციისაგან.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ № 1, 1918 წ. 23 დეკემბერი, პირველი გვერდი

რათა ჩამოეშორებინათ მასები მენშევიკებისაგან და ჩაებათ ისინი ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

ალექსანდრეს ბაღში 1918 წლის 23 (10) თებერვალს მომხდარი დახვრეტისა და ბოლშევიკური პარტიის არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ. აუცილებელი შეიქნა არალეგალური ორგანოს დაარსება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა ბოლშევიკურ შოძრაობას პროფკავშირებში. პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტების პირველი არალეგალური კრება შესდგა მეტყავეთა პროფკავშირის ბოლშევიკური გამგეობის სადგომში — ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის რამდენიმე დღის შემდეგ. ამ კრებაზე ჩამოყალიბდა „მუშათა არალეგალური ცენტრი“, რომელიც შესდგებოდა ყველა კავშირის კომუნისტური ფრაქციებისაგან. ეს ცენტრი მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის ტფილისის კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და ჰქონდა შუდმივი მომუშავე აპარატი — ბიურო ხუთი კაცის შემადგენლობით. სისტემატური დაპატიმრებისა და გადასახლების გამო, ბიუროს შემადგენლობა ძლიერ ხშირად იცვლებოდა. „არალეგალური მუშათა ცენტრი“ დიდ მუშაობას ეწეოდა პროფკავშირებში პროფმუშაკთა მომზადებისათვის, ბოლშევიკური ლიტერატურისა და პროკლამაციების გავრცელებისათვის, საგაფიცვო ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის და სხვ.

თუ რამდენად გაფზარდა ბოლშევიკური გავლენა პროფკავშირებს შორის ჯერ კიდევ 1918 წ. შემოდგომაზე, ეს იმ ფაქტიდან სჩანს, რომ საქართველოს

პროფკავშირთა საბჭოში 37 კაციდან 16 ბოლშევიკი იყო. იმავე წლის ოქტომბერში ორი ბოლშევიკი არჩეულ იქნა პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოში. მუშაობა პროფკავშირული ორგანოების შიგნით შეუძლებლობას აძლევდა ბოლშევიკებს ყოველდღიურად და სისტემატიურად ეხელმძღვანელნათ მოღალატე ქართველი მენშევიკები.

არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკური ორგანიზაციები ცდილობდნენ გამწვავებული საგაფიცო ბრძოლა ეკონომიურ მოთხოვნათა ფარგლებისაგან გაეცალებინათ და პოლიტიკურ ბრძოლად გადაეყვანათ. ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და ცალკეულ კომუნისტებს რომ ამ მხრივ გარკვეული წარმატება ჰქონდათ და მუშათა შორის ქართული კონტრრევოლუციური მენშევიზმის გავლენისაგან თავის განთავისუფლების პროცესი დაწყო, ეს თუნდაც იმ ფაქტიდან სჩანს, რომ 1918 წ. შემოდგომაზე მუშათა მასები კვლავ სვამენ საკითხს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევის შესახებ.

მაგალითად, ეს საკითხი საკმაოდ გადაჭრით დააყენეს არსენალის მუშებმა, რომლებმაც 2 ნოემბერს გამოიტანეს რეზოლუცია, სადაც მოითხოვდნენ:

„სრულად და სწორად შეიდგინათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასის ინტერესების დამცველსა და მისი აზრის გამომხატველ ორგანოს“.

ანალოგიური რეზოლუცია გამოიტანეს ყველაზე მოწინავე და მებრძოლმა მუშებმა — მელიორნეებმა.

მენშევიკები ცდილობდნენ მუშათა გახშირებული პოლიტიკური გამოსვლები თავიდან აეცილებინათ პოლიტიკური ჩაგვრის გაძლიერებით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 9 ნოემბრის ბრძანებით ტფილისსა და მის მიდამოებში გამოცხადდა სამხედრო წესები. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ

„დანაშაულებრივი აგიტაცია სწარმოებს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. აგიტაციის მიზანია გამოიწვიოს რესპუბლიკაში ანარქია, სამოქალაქო ომი და სხვ.“ [1].

გადაკვრით აღნიშნა რა მუშების ჩამოშორება მენშევიკური გავლენისაგან, ნ. ჟორდანიამ 1918 წლის დეკემბერში მოწვეულ მენშევიკურ კრებაზე განაცხადა:

„თუ არის იმის ცდა, რომ გათიშულ იქნას ტფილისის მუშათა კლასი, ეს ცდა აღმოფხვრილ უნდა იქნას ძირიანფესვიანად და დაცულ იქნას ტფილისის ორგანიზაციის მთლიანობა“ [2].

მხოლოდ ბრმა პოლიტიკოსებს შეეძლოთ ელაპარაკნათ ამ დროს ტფილისის პროლეტარიატის მთლიანობაზე მენშევიკების ხელმძღვანელობით. უფრო მოწინავე და შეგნებული მუშები ბოლშევიკური დროშის ქვეშ იყვნენ დარაზმულნი.

ტლანქი ძალადობის საშუალებით შეუძლებელი იყო ბოლშევიკური გავ-

[1] „ბორბალი“ № 216, 1918 წ.
[2] ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე“, სტატიები და სიტყვები, გვ. 176.

ლენის ზრდის შეჩერება მუშათა კლასში. ეს თვით იმ პარტიებმაც კი შეიგნეს, რომლებიც მენშევიკებს მხოლოდ ოპოზიციაში ედგნენ.

„მთავრობამ, — სწერდა გაზ. „სოციალ-დემოკრატი", — სიკვდილით დასჯა შემოილო და ამით მდგომარეობის გამოსწორებას ფიქრობს. ეს ძველი, გაცვეთილი და უკვე დიდი ხნის წინათ დაგმობილი მეთოდია. ამ საშუალებით შეიძლება რამდენიმე ასეული აგიტატორის განადგურება, მაგრამ აგიტატორები ხომ ავადმყოფობის მხოლოდ სიმპტომია და არა მიკრობი, რომელიც თვით ავადმყოფობას იწვევს; მათ სულ სხვა მეთოდებით უნდა ვებრძოლოთ" [1].

საქართველოში, მენშევიკური დიქტატურის კრახის აუცილებლობა სავსებით გამოირკვა უკვე 1918 წლის დასასრულს. მწიფდებოდა რევოლუციური ძალების ახალი დიდი აღმავლობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით; პროლეტარულ რევოლუციას, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ძლიერდებოდა, საქართველოს პროლეტარიატი მეთაურობდა.

ეყრდნობოდნენ რა ინტერვენტებსა და შინაურ ყონტრრევოლუციას, მენშევიკები ყოველგვარ ზომებს ხმარობდნენ, რათა თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ მთელი ძალაუფლება.

ქართველ მენშევიკებს განსაკუთრებით შეეფერება ის დახასიათება, რომელიც მისცა ამხანაგმა სტალინმა განწირულ კლასებს 1934 წლის 23 ივლისს გ. დ. უელსთან საუბრის დროს:

„...საქმე იმაშია, რომ კლასები, რომლებმაც უნდა დასტოვონ ისტორიული სცენა, უკანასკნელნი რწმუნდებიან იმაში, რომ მათი როლი დამთავრებულია. მათი ამაში დარწმუნება შეუძლებელია. მათ ჰგონიათ, რომ შეიძლება გაბზარული ადგილების შეკეთება ძველი წყობილების დამპალ შენობაში, რომ შეიძლება ძველი წყობილების იმ შენობის შეკეთება და გადარჩენა, რომელიც ინგრევა. ამიტომ დაღუპვის გზაზე მდგომი კლასები ხელთ იღებენ იარაღს და ყველა საშუალებით იწყებენ თავისი, როგორც გაბატონებული კლასის, არსებობის დაცვას" [2].

---

[1] გახ. „სოციალ-დემოკრატი", 1919 წლის 20 იანვარი.

ამ გაზეთის გარშემო თავს იყრიდა ოპოზიცია (ა. ხურაბოვის ჯგუფი), რომელმაც თავისი გაფორმება ჰპოვა მენშევიკური პარტიის რიგებში 1918 წლის ზაფხულში. ეს ჯგუფი გამოდიოდა პარტიის ნაციონალ-შოვინისტური პოლიტიკის კრიტიკით.

[2] სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", გამოც. 1935 წ., გვ. 718.

გლეხთა მოძრაობა
1917—1918 წლებში

I

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ახლად შექმნილ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ როლს ქართველი მენშევიკები თამაშობდნენ.

ღალატობდნენ რა მშრომელთა ინტერესებს, მენშევიკები ვერ გაშორდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და საერთო მოქმედების ტაქტიკის გამომუშავების საკითხებში ყველაზე უფრო მემარჯვენე შოვინისტურ და ნაციონალისტურ პარტიებს შეუთანხმდნენ. ამას საუცხოოდ ადასტურებს აგრეთვე ტფილისის საგუბერნიო, თავადაზნაურობის წინამძღოლის არქივში აღმოჩენილი საბუთებიც.

„პარასკევს, 24 მარტს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის თავადაზნაურობის საკრებულოს შენობაში ნოე ნიკოლოზის-ძე ჟორდანია გააკეთებს საინფორმაციო მოხსენებას იმ პროექტის გარშემო, რომელიც შეეხება საქართველოს მომავალ პოლიტიკურ მოწყობას რუსეთის სახელმწიფოში. გაცნობებთ რა ამის შესახებ, ს. ს. ვირსალაძე გთხოვთ მობრძანდეთ და დაესწროთ ხსენებულ კრებას.

კრება დაიწყება საღამოს სრულ 8 საათზე. ეს უწყება გთხოვთ წარადგინოთ კრებაზე შესვლის დროს".

დოკუმენტი დაბეჭდილია მანქანაზე. ხელით მიწერილი აქვს შემდეგი ცნობა:

„მოსმენილ იქნა მრავალრიცხოვან კრებაზე. თავმჯდომარეობდა გ. ჟურული. გარდა აღნიშნული პირებისა, დაესწრო 70-მდე კაცი, ისეთები, რომელნიც არ ყოფილან მოწვეული. ნ. ნ. ჟორდანია დასთანხმდა გაეკეთებინა მოხსენება ყველას თანდასწრებით. კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. რცხილაძემ, გ. ბ. გვაზავამ და შ. მესხიშვილმა — ამ უკანასკნელმა საკითხის დაყენების შესახებ".

დოკუმენტის მეორე მხარეზე არის 24 მოწვეული კაცის სია. მათ შორის არიან: თავადი აბაშიძე (კიტა), კ. აბზაზი, ა. გურამიშვილი, ი. ბარათაშვილი, ნ. დიასამიძე, მსხვილი მემამულენი და ნაციონალისტური მოღვაწენი: მ. მაჩაბელი, ვ. დ. დემიდოვი, გ. ჟურული, გ. გვაზავა, ს. კედია, გ. ვეშაპელი და სხვ.[1].

---

[1] საქ. სახკომსაბჭოს არქივი. ტფილისის საგუბერნიო თავადაზნაურობის წინამძღოლის საქმე № 25, ფურც. 32.

ეს კრება ფარულად მოხდა. სათავადაზნაურო არქივის საქმეში არ მოიპოვება არც მოხსენებისა და არც „დებატების“ შინაარსი. მაგრამ ჩვენთვის თვით ფაქტიც საკმარისია.

ქართული მენშევიზმის ლიდერი ნ. ჟორდანია, თავადაზნაურობის აქტივის კრებაზე, „უბრწყინვალეს“ თავადთა და აზნაურთა მონაწილეობით, აკეთებს მოხსენებას საქართველოს მომავალი პოლიტიკური მოწყობის შესახებ. საკითხს იხილავენ და ამის შესახებ ისმენენ „კეთილშობილური წოდების“ აზრს. ეს, რა თქმა უნდა, უბრალო ამბავი არ არის, ეს თავაზიანობა როდია ნ. ჟორდანიას მხრივ, რომელსაც თითქოს ხვეწნა-მუდარით გააკეთებინეს მოხსენება. არა, აქ საქმე წინასწარ იყო სავსებით მოსაზრებული: ნ. ჟორდანია მოხსენებას იმისათვის აკეთებდა, რომ კავშირი დაემყარებინა ქართველ მემამულეებთან, შეეთანხმებინა მათთან თავისი პარტიის მოქმედება.

თათბირზე საერთო ენა, ალბათ, გამონახულ იქნა, და შეთანხმებაც მოხდა. ამ თათბირის ბევრი მონაწილეთაგანი შემდეგში თვალსაჩინო როლს ასრულებდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში.

ამ თათბირის მოწვევის დროისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ სავსებით გამოარკვია თავისი დამოკიდებულება მომხდარი რევოლუციისადმი.

რევოლუციის შესახებ პირველ ცნობათა მიღებისთანავე თავადაზნაურობა ჯერ დაიბნა, მაგრამ შემდეგ მან ჩქარა გამონახა საერთო ენა კავკასიის ნამესტნიკთან — ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვთან და შეუდგა თავისი ძალების დარაზმვას რევოლუციის წინააღმდეგ.

თავადაზნაურობის საგანგებო კრებაზე, ტფილისში, 1917 წლის 20 (7) მარტს ტფილისის თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლის მოვალეობის მაშინდელი აღმასრულებელი თავ. ჩოლოყაშვილი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით, რომელშიაც მან ნათლად გამოხატა ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური განწყობილება.

„ახლა ქართველ ხალხს, — ამბობდა თავ. ჩოლოყაშვილი, — როგორც იქნა, საშუალება მიეცა თავისუფლად ამოისუნთქოს და შეუდგეს თავის მუდმივ ზრახვათა და მისწრაფებათა განხორციელებას. ქართველი ხალხის ნაციონალურ უფლებათა და სურვილთა წყაროს უნდა შეადგენდეს 1783 წლის ტრაქტატი, დადებული მეფე ერეკლესა და იმპერატორ ეკატერინე II შორის“[1].

ამნაირად, თავადაზნაურულმა კონტრრევოლუციამ პირველ რიგში არქივის მტვრიდან ამოქექა დიდი ხნის მივიწყებული 1783 წლის ტრაქტატი, რომელიც ითვალისწინებდა ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოს „დამოუკიდებლობას“ შინაურ საქმეებში, საქართველოს შენარჩუნებას მემამულური მეფის მეთაურობით და განსაკუთრებულ პრივილეგიებს თავადაზნაურობისა და მემამულეთა კლასისათვის.

---

[1] საქ. სახკომსაბჭოს არქივი, ტფილისის საგუბერნიო თავადაზნაურობის წინამძღოლის საქმე, ფურც. 16-17.

თავადაზნაურობას სურდა რევოლუცია თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ისინი არ შორდებოდნენ XVIII საუკუნის იდეალებს. მათ სურდათ აღედგინათ ფეოდალურ-მეფური საქართველო, რომლის სათავეშიაც მემამულური მეფე უნდა ყოფილიყო. ქართველი თავადაზნაურობა თვით დროებითი მთავრობის იმ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგაც კი, რომელიც წოდებათა გაუქმებას ითვალისწინებდა, არ ჰკარგავდა იმის იმედს, რომ ის თავის წოდებრივ უფლებებსა და პრივილეგიებს შეინარჩუნებდა.

თავისი ინტერესების უფრო ადვილად დაცვისათვის თავადაზნაურული კონტრრევოლუცია იჩქარის დაირაზმოს პოლიტიკურ პარტიად და შეჰქმნას სპეციალური ორგანიზაციები. ამავე კრებაზე 20 (7) მარტს თავადაზნაურობამ გამოიტანა გადაწყვეტილება — „ჩაეწეროს ნაციონალდემოკრატიულ პარტიაში, რომელიც იმხანად ეწყობოდა, რადგან ამ პარტიის გარშემო თავს იყრიდა ქართველი ხალხის არასოციალისტურად განწყობილი ელემენტები, როგორც, მაგალითად, სამღვდელოება, სავაჭრო-სამრეწველო კლასი და ინტელიგენტური წრეების მნიშვნელოვანი ნაწილი"[1].

საქართველოში ნაციონალისტური მოძრაობის სათავეში ჩადგომისთანავე. მენშევიკები შეუდგნენ კავშირის განმტკიცებას მჭონებელ კლასებთან და, პირველ რიგში, ქართველ თავადაზნაურობასთან. ნ. ჟორდანიას მონაწილეობა თავადაზნაურულ კონტრრევოლუციასთან წარმოებულ მოლაპარაკებაში 6 აპრილის (24 მარტის) კრებაზე, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, ფარდას ხდის კულისებს უკან წარმოებულ პოლიტიკას მენშევიკებისას, რომლებიც უკვე მაშინ დაადგნენ კონტრრევოლუციური ბლოკის შეკვრის გზას, იმ ბლოკის, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის შემდგომი განვითარებისა და აგრეთვე რევოლუციური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ეი რატომ ჰპოვა თავადაზნაურობამ ქართველი მენშევიკების სახით თავისი ფეოდალური პრივილეგიების ყველაზე ერთგული დამცველები.

სოფლის ეკონომიური მდგომარეობა 1917 წელს განსაკუთრებით მძიმე იყო. საქართველოში პოლიტიკურად უუფლებო და ნაციონალურად დაჩაგრული გლეხობა მრავალრიცხოვანი ფეოდალური ნაშთების უღელქვეშ გმინავდა. დროებით ვალდებულ გლეხთა ურთიერთობა მემამულეებთან ფორმალურად მხოლოდ 1912 წლის დეკემბერში მოისპო, მაგრამ ფაქტიურად კი დროებით ვალდებულ გლეხთა 55% ჯერ კიდევ 1917 წლის დასაწყისში მემამულეთა ბატონყმურ კაბალაში იმყოფებოდა. ქართველი გლეხები განაგრძობდნენ თავდასახსნელი გადასახადის გადახდას; გარდა ამისა, გლეხობა სამღვდელოების სასარგებლოდ განაგრძობდა დრამა ფულის გადახდას. მაგალითად, ოფიციალური ცნობების მიხედვით, მარტო ტფილისის გუბერნიაში 1913 წელს 80.685 კომლმა გლეხმა ფულადი გაანგარიშებით სამღვდელოებას გადაუხადა 216.307 მანეთი დრამა ფული[2].

---

[1] საქ. სახკომსაბჭოს არქივი, ფონდი № 25, ტფილისის საგუბერნიო თავადაზნაურობის წინამძღოლის საქმე, ფურც. 21-22.

[2] ტფ. საგუბერნიო საკრებულოს 1913 წლის საქმე, გვ. 1.

გარდა ამისა; საქართველოში დაცული იყო ისეთი საშუალო საუკუნოებრივი ბატონყმური ნაშთი, როგორიც იყო, მაგალითად, ხიზნობა.

ამასთან ერთად, გლეხობა მწვავე უმიწაწყლობას განიცდიდა, რადგან საუკეთესო მიწები კვლავ შემამულეთა ხელში იყო.

„ტფილისის, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში, — სწერდა ამხანაგი სტალინი 1918 წლის დასაწყისში, — დღემდის ბლომად იყვნენ მებატონე თურქი ბეგები და ქართველი ფეოდალური თავადები, რომლებიც ჰფლობდნენ უზარმაზარ ლატიფუნდიებს, სადაც ჰყავდათ სპეციალური შეიარაღებული ბანდები და ხელთ ეპყრათ თურქ-სომეხ-ქართველ გლეხთა ბედიღბალი. სწორედ ამით აიხსნება აგრარული „არეულობის“ ის მწვავე ფორმები, რომლებშიაც „იხატება“ იქ ხშირად გლეხთა უკმაყოფილება“ [1].

ამოეფარნენ რა „დემოკრატიულ“ ფრაზებს, მენშევიკები გადაჭრით გამოვიდნენ გლეხებისათვის მიწების გადაცემის წინააღმდეგ, ვიდრე ამ საკითხს დამფუძნებელი კრება არ გადასწყვეტდა. ისინი წინადადებას აძლევდნენ გლეხებს „თავი შეეკავებინათ თვითნებური მოქმედებისაგან“. მენშევიკებს, რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ აგრარულ რევოლუციას, დასახული ჰქონდათ მხოლოდ უბადრუკი რეფორმების გატარება, რითაც თავიდან უნდა აეცილებინათ დავა მემამულეთა და გლეხთა შორის, მოეწესრიგებინათ სასოფლო-სამეურნეო მუშათა შრომის ხელფასი, შეემცირებინათ რამოდენიმედ მიწის საიჯარო გადასახადი და სხვ. ყოველგვარი გაუგებრობა მემამულეებსა და გლეხებს შორის, ქართველი მენშევიკების აზრით, უნდა გადაეჭრა ყოვლის შემძლე მომრიგებელ კამერებს, რომლებსაც სოფლადაც აარსებდნენ.

„ერთადერთ ბრძნულ, ერთადერთ სახელმწიფოებრივ და ერთადერთ შისაღებ პოზიციად რევოლუციური დემოკრატიისათვის, — სწერდა მენშევიკური გაზეთი „ბორბა“, — აღიარებულ უნდა იქნას საგლეხო კომიტეტების მიერ საიჯარო ურთიერთობათა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა დაქირავების პირობების რეგულირება, და არა საგლეხო და მოჯამაგირეთა კომიტეტების მიერ მიწების დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდება, როგორც ამას ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები“ [2].

ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც აყენებდა მემამულური მიწათმფლობელობის რევოლუციური ლიკვიდაციის პროგრამას და მხარს უჭერდა გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას, ბოლშევიკური პარტია იყო. ბოლშევიკები გაბედულად ამხელდნენ მენშევიკებისა და ესერების რეაქციურ ლოზუნგს — „მიწის საკითხის გადაჭრა გადადებულ იქნას დამფუძნებელ კრებამდე“.

---

[1] ი. სტალინი. „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ“, გვ. 81-82.

[2] გაზ. „ბორბა“ № 85, 1917 წ.

„...რადგან დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა გამოურკვეველია, — სწერდა ამხანაგი სტალინი 1917 წლის აპრილში, — რადგან დამფუძნებელ კრების მოწვევას აპიანურებს დროებითი მთავრობა, რომლის წევრადაც ირიცხება ბ-ნი შინგარიოვი, გამოდის რომ მიწა სინამდვილეში მოუხნავი უნდა დარჩეს, მიწა რჩება მემამულეებს, გლეხები რჩებიან უმიწოდ, ხოლო რუსეთს, ხოლო მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს საკმაო პური აღარ ექნებათ...

ამიტომ ჩვენ მივმართავთ გლეხობას, მთელს ღარიბ გლეხობას, მთელს რუსეთს — თავისი საქმე თავის საკუთარ ხელში აიღოს და წინ წასწიოს.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ დაირაზმონ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებში (სათემო, სამაზრო და სხვ.), ხელში ჩაიგდონ მათი საშუალებით მემამულეთა მიწები და თავის ნებაზე დაამუშაონ ისინი ორგანიზებული წესით.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ მოიმოქმედონ ეს დაუყოვნებლივ, ნუ დაუცდიან დამფუძნებელ კრებას და ნუ მიაქცევენ ყურადღებას სამინისტროს რეაქციურ აკრძალვას, რომელიც აფერხებს რევოლუციის განვითარებას"[1].

აგრარულ რევოლუციას სოფლად, რომელსაც ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა და მიწა გლეხობისათვის გადაეცა, ბოლშევიკური პარტია ლენინ-სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით უყურებდა როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდას, ბურჟუაზიის საწინააღმდეგო პროლეტარული რევოლუციის მემამულეთა წინააღმდეგ წარმოებულ გლეხურ ომთან შეხამებას.

1917 წლის 30 (17) აპრილს ბოლშევიკების თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ამბობდა:

„...მიმდინარე მომენტის თავისებურება რუსეთში — ეს არის გადასვლა რევოლუციის პირველი ეტაპიდან, — რომელმაც ხელისუფლება ბურჟუაზიას მიანიჭა, რადგან პროლეტარიატი საკმარისად შეგნებული და დარაზმული არ იყო, — მის მეორე ეტაპზე, რომელმაც ხელისუფლება პროლეტარიატისა და გლეხობის ულარიბეს ფენებს უნდა მიანიჭოს"[2].

საქართველოში, როგორც შეფის რუსეთის ყოფილ კოლონიაში, გლეხთა მოძრაობა, რომლის მთავარ მიზანსაც მიწისათვის ბრძოლა შეადგენდა, კიდევ იმით, რთულდებოდა, რომ აქ ის ნაციონალურ მოძრაობას ემთხვეოდა.

„...ეროვნული საკითხის საფუძველს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მის შინაგან დედაარსს მაინც გლეხობის საკითხი წარმოადგენს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გლეხობა ეროვნული მოძრაობის ძირითად არმიას წარმოადგენს, რომ გლეხთა არმიის გარეშე არ ყოფილა და

---

[1] სტალინი. „ოქტომბრის გზაზე", გვ. 18-19, გამოც. 1925 წ.
[2] ლენინი. ტ. XX, გვ. 104.

არც შეიძლება იყოს მძლავრი ეროვნული მოძრაობა. სწორედ ეს გარემოება აქვთ მხედველობაში, როცა ამბობენ, ეროვნული საკითხი ა რ ს ებ ი თ ა დ გლეხობის საკითხიაო"[1].

მთელს პარტიასთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკებიც თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ გლეხობის ბრძოლას მიწისათვის.

1-ლ აპრილს (19 მარტს) ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" სწერდა:

„საჭიროა ახლავე წამოყენებულ იქნას ლარიბი გლეხობის ყველაზე უფრო არსებითი მოთხოვნები და მოვითხოვოთ მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივი კონფისკაცია"[2].

ამავე დღეს მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებაზე ს. შაუმიანმა განაცხადა:

„რაც შეეხება გლეხთა საკითხს, ჩვენ ახლავე უნდა გადავისროლოთ მასებში მიწების კონფისკაციის ლოზუნგი და ვიმოქმედოთ გაბედულად"[3].

ბოლშევიკები გაბედულად და თანამიმდევრულად ამხელდნენ მენშევიკებს და ესერებს, რომელნიც ყოველმხრივ იცავდნენ მქონებელ კლასთა ინტერესებს და ამტკიცებდნენ, რომ ბოლშევიკების მოწოდება — რევოლუციური გზით აღმოფხვრან ბატონყმური ურთიერთობა სოფლად — არის მოწოდება „ველური ანარქიისაკენ", „თვითნებობისაკენ", „სახალხო თავისუფლების შებღალვისაკენ".

ანხორციელებდნენ რა ლენინურ-სტალინურ დირექტივებს სოფლად მუშაობის შესახებ, ბოლშევიკები ბრძოლას აწარმოებდნენ სოფლად პროლეტარული, ბოლშევიკური გავლენის გაძლიერებისათვის, უღარიბესი გლეხობის შეშფოთებისა და დარაზმვისათვის და მისი კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებისათვის.

II

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მეფის ხელისუფლების ძველ ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ აპარატს ამიერკავკასიაში თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. მოხელეთა ძირითადმა მასამ თავისი ადგილები შეინარჩუნა. ძველი დაწესებულებანი და სასამართლონი მუშაობას განაგრძობდნენ. ხელუხლებელი დარჩა ძველი პროკურატურის პირადი შემადგენლობა და სხვ.

მაგალითად, ახალციხიდან იტყობინებოდნენ, რომ აღმასრულებელ კომიტეტს სათავეში მაზრის ყოფილი უფროსი ჩაუდგა, მთელი პოლიცია თავის ადგილზე დარჩა და მას მხოლოდ სახელწოდება გამოეცვალაო.

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 122, 1933 წ.

[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წლის 19 მარტი.

[3] „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წ. 1-ლი აპრილი (19 მარტი).

„თიანეთის მაზრაში, — სწერდა მეორე კორესპონდენტი, — გლეხები უკმაყოფილონი ჰრიან სარაიონო კომიტეტებში მომხდარი არჩევნებით. არჩევნებში მონაწილეობა მათ თითქმის არც კი მიუღიათ. არჩევნებში ძალაუფლება ხელთ იგდო ადგილობრივმა ინტელიგენციამ, რომელსაც გლეხობა უნდობლად ეკიდება. ჩაფრები ყველანი ისევ თავიანთ ადგილას არიან, მხოლოდ მათ მილიციონერებს უწოდებენ. მილიციას სათავეში უდგას თავადი მაყაშვილი, რომლის შესახებაც გლეხები ამბობენ, რომ ბატსაც არ ეანდობთ მოსაველელადო. თიანეთში კომისრად არჩეულია პოლიციის ყოფილი ბოქაული"[1].

„თუ შევაჯამებთ სოფლის აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების საერთო შედეგებს ამიერკავკასიაში, — ეკითხულობთ გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიში", — აღმოჩნდება, რომ ამორჩეულთაგან 90%-ს წარმოადგენენ მდიდრები — მემამულენი, კულაკები და დიდკაცები, ძველი რეჟიმის „საპატიო" პირები, ყოფილი პოლიციელები და ავაზაკები, ხოლო ზოგან თვით აშკარა ხულიგნები და რეაქციონერებიც კი... ჩვენი სოფელი მივიწყებული და სიბნელით მოცულია. ადმინისტრაცია ძველებურად ყველა მემამულეთა ხელშია"[2].

სოფლის ადმინისტრაციის არჩევნების ამნაირი შედეგის ერთერთი მიზეზი ის არის, რომ ეს არჩევნები დანიშნული იყო ზაფხულის დასაწყისში, გაჩაღებული სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დროს, როცა გლეხობის უმრავლესობა მინდვრად იყო გასული სამუშაოდ და არჩევნებში არავითარი მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. კავკასიის საგანგებო კომიტეტის ინსტრუქციით კი არჩევნები კანონიერად ითვლებოდა, თუ მას 15 ამომრჩეველი დაესწრებოდა.

ამ გარემოებით სარგებლობდნენ სოფლის ექსპლოატატორები.

„არჩევნებში ფაქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „მემამულეები", მდიდართა მცირე ჯგუფი, ხოლო ღარიბი და უქონური გლეხობის უმრავლესობა გახურებულ მუშაობაში და ჭაპანწყვეტაში იყო, რომ ზამთარში მშიერი არ დარჩენილიყო; მას არ ჰქონდა დრო, რომ პოლიტიკურ საკითხებსა და თავისი სოფლის ადმინისტრატიულ საქმეებზე ეზრუნა"[3].

პირველ ხანებში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შემთანხმებლური ილუზიების ტყვეობაში იმყოფებოდა. გლეხობაში მენშევიკური გავლენა ძლიერი იყო. ნაწილობრივი თანაგრძნობით სარგებლობდნენ ესერებიც, განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში (მაგალითად, რუსულ სოფლებში). გლეხობას მენშევიკებისა და ესერების სჯეროდა და მათგან აგრარული საკითხის გადაჭრას მოულოდა. მაგრამ, რადგან გლეხებმა რეალურად ვერაფერი მიიღეს, ისინი აპრილიდან უკვე აგრარულ მოძრაობას შეუდგნენ მიწას ამიერკავკასიაში. განსა-

[1] გაზ. „ბორბა" № 17, 1920 წლის 18 აპრილი.
[2] „კავკაზსკი რაბოჩი" № 160, 1917 წ.
[3] იქვე.

კუთრებული სიმწვავითა და სიძლიერით ამ მოძრაობამ იმ რაიონში იფეთქა, სადაც კაბალურ-ბატონყმური ურთიერთობანი უფრო ძლიერი იყო:

ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა მიწის საკითხში იმაზე იყო დამყარებული, რომ გლეხობას საუკეთესო მიწებს ართმევდნენ და მემამულეებსა და მოხელეებს აძლევდნენ, ან ამ მიწებზე რუს-კოლონისტებს ასახლებდნენ. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა სასამართლოსა და პოლიციის დახმარებით მემამულეები ძალად ართმევდნენ გლეხებს მიწას და მიერეკებოდნენ მათ თავიანთ მამულ-დედულიდან. რევოლუციის შემდეგ გლეხები ცდილობენ ლეგალურად დაიბრუნონ ის მიწები, რომლებიც ცარიზმის დროს მათ უსამართლოდ ჩამოართვეს. გლეხები დელეგაციებს გზავნიან ტფილისში და აგრეთვე დეპეშასა და თხოვნებს გზავნიან კავკასიის საგანგებო კომიტეტისა და გლეხთა სამხარეო ცენტრის სახელზე, რომელიც 1917 წლის ივნისში მოეწყო. აი ბორჩალოს მაზრის სოფ. ბეზაკლოს თურქ-გლეხთა მიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის სახელზე გაგზავნილი ტიპიური თხოვნა:

„მიწა, სადაც გაშენებულია ჩვენი საგვარეულო სოფელი, ეკუთვნის თავად ორბელიანს. 1914 წელს გამოურკვეველი მიზეზით თავ. ორბელიანის მამულების მმართველმა ნაფიცმა ვექილმა თავ. ვეზიროვმა ჩვენი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე გაჰყიდა ჩვენი სოფლის მიწა. როცა ეს გავიგეთ, ჩვენ მივმართეთ მას კოლექტიური თხოვნით, რომ ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმო ჩვენთვის ჩვენი სოფლის — ბეზაკლოს მიწა, მაგრამ თავ. ვეზიროვმა ყური არ ათხოვა ჩვენს თხოვნას და გვიბრძანა დაგვენგრია და გადაგვეტანა ჩვენი სახლები და საცხოვრებელი ბინები. მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე და თვალცრემლიანი თხოვნისა, თავ. ვეზიროვმა 60 შეიარაღებული ყაზახის საშუალებით აგვყარა და გაგვასახლა ჩვენი დიდი ხნის ნაბუდარი ადგილიდან და ქუჩაში გაგვრეკა ჩვენი ბავშვებითა და პირუტყვით. ამჟამად ჩვენი სახლკარიდან ცოტაღა დარჩა ყაზახებისა და თავ. ვეზიროვის ხალხის მიერ დაურბეველი, ხოლო ჩვენი სასაფლაო დღემდისაც კი შეგინებული და შებღალულია ახალ მეპატრონეთა მიერ.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, მთელი მოსახლეობის სახელით, რომელიც 600 სულისაგან შესდგება, თვალცრემლიანი გევედრებით — მოგვხედოთ, მოახდინოთ ჰუმანური განკარგულება, რომ ისევ ჩაგვასახლონ ჩვენს მშობლიურ სოფელ ბეზაკლოში"[1].

ახალქალაქის მაზრის დიდი-არაკამის გლეხები თხოულობდნენ მიეცათ მათთვის სათიბები „ბაიდბურის" მიწებიდან.

ბორჩალოს მაზრის სოფ. არუხლოს გლეხები თხოულობდნენ დაებრუნებინათ მათთვის ის მიწები, რომელიც წინათ მათს მფლობელობაში იყო, ხოლო შემდეგ მეფის მთავრობამ მემამულეს — თავად ორბელიანს აჩუქა და რომელიც ამ უკანასკნელმა ეკატერინენფელდის კოლონიის მოსახლე გერმანელებს მიჰყიდა 1912 წელს. სოფ. გასან-ხოჯალის გლეხებმა სთხოვეს ამიერკავკასიის

[1] ცენტრ. არქივი, საქმე № 2560, ფურც. 1—10 მეორე გვერდით.

საგანგებო კომიტეტს დაებრუნებინა მათთვის ის მიწები, რომლებიც „მათ გეო-მანელმა კაპიტალისტებმა წაართვეს ნიკოლოზის მეფობისას“.

„მოგვეცით ჩვენ ჩვენი მიწები, — სწერდნენ გლეხები, — მთელს რუსეთში თავისუფლების ნათელი შუქი იშვა, მხოლოდ ჩვენა ვართ მოკლებული ამ სინათლეს!“[1].

მაშინდელი დროიდან შენარჩუნებული ანალოგიური განცხადებანი, რომელნიც გლეხობის განსაკუთრებულ ბედშავ მდგომარეობას გვიხატავენ ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა რაიონში, კავკასიის საგანგებო საქმეებში ასობით მოიპოვებიან.

ჩვენ აქ მოვიყვანთ კიდევ აფხაზ-გლეხთა მხოლოდ ერთ განცხადებას. განცხადება დაწერილია გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობის სახელზე გუდაუთისა და გუმისტის უბნის 5 თემის სახელით.

განცხადებაში აწერილია, თუ როგორ შეიქნენ აფხაზები იძულებულნი რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877-1878 წწ. გაქცეულიყვნენ თურქეთში. იმედგაცრუებული 1500 კომლი დაბრუნდა უკანვე — აფხაზეთში.

„აქ; — ვკითხულობთ განცხადებაში, — რუსეთის ძველი მთავრობა ჩვენ მტრულად შეგვხვდა, უარი გვითხრა ჩვენი მშობლიური სოფლების დაბრუნებაზე და ჩვენც გავიფანტენით გუდაუთისა და კოდორის უბნების სხვადასხვა სოფლებში... ჩვენ დღემდეც კი ვერ მიგვიღია ჩვენი მშობლიური სოფლები, რომელთა ერთი ნაწილი ახალი ათონის მონასტრის მფლობელობაშია, ხოლო მეორე ნაწილი თავად შერვაშიძეებს ეკუთვნის.

ჩვენმა სტუმართმოყვარე და კეთილმოძმე აფხაზებმა მიგვიღეს და შეგვიფარეს სხვადასხვა სოფლებში, ზოგმა თავისი სახლი და თავისი მიწის ნახევარი დაგვითმო, ბევრი ჩვენგანი დღემდეც იჯარით იღებს საკუთარ მიწებს, რომლებიც ჩვენ ჩამოგვართვეს და თავად შერვაშიძეებს გადასცეს...

ეს მრავალტანჯული 1500 კომლი ოჯახებითა და ძუძუმწოვარა ბავშვებით ცრემლმორეულნი ვთხოვთ ყველას, ვისგანაც ეს დამოკიდებული იქნება, დაგვიბრუნონ ჩვენი მშობლიური სოფლები, რომლებიც გაანთავისუფლონ შონასტრისა და თავადებისაგან, რითაც თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცენ იმ სოფლებს, რომლებსაც ჩვენ ვავიწროებთ. და ჩვენც მოგვანიჭონ უფლება მიწას მივაბაროთ ჩვენი ძვლები იქვე, სადაც ჩვენი მშობლები განისვენებენ“[2].

მაგრამ ყველა ასეთ განცხადებაზე ჩვეულებრივად ერთსა და იმავე ბიუროკრატიულ პასუხს აძლევდნენ:

„არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას, ვიდრე საადგილმამულო საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი დამფუძნებელი კრების მიერ“[3].

---

[1] ცენტრ. არქივი, საქმე № 2570.

[2] ცენტრ. არქივი, ფ. №2, საქმე № 81.

[3] აი ერთი იმ პასუხთაგანი, გლეხობის თხოვნაზე მათთვის მიწის გადაცემის შესახებ: „ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. ვთხოვ კომიტეტს მოახდინოს განკარგულება

ასეთი პასუხი და დამფუძნებელ კრებაზე მითითება გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევდა. გლეხები იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ მიწის საკითხის გადაჭრა არც ახალი ხელისუფლებისაგან იყო მოსალოდნელი. ბოლშევიკების მოწოდება, რომ დაუყოვნებლივ და ორგანიზაციულად მოეხდინთ მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ხელში ჩაეგდოთ ეს მიწები, თანდათან უფრო ძეტ თანაგრძნობას პოულობდა სოფლად.

9 აპრილს (27 მარტს) კავკასიის საგანგებო კომიტეტთან დაარსებულ იქნა ამიერკავკასიის საადგილმამულო საქმეთა დროებითი კომისია. ამ კომისიის პირველსავე სხდომებზე მარტის დასასრულს და აპრილის დამდეგს გარჩეულ იქნა საკითხი საერთოდ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში წარმოშობილი აგრარული მოძრაობის შესახებ. აი რას სწერდა; მაგალითად, ქართველი თავადაზნაურობა კავკასიის საგანგებო კომიტეტს:

„გლეხებმა უწინარეს ყოვლისა ხელში ჩაიგდეს კერძო მეპატრონეთა ტყეები და, სარგებლობენ რა მით როგორცა სურთ, აძევებენ მესაკუთრეებს ამ სარგებლობისაგან“[1].

ტყეებს მასობრივად სჩეხდნენ და თვითნებურად ნადირობდნენ ბორჯომის, დიდ მამულში, რომელიც მაიორატის უფლებით დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვს ეკუთვნოდა. ამავე რაიონში გლეხები რევოლუციური გზით შეუდგნენ ხიზნური დამოკიდებულების დარღვევას და ის მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ, თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს. გლეხებმა უარი განაცხადეს აგრეთვე ბორჯომის მამულის ხე-ტყის სიხერხი ქარხნისათვის ხე-ტყის კაბალურ პირობებში მიწოდებაზე.

აპრილის დამდეგს სახაზინო ტყეების მასობრივი გაჩეხის შესახებ ცნობები მოვიდა აგრეთვე სიღნაღის მაზრიდან (ს. ანაგა, ბოდბისხევი და სხვ.), ზაქათალის ოლქიდან, ტფილისის მაზრიდან და ელისავეტპოლის გუბერნიიდან[2]. გლეხები ადგილიდან ხსნიდნენ ტყის უფროსებს, აძევებდნენ ტყის მცველებს, თვით ეპატრონებოდნენ ტყეების მართვა-გამგეობის საქმეს და სხვ. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო საძოვრების საკითხმა. საზამთრო საძოვრებიდან (ყიშლაგი) საზაფხულო სპძოვრებზე (იაილაღი) ჯოგის გარეკის დროს ეს ჯოგი და მეჯოგეები ფეხქვეშ სთელავდნენ და აოხრებდნენ სათიბებსა და საძოვრებს და აგრეთვე ყოფ. საუფლისწულო მამულებისა და კერძომფლობელური

გამოეცხადოს სოფ. ციცკლის მცხოვრებთ მათ მიერ ა.წ. 30 მაისს შემოტანილი თხოვნის საპასუხოდ, რომ კერძომფლობელთა მიწების გლეხთა საზოგადოებების ხელში გადაცემა დამფუძნებელი კრების კომპეტენციას შეადგენს და ამიტომ მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული ვერ იქნება. ამასთან ერთად, ვთხოვ კომიტეტს მიაელიწოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც შთაადგინებს ხსენებულ გლეხებს, რომ რუსეთის ყოველი მოქალაქის ვალია დაიცვას სახელმწიფოში წესრიგი, თავი შეიკავოს თვითნებობისაგან, თვითნებური დაპატაცებისაგან და დაუცადოს, ვიდრე მიწის საკითხს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტდეს. თავმჯდომარე ა. ფირალოვი“. საარქივო ფონდი, საქმე № 2570, გვ. 50.

[1] საქ. სახკომსაბჭოს არქივი, საქმე № 11, ფურც. 18—24, 1917 წ.

[2] ამჟამად კიროვაბადის რაიონი.

მსხვილი მეურნეობების ნათესებს; ზოგჯერ მეჯოგეები სახაზინო და კერძო ტყეებსაც სჩეხდნენ, რათა კვირტით გამოეკვებნათ თავიანთი ჯოგი. მეჯოგეები მოითხოვდნენ დაებრუნებინათ მათთვის ცარიზმის დროს რუსეთიდან გადმოსახლებულთა საჭიროებისათვის ჩამორთმეული სასაძოვრო ნაკვეთები. გლეხები სახნავ-სათეს მიწებს ართმევდნენ რუს-კოლონისტებს მელანსა და ყარაიაში, თვითნებურად ხნავდნენ რუს-გადმოსახლებულთათვის მომზადებულ თავისუფალ ნაკვეთებს. ადგილობრივ გლეხებს, რომელთაც ეს ნაკვეთები ჩამორთმეული ჰქონდათ წინათ ცარიზმის მიერ კოლონიზატორული მიზნით, მოსული ელემენტების ასეთი ხელოვნური დასახლება მუდამ უდიდესი უსამართლობის აქტად მიაჩნდათ, რაც ახალ რევოლუციურ მთავრობას უნდა გაეუქმებინა.

კაბალურ-ბატონყმურ დამოკიდებულებათა ყველაზე უფრო შიშველ ფორმას სოფლად მიწის საჯარო გადასახადის პირობები წარმოადგენდა. ამიტომ, გასაგებია, რომ რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, ერთის მხრით, მიწის მფლობელებსა — მემამულეებს, კულაკებსა და სამღვდელოებას და, მეორე მხრით, იმ უღარიბეს გლეხობას შორის, რომელიც იძულებული იყო იჯარით აეღო მიწა, მწვავე შეტაკებები ხდება საჯარო გადასახადის დაწესების ნიადაგზე.

მიწის მფლობელნი ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით ცდილობდნენ 1916 წელს არსებულ ნორმებზე უფრო მეტად გაედიდებინათ მიწის საჯარო ფასები. გლეხები კი, პირიქით, ყველგან საქართველოში ან სრულიად უარს ამბობდნენ საჯარო გადასახადის გაღებაზე, ან მოითხოვდნენ მის დიდად შემცირებას. წინათ დაწესებული გადასახადის ნაცვლად, რომელიც მარცვლეულის ან თაეის მოსავლის $^1/_4$-დან $^1/_2$-მდე ადიოდა, გლეხები ახლა თანახმანი იყვნენ მოსავლის მხოლოდ $^1/_{10}$-ის გაღებაზე. გარდა ამისა, გლეხები ახლა გადაჭრით უარს აცხადებდნენ მემამულის წილის მინდვრიდან მემამულის ბეღელში მიზიდვაზე. სიღნაღის მაზრის სასოფლო კომიტეტებმა გლეხთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები გამოიტანეს თითო დღიურ სახნავ მიწაზე (მხედველობაშია მიღებული მიწის ის ფართობი, რომლის მოხვნაც შეუძლია გლეხს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. — გ. ხ.) მემამულეებს მხოლოდ 2 მანეთი გადაუხადონ. ამის გამო დაიწყო ამ მაზრის მემამულეთა დარტვინვა. მათ საჩივარი გაუგზავნეს ტფილისის საგუბერნიო კომისარიატს, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ასეთი გადასახადი მემამულეთა ნამდვილი დაღუპვაა და რომ მემამულენი იძულებულნი იქნებიან მოახდინონ თავიანთი მეურნეობის ლიკვიდაცია და „ხელი მიჰყონ რაიმე უღირს საქმეს თავიანთი ოჯახების შესანახად“. თავიანთ საჩივარში მემამულეები მოითხოვდნენ საჩქაროდ გაეუქმებინა საგუბერნიო ხელისუფლებას სასოფლო კომიტეტების დადგენილებანი და იძულებულნი გაეხადნა გლეხები მინდვრებიდან მოსავლის გაზიდვამდე გადაეხადნათ მემამულეთა სასარგებლოდ ამ წლისათვის დაწესებული გადასახადი, „არა ნაკლებ მოსავლის ერთი-მეოთხედისა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენა-

[1] ცენტრ. არქივი, ფ. № 43, საქმე № 100, ფურც. 23-24, 1917 წ., საქმე აგრარული უწესოების შესახებ.

დაც სოფლის ბურჟუაზიამ ხელთ იგდო იჯარის სახით მემამულეთა მიწები და შემდეგ ამ მიწებს ის იჯარითვე აძლევდა ღარიბ გლეხობას კაბალურ პირობებში, იმდენად მოძრაობაც საიჯარო გადასახადის შემცირებისათვის მიმართული იყო აგრეთვე სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მწვავედ ეხებოდა მის ინტერესებსაც.

იმპერიალისტური ომის შედეგად და 1916 წლის მოუსავლობის გამო, სოფლის მეურნეობის კრიზისი ამიერკავკასიაში თანდათან უფრო მწვავდებოდა. სოფელს შიმშილი ემუქრებოდა. 1917 წლის გაზაფხულზე მწვავე სასურსათო კრიზისს თვით ისეთი ადგილებიც კი განიცდიდნენ, როგორიც არიან პურის მოსავლით მდიდარი სიღნაღისა და თელავის მაზრები. ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები სწერდა:

„კახეთის სოფლებიდან ცუდი ამბები მოდის. შიმშილობა თანდათან უფრო მეტის მუქარით გვიახლოვდება, არასაკმარისი კვება ჩვეულებრივ მოვლენად ხდება. 1¼ გირვანქა პური მთელი დღის განმავლობაში ოჯახის 5-6 წევრზე იყოფა. დამატებით საკვებს შეადგენს მოუწეველი ხილი, რაც სხვადასხვა ავადმყოფობას აჩენს"[1].

„გაზაფხულის დასაწყისიდანვე, — სწერდა გაზ. „ბორბა", — სხვადასხვა რაიონებში ეგრეთწოდებული „ტყის ძმაბიჭები" ჩნდებიან. მათს მთავარ კონტიგენტს შეადგენენ დეზერტირი-ჯარისკაცები და, საერთოდ, არსებული წესებით უკმაყოფილო ელემენტები, რომლებიც პროპაგანდას ეწევიდნენ; გლეხთა მასების აქტიური გამოსვლისათვის თავის უფლებათა დასაცავად"[2].

1917 წლის გაზაფხულიდან, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყების შემდეგ, აგრარული მოძრაობა თანდათან გაძლიერდა, რამაც ზაფხულში ბევრ რაიონში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. აი გლეხთა ზოგიერთი უფრო მეტად თვალსაჩინო გამოსვლები: გორის მაზრაში გლეხებმა, რომლებიც თავ. ციციანოვის „საციციანოს მთის" სახელწოდების მამულში ხიზანთა პირობებში ცხოვრობდნენ და რომელთაც 70 ათასი ჰექტარი მიწა ეკავათ, უარი განაცხადეს მემამულეთა სასარგებლოდ ყოველგვარი ბეგარის მოხდაზე და ადმინისტრაცია მამულიდან გააძევეს. დაკავებული მიწები გლეხებმა თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს.

ამავე მაზრაში გლეხებმა გააძევეს კულაკი-მოიჯარადრენი, რომელნიც კაბალურ პირობებში აძლევდნენ იჯარით მიწას ღარიბ გლეხებს, და მიწები წაართვეს თავად ერისთავებს.

დუშეთის მაზრის სოფ. მუჰადისჯვრის გლეხებმა დადგენილება გამოიტანეს და წინადადება მისცეს მემამულე თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის დაეთხოვა ყველა მუშა და მმართველი და დაეტოვებინა მხოლოდ ერთი კა-

---

[1] ქ. ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დაპუტატების საბჭოს უწყებები № 34, 1917 წლის 9 მაისი.

[2] „ბორბა" № 7, 1917 წლის 29 აპრილი.

ცი მამულის დასაცავად. ამასთანავე, გადაწყვეტილ იქნა, დაუყოვნებლივ ჩამოერთმიათ მემამულისათვის ყველა ის სახნავი მიწები და ბაღები, რომლებიც ოდესმე გლეხებს ეკუთვნოდა, მაგრამ შემდეგ მემამულის მფლობელობაში გადავიდა. ამავე მემამულეს გლეხებმა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის ჩამოართვეს ტყე, ზომით 1,000 ჰექტარამდე.

სოფ. აწყურში გლეხებმა თვითნებურად მოხნეს თავ. გრუზინსკისა და კულაკების მიწები, მოშალეს მიჯნა და ჩამოართვეს მათ პირუტყვი. ს. ჟინვალის გლეხებმა მიწები ჩამოართვეს აზნ. შაბუროვას. ტფილისის მაზრაში მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მაგალითად, მანგლისის მახლობლად გლეხებმა ხელთ იგდეს სათიბები და პირუტყვს გააოხრებინეს მსხვილი მემამულეებისა და ყველის მწარმოებელი ყაერიევების მიწები. სოფ. კუმისის გლეხებმა ხელთ იგდეს ალავერდოვის მიწები; სოფ. წოლოსკურის გლეხებმა გააძევეს კაკოიანცის მიწების მოიჯარადრე.

ყაზარლისა და კესალის საზოგადოებათა გლეხებმა პირუტყვს გააოხრებინეს ყარაიას ბოსტნები, ხელთ იგდეს და ურთიერთშორის გაინაწილეს სათიბები და საბოსტნე მიწები. კავთისხევის სოფლის საზოგადოებამ ხელთ იგდო ქვათაბის მონასტრის მიწები და უარი უთხრა მონასტერს მოსავლიდან წილის მიცემაზე და სხვ.

მიწების დატაცებამ და აგრარულმა შეტაკებებმა ფართო ხასიათი მიიღო აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და მთელს კახეთში. საადგილმამულო დავის გამო, ახალციხის მაზრაში მოჰკლეს მემამულე ხიდირბეგიშვილი.

მიწების დატაცების ცნობები მოდიოდა დასავლეთ-საქართველოდანაც. მაგალითად, ქუთაისის საგუბერნიო კომისარს შორაპნის მაზრის სოფ. ზვარის მემამულე ე. კორძაიას ქალმა განუცხადა, რომ გლეხები უარს ამბობენ დაწესებული საიჯარო გადასახადის მბაცემაზე ნატურით, რადგან კერძო საკუთრება მიწაზე უკვე გაუქმებულია და ის გლეხების სრულ განკარგულებაში არის გადასულიო. იგივე მემამულე იუწყებოდა, რომ გლეხები თვითნებურად სჩეხდნენ მის საკუთარ ტყეს[1].

ქუთაისის გუბ. სოფ. სიმონეთის გლეხები შეეცადნენ ხელთ ეგდოთ 1000 ჰექტარი მიწა, რომელიც მსხვილ კაპიტალისტ ანანოვს ეკუთვნოდა. აფხაზეთში (სოხუმის ოლქი) ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ხელთ იგდო დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის-ძე რომანოვის მამული — „სინოპი“ და „ძიამური“.

1917 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში აგრარულმა მოძრაობამ ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო ბორჩალოს მაზრაში. ამ მაზრის შესახებ გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ კორესპონდენტი სწერდა:

„რაც დრო გადის, მით უფრო მეტად იკავებენ და ეპატრონებიან გლეხები აღალართა, მემამულეთა, საუფლისწულო და საიჯარო მიწებს.

[1] ცენტრ. არქივი, ფ. № 4, საქმე № 106, ფონდი № 183, 1917 წ.

ჯერჯერობით საძოვარ დასათიბ ნაკვეთებს ეპატრონებიან, ხოლო ზოგჯერ სახნავ მიწებსაც ეუფლებიან. ამ მიწებს ეპატრონებიან ამავე სოფლის, ანდა რამდენიმე სოფლის ყველა მცხოვრებნი ერთად. და არა ცალკე პიროვნებანი. ადმინისტრატიულ წრეებსა და მემამულეებს შორის ხშირად ავრცელებენ ხმებს, თითქოს მიწების დაპატრონებას კერძო პირნი ხელმძღვანელობდნენ, და ამიტომაც ყველანაირად ცდილობენ „კანონიერ" პასუხისგებაში მისცენ ყველა ეს „ბნელი" პიროვნებანი. აქ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება ბნელ პიროვნებათა შესახებ, რადგან გლეხებს მიწები სრულიად არ გააჩნიათ"[1].

ილუსტრაციისათვის მოგვყავს შემდეგი ფაქტი. ბორჩალოს მაზრის სოფ. ლომბალოში იყო თავ. ა. სუმბათაშვილის დიდი მამული, დაახლოებით 6.000 ჰექტარი. ეს მიწები თურქ გლეხებს ჰქონდათ იჯარით აღებული.

„ამა წლის მაისამდე, — სწერდა ზემოხსენებული მემამულე გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრს, — მოიჯარადრენი ხელშეკრულების-ყველა პირობას, როგორც ფულადი გადასახადის, ისე სხვა ბეგარის მხრით, ასე თუ ისე პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ მაისიდან შესწყვიტეს ყოველგვარი გადასახადების გადახდა და დაიწყეს ჩემი მიწების თვითნებურად დაუფლება; მაგალითად, თვითნებურად მოხნეს ზამთრის საძოვარი ნაკვეთის „ჩანტინარის" 300 დესეტინა. როცა თივა (და პური შემოვიდა, მათ თვითნებურად მოთიბეს თივა და მომკეს პური; არ მოუციათ ჩემთვის თივის მესამედი და პურის მოსავლის მეოთხედი; ვენახში და ხეხილის ბაღში პირუტყვს აძოვებენ, ბაღის ღობეებს ანადგურებენ და შეიარაღებულ თავდასხმებს ახდენენ ჩემს მებოსტნე-მებამბეთა სადგომებზე"[2].

ანალოგიურ განცხადებებს ღებულობდა ხელისუფლების სამხარეო ცენტრი ამ მაზრის სხვა მემამულეთაგანაც. გლეხებმა ხელთ იგდეს მსხვილი მემამულეების — არამიანცის, ლორის-მელიქოვის, თავ. ციციანოვებისა და სხვ. მიწები. გლეხები ამნაირადვე ეუფლებოდნენ აგრეთვე კულაკების მიწებსაც. ამის შედეგად ზაფხულის სამი თვის განმავლობაში ბორჩალოს მაზრაში აგრარულ ნიადაგზე 67 მკვლელობა მოხდა.

„მაზრის მოსახლეობა, — სწერდა ბორჩალოს მაზრის კომისარი კალინოვსკი, — ყველგან შეიარაღებული ძალით ეუფლება კერძო მესაკუთრეთა მიწებს და საზამთრო საძოვრებს, ის არავითარ ანგარიშს არ უწევს დროებითი მთავრობის განკარგულებას, დარწმუნება მასზე არ მოქმედებს. ადგილობრივი ძალებით ამ მოვლენის წინააღმდეგ ვერაფერს გავხდებით. საჭიროა სამხედრო ნაწილების დაჩქარებით გამოგზავნა"[3].

1917 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე გლეხთა მოძრაობა უმთავრესად მიმართული იყო სოფლად არსებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობა-

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი" № 149, 1917 წ.

[2] საარქივო ფონდი № 2, საქმე № 73, 1917 წ., — საგლეხო ცენტრი.

[3] ცენტრ. არქივი, საქმე № 1800, ტფ. გუბერნატორის კანც. ფონდი, ფ. 36, 1917 წ.

თა ნაშთების წინააღმდეგ. გლეხთა ბრძოლის ძირითად ფორმებს წარმოადგენდა მიწების ხელში ჩაგდება, საიჯარო გადასახადის გადახდასა და სხვადასხვა ბეგარის შესრულებაზე უარის თქმა, მემამულეთა მამულების განადგურება და ტყეების მასობრივი გაჩეხა. აგრარულ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა მკვლელობის შემთხვევებსაც. ყოველივე ამასთან ერთად, გლეხებმა შესწყვიტეს აგრეთვე სახელმწიფო გადასახადების გადახდაც.

გლეხთა მოძრაობის ასეთმა განვითარებამ მემამულეები საგონებელში ჩააგდო. ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ლიკვიდაცია სოფლად რევოლუციური გზით ხდებოდა. მიწათმფლობელნი თავიანთ მიწებს და შემოსავალს ფაქტიურად ჰკარგავდნენ. ხელისუფლების სამხარეო ორგანოებს მრავლად მოსდიოდა საჩივრები, განცხადებები და მოხსენებითი ბარათები თავადაზნაურთა ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მოითხოვდნენ გადამწყვეტი ზომების მიღებას გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. მაგალითად, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისათვის წარდგენილ მოხსენებითი ბარათში, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი აგრარული მოძრაობის ფაქტები, ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა სწერდა:

„ურთიერთობანი მიწათმფლობელთა და გლეხთა შორის ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გამწვავდა... რაც მოსალოდნელია გადაიქცეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უბედურებად... ასეთი სამწუხარო მდგომარეობა (მიწების ხელში ჩაგდება, უარის თქმა საიჯარო გადასახადზე და სხვ. — **გ. ხ.**) ტფილისის გუბერნიის მიწათმფლობელთ მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს და აუცილებელი შიმშილით ემუქრება... ჩვენ ვთხოვთ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს, — სწერდნენ მემამულეები, — მოაწყოს მთავრობის დახმარება იმ მიმართულებით, რომ მიწათმფლობელებმა მიიღონ კუთვნილი წილი მოსავლიდან და მიწის საიჯარო გადასახადი თავიანთი საკუთარი მიწებიდან, რომლებიც გლეხების სარგებლობაშია.

გარდა წმინდა უფლებრივი და ეკონომიური მოსაზრებისა, ასეთი ღონისძიების მიღებას გვიკარნახებენ აგრეთვე სახაზინო ინტერესებიც. ბუნებრივია, რომ, თუ მიწათმფლობელნი მათი კუთვნილი მიწებიდან შემოსავალს ვერ მიიღებენ, ისინი ვერ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა გადასახადების გადახდის მხრივ"[1].

გლეხთა მასების რევოლუციური მოძრაობის განუწყვეტელი ზრდის გამო, მენშევიკები და ესერები იძულებულნი გახდნენ აგრარული საკითხი დაეყენებინათ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა 1-ლ სამხარეო ყრილობაზე, რომლის პირველი სხდომაც ტფილისში 21 მაისს გაიხსნა.

ცარიელი სიტყვების რახარუხმა, რომელიც ამ ყრილობაზე იყო, დაგვანა-

---

[1] საქ. სახკომსაბჭოს არქივი, საქმე № 11, ფურც. 18—24, 1917 წ., საადგილმამულო საკითხი.

ხა, რომ ყრილობას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო და არც სურდა აგრარული საკითხის გადაჭრა.

მენშევიკებმა გამოჰქექეს თავიანთი დახავსებული არქივიდან ძველისძველი საბუთები და კვლავ შეუდგნენ მუნიციპალიზაციის პრინციპის დაცვას; ყრილობაზე ისინი სასტიკად ესხმოდნენ თავს ბოლშევიკურ პროგრამას ნაციონალიზაციის შესახებ და ბოლშევიკების წინადადებას — დაუყოვნებლივ ჩამოყალიბებულიყო საგლეხო კომიტეტები და დაწყებულიყო მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება რევოლუციური წესით.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ აგრარული საკითხის არსებითად და საბოლოოდ გადაჭრა მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის.

რათა სხვა მხარეს მიეპყრათ გლეხების ყურადღება და შეეჩერებინათ დაწყებული აგრარული მოძრაობა, რეზოლუცია მოითხოვდა მხოლოდ ზოგიერთი ნაწილობრივი ღონისძიების მიღებას: კონტროლის დაწესებას სახაზინო და საუფლისწულო ტყეებზე სასოფლო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მხრივ, საძოვრების უფასოდ დათმობას გლეხთა შინაური საქონლის საჭიროებისათვის, ხიზანთა მიწების განთავისუფლებას საიჯარო გადასახადისაგან, ბანკებისათვის საადგილმამულო სესხის დაბრუნების შეჩერებას საკითხის გადაწყვეტამდე დამფუძნებელ კრებაზე. რეზოლუცია ამასთანავე დაბეჯითებული ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ:

„ყველა იმ საკითხს, რომელიც სახნავ-სათეს მიწებსა და ცარიელ ადგილებს ეხება, სწყვეტენ შემარიგებელი კამერები“.

გლეხთა მოძრაობისათვის რომ მშვიდობიანი შემთანხმებლური ხასიათი მიეცათ და თანაც გლეხობაში ბოლშევიკური გავლენა გაექარწყლებინათ, მენშევიკები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ და მოხერხებულად ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინიციატივით ტფილისში მოწვეული გლეხთა სამხარეო ყრილობა, რომელიც 19—26 ივნისს შესდგა[1].

ამ ყრილობაზე გლეხთა უამრავ ნაკაზთა და დელეგატ-გლეხთა გამოსვლებში გარკვევით იყო გამოხატული ამიერკავკასიის გლეხობის მძიმე და ზოგჯერ აუტანელი მდგომარეობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა ხელთ იგდეს ყრილობის ხელმძღვანელობა და დააქუცმაცეს მთელი პროგრამა ისეთ წვრილმან საკითხებად, რომლებიც სისწრაფეს არ მოითხოვდნენ, მათ იგი ისე

[1] გლეხთა ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ ამიერკავკასიის ყველა ეროვნებანი: თურქები, სომხები, ქართველები, აფხაზები, ბერძნები, გერმანელები, ოსები და სხვ. დელეგატების რიცხვი 1500-ს აღწევდა. გარდა პლენარული სხდომებისა, მუშაობდნენ შემდეგი სექციები: რუსული, ქართული, თურქული და სომხური. ყრილობის დღისწესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) ომი და ზაგი, 2) დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი, 3) დამფუძნებელი კრება, 4) ნაციონალური საკითხი, 5) ადგილობრივი თვითმართველობა, 6) სახალხო განათლება, 7) სასამართლო, 8) მიწა, 9) წყალი, 10) სასურსათო საკითხი და 11) ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

უფერული გახადეს, რომ ყრილობამ გლეხთა ყურადღება სრულიად ჩამოაშორა იმ ყველაზე უფრო ძირითად საკითხს, რომლისთვისაც ის მოწვეული იყო. ყრილობა შეუდგა ისეთი საკითხების განხილვას, როგორიც არის სასამართლოს რეორგანიზაცია. მევენახეთათვის ვენახის სამკურნალო მასალის მიწოდება, წყლით სარგებლობის უფლება და სხვ. ყრილობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა; ეს კი მეტად ხელსაყრელი იყო მენშევიკებისათვის, რომლებმაც მოახერხეს გაეყვანათ ყრილობაზე თავისი რეზოლუცია აგრარულ საკითხში და შეექმნათ შემდეგ გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრი, რომელიც არსებითად მოწოდებული იყო არა იმისათვის, რომ დაეცვა, უღარიბესი გლეხობის ძირითადი ინტერესები, არამედ იმისათვის, რომ გაეჩაღებინა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ცენტრში არჩეულ იქნა 42 დეპუტატი, აქედან ოთხი-მეხუთედი ანუ 32 კაცი მენშევიკი იყო. სხვა პარტიებს მენშევიკებმა მხოლოდ 10 ადგილი დაუთმეს. გლეხთა ცენტრის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. რამიშვილი. მენშევიკები აქ თავს სრულ ბატონ-პატრონად გრძნობდნენ.

არავინ ფიქრობდა გაეტარებინა ის უბადრუკი ღონისძიებანიც კი, რომელნიც დასახული იყო ყრილობის რეზოლუციაში აგრარული საკითხის შესახებ.

მენშევიკები მთელს თავიანთ ძალღონეს ანდომებდნენ აშკარა ბრძოლას გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკური გაზეთი „იზვესტია ტიფლისსკოგო სოვეტა“ მოითხოვდა:

„უაღრესი სიმკაცრით გაიკიცხოს სოფლის მეურნეობის გადაწვა, ხელში ჩაგდება და სხვა ყოველივე ფორმის დაშლა-განადგურება და გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით ყველა იმათ, ვინც აქეზებს სოფლის ბნელ ხალხს ასეთი ხულიგნური გამოსვლებისათვის“.

დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა მენშევიკ ნ. ჩხენკელის ხელმოწერით 9 აგვისტოს (27 ივლისს) საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო კომისრებს შემდეგი დირექტივი დაუგზავნა:

„1) გავრცელდეს ყველა სოფელში დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის წერილის ცნობილი ცირკულარი 1917 წლის 18 ივლისის თარიღით — მიწების დაუფლების შესახებ და ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ სპეციალურად შედგენილი მოწოდება ამკავკასიის მოსახლეობის შიმართ.

2) მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რომ არ იქნას დაშვებული მიწა-წყლის ხელში ჩაგდება და ტყეების თვითნებური გაჩეხა.

3) კანონის მთელი სისასტიკით დევნილ იქნან ის პირნი, რომელნიც დანაშაულს ჩაიდენენ თვითნებური მოქმედებით.

4) შეჩერდეს იმ საადგილმამულო კომიტეტების მუშაობა, რომელნიც არ არიან დაარსებულნი ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ გამოცემული კანონის თანახმად.

5) წინადადება მიეცეს მოსახლეობას დამფუძნებელი კრების მიერ მიწის საკითხის გადაჭრამდე უნარჩენოდ იხადოს საადგილმამულო და სხვა გადასახადები და საადგილმამულო ბანკების ვალი".

ასრულებდა რა მენშევიკური პარტიის დირექტივებს, გლეხთა ცენტრი ავიწროებდა და გასაქანს არ აძლევდა გლეხთა მასებს, იცავდა მემამულეთა ინტერესებს და ადუნებდა გლეხთა ყურადღებას ცარიელი ყბედობით, იგი ურჩევდა დაეცადათ აგრარული საკითხის დამფუძნებელი კრების მიერ გადაჭრამდე.

ეს კიდევ ცოტაა. გლეხთა ცენტრის მენშევიკები პირდაპირ შეუთანხმდნენ თავადაზნაურობას, რაც ნათლად სჩანს შემდეგი დოკუმენტებიდან:

„ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს.

გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებმა პ. გელეიშვილმა და გ. გედევანოვმა 6 ივლისს თხოვნით მიმართეს ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობას აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება ხსენებულ საბჭოს, რომელსაც ერთერთ თავის ამოცანად დასახული აქვს თავიდან აიცილოს მიწების ძალადობით ხელში ჩაგდება და, საერთოდ, მოსპოს ყოველგვარი ექსცესები მიწათმფლობელთა და გლეხთა შორის, რის გამოც მას ესაჭიროება ფულადი საშუალებანი მიზანშეწონილი მუშაობისათვის. ბანკის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აცნობოს გლეხთა დეპუტატების საბჭოს, რომ ის სრული თანაგრძნობით ეკიდება საბჭოს ამოცანებს, მაგრამ შოკლებულია საშუალებას დახმარება გაუწიოს მას დიდი თანხით, რადგან ბანკი მთელს თავის მოგებას ყოველწლიურად აძლევს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას; ხარჯთაღრიცხვა კი ნებას არ აძლევს ბანკის გამგეობას გაიღოს რაიმე თანხები თავისი საკუთარი შეხედულებით. გლეხთა დეპუტატების საბჭომ, როგორც ბანკის გამგეობას გელეიშვილმა და გედევანოვმა აცნობეს, უკვე მიმართა ანალოგიური შუამდგომლობით ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რომელიც თავისი სახსრების მიხედვით გადასჭრის ამ შუამდგომლობას; ბანკის გამგეობას კი თავის მხრივ შესაძლებლად მიაჩნია ბანკის სახსრებიდან თავისი პასუხისმგებლობით მისცეს გლეხთა დეპუტატების საბჭოს ზემოაღნიშნული მიზნებისათვის ორი ათასი მანეთი.

იუწყება რა ამის შესახებ, ბანკის გამგეობა სთხოვს გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიიღოს აღნიშნული ორი ათასი მანეთი"[1].

[1] ეს დოკუმენტი გაგზავნილია ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის

გლეხთა ცენტრის წარმომადგენლებმა რომ მართლა მიმართეს ქართველ თავადაზნაურობას და მიიღეს მათგან ფული, ამას ადასტურებს აგრეთვე შემდეგი დოკუმენტიც:

„ოქმი

ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის 1917 წლის 6 ივლისის სხდომისა:

მოისმინეს:

8. მდივნის პ. პ. გელეიშვილის მოხსენება ცენტრის ბიუროს მატერიალური მდგომარეობისა და იმის შესახებ, რომ ქართველი თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საადგილმამულო კომისიამ საფინანსო კომისიის განკარგულებაში გადასდო 10.000 მანეთი სამხარეო ცენტრის მიერ მიღებული რეზოლუციების განსახორციელებლად; აგრეთვე მიხეილის სახელობის საადგილმამულო ბანკის დირექტორის ლასხიშვილის მოხსენება — გადადებულ იქნას განსაზღვრული თანხა იმავე კომისიის განკარგულებაში.

დაადგინეს:

მიღებულ იქნას ხსენებული თანხა და ნებადართულ იქნას მისი შეტანა გლეხთა სამხარეო ცენტრის მიმდინარე ანგარიშზე პ. პ. გელეიშვილისა და გ. კ. გედევანოვის სახელზე. ამიერიდან მატერიალური დახმარებისათვის ზემოხსენებული მიზნის განსახორციელებლად მიემართოს ბანკებს, სასოფლო სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებებს, საქალაქო თვითმართველობებს, ვაჭართა საზოგადოებას და აგრეთვე მრეწველებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ გლეხურ ცხოვრებასთან"[1].

ეს დოკუმენტები ერთხელ კიდევ ამხელენ მენშევიზმის ნამდვილ დედაარსს და ააშკარავებენ მენშევიკური გამცემლობის მექანიკას. შემთხვევითი როდი იყო, რომ, მოხდა თუ არა თებერვლის რევოლუცია, ნ. ჟორდანია ტაქტიკის საკითხებში ქართველ თავადაზნაურობას შეუთანხმდა. ამიტომ, გასაგებია, რომ მენშევიკური გლეხთა ცენტრი მებატონეთა ინტერესებს იცავდა და რომ მან თავის ერთერთ ამოცანად დაისახა თავიდან აიცდინოს მიწების ძალადობით ხელში ჩაგდება და, საერთოდ, მოსპოს ყოველგვარი ექსცესები მიწათმფლობელთა და გლეხთა შორის.

მიერ 1917 წ. 8 ივლისს გამგეობის თავმჯდომარის თავ. გრუზინსკის ხელმოწერით. ამ დოკუმენტზე ასეთი წარწერაა: „ეთხოვოს ამხ. ი. გედევანოვსა და გელეიშვილს მიიღონ და შეიტანონ გლეხთა საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე. 13 ივლისი 1917 წ." (ცენტრ. არქივი, ფონდი № 2, საქმე № 77, ფურც. 1).

[1] ცენტრ. არქივი, ფონდი № 2, საქმე № 106, ფურც. 5-6.

III

გაზაფხულზე მენშევიკებმა ბლოკი შეჰკრეს თავადაზნაურობასთან და აშკარად შეუთანხმდნენ მას, ხოლო 1917 წლის შემოდგომაზე მათ ხელი მიჰყვეს გლეხთა გამოსვლების შეიარაღებული ძალით ჩაქრობას, რისთვისაც მენშევიკები დამსჯელ რაზმებს გზავნიდნენ სოფლად, როდესაც გლეხები შემამულეთა მიწებს ეუფლებოდნენ. 25 (12) სექტემბერს ტფილისის საგუბერნიო კომისარი მენშევიკი პოპოვი თავის მოხსენებაში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის სახელზე — სწერდა:

„დანაშაულთა რაოდენობით ტფილისის გუბერნიაში განსაკუთრებით გამოირჩევა თელავის, თიანეთისა და ბორჩალოს მაზრები, რის გამოც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გაგზავნილ იქნას ამ მაზრებში სამხედრო ნაწილები: თელავის მაზრაში — ერთი როტა, ბორჩალოს მაზრაში — შულავერში, ბაშკიჩეთში, ეკატერინფელდსა და ჯელალ-ოღლში — ას-ასი კაცი თვითეულში, ხოლო ტფილისის მაზრაში — ნახევარი როტა"[1].

9 ოქტომბერს (26 სექტემბერს) სიღნაღის მაზრის კომისარმა დეპეშით მოითხოვა საჭედო ჯარის ნაწილების გაგზავნა: დედოფლის-წყაროსათვის — 400 კაცი, ველისციხისათვის — 100 კაცი, ლაგოდეხისათვის — 100 კაცი და სხვ. 17 (4) ოქტომბერს ჯარისკაცების ერთი როტის გაგზავნა მოითხოვა აგრეთვე თელავის მაზრის კომისარმაც[2].

„ძარცვა-გლეჯამ, მკვლელობამ და მიწების ხელში ჩაგდებამ ფართო ასპარეზი მიიღო, — დეპეშით იუწყებოდა სამაზრო ხელისუფლება შულავერიდან. — ხელისუფლებას ძალა არ შესწევს რაიმე იღონოს. გთხოვთ გამოგზავნოთ ყაზახები წესრიგის აღსადგენად"[3].

ამავე ხანებში გამოიცა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებლის მენშევიკ ა. ჩხენკელის ახალი ცირკულარი. ამ ცირკულარში, რადგან აგრარულ გამოსვლათა რაოდენობა რევოლუციის პირველ თვეებთან შედარებით დიდად გაიზარდა და მათ გამწვავებული ბრძოლის ფორმა მიიღეს, ა. ჩხენკელი წინადადებას აძლევდა ხელისუფლების ორგანოებს ადგილებზე მიეღოთ „უაღრესად გადამწყვეტი ზომები მზარდ დანაშაულობათა წინააღმდეგ"[4].

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ძლიერი ბიძგი მისცა გლეხთა მოძრაობის შემდგომ გაღრმავებას და განვითარებას ამიერკავკასიაში.

მიუხედავად მენშევიკების მიერ მიღებული ყოველგვარი ზომებისა, სოფლად ბოლშევიკური პრესის საშუალებით და აგრეთვე ფრონტიდან და ქალა-

---

[1] ცენტრ. არქივი, საქმე № 2492, — ცნობები ტფილისის გუბერნიაში არსებული მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებით ჯარის საჭიროების შესახებ.,

[2] ცენტრ. არქივი, საქმე № 1800, ფურც. 110, 1917 წ.

[3] ცენტრ. არქივი, საქმე № 1800, ფურც. 126, 1917 წ.

[4] ცენტრ. არქივი, საქმე № 1800, ფურც. 143, 1917 წ.

ქებიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა დახმარებით გავრცელდა. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტები და, უწინარეს ყოვლისა, დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც საბჭოთა რუსეთში სპობდა კერძო საკუთრებას მიწაზე და სასიკეთილო ლახვარს წარმოადგენდა როგორც ბატონყმური ნაშთების, ისე ბურჟუაზიისათვის.

ამასთან დაკავშირებით, 1917 წლის ნოემბერში იმატა თავადაზნაურობის, კულაკებისა და სახაზინო და საუფლისწულო მიწების დატაცებამ (გლეხები დაეპატრონენ არამიანცის მამულს ბორჩალოს მაზრაში, გიაურ-არხის საუფლისწულო მამულს, ყარაიას საცდელ მინდორს და სხვ.).

„ამ დროს, — როგორც მენშევიკური გაზ. „ბორბა“ სწერდა, — ჩვენს წინაშე იხატებოდა მომავალი აგრარული ანარქიის ნიშნები და ვიდექით მისი საშინელი შედეგების წინაშე“[1].

გლეხთა აჯანყებებით დაშინებული ქართველი თავადაზნაურობა, სოფლად თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, შეეცადა ხმაურობა აეტეხნა თავადაზნაურთა კავშირის ქონების „საერთო-ნაციონალურ ფონდში“ გადაცემის გარშემო.

ტფილისის თავადაზნაურობამ თავის საგანგებო კრებაზე, 11 ნოემბერს (29 ოქტომბერს), დაამახინჯა რა ისტორიული სიმართლე, პირმოთნედ განაცხადა:

„ქართველი თავადაზნაურობა მუდამ ემსახურებოდა მთელი ქართველი ხალხის მხოლოდ საერთო კულტურულ და ეკონომიურ საჭიროებებს (!). ამჟამად კი, გადატრიალების შემდეგ, სახელმწიფოს არსებობის თავისუფალ პირობებში, თავადაზნაურობას შესაძლებლობა მიეცა გადალახოს წოდებრივი საზღვრები და შეუერთდეს ხალხს, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ის წარმოადგენს“[2].

მენშევიკებმა მეტად გაჰბერეს თავადაზნაურობის ეს „მსხვერპლი“. მაგრამ აქ სწორედ — მთამ შვა თაგვი! საქართველოს ეგრეთწოდებული ნაციონალური საბჭოს საქმეებში ინახება თავადაზნაურობის მიერ „ქართველი ხალხისათვის“ გადაცემული ქონების დაწვრილებითი ნუსხა. ამ ქონების მეტი ნაწილი შეადგენდა პროცენტიან ქაღალდებს, კახეთის რკინიგზის აქციებს და ცალკეულ პირთა უვადო ანაბრებს. თუ ერთმანეთს შევადარებთ ქართველი თავადაზნაურობის მოძრავი ქონების აქტივსა და პასივს (პროცენტიანი ქაღალდები), აღმოჩნდება, რომ წმინდა სალდო სულ რაღაც რამდენიმე ათეული ათასი შანეთი იქნება. ასე თუ ისე რეალურ ღირებულებას წარმოადგენდა მხოლოდ რამდენიმე საზოგადოებრივი და კერძო შენობა ტფილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში[3].

როცა ქართველი თავადაზნაურობა უარს ამბობდა თავის კოლექტიურ ქონებაზე და აძლევდა მას საქართველოს ნაციონალურ საბჭოს, სადაც უმრავ-

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 3, 1918 წ.

[2] ცენტრ. არქივი, ფონდი № 43, საქმე № 243, ფ. 6, 1917 წ., — „ქართველ თავადაზნაურთა მიწების შესახებ“.

[3] საქ. სახკომსაბჭოს არქივი, ნაციონალური საბჭოს საქმე № 1.

ლესობას ოგივე თავადაზნაურები შეადგენდნენ, მას მენშევიკების დახმარებით სურდა შეენარჩუნებინა თავისი მიწები, რომლისთვისაც სოფლად გლეხთა ბრძოლა სწარმოებდა.

ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სოფლად გაჩაღებული აგრარული მოძრაობის ზეგავლენით იძულებული იყო მოემზადებინა კანონი მიწის შესახებ.

როცა ამ კანონის პროექტი მიწათმოქმედების მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა მემარჯვენე ესერმა ა. ნერუჩევმა ამიერკავკასიის კომისარიატთან არსებულ სამხარეო საადგილმამულო კომიტეტში შეიტანა წინასწარი განხილვისათვის, ის იძულებული იყო ეღიარებინა ამ პროექტის მომზადების ნამდვილი მოტივები.

„მსხვილ კერძო მფლობელთა მიწების კონფისკაციის ცხოვრებაში გატარების დაყოვნება საპირო არ არის, ის უკვე წინასწარ გადაჭრილია ამიერკავკასიის კომისარიატის დეკლარაციით, ცხოვრება არ ითმენს; წინააღმდეგ შემთხვევაში ამიერკავკასიის სოფელში შეიჭრებიან ბოლშევიკები თავიანთი აგრარული დეკრეტით და გამოიწვევენ იმ არასასურველ შედეგებს, რომელთა წინაალმდეგაც მუდამ უხდებათ ბრძოლა საადგილმამულო კომიტეტებს“[1].

დასასრულ, 1917 წ. 29 (16) დეკემბერს, ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა დებულება „საადგილმამულო კომიტეტებისათვის სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, იურიდიულ პირთა და კერძო მესაკუთრეთა მიწების გადაცემის შესახებ“. გამოცემული დებულება, არსებითად, მხოლოდ მცირე დავალებათა ღეკლარაციას წარმოადგენდა. მაგრამ, რომ არსებითად განვიხილოთ ამიერკავკასიის კომისარიატის აგრარული კანონპროექტი, ცხადი იქნება, თუ როგორ ფიქრობდა მქონებელ კლასთა კოალიცია მენშევიკების მეთაურობით მიწის საკითხის გადაჭრას ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

ამ დებულების 1-ლ მუხლში ნათქვამი იყო:

„ყველა მიწა,—სახაზინო, საუფლისწულო, კერძომესაკუთრული და სხვ., განსაზღვრულ ნორმას ზევით, რომლის რაოდენობაც ცალკე იქნება დაწესებული, გადადის სამხარეო საადგილმამულო ფონდში...“

ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამი იყო:

„არ გადაეცემა საადგილმამულო კომიტეტებს კარმიდამო და საკარმიდამო მიწები“.

დებულება არავითარ პასუხს არ იძლეოდა იმაზე, თუ რა ნორმაზე ზევით იქნებოდა მიწა ჩამორთმეული.

მე-2 მუხლის თანახმად, საკითხი მსხვილი კერძომფლობელური მამულების ჩამორთმევისა და მათი გლეხთა შორის განაწილების შესახებ დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ გადაჭრიდა ამ საკითხს საგუბერნიო ერობა, რომელიც,

[1] ცენტრ. არქივი, საქმე № 2560,—სამხარეო საადგილმამულო კომისიის სხდომის ჟურნალი,—1917 წლის 20 ნოემბერი.

როგორც ვიცით, ამიერკავკასიაში იმ დროს არც კი არსებობდა. ამასთან, კანონი დიპლომატიურად გვერდს უვლიდა კითხვას იმის შესახებ, თუ რაგორ უნდა ყოფილიყო გაგებული ტერმინი „მსხვილი კერძომფლობელური მამული“.

1917 წლის 29 (16) დეკემბრის დებულების რეალური შედეგი გლეხებისათვის ის იყო, რომ იგი აუქმებდა ხიზანთა დამოკიდებულებას და 1918 წლის პირველი იანვრიდან ანთავისუფლებდა ყოფილ დროებითვალდებულ გლეხებს თავდასახსნელი გადასახადის დარჩენილი ნაშთების შეტანისაგან. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ეს ლონისძიებანიც დაგვიანებული იყო, რადგან რევოლუციის შემდეგ თვითონ გლეხებმა შესწყვიტეს რევოლუციური წესით გადასახადის შეტანა და უარი სთქვეს ხიზნურ ურთიერთობაზე მემამულეებთან.

ეს დებულება გამოცემული იყო მქონებელ კლასთა ინტერესების დასაცავად. ასეთი გაურკვეველი და წყალწყალა დებულება სრულიად არ შეეფერებოდა მშრომელ გლეხთა ინტერესებს. ამიტომ 1917 წ. 29 (16) დეკემბრის დებულების გამოცემის შემდეგ გლეხებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიწა ვერ მიიღეს და გლეხთა მოძრაობა ამიერკავკასიის სოფლებში არა თუ არ შესწყდა, არამედ, პირიქით, მასობრივი გახდა და აშკარა გლეხურ ომად გადაიქცა მემამულეთა წინააღმდეგ.

მშრომელ გლეხთა შორის ამ დროს გაძლიერდა მტრული დამოკიდებულება არა მარტო მემამულეებისა და სოფლის ექსპლოატატორებისადმი საერთოდ, არამედ მათი ინტერესების დამცველების — ამიერკავკასიის კომისარიატისა და შემდეგ, 1918 წლის თებერვალში, მისი შემცვლელი ამიერკავკასიის სეიმისადმიც.

ამავე დროს ხდებოდა გლეხთა მასობრივი განთავისუფლება მენშევიკებისა და ესერების გავლენისაგან და, ამასთან ერთად, თანდათან უფრო იზრდებოდა ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი და გავლენა სოფლად. ამ უკანასკნელი გარემოების დამალვა თვით მენშევიკებსაც კი არ შეეძლოთ.

ბოლშევიკები თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდნენ მშრომელთა ფართო მასებს და უფრო და უფრო მეტად იპყრობდნენ მათს მხურვალე თანაგრძნობას.

უდიდეს საორგანიზაციო როლს გლეხთა მოძრაობაში თამაშობდნენ ფრონტიდან და ქალაქებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომელთა უმრავლესობაც ბოლშევიკურად იყო განწყობილი.

„ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიის ჯარისკაცებმა, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — სოფლად აგრარული რევოლუცია გააჩაღეს. მუსულმან და ქართველ მემამულეთა სახლ-კარი ცეცხლში გაეხვია. „გაბოლშევიკებულ“ გლეხ-ჯარისკაცთა მიერ ბატონყმური ნაშთების ბურჯებზე მიტანილ იქნა მედგარი იერიში. ცხადი იყო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის ცარიელი დაპირებანი გლეხებისათვის

329.143(47+522)(603)
Ф-39

ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.
ბებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რეზოლიუციები,

მიღებული დასავლეთ ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე, რუს. სოციალ-დემ. მუშ. პარტიისა (ბალშევიკების), რომელიც მოხდა ქ. ქუთაისში 1918 წ. თებერვლის 20—23 რიცხვებში.

168337

ფასი ერთი აბაზი.

ქ. ქუთაისი 1918 წ.
გამ. დასავლეთ ამიერ-კავკ. რ. ს.-დ. ფ. პ. კ—სა (ბოლშ.)

ქუთაისში 1918 წლის თებერვალში შემდგარი ბოლშევიკური
კონფერენციის რეზოლუციის ბროშურის გარეკანი

მიწების გადაცემის შესახებ უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა აგრარული ტალღით მოცულ გლეხებს. ამიერკავკასიის კომისარიატისაგან მოითხოვდნენ საქმეს, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურ საქმეს"[1].

აი როგორაა აწერილი სოფლის ნამდვილი განწყობილება 1918 წლის დამდეგს დასავლეთ საქართველოდან მიღებულ ერთერთ კორესპონდენციაში:

„იმერეთის მოსახლეობა ობორონცების პოლიტიკის მეოხებით ნავდგილ შიმშილს განიცდის. რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან გამოყოფით შექმნილი ფინანსიური კრიზისი დღითი-დღე ძლიერდება... ხშირად გაიგონებთ იმერეთის გლეხებისაგან, რომ მათმა თანამემამულეებმა გეგეჭკორმა და ჩხენკელმა უღალატეს გლეხობას, არ მისცეს მას არც მიწა, არც ზავი; ნაცვლად ზავისა, მისცეს ძმათა სისხლისმღვრელი ომი".

„ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ბოლშევიკები აღმოჩნდნენ. ჯარისკაცებმა ჩქარა იწყეს შეკავშირება, ჩასწერეს ბოლშევიკების პარტიაში თავიანთი ამხანაგი-მეზობლები. ჯარისკაცების ორგანიზაცია არ მოსწონთ ჩვენს ობორონცებს, რომლებსაც ამ უკანასკნელ ხანებში თანაშგრძნობნი ყოველდღე ათობით და ასობით შორდებიან"[2].

1918 წლის 5 მარტს (20 თებერვალს) ქ. ქუთაისში შესდგა დასავლეთ-საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია. ამ კონფერენციის დღისწესრიგში იდგა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის „შიმდინარე მომენტი", საკითხი ხელისუფლების შესახებ, საადგილმამულო საკითხი, გლეხთა დეპუტატების საბჭოების მოწყობის საკითხი და სხვ.

ყველა მომხსენებელი ადგილებიდან განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ სოფლად დიდი გარდატეხა მოხდა ბოლშევიზმის სასარგებლოდ და მშრომელი გლეხობა ჩამოშორდა მენშევიკების კონტრრევოლუციურ პარტიას. თუ ამჟამად არჩევნებს მოვახდენთ თვითმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, — ამბობდნენ დელეგატები ადგილებიდან, — მენშევიკები ვერ შეჰკრებენ იმ ხმების ერთ-მეხუთედსაც კი, რაც მათ უკანასკნელი არჩევნების დროს მიიღესო. თითქმის ყველა სოფელში ჩამოყალიბდა ბოლშევიკური უჯრედები. როგორც კონფერენციაზე აღნიშნავდნენ, ბოლშევიკურ ორგანიზაციას არ ყოფნიდა პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ძალები, რომ მთლიანად ჩასდგომოდა სათავეში ამ ძლიერ მოძრაობას სოფლად[3].

* * *

1918 წლის დასაწყისში გლეხთა მოძრაობა უფრო მასობრივი და მძაფრი ხდება. გლეხების სიძულვილი საუკუნოებრივ მჩაგვრელთა მიმართ გამოიხატა

---

[1] ი. სტალინი. „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ", გვ. 89-90.

[2] „კავკასსკი რაბოჩი" № 25, 1918 წ. 2 თებერვალი.

[3] დასავლეთ-საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციის რეზოლუციები დაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლაში", ხოლო შემდეგ გამოიცა ცალკე ბროშურად.

ძემამულეთა კარმიდამოს დანგრევასა და მათ წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა ტერორში.

გლეხთა ბრძოლა განსაკუთრებული სიძლიერით დაიწყო ქართლიდან (გორის მაზრა), სადაც თავადაზნაურობა უფრო მრავალრიცხოვანი და დარაზმული იყო და სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთები. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ქართლში დაანგრიეს მემამულეთა სახლ-კარი და მოჰკლეს შემდეგი მემამულეები: ციციანოვები, ხერხეულიძე, ამილახვარი, ბაზაძე, ვეზიროვი, ბაქრაძე, კალატოზოვი და სხვ. ვინც ცოცხალი გადარჩა, იძულებული იყო სასწრაფოდ მიეტოვებინა თავისი ძამული და გაქცეულიყო სიცოცხლის შესანარჩუნებლად ტფილისსა და სხვა ქალაქებში.

გლეხთა გამოსვლების ტალღა მოედო აგრეთვე სამხრეთ-ოსეთს, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებს, კახეთს და, ბოლოს, დასავლეთ-საქართველოს. კახეთში — სოფ. კარდანახსა და ბაკურციხეში გაანადგურეს მამულები და მოჰკლეს მემამულეები: აფხაზი, ეაჩნაძე და სხვ. თელავის მაზრაში გლეხთა მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მენშევიკები იძულებულნი გახდნენ გაეგზავნათ იქ დიდი შეიარაღებული ძალები და ჯავშნიანი მატარებელი. ბორჩალოს მაზრის სოფ. სადახლოში დაანგრიეს ბარონ კუჩენბახის საკალაპოტოსაშპილე ქარხანა. გლეხთა დიდი გამოსვლები მოხდა ქუთაისისა და ლეჩხუმის მაზრებში და სხვ.

მემამულეთა წინააღმდეგ წარმოებული გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ზრდასა და გაღრმავებასთან ერთად, კლასობრივი წინააღმდეგობანი გამწვავდა აგრეთვე თვით გლეხობის შიგნითაც. უღარიბესმა გლეხობამ კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

„გორის მაზრაში, — სწერდა, მაგალითად, გაზ. „ეოზროჟდენიე", — ანარქია თავისი განვითარების მეორე ფაზისში გადავიდა... გლეხები შეუდგნენ უფრო შეძლებულ გლეხთა დარბევას და პარტიულ ხელმძღვანელ-

---

ეი ერთერთი ტიპიური კორესპონდენცია გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ საქართველოში 1918 წლის დასაწყისში:

„ზუგდიდის მაზრა (ქუთაისის გუბ.). აქ შესდგა 15 სასოფლო საზოგადოების დელეგატთა და ყოფილ ჯარისკაცთა კრება. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, ყოფილმა ჯარისკაცებმა და 15 საზოგადოების დელეგატებმა, მოვისმინეთ რა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებისა და სამაზრო კომისრის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, დავადგინეთ მოვითხოვოთ: 1) გლეხთა დეპუტატების საბჭოების მოწყობა, როგორც ჩვენს რაიონში, ისე მთელს მაზრაში, 2) აღმასრულებელი კომიტეტის (სამაზრო) გაუქმება და ყველა მისი ფუნქციის გადაცემა გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის, 3) არავითარ შემთხვევაში არ იქნას ცნობილი ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორების შესახებ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ერთადერთ სრულუფლებიან ორგანოდ ამ საკითხის გადასაჭრელად მიგვაჩნია მხოლოდ ის მთავრობა, რომელიც შექმნილი იქნება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მიერ, 4) პროტესტს ვუცხადებთ ამიერკავკასიის კომისარიატს მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტისათვის ტფილისში. მოვითხოვთ დაპატიმრებულნი ბოლშევიკების განთავისუფლებას" (1918 წლის 21 (8) აპრილის ბოლშევიკური გაზეთი „კავკასსკაია რაბოჩაია პრავდა").

თა ცემა-ტყეპას. გორის მაზრაში მოჰკლეს მაზრის კომისარი, ს.-დ. მენშევიკი გ. მაჩაბელი, მოჰკლეს ცნობილი პროპაგანდისტი ს.-დ. მენშევიკი კეცხოველი, მოჰკლეს აგრეთვე გ. ნინიძე და სხვ."[1].

„ბორჩალოს მაზრის ორთოშუას მიდამოებში, — სწერდა გაზეთი „ბორბა", — მემამულე ორბელიანების ყოფილ ნაკვეთებზე (ზომით ათას დესეტინაზე მეტი) შეძლებულ გლეხთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო კულტურული მეურნეობა ყველისა და ერბო-კარაქის ქარხნებით. მარტის პირველი რიცხვებიდან ადგილობრივმა გლეხებმა დაიწყეს ამ ფერმაზე თავდასხმა. თავდასხმაში მონაწილეობდნენ ქართული სოფლები — დიდი-გომარეთი და ახო და ყარაბულახელი თათრები. ფერმის მეპატრონენი გაიქცნენ და ამჟამად ტფილისში იმყოფებიან"[2].

კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის ბლოკი, მენშევიკების მეთაურობით, ცდილობდა შეეფასებინა გლეხთა გამოსვლები, როგორც დარბევათა ტალღა, როგორც ბნელი მასებისა და ანარქიული ელემენტების მოძრაობა. გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად იგზავნებოდნენ დამსჯელი რაზმები ჯავშნიანი მატარებლებით, ზარბაზნებითა და აეროპლანებით.

გლეხთა აჯანყებების გამო მენშევიკები იძულებულნი იყვნენ დაეჩქარებინათ აგრარული კანონის განხილვა სეიმში.

ნ. ჟორდანია იძულებული გახდა განეცხადებინა:

„ანარქია თანდათან განვითარდება და სწორედ ამ ანარქიამ, შესაძლებელია, ბოლოსდაბოლოს, კიდეც წაგვლეკოსო"[3].

გლეხთა რევოლუციის საშიშროების შესახებ სეიმის სხდომაზე გულახდილად ლაპარაკობდა აგრეთვე სოც.-ფედერალისტების პარტიის ლიდერი გ. ლასხიშვილიც[4].

„ანარქია სულ იზრდება... იგი თანდათან უფრო გვიახლოვდება და ყელში გვიჭერს. არის ერთი რეფორმა, რომლის დაყოვნებაც მეტისმეტად დამღუპველია. მე ვლაპარაკობ აგრარულ რეფორმაზე... სეიმი ახლავე უნდა შეუდგეს მას, საჭიროა პირველი ნაბიჯები მაინც გადადგას აგრარული რეფორმის განსახორციელებლად ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ დეკრეტთან შეფარდებით"[5].

მენშევიკები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ თავადაზნაურობასთან და პროლეტარული რევოლუციის სასტიკ მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ, ისეთ აგრარულ რეფორმას ანხორციელებდნენ, რომელიც უზრუნველყოფდა დიდძალი მიწების შემამულეთა ხელში დატოვებას.

---

[1] „ვოზროჟდენიე" № 59, 1918 წ. 22 მარტი.

[2] „ბორბა" № 34, 1918 წ. 21 მარტი.

[3] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. „ორი წლის მანძილზე", სტატიები და სიტყვები, გვ. 66.

[4] სოციალ-ფედერალისტების პარტიასაც ისე, როგორც მენშევიკებს, ფულს აძლევდა ქართველი თავადაზნაურობა, „საზოგადოებრივი ძალების ჩასაბმელად წესრიგისა და მყუდროების დაცვის საქმეში". ლასხიშვილმა, მაგალითად, ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისაგან მიიღო ფულადი სუბსიდიები.

[5] ამიერკავკასიის სეიმი, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა მე-3.

1918 წლის 20 (7) მარტს ამიერკავკასიის სეიმმა გამოსცა კანონი, რომ-
ლითაც

„ჩამოსართმევი მამულის მეპატრონისათვის დასატოვებელი მიწის
ფართობი ისაზღვრება: 7 დეს., თუ ჩამორთმეული მამული იმ რაიონშია
სადაც ძვირფასი კულტურები მოჰყავთ, 15 დეს. — ხორბლეულის რაიონში
და 40 დეს. — მესაქონლეობის რაიონში".

თანახმად იმ შენიშვნისა, რომელიც კანონის ამ მუხლს ჰქონდა გაკეთებუ-
ლი, საგუბერნიო და საოლქო საადგილმამულო კომიტეტებს უფლება ჰქონდათ
გაეიდიდებინათ მიწის პატრონისათვის დატოვებული ნორმა ადგილობრივი პი-
რობების მიხედვით: 10 დესეტინამდე — პირველი კატეგორიის მეურნეობაში, 20
დესეტინამდე — მეორე კატეგორიისათვის და 50 დესეტინამდე — მესამე კატე-
გორიისათვის[1].

საადგილმამულო რეფორმის გასატარებლად შემდეგში გამოცემულ კანო-
ნებსა და ინსტრუქციებში მემამულეები მთელ რიგ დამატებითი შეღავათებს
ღებულობდნენ. მაგალითად, მემამულეებს მამულების ფიქტიური გაყოფით
საშუალება ეძლეოდათ მიეღოთ მიწის რამდენიმე ნორმა. მათ უფლება ჰქონდათ
აერჩიათ მიწა არა მარტო ჩამორთმეული მიწის ფარგლებში, არამედ — შეე-
ძლოთ მოეთხოვათ მათთვის დატოვებული ნორმის შემრგვალებაც კი მოსაზღვ-
რე მესაკუთრეთა მიწების ხარჯზე. მემამულეებს მათი მეურნეობის საჭიროები-
სათვის უტოვებდნენ სულიერ და უსულო ინვენტარს; ხოლო ჩამორთმეულ ინ-
ვენტარში მათთვის სათანადო სასყიდელი უნდა მიეცათ.

1918 წლის 2 მაისს სეიმმა გამოსცა განმარტება, რომლითაც

„კერძო მფლობელთაგან ჩამორთმეული მამულები ან მათი ნაწილები,
რომელთაც განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულება ჰქონდათ,
სამხარეო ან საგუბერნიო საადგილმამულო სამმართველოს განკარგულე-
ბით შეიძლებოდა დარჩენილიყო დროებით წინანდელი მეპატრონის ხელში
მეურნეობის სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად"[2].

ეს განმარტება არა მარტო შესაძლებლობას აძლევდა ბევრ მემამულეს
ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ თავიანთი მამული, არამედ ის მამულის კონ-
ფისკაციისაგან ანთავისუფლებდა აგრეთვე სოფლის კულაკებს, რადგან კულ-
ტურულ-ძვირფას მამულად, თუ მოისურვებდნენ, შეიძლებოდა ჩათვლილიყო
ყოველი მამული, სადაც ცოტად თუ ბევრად შოწესრიგებულ სასაქონლო მეურ-
ნეობას აწარმოებდნენ. შით უმეტეს, რომ ამ უფლების განმსაზღვრავ ორგანი-
ზაციათა და პირთა შემადგენლობა ყველა პირობებს ჰქმნიდა იმისთვის, რომ
უზრუნველეყო მემამულეთათვის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწი-
ლის შენარჩუნება.

---

[1] მიწათმოქმედების სამინისტროს კანონთა, ინსტრუქციათა და ახსნაგანმარტებათა კრებული, გვ. 45-46.

[2] იქვე, გვ. 54.

„სოფლის მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე შენარჩუნებისათვის, — სწერდა თავის ცირკულარში მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი, — ნებადართულია ისეთი მამულების დატოვება წინანდელი მფლობელის ხელში, რომელიც სახალხო-სამეურნეო ღირებულებას წარმოადგენს. რადგან მეპატრონეთა საკუთარი სახსრებით გაშენებული ბაღები უმეტეს შემთხვევაში... განირჩევიან მთელ რიგ გლეხთა მეურნეობებისაგან და ასეთი ბაღების დაცვა მოითხოვს, რომ ეს ბაღები არ იქნას განაწილებული მოსახლეობის შორის და მათ არ ჩამოეჭრას ნაწილები... ეს ბაღები მთლიანად დატოვებულ უნდა იქნას მეპატრონეთა ხელში სოჯარო გადასახადის გადახდევინებით ნორმაზე ზევით დატოვებული ნაწილისათვის"[1].

ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის აგრარული კანონმდებლობა სრულიად არაფერს ამბობდა მემამულეთაგან ჩამოსართმევი მიწების განაწილებისა და გლეხებისათვის მათი გადაცემის პირობების შესახებ. საქართველოს „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ეს საკითხი წინასწარ განხილულ იქნა მხოლოდ 1918 წლის 16—20 ივლისს მიწათმოქმედების სამინისტროსთან მოწვეულ საადგილმამულო კომიტეტების წარმომადგენელთა და აგრარული რეფორმის გამტარებელ მუშაკთა თათბირზე, ხოლო შემდეგ, სექტემბრის დამდეგს, საადგილმამულო კომიტეტების თათბირზე და. დასასრულ, იმავე წლის ნოემბერში, მენშევიკების VIII პარტიულ ყრილობაზე. მაგრამ თვით გლეხთა რევოლუციის შიშმაც კი ვერ ჩამოაშორა მენშევიკები თავის პატრონთა (მემამულეებისა და ბურჟუაზიის) ინტერესების დაცვის საქმეს, რის გამოც ისინი კადეტური აგრარული საადგილმამულო პროგრამის განხორციელებაზე შორს ვერ წავიდნენ და მათ ვერ განახორციელეს თვით ის უმნიშვნელო და შეკვეცილი კანონებიც კი, რომლებიც ამიერკავკასიის კომისარიატმა და სეიმმა გამოსცეს.

„შამოორკვა, რომ გლეხობას, — როგორც განაცხადა თავის პარტიის VIII ყრილობაზე აგრარული საკითხის გარშემო გამოსულმა მომხსენებელმა ნ. ხომერიკმა, — არ მოსწონდა მუნიციპალიზაციის იდეა და ის მოითხოვდა მიწას კერძო საკუთრებად.

გლეხს იმდენად სწამს რეფორმა, რამდენადაც ის მესაკუთრედ ხდება,.. ჩვენი რეფორმა მისაღებია როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს ღონისძიება დაამშვიდებს გლეხობას და გახდის მას ჩვენი წყობილების დამცველად. მიუხედავად იმისა, რომ გლეხს სძულს მემამულე, ის მაინც საიდუმლოდ ყიდულობს მისგან მიწას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გლეხი მოწოდებულია შეიძინოს მიწა საკუთრებად და, თუ მას მის სურვილს არ შეუსრულებთ, ის ჩვენ ზურგს შემოგვაქცევს... სხვა მოსაზრებებიც გვიკარნახებენ ჩვენ მიწის გაყიდვას. ჩვენი ფულის კურსი ეცემა; თუ ხაზინა ვერ იშოვის დიდ თანხას, იმ შემთხვევაში ფულის ნიშნების ბეჭდვა გაკოტრებამდე მიგვიყვანს".

[1] „ბრძრბა", 1918 წლის 26 მაისი.

6. ხომერიკის მოხსენების წინააღმდეგ თვით ზოგიერთი მენშევიკიც კი გამოვიდა. მაგალითად, ერთმა დელეგატთაგანმა (მაჭავარიანმა) განაცხადა:

„ეს დიდი სოციალური საკითხი 5-6 კაცმა გადასწყვიტა. მიწა მემამულეებს ჩამოვართვით და ვყიდით. რა მისცა რევოლუციამ გლეხს?"

„გლეხებს, ამბობენ, მიწას შეღავათიან პირობებში მივცემთო, — ლაპარაკობს ყირილობაზე მეორე ორატორი (მაისურაძე)... — მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველი, ღარიბ გლეხებს მიწის შეძენა არ შეუძლიათ; ამნაირად უაღრესად თავგამოდებულ რევოლუციონერებს არაფერი არ დარჩებათ"[1].

ასეთმა ცალკეულმა გამოსვლებმა მენშევიკების ყრილობაზე სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია და ისინი დახასიათებულ იქნენ, როგორც ბოლშევიკური.

აგრარული საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც:

„1) ხდება მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მამულების ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია, 2) დანარჩენი მამულები დაწესებული ნორმით გადაცემულ უნდა იქნას კერძო საკუთრებად, 3) ამ ნაკვეთებში გლეხებს უნდა გადახდეს ზომიერი ფასები"[2].

ამიერკავკასიის სეიმმა არაფერი სთქვა იმის შესახებ, რომ მოსახლეობას კერძო საკუთრებად გადასცემოდა მიწები სახელმწიფოებრივი, საადგილმამულო ფონდიდან. სათანადო კანონი საქართველოს მენშევიკურმა პარლამენტმა მხოლოდ 1919 წლის 28 იანვარს მიიღო; ამასთან, ამ კანონით დაცული იყო მიწის ვაყიდვის პრინციპიც. საფონდო მიწებზე მენშევიკური მთავრობის მიერ დაწესებული იყო შემდეგი გასასყიდი ფასები:

ა) დასავლეთ-საქართველოსათვის პირველი კატეგორიის სახნავი მიწა შეფასებული იყო 1500 მან. დეს., მეორე კატეგორიისა — 1000 მან., მესამე კატეგორიისა — 600 მან. და საბალახოები — 300 მან. დეს.

ბ) აღმოსავლეთ-საქართველოსათვის პირველი კატეგორიის სახნავი მიწა შეფასებული იყო 1200 მან. დეს., მეორე კატეგორიისა — 1000 მან., მესამე კატეგორიისა — 600 მან. და საბალახოები — 200 მან. დეს.

ანხორციელებდნენ რა თავიანთ „უაღრესად ფართო და უკიდურესად რადიკალურ აგრარულ რეფორმას"[3], მენშევიკები ამით ასრულებდნენ არა ღარიბი და საშუალო გლეხობის, არამედ გაკაპიტალისტების გზაზე დამდგარი მემამულეებისა და სოფლის კულაკური ზედაფენების მოთხოვნებს.

თავიანთი აგრარული კანონმდებლობით მენშევიკები იცავდნენ მემამულეთა ინტერესებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შეტევისაგან. აშკარად ანხორციელებდნენ რა საქართველოს პირობებში სტოლიპინის საადგილმამულო პოლიტიკას, მენშევიკები ეყრდნობოდნენ სოფლად გაკაპიტალისტების

---

[1] „ბრძოლა", 1918 წლის 25 მაისი.

[2] იქვე.

[3] ასე ახასიათებს, მაგალითად, მენშევიკების მიერ ჩატარებულ აგრარულ რეფორმას ერთერთი მენშევიკ-ემიგრანტი, ავტორი 1930 წელს პარიზში გამოცემული წიგნისა — „ა. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო".

გზაზე დამდგარ მემამულეებსა და კულაკებს, რომ აქ, როგორც ამის შესახებ განაცხადა ნ. რამიშვილმა VIII მენშევიკურ ყრილობაზე, შეექმნათ „მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი ც ი ხ ე - ს ი მ ა გ რ ე“.

ეს კიდევ ცოტაა, მაგრამ ბურჟუაზიული და მემამულური მიწათმფლობელობის განსაკითარებლად, კერძმესაკუთრული სტიქიისათვის გზის გასაკაფავად და მემამულეთა კლასისა და სოფლის ბურჟუაზიის გულის მოსაგებად მენშევიკებმა გააუქმეს 1918 წელს დაწესებული მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა.

მენშევიკური ფრაქციის წინადადებით საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის თებერვალში მიიღო კანონი, სადაც ნათქვამი იყო:

„ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილება, რომლის ძალითაც შეჩერებული იყო ნასყიდობის ქალალდების შედგენა სოფლის მამულებზე, გაუქმებულ იქნას“[1].

ასე დაამთავრეს მენშევიკებმა თავიანთი აგრარული რეფორმა, რომელიც შეიცავდა უღარიბესი და საშუალო გლეხობის გაძარცვას მემამულეთა და კულაკთა სასარგებლოდ.

IV

საქართველოში ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურის დამყარებას და მენშევიკების საადგილმამულო კანონმდებლობას გლეხობამ სამოქალაქო ომით უპასუხა.

გამოაცხადეს თუ არა მენშევიკებმა საქართველოს რესპუბლიკის „დამოუკიდებლობა“ და შემოსდგეს თუ არა ფეხი გერმანელმა ინტერვენტებმა საქართველოში, მაშინვე აგორდა გლეხების აჯანყებათა კიდევ უფრო მძლავრი ტალღა, ვიდრე ეს 1918 წლის დასაწყისში იყო. ამ პერიოდის პრესა სავსე იყო ცნობებით სოფლად მძვინვარე „ანარქიის“ შესახებ. ამასთან, მენშევიკებს არ შეეძლოთ დაბფარათ ის უდავო ფაქტი, რომ გლეხები ყველგან ბოლშევიკური ხელმძღვანელობით გამოდიოდნენ და გლეხთა მოძრაობა მთელი თავისი სიმწვავით მიმართული იყო ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურის წინააღმდეგ.

„საქართველოს თითქმის ნახევარი გახვეულია სახალხო აჯანყებისა და ანარქიის ცეცხლის ალში, — სწერდა გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1918 წლის ივლისში. — დუშეთის მაზრაში გლეხობამ იარაღი აიღო ხელში და აქტიურად გამოვიდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო გზაზე, დარიალის ხეობის მახლობლად, მთავრობის ჯარების რაზმი გარშემორტყმულია აჯანყებულთა მიერ და არავინ იცის, რა მოე-

[1] გაზ. „ბორბა“, 1920 წ. 5 თებერვალი.

ლის ამ რაზმს. გორის მაზრაში მეტისმეტი მღელვარებაა. ოსეთში დიდი ამბები მწიფდება და დღითი-დღე მოსალოდნელია შეიარაღებული მასების გამოსვლა, დუშეთის აჯანყების მსგავსად. თიანეთის მაზრაში მღელვარება ძლიერდება და სახიფათო სახეს ღებულობს. ტფილისის მაზრაში შედარებით მშვიდობიანობაა, მაგრამ დროგამოშვებით გაზეთებში მოხვედრილი ცნობები ლაპარაკობენ რაღაც „არეულობის" შესახებ შანგლისისა და თეთრი წყაროს რაიონებში; როგორცა სჩანს, იქ საწვავი მასალა გროვდება და საკმარისია მცირე ნაპერწკალი, რომ ხანძარმა იფეთქოს. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ქუთაისის გუბერნიაში. რაჭის მაზრაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებებს; ასეთივე შეტაკებები იყო ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრებშიაც. სერიოზული ამბები დატრიალდა საჩხერის ოლქში, მარგანეცის მრეწველობის რაიონში. აქ შეიარაღებული სოფლები ბრძოლაში შეებნენ მთავრობის ჯარებს, საპირო შეიქნა არტილერიის ამუშავება"[1].

გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება 1918 წელს მოხდა დუშეთის მაზრაში, სადაც, ტფილისთან სიახლოვის გამო, ადგილი ჰქონდა საკმაოდ ძლიერ პროლეტარულ გავლენას. გლეხთა ბრძოლას მენშევიკური დიქტატურისა, მემამულეებისა და კულაკების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ტფილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში გაშალეს ამ მაზრაში თავის შეხედულებათა პროპაგანდა პარტიული მუშებისა და ტფილისიდან სოფლად გაგზავნილი პროპაგანდისტების საშუალებით.

ბოლშევიკური ორგანიზაცია დუშეთის მაზრაში ფართო მუშაობას აწარმოებდა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. ამ მიზნით ყიდულობდნენ იარაღს, კავშირს აბამდნენ რევოლუციის ყველაზე უფრო ერთგულ გლეხებთან და სხვ. აჯანყება დუშეთის მაზრაში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებასთან საქართველოში. მაგრამ გლეხთა გამოსვლა აქ უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ის გათვალისწინებული იყო. საქმე ისაა, რომ მენშევიკებისათვის საიდუმლოდ არ დარჩენილა ის დიდი მუშაობა, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ დუშეთის მაზრაში. ამიტომ ხელისუფლებამ, გლეხთა გამოსვლების თავიდან ასაცილებლად, გადასწყვიტა გლეხების განიარაღება.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად დუშეთიდან სოფლებში გაიგზავნა სახალხო გვარდიელთა ძლიერი რაზმი ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით. ამ რაზმმა წინააღმდეგობის გაუწევლად აჰყარა იარაღი სოფ. მისაქციელის გლეხებს. მაგრამ, როცა სახალხო გვარდიელებმა 17 ივნისს სოფელ წილკანს მიაღწიეს, აქ გლეხებმა მათ უკვე შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ამავე

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი" № 6, 1918 წ.

დროს სახალხო გვარდიელებს ზურგიდან თავს დაესხნენ მეზობელი სოფლების გლეხები. სახალხო გვარდიელთა რაზმი გაიფანტა და ბრძოლის ველზე დასტოვა იარაღი, ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. სოფ. წილკანთან მომხდარი ამბავი მთელი დუშეთის მაზრის შეიარაღებული აჯანყების სიგნალად გადაიქცა.

აჯანყებას ხელმძღვანელობას უწევდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რკპ(ბ) ტფილისის ორგანიზაციის მიერ ხელმძღვანელი მუშაკებით გაძლიერებული დუშეთის სამაზრო პარტიული კომიტეტი. დაუყოვნებლივ მოეწყო სამხედრო-სარევოლუციო შტაბი, რომელმაც სასწრაფოდ დაამუშავა საშოქალაქო ომის გეგმა მაზრაში. 19 ივნისს სოფ. ნატახტართან აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს მთავრობის რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი ფურცელაძე მეთაურობდა. რევოლუციურმა გლეხობამ ხელთ იგდო ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, საბრძოლველი მასალა, სურსათი და 250 ტყვე.

შემდეგ აჯანყებულებმა დარიალის კარები დაიკავეს. ამას აჯანყებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან კავშირი მყარდებოდა ჩრდილოეთ-კავკასიის იმ ნაწილთან, სადაც იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა და საიდანაც აჯანყებულებს დახმარების მიღება შეეძლოთ. გლეხთა რაზმებმა დაიკავეს რკინიგზის სადგურები — მცხეთა და ქსანი და უშუალოდ დაემუქრნენ ტფილისს. დუშეთის რაიონიდან აჯანყება გადავიდა მეზობლად მდებარე თიანეთის მაზრაშიაც, საიდანაც აჯანყებულთა დასახმარებლად გაგზავნილ იქნა შეიარაღებული რაზმი.

25 ივნისს ქ. დუშეთში შესდგა გლეხთა ყრილობა, რომელმაც დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. თ. შუშიაშვილი.

მაგრამ ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის წარმოებულმა გლეხთა გმირულმა ბრძოლამ, მიუხედავად პირველი ხანების წარმატებისა, დამარცხება განიცადა. ეს დამარცხება გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით.

აჯანყება დუშეთის მაზრაში იზოლირებული აღმოჩნდა. გარდა თიანეთის მაზრის მიერ აღმოჩენილი დახმარებისა და საჩხერის რაიონში მომხდარი აჯანყებისა, საქართველოში მასობრივი გამოსვლები ამ დროს არ ყოფილა. აჯანყებულ გლეხებს არავითარი ასე თუ ისე სერიოზული დახმარება არ მიუღიათ არც ჩრდილოეთ-კავკასიიდან.

რაზმმა ამხ. ა. გეგეჭკორის მეთაურობით, რომელიც სამეგრელოს, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების გლეხთაგან შესდგებოდა და რომელიც რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ქ. კავკაციდან (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე) გამოგზავნა აჯანყებულთა დასახმარებლად, ვერავითარი სერიოზული გარდატეხა ვერ მოახდინა აჯანყებულთა სასარგებლოდ. თუმცა ა. გეგეჭკორის რაზმმა ყაზბეგამდე მიაღწია და მენშევიკებს დიდი ზიანი მიაყენა: წაართვა მოწინააღმდეგეს 500 თოფი, 6 ყუმბარის მტყორცნი, 2 ტყვიამფრქვევი და სხვ., მაგრამ ამ რაზმს მთავრობის ჯარები მალე გარს შემოერტყნენ და უსწორო ბრძოლის შემდეგ

ა. გეგეჭკორი

მან ძლივს მოახერხა გარსშემორტყმული მტრის რაზმის გარღვევა და უკან დახევა.

აჯანყების რაიონში მენშევიკურმა მთავრობამ დიდძალი ჯარი გადაისროლა. რევოლუციურ კერას — დუშეთს — მენშევიკებმა სამი მხრიდან შეუტიეს.

იმის წარმოსადგენად, თუ რა ძლიერი ძალის ოპერაცია სწარმოებდა და რა სერიოზულ მნიშვნელობას აძლევდნენ მენშევიკები ამ აჯანყებას, საჭიროა მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ მცხეთის მახლობლად მდებარე „ბებრის-ციხის“ აღების დროს მენშევიკურ კოლონას, ვ. ჯუღელის მეთაურობითა, თავის განკარგულებაში 14 ზარბაზანი ჰქონდა და აჯანყებულ გლეხებს ყუმბარებს სეტყვასავით აყრიდა. დუშეთის აჯანყების ჩაქრობაში უშუალო მონაწილეობას

იღებდნენ აგრეთვე გერმანელებიც თავიანთი ინსტრუქტორებით, არტილერიითა და აეროპლანებით.

აჯანყებათა რაიონში მენშევიკებმა სიკვდილით დასჯა შემოიღეს. ამუშავდა სამხედრო-საველე სასამართლო. დაიწყო მასობრივი დახვრეტები. გაზ. „ბორბას" ცნობით მარტო ყაზბეგში სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს ქ. კავკავიდან (ორჯონიკიძიდან) ჩამოსული რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — მ. გეგეჭკორი და მისი 6 ამხანაგი[1].

დუშეთის აჯანყების პერიოდში ღარიბ გლეხთა და ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ხელმძღვანელობით გამოსვლა მოხდა საჩხერის რაიონშიაც.

ამ რაიონის გლეხთა შორის საკმაოდ იყვნენ მუშები, წინათ ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ნამუშევარნი. რომელთაც კარგი რევოლუციური სკოლა ჰქონდათ გავლილი. აჯანყების საბაბი იყო მენშევიკების ცდა — იარაღი აეყარნათ გლეხებისათვის. ამ მიზნით გაგზავნილ გვარდიელთა რაზმს გლეხებმა იარაღი აჰყარეს. ამის შემდეგ სარაიონო ცენტრში — საჩხერეში — დაუყოვნებლივ მოეწყო სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი, რომელმაც რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და დაადგინა მიწები დაუყოვნებლივ გადაეცეს გლეხებს, გაუქმდეს ძველი ხელისუფლების ორგანოები, დაპატიმრებულ იქნან კონტრრევოლუციური ელემენტები და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ აჯანყებულთა დასახმარებლად გორის მაზრიდან მოვიდნენ ოსები, ხარებოვის მეთაურობით.

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტს, რომელმაც იცოდა დუშეთის მაზრაში მომხდარი აჯანყების შესახებ, გამომუშავებული ჰქონდა გეგმა — აჯანყება მოეხდინა მახლობელ მაზრებში და ხელში ჩაეგდო ქ. ქუთაისი. მაგრამ დუშეთის აჯანყების ჩაქრობამ საჩხერის რაიონის აჯანყების ბედიც გადასწყვიტა.

საჩხერეში აჯანყების ჩასაქრობად მთავრობამ დიდძალი ჯარი გაგზავნა ცხენოსანი ნაწილებითა და არტილერიით. მიუხედავად ამისა, აჯანყების ჩაქრობას მენშევიკები ერთ თვეს მოუნდნენ. დამსჯელი რაზმი სწვავდა მთელ სოფლებს. საქმის გამოუძიებლად დახვრიტეს ადგილობრივ 24 კაცი. გლეხები ასობით დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა გლეხთა მოძრაობა 1918 წელს სამეგრელოში.

გამოდიოდნენ რა საზიზღარი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, გლეხები ორგანიზებულად და შეგნებულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

სწორად აფასებდნენ რა მენშევიკურ მთავრობას, როგორც ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობას, გლეხები გაიძახოდნენ: „ვანა ჩვენ იმტომ ჩამოვაგდეთ ნიკოლოზ II, რომ მის ნაცვლად გეგეჭკორი და ჩხეიძე დაგესვათ"?

გლეხების პირველი დიდი გამოსვლა სამეგრელოში — ნაქალაქევის, ბანძისა და მარტვილის რაიონებში — ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის პერიოდში, 1918 წლის აპრილის დასაწყისში მოხდა.

[1] გაზ. „ბორბა" № 127, 1918 წ.

„საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ გამოცხადებას სამეგრელოს გლეხობა ძაისის დაძლევს ახალი აჯანყებით შეხვდა.

გლეხთა შეიარაღებულმა ბრძოლამ, რომელიც სალხინოში დაიწყო, მთელი სამეგრელო და მის მეზობლად მდებარე ლეჩხუმისა და რაჭის მაზრები მოიცვა.

მენშევიკურ რაზმებს ყველგან იარაღი აჰყარეს, ადმინისტრაცია გაიქცა და აჯანყებულებმა ცეცხლის რგოლით შემოსალტა ზუგდიდი, სადაც ჯერ კიდევ მენშევიკები ბოგინობდნენ.

შეიარაღებულ აჯანყებულთა საერთო რიცხვი 10-11 ათას კაცს უდრიდა. აჯანყებას ხელმძღვანელობდა რევოლუციური შტაბი, რომელსაც სათავეში ა. გეგეჭკორი ედგა.

გლეხთა ბრძოლა სამეგრელოში მთელ ზაფხულს გაგრძელდა; ამ ბრძოლამ უდიდეს გაქანებას აგვისტოსა და სექტემბერში მიაღწია.

მენშევიკურმა მთავრობამ სამეგრელო შინაურ ფრონტად გამოაცხადა. აქ გადმოგზავნილ იქნა დიდი შეიარაღებული ძალები გენ. ი. ზედევანოვისა და ვ. ჯუღელის მეთაურობით. ჰქონდათ რა თავიანთ განკარგულებაში ტანკები, არტილერია და ტყვიამფრქვევები, მენშევიკები ცეცხლითა და მახვილით ახშობდნენ აჯანყებას. ისინი სწვავდნენ სოფლებს, ანგრევდნენ ხიდებს და მასობრივად ხვრეტდნენ აჯანყებულებს.

პარტიული ხელმძღვანელობის დირექტივების განსახორციელებლად ა. გეგეჭკორმა, რომელიც სათავეში ედგა სამეგრელოს აჯანყებულთა ერთ ნაწილს, გმირულად გადალახა მამისონის უღელტეხილი და ჩავიდა კავკავში (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე). ეს რაზმი შემდეგში უკვე რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებებით მოქმედებდა.

ასევე დაუნდობლად ჩააქრეს მენშევიკებმა გლეხთა აჯანყებები სხვა რაიონებშიაც. აფხაზეთის სახალხო საბჭოს 14 დეპუტატის მოხსენებაში, საქართველოს მთავრობის სახელზე, დამსჯელი რაზმის მოქმედების შესახებ, მაგალითად, გუდაუთის მაზრაში, ვკითხულობთ:

„ქართული რაზმის უფროსმა პორუჩიკმა ყუფუნიამ — ქ. ფოთის ყოფილმა ბოქაულმა — სცემა სოფ. აცის მთელს ყრილობას, ხალხი ტყვიამფრქვევთა სროლის დროს იძულებული გახდა დაწოლილიყო, შემდეგ დაწოლილთა ზურგზე გაინავარდა და მათ ხმლის ბრტყლად ცემით გაუმასპინძლდა; უბრძანა ყრილობას ერთად შეჯგუფებულიყო, რის შემდეგაც იმ შეჯგუფებულ ხალხში გაეენებული ცხენით შეიჭრა და მათრახით ცემა დაუწყო... გუდაუთის მაზრის კომისრის თანაშემწემ პორუჩიკმა გრიგორიადიმ სოფლის ყრილობებზე ხალხს მათრახით გაუმასპინძლდა და სოფლის კომისრებად თვითონ დანიშნა ისეთი პირნი, რომელნიც ხალხს სძულდა, როგორც მეფის რეაქციონერული მთავრობის მამასახლისები...“[1].

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი № 50, საქმე № 12.

გლეხების აჯანყებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ჩვენ უკვე აღნიშნეთ, უშუალო მონაწილეობას იღებდნენ გერმანელი ოკუპანტები. მოვიყვანოთ კიდევ ერთი დამახასიათებელი დოკუმენტი. ეს არის გენ. ფონ-კრესის წინადადება, 1918 წ. 31 აგვისტოს თარიღით, რომლითაც ის მიმართავდა მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს და აცხადებდა, რომ საჭიროა ფოთ-ახალსენაკ-ზუგდიდ-ანაკლიის რაიონების გაწმენდა ბოლშევიკებისაგან:

„ჩემს მიერ მიღებული ცნობებით, — სწერს ფონ-კრესი, — ფოთ-ახალსენაკ-ზუგდიდ-ანაკლიის რაიონში ჯერ კიდევ იმყოფებიან უაჩაღებისა და ბოლშევიკების დიდი ბანდები, რომლებიც ხშირად სწყვეტენ და აფერხებენ მიმოსვლას. ასე, მაგალითად, ხიდების დანგრევის გამო, მე საშუალება არ მქონდა გამეგზავნა გენ. მაზნიევისათვის შეპირებული 2 ჯავშნიანი ავტომობილი.

ამის გამო მე უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია, რომ დაჩქარებით მოხდეს ამ რაიონის საფუძვლიანი გაწმენდა და განიარაღება. თუ საქართველოს მთავრობას სურს, მე მზად ვარ გავგზავნო საქართველოს მთავარსარდლის განკარგულებაში ფოთში, ახალსენაკსა და ოჩამჩირეში მდგომი ჯარები ამ რაიონის გასაჩხრეკად.

ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას შეუფერხებელი მიმოსვლა რკინიგზაზე და ახალსენაკისა და ზუგდიდის გზატკეცილებზე, ხოლო შემდეგ გაწმენდილ იქნას სანაპირო ადგილები უაჩაღური და პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისაგან“[1].

მენშევიკები ცდილობდნენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, დაესახათ, როგორც შავი რეაქციის აჯანყება, როგორც ღალატი დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, „თანამედროვე ვანდეის“ გალაშქრება რევოლუციის წინააღმდეგ და სხვ.

გლეხთა მასების წინააღმდეგ ჯერ არნახული სისასტიკის გასამართლებლად, ნ. ჟორდანია თავის სტატიაში „სოციალდემოკრატია და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანიზაცია“ კვლავ ცდილობდა დაესაბუთებინა ძველი მენშევიკური თეორია გლეხობის რევოლუციური როლის უარყოფის შესახებ და ამტკიცებდა, რომ გლეხობა, საერთოდ, თითქოს, რეაქციურ ძალას წარმოადგენდეს.

„ჩვენს რესპუბლიკას, — სწერდა ნ. ჟორდანია, — ერთადერთი საფრთხე შიგნიდან ემუქრება ჩამორჩენილი გლეხობის მხრივ. რომ გავუმკლავდეთ ამას და შევინარჩუნოთ რევოლუციის მონაპოვარნი, მუშები და მოწინავე გლეხები (იგულისხმეთ კულაკობა, რომელთა სასარგებლოდაც ატარებდნენ მენშევიკები თავიანთ აგრარულ რეფორმას. — გ. ხ.) უნდა გაერთიანდნენ სისტემატური ბრძოლის საწარმოებლად ამ კონტრრევოლუციურ

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი № 50, საქმე № 7, ფურც. 95.

ტალღასთან. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ ამაში, ეს ერთადერთი მაგალითი იქნება ისტორიაში, როდესაც გლეხებმა ვერ დაამხვეს დემოკრატიული რესპუბლიკა და დაადგნენ პოლიტიკური თვითმართველობის გზას"[1].

1919-20 წწ. საქართველოში გლეხთა მასების პოლიტიკურ-კლასობრივი თვითშეგნება კიდევ უფრო იზრდება.

ამ პერიოდში გლეხთა აჯანყებები, თვით მენშევიკური დიქტატურის დამხობამდე, ბოლშევიკური ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა.

ბრძოლის პროცესში ღარიბი და საშუალო გლეხობა თავს აღწევდა ეჭვსა და მერყეობას. მისი რევოლუციური შეგნება თანდათან უფრო მაღლა იწევდა.

- ხალხთა მასებში თანდათან უფრო მტკიცდებოდა რწმენა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას შეუძლია იხსნას იგი ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან და უზრუნველჰყოს მშრომელთა ინტერესები.

---

[1] ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე", სტატიები და სიტყვები, გვ. 119.

საქართველოს პროლეტარიატი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში 1919 წელს

I

1919 წლის დასაწყისიდანვე რევოლუციური კრიზისი მენშევიკურ საქართველოში კიდევ უფრო ღრმავდება. ამასთანავე, ძლიერ მწვავდება აგრეთვე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც.

ეშინოდათ არ იმის, რომ ოდნავადაც არ შეერყიათ კაპიტალისტური სისტემის საფუძვლები და იცავდნენ რა კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, მენშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ მოეზიდნათ საქართველოში უცხოეთის კაპიტალი და მოეწესრიგებინათ კაპიტალისტური მეურნეობა. მაგრამ მათი ჭრუნვა ამ მიმართულებით ოდნავ დადებითი შედეგსაც კი ვერ იძლეოდა. საქართველოს სახალხო მეურნეობა უდიდეს კრიზისს განიცდიდა და აუცილებელი ეკონომიური კატასტროფისაკენ მიექანებოდა.

მენშევიკების მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი ძალადობისა და ტერორის რეჟიმი ფართო მასებს კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის აუტანელ პირობებში აყენებდა. თანდათან მზარდი უმუშევრობა, მეტისმეტი გაჭირვება და ფიზიკური განადგურება — აი, ასეთი იყო საქართველოს მშრომელი მასებისა და, უწინარეს ყოვლისა კი, მისი მუშათა კლასის ხვედრი.

ინტერვენციის ძალთა დახმარებით და საკუთარი სახელმწიფოებრივი აპარატის საშუალებით მენშევიკური მთავრობა ახშობდა მუშათა და მშრომელ გლეხთა უკმაყოფილების ყოველგვარ გამოხატულებას. მთელი თავისი ბატონობის განმავლობაში მენშევიკებმა არა თუ ვერ შეამსუბუქეს, არამედ კიდევ უფრო გაამწვავეს ურთიერთობა კლასთა შორის. 1919 წელს კლასობრივი წინააღმდეგობანი კიდევ უფრო გამწვავდნენ და მათი დაფარვა ნაციონალური ერთიანობის ლოზუნგებითა და კლასთა თანამშრომლობის პოლიტიკით შეუძლებელი გახდა.

ამ ხანებში იწყება მუშათა და მშრომელ გლეხთა განთავისუფლება იმ ნაციონალისტური განწყობილებისაგან, რომელსაც ასე დაბეჯითებით ნერგავდნენ მათში მენშევიკები და სხვა შოვინისტური პარტიები. მიუხედავად იმისა, რომ გაკოტრებული პოლიტიკოსები — ქართველი მენშევიკები — გაბოროტებით განაგრძობდნენ საბჭოთა რუსეთის უსინდისო ცილისწამებას და უნერგავდნენ მშრომელ მასებს ბურჟუაზიულ „სიმბოლოს სარწმუნოებისას", რომ ბოლშევიკებმა და მუშათა კლასმა რუსეთში შესძლეს მხოლოდ ძველი სახელმწიფო აპა-

რატის დანგრევა, მაგრამ მათ არ შესწევთ უნარი მართონ ახალი სახელმწიფო და ააშენონ ახალი სოციალისტური საზოგადოება, საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მაინც თანდათან უფრო მეტი სიმპატიით შეჰყურებდნენ საბჭოთა რუსეთს, სადაც ამ დროს მუშათა და გლეხთა მასები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გმირულ ბრძოლას აწარმოებდნენ საერთაშორისო და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალთა წინააღმდეგ.

საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად, განუხრელად იზრდებოდა მშრომელ მასებში ბოლშევიკური ორგანიზაციის გავლენა და მაღლდებოდა მისი ავტორიტეტი.

მიუხედავად ორგანიზაციის არალეგალური არსებობისა და მენშევიკების მიერ პარტიული რიგების არა ერთხელ დარბევა-განადგურებისა, ბოლშევიკებმა, უდიდესი სიძნელეების გადალახვით და მუშათა კლასის რიგებიდან გამოსული ყველაზე უფრო მებრძოლი და გამობრძმედილი ამხანაგების საშუალებით, მაინც შესძლეს ამ დროს თავის მხარეს გადაებირებინათ მუშათა და გლეხთა დიდი უმრავლესობა.

1919 წელს საქართველოში მომხდარი მასობრივი რევოლუციური მოძრაობა და თანდათან გაძლიერებული ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად ყველგან ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

იცავდნენ რა საქართველოს მიმართ დიდმპყრობელურ და იმპერიალისტურ თეზისებს, მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1918 წლის ზაფხულში, რაღაც უმნიშვნელო სადავო ტერიტორიის გამო ბორჩალოს მაზრაში, მენშევიკური საქართველო მუსავატურ აზერბაიჯანთან შეტაკების საფრთხის წინაშე დააყენეს.

იმავე წლის დეკემბერში ამერიკავკასიაში დაიწყო ავანტურისტული, თავის ილეთებით ყოვლად საზიზღარი ომი მენშევიკურ საქართველოსა და დაშნაკურ სომხეთს შორის. ორივე ქვეყნის გაბატონებულმა პარტიებმა — მენშევიკებმა და დაშნაკებმა — ფართოდ გამოიყენეს ეს ომი ველური ნაციონალისტური და შოვინისტური აგიტაციის საბაბად და ცდილობდნენ მტრობა და შუღლი დაეთესნათ ორივე ერის მშრომელთა შორის [1].

---

[1] ქართველი მენშევიკების იპერიალისტური ზრახვები იმ დროს გამოხატა პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა. მან 1919 წლის დამდეგს დასწერა წიგნი „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით", სადაც ის, რა თქმა უნდა, ტყუილუბრალოდ როდი იგონებს იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიულად „აქვს უფლება" ამერიკავკასიის მთელს ტერიტორიაზეო. „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების საბოლოო მოხაზულობის გამორკვევის დროს, — სწერს ი. ჯავახიშვილი, — ქართველ ერს და მის მთავრობას შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელონ" (გვ. 49), ე. ი. მათ არ შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობის შემადგენლობას, ეთნოგრაფიულ პრინციპებს არამედ მათ ანგარიში უნდა გაუწიონ მხოლოდ სამხედრო დაცვის ინტერესებსო. ი. ჯავახიშვილის პროექტით საქართველოს საზღვრები დიდად

ომის დაწყებისთანავე მენშევიკებმა, მისცეს რა თავიანთ შოვინისტურ გრძნობებს ფართო გასაქანი, დაიწყეს წარმოებიდან სომეხ-მუშათა მოხსნა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსება და სხვ. ბოლშევიკური ორგანიზაცია ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელიც გადაჭრით გამოვიდა ნაციონალისტური დევნისა და დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო და ტფილისის კომიტეტებმა მუშათა არალეგალური ცენტრის საშუალებით დიდი რაოდენობით დაბეჭდეს და გაავრცელეს მიმართვა სომხეთისა და საქართველოს მშრომელებისადმი, სადაც დაუნდობლად ამხელდნენ ორივე ქვეყნის გაბატონებული პარტიების პოლიტიკას.

სომხეთ-საქართველოს ომის საკითხის განხილვის დროს პროფკავშირთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც პროფკავშირთა გამგეობებიც დაესწრნენ, ბოლშევიკებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ომის წინააღმდეგ და მოითხოვეს მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ბოლშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლუცია სასტიკ პროტესტსა და აღშფოთებას შეიცავდა „ეროვნებათა შორის შუღლისა და კაცთმოძულე ინსტინქტების ხელოვნურად შექმნილი ატმოსფერის წინააღმდეგ, რომელსაც სომეხი და ქართველი შოვინისტები აღვიძებენ“.

რეზოლუცია მიმართული იყო ორივე ქვეყნის მუშებისადმი და მოუწოდებდა მათ დაეგმოთ თავისი ერის შოვინისტების გამცემლობა და პროვოკაციული გამოსვლები. ეს რეზოლუცია შემდეგი ლოზუნგით თავდებოდა: „გაუმარჯოს საქართველოსა და სომხეთის მუშებისა და დემოკრატიის სოლიდარობას! ძირს ნაციონალური შუღლი და სიძულვილი!“ [1]

სომხეთ-საქართველოს ომის დამთავრების შემდეგ მენშევიკური საქართველოს შრომის სამინისტრომ დაგზავნა შემდეგი ცირკულარი: „სომხეთთან სამხედრო მოქმედების შეწყვეტის გამო, მთავრობის საწარმოთა უფროსებს წინადადება ეძლევათ იხელმძღვანელონ შემდეგით:

1) სომეხი-მუშები, რომლებიც მოხსნილნი იყვნენ სამუშაოდან, დაშვებულ უნდა იქნან სამუშაოზე, გარდა არსენალისა და საარტილერიო საწყობის მუშებისა და სხვა საწარმოთა პასუხისმგებელი შემანქანეებისა და მექანიკოსებისა.

2) სომეხი-მუშები, რომლებიც დათხოვნილნი არიან სამსახურიდან ომის დროს, უკანვე მიიღებიან პროფკავშირისა და ს.-დ. მუშათა პარტიის თავდებობით“[2].

ამნაირად, მიუხედავად ომის დამთავრებისა, სომეხი-მუშები საქართველოში კვლავ არასწორუფლებიან მოქალაქეებად რჩებოდნენ. მუშების მიღება სამსახურში შეიძლებოდა მხოლოდ პროფკავშირისა და მენშევიკური ორგანიზაციის რეკომენდაციით. მთელ რიგ საწარმოებში და ზოგიერთ ისეთ დარგში,

---

უნდა გაფართოებულიყო (შედგენილი იყო აგრეთვე ხათანადო[რუკაც) სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის ხარჯზე.

იმპერიალისტურ ზრახვებში მენშევიკებს არც დაშნაკელები და მუსავატელები ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, დაშნაკელები პრეტენზიებს აცხადებდნენ ტფილისსა და ბათომზე.

[1] საქ. პროფმოძრაობის არქივი, ფონდი № 3, საქმე № 32, გვ. 23—26.

[2] პროფმოძრაობის არქივი, ფონდი № 3, საქმე № 18, ფურცელი 31.

სადაც კვალიფიციური შრომა იყო საჭირო, სომეხ-მუშებს სრულიად არ ღებულობდნენ. თავიანთ ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკას მენშევიკები იმით ამართლებდნენ, რომ ყველა სომეხ-მუშას ბრალს სდებდნენ ბოლშევიზმში და აგრეთვე იმაში, რომ ისინი თითქოს საქართველოს „დამოუკიდებლობის" მოსპობას ცდილობდნენ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მენშევიკები წინანდებურად განაგრძობდნენ თანამშრომლობას რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულურ კონტრრევოლუციასთან. სიტყვით მენშევიკები „მტკიცე ნეიტრალიტეტს" იცავდნენ, ხოლო საქმით განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჯერ კიდევ 1918 წ. 25 სექტემბერს ეკატერინოდარში (ამჟამად კრასნოდარი) შესდგა მოხალისეთა არმიის, კუბანის მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირი.

ამ თათბირს დაესწრნენ გენერლები: დენიკინი, ალექსეევი, რომანოვსკი, დრაგომიროვი და ლუკომსკი, კუბანის მთავრობის წარმომადგენელი ბიჩი და საქართველოს წარმომადგენლები — გენერალი მაზნიევი და საგარეო საქმეთა მინისტრი მენშევიკი ე. გეგეჭკორი. ცდილობდა რა გაეფანტა მეფის გენერლების უნდობლობა მენშევიკური მთავრობისადმი და დაემყარებინა მათთან მჭიდრო კავშირი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ე. გეგეჭკორი არწმუნებდა თავის თანამოსაუბრეებს, რომ საქართველოს მთავრობას უკვე დიდი დამსახურება აქვს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხზე, — ამბობდა გეგეჭკორი, — შემიძლია განვაცხადო, რომ ბოლშევიზმს ჩვენს საზღვრებში სასტიკად ვებრძვით. ჩვენ ყოველგვარი საშუალებით, რაც კი ჩვენს განკარგულებაშია, ვაქრობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრება, და მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ამას თავისთავად ლაპარაკობენ"[1].

ბოლშევიკების წინაარმდეგ ბრძოლაში მენშევიკები არავითარ დანაშაულს არ ერიდებოდნენ. 1919 წლის დასაწყისში მათ დენიკინს გადასცეს ის ბოლშევიკები, რომლებიც ჩრდილოეთ-კავკასიიდან უკანდახევის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდნენ საქართველოს სამხედრო გზით. იმავე წლის აპრილში კვლავ გადაეცა დენიკინს რამდენიმე ათეული წითელარმიელი და საბჭოთა მუშაკი, რომლებიც თერგის ოლქიდან იყვნენ გამოქცეულნი იმ მიზნით, რომ თავი დაეცვათ დროებით ოფიცრულ-კულაკური კონტრრევოლუციისაგან[2].

---

[1] დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, გვ. 405.

[2] სარეგ. მუზეუმი, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიმართვა „უკანასკნელი ამბების შესახებ".

ინტერნირებული ბოლშევიკების აუცილებელი დაღუპვის მიზნით მათი მტერთათვის გადაცემის ამ გამცემლურ ფაქტებში რომ მენშევიკური მთავრობის პირდაპირი დირექტივი იყო, ეს სჩანს მენშევიკების ც. კ-ის 1919 წლის 14 თებერვლის სხდომის ოქმის შემდეგი ამონაწერიდან:

„...მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ბოლშევიკების შესახებ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ინტერნირებულნი სანიტარული მოსაზრებით მოთავსებულ იქნან კარანტინში, შემდეგ მიღებულ იქნას ზომები მათი რუსეთში გაგზავნისათვის“[1].

მიიღო თუ არა ეს დირექტივა, ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლება დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ შეუდგა მის განხორციელებას, მხოლოდ „სანიტარული მოსაზრებანი“ მას, როგორცა სჩანს, ზედმეტად მოეჩვენა და ამიტომ ამ ხელისუფლებამ რუსი ბოლშევიკები ჯერ გაძარცვა, შემდეგ საშინლად სცემა მათ და დაუყოვნებლივ გარეკა უკან — ჩრდილოეთისაკენ, სადაც მათ აუცილებლივ სიკვდილი მოელოდათ.

სულ სხვანაირად ეპყრობოდნენ შემდეგში მენშევიკები დამარცხებულ და საქართველოს საზღვრებში სიცოცხლის შესანარჩუნებლად შემოხიზნულ დენიკინის თეთრი არმიის ნაწილებს. დენიკინის არმიის ოფიცრებს მენშევიკები გულთბილად უხვდებოდნენ, უწევდნენ მათ ფულად დახმარებას და სასწრაფოდ გზავნიდნენ ყირიმში ვრანგელის არმიის შესავსებად.

II

1919 წელს საქართველოში, მრეწველობის თითქმის ყველა დარგში, წარმოების კიდევ უფრო მეტი შემცირება ხდებოდა, რის გამოც შრომის ბაზარს უმუშევართა სულ ახალ-ახალი კადრები ემატებოდა. შრომის სამინისტროს ცნობით, მუშათა ყველაზე მეტი შემცირება მაშინ ლითონის დამმუშავებელ და თამბაქოს მრეწველობაში ხდებოდა. ტფილისში დაიხურა კოლოფებისა და ფეხსაცმელების ფაბრიკები და მთელი რიგი ტყავეულობის ქარხნები. მომქმედი საწარმონი კი მუშაობდნენ ნაწილობრივად, მინიმალური დატვირთვით და მუშების მეტად არასრული კომპლექტით.

ამასთან ერთად, დაიხურა მთელი რიგი მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო წარმოება-დაწესებულებანი, ხოლო დანარჩენებში გატარდა შტატების დიდი შემცირება. განსაკუთრებით მწვავე კრიზისს განიცდიდა საქართველოს სამთამადნო მრეწველობის უდიდესი დარგი — შარგანეცის მრეწველობა. ჭიათურის მადნის სარეცხი 26 ქარხნიდან მხოლოდ სამი ქარხანა მუშაობდა. მენშევიკების

[1] მენშევიკების ც. კ-ის 1919 წლის 14 თებერვლის სხდომის ოქმი (ინახება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტ. ტფ. ფილ. არქივში).

ცდამ — აღედგინათ მარგანეცის მრეწველობა უცხოეთის კონცესიის საშუალებით — ნაყოფი ვერ გამოიღო. ძნელი შეიქნა აგრეთვე მარგანეცის უცხოეთის ბაზრებზე გატანის საქმის მოწესრიგებაც.

მთავრობის სპეციალური კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო ჭიათურაში მარგანეცის მრეწველობის გამოსაკვლევად, იძულებული იყო აღენიშნა, სხვათა შორის, თავის მოხსენებაში მუშათა იმ მცირე კადრის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, რომელიც შერჩენოდა იმ ხანებში მრეწველობას.

„ჭიათურაში, — ნათქვამია მოხსენებაში, — არ არსებობს მუშათა ინტერესების დამცველი სპეციალური ორგანო, ბევრ საწარმოში შრომის დაცვის კანონები ირღვევა, ზედმეტ მუშაობაში მუშები იმაზე ნაკლებს ღებულობენ, რაც მათ კანონით ერგებათ; ავადმყოფობის დროს მუშებს დახმარებას არსაიდან არ ღებულობენ, არ არსებობს საავადმყოფო სალარო, არ არის მოწესრიგებული მუშათა მომარაგება პურითა და სხვა პროდუქტებით“ [1].

წარმოების შემცირებას მენშევიკები სათბობი მასალისა და ნედლეულის ნაკლებობით და აგრეთვე სამრეწველო საქონლის გაუსაღებლობით ხსნიდნენ. მეწარმენი კი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ისინი ხურავენ თავიანთ საწარმოებს მუშათა მაღალი ხელფასის გამო. მენშევიკი გოლდმანი იძულებული იყო აღენიშნა ეს თავის მოხსენებაში — „სიძვირე და რეალური ხელფასი“, რომელიც წაიკითხა მან საქართველოს პროფკავშირთა პირველ ყრილობაზე 1919 წლის აპრილში.

„როცა მეწარმეს, — განაცხადა მან, — ხელფასის გადიდებისაკ არ შეუძლია მთლიანად გადაიტანოს იგი მომხმარებელზე, ის ახდენს თავის საწარმოს ლიკვიდაციას, ხურავს მას, რაკი არ სურს თუნდაც ოდნავ შეამციროს თავისი მოგება. თანამედროვე პირობებში მისთვის უფრო ხელსაყრელია საწარმო დახუროს და თავისი კაპიტალი სპეკულაციაში დააბანდოს“ [2].

მართლაც ზედმეტი მოგების მიზნით ბურჟუაზიას უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა თავისი კაპიტალი ვაჭრობაში დაებანდებინა. სპეკულაციურმა ვაჭრობამ საქართველოში საშინელი სახე მიიღო, რითაც მან მენშევიკური საქართველოს ისედაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა და გააღრმავა.

სპეკულაციის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს ის მდგომარეობა, რომ საქართველომ, რუსეთთან კავშირის გაწყვეტით, დაკარგა ის ბაზარი, სადაც წინათ გაჰქონდათ მისი სასოფლო მეურნეობის ზედმეტი პროდუქტები: თამბაქო, ბრეშუმი, ღვინო, ხილი და სხვ., რომელთა ნაცვლადაც საქართველო ჯარსა და სამრეწველო საქონელს ღებულობდა. მენშევიკების ყოველგვარი ცდები — მოეწესრიგებინათ ნორმალური საქონელბრუნვა დასავლეთ-ევროპის ბაზრებთან

---

[1] პროფმოძრაობის არქივი, ფონდი № 3, საქმე № 52, გვ. 6.

[2] საქართველოს პროფკავშირთა პირველი ყრილობის ოქმები; გვ. 49.

და ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობებთან — უნაყოფო გაძოდგა. კაპიტალისტური ევროპა იმით კმაყოფილდებოდა, რომ საქართველოში მხოლოდ გაუსაღებლად დარჩენილი საქონელი და მეტწილად ფუფუნების საგნები შემოჰქონდა. ჩრდილო-კავკასია პურის ნაცვლად ისეთ საქონელს მოიმხრავდა, რომელიც საქართველოშიაც დეფიციტური იყო. გასაკვირალი არ არის, რომ ასეთ პირობებში ფართო გამოყენება ჰპოვა ეგრეთწოდებულმა კერძო ინიციატივამ, რომელსაც ხელფეხი უკვე გახსნილი ჰქონდა და თავისუფლად უწყობდა ხელს სპეკულაციის გაჩაღებას.

ახორციელებდნენ რა წმინდა კაპიტალისტურ ეკონომიურ პოლიტიკას და არ მოპოვებოდათ რა არავითარი შინაური რესურსები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, მენშევიკები ნებაყოფლობით ვარდებოდნენ უცხოეთის კაპიტალის ხელში და თავგამოდებით ცდილობდნენ კონცესიით მიეცათ უცხოელი კაპიტალისტებისათვის სახალხო მეურნეობის უფრო დიდმნიშვნელოვანი დარგები. მაგრამ უცხოეთის კაპიტალი მეტად უხალისოდ მოდიოდა საქართველოში და ამიტომ მენშევიკებმა შესძლეს მხოლოდ რამდენიმე ეკონომიური ხელშეკრულების დადება ცალკეულ საწარმოებთან. ასე, მაგალითად, დადებულ იქნა ხელშეკრულება იტალიის საზ-ბა „ილვასთან" მისთვის ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების საკონცესიოდ გადაცემის შესახებ, ფრანგულ სავაჭრო სახლთან — „ფერაფ-ჟიროსთან" და ფრანგ მეაბრეშუმეთა სინდიკატთან აბრეშუმის ნედლეულის გასაღების შესახებ და სხვ.

1919 წელს ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე შეიქნა. საგრძნობი გახდა პურისა და სხვა საკვები პროდუქტების უკიდურესი ნაკლებობა. ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე დღითიდღე იზრდებოდა. მენშევიკების მიერ გამოცემული ფულის ნიშნების (ბონების) ფასი კი კატასტროფულად ეცემოდა. თუ რამდენად დაეცა ფულის ფასი, ამის წარმოდგენას შემდეგი ცნობა იძლევა: მენშევიკების მთავრობამ გამოუშვა 16.976.082.000 მანეთის ბონები. შაგრამ ფულის ტრიალის ღირებულება საქართველოში 1920 წლის 1-ლი იანვრისათვის ომის წინადროინდელი მანეთის კურსის მიხედვით უდრიდა 5.226.236 მანეთს, 1921 წლის 1-ლი იანვრისათვის კი ის უკვე 2.900.850 მანეთამდე დაეცა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მეტად დიდი დეფიციტით სდგებოდა. 1918 წელს დეფიციტი 74%-ს შეადგენდა, ხოლო 1919-20 წწ. იგი უკვე 79%-მდე ავიდა[1].

საერთო საფინანსო-ეკონომიური კრიზისი, უწინარეს ყოვლისა, საგრძნობი იყო მშრომელი მასებისათვის. კატასტროფა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ საქართველოს ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „საქართველოც" კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ:

„ჩვენში სიძვირე საარაკოდ იზრდება. ის სულს უხუთავს გლეხსა და მუშას, აღრჩობს მოხელეს, აღატაკებს მესაკუთრეს, სპობს და ასნეულებს ბავშვებს... არის მხოლოდ ერთი ჯგუფის ხალხი, რომლებიც სწუწნიან სისხლს ქართველ ხალხს. ეს გახლავთ ადგილობრივი და უცხო სპეკულან-

[1] ა/კ-ის საფინანსო-სტატისტ. ცნობარი, გვ. 21.

ტები... სიძვირე და სპეკულაცია წარმოშვა ჩვენმა მოდუნებულმა და დაავადებულმა ეკონომიკამ... და ყალბად ამოძრავებულმა ფინანსიურმა აპარატმა... ჩვენი მთავრობის ბრძოლა უნაყოფო გამოდგა"[1].

შრომის სამინისტროსთან არსებული სატარიფო პალატის ცნობებით, პირველი მოთხოვნილების საგნებზე არსებული ფასებისა და მუშათა საშუალო ხელფასის ურთიერთ შეფარდება შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა:

	ფასები პროდუქტებზე	შრომის ხელფასი
1914 წელს	100	100
1915	115,38	106,28
1916	176,91	123,85
1917	276,92	128,57
1918 „	1167,69	418,41
1919 წ. აპრილში	6430,77	1616,74
1919 წ. სექტემბერში	7545,15	2182,23[2].

შრომის ხელფასი 1914—19 წწ. განმავლობაში ნომინალურად 21,8-ჯერ გადიდდა, საკვებ პროდუქტებზე კი ფასები 75,5-ჯერ გაიზარდა, ე. ი. თითქმის ოთხჯერ უფრო მეტად გადიდდა, ვიდრე ნომინალური ხელფასი. მუშათა მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ფულის ნიშნების კურსი დღითიდღე კატასტროფულად ეცემოდა, რის გამოც კიდევ უფრო იზრდებოდა უფასკრული მუშის საარსებო მინიმუმსა და მის ბიუჯეტს შორის. მშრომელები ნახევრად მშივრები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ზედმიწევნით გაურბოდნენ მუშათა კლასის ასეთი სავალალო და გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზთა ახსნა-განმარტებას, მათ მაინც ვერ შესძლეს თვით ამ ფაქტის დაფარვა. მაგალითად, 1919 წ. ნოემბერში რკინიგზელთა ყრილობაზე შრომის მინისტრის ამხანაგი ერაძე იძულებული იყო განეცხადებინა:

„საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მეტად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მისი სიღარიბე და გაჭირვება აღწევს უკიდურეს წერტილს, რომლის შემდეგაც ამ პროცესის კიდევ უფრო ჩქარ განვითარებას და მუშათა კლასის ფიზიკურ გადაგვარებას უნდა მოველოდეთ. ჩვენი საზოგადოების არცერთი დემოკრატიული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როგორშიაც ქალაქის მუშები იმყოფებიან"[3].

მენშევიკებიც იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ აგრეთვე წარმოების კატასტროფული დაცემა და მუშათა შრომის ნაყოფიერების მკვეთრი შემცირება. შრომის ნაყოფიერება განსაკუთრებით დაბალი იყო თვით რკინიგზის მუშა-

---

[1] გაზ. „საქართველო", 1920 წლის 12 ნოემბერი.

[2] საქ. პროფკავშირთა საბჭოს ორგანო—„რაბოჩაია ჟიზნ" № 11, 1919 წ.

[3] პროფმოძრ. ჯრქ., ფონდი № 3, საქმე № 280, შრომის სამინისტრო, 1919 წ., ფურც. 4-ნ.

თა შორისაც კი, რომელთა უკეთ მომარაგებაზედაც მენშევიკები გაცილებით უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე დანარჩენი კატეგორიების მუშათა მომარაგებაზე. ნ. ჟორდანიას სიტყვით, ტფილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში შრომის ნაყოფიერება დაეცა არა ნაკლებ 60%[1].

რომ შეექმნათ ისეთი ილუზია, რომ თითქოს მენშევიკები მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იბრძვიან, მენშევიკური მთავრობის შრომის სამინისტრომ 1919 წ. ოქტომბერში გაატარა კანონპროექტი მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების ფონდის მოწყობის შესახებ. ამ ფონდის შესაქმნელად ყველა საწარმონი და დაწესებულებანი ვალდებულნი იყვნენ თავის საწარმოში თუ დაწესებულებაში მომუშავე თვითეულ მუშაზე ან მოსამსახურეზე შეეტანათ 1000 მანეთი. შრომის სამინისტროს გამოანგარიშებით, რადგან საქართველოში სულ 54.701 მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა, მათი მომარაგების ფონდისათვის უნდა შეგროვილიყო 80 მილიონი მანეთი (აქედან 50 მილიონი მანეთი უნდა შეეტანა მთავრობას, ხოლო 30 მილ. მანეთი — კერძო მეწარმეთ). მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ მუშათა მომარაგების საქმის ორგანიზაციით ისინი შესძლებდნენ „მუშათა გადაჭარბებული მოთხოვნების ალაგმვას შრომის ხელფასის გადიდების შესახებ“.

მაგრამ არც ამ ბიუროკრატიულ ღონისძიებას შეეძლო მოეტანა რაიმე არსებითი შედეგი, საერთო სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების შეუცვლელად. იმ დროს, როცა სპეკულაცია უალრესად ,ვითარდებოდა და მენშევიკები ნაციონალურ ბურჟუაზიას მფარველობას უწევდნენ, პროექტით გათვალისწინებული ფონდი სრულიად არ იყო საკმარისი აუცილებელი შესასყიდი ოპერაციების ჩასატარებლად; ფაქტიურად, სხვათაშორის, არც კი შეროვილა ის თანხა, რომელიც გამოანგარიშებული ჰქონდა შრომის სამინისტროს. ამიტომ, გასაკვირალი არ არის, რომ მენშევიკურ ღონისძიებებს მუშები აშკარა უნდობლობით ეპყრობოდნენ.

„სასურსათო საკითხი და, მაშასადამე, შრომის ხელფასის საკითხიც, — სწერს მუშა-კორესპონდენტი გაზ. „სოციალ-დემოკრატში“, — შეიძლება ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად იქნას გადაჭრილი მხოლოდ მაშინ, როცა მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდება მუშათა კლასი თავისი უმაღლესი ორგანოს — მუშათა დეპუტატების საბჭოს სახით. მხოლოდ საბჭოს შეუძლია დადგეს კლასობრივი პოლიტიკის გზაზე, იმ გზაზე, რომლითაც გადაჭრით და თანამიმდევრულად განხორციელდება პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს გადარჩევა უნდა იყოს“[2].

---

[1] 1916 წელს მთავარ სახელოსნოებში 1900 მუშა მუშაობდა. პირველი 6 თვის განმავლობაში მუშებმა 60 ორთქლმავალი შეაკეთეს. 1919 წ. 6 თვის განმავლობაში იმავე რაოდენობის მუშებმა შეაკეთეს სულ 26 ორთქლმავალი, რაც 40% შეადგენს (იხ. „ერთობა“ № 150, 1919 წ.).

[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ № 77, 1919 წ.

1919 წ. გაზაფხულზე მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სატარიფო პალატის დაარსების შესახებ. პალატის მიზანს დებულების მიხედ-ვით შეადგენდა „შრომის ხელფასის საკითხის მოწესრიგება, იმ ფორმებში, რაც მას შესაძლებლად მიაჩნია თანამედროვე ეკონომიურ პირობებში". პალატას უნდა შეესწავლა წარმოების ცალკეული დარგების მდგომარეობა, თვალყური უნდა ედევნებინა შრომისა და სასურსათო ბაზრის სტატისტიკისათვის და დაესახა სიძვირესთან ბრძოლის საშუალებანი. მთელი ამ მასალის შესწავლის საფუძველზე პალატას უნდა დაეწესებინა შრომის ხელფასის როგორც მინიმუმი, ისე მაქსიმუმი მუშათა თვითეული კატეგორიისათვის.

ამ პალატის მოღვაწეობამ დაგვანახა, რომ თავის ძირითად მოვალეობად მას ცალკეულ პროფკავშირთა „მაქსიმალისტური მოთხოვნების" წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნდა.

სატარიფო პალატა ეწყობოდა მუშათა და დამქირავებელთა პარიტეტული წარმომადგენლობის პრინციპზე, ხოლო პალატის თავმჯდომარეს ნიშნავდა შრომის სამინისტრო. მაგრამ, უკვე პალატის პირველ სხდომაზე, რომელიც 1919 წლის 25 მაისს შესდგა, დამქირავებელნი რიცხობრივად მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს სჭარბობდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მენშევიკური პროფკავშირული ზედაფენები არ გამოხატავდნენ და მათ არც შეეძლოთ გამოეხატნათ მუშათა მასების ინტერესები, სავსებით გასაგები იქნება ანტიმუშური ხასიათი იმ სატარიფო პალატის მოღვაწეობისა, რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე მუშებს სასტიკად დაეჯახა.

ამიტომ უდიდეს თვალთმაქცობას შეიცავდა მენშევიკების სიტყვები,[1] როცა ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სატარიფო პალატა უნდა გახდეს:

„საქართველოს კლასობრივ-საორგანიზაციო პროფესიული მოძრაობის უმაღლეს ფორმად და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მუშათა კლასის ჩარევის საშუალებად"[1].

თუ რამდენად შესწევდა უნარი სატარიფო პალატას დაეცვა მუშათა ინტერესები, ეს თუნდაც იმ ფაქტიდან სჩანს, რომ ხელფასის მომატება სატარიფო პალატამ დაიწესა 1920 წლის 1-ლი იანვრიდან სულ 60%-ის რაოდენობით, მაშინ როცა ცხოვრების გაძვირება ამ ხანებში 216,3%-ს შეადგენდა[2].

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი „სახალხო პოლიტიკის" გატარების დროს სატარიფო პალატა მთელი სისასტიკით ეჯახებოდა მუშათა ინტერესებს. მაგალითად, ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირმა, რაკი ვერ მიაღწია იმას, რომ პალატას მოეწესრიგებინა მუშათა ხელფასის გადიდების საქმე, გამოატანა შემდეგი დადგენილება:

„ერთი კვირის განმავლობაში გადასინჯული იქნას პალატის მიერ დაწესებული მომატება; შეუსრულებლობის შემთხვევაში, დატოვებულ იქ

[1] იხ. ლ ი ა დ ო ვ ი ს მოხსენება: „სატარიფო პალატა, მისი მუშაობა და მნიშვნელობა" ჟურნალი „რაბოჩაია ჟიზნ" № 1, 1919 წ.

[2] ჟურნალი „რაბოჩაია ჟიზნ" № 3, 1919 წ.

ნას ჩვენს განყარგულებაში მოქმედების თავისუფლება, ე. ი. შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი ურთიერთობა სატარიფო პალატასთან და სატარიფო განაკვეთები გატარებულ იქნას ჩვენივე ძალღონით"[1].

ანალოგიური ულტიმატური მოთხოვნა წაუყენა პალატას თამბაქოს მუშათა კავშირმაც, რომელიც მოითხოვდა ხელფასის 100%-ით გადიდებას იმ პირობით, რომ მეწარმეს უფლება არ ჰქონოდა ფასები გაეიდიდებინა თამბაქოს ნაწარმებზე.

სატარიფო პალატის პოლიტიკის წინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას აწარმოებდნენ აგრეთვე სხვა პროფკავშირებიც: მეტყველები, მელითონეები, ფარმაცევტები და სხვ.

მენშევიკებს, რომლებიც ყოველმხრივ ზღუდავდნენ მუშათა მოძრაობას და გაფრცვის თავისუფლებას, 1919 წელსაც კი არ გამოუციათ დიდი ხნის წინათ დანაპირები კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ.

„სინაძდვილეში კი, — სწერდა თავის მეთაურში პროფკავშირული ორგანო, ჟურნალი „რაბოჩაია ჟიზნ" 1919 წლის 28 დეკემბერს, — გამოცემა (შრომის ხელშეკრულების კანონისა. — გ. ხ.) უაღრესად არსებითსა და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან რევოლუციის წინადროინდელი საქარხნო კანონმდებლობის დღემდე გაუქმებული ნორმები და ამიერკავკასიის კომისარიატის მომქმედი დეკრეტი, მიღება და დათხოვნა სრულიად არ შეეფერება არც წარმოების მოთხოვნებს და არც მისი განვითარების პირობებს"[2].

გამომუშავებულ კანონპროექტს ამ ჟურნალის აღიარებით, საკმაოდ დიდი ნაკლი ჰქონდა, იგი მეტად ჰკვეცდა მუშათა ორგანიზაციების უფლებებს. გარდა ამისა, მისი მოქმედება არ ეცელდებოდა იმ პირებზე, რომელნიც ფიზიკურ ან გონებრივ შრომას ეწეოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში და აგრეთვე საქალაქო და საერობო თვითმართველობებში.

„ამნაირად, — სწერდა „რაბოჩაია ჟიზნ", — მშრომელთა უდიდესი რაოდენობა კანონის მფარველობის გარეშე რჩება, მაშინ როდესაც მათი უფლებების უზრუნველმყოფი სხვა კანონები ჯერ კიდევ არ გამოცემულა"[3].

III

მთელი 1919 წლის განმავლობაში საქართველოში არსებულ საწარმოებში განუწყვეტელი კონფლიქტები და მუშათა გაფიცვები ხდებოდა. ამასთან, საგაფიცვო მოძრაობაში ფართო მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სახელმწიფო

[1] ჟურნალი „რაბოჩაია ჟიზნ" № 4, 1919 წ.
[2] „რაბოჩაია ჟიზნ" № 15, 1919 წ.
[3] იქვე.

დაწესებულებათა მოსამსახურენიც. მუშათა და მოსამსახურეთა, გაფიცვების უმეტესობას შეუპოვარი და ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. საგაფიცვო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შიშით მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წ. გაზაფხულზე ახალი კანონი გამოსცა პროფკავშირთა შესახებ; ამ კანონის მიხედვით პროფკავშირები „ნეიტრალურ ორგანიზაციებად“ უნდა გამხდარიყვნენ და უნდა აეღოთ თავისთავზე ვალდებულება, რომ არავითარი მოთხოვნები არ წაეყენებინათ მეწარმეთა და დაწესებულებათათვის, სანამ ეს მოთხოვნები განხილული და მოწონებული არ იქნებოდა პროფკავშირთა საბჭოს მიერ, ხოლო შემდეგ სატარიფო პალატის მიერაც.

1919 წლის თებერვალში ქუთაისში გაფიცული იყვნენ საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურენი. გაფიცვას ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა და ის მხოლოდ მას შემდეგ შესწყდა, როცა საქმეში ჩაერია შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელმაც ადმინისტრატიული ზომების მიღებით აიძულა გაფიცულნი მუშაობა დაეწყოთ. დიდი კონფლიქტი ჩამოვარდა ქუთაისშივე საკავშირო-სამრეწველო საქციო საზოგადოებასა და მის მუშა-მოსამსახურეთა შორის, რომელნიც მოითხოვდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევას საწარმოს ხარჯზე და აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება-დათხოვნას მხოლოდ შრომის ბირჟის საშუალებით[1].

1919 წლის ივნისში კონფლიქტი ჩამოვარდა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობასა და მის მუშა-მოსამსახურეთა შორის, იმ ნიადაგზე, რომ ამ უკანასკნელთ რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასი მიუღებელი ჰქონდათ.

მარტში ტფილისში დიდი უთანხმოება ჩამოვარდა მელითონეთა კავშირსა და მეფაბრიკე-მექარხნეთა საზოგადოებას შორის. მეწარმეებმა უარი სთქვეს საერთო კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე და წინადადება მისცეს მელითონეთა კავშირს ცალცალკე დაედოთ ხელშეკრულება თვითეულ მეწარმესთან. მელითონეთა კავშირი ამ წინადადებაზე არ დათანხმდა და დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ გაფიცვა გამოაცხადა. ერთსულოვანი გაფიცვის გავლენით მეწარმენი იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და დაედოთ კოლექტიური ხელშეკრულება.

სამღებრო და სამრეცხაო საწარმოთა პატრონებმა არ მოისურვეს კოლექტიური ხელშეკრულების დადება, რამაც ივნისში ამ საწარმოთა მუშების გაფიცვა გამოიწვია. თავის მიმართვაში ტფილისის მუშებისადმი საგაფიცვო კომიტეტი სწერდა:

„რაკი ნახევრად-მშიერ მდგომარეობაში ჩვენ აღარ შეგვწევდა ძალღონე განგვეგრძო მუშაობა და რაკი უკვე ამოწურული იყო კოლექტიური ხელშეკრულების დადების ყოველივე საშუალება, ჩვენ იძულებული გავხდით 10. ამა ივნისს გამოგვეცხადებინა ეკონომიური გაფიცვა“[2].

კიდევ უფრო ადრე, მაისში, გაიფიცნენ წინანდლის სახელმწიფო მამულის მუშები, რომელნიც მოითხოვდნენ შრომის ხელფასის მომატებას. გაფიცვის

[1] პროფმოძრაობის არქივი, საქმე № 3, გვ. 175.
[2] ბოლშ. გაზეთი „ვოლნა“ № 4, 1919 წ.

ლიკვიდაციის მოსახდენად მამულში გამგზავრება მოუხდათ პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელს და შრომის მინისტრს.

ივნისში გაიფიცნენ ბორჯომის ყველა საწარმონი. 1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ტფილისში გაიფიცნენ ტრამვაისა და პურის საცხობების მუშები, ფარმაცევტები, თამბაქოს მუშები, საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურენი და სხვ. ქუთაისსა და მის რაიონში გაფიცვა გამოაცხადეს საშუალო და დაბალი სკოლების მასწავლებლებმა; ფოთში გაიფიცნენ ნავთსადგურისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშები. ამავე პერიოდში გაფიცულნი იყვნენ შავიხღვის სანაპირო რკინიგზის მშენებლობის მუშები და აგრეთვე სოხუმისა და ჭიათურის მუშები. დიდი კონფლიქტი ჩამოვარდა ამავე დროს მთავრობასა და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს მუშებს შორის; გაფიცულნი იყვნენ აგრეთვე ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშები ნატანებში, ლანჩხუთსა და საჭილაოში.

13 და 27 მაისს ტფილისში მოწვეულ იქნა დეპოსა და მთავარ სახელოსნოების მუშათა მრავალრიცხოვანი კრებები იმ ახალი ტარიფების განსახილველად, რომელიც გამომუშავებული იყო შრომის სამინისტროს მიერ რკინიგზელთათვის. როგორც ცალკეულ გამოსვლებში, ისე კრებათა მიერ მიღებულ რეზოლუციებში, რკინიგზელებმა სასტიკად გაკიცხეს მენშევიკური მთავრობისა და რკინიგზელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პოლიტიკა, რომელიც,

„ნაცვლად იმისა, რომ დაიცვას აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესები, ნაცვლად იმისა, რომ შეიტანოს მასებში კლასობრივი თვითშეგნება, ჩაუნერგოს მათ შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა და დარაზმოს მასები რეაქციურ-შოვინისტური ელემენტების წინააღმდეგ, მარტო იმას უნდება, რომ სძებნოს მშრომელთა რიგებში „პროვოკატორები“ [1].

ამ კრებებმა, როგორც ბოლშევიკური გაზ. „ვოლნა“ სწერდა, გვიჩვენეს, რომ მენშევიკებს „რკინიგზის პროლეტარიატიც ემიჯნება“ [2].

ამნაირად, 1919 წელს საქართველოში არ ყოფილა მუშათა არც ერთი კატეგორია, რომელსაც არ მიეღოს მონაწილეობა საგაფიცვო ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ საგაფიცვო მოძრაობის ჩასაშლელად და ჩასაქრობად.

ამ პერიოდის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საგაფიცვო გამოსვლად უნდა ჩაითვალოს ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვა.

მენშევიკების ხელში ქ. ტფილისის უდიდესი საქალაქო მეურნეობა მწვავე კრიზისს განიცდიდა და საბოლოო დანგრევის პირად იყო. 1918 წლის განმავლობაში ქალაქის თვითმართველობის დეფიციტი 26 მილიონ მანეთს უდრიდა. თავიანთი პოლიტიკის ერთგული მენშევიკები უარს ამბობდნენ ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენ. მათ არჩიეს საფინანსო კრიზისის მთელი სიმძიმე მუშებსა და მოსამსახურეებზე გადაე-

[1] ბოლშ. გაზ. „რაბოჩი“ № 2, 1919 წ.
[2] ბოლშ. გაზ. „ვოლნა“ № 2, 1919 წ.

ტანათ. ქალაქის გამგეობა შტატებს ამცირებდა და, მუხედავად დაბალი ხელფასისა, მუშა-მოსამსახურეებს კეთილი ჯამაგირს მაინც მთელი თვეობით არ აძლევდა.

1919 წლის იანვარში ქალაქის გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს მისმა ცალკეულმა სექციებმა კატეგორიული მოთხოვნები წარუდგინეს, რომ მიეღოთ ზომები მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის მისაცემად. ზოგიერთი სექცია გაფიცვის გამოცხადებასაც მოითხოვდა. კავშირის მიერ მიღებულ ცნობათა მიხედვით, ავადმყოფობა და სიკვდილიანობა მუშა-მოსამსახურეთა შორის, ქრონიკული შიმშილობის ნიადაგზე, მეტისმეტად გაძლიერდა. მაგრამ ქალაქის გამგეობა მაინც არ ცდილობდა რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა, რომ დაეკმაყოფილებინა მუშათა კანონიერი მოთხოვნები. ეს კიდევ ცოტაა, მაგრამ მან უარი სთქვა კავშირის მიერ წარდგენილი კოლექტიური ხელშეკრულების განხილვაზე და გაილაშქრა იმ საარბიტრო კომისიის დაარსების წინააღმდეგ, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა კავშირისა და ქალაქის გამგეობის ურთიერთ დამოკიდებულება, ვიდრე კოლექტიურ ხელშეკრულებას ხელს მოაწერდნენ. ასეთ პირობებში მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა აუცილებელი შეიქნა.

აი როგორ აგვიწერს ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა ძდგომარეობას საგაფიცვო კომიტეტი ქ. ტფილისის ყველა მუშისა და ღარიბი მოსახლეობისადმი 1919 წლის 27 მარტის თარიღით მიმართულ მოწერდებაში:

„ჩვენი მშიერი დედების, ცოლებისა და ბავშვების ოხვრა-კვნესა გვაიძულებს ჩვენ, გაჭირვებულთ და შიმშილით დატანჯულთ, ფიზიკური ძალღონის უქონლობის გამო, მივატოვოთ სამუშაო.

უკვე მეორე წელიწადია, რაც ჩვენ ქრონიკულად მთელი სამთვეობით ვერ ვღებულობთ საარსებოდ ისედაც არასაკმარის ჯამაგირს.

ქალაქის გამგეობას არ სურს შეაწუხოს მქონებელი კლასები, ის მთელს ქალაქში ყველაზე მდიდარ ბანკირებად, როგორცა სჩანს, ქალაქის მუშებს სთვლის (რომლებიც თვიურად ღებულობენ 250 — 600 მ., როცა მანეთის, მყიდველობითი ძალა 1 კაპ. უდრის), მუშებისაგან ის ღებულობს იძულებითი სესხს 3 თვის ჯამაგირის რაოდენობრით.

სანამ მოთმენა შეიძლებოდა, ჩვენ უკანასკნელ პერანგს ვყიდდით და ვითმენდით, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენი გაფიცვა საშინლად იმოქმედებდა ქალაქის ღარიბ ნაწილზე.

ყველა საშუალებანი ამოიწურა, მაგრამ ჩვენ მაინც დიდხანს ვეზიდებოდით ჩვენს მძიმე ჯვარს და ვიდექით ჩვენს პოსტებზე.

მუშები შიმშილისაგან ფეხზე ველარ დგებიან.

უკანასკნელ დღეებში ჩვენ იმის მოწმენიცა ვართ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში შიმშილისაგან დასუსტებულ ქალაქის მოსამსახურეებს გული მისდით.

ყველგან შეხვდებით გაფითრებულ, დასუსტებულ, მშიერ მოსამსახუ-

რეებს, რომელნიც გროშებს 'თხოულობენ ნახევარი გირვანქა მჭადის საყიდლად.

23 თებერვალს, მუშაობის დროს, მოსამსახურეს გული წაუვიდა. როცა მას ქაფური შეუშხაპუნეს და გრძნობაზე მოიყვანეს, მან, შიმშილობით განაწამებმა, გაფითრებულმა და ღონემიხდილმა, ძლივს წარმოსთქვა: „ცოტა რამ საჭმელი მაინც მომეცით; მეოთხე დღეა არაფერი არ მიჭამიაო“.

თვით ინჟენრებიც კი აღიარებენ თავიანთ ოფიციალურ მოხსენებებში, რომ მუშები ყოველდღე ათობით ეცემიან შიმშილისაგანო.

64 მოსამსახურიდან ერთ დაწესებულებაში 13 კაცი დაიღუპა ხოლერისა და ტიფისაგან რამდენიმე თვის განმავლობაში.

დაღუპული ამხანაგების გვამები რამდენიმე დღის განმავლობაში უპატრონოდ ეყარა, შემდეგ მათ უკუბოოდ, ტიტვლებს მარხავდნენ.

და როცა მშიერი, ქუჩაში გამოყრილი მუშები ქალაქის გამგეობას მიმართავდნენ, მათ უპასუხებდნენ: „დრო არა გვაქვს, ხვალ მოდით. შემოიარეთ ორი-სამი დღის შემდეგო“.

ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც დათხოვნილნი არიან ივლისიდან, დღემდე არ მიეღიათ კუთვნილი სალიკვიდაციო.

ჩვენი ასეული მშიერი ამხანაგის განცხადებები 6-თვეობით ინახებოდა გამგეობის წევრთა პორთფელებში და ამდენსავე ხანს შემრიგებელ კამერაში („პროფესიულ კავშირთა საბჭოს ავტორიტეტული ორგანო“), სადაც მათ არც კი იხილავდნენ, რადგან მხედველობაში ჰქონდათ მიღებული ქალაქის გამგეობის განცხადება, რომ ის არ სცნობს მომრიგებელ კამერას.

როცა რამდენიმე თვის დიდი წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ გამგეობამ კეთილ ინება ეცნო მომრიგებელი კამერა, მაშინ აღარ აღმოჩნდა ნეიტრალური თავმჯდომარე. დაბოლოს, ნახევარი წლის შემდეგ. მოსამსახურეებს მათს განცხადებაზე ფორმალურად უარი უთხრეს, რადგან „ქალალდებზე გამგეობის ოფიციალური ხარი არ არისო“, და საქმე დაბრუნეს იქ, სადაც 6 თვეს უძრავად იყო.

კოლექტიური ხელშეკრულება და საარბიტრო კომისია, რომლებიც მუშათა კლასის ასეთ ძვირფას მონაპოვარს წარმოადგენენ, ჩვენთვის დღემდე განუხორციელებელ ოცნებად რჩება“ [1].

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და შრომის სამინისტრომ განზრახული გაფიცვის წინააღმდეგ აშკარა უარყოფითი პოზიცია დაიკავეს და ყოველგვარი ზომები მიიღეს, რომ გაფიცვა არ მომხდარიყო, ხოლო როცა გაფიცვა მაინც დაიწყო, ისინი მის ჩასაშლელ საშუალებათა გამონახვას შეუდგნენ. აღიარებდნენ რა სიტყვიერად მუშა-მოსამსახურეთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, პროფკავშირთა საბჭო და შრომის სამინისტრო

„გაფიცვას დემოკრატიულ საბჭოს მიმართ მიზანშეუწონელ და დაუშვებელ მოვლენად სთვლიდნენ“.

---

[1] „საგაფიცვო კომიტეტის უწყებები“ № 1, 1919 წ. 27 მარტი.

ქალაქის გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა სადელეგატო კრების გადაწყვეტილებას გაფიცვის შესახებ პროფკავშირთა საბჭო „დეზორგანიზატორულ გამოსვლას“ უწოდებდა და კავშირს წესრიგისაკენ მოუწოდებდა.

გაფიცვის ორგანიზაციის ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მომქმედი არალეგალური პროფკავშირული „მუშათა ცენტრი“.

ეს გაფიცვა, რომელიც ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობას მოედო და ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო, ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეოხებით თანდათან პოლიტიკურ ბრძოლად გადაიზარდა.

პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნით 23 მარტს დანიშნული იყო მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მენშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ აიძულებდნენ მასებს უარი ეთქვათ გაფიცვაზე. მაგრამ ისინი მოსტყუვდნენ. ჰაი არა თუ კრების მუშური ნაწილი, არამედ მოსამსახურეებიც კი ვერ გაიყოლიეს. მენშევიკებს ვერ უშველა ვერც მათმა ჩვეულებრივმა დემაგოგიურმა ხრიკებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ და ვერც რეპრესიებით დამუქრებამ გაფიცულთათვის.

თუ როგორი იყო შეკრებილთა სულიერი განწყობილება, ეს იქიდან სჩანს, რომ კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი. კრება აღფრთოვანებით შეხვდა ბოლშევიკების გამოსვლებს; თავიანთ გამოსვლებში ბოლშევიკები სასტიკად ამხელდნენ მენშევიზმის გამცემლურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, რამაც საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიურ გაკოტრებამდე მიიყვანა. კრება აღფრთოვანებით შეხვდა აგრეთვე ბოლშევიკების მოწოდებას რევოლუციური ბრძოლისაკენ.

ერთერთი ბოლშევიკი ორატორი თავის გამოსვლის დროს მოითხოვდა ქალაქის მეურნეობის თვით მუშების ხელში გადაცემას.

„ქალაქის მუშები და მოსამსახურეები, — ამბობდა იგი, — ტფილისის დ

არჩენ მუშებთან ერთად შესძლებენ გადასჭრან საკითხი სახელმწიფოს მოწყობის შესახებ საბჭოთა რუსეთის მაგალითისამებრ“.

ამ კრების შესახებ თვით მენშევიკური „ბორბაც“ კი იძულებული იყო აღენიშნა:

„ის აღფრთოვანებული განწყობილება, რომლითაც ხვდებოდნენ ბოლშევიკი ორატორების გამოსვლას, ის მქუხარე ტაში, რომლითაც აჯილდოებდნენ მათ სიტყვებს და განსაკუთრებით კი ამ სიტყვების იმ ნაწილს, რომელშიაც ეს ორატორები ქება-დიდებას ასხამდნენ საბჭოთა რესპუბლიკას და სასტიკად ჰგმობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წესებს, — ყველაფერი ეს ლაპარაკობს განსაზღვრულ პოლიტიკურ განწყობილებაზე, რამაც ქალაქის მოსამსახურეებს გაფიცვა უკარნახა. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ „მშვიდობიანი ეკონომიური გაფიცვის“ ფირმის ქვეშ ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკურ ბრძოლასთან და რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშ-

ქრებასთან ბოლშევიკებისა და მოესერო ელემენტების მხრივ, რომელთაც სურთ მოსამსახურეთა უკმაყოფილება გამოიყენონ"[1].

ამნაირად, თვით მტრების აღიარებითაც კი, ბოლშევიკებმა შესძლეს გადაეყვანათ ეკონომიური გაფიცვა პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე.

გაფიცვა დაიწყო 24 მარტს. საგაფიცვო კომიტეტში უზრუნველყოფილი იყო ბოლშევიკური ხელმძღვანელობა. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იყო ბოლშევიკი.

გაფიცვის რაც შეიძლებოდა უფრო სწრაფი ლიკვიდაციისათვის მენშევიკებმა მთელი თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აპარატი, პროფკავშირები და პრესა გამოიყენეს.

25 მარტს ქალაქის გამგეობამ გამოიტანა გადაწყვეტილება:

„1) წინადადება მიეცეს გაფიცულთ შეუდგნენ მოვალეობის ასრულებას 27 მარტს, 9 საათიდან; 2) ვინც ამ დროისათვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს როგორც თვითნებურად წასული; 3) საავადმყოფოებისა და ბარაკების მოსამსახურენი, რომელნიც აღნიშნული დროისათვის მუშაობას არ შეუდგებიან, მიცემულ იქნან პასუხისგებაში".

მენშევიკურმა გაზეთებმა ველური გაბოროტებით გააჩაღეს უსინდისო დემაგოგიისა და სიცრუის კამპანია გაფიცულთა წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებდნენ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ იმ გაფიცულ მუშათა და მოსამსახურეთა წინააღმდეგ, რომელთაც გაფიცვა გამოუცხადეს მენშევიკურ ქალაქის გამგეობას.

თავის „საპოგრომო" მოწოდებაში მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა მუშათა და მოსამსახურეთა საგაფიცვო ბრძოლა დაახასიათა, როგორც „შავრაზმელთა გამოსვლა, რომელთაც დეზორგანიზაცია შეაქვთ პროლეტარიატის რიგებში", როგორც „მუხანათური თავდასხმა და ლახვარის ჩაცემა ზურგში"[2].

28 მარტს ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს არაჩვეულებრივ სხდომაზე, რომელსაც განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლები იცავდნენ, დაუშვეს გაფიცვის კომიტეტის მხოლოდ 3 წარმომადგენელი, რომელთაგანაც ლაპარაკის ნება მხოლოდ ერთს მისცეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მენშევიკურმა საბჭომ თავის რეზოლუციაში მოიწონა პროფკავშირთა საბჭოსა და ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული ყველა ღონისძიებანი და „გაფიცვა სრულიად მიზანშეუწონლად" აღიარა.

„გაფიცვა, — ნათქვამი იყო საბჭოს რეზოლუციაში, — არსებითად მიმართულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ. გაფიცვა ჰქმნის ანარქიის გაძლიერების პირობებს რესპუბლიკაში და უთანხმოებას დემოკრატიის რიგებში"[3].

ანალოგიური რეზოლუციებითა და მოწოდებებით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოც. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ, რაკი ვერ

---

[1] „ბორბა" № 68, 1919 წ. 26 მარტი.
[2] „ბორბა" № 71, 1919 წ.
[3] „ბორბა" № 73, 1919 წ.

შესძლო გაფიცვის თავიდან აცდენა, პროფკავშირთა საბჭო ყოველმხრივ შეეცადა მის შიგნიდან შერყევას, ბრძოლის შესუსტებას და გაფიცულთა დამარცხებას დაჩქარებას. პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ სამუშაოდ გაგზავნა შტრეიკბრეხერები, ხოლო 27 მარტს გამოიტანა გადაწყვეტილება:

„მიღებულ იქნას ცნობად ქალაქის გაუფიცავ მუშა-მოსამსახურეთა განცხადება ახალი კავშირისა და მისი ორგანოების მოწყობის შესახებ, რაც ქალაქის მოსამსახურეთა შორის შექმნილი მდგომარეობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს"[1].

გაფიცულთა წინააღმდეგ დაიწყო დევნა და რეპრესიები. დაპატიმრებულ იქნენ საგაფიცავო კომიტეტის წევრები, მოწყობილ იქნა კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება; თანაც, დაპატიმრებულებს ემუქრებოდნენ, რომ მათ დენიკინს გადასცემენ. მაგრამ გაფიცულები ვერც ამ ზომებმა გასტეხა. გაფიცვა თანდათან უფრო ფართოვდებოდა და საქართველოს პროლეტარიატის თანაგრძნობასა და აქტიურ დახმარებას იწვევდა. ბოლშევიკურმა არალეგალურმა „მუშათა ცენტრმა" პროფკავშირებთან არსებული თავისი ფრაქციების საშუალებით საპროტესტო მიტინგები მოაწყო მენშევიკური მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. მიტინგების შედეგად გაფიცულთათვის მატერიალური და მორალური დახმარების აღმოჩენის შესახებ რეზოლუციები გამოიტანეს მელითონელთა, მეტყავეთა, ელექტრიკოსთა, მბეჭდავთა, „ნემსის პროლეტარიათა", სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა, მღებავთა და სცენის მოღვაწეთა კავშირებმა და სხვ. ხოშტარიას თუჯის ჩამომსხმელი და მექანიკური ქარხნის მუშათა კრება თავის რეზოლუციას შემდეგი მოწოდებით ამთავრებდა:

„მოვუწოდებთ ყველა პროლეტარულ და პროფესიულ კავშირს შეამჭიდროონ თავიანთი რიგები და მხარი დაუჭირონ გაფიცულ ამხანაგებს პროლეტარიატის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით: თავის მხრივ პროტესტს ეუცხადებთ პროფესიულ კავშირთა საბჭოს, რომელმაც გაფიცვას წინააღმდეგობა გაუწია, რითაც ქალაქის თვითმართველობა დანარჩენ საწარმოებში არევ-დარევა შეიტანა და კლასობრივ ბრძოლას უღალატა"[2].

ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირი თავის რეზოლუციაში აქტიური ბრძოლის გზაზე დადგომას მოითხოვდა და სასტიკ პროტესტს აცხადებდა პროფკავშირთა საბჭოს პოზიციისა და პროფმოძრაობის მუშაკთა დაპატიმრების წინააღმდეგ. მბეჭდავებმა დაადგინეს მოეწყოთ საწარმოებში ფულის შეკრება გაფიცულთა სასარგებლოდ, ხოლო, თუ გაფიცვა ხანგრძლივ ხასიათს მიიღებდა... განსაზღვრული თანხა გადაედოთ მათთვის თავიანთი ჯამაგირიდან. ტფილისის პროლეტარიატი ერთსულოვნად მოითხოვდა მთავრობის მხრივ საგაფიცვო ბრძოლის საწინააღმდეგო რეპრესიების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. მეტყავე-

[1] პროფმოძრაობის არქივი, ფონდი № 2, საქმე № 33, გვ. 43.
[2] პროფმოძრაობის არქივი, ფონდი № 3, საქმე № 287.

ებმა, რომლებიც ბოლშევიკების დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, თავიანთ საერთო კრებაზე მიიღეს შემდეგი რეზოლუცია:

„ამხანაგების დაპატიმრება გაფიცვის დროს ჩაითვალოს მუშათა კლასის ძირითადი უფლებების დამრღვევ ანტიდემოკრატიულ მოვლენად და მთავრობის გალაშქრებად გაფიცვის თავისუფლების წინააღმდეგ, რაც მუშათა კლასის სრულ დეზორგანიზაციას გამოიწვევს.

პროტესტს ვაცხადებთ, — განაგრძობს რეზოლუცია, — დაპატიმრებათა წინააღმდეგ და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას რევოლუციურ პროლეტარიატის უფლებები: გაფიცვის, პრესის, კრებისა და სხვ. თავისუფლებანი; განსაკუთრებით მოვითხოვთ დაპატიმრებულ ამხანაგთა განთავისუფლებას“[1].

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას გამოეხმაურა მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატი და პირველ რიგში კი — ბაქოს მუშები. ბაქოდან ტფილისში ჩამოსული მუშა-დელეგატები გამოვიდნენ გაფიცულთა სადელეგატო კრებაზე და აღუთქვეს მათ მატერიალური და მორალური დახმარება. საგაფიცვო კომიტეტმა ბაქოს პროლეტარიატისათვის სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად საგაფიცვო ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ გაგზავნა ბაქოში თავისი დელეგატები, ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები. ამ ამხანაგების მოხსენების გამო ბაქოს მუშათა კონფერენციის პლენუმმა გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ამხანაგების მოხსენება ტფილისში გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ, ბაქოს კონფერენცია აღიარებს, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედება, რაც გაფიცვის ჩაშლასა და გაფიცულ ამხანაგთა წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებაში გამოიხატა, ისეთ აქტს წარმოადგენს, რომელიც მუშათა ერთ ნაწილს მეორეს წინააღმდეგ ამზედრებს. საქართველოს მთავრობისა და ტფილისის „პროფესიულ კავშირთა საბჭოს ამნაირი პოლიტიკა ახდენს პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შეცვლას ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით... ასუსტებს პროლეტარიატის აქტივობას და ხელსაყრელი ხდება მუშათა კლასის მტრებისა და კონტრრევოლუციისათვის. მიესალმება რა ტფილისელ ამხანაგებს, რომლებიც თავიანთ სამართლიან მოთხოვნათათვის იბრძვიან, და სასტიკად ჰაიცხავს რა ტფილისის მთავრობის მოქმედებას, კონფერენცია მოუწოდებს საქართველოს პროლეტარიატს გაერთიანდეს მთელი ამიერკავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატთან კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საერთო ძალით საბრძოლველად და სოციალისტური წყობილების დასამყარებლად“[2].

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ № 67, 1919 წ.

[2] ცენტრ. არქივი, ა. ხერხეულიძის პაპკა.

პოლოსდაბოლოს, პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის გავლენით და გაფიცვის მედგარი ხასიათის გამო, ქალაქის მენშევიკური გამგეობა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა ეკონომიური მოთხოვნები, მაგრამ გამგეობამ უარი სთქვა სამუშაოზე ყველა გაფიცულთა კოლექტიურ მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ კავშირთა საბჭომ ამ საკითხშიაც უარი სთქვა გაფიცულთათვის მხარის დაჭერაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას არა ერთხელ მიმართა საგაფიცვო კომიტეტმა.

წამოყენებულ მოთხოვნათა ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემდეგ, საგაფიცვო კომიტეტმა 5 აპრილს დაადგინა: „შეწყვეტილ იქნას გაფიცვა, მაგრამ ყველა მუშა-მოსამსახურემ კოლექტიურად მიატოვოს სამსახური ქალაქის თვითმართველობაში". რეზოლუციაში საგაფიცვო კომიტეტი პროტესტს აცხადებდა დაუშვებელ დაპატიმრებათა წინააღმდეგ მშვიდობიანი გაფიცვის დროს და მოითხოვდა ყველა დაპატიმრებული ამხანაგის განთავისუფლებას.

ამ დადგენილების თანახმად მარტო ქალაქის გამგეობაში სამსახური მიატოვა დაახლოებით 1000 კაცმა, რომელთაც შემდეგ მოაწყვეს უმუშევართათვის შრომის გამოძებნისა და დახმარების აღმოჩენის კომისია.

1919 წლის საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც ბოლშევიკური ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, საკმაო დამაჯერებლობით მოწმობდა ძირითადი პროლეტარული მასების ჩამოშორებას მენშევიკებისაგან. მენშევიკებს შორდებოდა აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაც.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1919 წ. თებერვალში საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, იმ მიზნით, რომ აემაღლებინა მოსახლეობის სულიერი განწყობილება, რამოდენიმედ. მაინც შეენელებინა მენშევიკური მთავრობის მიერ ახალციხის ფრონტზე განცდილი სამხედრო მარცხის შთაბეჭდილება და მოეხდინა „ნაციონალური ერთიანობის" დემონსტრაცია საქართველოს ფაქტიურ ბატონ-პატრონ ინგლისელთა წინაშე, გადასწყვიტა მოეწყო ტფილისში 14 თებერვალს მასობრივი მანიფესტაცია. მაგრამ, წინადღით, ე. ი. 13 თებერვალს, მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მასების განწყობილებისა და იმის გამო, რომ არ მომხდარიყო ჩავარდნა და აბსენტეიზმი, იძულებული იყო უარი ეთქვა თავის გადაწყვეტილებაზე[1].

* * *

ბოლშევიკური მოძრაობის ზრდისა და აგრეთვე იმის გამო, რომ მენშევიკური პარტიისაგან ძველი სოციალდემოკრატი მუშების ჩამოშორების საფრთხე თანდათან უფრო ძლიერდებოდა, მენშევიკებმა საჭიროდ დაინახეს 1919 წ. 1-ლ ივნისს მოეწვიათ პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების სპეციალური თათბირი პროფკავშირების მენშევიკ ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

„პროფკავშირთა საბჭოში, — ამბობდა ამ თათბირზე პროფკავშირთა

[1] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1919 წლის 13 თებერვლის სხდომა.

საპკოს თავმჯდომარე ა. ხელაძე, — ჩვენი ფრაქცია სუსტია. სუსტია არა იმდენად წევრთა რიცხვით, რამდენადაც ინტელიგენტური ძალებით, მოშზადებული ამხანაგებით. ხშირად, გამოსვლების დროს, ჩვენს ამხანაგებს რაღაცა ემჩნევათ. ზოგიერთ კავშირში, მაგალითად, მეტყევეების, ნოქრების, „ნემსის პროლეტარებისა“, და ოფიციანტების კავშირებში ბოლშევიკების გავლენა თანდათან უფრო ძლიერდება. დრო და მდგომარეობა ხელს უწყობს მაქსიმალისტური მიდრეკილების განვითარებას მუშებში. როდესაც კითხვა დგება ხელფასის მომატებაზე, ბურჟუაზიის დაბეკერაზე და სხვ., მაშინ მუშებში განსხვავება ჰქრება და ყველა მაქსიმალისტობს. გარდა ამისა, ისიც მეტისმეტად გვიშლის ხელს, რომ პროფკავშირებში ჩვენი ამხანაგები სასხვათაშორისოდ მუშაობენ, მათ სხვა ათასი საქმე აქვთ, — ბოლშევიკები კი მოცლილნი არიან და, გარდა დემაგოგიისა, არაფერი ამძიმებთ“[1].

ამნაირად, ა. ხელაძე იძულებული იყო ეღიარებინა პროფკავშირების ბოლშევიზაციისა და მენშევიზმისაგან პროლეტარული მასების ჩამოშორების ფაქტი. ა. ხელაძის ნათქვამს საჭიროა დაემატოს ის შესწორება, რომ თავის სიტყვაში მას არ ჩამოუთვლია ყველა ის კავშირი, სადაც ბოლშევიკების გავლენა სჭარბობდა. მასების ბოლშევიზაცია იმ ღრმა ეკონომიური კრიზისის შედეგი იყო, რომელიც მენშევიკურ საქართველოს კატასტროფას უახლოვებდა; ის იყო ნაყოფი კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებისა და იმ უდიდესი საგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობისა, რომელსაც არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია აწარმოებდა საქართველოში. იმ თათბირზე, რომელზედაც ხელაძე გამოვიდა, მენშევიკები იძულებულნი იყვნენ განგაში აეტეხნათ იმის გამოც, რომ თვით მენშევიკური პარტიის გახრწნა ხდებოდა. მენშევიკებს შორდებოდნენ მუშები, ძველი სოციალდემოკრატები. მენშევიკების ტფილისის ორგანიზაციაში, სადაც 1918 წელს 10.000 წევრი ითვლებოდა, იმ ხანებში (1919 წ.) მხოლოდ 7.000 წევრი-ღა იყო. პარტიაში დისციპლინა დაეცა. მთელი ჯგუფები უკვე უარს აცხადებდნენ პარტიული დირექტივების დამორჩილებაზე.

„პარტიული ორგანიზაციები, — განაცხადა თათბირზე ს. თევზაძემ, — ან სრულიად ინგრევა, ან მუშაობა მათში დიდად სუსტდება. საწევრო გადასახადი ნაკლებად შემოდის. ეს იმით აიხსნება, რომ პარტიაში ბევრია შემთხვევითი ელემენტები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი მისი მატერიალური მდგომარეობით. ხალხი თითქოს დაიღალა და მას დღეს პარტიული საქმე უკვე აღარ აინტერესებს“[2].

რადგან მენშევიკურ მთავრობას, გარდა რეპრესიებისა, ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად თავის არსენალში სხვა არაფერი მოეპოვებოდა, კრებამ დაადგინა ძალით მოეხდინა პროფკავშირებში ბოლშევიკების მუშაობის

---

[1] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1919 წლის 1-ლი ივნისის სხდომა.

[2] იქვე.

ა. მიქოიანი

ლიკვიდაცია და „წინადადება მიეცა მთავრობისათვის სასტიკი რეპრესიებით განეგრძო ბრძოლა ბოლშევიზმთან და ანარქისტულ ელემენტებთან“.

1919 წლის აპრილში ბაქოელების ინიციატივით განზრახული იყო „ამიერკავკასიის პროფესიულ კავშირთა ყრილობის“ მოწვევა, სადაც მონაწილეობას მიიღებდნენ ჩრდილოეთ-კავკასიისა, დაღესტნისა და კასპიის იქითა მხარის წარმომადგენლები. ითვალისწინებდნენ რა იმ გარემოებას, რომ ის ყრილობა, სადაც წარმომადგენელთა უმრავლესობა ბაქოს პროლეტარიატს ეყოლებოდა, ბოლშევიკური იქნებოდა, მენშევიკებმა გადაჭრით უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე მის მუშაობაში. ყრილობა მოწვეულ იქნა ბაქოში, სადაც ის 7 აპრილს გაიხსნა. ამ ყრილობის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა უკვე იმ ძირითად ამოცანაში გამოიხატა, რომელიც მან თავის მიზნად დაისახა, როდესაც გადასწყვიტა „აღადგინოს მხარის ერთიანი პროლეტარული ფრონტი და დასახოს ბრძოლის ღონისძიებანი, როგორც თავისი, ისე რუსეთის კონტრრევოლუციის შემოტევის წინააღმდეგ“.

მიუხედავად საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსა და მენშევიკური მთავრობის სასტიკი აკრძალვისა, საქართველოს ძრავალმა პროფკავშირმა (მელითონიელები, მეტყველეები, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი და სხვ.) მაინც გაგზავნა თავიანთი დელეგატები (ბოლშევიკები) ბაქოში მოწვეულ ყრილობაზე.

ამიერკავკასიაში ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნის შიშით, მენშევიკებმა 11 აპრილს ბაქოს ყრილობის საწინააღმდეგოდ მოიწვიეს ტფილისში საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა. ბაქოელებმა მიაღწიეს იმას, რომ მენშევიკურ ყრილობაზე დაშვებულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, ამხ. ა. მიქოიანის მეთაურობით.

ყრილობაზე ამხ. მიქოიანი მოუწოდებდა საქართველოს პროლეტარიატს გამოენახა გზა მუშათა კლასის გასაერთიანებლად ამიერკავკასიაში.

„ბაქოს პროლეტარიატი,—ამბობდა ამხ. მიქოიანი.—ყველა საშუალებებით მიისწრაფვის ასეთი გაერთიანებისაკენ. და. თუ ის მოითხოვდა ყრილობის მოწვევას ბაქოში. ეს მხოლოდ იმიტომ. რომ დღევანდელ მომენტში შეუძლებლად მიაჩნდა უხელმძღვანელოდ დაეტოვებინა ბაქოს მუშათა კლასი.

ბაქოს პროლეტარიატი და ბურჟუაზია წარმოადგენენ ორს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ და სამრად დარაზმულ ბანაკს, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ერთმანეთს და მზად არიან გამოსასვლელად ხელსაყრელ მომენტში. მუშათა კლასის ხელმძღვანელთა უყოლობას შეუძლია გამოიწვიოს ინგლისის სარდლობის გამოსვლა და ამ უკანასკნელის გამარჯვება... მიუხედავად ყველა ამ მოსაზრებისა, ბაქოელები მუშათა კლასის გაერთიანების ინტერესებისათვის მაინც ჩამოვიდოდნენ ტფილისში, რომ ადგილი არ ჰქონოდა პრინციპულ უთანხმოებას დღიწესრიგის საკითხში. ბაქოს პროლეტარიატი ფიქრობს, რომ ამჟამად ლაპარაკიც კი ზედმეტია პროფესიულ საკითხებზე. პოლიტიკური საკითხის გადაჭრამდე. ამიტომ არ მიაჩნია მას შესაძლებლად უარი სთქვას იმაზე. რომ დღისწესრიგში შეტანილ იქნას საკითხი პოლიტიკური მომენტის შესახებ“[1].

ამ მოწოდებაზე, რომელიც პროლეტარულ სოლიდარობას მოითხოვდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მენშევიკურმა მთავრობამ იმით უპასუხა, რომ დელეგაცია საქართველოს საზღვრებიდან გააძევა.

პროფკავშირული ბიუროკრატიის ყრილობას, რომელიც მოწვეული იყო მენშევიკების მიერ მუშათა კლასის გარევოლუციონერებასთან საბრძოლველად, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაესახა რაიმე რეალური ღონისძიებანი. რომელიც საქართველოს მწვავე კრიზისიდან გამოიყვანდა. ამასთან. უნდა აღინიშნოს. რომ ყრილობის შემადგენლობა გულდასმით იყო შერჩეული; ოპოზიციურ ორატორებს სიტყვას იმ წამსვე აწყვეტინებდნენ, მაგრამ ცალკეულმა დელეგატებმა მაინც შესძლეს სასტიკად გაელაშქრებინათ მენშევიკური პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

---

[1] საქ. პროფკავშირთა პირველი ყრილობის ოქმები, გვ. 14-15.

აი რა განაცხადა, მაგალითად, ამ ყრილობაზე ერთერთმა მუშა-დელეგატმა:

„მუშათა კლასი არასოდეს არ იმყოფებოდა ისეთ საშინელ მდგომარეობაში, როგორშიაც ახლა იმყოფება. მუშები სხვებისათვის მუშაობენ, სხვები კი მუშებისათვის არაფერს არ აკეთებენ. ის მოწინავე მუშები, რომლებიც ჩვენი წრიდან გამოვიდნენ და სხვადასხვა მაღალ დაწესებულებებში მოიკალათეს, უკვე მოსწყდნენ მუშათა მასებს; მათ არც კი შეუძლიათ მიხვდნენ იმას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან მუშები. მაშინ როცა სპეკულანტთა და მეწარმეთა მიმართ ხელები მოკლე აღმოჩნდა, მუშათა მიმართ ეს ხელები მეტად გრძელი დარჩა. აქ ლაპარაკობენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებისა და ტფილისის თვითმართველობის მუშამოსამსახურეთა გაფიცვაზე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, მუშები ძალად მიიყვანეს გაფიცვამდე. მათს უკიდურეს გაჭირვებას თავის დროზე ყურადღება არ მიაქციეს. მუშები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან არა მარტო ეკონომიურად. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მათ კრინტის დაძვრისაც კი ეშინიათ... (დელეგატების წამოძახილზე „ჩვენ არ გვეშინია", ორატორი უპასუხებს: თქვენ არ გეშინიათ, თქვენი/ ეშინიათ). რუსეთში, — განაგრძობდა ის, — ამბობდნენ: „თავისუფლება ზევიდან უნდა მივცეთ, თორემ ქვევიდან წაიღებენო". და აი, თუ აქ დიდხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, ყველაზე შეგნებული მუშები ჩამოგშორდებათ... წამოძახილზე „შენ ბოლშევიკი ხარ", ორატორმა უპასუხა: „თქვენთვის ყველა ბოლშევიკია, ვინც სიმართლეს იტყვისო".

IV

1919 წლის გაზაფხულზე, ჩრდილოეთ-კავკასიაში თეთრების დროებითი გამარჯვების შემდეგ, თავი იჩინა უშუალო საფრთხემ, რომ დენიკინი ამიერკავკასიაშიაც შემოიჭრებოდა.

ამიტომ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წინაშე დადგა უდიდესი და მეტად რთული ამოცანა — დაერაზმა ძალები დენიკინის შემოტევის წინააღმდეგ. რკპ (ბ) კავკასიის კომიტეტმა დაადგინა რუსეთის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოეყენებინა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. ამ მიზნით ბაქოს „მუშათა კონფერენციამ", რომელსაც ბოლშევიკური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა, მიმართა ტფილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წინადადებით, რომ ივნისის ოციანი რიცხვებისათვის ტფილისში მოეწვია მთელი ამიერკავკასიის საბჭოების არაჩვეულებრივი ყრილობა მუშათა ორგანიზაციებისა და რევოლუციური გლეხობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.



ВОЛНА

ЕЖЕДНЕВНАЯ РАБОЧАЯ ГАЗЕТА

№ 4 Пятница, 13-го іюня 1919 г. № 4

Цѣна № въ Тифлисѣ 1 р. 50 к.

Сегодня въ Берлинѣ хоронятъ тов. Розу Люксембургъ.

Роза Люксембургъ. Похороны тов. Розы Люксембургъ

Сегодня въ номерѣ:

ბოლშევიკური გაზ. „ВОЛНА“ № 4, 1919 წ., პირველი გვერდი

ყრილობის დღისწესრიგში დასმული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი საკითხი: „ბრძოლა დენიკინთან“. იმ მიზნით, რომ დარაზმულიყო და შემჭიდროებულიყო პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა და პოპულარული გამხდარიყო რევოლუციური ომი დენიკინის წინააღმდეგ, გმირულ წითელ არმიასთან კავშირში, ბოლშევიკები აყენებდნენ საკითხს ავტორიტეტული სამხარეო ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

„მხოლოდ ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ომს, რომელიც გაბედულად და ურყევად გამოცხადდება, — სწერდა ამ დროს ლეგალურად გამოსული ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა“, — შეუძლია აღგავოს დედამიწის პირიდან დენიკინის საფრთხე. ეს იქნება ჩვენი მუშებისა და გლეხების ისტორიული დამსახურება წითელი დროშისათვის მებრძოლი პროლეტარიატის წინაშე“ [1].

ბოლშევიკები პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის ერთიანი ფრონტის ლოზუნგს აყენებდნენ, მაგრამ ამით ისინი არავითარი პრინციპული ხასიათის დათმობაზე არ მიდიოდნენ და ერთი წამითაც არ სწყვეტდნენ მენშევიკებისა და ამიერკავკასიის სხვა პარტიების კონტრრევოლუციური მოღვაწეობის მხილებას. ბოლშევიკები დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, რომელიც ბოლშევიკებმა წამოაყენეს, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ბაქოს პროლეტარიატი; მან ფართო გამოძახილი ჰპოვა და რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია აგრეთვე საქართველოს პროლეტარიატსა და ყველა მშრომელთა შორის.

[1] გაზ. „ვოლნა“ № 1, 1919 წ. 9 ივნისი.

ტფილისის ყველა საწარმოში ერთსულოვნად ღებულობდნენ რეზოლუციებს, რომლებშიაც იწონებდნენ რევოლუციურ ომს დენიკინის წინააღმდეგ. მაგალითად, ტფილისის თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის მუშებმა დაადგინეს:

„მოეთხოვოს საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოუცხადოს ომი მეფის გენერლის დენიკინის ბანდებს და მის ხელის შემწყობთ, ვიდრე ისინი საბოლოოდ არ იქნებიან განადგურებულნი პროლეტარული რევოლუციის საზეიმოდ; მოეთხოვოს აგრეთვე შესწყვიტოს ყოველგვარი მოლაპარაკება დენიკინის წარმომადგენლებთან, რადგან ყოველგვარი დაყოვნება აძლიერებს კონტრრევოლუციონერებს როგორც ფრონტზე, ისე აქაც, ზურგშიაც“.

„ბრძოლის წარმატებისათვის“ მუშები მოითხოვდნენ ერთიანი მუშურ-გლეხური ფრონტის შექმნას, ბოლშევიკური ორგანიზაციის ლეგალიზაციას, მისი ხელმძღვანელების განთავისუფლებას და მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევას, როგორც ერთადერთ კლასობრივ ორგანოს, რომელსაც უნარი აქვს

„დარაზმოს თავის გარშემო მთელი რევოლუციური დემოკრატია და... მიიღოს კონკრეტული ზომები ამიერკავკასიის მთელი პროლეტარიატის გასაერთიანებლად“ [1].

ბოლშევიკების მოწოდებას დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ფართოდ გამოეხმაურნენ ქ. ქუთაისის, ფოთის, ბათომისა და სოხუმის მუშათა ორგანიზაციები.

ქ. ფოთის გარნიზონმაც მიიღო აგრეთვე საბრძოლო რეზოლუცია, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდებოდა:

„ჩვენ, ფოთის გარნიზონის ჯარისკაცები, ფიცსა ვდებთ თავის მხრივ გამოვიდეთ ფრონტზე, როგორც ერთი კაცი, და გაშმაგებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ, ვიდრე მათ სრულიად არ გავანადგურებთ“ [2].

ამ ფართო კამპანიასთან ერთად, რომელსაც ბოლშევიკური ორგანიზაცია ატარებდა, რათა სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობა გაეწია კონტრრევოლუციის შემოტევისათვის, ორგანიზაცია ამავე დროს აჯანყებულთა რაზმებს აწყობდა და გზავნიდა მათ საბრძოლო მოქმედებისათვის დენიკინის ჯარების ზურგში.

რაკი მენშევიკები ვერ ჰბედავდნენ აშკარად გამოსულიყვნენ წინააღმდეგ ბოლშევიკების წინადადებისა ერთიანი ფრონტის შესახებ, რომ საბოლოოდ არ გასტეხოდათ სახელი მშრომელი მასების თვალში, მათ ფორმალურად მიიღეს ბაქოს პროლეტარიატის წინადადება ამიერკავკასიის საბჭოების საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ. ამასთან შეფარდებით შეთანხმება მოხდა ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმსა და ტფილისის მუშათა დეპუტატების საბ-

---

[1] გაზ. „ვოლნა“ № 3, 1919 წ.

[2] იქვე.

ბოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის. ყრილობის მოსაწვევად შედგენილ იქნა საორგანიზაციო კომისია. ქ. ბაქოს მუშათა კონფერენციიდან ამ კომისიაში შეიყვანეს ამხ. ა. მიქოიანი და გ. სტურუა.

მაგრამ ქართველი მენშევიკების მთელმა შემდგომმა მუშაობამ დაგვანახა, რომ ისინი მხოლოდ მოხერხებულ საბაბს ეძებდნენ, რომ ჩაეშალნათ საბჭოების ყრილობა და უარი ეთქვათ რუსეთის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. როცა გარკვევით დადგა საკითხი საგარეო ორიენტაციის არჩევის შესახებ, მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთთან კავშირის შეკვრას ამჯობინეს რუსეთის კონტრრევოლუციასთან შეთანხმება. რომ უფრო დამარწმუნებელი მოტივები გამოენახათ ამ ახალი გამცემლობისათვის, მენშევიკებმა დაიწყეს საოცარი ხმების გავრცელება, თითქოს ბაქოს მუშებს სურთ ისარგებლონ ყრილობის მოწვევით იმისათვის, რომ „მახვილი ჩასცენ ზურგში“ ქართველ მუშებს და „მუხანათურად თავს დაესხნენ მათ“, როცა ისინი (ქართ. მუშები) ჩაბმულნი იქნებიან ბრძოლაში დენიკინის შემოტევის წინააღმდეგ. იმ დროს, როცა ანტანტა თავის მეორე გალაშქრებას აწყობდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ქართველმა მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთთან კავშირს კვლავ საერთაშორისო და რუსეთის კონტრრევოლუციასთან შეთანხმება ამჯობინეს, თუმცა ისინი სიტყვით ნეიტრალობას აცხადებდნენ.

26 ივნისს შესდგა ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა, სადაც მომხსენებლად გამოვიდნენ მენშევიკები, გ. მახარაძე და ჭიაბრიშვილი. ფაქტების ყოველგვარი დამახინჯებით და ფალსიფიკაციით ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართველი მენშევიკები გულწრფელად მიისწრაფვიან დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ბოლშევიკები ხელს უშლიან ამ ბრძოლას, რადგან მათ იდუმალი განზრახვა აქვთ მოსპონ საქართველოს „დამოუკიდებლობა“ და მისი დამფუძნებელი კრებაო. მენშევიკებმა წინადადება შეიტანეს, რომ უარი ეთქვათ ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევაზე იმ საბუთით, რომ ეს ყრილობა თითქოს მხოლოდ უთანხმოებათა დემონსტრაცია იქნებოდა და რომ „საქართველოსა და ბაქოს პროლეტარიატს შეუძლიათ ცალცალკე დაირაზმონ“ [1].

ბაქოს პროლეტარიატის დელეგატებმა ამხ. ა. მიქოიანმა და გ. სტურუამ, რომელთაც აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოს მუშური ნაწილი და ყრილობაზე მრავლად დამსწრე მუშები, მთელი ბოლშევიკური გაბედულობითა და პირდაპირობით ამხილეს მენშევიკები, როგორც მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ნამდვილი ჩამშლელნი.

„ჩვენ, ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენლები, — განაცხადა თავის სიტყვაში ამხ. გ. სტურუამ,—საფრთხეს ვხედავთ არა მარტო დენიკინში, არამედ იმ ნაბიჯებშიაც, რომელთა გადადგმასაც ფიქრობენ საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლები... აქ სთქვეს, რომ უკეთესია ცალცალკე დავრაზმოთ ჩვენი ძალები. ეს ფაქტი გათიშვა იქნება... აქ სთქვეს, რომ

[1] გაზ. „ვოლნა“ № 18, 1919 წ.

გამოყოფილი ცენტრი ხელისუფლებას დაიჩემებსო („დიახ, დიახ" — გაიძახიან ადგილიდან). თუნდაც რომ ასე იყოს, მუშათა ხელისუფლების ნუ შეგეშინდებათ (მქუხარე ტაში). ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროლეტარიატის ბრძოლა — ეს არის ძალაუფლების ხელში ჩაგდება თავისი იდეალების განსახორციელებლად" [1].

ტფილისის მენშევიკურმა საბჭომ, რომელმაც დიდი ხანია ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა მუშათა მასებში, მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობის მოწვევისა და ერთიანი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ.

თუ რამდენად შეუთანხმებელი იყო ეს რეზოლუცია საქართველოს მუშათა ნამდვილ სულიერ განწყობილებასთან, ამას თუნდაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ მეორე დღესვე, 27 ივნისს, ტფილისის ბოლშევიკებმა შესძლეს მოეწვიათ ტფილისის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი მუშა დაესწრო.

29 ივნისს მეტყავეთა მიერ მოწვეულ კრებაზე, მიუხედავად. იმისა, რომ მენშევიკებმა თავიანთი საუკეთესო პროფკავშირული ძალების მობილიზაცია მოახდინეს, მუშები მაინც არ წამოჰგებიან პროვოკაციის ანკეს და ბოლშევიკების წინადადებით მიიღეს რეზოლუცია, სადაც ჰკიცხავდნენ მენშევიკურ მთავრობას და ტფილისის საბჭოს, რომელნიც „დენიკინთან აშკარა შეთანხმებისა და ინგლისის გენერლების წინაშე ნამდვილი ლაქიობის გზას დაადგნენ". მეტყავეები მოითხოვდნენ ტფილისის საბჭოს გადარჩევას, მათ სალამი უძღვნეს ბაქოს პროლეტარიატს და სრული დახმარება აღუთქვეს მას მთელი ამიერკავკასიის მუშათა გაერთიანებისა და მუშათა ყრილობის მოწვევის საქმეში[2].

აშკარად აიღეს რა ორიენტაცია თავიანთ საგარეო პოლიტიკაში საერთაშორისო კონტრრევოლუციასთან შეთანხმებაზე, მენშევიკებმა კიდევ უფრო შეტად, ვიდრე ოდესმე, გააძლიერეს ტერორი, რომ ჩაეფქრთოთ ერთიანი ფრონტის მოძრაობა და თავისუფლად ეპარპაშნათ. ისინი შეუდგნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მასობრივ დაპატიმრებას, გაანადგურეს პროლეტარიატის რევოლუციური ორგანიზაციები და დაპატიმრებული ბოლშევიკებით აავსეს ციხეები.

როგორც ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩი" სწერდა,

„აშკარა გამცემლებმა (მენშევიკებმა) ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისათვის" შესცვალეს ლოზუნგით „ყველანი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც თითქოს ის იყო ლეგალური მუშაობის ოდნავი შესაძლებლობა მაინც მიიღო, კვლავ კანონს გარეშე გამოაცხადეს. 1-ლი ივლისიდან მენშევიკებმა დახურეს გაზეთი „ვოლნა". რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გაიგო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საი-

[1] „ვოლნა" № 18, 1919 წ.

[2] ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩი" № 1, 1919 წ.

რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაუმარჯოს შეუპოვარ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ.

ამხანაგებო—მუშებო! დენიკინის ბანდები თავს ესხმიან ამიერკავკასიას. მას შემდეგ, რაც მათ პეტროვსკი და დერბენტი აიღეს, ისინი თავის უახლოეს, თავის მორიგ მიზნათ ისახავენ დაიპყრონ ამიერკავკასია, კერძოთ დაიპყრონ საქართველო.

ეს გაუბედურებული შეიარაღნელი გენერალები, რომლებიც სასტიკათ დაამარცხა და შემუსრა მუშათა და გლეხთა რუსეთის ძლევამოსილმა წითელმა ჯარებმა, მტაცებელთა ხროვასავით, აწვებიან ყოფილი რუსეთის იმპერიის სამ. — განაპირებს; მათ იმედი აქვთ, რომ ადვილათ დაიპყრობენ ამ სუსტათ დაცულ ადგილებს და განამტკიცებენ აქ თავის მდგომარეობას; ისინი ოცნებობენ, რომ აქ კვლავ მოიკრებენ ისინი ძალებს, დაიძურიან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ამნაირათ განახორციელებენ თავის დიდი ხნის ნატვრას — ერთიანი, ძველი რუსეთის აღდგენას. ისინი მიისწრაფვიან დაიპყრონ ამიერკავ-

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდება დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

დუმლო განკარგულება გასცა — უფრო გამოჩენილი დაპატიმრებული ბოლშევიკები ციხემდე კი არ მიეყვანათ, არამედ გზაში დაეხვრიტათ გაქცევის ცდის მომიზეზებით. ამის გამო რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა დაადგინა:

„ხედავს რა საქართველოს მთავრობის მოქმედებაში, განსაკუთრებით კი ზემოხსენებულ განკარგულებაში და აგრეთვე ნ. რამიშვილისა და არსენიძის ოფიციალურ განცხადებებში როგორც მთავრობის, ისე მმართველი პარტიის — მენშევიკების აშკარა განზრახვას დაიწყონ თეთრი ტერორი ჩვენი პარტიის წევრთა მიმართ, რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტი აცხადებს: „ჩვენი პარტიის წევრთა ყოველგვარი მკვლელობა მთავრობის აგენტების ან მენშევიკური პარტიის წევრების მიერ, სადაც და რა ფორმაშიაც არ უნდა მოხდეს იგი, ჩვენს მიერ განიხილება, როგორც თეთრი ტერორი,

რომელიც ჩვენი პარტიის თავდაცვის მიზნით ჩვენს სათანადო პასუხს გამოიწვევს“ [1].

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 14 სახელმწიფოს გალაშქრების ინიციატორები და ყველაზე აქტიური ორგანიზატორები — ინგლისელი იმპერიალისტები — გაძლიერებით ახდენდნენ ამ ლაშქრობისათვის კონტრრევოლუციური ძალების მობილიზაციას ამიერკავკასიაშიაც. ამ საქმის შემაფერხებელი ტერიტორიალური დავა რომ დრომდე შეეჩერებინათ რუსეთის ყოფ. იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა შორის, ინგლისელებმა დენიკინისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რესპუბლიკების მიმართ ძალი რიგი ზომები მიიღეს. 1919 წლის 27 ივნისს ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სარდალმა ამიერკავკასიაში ჟ. კორნმა წინადადება მისცა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას:

„თავი შეიკავოს ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ, იმოქმედოს გენერალ დენიკინთან შეთანხმებით. უკიდურეს შემთხვევაში, ნავთისა და სხვა საგნების მიწოდებით მაინც და არ დაუშვას, რომ ეს საგნები ხელში ჩაუვარდეს ბოლშევიკებს“.

ქართველი მენშევიკები, ასრულებდნენ რა თავიანთი პატრონების — ინგლისელების დირექტივებს, არა თუ მარტო გაემიჯნენ საბჭოთა რუსეთს და შეუთანხმდნენ გენერალ დენიკინს ნავთის მიწოდების მხრივ, არამედ მათ ნებაც კი დართეს ინგლისელებს საქართველოს რკინიგზით უხვად მიეწოდებინათ თეთრი არმიისათვის ტანისამოსი, არტილერია და ყუმბარები ამიერკავკასიის ყოფილი სამეფო ციხე-სიმაგრეებიდან. 1919 წ. აგვისტოში საქართველოში დანიშნულ იქნა გენ. დენიკინის წარმომადგენელი გენერალი ბარათოვი „ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის“. თავისი „დამოუკიდებლობის“ აღიარებისათვის მენშევიკურმა მთავრობამ დენიკინს აღუთქვა „სრული მყუდროება მოხალისეთა არმიის ზურგში საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის დროს“

„თუ თქვენ სახელშეკრულებო ურთიერთობას დაამყარებთ ჩვენთან,— განუცხადეს მათ მენშევიკებმა,—შეგიძლიათ სრულიად დამშვიდებული იყოთ თქვენი ზურგისათვის და წაიყვანოთ ჩვენი ფრონტიდან მთელი ჯარი — უკანასკნელ ჯარისკაცამდე“.

ეს კიდევ ცოტაა, მაგრამ ინგლისელი ინტერვენტების პირველი მოწოდებისთანავე მენშევიკები მზად იყვნენ საკუთარი შეიარაღებული ძალებიც კი აემოქმედებინათ საბჭოთა წითელი არმიის წინააღმდეგ.

მენშევიკებს სრულიადაც არ აფიქრებდა ის გარემოება, რომ ინგლისელები თითქმის არც კი მალავდნენ, რომ მათ სურვილი ჰქონდათ „დამოუკიდებელი“ საქართველო თავის კოლონიად გადაექციათ. პირიქით, როცა 1919 წლის აგვისტოში ხმები გავრცელდა ამიერკავკასიიდან ინგლისელების წასვლის შესაძლებლობის შესახებ (ნამდვილად კი ინგლისელები ამ დროს სრულიადაც

[1] საქ. სარევოლუციო მუზეუმი. ბოლშევიკური პარტიის 1917-20 წწ. პროკლამაციები.

Российская Коммунистическая Партія (большев.)

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

ЗАЯВЛЕНІЕ,

Кавказскаго Краевого Комитета

Р. К. П. (больш.)

1) Грузинское Правительство и возглавляющая его партія меньшевиковъ въ послѣднее время въ связи съ покушеніемъ на генерала Баратова распускаютъ и муссируютъ слухи о якобы готовящихся со стороны нашей партіей покушенія на членовъ названнаго правительства;

2) въ видахъ предупрежденія этихъ якобы предполагаемыхъ покушеній Правительствомъ Грузіи (министромъ внутр. дѣлъ) уже сдѣлано секретное распоряженіе слѣдующаго содержанія: арестованныхъ активныхъ работниковъ нашей партіи не доводить до мѣста

რ. კ. პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდება დენიკინის აბეზღების მოქმედებათა შესახებ ამიერკავკასიაში.

არ ფიქრობდნენ ამ უაღრესად მდიდარი მხარის ტატოვებას. — **გ. ხ.**), თავის ძმაცლის შიშით შეპყრობილმა მენშევიკებმა ხვეწნა-მუდარით მიმართეს ინტერვენტებს არ გაეყვანათ აქედან შეიარაღებული ძალები.

„იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ამიერკავკასიიდან ახლო მომავალში ინგლისის ჯარების მოსალოდნელ გაყვანას.—სწერდა გაზ. „ბორბა", — საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებმა თხოვნით მიმართეს ინგლისის სარდლობას, დაეტოვებინათ ორივე რესპუბლიკის საზღვრებში ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც ამჟამად იქ იმყოფებიან"[1].

ინტერვენტთა ჯარების ამიერკავკასიაში დატოვების შესახებ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სამშვიდობო დელეგაციებმა 1919 წლის 28 აგვისტოს შემდეგი განცხადებით მიმართეს მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოთა უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეს — კლემანსოს:

„ქვემორე ხელისმომწერ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკათა დელეგაციების თავმჯდომარეებს პატივი აქვთ განუცხადონ სამშვიდობო კონფერენციას, რომ კავკასიიდან მოკავშირეთა ჯარების განზრახულ ევაკუაციას შეიძლება სამწუხარო შედეგები მოჰყვეს.

---

[1] „ბორბა" № 174, 1919 წ.

ამიტომ ქვემორე ხელისმომწერთ პატივი აქვთ სთხოვონ სამშვიდობო კონფერენციას გადასდოს ხსენებული ევაკუაცია იმ დრომდე, ვიდრე გამოირკვეოდეს და გადასწყდებოდეს საკითხი ზემოხსენებულ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შესახებ“ [1].

४

1919 წელს, მიუხედავად რეპრესიებისა და ხშირი ჩავარდნებისა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები შესამჩნევად გაიზარდნენ, გამაგრდნენ და გააფართოვეს თავიანთი გავლენა მუშათა მასებსა და მშრომელ გლეხთა შორის. პარტიული ორგანიზაციები გაიზარდა არა მარტო რიცხობრივად, არამედ ხარისხობრივადაც. საქართველოს მუშები და გლეხები, რომელთაც მთელი რიგი თვალსაჩინო გაკვეთილები მიიღეს მენშევიკური პარტიის პოლიტიკის სოციალური არსის შესახებ, სასტიკად ჰკიცხავდნენ მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციურ მოღვაწეობას, ჰკიცხავდნენ ამ მთავრობის ლაქიობას მსოფლიო იმპერიალიზმის წინაშე და მის აშკარა კავშირს რუსეთის კონტრრევოლუციასთან.

1919 წლის დამდეგს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი კავკავიდან (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე) კვლავ ტფილისში დაბრუნდა, რათა ხელში აეღო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

ტფილისის ორგანიზაციის ახალი პარტიული ძალებით გაძლიერებასთან დაკავშირებით, 1919 წლის დასაწყისში არჩეულ იქნა რკპ (ბ) ტფილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც, მიუხედავად არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებისა, შესძლო კიდევ უფრო განემტკიცებინა პარტიული ორგანიზაციები და გაეფართოებინა ახალი უჯრედების ქსელი ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ბოლშევიკები განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ არალეგალური „მუშათა ცენტრის“ მუშაობას და პროფკავშირთა ბოლშევიკურ ფრაქციებს; ამასთან, ისინი უშუალო კავშირს ამყარებდნენ და პარტიულ მუშაობას აწესრიგებდნენ აგრეთვე ტფილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილებშიაც.

მენშევიკური არმია[2] თავისი აღნაგობით მეფის ძველი არმიისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. სამეთაურო თანამდებობანი ისევ ძველი თავადაზნა-

---

[1] საკ. კპ (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის არქივი, მენშევიკური მთავრობის ფონდი, საქმე № 16, ფურც. 86.

[2] საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა შესდგებოდა რეგულარული ტიპის არმიისაგან 18-დან 20 ათას კაცამდე. სახალხო გვარდიას შეეძლო გამოეყვანა კიდევ 15 ათასი მე-

ურული ოფიცრობის ხელში იყო. მენშევიკების არმიაშიაც ისევე, როგორც ძველს არმიაში, კვლავ მწვავე განსხვავება არსებობდა ხელქვეითებსა და უფროსებს შორის, ჯარისკაცსა და მეთაურს შორის. მენშევიკურ არმიაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, როცა ოფიცრები ჯარისკაცთა „აღზრდის" ბარბაროსულ ხერხებს მიმართავდნენ, ხელით ეხებოდნენ და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდნენ ჯარისკაცებს.

მენშევიკურ არმიაში საკმაოდ მოიპოვებოდა იმის მიზეზი, რომ რევოლუციური განწყობილება, გაღვივებულიყო ჯარისკაცთა მასებში. მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდასა და სამოქალაქო ომის განვითარებას საქართველოში შედეგად მოჰყვა კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება არმიაშიაც, სადაც თანდათან უფრო ძლიერდებოდა გაბოროტება მეთაურთა შემადგენლობის მიმართ და ეცემოდა დისციპლინა. საქართველოში 1918-1919 წწ. განმავლობაში არა ერთხელ ჰქონია ადგილი სამხედრო ნაწილების ამკარა ურჩობას და აჯანყებას, რის ჩასაქრობადაც იძულებულნი ხდებოდნენ იარაღისათვის მიემართნათ. ჯარის ნაწილების აჯანყება მოხდა ქუთაისში, გორში, თელავში, ბაღდადში, ლაგოდეხში, სოხუმში და სხვ. დეზერტირობამ ჯარში იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა საერთო ბრძანება გამოსცეს ამ მოვლენასთან ბრძოლის შესახებ.

„დეზერტირობა, — სწერდა „ბორბა", — ჩვენი დროის ნამდვილი წყლულია. დეზერტირი ეს ისეთი ელემენტია, რომელიც ძირს უთხრის ყოველ საზოგადო და სახელმწიფოებრივ წესს საერთოდ მთელს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით კი ჩვენს სოფელში. დეზერტირებისაგან შესდგება უმთავრესად ის ბირთვი, რომელიც ანარქიას, დეზორგანიზაცია შეაქვს საზოგადოებაში, ღორნის სახელმწიფო მექანიზმს".

იგივე გაზეთი აღნიშნავდა შემდეგ, რომ

„დეზერტირები, რომელთაც არ სურდათ ჯარში სამსახური და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, ხალისით მიჰყვებოდნენ ბოლშევიკებს"[1].

მენშევიკური არმიის გახრწნის პროცესთან ერთად, ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკური გავლენა შესამჩნევად ძლიერდებოდა. ჯარის ყველა მსხვილ ნაწილში არალეგალური ბოლშევიკური უჯრედები არსებობდა. 1919 წელს რკპ (ბ) ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოეწყო საგარნიზონო სამხედრო საბჭო, სადაც ტფილისში დაბანაკებული ჯარის ყველა ნაწილების წარმომადგენლები შედიოდნენ.

ყველაზე უფრო „საიმედო" სამხედრო ძალა, რომელსაც ეყრდნობოდნენ უმთავრესად მენშევიკები, სახალხო გვარდია იყო, რომელიც მთელი რიგი პრი-

---

ბრძოლი. თუ ამას დავუმატებთ სანაპირო ჯარებს, მილიციის ნაწილებსა და განსაკუთრებული რაზმის ნაწილებსაც, მაშინ გამოდის, რომ მენშევიკურ საქართველოში შეიარაღებულ ძალთა საერთო რიცხვი 50 ათას კაცამდე იყო (საარქივო ფონდი № 71, საქართველოში არსებული რსფსრ დიპლომატიური მისიის სამხედრო წარმომადგენლის საქმე № 2, გვ. 8).

[1] გაზ. „ბრძოლა" № 249, 1919 წლის 1-ლი ნოემბერი.

ვილეგიებით სარგებლობდა და უკეთ იყო მომარაგებული. თავდაპირველად სახალხო გვარდია ნებაყოფლობითი პრინციპზე ეწყობოდა. თვითეულ სახალხოგვარდიელს ეძლეოდა შაშხანა, ვაზნების საბრძოლო კომპლექტი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

მშვიდობიან დროს ყოველი სახალხოგვარდიელი თავის ხელობაზე მუშაობდა და თავის სამსახურს ასრულებდა, ხოლო პერიოდულად იგი სარაიონო შტაბში ცხადდებოდა სამხედრო მეცადინეობისათვის.

სახალხოგვარდიელები უფრო დიდ ჯამაგირს იღებდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ჯარისკაცები, რომლებიც ერთავად შიმშილობდნენ, ტიტველნი და ცუდად შეიარაღებულნი იყვნენ.

სახალხოგვარდიელს თავის ნაწილში ყოფნის დროს ადგილი და ჯამაგირი ენახებოდა, ხოლო ოჯახის წევრები იღებდნენ სასურსათო ულუფას და სხვ. იმ დროს, როცა ჯარის ნაწილებში ჯამაგირი 150-დან 250 მანეთამდე ადიოდა, სახალხოგვარდიელები 3-დან 6 ათას მანეთამდე იღებდნენ.

მაგრამ მთელს ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და საგარეო ფრონტებზე საბრძოლო შეტაკებათა გახშირების გამო, სახალხო გვარდიაში ნებაყოფლობით შემსვლელთა რიცხვი, მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა, თანდათან უფრო მცირდებოდა. ამიტომ 1920 წლის ივლისში მენშევიკები უკვე იძულებულნი გახდნენ იძულებით გაეწვიათ სახალხო გვარდიაში მენშევიკურ პარტიჯრედთა წევრები, პარტიიდან გარიცხვისა და სამსახურიდან დათხოვნის მუქარით. ტფილისში, რკინიგზის 1-ლ რაიონში, მენშევიკებმა ამ ხანებში ძლივს შეჰკრიბეს მხოლოდ 200 კაცი[1].

ბოლშევიკური „სენი" გაძლიერებით ვრცელდებოდა სახალხო გვარდიაშიაც. უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მოექცა მენშევიკი მუშები. ბოლშევიზმის ზრდამ სახალხო გვარდიაში იმდენად შესამჩნევი სახე მიიღო და ამან იმდენად შეაშფოთა მენშევიკები, რომ ეს საკითხი სპეციალურად განიხილა მენშევიკების ტფილისის კომიტეტმა თავის სხდომაზე 1919 წ. 29 დეკემბერს და დასახა ღონისძიებანი, რომელთაც მისი აზრით უნდა შეეწყვიტნა სახალხო გვარდიის შემდგომი გახრწნა:

ამ სხდომის ოქმში ჩაწერილია შემდეგი:

„მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის — სახალხოგვარდიელის გაბოლშევიკების შესახებ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: არის შემთხვევა, როცა ზოგიერთი პარტიული თვითონ ავრცელებს ბოლშევიკურ მოწოდებებს და საერთოდ ხელს უწყობს ბოლშევიკების გამოსვლებს. კომიტეტი ადგენს მიიღოს მათ წინააღმდეგ ისეთივე ზომები, როგორსაც ღებულობენ ასეთ შემთხვევებში სხვა მოქალაქეთა მიმართ"[2].

---

[1] საარქივო ფონდი, საქართველოში არსებული რსფსრ დიპლომ. მისიის სამხედრო წარმომადგენლის საქმე № 5, ფურც. 21—27.

[2] მენშევიკების ტფ. კომიტეტის 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომის ოქმები.

ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა აგრეთვე აგიტაცია და პროპაგანდა საოკუპაციო ჯარებში როგორც ზეპირი, ისე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა პროკლამაციები და ბროშურები ინგლისურ ენაზე და სხვ.

ბოლშევიკებმა მოახერხეს მოეწესრიგებინათ ფურცლების, პროკლამაციების, გაზეთებისა და პარტიული ლიტერატურის ბეჭდვა ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლისა და დენიკინის საფრთხის პერიოდში. ტფილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოახერხა აგრეთვე ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ვოლნას" გამოცემაც. ამ გაზეთის პირველი ნომრის მეთაურში რედაქცია სწერდა:

„ვოლნამ" მიზნად დაისახა იყოს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური ნაწილის უტყუარი აზრისა და მისწრაფების ნამდვილი გამომხატველი"[1].

1919 წელს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო მომენტში, „ვოლნა" ამიერკავკასიაში ასრულებდა პარტიის საბრძოლო ამოცანას — გამხდარიყო მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორი. გაზეთმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა ერთიანი ფრონტის იდეის პროპაგანდისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ყველა რევოლუციური ძალების მობილიზაციის საქმეში, რისთვისაც ის დაუნდობლად ამხელდა ქართველ მენშევიკებს — ამ ფარულ დენიკინელებს.

მენშევიკების მიერ „ვოლნას" დაბურვის შემდეგ ტფილისში გამოვიდა გაზეთები — „რაბოჩი" და „რაბოჩი პუტ".

ხელმძღვანელობდა რა საგაფიცვო მოძრაობას, ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია ცდილობდა მიეცა ამ მოძრაობისათვის მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი. ასე იყო, მაგალითად, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა ზემოაღნიშნული გაფიცვის დროს.

ტფილისის ორგანიზაციის მუშაობის წარმატებით განვითარებასთან ერთად, 1919 წელს ხდება პარტიული ორგანიზაციების შემდგომი ზრდა ადგილებზე, საქართველოს ცალკეულ რაიონებში. კერძოდ, დიდი მუშაობა ჩაატარა ფოთის ორგანიზაციამ, რომელიც ორგანიზაციულად ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს ექვემდებარებოდა. 1919 წლის შემოდგომაზე ფოთში უკვე ჩამოყალიბებული იყო მტკიცე პარტიული უჯრედები რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშათა, ელსადგურის მუშათა, მეთევზეთა, ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის. არსებობდნენ აგრეთვე წამხედრო უჯრედებიც. 1919 წლის აგვისტოში ზესდგა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელზედაც არჩეულ იქნა ახალი პარტიული კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით. იმ ხანებში მომხდარ პროფკავშირთა გადარჩევების დროს გამგეობათა შეტ ნაწილში ბოლშევიკები გავიდნენ. ამიტომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოახერხა თავისი წარმომად-

[1] „ვოლნა" № 1, 1919 წლის 9 ივნისი.

გენლების გაყვანა ფოთის პროფკავშირთა საბჭოშიაც. წარმატებით მიმდინარეობდა ბოლშევიკური მუშაობა გარნიზონის ჯარისკაცთა შორის. მე-3 პოლკის ჯარისკაცები (ეს პოლკი ფოთში იდგა) მზად იყვნენ ბოლშევიკების მოწოდებისთანავე დაეწყოთ აჯანყება მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ. ბოლშევიკები საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე მეზღვაურთა შორისაც.

ფოთის ორგანიზაციამ მოაწყო ნავთის გადაგზავნა ფოთიდან საბჭოთა რუსეთში. ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაცია, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ენერგიულად ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი იყო სპეციალური სამხედრო ორგანიზაცია, იძენდნენ იარაღს, გამომუშავებული იყო აჯანყების გეგმა.

ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობდნენ აგრეთვე ქუთაისში, ხონში, სამეგრელოში, აფხაზეთში, კახეთსა და ქართლში. მიუხედავად ინგლისელების ოკუპაციისა და ბოლშევიკების დევნისა, უდიდესი გავლენით სარგებლობდა ბოლშევიკური ორგანიზაცია ბათომში.

ბოლშევიკური გავლენის ზრდის მხრივ 1919 წელს განირჩეოდა აგრეთვე გურიაც, რომელიც მენშევიკებს თავის დასაყრდენად მიაჩნდათ. 1918 წელს, როცა საქართველოში მენშევიკების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებები ხდებოდა, გურიაში გლეხთა მასობრივი მოძრაობა არ ყოფილა. მაგრამ 1919 წელს მდგომარეობა აქ მკვეთრად შეიცვალა. ამ წლის შუა ზაფხულისათვის მთელი რაიონი უკვე მოფენილი იყო ბოლშევიკური ორგანიზაციებით. ბოლშევიკების აგიტატორები აშკარად გამოდიოდნენ გლეხთა მასობრივ მიტინგებზე. ამასთან, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა მენშევიკების მხრივ, ბოლშევიკებმა მოახერხეს აქ მასობრივი გამოსვლების მოწყობა პროლეტარული დღესასწაულის დღეს, 1 მაისს. ამ დღეს მიტინგებსა და მანიფესტაციებზე გლეხები გამოდიოდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებით და მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და კავშირის აღდგენას საბჭოთა რუსეთთან. 1919 წლის ზაფხულში გურიაში ჩატარდა პარტიული თათბირი, სადაც საბოლოოდ გადაწყდა საკითხი მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ, და გამოსვლების ვადად დაინიშნა შემოდგომა. გამოყოფილ იქნა სამხედრო შტაბი. რომლის მოვალეობასაც შეადგენდა აჯანყების მომზადება. დასახულ ამოცანასთან დაკავშირებით, გარდაიქმნა აგრეთვე მთელი პარტიული ორგანიზაცია. გურია დაყოფილ იქნა რაიონებად, აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე ყოფილი ჯარისკაცები, იძენდნენ იარაღს, სწარმოებდა მუშაობა ჯარის ნაწილებში და სხვ. გურიის გლეხობის უმრავლესობა რომ ამ ხანებში უკვე განთავისუფლდა მენშევიკური გავლენისაგან, ეს თვით მენშევიკებიც კი იძულებულნი იყვნენ გულახდით ეღიარებინათ. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, იმის გამოსარკვევად, თუ რამ აიძულა გლეხები იარაღით ხელში გამოსულიყვნენ, მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა გურიაში სპე-

ამხ. ბ. ძ ნ ე ლ ა ძ ე
საქართველოს კომკავშირული მუშაობის ერთერთი
გამოჩენილი ხელმძღვანელი

ციალური კომისია ბ. ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. გურიიდან დაბრუნებისას, კომისიამ ც. კ-ის 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე განაცხადა, რომ

„გურია აღმოჩნდა უპატრონო. ბოლშევიკები იქ თავისუფლად დანავარდობდნენ. ბოლშევიკების პროპაგანდას ჩვენი პროპაგანდა არ დაპირდაპირებია. ჩვენ ვერ გავამართლეთ ხალხის იმედი; პირიქით, კოოპერა-

ტიული, სასკოლო და სხვა საქმეები ჩვენს ხელში კიდევ უფრო გაუარესდა იმასთან შედარებით, რაც წინათ იყო"[1].

როცა ვლაპარაკობთ მშრომელთა შორის ბოლშევიკური გავლენის ზრდასა და გაძლიერებაზე, საჭიროა აღინიშნოს,- რომ საქართველოშიაც ისევე, როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ამ ხანებში ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმაც.

ბოლშევიკები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდობას, იკრებდნენ თავის გარშემო ახალგაზრდა კადრებს და ზრდიდნენ მათ ბოლშევიკური პრინციპების მიხედვით. კომკავშირული ორგანიზაციები არსებობდნენ ტფილისში, ბათომში, ქუთაისში, ფოთში, ნაშურში, სამეგრელოში, გურიაში და სხვ. 1919 წლის 22 სექტემბერს ბაქოში შესდგა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე არჩეულ იქნა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი და გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ყველა კომკავშირული ორგანიზაციის რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ორგანიზაციული გაერთიანების შესახებ.

კომკავშირის საოლქო კომიტეტი, რომელიც რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა როგორც 1919 წლის აჯანყების მომზადებაში, ისე თვით შეიარაღებულ ბრძოლაშიაც. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღოდა კომკავშირის სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის დარგში.

VI

1919 წელს მთელი პარტიული მუშაობა საქართველოში უმთავრესად მიმდინარეობდა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების ლოზუნგით ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლებისა და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. მუშათა მასების სწრაფი გარევოლუციონერების პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა გლეხთა შორის მუშაობას ეძლეოდა. სამხარეო ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას უნდა გადაეწყვიტა ძირითადი საკითხი, თუ რამდენად მზად იყო გლეხობა მხარი დაეჭირა ბოლშევიკების მიერ მზადებული შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ამ საკითხის შესწავლამ და მოხსენებებმა ადგილებიდან სამხარეო ბოლშევიკური ხელმძღვანელობა იმ მტკიცე დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქალაქში პროლეტარიატის აჯანყებას უეჭველად მხარს დაუჭერდნენ გლეხთა ფართო მასები, მით უმეტეს, რომ ამ ხანებში მენშევიკებმა საბოლოოდ ამხილეს გლე-

[1] მენშევიკების ც. კ-ის 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომის ოქმები.

ხების თვალში თავიანთი თავი როგორც თავის ქვეყნის ბურჟუაზიისა და მემამულეთა კლასის დამცველები.

დაპირებანი მიწის მიცემის შესახებ ტყუილი გამოდგა. მენშევიკური აგრარული რეფორმა, რომელიც მემამულეებს მათი საუკეთესო მიწების დიდ ნაწილს უტოვებდა, უზრუნველყოფდა მხოლოდ მემამულური და კულაკური მეურნეობის განვითარებას. გლეხობის დიდ უმეტესობას უმიწაწყლობა და მცირემიწიანობა სულს უხუთავდა. გლეხებს შორის მიწის განაწილების გამოკვლევამ, მაგალითად, თელავის მაზრაში, რომელიც საადგილმამულო კანონის გამოცემის დღიდან ორი წლის შემდეგ მოხდა, შემდეგი სურათი მოგვცა: მთელ გლეხურ კომლთა 61,4%-ს მოუდიოდა კომლზე საშუალოდ 0,83 დეს., 15,1%-ს—2,34 დეს., 18,3%-ს—4,29 დეს. და 5,2%-ს—11,07 დეს.

ამ 5,2%-ის ხელში იყო დაგროვილი მაზრაში არსებული მთელი სახნავი მიწის 24,5%, მაშინ როცა 61,4% ღარიბ კომლს მიწის მხოლოდ 23,6% ჰქონდა.

სოფლის ფენებად დაყოფის სურათს ამ პერიოდში საკმაოდ ნათლად ახასიათებენ აქ მოყვანილი მაჩვენებლები. მიწის მწვავე საჭიროების გამო ღარიბი გლეხები იძულებულნი იყვნენ მიწა ძველებურად იჯარით აეღოთ მემამულის ან კულაკისაგან მეტისმეტად მძიმე პირობებში. ამავე სტატისტიკის ცნობათა მიხედვით ღარიბ გლეხებს იჯარით ჰქონდათ აღებული თვითეულ კომლზე საშუალოდ 0,52 დეს. მიწა, რაც კომლზე მიწის საშუალო ნადელის თითქმის ორმესამედს შეადგენდა[1].

ცხადია, მენშევიკების საადგილმამულო რეფორმას სრულიადაც არ შეუმსუბუქებია მშრომელი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა.

„ზომერიკის ეგრეთწოდებულ აგრარულ რეფორმას, — სწერდნენ გაზეთ „კომუნისტ გრუზიის“ იმერეთიდან და სამეგრელოდან, — არავითარი დადებითი შედეგები არ მოუტანია. გასანაწილებელი მიწები ხელში ჩაუვარდა სოფლის სპეკულიანტებსა და კულაკებს, სოფლის მმართველ პირებსა და მათ ნათესავებს... სოფლად არასოდეს არ ყოფილა ისეთი კლასობრივი წინააღმდეგობა, როგორც ახლა. ერთი მხრით — მშრომელი გლეხობა და მასთან ერთად სოფლის პროლეტარიატი და მეორე მხრით — სპეკულიაციითა და სხვა ბნელი საქმეებით გამდიდრებული უმცირესობა“ [2].

ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს ძველებურად სჩაგრავდნენ ნახევრადფეოდალური ნაშთები, მათ ძველებურად სტანჯავდნენ ყოველგვარი ბეგარითა და სხვადასხვაგვარი გადასახადებით. ქართველი თავადაზნაურობა თავისუფლად ირაზმებოდა კავშირებში თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, გორის მაზრაში, ისინი ცდილობდნენ

---

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 243, 1920 წ.

[2] გაზ. „კომუნისტ გრუზიი“ № 24, 1920 წლის 15 ნოემბერი.

ისეთივე შავი რაზმები შეედგინათ გლეხების წინააღმდეგ, როგორც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

1918 წლის აგვისტოში გორის მაზრის მემამულე ფავლენიშვილი

„მოითხოვდა გლეხებისაგან სოფ. ერეთში ღალის გადახდას, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში ემუქრებოდა მათ სახალხო გვარდიის მოწვევით“[1].

იმავე წელს მანგლისის რაიონში მემამულე მურსაკულოვი ახდევინებდა გლეხებს „ტოხიარის“ მამულის ხახნავ-სათიბის საიჯარო გადასახადს 600 მანეთის რაოდენობით[2].

სოფლად ნახევრადფეოდალური, ბატონყმური ურთიერთობის სრული აღდგენისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ ენერგიული დამხმარენი ჰპოვა 1918 წელს საქართველოში მენშევიკების მიერ მოწვეული გერმანელი და ინგლისელი ოკუპანტების სახით.

მაგალითად, როცა გლეხებმა რევოლუციურად განაცხადეს უარი გორის მაზრის მემამულეთათვის იმ კაბალური საიჯარო გადასახადის მიცემაზე, რომელიც 1917 წლის მოსავალზე კუთვნილი გადასახადიდან იყო დარჩენილი, გერმანიის დელეგაციის მეთაურმა ფონ-კრესმა თავის მოვალეობად ჩასთვალა სპეციალური ნოტა გაეგზავნა 1918 წლის 22 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის. საქართველოს ფაქტიური ბატონ-პატრონი ფონ-კრესი მენშევიკური მთავრობისაგან მოითხოვდა:

„დაუყოვნებლივ შეექმნათ კომისია საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენლის, მემამულეთა ორი წარმომადგენლისა და გერმანიის დელეგაციის ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით“.

ამ კომისიას ჯერ უნდა გამოერკვია, რა რაოდენობით უნდა მიეღო მემამულეებს გლეხებისაგან საიჯარო გადასახადი, ხოლო შემდეგ შესდგომოდნენ მის აკრეფას.

„ამ ამოცანის (ე. ი. საიჯარო გადასახადის აკრეფის) წარმატებით შესრულებისათვის კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და აგრეთვე გერმანელთა სპეციალურმა სამხედრო რაზმმა“.

ამ ნოტაზე მენშევიკურმა მთავრობამ დაუყოვნებლივ უპასუხა და მოწიწებით დაარწმუნა გერმანელი ოკუპანტები იმაში, რომ:

„... მთავრობა ურყევად ადგია იმ აზრს, რომ მტკიცედ შეასრულოს არსებული კანონები, რომელთა მიხედვითაც მემამულეებს უფლება აქვთ მიიღონ მამულის ის შემოსავალი, რაც მათ კანონით ეკუთვნით“[3]...

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ინგლისელების ოკუპაციის დროსაც. მენშევიკების დახმარებით მემამულენი შემდეგშიაც განაგრძობდნენ წარსული წლების კაბალური საიჯარო გადასახადის აკრეფას გლეხებისაგან.

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 140, 1918 წ.

[2] გაზ. „ბორბა“ № 202, 1918 წ.

[3] ა/ჯ-ისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები, გვ. 381—7.

მენშევიკების ც. კ-ის საქმეებში ამის დამახასიათებელი შემდეგი დოკუმენტი ინახება:

„ზემო-გომის სარაიონო ს.-დ. ორგანიზაცია აუწყებს საქართველოს ს.-დ. პარტიის ც. კ-ს 1920 წლის 19 აგვისტოს თარიღითა და 23 №-ით, რომ 18 აგვისტოს ზემო-გომის ერობის გამგეობაში საჩივარი შემოიტანა რამდენიმე გლეხმა, რომ ს. აბისის მემამულე ალექსანდრე ამირაჯიბმა სხვადასხვა კომბინაციებით, გლეხების დაშინებითა და მოსამართლე კლიმიაშვილის დახმარებით ზოგიერთ გლეხს გადაახდევინა წარსული წლების (1917 წლიდან) ღალა იმ მიწებიდან, რომლებიც ამირაჯიბს უკვე ჩამორთმეული ჰქონდა და გადაცემული იყო ფონდში“[1].

სოფლად შექმნილი გლეხთა პოლიტიკური უუფლებობის, მემამულეთა თვითნებობის, მექრთამეობის, აშკარა ძარცვა-გლეჯის, თეთრი ტეროროსა და მშრომელ გლეხთა დამონავების სრული სურათის მოსაცემად საკმარისია მოვიყვანოთ ცალკეული ადგილები მენშევიკური პარტიის დუშეთის სამაზრო კონფერენციის ოქმებიდან. ეს კონფერენცია, რომელიც შესდგა დუშეთში 1920 წლის 5 — 8 მაისს, იძულებული იყო შეხებოდა აგრეთვე სამაზრო ერობისა და ადმინისტრაციის მოქმედებას. კონფერენციაზე ცალკეული ორატორების გამოსვლით, დოკუმენტების შემოწმებით და მოწმეთა ჩვენებით გამოირკვა, რომ სამაზრო ადმინისტრაცია საშინელი ძალადობითა და დაცინვით ეპყრობოდა გლეხებს.

მენშევიკური ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ისევე, როგორც მეფის აგენტები, ართმევდნენ გლეხებს ყველაფერს, რის წართმევაც კი შეიძლებოდა.

აი რას ამბობს დუშეთის მაზრის სოფ. წილკანის მცხოვრები — ვანო მამუკაშვილი:

„მცხეთის რაიონის კომისარმა სოლომონ მენაბდემ გამოუცხადა სოფ. წილკანის მოსახლეობას, რომ მისთვის, როცა ის ს. წილკანში მივიდოდა, უფასოდ მიერთმევნათ: ქათმები, ცხვრები, ერბო-კარაქი და სხვ. ხსენებულმა მენაბდემ მე ერთი ტომარა ფქვილი წამართვა“.

სოფ. წილკანის მცხოვრებმა გიგო წიწინაშვილმა განაცხადა:

„ჩემი ძმა ციხიდან გაიქცა და ნებაყოფლობით შევიდა ჯარში. ადმინისტრაცია მას დაეძებდა და, რაკი არ იცოდა, რომ ის ჯარში იყო, გადასწყვიტა ჩემი დაპატიმრება. მე მივუთითე ჩემი ძმის მისამართზე, მაგრამ არც ამან მიშველა. მე დამაპატიმრეს და მხოლოდ მის შემდეგ გამანთავისუფლეს, როცა თავისი აგენტების საშუალებით 1000 მანეთი გადამახდევინეს“.

დუშეთის ადმინისტრაციამ მშვენივრად შეითვისა გენ. ალფტანის, ალიხანოვისა და სხვ. ხერხი და აღადგინა მაზრაში ეკზეკუციებისა და ადმინისტრატიული თვითნებობის სისტემა.

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის საარქივო ფონდი. მენშევიკების ც. კ-ის საქმე, სხვადასხვა მიმოწერა.

აი რას ლაპარაკობდა ამის შესახებ მჭადისჯვარის მოსახლეობა:

„1919 წლის დეკემბრის გასულს ს. მჭადისჯვარში მოვიდა დუშეთის სამაზრო კომისარი გიორგი პარკაძე და განაცხადა, რომ ის მილიციონერებით მოვიდა, როგორც „ეკზეკუცია", რომელიც სოფელმა უნდა შეინახოს უფასოდ ცხენებითურთ... პარკაძემ უფასოდ ჩამოართვა მცხოვრებთ: თივა, ქერი, ქათმები და ორი ინდაური. უფროსმა მილიციონერმა სცემა გლეხების წარმომადგენელს..."

შეცხვარე-მწყემსმა დათიკო ტილიშვილმა განაცხადა:

„სამაზრო კომისარი პარკაძე და ერობის გამგეობის წევრი ლ. ფარნიევი ავაზაკების დევნის დროს სოფლად დადიოდნენ და დიდ უკანონობას სჩადიოდნენ: 1) მათ, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, სცემეს ორ ახალგაზრდას — სანდრო ტილიშვილს და თედო კაპაშვილს. ერთ მათგანს ორი კბილი ჩაუმტვრიეს, ხოლო მეორე, ცემის შედეგად, ავად გახდა და მას ექიმობა ძვირად დაუჯდა; 2) სოფ. წეროვანში გ. პარკაძემ და ლ. ფარნიევმა გლეხ კერთქოშვილს წაართვეს 20 სული ცხვარი, რომელთაგანაც 7 დაჰკლეს, ხოლო დანარჩენი უკანვე დაუბრუნეს; 3) სოფ. ნაგოხევში გლეხ სოსო გაგოშვილს წაართვეს და დაუკლეს 5 ცხვარი, პატრონისათვის კი არავითარი სასყიდელი არ მიუციათ; 4) ჩემს ამხანაგს — მწყემს ვანო კერთქოშვილს ახალი ნაბადი ჰქონდა, რომელიც ლ. ფარნიევს მოეწონა, და წაართვა... გარდა ამისა, ოსურ სოფლებში ლ. ფარნიევი ხშირად აგროვებდა უფასოდ გამომცხვარ პურს, ქათმებს, კვერცხს, ყველს, რძეს, თივას და ქერს, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე რაიმე საფასური გადაეხადოს. ჩემი ნათქვამი მუდამ მზად ვარ დავადასტურო და დავამტკიცო სასამართლოსა და აგრეთვე მთავრობის წარმომადგენლების წინაშე".

იმავე სოფლის მცხოვრებმა ლექსო ჭარელაშვილმა განაცხადა:

„1919 წლის სექტემბერში მე და ჩემი მეზობლები ბაღში ვისხედით და ვმუსაიფობდით. ჩვენი ბაღის პირდაპირ, გზაზე, გამოჩნდნენ სამაზრო ერობის კომისარი პარკაძე და ერობის გამგეობის წევრი ფარნიევი მილიციონერებით. პარკაძემ და ფარნიევმა, რაწამს დაგვინახეს, დაგვიყვირეს, რომ მათთან მივსულიყავით. ვინც კი მივიდა მათთან, ყველას ყოვლად უსაფუძვლოდ დაუწყეს ჯოხებით ცემა. ასეთი ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს: აბრამ დარიელაშვილს, სანია მაკიაშვილს, ნიკო ფულიაშვილს, ალექსი ჭარელაშვილს, სანდრო არატანაშვილს და ნიკო მაკიაშვილს".

შინაგან საქმეთა სამინისტროში რომელიღაც უცნობი პირი, აგროვებდა რა ცნობებს დუშეთის სამაზრო ადმინისტრაციის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, სწერდა:

„კითხულობ ამ ოქმებს და უნებლიედ ეკითხები თავის თავს: ნუ-თუ ამ ოქმებში მოყვანილ ფაქტებს შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა XX საუკუნეში და ისიც თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ... ამის შემდეგ გა-

საგებია, რომ ოსების აჯანყება გამოწვეული იყო არა გარედან, არამედ მომზადებული იყო იმ პოლიტიკით, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ატარებდა"[1].

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ადგილობრივ ადმინისტრაციაში არ იყო. ის ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს იმ სოციალურ-ეკონომიური სისტემის შედეგი იყო, რომელსაც მენშევიკები ახორციელებდნენ.

მშრომელი გლეხობა მთელს თავის იმედს მხოლოდ ბოლშევიკურ ორგანიზაციაზე ამყარებდა. შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში პარტიულმა უჯრედებმა გლეხთა რაიონებში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს.

ისინი ადგენდნენ აჯანყების გეგმებს თავის რაიონში, შოულობდნენ იარაღს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ორგანიზაციას და სამხედრო ხელოვნების სწავლებას და მთელი ორგანიზაცია საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში ეჭირათ.

1919 წლის აგვისტოსა და სექტემბერში საქართველოში ყველგან ჩატარდა სამაზრო პარტიული კონფერენციები. 19 აგვისტოს შესდგა ტფილისის საგუბერნიო პარტიული კონფერენცია, ხოლო სექტემბერში — ქუთაისის საგუბერნიო კონფერენცია. ამ კონფერენციებზე განხილულ იქნა ძირითადი საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის მომზადებული პარტია საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის.

შინაური და საგარეო მდგომარეობის გულმოდგინე ანალიზს პარტიის სამხარეო ხელმძღვანელობა მიჰყავდა იმ დასკვნამდე, რომ განზრახული შეიარაღებული აჯანყების წარმატებისათვის საჭირო წინაპირობები უკვე არსებობდა. მძვინვარებდა ეკონომიური კრიზისი, რომელიც ნამდვილ კატასტროფულ სახეს იღებდა. მასობრივი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პირობებში კლასობრივი წინააღმდეგობანი თანდათან უფრო მეტად მწვავდებოდნენ. ბოლშევიკურ ორგანიზაციებს უაღრესად მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პროლეტარიატთან; ისინი სათავეში ჩაუდგნენ მშრომელ გლეხთა ძირითად მასებს და მოახერხეს აგრეთვე დიდი გავლენა მოეპოვებინათ მენშევიკურ არმიაშიაც. ბოლშევიკების მუშაობას ერთგვარი წარმატება ემჩნეოდა ამასთანავე საოკუპაციო ჯარების გახრწნის საქმეშიაც.

სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების შესახებ. აჯანყების დღედ დანიშნულ იქნა 24 ოქტომბერი.

1919 წლის მეორე ნახევარი კრიტიკული გარდატეხის პერიოდი იყო სამოქალაქო ომის ისტორიისათვის საბჭოთა რუსეთში. თავის იმპერიალისტურ

---

[1] ცენტრ. არქივი, ფონდი № 68. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმე. სხვადასხვა მიმოწერა ერობის საქმეთა შესახებ და დუშეთის სამაზრო კონფერენციის ოქმების ასლები.

ბატონ-პატრონთა მითითებით და მათი ფართო დახმარებით დენიკინმა სამხრეთის კონტრრევოლუციის ჯარებით მოსკოვს შეუტია. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიმართა წერილით, სადაც აყენებდა ლოზუნგს „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისათვის". ეს წერილი დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ.

„...დადგა სოციალისტური რევოლუციის ერთერთი ყველაზე კრიტიკული და, როგორცა სჩანს, თვით უაღრესად კრიტიკული მომენტი,— სწერდა ლენინი.— ექსპლოატატორების, მემამულეებისა და კაპიტალისტების როგორც რუსი, ისე უცხოელი დამცველები (პირველ რიგში ინგლისელები და ფრანგები) თავგანწირულად ცდილობენ აღადგინონ სახალხო შრომის მძარცველების, მემამულეებისა და ექსპლოატატორების ძალაუფლება რუსეთში, რათა განამტკიცონ მათი შერყეული ძალაუფლება მთელს მსოფლიოში... ყველა კომუნისტმა,— ნათქვამი იყო წერილის ბოლოში,— ყველა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა, ყველა იმათ, ვისაც არ სურს, რომ კოლჩაკმა და დენიკინმა გაიმარჯვონ, დაუყოვნებლივ, უახლოესი თვეების განმავლობაში უნდა გამოიჩინონ არაჩვეულებრივი ენერგია, „უნდა იმუშაონ რევოლუციურად"[1].

საქართველო წარმოადგენდა რუსეთის კონტრრევოლუციის ზურგს, საიდანაც დენიკინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველგვარ დახმარებას იღებდა იარაღითა და ცოცხალი ძალებით. როგორც ლენინი აღნიშნავდა, მენშევიკური საქართველო იმ 14 სახელმწიფოს შორის იყო, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში. იღებდა რა მხედველობაში ყოველივე ამას, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს არ შეეძლო კვლავ გაეზვიადებინა საყოველთაო აჯანყების საკითხის გადაწყვეტა. მუშათა და გლეხთა აჯანყებას დენიკინის ზურგში, ლოზუნგით — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", — წითელი არმიის მორალური დახმარებისა და გამხნევების გარდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა, ვინაიდან ის ანგრევდა ანტანტის გეგმას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 14 სახელმწიფოს გალაშქრების შესახებ. ამნაირად, კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უდაოდ სწორი იყო.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის დადგენილების შემდეგ

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი. „სამოქალაქო ომის ეპოქიდან", გვ. 56. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის გამოცემა.

ახალი აღმავლობა დაიწყო მთელს პარტიულ მუშაობაში. სამხარეო კომიტეტი უშუალო ხელმძღვანელობას უწევს უახლოეს დროში შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციას, რომ უზრუნველჰყოს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში.

შემუშავებული გეგმის თანახმად, აჯანყება ტფილისში უნდა დაეწყოთ მუშებსა და გარნიზონის ჯარისკაცებს, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა დაეპირათ უმნიშვნელოვანესი დაწესებულებები: რკინიგზის სადგური, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვ.

სიგნალის მიცემისთანავე აჯანყება უნდა დაწყებულიყო რაიონებშიაც, რომ მხარი დაეჭირათ მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლებისათვის ტფილისში. რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა სამხედრო-რევოლუციური შტაბი აჯანყების სახელმძღვანელოდ და დაგზავნა ყველა რაიონში თავისი რწმუნებულები.

მაგრამ ასე გულდასმით მომზადებული საყოველთაო აჯანყება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

აჯანყება ტფილისში, რომელიც დანიშნული იყო 24 ოქტომბრის საღამოსათვის და რომელიც სიგნალი უნდა ყოფილიყო მთელი საქართველოსათვის, არ მოხერხდა. აჯანყების რამდენიმე დღით ადრე, 22 ოქტომბერს, მოწვეულ იქნა 22 კაცისაგან შემდგარი საგარნიზონო კრება, სადაც საბოლოოდ უნდა დამტკიცებულიყო აჯანყებაში გარნიზონის მონაწილეობის გეგმა. კრების მონაწილეთა შორის აღმოჩნდნენ გამცემლები და მთელი საგარნიზონო კრება დაპატიმრებულ იქნა. ამავე კრებაზე დაპატიმრებულ იქნა სამხედრო-სარევოლუციო შტაბიც — აჯანყების ეს ხელმძღვანელი ორგანო მთელს საქართველოში.

ამნაირად, განზრახულ აჯანყებას აღარ დაურჩა ხელმძღვანელი სამხედრო ცენტრი. მენშევიკურ მთავრობას უკვე გაგებული ჰქონდა აჯანყების მთელი გეგმა და, რაკი მთავრობამ ხელთ იგდო აჯანყების ყველა ძაფი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, მან წინასწარ მიღებული კონტრზომებით მოახერხა საქმე ჩაეშალა და თავიდან აეცილებინა ეს ამბები. მაგალითად, ხიდისთავში (გურია) მენშევიკებმა დააპატიმრეს გურიის სამხედრო-ტექნიკური კომისიის მთელი შემადგენლობა; ფოთიდან მენშევიკებმა წინასწარ გაიყვანეს ბოლშევიკურად განწყობილი მესამე პოლკი და აჯანყებისათვის დანიშნული რიცხვის წინადღით დაპატიმრეს 100 კაცი, მათ შორის ფოთის პარტიული ხელმძღვანელობაც; დაპატიმრებულ იქნენ ბოლშევიკები აგრეთვე ფოთის პორტში მდგარ სამხედრო გემებზედაც. კომუნისტების მასობრივი დაპატიმრებანი ჩატარდა აგრეთვე კახეთში, სამეგრელოში, დუშეთის მაზრასა და სხვა რაიონებშიაც. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით ხელმძღვანელი ცენტრის დაპატიმრების შემდეგ, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული იყო გამოეტანა გადაწყვეტილება აჯანყების გადადებისა და შესი უფრო ხელსაყრელ დროს დანიშ-

ენის შესახებ. ამის შესახებ ცნობები ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაეგზავნა, მაგრამ, რადგან ცოტა დრო იყო დარჩენილი, ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას ახალი დირექტივა დროზე არ მიუღია და, რაკი მათ არაფერი იცოდნენ წინანდელი გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, დაიწყეს გამოსვლები დანიშნულ დღეს. 24 ოქტომბერს წარმატებით ჩატარდა აჯანყება ლაგოდახში, სადაც ბოლშევიკებმა, რომლებიც აჯანყებულებს ხელმძღვანელობდნენ, ხელთ იგდეს ფოსტა, ტელეგრაფი და მთავრობის სხვა დაწესებულებანი. აჯანყებულებმა დაამარცხეს სანაპირო რაზმი და ხელთ იგდეს იარაღის საწყობი. ამნაირად, ლაგოდახში მთელი ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა. ასევე წარმატებით დაიწყო აჯანყება სამტრედიაში, სოფ. კულაშში, ს. გუბში და სენაკისა და დუშეთის მაზრების ცალკეულ რაიონებშიაც. 8-9 ნოემბერს აჯანყება მოხდა აგრეთვე გორის მაზრის ცალკეულ რაიონებსა და გურიაში.

აჯანყებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო გურიაში, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების წინადღით დაპატიმრებულ იქნა გურიის პარტიული კომიტეტი და დიდმა წვიმებმა და ადიდებულმა მდინარეებმა საშუალება მოუსპო აჯანყებულებს უშუალოდ მიახლოებოდნენ გურიის ცენტრს — ქ. ოზურგეთს (ამჟამად ქ. მახარაძე). აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს ქ. ლანჩხუთსა და სოფ. სუფსაში, 9 ნოემბერს კი საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა დ. ჩოხატაურში.

მაგრამ, რადგან ჩავარდნების გამო ადგილებმა ვეღარ შესძლეს დახმარების მიღება ცენტრიდან, მენშევიკებმა უფრო საიმედო სამხედრო ნაწილების — სახალხოგვარდიელებისა და საპოლიციო აპარატის დახმარებით, მიუხედავად აჯანყებულთა სასტიკი წინააღმდეგობისა, მოახერხეს ყველა ამ გამოსვლის საშინელი სისასტიკით ჩაქრობა.

აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკებმა გამოიყენეს აგრეთვე ინტერვენტების შეიარაღებული ძალებიც. ამას მოწმობს სოხუმში მომხდარი მე-2 პოლკის აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ 1919 წლის ოქტომბერში. მენშევიკური გაზეთი „ბორბა“ სწერდა, რომ მე-2 პოლკის ჯარისკაცთა დასამშვიდებლად ინგლისის კრეისერმა სოხუმში დესანტი გადმოსხა[1].

ბოლშევიკურ აჯანყებას საქართველოში მენშევიკებმა თეთრი ტერორითა და სისხლის წვიმით უპასუხეს. გამხეცებულმა მენშევიკებმა გადაბუგეს აჯანყებულთა სოფლები. საქართველოს ციხეები დაპატიმრებულებით აივსო. დაპატიმრებულთა, დახვრეტილთა და კატორღამისჯილთა საერთო რიცხვი 2 ათას კაცს აღწევდა. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრთაგან დაპატიმრებას მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩა. ქალაქების განტვირთვის საბაბით მენშევიკებმა დაუწყეს საქართველოდან გაძევება იმ პირთ, ვინც საეჭვოდ და ბოლშევიზმის თანამონაწილეებად მიაჩნდათ.

---

[1] გაზ. „ბორბა“ № 240, 1919 წ.

თავის მიმართვაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი სწერდა:

„ამხანაგებო, ამიერკავკასიის დემოკრატიული მთავრობები მეტოქეობას უწევენ მეფის გენერლებს — დენიკინს, ერანგელსა და პოკროვსკის თავიანთ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობის საქმეში. მათ სისხლში ჩააღრჩვეს აჯანყებული საქართველო და ასობით და ათასობით გლეხები და მუშები გამომწყვდიეს ციხეებში. ისინი გააფთრებით შეუდგნენ რუსების, მთიელებისა და სხვა საბჭოთა მუშაკების და კომუნისტების მასობრივად გადაცემას დენიკინისათვის „ქალაქების განტვირთვის“ საბაბით“[2].

რომ გაემართლებინათ თავიანთი წარმოუდგენელი ტერორი ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ, მენშევიკები პრესაში, ოფიციალურ ცნობებში და დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან ამტკიცებდნენ, რომ ბოლშევიზმისათვის საქართველოში ნიადაგი არ არსებობდა, ავრცელებდნენ სრულიად შეუსაბამო ხმებს, რომ თითქოს აჯანყება საქართველოში მოწყობილი იყო გარედან, რომ მას ავაზაკური ხასიათი ჰქონდა და სხვ.

საქართველოში მომხდარ აჯანყებას, მიუხედავად უამრავი მსხვერპლისა და დამარცხებისა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს აჯანყება მეტად აფერხებდა ანტანტის პოლიტიკას, რომელიც აქეზებდა პატარა სახელმწიფოებს გაეჩაღებინათ ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ბოლშევიკურმა აჯანყებამ საქართველოში დენიკინიც იძულებული გახადა შიშით მოეხედნა თავის ზურგისაკენ. ამ გარემოებამ დენიკინი იძულებული გახადა რამდენიმე თავისი პოლკი გადმოეყროლა საქართველოს საზღვრებისაკენ ქართველი მენშევიკების დასახმარებლად.

მიუხედავად დამარცხებისა და დიდი მსხვერპლისა, 1919 წლის აჯანყება საქართველოს მუშებისა და რევოლუციური გლეხობისათვის სამოქალაქო ომის სკოლას წარმოადგენდა.

„...სამოქალაქო ომის სკოლა, — ამბობს ლენინი, — ფუჭად არ ჩაიელის ხალხებისათვის. ეს მძიმე სკოლაა და მისი სრული კურსი აუცილებლად შეიცავს კონტრრევოლუციის გამარჯვებებს, გაბოროტებული რეაქციონერების თარეშს, მხეცურ ანგარიშგასწორებებს ძველი ხელისუფლების მიერ მეამბოხეთათვის და სხვ. მაგრამ მხოლოდ უკიდურეს პედანტებსა და ჭკუაგამოლაყებულ მუმიებს შეუძლიათ იტირონ ხალხის ამ ტანჯვის სკოლაში შესვლის გამო; ეს სკოლა ასწავლის დაჩაგრულ კლასებს სამოქალაქო ომის წარმოებას, ასწავლის ძლევამოსილ რევოლუციას, თავს უყრის თანამედროვე მონათა მასებში იმ სიძულვილს, რომელსაც მუდამ გულში ატარებენ დაბეჩავებული, ჩლუნგი, უვიცი მონები და რო-

[2] საქ. სარევოლუციო მუზეუმი. 1917—21 წწ. ბოლშევიკური პროკლამაციები.

მელსაც უდიდეს ისტორიულ სიმამაცემდე მიჰყავს ის მონები, რომელთაც შეიგნეს თავიანთი მონობის სამარცხვინო ხასიათი"[1].

ამავე დროს ბოლშევიკებმა შეისწავლეს აჯანყების გაკვეთილები. პარტია მალე გაშომრთელდა შიღებული ჭრილობისაგან, მან აღადგინა თავისი შერყეული რიგები და კვლავ გასამკეცებული. ენერგიითა და ბოლშევიკური სიმტკიცით ჩაუდგა სათავეში ჭერქვეშეთიდან მუშათა და მშრომელ გლეხთა ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად.

[1] ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. XII, „საწვავი ნასალა მსოფლიო პოლიტიკაში", გვ. 305.

1920 წელი
საქართველოში

I

1920 წლის დასაწყისი საბჭოთა რუსეთში აღინიშნა პროლეტარიატის გადამწყვეტი გამარჯვებით სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენიალური ბელადის — ლენინის საერთო წინამძღოლობით და იმ გიგანტური მუშაობის შედეგად, რომელიც ჩაატარა სამხრეთის ფრონტზე დიდმა პროლეტარულმა სტრატეგმა, ლენინის უახლოესმა თანამებრძოლმა ამხანაგმა სტალინმა, მის მიერვე შემუშავებული და რკპ (ბ) ც. კ-ის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმით, გმირულმა წითელმა არმიამ საბოლოოდ დაამარცხა დენიკინის თეთრგვარდიული არმია და მისი იმპერიალისტური ბატონ-პატრონები.

1920 წლის 2 იანვარს, ღამით, წითელმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა ცარიცინი და ამით დაამთავრა ეოლგაზე სამოქალაქო ომის გმირული ისტორიის ერთერთი თავი. 8 იანვარს, ღამით, I ცხენოსანმა არმიამ, სხვა ნაწილებთან ერთად, ამხ. ბუდიონისა და ვოროშილოვის ხელმძღვანელობით, ხელში ჩაიგდო სამხრეთის კონტრრევოლუციის მთავარი ბუნაგი — დონის როსტოვი.

„სამხრეთის ფრონტის ჯარებისათვის მიცემული ძირითადი ამოცანა, — სწერდნენ ამის შესახებ ამხანაგი სტალინი და ეგოროვი თავიანთ ბრძანებაში არმიისადმი, — ესე იგი მოწინააღმდეგის მოხალისეთა არმიის განადგურება, დონბასის დაპყრობა და სამხრეთის კონტრრევოლუციის მთავარი კერის — როსტოვის აღება უკვე შესრულებულია“.

დენიკინის არმია როსტოვთან დამარცხების შემდეგ ორ ნაწილად გაიყო. ერთმა მათგანმა სწრაფად დაიხია უკრაინისაკენ, მეორე გაემართა ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ. 17 მარტს, დენიკინის სატახტო ქალაქის — ეკატერინოდარის (ამჟამად კრასნოდარი) აღების შემდეგ, წითელი არმია, აეიწროებდა რა მოწინააღმდეგეს, თანდათან უახლოვდებოდა ამიერკავკასიისა და მენშევიკური საქართველოს საზღვრებს.

ჩრდილოეთ-კავკასია და შავიზღვის ნაპირები მთელი კავკასიისა ამ დროს მოცული იყო თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ მიმართული აჯანყებებით. მარტის ბოლოს თეთრი არმიები, როგორც ჩრდილოეთ-კავკასიაში, ისე უკრაინაში, საბოლოოდ განადგურებულ იქნენ და მხოლოდ მათმა უმნიშვნელო ნაწილმა

თავი შეაფარა ყირიმს, რომელიც ამრიგად რუსეთის კონტრრევოლუციის უკანასკნელ საფარად გადაიქცა.

ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ საქართველოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ აქეთ შეეძლოთ უკან დაეხიათ და თავი შეეფარებინათ დენიკინის დამარცხებული ჯარის ნაწილებს, ცდილობდა რა იმას, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაემარცხებინა კონტრრევოლუცია და გადასულიყო სოციალისტურ მშენებლობაზე, საბჭოთა მთავრობამ 1920 წლის დასაწყისში ნოტით მიმართა საქართველოს რესპუბლიკას და წინადადება მისცა მას დაემყარებინა მასთან კავშირი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ბოლო მოეღო თავისი „ორაზროვანი პოლიტიკისათვის“ და აქტიურად გამოსულყო ყველა მშრომელის დაუძინებელი მტრის, ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ნაციონალური უმცირესობის შეუბრალებელი მდევნელის გენ. დენიკინის წინააღმდეგ, რომელიც აშკარად ცდილობდა აღედგინა კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და კვლავ შეექმნა „მთლიანი განუყოფელი“ რუსეთი.

საბჭოთა მთავრობის წინადადება განხილულ იქნა მენშევიკური პარტიის ც. კ-ის სხდომაზე.

ამ სხდომის გადარჩენილი ოქმიდან არა სჩანს, თუ როგორ ჩატარდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. ოქმში ჩაწერილია მხოლოდ შემდეგი შინაარსის ლაკონიური ცნობა:

„ბოლშევიკების წინადადების შესახებ“.

„მოლაპარაკების წარმოება სამხედრო კავშირის შესახებ შეუძლებელია. საქართველოს არ შეუძლია შეიარაღებული მონაწილეობა მიიღოს რუსეთის სამოქალაქო ომში“[1].

საბჭოთა მთავრობისათვის გაგზავნილ საპასუხო ნოტაში მენშევიკები თავის უარს იმით ასაბუთებდნენ, რომ რუსეთში წარმოებულ სამოქალაქო ომში მათ სურთ დაიცვან „უაღრესად მტკიცე ნეიტრალიტეტი“.

მაგრამ მენშევიკების საგარეო პოლიტიკის საიდუმლო ზრახვები იმჟამად თვით მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ გამოამჟღავნა. საქართველოს დამფუძნებელი კრების 14 იანვრის სხდომაზე მან განაცხადა:

„თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთმა წინადადება მოგვცა ჩვენ დავამყაროთ მასთან სამხედრო კავშირი. ჩვენ მას გადაჭრით უარი შევუთვალეთ. თქვენ, ალბათ, ჩვენს პასუხს უკვე იცნობთ. რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კავშირი უნდა გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც ეს თვითონ მათ ჩაიდინეს, და მივაპყრათ თვალები აღმოსავლეთს, სადაც ბოლშევიკები ახალ მოკავშირეებს ეძებენ... საქართველოსა და რუსეთის გზები აქაც დაშორდნენ ერთმანეთს. ჩვენს გზას ევროპისაკენ მივყევართ, რუსეთის გზას — აზიისაკენ.

[1] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1920 წლის 9 იანვრის სხდომა.



ამიერკავკასიის ბაკუ მეფრიველ მასსის ვიეარი

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიმართვა მშრომელი მასებისადმი ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან კავშირის დამყარების შესახებ.

ვიცი, ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ მეაქუნდა განვაცხადო: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია"[1].

ამგვარად, თუ 1919 წელს მენშევიკები ჯერ კიდევ ფრთხილობდნენ გამოეთქვათ თავისი აშკარა სიმპატიები რუსეთის კონტრრევოლუციისადმი და ფორმალურად უარს არ ამბობდნენ მოლაპარაკება ეწარმოებინათ ბაქოს პროლეტარიატთან ერთიანი ფრონტის შესახებ (რა თქმა უნდა, ამ ერთიანი ფრონტის ჩაშლის მიზნით. — გ. ხ.), თუ 1919 წელს მენშევიკებსა და დენიკინის არმიას შორის ადგილი ჰქონდა რაიმე უმნიშვნელო კონფლიქტებსა და გაუგებრობას,[2] ახლა, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ ანტანტის მიერ ახალი თავდასხმა მზადდებოდა, მენშევიკებმა თავისი ლიდერის ნ. ჟორდანიას პირით გულახდილად და ყველას გასაგონად განაცხადეს, რომ ისინი დასავლეთის იმპერიალისტების მომხრენი არიან.

[1] გახ. „ბორბა" № 11, 1919 წ.

[2] 1919 წლის შემოდგომაზე, როცა დენიკინი გატაცებული იყო საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის წარმატებებით, მენშევიკურ მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით მენშევიკურ საქართველოს ცოტა ხნით ბლოკადაც კი გამოუცხადა.

„საქართველოს მთავრობა, — სწერდა თავის მოწოდებაში მშრომელი მასებისადმი რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, — იძულებული გახდა ნიღაბი ჩამოეხსნა და თავისი გამცემლური სახე გამოემჟღავნებინა. ჟორდანიამ უარი სთქვა საბჭოთა რუსეთთან კავშირის დამყარებაზე, მან უარი სთქვა დენიკინთან ბრძოლაზე და აშკარად გადავიდა ანტანტის მხარეზე. ამის ჯილდოდ იმპერიალისტური ევროპის წარმომადგენელმა უორდროპმა საქართველოს „დამოუკიდებლობა" მიუძღვნა. მენშევიკური მთავრობა უნაყოფოდ ცდილობდა ამის მიღებას რამდენიმე წლის განმავლობაში; ამ მიზნით მან სპეციალური დიპლომატიური მისიაც კი გაგზავნა ევროპაში. და მხოლოდ ახლა, როდესაც დენიკინი უკვე საბოლოოდ განადგურებული იყო, როდესაც უკვე დაეცა დონის როსტოვი და საჭირო გახდა ახალი კონტრრევოლუციური ძალების შეკოწიწება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ანტანტამ გადასწყვიტა მიეცა ქაღალდის ნაგლეჯი „საქართველოს დამოუკიდებლობის" ფაქტიური აღიარების შესახებ"[1].

დიდი არაფერი იყო ამ „დამოუკიდებლობის" ფასი, მაგრამ მენშევიკებისათვის იგი საკმარისი აღმოჩნდა, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ პროლეტარული რევოლუციის გამცემლობისა და ღალატის საქმე.

ამავე დღეებში საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომლის უმრავლესობასაც იგივე მენშევიკები შეადგენდნენ, გადასწყვიტა უარი ეთქვა რევოლუციის ემბლემაზე — წითელ დროშაზე — და დაადგინა შეეცვალა იგი ნაციონალისტური დროშით, რომელზედაც გამოხატული იყო ფეოდალური საქართველოს გმირი გიორგი ძლევამოსილი[2].

ამ ფაქტის გამო თვით მენშევიკების სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელიც კი იძულებული იყო ფარისეველური ცრემლმორეევით აღენიშნა თავის დღიურში, რომ 14 იანვარი დაბინდა სამწუხარო ინციდენტმა — წითელი დროშის მოხსნამ სასახლეზე (კავკასიის ყოფ. ნამესტნიკის სასახლე, სადაც ხდებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომები და მოთავსებული იყო მთავრობის სხვა დაწესებულებებიც). რასაკვირველია, აქ საქმე სამწუხარო ინციდენტში არ იყო. მენშევიკებმა წითელი დროშის ჩამოხსნით არსებითად მათ მიერ რევოლუციის ღალატის უკვე დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტი დაადასტურეს. რომ ეს ასე იყო, ამას, სხვათა შორის, მოვლენათა შემდგომი განვითარებაც ამტკიცებს. როდესაც ზოგიერთმა გულუბრყვილო მენშევიკმა სცადა დამფუძნებელი კრების მენშევიკურ ფრაქციაში პროტესტი განეცხადებინა პროლეტარული დროშის ნაცვლად ნაციონალისტური დროშის დაკანონების წინააღმდეგ, ფრაქციამ გადაჭრით უარი სთქვა სასახლეზე წითელი დროშის აღდგენის შესახებ.

---

[1] საქართველოს რევოლუც. მუზეუმი. ბოლშევიკური პარტიის 1917—21 წლის პროკლამაციები.

[2] დამფუძნებელი კრების წევრთა საერთო რიცხვი 135 კაცს უდრიდა. აქედან სოციალ-დემოკრატი იყო 110 კაცი, სოციალ-ფედერალისტი—9, ნაციონალ-დემოკრატი—8, სოც.-რევოლუციონერი—5 და დაშნაკელი—2 კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკების ამ ნაბიჯმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ყველა პატიოსან პროლეტართა შორის. რევოლუციური დროშის დასაცავად გამოვიდნენ ტფილისის მუშები, რომლებმაც რევოლუციური წარსულის მქონე ძველი მოწინავე მუშების ხელმოწერით საქართველოს მუშებს დაუგზავნეს მოწოდება — პროტესტი განცხადებინათ მენშევიკური მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. ამ მოწოდების საპასუხოდ ტფილისის მეტყველებმა დადგენილება გამოიტანეს, რომ „მეტყველთა პროფესიული კავშირი თავის ხმას უერთებს პროლეტარიატის ერთგულ მედროშეთა მოწოდებას და მათთან ერთად ეუბნება მუშათა კლასს:

„ჩვენი საბრძოლო წითელი დროშა საიმედო ხელში არ არის. იგი დაეცა, სხვა დროშით შეიცვალა. პროლეტარიატი უნდა გამოფხიზლდეს!"[1]

მენშევიკებმა განაცხადეს, რომ რუსეთის სამოქალაქო ომში ისინი „უალრესად მტკიცე ნეიტრალიტეტს" დაიცავენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ თავისუფლად გაატარეს საქართველოს ტერიტორიაზე დენიკინის დამარცხებული არმიის მარჯვენა ფრთა. ეს კიდევ ცოტაა, მოხალისეთა არმიის ინტერნირებული ნაწილები ფორმალურად მენშევიკებმა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, ხოლო ამ ბანაკის ადგილად მათ წინასწარი მოსაზრებით აირჩიეს ქ. ფოთის მიდამოები, შავიზღვის პირად, საიდანაც 1920 წლის აპრილსა და მაისში მენშევიკური მთავრობის აშკარა დახმარებით ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა ყირიმში წაიყვანეს 10 — 12 ათასი თეთრგვარდიელი, რითაც საგრძნობლად გაადიდეს ერანგელის არმიის ძალები. თვით ტფილისში, დენიკინის განადგურების შემდეგ. გენერალ ჩიკვაიძის თავმჯდომარეობით სასწრაფოდ მოწყობილ იქნა ლტოლვილთა კომიტეტი, რომლის საფარველქვეშაც არსებითად ხდებოდა თეთრგვარდიელი ოფიცრებისა და ყოველგვარი კონტრრევოლუციური ელემენტების დარაზმვა გენერალ ერანგელთან გასაგზავნად ყირიმში[2].

---

[1] გაზ. „ბორბა" № 162, 1920 წ. ეს მოწოდება, სხვათა შორის, ერთერთი მოტივთაგანი შეიქნა, რომ დაეშალნათ მეტყველთა კავშირის გამგეობა და დაეტუსაღებინათ მრავალი ბოლშევიკი.

[2] მენშევიკებსა და მოხალისეთა შორის რომ დიდი ხანია მეგობრობა არსებობდა, ამას ამტკიცებს შემდეგი დოკუმენტი, რომელიც აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. მენშევიკებმა დააპატიმრეს ვინმე გაიდამაკინი, რომლის შეილიც ნ. რამიშვილს აძლევს თხოვნას, რომ მამა გაუნთავისუფლონ. ამ თხოვნას ის ასაბუთებს დატუსაღებულის შემდეგი დამსახურებით: „მოხალისეთა არმიისა და ქართული სამხედრო ნაწილების ერთად მოქმედების დროს ბოლშევიკური ბანდების წინააღმდეგ, მამა ჩემმა, — სწერს გაიდამაკინის შვილი,— სხვებთან ერთად, მოხალისეთა არმიის მოწოდებაზე, რომ აღმოეჩინონ მას მატერიალური დახმარება, წარსული 1918 წლის სექტემბერში შესწირა... 6000 მან., რომელი თანხაც გადაეცა გენ. შატილოვს (ერანგელის ერთგული თანამებრძოლი. — გ. ხ.) ბოლშევიკებთან საბრძოლველად, რომელთა წინააღმდეგაც გამოდიოდა ყოველთვის საქართველოს მთავრობაც".

განცხადებაზე არის რეზოლუცია: „განთავისუფლებულ იქნას. შინაგან საქმეთა მინ. მოვ. აღმასრულებელი გ. მახარაძე". დოკუმენტი საკმაოდ ლაპარაკობს თავისთავზე. მოხალისენი საქართველოში პოულობდნენ დახმარებას, აგროვებდნენ აქ შემოწირულებას, აწარმოებდნენ პროპაგანდას. სავსებით გასაგებია, რომ მენშევიკები ისწრაფოდნენ გაენთავისუფლებინათ ის კაცი, რომელსაც ბოლშევიკებთან ბრძოლაში გარკვეული დამსახურება მიუძღოდა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის გაგზავნილ საბჭოთა მთავრობის ნოტაში მოყვანილია მთელი რიგი შემოწმებული ფაქტები იმის შესახებ, რომ

„ერანგელმა საქართველოში მეტისმეტად ძლიერი ჯარისშემკრები აპარატი განავითარა, რომ საქართველო ერანგელელთათვის მთავარი სატრანზიტო გზაა ორივე მიმართულებით — რუსეთში და ყირიმში, რომ ტფილისი და ბათომი ერანგელის აგენტების ჯაშუშური და პროვოკაციული მუშაობის ცენტრს წარმოადგენენ და სხვ...“[1].

ამნაირად, ყირიმში ერანგელის ფრონტის ჩამოყალიბებაში მენშევიკები თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და ამით დიდ დახმარებას უწევდნენ კონტრრევოლუციას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1919 წლის შემოდგომაზე დამარცხებული საყოველთაო აჯანყების შემდეგ, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა 1920 წლის დასაწყისში კვლავ მოახერხეს მთლიანად აღედგინათ არალეგალური პარტიული აპარატი და მოეწყოთ არალეგალური მუშაობის ტექნიკა. ბოლშევიკური ორგანიზაციები კვლავ დაირაზმნენ საბრძოლველად და შეუდგნენ ახალი შეიარაღებული აჯანყების მომზადებას. საქართველოს ცალკეულ რაიონებში სდგებოდა სამხედრო რაზმები. რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა სამხედრო შტაბის ახალი შემადგენლობა შეიარაღებული აჯანყების უშუალო მომზადებისა და ხელმძღვანელობისათვის. 1920 წლის იანვარში საქართველოში ჩატარდა რამდენიმე თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა მომავალი აჯანყების ტექნიკური საკითხები. აჯანყების მომზადების საკითხში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ფეხდაფეხ მისდევდა აგრეთვე ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირიც.

საქართველოში კომკავშირული მოძრაობის აქტიური მონაწილეების მოგონებათა მიხედვით, ამ პერიოდში კომკავშირულ ორგანიზაციებში თითქმის სრულიად შესწყდა ყოველგვარი სხვა მუშაობა, შეიარაღებული აჯანყების მომზადების გარდა.

კომკავშირი დაყოფილ იქნა მებრძოლ ათეულებად, სადაც შედიოდა ყველა, ვისაც კი ფიზიკური შესაძლებლობა ჰქონდა ხელი მოეკიდნა საბრძოლო მომზადებისათვის; დაარსებულ იქნა წითელი გვარდიის შტაბი და სხვ. კომკავშირი მზად იყო ბრძოლისათვის და მხოლოდ სიგნალს ელოდა ბოლშევიკუ-

[1] „რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთ განწყობილება“ გვ. 31, რსფსრ შინსახკომის გამოცემა, 1922 წ.

რი ორგანიზაციისაგან, რომ ჩამდგარიყო მოწინავე რიგებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

1920 წლის დასაწყისში ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ კვლავ მოახერხა მოეწესრიგებინა არალეგალური გაზეთის „კავკაზსკაია პრავდას" გამოცემა და აგრეთვე მასობრივი რაოდენობით გამოეშვა ფურცლები, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებში. ამავე დროს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გააძლიერა სპეციალური რაზმების ჩამოყალიბება ჩრდილოეთ-კავკასიაში გასაგზავნად და იქაურ აჯანყებულთა დასახმარებლად უკანდახეული დენიკინის არმიის წინააღმდეგ. ამ დროს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე შავიზღვის სანაპიროებზე დენიკინის წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას.

1919 წელს შავიზღვის სანაპიროებზე აჯანყების დასაწყისიდანვე მენშევიკები ცდილობდნენ თავის ხელში ჩაეგდოთ ეს მოძრაობა და გამოეყენებინათ იგი თავის მიზნებისათვის. მაგრამ ისინი იძულებულნი გახდნენ თვითონვე ეღიარებინათ, რომ მათმა ამ გამცემლურმა ცდამ სრული დამარცხება განიცადა. მენშევიკების ც. კ-ის 1920 წლის 5 მარტის სხდომაზე მენშევიკების რწმუნებულმა შავიზღვის სანაპიროებზე — ‘ლ. რუხაძემ განაცხადა, რომ აჯანყებამ იქ ნათლად გამოხატული ბოლშევიკური ხასიათი მიიღო და მოძრაობის ხელმძღვანელობაც მთლიანად ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში’[1]. აჯანყებულებმა, რომელთაც სერიოზული სამხედრო-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ, გასწმინდეს შავიზღვის სანაპიროები დენიკინელებისაგან გაგრიდან ტუაფსემდე.

აჯანყებულთა უდიდეს წარმატებას წარმოადგენდა დენიკინისა და ინგლისელების სამხედრო-საზღვაო ბაზის ხელში ჩაგდება ტუაფსეში 24 თებერვლის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ. აქ შესდგა სამხედრო-სარევოლუციო საბჭო და აჯანყებულთა რაზმებიდან ჩამოყალიბდა შავიზღვის წითელი არმია, რომელიც დენიკინის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას აწარმოებდა და რომელიც შემდეგში ყუბანის მე-9 წითელ არმიას შეუერთდა.

დენიკინზე გამარჯვება და წითელი არმიის მოახლოება ამიერკავკასიის საზღვრებთან განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ამ დროს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში.

ამზადებდა რა შეიარაღებულ აჯანყებას, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ფხიზლად ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ საქართველოში, ინტერვენტთა ჯარებისა და სიკონცენტრაციო ბანაკში მხოლოდ ფორმალურად მოთავსებული დენიკინის არმიის გადარჩენილი ნაწილების არსებობის პირობებში, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა დიდ მსხვერპლს შეიწირავდა და დიდ ძალებსაც მოითხოვდა. ამიტომ, ბოლშევიკებმა, შინაური ძალებით მოამზადეს რა საქართველოში აჯანყება. მჭიდროდ დაუკავშირეს ეს საქმე წითელი არმიის ძლევამოსილ წინსვლას სამხრეთისაკენ.

1920 წლის 15 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა კომუნისტუ-

[1] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1920 წ. 5 მარტის სხდომა.

რი ორგანიზაციებისა და კავკასიის ყველა ერის მშრომელი მასების წარმომადგენელთა სახელით შემდეგი მიმართვა გაუგზავნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, კომუნისტურ ინტერნაციონალს და წითელ არმიას:

„ჩვენ, კავკასიის ყველა ერთა მშრომელი მასები, მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნით რუსეთის პროლეტარიატს, გლეხობას და წითელ არმიას. თქვენი გამარჯვებები, ძვირფასო ძმებო და ამხანაგებო, სამოქალაქო ბრძოლის ფრონტებზე, თქვენი უმაგალითო გმირული ღვაწლი ბრძოლისა და შრომის ველებზე გულს გვიმხნევებს, რწმენას გვმატებს და ჩვენც გულში გვინერგავს გამარჯვების იმედს...

ჩვენ არაერთხელ მოვახდინეთ სისხლიანი თავდასხმა ჩვენს ფლიდსა და გაიძვერა მთავრობებზე. ჩვენ გმირული ღონისძიებანი ვიხმარეთ, რომ გაგვენთავისუფლებინა ჩვენი დამონავებული ქვეყანა ინგლის-საფრანგეთის ველურ-მტაცებლური იმპერიალიზმისაგან და ბანკეტებსა, ორგიებსა და გარყვნილების წუმპეში ჩაფლულ ჟორდანიას, უსუბეკოვისა და ხატისოვის მონურ-ლაქიურ მთავრობათაგან. წითელი ფრონტის უსაშინელესი კრიზისის დროს, როდესაც შავი გენერლის დენიკინის ბანდები ორიოლიდან მოსკოვის გზაზე გამოვიდნენ, ჩვენ, ვიგრძენით რა რევოლუციური ინსტინქტით რევოლუციის საფრთხე, გავეშურეთ ბრძოლის ველისაკენ საქართველოში... რითაც საფრთხე შევუქმენით დენიკინის ზურგს და გამოვსწიეთ თქვენს დასახმარებლად. ჩვენივე მტრების აღიარებით, ჩვენ არ ეზოგავდით არც ძალას, არც სიცოცხლეს, არც კერას, რომ გადაგვერჩინა წითელი არმია დამარცხებას, რადგან ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება — ეს ჩვენი სიკვდილი და ოქტომბრის რევოლუციის დიდ მონაპოვართა დაღუპვა იქნებოდა, რომ საბჭოთა რუსეთის კატასტროფა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის იმედისა და მისწრაფების გაცრუება იქნებოდა... ჩვენ დავმარცხდით. მაგრამ წითელმა არმიამ სასიკვდილოდ განგმირა დენიკინის თეთრი არმია და კავკასიის საზღვარს მოუახლოვდა...

ჩვენ, კავკასიის ხალხთა მშრომელი მასები, ამ მომართვის აქტით მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე ვაცხადებთ, რომ გვეზიზღება კავკასიის ხალხთა მოსახლეობის უმცირესობის მიერ ჩვენი მჩაგვრელი და მოძალადე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „მთავრობათა“ პირით აღიარებული დამოუკიდებლობის ლოზუნგი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ლოზუნგით მათ სურთ, ერთის მხრით, საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლობა კავკასიის კაპიტალისტების; მემამულეებისა და ქვეყნისშეპამელი კულაკებისათვის და, მეორე მხრით, კავკასიის მშრომელი მასების ჩამოშორება რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან, რომ უფრო ადვილად დაიმორჩილონ და სამუდამოდ დაიმონაონ ისინი. დასასრულ, ასეთი დამოუკიდებლობით ისინი ცდილობენ შეჰქმნან ფაქტიური და ფორმალური დამოკიდებულება ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის იმპერიალი-

სტებისაგან და განამტკიცონ ჩვენი სრული ეკონომიური და პოლიტიკური კაბალა...

ჩვენ არ გვინდა მონებად დავრჩეთ, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს გვერდით სდგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთან ერთადაც ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში.

ჩვენ, კავკასიის ყველა კომუნისტი, ჩვენ, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და დაღესტანის ყველა მუშა და გლეხი, ჩვენ, კავკასიის ყველა ხალხთა: ჩეჩენთა, ოსთა, ყაბარდოელთა, ინგუშთა, ბალკართა, ყარაჩაელთა, ჩერქეზთა, აფხაზთა, აჭარელთა და ყაზახთა მშრომელი მასების წარმომადგენლები მთელი ორი წლის განმავლობაში უმაგალითო მძიმე პირობებში ვაწარმოებთ შეურიგებელ ბრძოლას იმ იდეალებისათვის, რომელთაც მიაღწიეთ თქვენ ოქტომბრის რევოლუციიდან.

ჩვენ ხან გამარჯვებით, ხან დამარცხებით, მაგრამ მაინც დაუღალავად ვებრძვით ამჟამადაც ყვითელ კონტრრევოლუციას — შავი კონტრრევოლუციის ამ მუდმივ მოკავშირეს.

ჩვენ ვიტანჯებით ამ ხანგრძლივი ბრძოლით.

ჩვენთვის ჯერ კიდევ არ გაუნათებია ოქტომბრის დიად მზეს, რომელიც თქვენ მაღლიდან დაგქათქათებთ.

ჩვენი ამხანაგები, ძმები და შვილები წინანდებურად ლპებიან და იტანჯებიან მეფის ძველ ციხე-ჯურღმულებში.

ჩვენ ბედმა არ გვარგუნა თავისუფლად ამოგვესუნთქა მეფეთა სისხლიანი რეჟიმის დამხობის შემდეგაც.

ეს რეჟიმი შესცვალა მუშურ-გლეხური საქართველოს ჯალათის — ნოე რამიშვილის, გამხეცებული უსუბეკოვისა და უსულგულო ხატისოვის კიდევ უფრო მწარე რეჟიმმა, ხოლო ჩრდილოეთ-კავკასიაში უკვე მეფის გენერლების ტყვეით ნაბედი მათრახი ტრიალებდა.

გვახსოვს რა ჩვენი შეთანხმებული მუშაობა დენიკინის შორეულ ზურგში, გვაგონდება რა იმედი და მისწრაფებანი კავკასიის მშრომელი მასებისა, რომელნიც დაუფარავი გულისფანცქალითა და მოუთმენლად ელოდებიან რაც შეიძლება უფრო ახლო დროში შეერთებას საბჭოთა რუსეთთან, ურყევად და მტკიცედ გვწამს, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და ძლევამოსილი წითელი არმია არ დარჩებიან გულგრილ მაყურებლებად ჩვენი უთანასწორო ბრძოლისა გაერთიანებულ შავ-ყვითელ კონტრრევოლუციასთან და აქტიურად დაგვეხმარებიან ჩვენ კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

ჩვენ ზედმიწევნით გვწყურია რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი შევიდეთ საყოველთაო შრომისა და სოციალისტური მშენებლობის ახალ ცხოვრებაში.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას კავკასიაში!

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნაციონალს!"[1].

II

როგორი იყო მენშევიკური საქართველოს შინაური მდგომარეობა 1920 წლის პირველ ნახევარში?

ამ პერიოდს, უწინარეს ყოვლისა, ახასიათებს მთელი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება.

რღვევასა და დეზორგანიზაციას განიცდიდა არა მარტო მრეწველობა, არამედ ყოველივე დარგის სოფლის მეურნეობაც.

პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ფასები შეუჩერებლივ იზრდებოდა, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი თანდათან უფრო მცირდებოდა. მენშევიკებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს მუშების თუნდაც პურით მომარაგება ნორმირებულ ფასებში.

ეკონომიური კრიზისისაგან თავის დასაღწევად და საწარმოებში კატასტროფულად დაცემული შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ისე, რომ ამავე დროს არ შებღალულიყო ექსპლოატატორული კლასების ინტერესები, მენშევიკები ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელ ერთადერთ საშუალებად მუშათა შევიწროების გაძლიერებას სთვლიდნენ. მენშევიკები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო გაფიცვების, კავშირების, ბეჭდვითი სიტყვისა და სხვა თავისუფლებათა მოსპობით და თვით 1920 წელსაც კი კვლავ განაგრძობდნენ მრეწველობის მრავალ დარგში რვასაათიანი სამუშაო დღის განხორციელების შეფერხებას. რვასაათიანი სამუშაო დღე არა ჰქონდათ, მაგალითად, რკინიგზელებსა და ტფილისის ტრამვაის მუშებს. ტფილისის სადგურის რკინიგზელთა სხდომაზე, 1920 წლის 7 აპრილს, როცა საკითხი რვასაათიანი სამუშაო დღის შესახებ დაისვა, კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდნენ, რომ რკინიგზის მუშათა მრავალი კატეგორია დღეში ჯერ კიდევ 12 საათს მუშაობს[2].

„დღეს რომ ტრამვაის მუშებს ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებათ მუშაობა, — სწერდა ერთი მუშა გაზ. „ერთობაში", — ეს უდავო ჭეშმარიტებაა... ჩვენ არ ვსარგებლობთ კვირა დღით, ღამის მუშაობა ჩვენ-

---

[1] საქ. სარევოლუციო მუზეუმი, „1917—21 წლების ბოლშევიკური პროკლამაციები".

აღნიშნულ მიმართვას კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციის სახელით ხელს აწერენ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და კავკასიის ყველა ხალხთა მშრომელი მასების წარმომადგენლები.

[2] გაზ. „ერთობა" № 83, 1920 წ.

თვის განუსაზღვრელია. მთელი კვირის განმავლობაში მუშები კუთვნილი 46 საათის ნაცვლად 60 — 63 საათს მუშაობენ"[1].

მუშათა და მწარმოებელთა ურთიერთ დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად ხელფასის საკითხში მენშევიკებმა, როგორც ყველამ უწყის, ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულზე დააარსეს სატარიფო პალატა. ამ დაწესებულების მოქმედების პრაქტიკამ საკმაო სიაშკარავით დაგვანახა, რომ სატარიფო პალატა იცავდა მწარმოებელთა და არა მუშათა ინტერესებს. მაგრამ 1920 წლის დასაწყისში მუშათა ძლიერი ზეგავლენით სატარიფო პალატაც კი იძულებული გახდა გამოეტანა გადაწყვეტილება ყველა კატეგორიის მუშებისათვის 60% მომატების შესახებ.

ამის საპასუხოდ მთავრობა შეეცადა განემარტა, რომ სატარიფო პალატის გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ კერძო საწარმოთათვის.

თავის გადაწყვეტილებას მენშევიკები იმით ასაბუთებდნენ, რომ სატარიფო პალატა დამფუძნებელი კრების კომპეტენციაში იჭრება და თვითონ ისაკუთრებს საბიუჯეტო უფლებებსო.

პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლა, მიუხედავად ზედაფენური კომბინაციებისა მთავრობასა და სატარიფო პალატას შორის, 1920 წელსაც შეუნელებელი ტემპით გრძელდებოდა.

1920 წლის 23 იანვარს შესდგა მეტყავეთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრნენ საწარმოთა დელეგატები, საქარხნო კომიტეტთა წევრები, მეტყავეთა კავშირის გამგეობა და პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ საწარმოთა პატრონებს არ სურთ განახორციელონ სატარიფო პალატის დადგენილება 1-ლი იანვრიდან 60%-ანი მომატების შესახებ, არ შეაქვთ მომარაგების ფონდში ათასმანეთიანი შესატანი და არ ასრულებენ (ტყავის ქარხნების პატრონები, როგორც, მაგალითად, ზარგარიანცი და სხვ.) დეკრეტებს შრომის დაცვის შესახებ. კრებამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ, თუ მწარმოებელნი არ დააკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას, 26 იანვარს გამოცხადდეს გაფიცვა[2].

იმავე მეტყავეებმა შრომის სამინისტროს მიმართეს და მოითხოვეს მოეწყოს ბაზრის კონტროლი, გადიდდეს პურის რაციონი და განიდევნოს ბაზრიდან ფუფუნების საგნები, ხოლო ის მანუფაქტურა, რომელიც მთავრობას მოეპოვება, განაწილდეს უშუალოდ საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაციების საშუალებით[3].

ყველა ეს მოთხოვნა დატოვებულ იქნა ყოველგვარი რეალური შედეგების გარეშე.

„მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, — სწერდა მბეჭდავთა კავშირი, — ცენტრალური და კარდინალური საკითხია ყველა

---

[1] გაზ. „ერთობა" № 31, 1920 წ.
[2] გაზ. „ბორბა" № 25, 1920 წლის 3 თებერვალი.
[3] იქვე.

მუშათა ორგანიზაციისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ არა თუ ვერ მოვახერხეთ გაგვეუმჯობესებინა კავშირის წევრ მუშათა ეკონომიური მდგომარეობა, არამედ ვერ შევძელით შეგვენარჩუნებინა თვით ძველი მდგომარეობაც კი"[1].

ამ დროს ტფილისში არაერთხელ მოახდინეს გაფიცვა მბეჭდაველებმა, ტრამვაელებმა და სხვა კატეგორიების მუშებმა.

1920 წლის აპრილში გაფიცვა გამოაცხადეს წინანდლის (თელავის მაზრა) სახელმწიფო მამულის მუშებმა. კონფლიქტის მოსაგვარებლად საჭირო გახდა გამგზავრებულიყვნენ წინანდალში მიწათმოქმედების მინისტრი და აგრეთვე შრომის სამინისტროსა და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები.

ამავე დროს ქ. ფოთში გაიფიცნენ ტრანსპორტის მუშები და სხვ. მუშა-მოსამსახურეებს განსაკუთრებით მძიმე ეკონომიური პირობები შეექმნათ 1920 წელს დასავლეთ-საქართველოში, უფრო კი ქ. ქუთაისში.

მენშევიკური პარტიის სამაზრო კომიტეტი ამავე პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ მოხსენებაში სწერდა, რომ მდგომარეობა ქუთაისში განსაკუთრებით სერიოზულია. მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. მიღებული ჯამაგირით არა თუ არსებობა, მარტო სიმინდის ფქვილის ყიდვაც კი შეუძლებელია. თუ დროზე არ იქნება მიღებული სერიოზული ზომები, კომიტეტის სიტყვით, მუშა-მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა აუცილებელია[2]. რადგან მენშევიკური მთავრობა ანგარიშს უწევდა ასეთ მუქარას და თანაც შეშინებული იყო მოახლოებული ამბებით, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, რის შედეგადაც მან გადასწყვიტა დაერიგებინა ქუთაისის მუშა-მოსამსახურეთათვის ავანსის სახით თითო თვის ხელფასი. მაგრამ ასეთი მოწყალებით მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. 1920 წლის მარტში გამოცხადდა მთელი დასავლეთ-საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა. საგაფიცვო კომიტეტი ქუთაისში იმყოფებოდა. გაფიცვა 16 მარტიდან 20 მარტამდე გაგრძელდა (ამ რიცხვების ჩათვლით) და მხოლოდ მას შემდეგ შესწყდა, როცა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ, შრომის მინისტრმა და დამფუძნებელი კრების სოციალდემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ ა. ჩხენკელმა კატეგორიულად ალუთქვეს გაფიცულებს, რომ ყველა მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა.

აქტივიზირდებოდა აგრეთვე რკინიგზის პროლეტარიატიც. თუ 1919 წელს თავის გამოსვლებში ის იმით კმაყოფილდებოდა, რომ რეზოლუციები გამოჰქონდა ხელისუფლებისა და პროფორგანოების გაკრიტიკებით, 1920 წელს ის უკვე უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა.

---

[1] გაზ. „ბორბა" № 25, 1920 წლის 3 თებერვალი.

[2] მენშევიკური პარტიის ოქმები, „ქუთაისის სამაზრო კომიტეტის 1920 წლის მოხსენება".

ქ. ბათომი ამ დროს ინგლისელების ხელში იყო, მაგრამ, ხელშეკრულების თანახმად, რკინიგზა საქართველოს მენშევიკური მთავრობის გამგებლობასა და ექსპლოატაციაში იმყოფებოდა.

იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში მოთავსებული ცნობებით, ბათომის რაიონის რკინიგზელები მაშინ საშინელ პირობებში ცხოვრობდნენ. რკინიგზელი მუშები ოჯახითურთ უბინაობის გამო ასობით ცხოვრობდნენ ვაგონებში. ისინი ზამთარში იყინებოდნენ, სხვადასხვაგვარი ეპიდემიებით ავადდებოდნენ და იხოცებოდნენ. მუშებს არ ჰქონდათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ამიტომ, როგორც წესი, სამუშაოზე მუშა-მოსამსახურენი ცხადდებოდნენ მხოლოდ 40%-მდე. რკინიგზათა ცენტრალური სამმართველო ტფილისში, დაპირებებს გარდა, არავითარ ზომებს არ იღებდა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. და აი, 12 თებერვალს რკინიგზის სარაიონო პროფკავშირში გამოცხადდნენ დეპოსა და სადგურ ბათომის მუშათა წარმომადგენელნი და განაცხადეს, რომ, თუ მთავრობა დაუყოვნებლივ არ მიიღებს ზომებს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ გადაწყვეტილი აქვთ მიმართონ უკიდურეს ზომებს[1].

მარტში რკინიგზის ხაშურის რაიონში დაიწყო თავისი შედეგებით მეტად სერიოზული გაფიცვა.

აქ მუშებს არ ჰქონდათ რვასაათიანი სამუშაო დღე, ისინი თავის დროზე ვერ იღებდნენ ხელფასს, მათ არ აძლევდნენ ტანსაცმელს, არ ამარაგებდნენ პირველი მოთხოვნილების პროდუქტებით და სხვ.

20 მარტს ხაშურის რკინიგზელებმა საბოლოოდ გამოიმუშავეს თავისი მოთხოვნები, წარუდგინეს რკინიგზის ადმინისტრაციას (მოთხოვნები 5 მუხლისაგან შესდგებოდა) და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება 21 მარტის დილის 8 საათამდე. ამავე დროს არჩეულ იქნა საგაფიცვო ბიურო. თუმცა მენშევიკებმა ყოველგვარი საშუალება იხმარეს და თვით პროვოკაციასაც კი მიმართეს, მაგრამ ადგილობრივმა სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ მაინც ვერ მოახერხა გაფიცვის ჩაშლა. არც ადმინისტრაციის მუქარამ გასჭრა და გაფიცვა 21 მარტს დაიწყო. დეპოსა და რკინიგზის ხაზს არც ერთი მუშა სამუშაოდ არ გამოსულა. სადგ. ხაშურიდან არც ერთი მატარებელი არ გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი მუშებიც. გაფიცვა დასრულდა 23 მარტს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მუშების მოთხოვნები მთლიანად დაკმაყოფილეს.

რკინიგზელების გაფიცვას მენშევიკი მუშების მონაწილეობით ადგილი ჰქონდა აგრეთვე სამტრედიის რკინიგზის რაიონშიაც.

ამიტომ, გასაგებია, რომ მენშევიკებმა ხაშურისა და სამტრედიის გაფიცვების გარშემო დიდი ხმაურობა ასტეხეს და მყვირალა დემაგოგიით სურდათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მისთვის სახელი გაეტეხნათ. რკინიგზელთა

---

[1] პროფმოძრაობის არქივი, ფონდი № 3, საქმე № 233, ფურც. 5 (გაზ. „ერთობა" № 42, 1920 წ.).

კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ ამის გამო გამოშვებულ სპეციალურ მოწოდებაში ხაშურის გაფიცვა კვალიფიცირებული იყო, როგორც „ანარქიულად განწყობილი. უპასუხისმგებლო ჯგუფის სამარცხვინო ცდა დეზორგანიზაცია შეიტანონ რკინიგზელთა მწყობრ რიგებში“[1].

ხაშურში მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერით გაგზავნილ იქნა შემდეგი დეპეშა:

„ხაშურის დეპოს წევის დარგის იმ მოსამსახურეთა აღმაშფოთებელი და აბსოლუტურად დაუშვებელი გამოსვლა, რომელთაც ანარქიულად მიატოვეს სამუშაო, მთელი დღით შეაჩერეს მატარებლების მოძრაობა და მთელი სადგური გასჭედეს ვაგონებით, რითაც მილიონობით ზარალი მიაყენეს რესპუბლიკას, აღიარებულია დანაშაულად, რაც სასტიკად და შეუბრალებლად უნდა დაისაჯოს რკინიგზის დემოკრატიის პასუხისმგებელი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მხრივ. წევის დარგის უფროსს წინადადებას ვაძლევ ყოველ რიგს გარეშე მიიღოს ზომები... განდევნოს ხაშურის დეპოდან ყველა, ვინც კი ამ სამარცხვინო საქმეს ხელმძღვანელობდა. და სრულიად დაითხოვოს ისინი სახელმწიფო რკინიგზებზე სამსახურიდან“[2].

როგორც დანარჩენი კატეგორიის მუშების წინააღმდეგ, ისე რკინიგზელთა გამოსვლის წინააღმდეგაც მენშევიკებმა გამოიყენეს ბრძოლის ნაცადი მეთოდები: დაპატიმრება, შტატების შემცირება და სხვ. პირველ რიგში სამუშაოდან ითხოვდნენ ბოლშევიკებსა და ყველა რევოლუციურად განწყობილ მუშას.

„მთავარი სახელოსნოები კატორღას მოგვაგონებენ“, — სწერდა ერთი რკინიგზელი მუშა გაზ. „კომუნისტში“[3].

„ნიკოლოზის აუტანელმა თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, — სწერდა მეორე მუშა მთავარ სახელოსნოების ყოფაცხოვრების შესახებ, — ვერ შეაშინა მუშები, და ისინი იარაღით ხელში გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ...

მრავალი უბედურება გადაგვიტანია, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, არასოდეს არ ყოფილა. თვითმპყრობელობის დროსაც ამცირებდნენ შტატებს, მაგრამ შტატს გარეშე დარჩენილებს არ გზავნიდნენ ცივ ზამთარში ტყეში სამუშაოდ. ჩვენ მრავალი ბატონი გვყოლია, მაგრამ ისინი გზას მაინც არ გვილობავდნენ ისე, როგორც ახლა“[4].

მეურნეობის საერთო დაცემამ. კლასთა ბრძოლის შემდგომმა გაძლიერებამ ჩვენს ქვეყანაში, დენიკინის დამარცხებასთან დაკავშირებით წითელი ჯარის ამიერკავკასიის საზღვრებთან მოახლოებამ და სხვ. პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება გამოიწვია მენშევიკურ საქართველოში.

---

[1] „რაბოჩაია ჟიზნ“ № 1, 1920 წ.

[2] პროფ. მოძრაობის არქივი, შრომის სამინისტრო, ფონდი № 3, საქმე № 234, 1920 წ.

[3] გაზ. „კომუნისტი“ (ქართ. ენაზე), 1920 წლის 6 ივნისი.

[4] ეას. „კომუნისტი“ № 41, 1920 წ.

ეძებდა რა გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან, მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 22 მარტს მოიწვია ფარული საგანგებო კრება პროფმოძრაობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და ტფილისის კომიტეტის მონაწილეობით. ამ კრებაზე მოხსენება გააკეთა ნ. ჟორდანიამ:

„უნდა მოგახსენოთ, — განაცხადა მან, — რომ დღეს თვითეული ჩვენი ამხანაგი ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვანაირად ფიქრობს, განკერძოებულად მოქმედებს და ამით არევდარევა შეაქვს ჩვენს შინაურ ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ ჩვენი არსებობის უკანასკნელ ეტაპს განვიცდით“.

დაასურათა რა შემდეგ საქართველოს კრიტიკული საგარეო მდგომარეობა და კვლავ შეჩერდა რა შინაპარტიულ მდგომარეობაზე, ნ. ჟორდანია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ

„შინაპარტიული მოღვაწეობის მთავარი ცენტრი დარღვეულია. პარტიაში მთლიანობა არ არის, პარტიის პოლიტიკას უმრავლესობა უარყოფს. ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

შეგნებული დემოკრატია, — ამბობდა ნ. ჟორდანია, — იდეისათვის ყველაფერს ითმენს, რომ მომავალი უკეთესი იყოს. ამ მხრივ ბოლშევიკებმა (რუსეთში) დიდი როლი ითამაშეს. ისინი უნერგავენ მუშებს და გლეხებს, რომ გამარჯვებისათვის, იდეისათვის ყველაფერი უნდა ავიტანოთო. და ისინი (მუშები) ამ გაჭირვებულ მდგომარეობას იტანენ, ოღონდ კი მათმა იდეამ გაიმარჯვოს. ჩვენში კი ეს აზრი სხვანაირად ესმით. ჩვენი მუშები ამბობენ, თუ სახელმწიფო ჩვენს ხელშია, ჩვენც კარგად უნდა ვიყოთ, გაჭირვება რატომ უნდა ავიტანოთო... პარტიული ამხანაგები ჩვენვე გვიწყობენ გაფიცვას. როგორ შეიძლება დღეს მთავრობა აირჩიო და ხვალ კი მას შეებრძოლო და დაასუსტო. პარტია თავის თავს როდი უნდა ანგრევდეს“[1].

ამავე კრებაზე ბ. აბდუშელიშვილმა მუშათა განწყობილების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„მე ყოველთვის მეშინოდა, რომ ჩვენი მუშების მაქსიმალისტურ მოთხოვნებს დაღუპვის კარამდე არ მივეყვანეთ. არის ერთი რამ, რაც ჩვენსა და რუსი მუშების მდგომარეობას ერთმანეთისაგან ანსხვავებს. რუსები, რომ მოითმენენ, ჩვენი მუშები ისე ვერ მოითმენენ... ჩვენი მუშები ამბობენ, რომ თავისუფლება გვაქვს. ყველაფერი ჩვენს ხელშია და. მაშასადამე, ყველაფერი როგორც ჩვენ გვინდა, ისე უნდა იყოსო“[2].

იმ კრიზისს, რომელსაც განიცდიდა მენშევიკური პარტია 1920 წელს, სავსებით ახასიათებდა პარტიის გახრწნის ის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს დაიწყო. თუ 1919 წლის დეკემბრის თათბირზე ნ. რამიშვილი და ნ. ხომერიკი, რომლებიც რაიონებში იყვნენ წასულნი მენშევიკური პარტიის

---

[1] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1920 წლის 22 მარტის სხდომა.

[2] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1920 წლის 10 დეკემბრის სხდომა.

მდგომარეობის გამოსაკვლევად, საჭიროდ სთვლიდნენ მოეხსენებინათ ც. კ-ის პრეზიდიუმისათვის, რომ ადგილებზე პარტიული მუშაობა მეტისმეტად შესუსტებულია და ორგანიზაციების უმრავლესობა სრულიად დანგრეულია[1], 1920 წელს პარტიის გახრწნის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა.

მენშევიკები აშკარად ცილს სწამებდნენ საქართველოს მუშათა კლასს, როდესაც ცდილობდნენ სახელი გაეტეხნათ მისთვის, თითქოს მას არ შესწევდეს უნარი იბრძოლოს მომავლისათვის, პროლეტარიატის იდეის გამარჯვებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასის — რუსეთის გმირული პროლეტარიატის ამ ერთერთი მოწინავე რაზმის მთელი რევოლუციური წარსული მოწმობს, რომ ის უდიდეს ნიჭსა და უნარს იჩენდა გმირული ბრძოლისათვის.

იძლევა რა საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელების ისტორიულ შეფასებას საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, „პრავდა" მოწინავე სტატიაში 1936 წლის 25 თებერვალს სწერს:

„... საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელებმა ათასობით მებრძოლნი მოგვცეს თავის წრიდან ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების წინააღმდეგ.

XIX საუკუნე დაიწყო რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს დაპყრობით. მთელმა XIX საუკუნემ საქართველოში განვლო გლეხთა აჯანყებების ნიშნით. საუკუნე უკვე თავდებოდა, როდესაც ლენინის დიადმა იდეებმა რუსეთის პროლეტარიატი მოიცვა. რუსეთში ბოლშევიზმის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები ლენინის დროშის ქვეშ დადგნენ. რევოლუციური ხელმძღვანელობის ძაფები გაიბა მუშათა პეტერბურგსა, ლენინსა და საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარიატს შორის, ამიერკავკასიის პირველ ბოლშევიკურ ორგანიზატორებს შორის, რომელთაც სათავეში ედგა სტალინი, რომელსაც ისტორიამ არგუნა ყოფილიყო ლენინის მემკვიდრე, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი, ახალი კაცობრიობის ბელადი.

სტალინისა და მის თანამებრძოლთა მიერ დათესილი ლენინიზმის თესლი მშვენივრად აჯეჯილდა. მეოცე საუკუნის რევოლუციურ ქარიშხალში საქართველოს მშრომელი მასები შევიდნენ რუსეთის პროლეტარიატთან და მის მოწინავე რაზმთან — პეტერბურგის მუშებთან მჭიდროდ დაკავშირებულნი.

ეს კავშირი განუყრელი გახდა. იგი სამუდამოდ არის განმტკიცებული იმ სისხლით, რომელიც დაღვარა როგორც რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ, ისე საქართველოს მშრომელმა მასებმა ცარიზმთან ბრძოლის ათეული წლების განმავლობაში, სამოქალაქო ომში, ინტერვენტე-

[1] მენშევიკების ც. კ-ის ოქმები, 1920 წ. 10 დეკემბრის სხდომა.

ბისა და იმ მავი ყვავ-ყორნების წინააღმდეგ ბრძოლებში, რომელნიც თავს დაესხნენ საქართველოს 1918 — 1920 წლებში".

საქართველოს მუშათა კლასსა და მენშევიკებს შორის უფსკრული თანდათან უფრო ღრმავდებოდა. მენშევიკები სავსებით მართალნი იყვნენ, როდესაც იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ, რომ მუშები აღარ უჯერებენ მათ. მუშებს მართლაც აღარ სურდათ ებრძოლნათ ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებისათვის. სავსებით გასაგებია, რომ მენშევიკები მუშათა კლასს ზიზღით იხსენიებენ. წიგნში „ჩვენ და ისინი", რომელიც დაწერილია საქართველოში მენშევიკური პარტიის დიქტატურის დამხობის შემდეგ, ნ. ჟორდანია — პროლეტარიატის დიქტატურის ეს დაუძინებელი მტერი, მუშათა კლასს ასე იხსენიებს:

„მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი — ე ს ბ რ ბ ო ა, ბ ა ნ დ ა ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ს ა თ ვ ი ს ა რ ს ებ ო ბ ს, რ ო მ ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ზ ე ა თ რ ი ო ნ"[1].

მენშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს 1920 წელს ანტანტის მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ახალ ბრძოლაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ სამოქალაქო ომში წითელი არმიის გამარჯვების ფაქტისათვის. მენშევიკებს არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ იმ გარემოებისათვის, თუ როგორი ენტუზიაზმით ხვდებოდნენ საქართველოს მშრომელი მასები რუსეთის კონტრრევოლუციის განადგურების ცნობას. საქართველოში ბოლშევიკური აჯანყების თავიდან აცდენისათვის მენშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა თვითონ დაეწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ მიზნით მოსკოვში საიდუმლოდ გაგზავნა დელეგაცია დამფუძნებელი კრების წევრის გრ. ურატაძის მეთაურობით.

ამხელდა რა მენშევიკების საზიზღარ და ორპოფულ პოლიტიკას, რომელიც უფრო ცხადი გახდა საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ლენინი რკპ (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედთა მდივნების კრებაზე 1920 წელს ამბობდა:

„ამას წინათ მენშევიკური გაზეთი საქართველოში სწერდა: „ქვეყანაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთი". ვინ არიან მენშევიკები? ეს ის ხალხია, რომელთაც ცხვირი მიშვერილი აქვთ ქარისაკენ. როდესაც ჩვენ საერთაშორისო ურთიერთობის მხრივ უძლურნი ვიყავით, ისინი ყვიროდნენ: „ძირს ბოლშევიკები". როდესაც ჩვენ გაძლიერება დაგვეტყო, ისინი ყვიროდნენ: „ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთ". როდესაც ჩვენ მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობენ: „დიახ, აქ ორი ძალაა"[2].

სამშვიდობო ხელშეკრულება რსფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დაიდო 1920 წლის 7 მაისს. ეს ფაქტი იმ სამშვიდობო პოლიტიკის წარმატების შედეგი იყო, რომელსაც საბჭოთა რუსეთი შეურყეველად და თან-

---

[1] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ბროშურა „ჩვენ და ისინი".

[2] ლ ე ნ ი ნ ი. ტ. XXV, გვ. 605.

მიმდევრულად აწარმოებდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე.

ეს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი:

„დაუყოვნებლივ იქნან განიარაღებულნი და საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებულნი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, გუნდები და ჯგუფები, რომლებიც ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე ან მომავალში უნდა გადავიდნენ მის საზღვრებში და ჩემულობენ რუსეთის, ან მისი ნაწილის, ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის როლს, აგრეთვე წარმომადგენლობანი და სამსახურის პირნი, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის დამხობა“ (სტატია V, მ. 1).

„დაუყოვნებლივ განიარაღებულ და ინტერნირებულ იქნან ყველა გემები, რომლებიც საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფებიან და იმ ორგანიზაციებისა და ჯგუფების სამხედრო-საზღვაო ძალებს ეკუთვნიან, რომლებიც მოხსენებული არიან ამ სტატიის 1-ლ მუხლში...“ (სტატია V, მ. 2).

„მიღებულ იქნას ზომები, რათა განდევნილ იქნან საქართველოს ტერიტორიიდან ყოველგვარი ჯარები და სამხედრო ნაწილები, რომლებიც არ შედიან საქართველოს მთავრობის ჯარების შემადგენლობაში, იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების IV სტატიით“ (სტატია V, მ. 5).

„საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდგომი დევნისაგან სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით ყველა ის პირნი, რომელნიც განიცდიან ამ დევნას საქართველოს ტერიტორიაზე მათ მიერ რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ ჩადენილი მოქმედებისათვის“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ის პირნი, რომელნიც საპყრობილეში არიან დამწყვდეულნი ზემოხსენებული მოქმედებისათვის“ (სტატია X).

რსფსრ და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების განსაკუთრებულ საიდუმლო დამატებაში მენშევიკები ვალდებულებას კისრულობდნენ ლეგალური არსებობის უფლება მიეცათ საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის (ბოლშევიკებისა). მოვიყვანოთ ამ სტატიის ტექსტი:

„საქართველო ვალდებულებას კისრულობს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად

მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება.

ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია მიღებულ იქნას კერძო პირთა წინააღმდეგ, როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრატიული წესით, რაიმე რეპრესიული ზომები, რომლებიც გამომდინარეობენ მხოლოდ საჯარო პროპაგანდიდან და აგიტაციიდან კომუნისტური პროგრამისათვის, ან კომუნისტურ პროგრამაზე დამყარებულ პიროვნებათა და ორგანიზაციათა მოქმედებისათვის"[1].

III

უნდა აღინიშნოს, რომ რსფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამდე ამიერკავკასიაში დიდი ამბავი მოხდა, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა აქ პროლეტარული რევოლუციის შემდგომი წარმატებისა და ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდისათვის მთელს ახლო აღმოსავლეთში. აზერბაიჯანის მუშებმა და გლეხებმა, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევდნენ დიდი სტალინის თანამებრძოლნი: ამხ. ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი და ა. მიქოიანი, რუსეთის გმირული პროლეტარიატისა და მისი სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით, შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს ინტერვენტების მიერ გაჩაღებული ჩაგვრის წინააღმდეგ. მათი დამქაშების — მუსავატელების წინააღმდეგ. 1920 წლის 28 აპრილიდან აზერბაიჯანში საფუძვლიანად განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოთა აზერბაიჯანის დელეგაციის მიღებაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ კრემლში (1936 წ. 21 იანვარს) ამხ. ს. ორჯონიკიძემ, მოიგონა რა ბრძოლა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, განაცხადა:

„ამხანაგებო. აზერბაიჯანსა და ბაქოს პროლეტარიატთან როგორც პირადად მე, ისე ბევრი აქ დამსწრე ამხანაგი, მათ შორის ჩვენი მასწავლებელი და ბელადი ამხანაგი სტალინი, ძალიან მტკიცედ ვართ დაკავშირებულნი (ტაში).

28 წლის წინათ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მე ვასწავლობდი ბაქოს პროლეტარიატთან. თითქმის 16 წლის წინათ, ამხანაგ ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით. ჩვენ. ამხ. კიროვთან. მიქოიანთან და ლევანდოვსკისთან ერთად, მივუძღვებოდით წითელ არმიას აზერბაიჯანის მშრომელთა დასახმარებლად. ბაქოს პროლეტარიატის დასახმარებლად, რათა ხელი შეგვეწყო მისთვის განთავისუფლებულიყო სა-

[1] „რსფსრ და საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკა, მათი ურთიერთ-დამოკიდებულება", გვ. 8—16.

ზიზღარი მუსავატური მთავრობისაგან, ბეგებისა და კაპიტალისტების მთავრობისაგან, ერთა შორის მხეცური სიძულვილისა და ხოცვა-ჟლეტის მთავრობისაგან...“[1]

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები უკვე კონკრეტულად სახავდნენ საქართველოს შეიარაღებული აჯანყების გეგმასა და დროს.

ერთერთ ეტაპს მზადების პროცესში მყოფი შეიარაღებული აჯანყებისათვის წარმოადგენდა პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილება — მოაწყონ ტფილისში პირველი მაისის საზეიმო დღეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური დემონსტრაცია, რომელსაც უნდა გამოერკვია მშრომელი მასების განწყობილება და გამხდარიყო ბოლშევიკურ ძალთა შემოწმების დღედ.

დილით, ადრე, პროფკავშირთა საბჭოს შენობასთან თავი მოიყარეს ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა. აქვე მოვიდა ყვავილებით მორთული მელითონეთა კავშირის ორი საბარგო ავტომობილი, რომლებზედაც 100-მდე კაცი იჯდა. დილის 10 საათზე, როცა დემონსტრაცია დაიძრა, აღმართულ იქნა დროშები და პლაკატები შემდეგი ლოზუნგებით: „ამხანაგებო, ემზადეთ არჩევნებისათვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში“, „ძირს სატარიფო პალატა“, „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“ და სხვ... ავტომობილებს შემდეგი ლოზუნგები ამშვენებდნენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“, „გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს“, „ჩვენ მოვითხოვთ დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლებას“.

ბოლშევიკური დემონსტრაციის გარშემო სწრაფად თავი მოიყარა მუშათა მასამ. ბოლშევიკების გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. დაიწყო ბოლშევიკ ორატორების სიტყვები. მასაში სწრაფად გავრცელდა ბოლშევიკური პროკლამაციები. დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ბოლშევიკებს“, „ძირს მენშევიკები“ და სხვ.

მენშევიკები ამაოდ ცდილობდნენ ბოლშევიკური დემონსტრაციის გარეკას. მეხანძრეებს ებრძანა გარს შემორტყმოდნენ დემონსტრანტებს და წყალი გადაესხათ მათთვის.

როდესაც ნახეს, რომ საქმეს ვერც ეს შველოდა, მენშევიკებმა, რაკი ისინი ჯარისკაცებსა და სახალხო გვარდიელებს უკვე ვეღარ ნდობოდნენ, უბრძანეს განსაკუთრებულ რაზმსა და მილიციას გაერეკნათ პროცესია და, თუ საჭირო იქნებოდა, ირაღიც გამოეყენებინათ. განსაკუთრებული რაზმის რაზმეულები და მილიცია დაუზოგავად სცემდნენ დემონსტრანტებს თოფის დოგლუგებით, ხევდნენ პლაკატებს და დროშას. იმავე დღეს ბოლშევიკებმა დიდი მიტინგი ჩაატარეს ძმათა სასაფლაოზე. მენშევიკებმა დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს ასზე მეტი კომუნისტი. მიუხედავად ყოველივე ამისა, საპირველმაისო დემონსტრაციამ ნათლად დაგვანახა, რომ მასები სწორედ ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ.

---

[1] გახ. „კომუნისტი“, 1936 წლის 26 იანვარი, გვ. 1.



ზ. ძ. (სერგო) ორჯონიკიძე,
საქართველოს საბჭოთა ქომისარი.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებიდ შემდეგ ბოლშევიკური გავლენა მუშათა მასაში კიდევ უფრო გაძლიერდა.

უწინარეს ყოვლისა, თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება რკინიგზის მუშების გაბოლშევიკება. მენშევიკებმა თანდათან უფრო გააზარეს ტფილისის სადგურის დეპოსა და რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მომუშავე რკინიგზელი კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება, რომ ამით საშუალება მოესპოთ მათთვის ხელმძღვანელობა გაეწიათ მუშათათვის საგაფიცვო მოძრაობაში. შტატების შემცირების საბაბით მენშევიკები რკინიგზიდან აძევებდნენ ყველაზე ენერგიულ და მაღალკვალიფიციურ მუშებს მარტო იმისათვის, თუ მათ ეპვი დაებადებოდათ, რომ ისინი თანაუგრძნობდნენ ბოლშევიზმს.

როცა 1920 წლის ივნისში მთავარ სახელოსნოებში გაფიცვა მზადდებოდა, მენშევიკური მთავრობის ერთგულმა რკინიგზელთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაუყოვნებლივ აცნობა რკინიგზის ადმინისტრაციას გაფიცვის მეთაურთა სია, რათა ისინი დაუყოვნებლივ მოეხსნათ სამუშაოდან. მიუხედავად ამისა, მთავარ სახელოსნოებში გაფიცვა 4 ივნისს მაინც გამოცხადდა [1].

მენშევიკები ახლა უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ ცალკეული პროფკავშირების გამგეობათა დაპატიმრებით და კომუნისტების სამუშაოდან მოხსნით. ისინი ახდენდნენ ბოლშევიკურად განწყობილ პროფკავშირთა ლიკვიდაციას, განხეთქილება შეჰქონდათ დანარჩენ კავშირებში და წევრთა უმნიშვნელო უმცირესობიდან აკოწიწებდნენ მორჩილ პროფკავშირებს.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მელითონეთა კავშირის განხეთქილების ისტორია.

მელითონეთა კავშირი, რომელშიაც 3000 წევრი ირიცხებოდა, 4 სექციისაგან შესდგებოდა (მელითონეების, ელექტრიკოსების, შოფერებისა და კინო-თეატრების მოსამსახურეთა სექციები).

მელითონეთა კავშირი, ისე როგორც მეტყავეთა, მეთამბაქოეთა, ნემსის პროლეტართა და სხვა კავშირები, მენშევიკების თვალში დიდი ხნიდან ბოლშევიკურ კავშირად ითვლებოდა.

1920 წელს პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოსა და მელითონეთა კავშირს შორის გამწვავდა ბრძოლა სატარიფო პალატის კომპეტენციისა და შრომის ბირჟის რეორგანიზაციის საკითხთა გარშემო. შრომის ბირჟა მელითონეთა წინადადებით პროფკავშირთა საბჭოს უნდა გადასცემოდა. მელითონეთა ამ წინადადებას მენშევიკები ბოლშევიკურ ღონისძიებად სთვლიდნენ. მელითონეთა კავშირი, გარდა ამისა, დაჟინებით მოითხოვდა შრომის ბეგარის დაკანონებას პარაზიტული ელემენტებისათვის და მუშათა კონტროლის დაწესებას წარმოებაზე.

მენშევიკებს ვერ მოენელებინათ, რომ მელითონეები საპირველმაისო და სხვა დემონსტრაციების დროს ბოლშევიკური ლოზუნგებით გამოვიდნენ და რომ მათ არსენალსა და სხვა საწარმოებში მოაწყვეს ფულის შეგროვება მენ-

[1] გაზ. „კომუნისტი" № 2, 1920 წ.

Знамя Коммунистов, разорванное меньшевиками в день 1-го мая 1920 года на Голов. проспекте

 КОМУНИСТУРИ ДРОША. РОМЕЛИЦ МЕНШЕВИКЕБМА ДАГЛИЖЕС 1920 ГЛИС 1 МАИСС

შევიკების მიერ დაპატიმრებულ მუშა-ბოლშევიკების სასარგებლოდ და სხვ.

მენშევიკებმა გადასწყვიტეს ჩაეტარებინათ მელითონეთა კავშირის გამგეობის გადარჩევა. მაგრამ 29 თებერვალს საამისოდ მოწვეულ მელითონეთა საერთო კრებაზე მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს. ახლად არჩეული გამგეობის 13 წევრიდან 11 კაცი ბოლშევიკი აღმოჩნდა. მაშინ მენშევიკებმა დაპატიმრეს კავშირის ბევრი ბოლშევიკი-წევრი. რადგან არ ჰქონდათ იმედი, რომ მელითონეთა ახალ საერთო კრებაზე მთავრობის მორჩილ გამგეობას აირჩევდნენ. მენშევიკებმა გადასწყვიტეს კავშირის პირდაპირი გათიშვისა და მისი მუშაობის დეზორგანიზაციის გზას დასდგომოდნენ.

პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ დაამტკიცა მელითონეთა ახალი, „განახლებული“ კავშირი და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მას ძველი ბოლშევიკური კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაშინ როცა ძველი კავშირის გამგეობას სამდივნო ყოველნაირად ხელს უშლიდა მუშაობაში და პირდაპ-რ სახელს უტეხდა მას, „განახლებული“ კავშირი სარგებლობდა მისი მფარველობითა და მთელი რიგი პრივილეგიებით. ამასთან, შრომის სამინისტრომ და პროფკავშირთა სამდივნომ დაავალა სახელმწიფო და საქალაქო საწარმოთა ყველა მუშას ჩაწერილიყვნენ მხოლოდ ამ „განახლებულ“ კავშირში. მაგრამ არც ისე ადვილი იყო მენშევიკებისათვის ‚ეაეტეხნათ მელითონეთა სიმტკიცე. მელითონეთა საერთო კრებაზე. 6 ივ-

ნისს, პროფკავშირთა მენშევიკური ხელმძღვანელობის მოღვაწეობა გატარებულ იქნა დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში. მიღებულ რეზოლუციაში გადაჭრით იყო აღნიშნული — სამდივნო და პროფკავშირთა საბჭო მუშათა მოძრაობაში დეზორგანიზატორულ და გამხრწნელ მუშაობას აწარმოებენო. ამიტომ მელითონეები მოითხოვდნენ პროფკავშირთა საბჭოს გადარჩევას.

თუმცა მენშევიკებმა შემდეგში ადმინისტრატიული ზეგავლენით მაინც მიაღწიეს მელითონეთა ძველი კავშირის ლიკვიდაციას, მაგრამ ამ ღონისძიებით შეუძლებელი იყო გარდატეხა მოეხდინათ მელითონე მუშათა განწყობილებაში. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მელითონეთა დიდი უმეტესობა ბოლშევიკურად იყო განწყობილი. ამას აშკარად მოწმობს ის რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა მელითონეთა ერთერთ კრებაზე 1920 წლის ივნისში.

„სალამს ვუძღვნით ჩვენს მუშათა ორგანოს — გაზეთ „კომუნისტს", — ნათქვამია ამ რეზოლუციაში, — რომელიც შეურიგებელ და აშკარა ბრძოლას აწარმოებს საერთაშორისო კაპიტალთან და განუხრელად მოუწოდებს პროლეტარიატს მსოფლიო გაერთიანებისაკენ III ინტერნაციონალის რიგებში.

კრება უაღრესად სასტიკ პროტესტს აცხადებს ამხანაგების დაუსრულებელ მასობრივ დაპატიმრებათა და გადასახლებათა წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიისადმი მიმართული საზიზღარი ცილისწამებისა და პროვოკაციის წინააღმდეგ.

კრება კატეგორიულად აცხადებს მთელი რევოლუციური პროლეტარიატის წინაშე, რომ იგი არ ჩამოვა მებრძოლი მარქსიზმის სახელოვანი პოზიციებიდან და არასოდეს არ გაუშვებს ხელიდან მუშათა წითელ დროშას" [1].

მეტყავეთა კავშირში ბოლშევიკური გავლენა ჯერ კიდევ 1917 წელს სჭარბობდა, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებს არა ერთხელ დაურბევიათ ეს კავშირი, დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ საქართველოს საზღვრებიდან ამ კავშირის გამგეობის წევრები და ყველაზე უფრო გავლენიანი მუშები.

გაზ. „კომუნისტი" მეტყავეთა კავშირის შესახებ ერთერთ შენიშვნაში შემდეგს სწერდა:

„კედიას [2] ტფილისში ერთი დაუძლეველი მტერი ჰყავს — ეს არის მეტყავეთა პროფკავშირი. ხელაძის მიერ წარდგენილი სიის მიხედვით კედიამ ათობით დააპატიმრა ამ პროფკავშირის წევრები და მდივნები. მეტყავენი გადაჭრით უარს აცხადებენ აირჩიონ ისეთი გამგეობა, რომელიც მოეწონება კედია-ხელაძეს და ძმათა მათთა. კედია დაიღალა, მან ფარხმალი დაჰყარა, მაგრამ ხელაძე ჯერ კიდევ მუშაობს. მან გადასწყვი-

[1] გაზ. „კომუნისტი" № 1, 1920 წ.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსი.

ტა დეზორგანიზაცია შეიტანოს ამ მისთვის საზარელი კავშირის ქვედა ფენებში. მან თავი მოუყარა დაბალების ერთ პატარა ჯგუფს და ძალით ათქმევინა უარი მუშების მიერვე არჩეული გამგეობის მორჩილებაზე. ხელაძემ ეს დაბალები უშუალოდ დაუკავშირა თავის ჯაშუშურ შტაბს — პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოს — „კავშირის გამგეობის გაჯანსაღებამდე". ასეთია უკანასკნელი კურსი ხელაძისა, რომელსაც ასე უყვარს თვალთმაქცური ფრაზები „მუშათა მოძრაობის მთლიანობაზე" [1].

1920 წლის 29 ივნისს შესდგა მეტყავეთა კავშირის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო კავშირის 500 წევრამდე. რადგან წინადღით დააპატიმრეს გამგეობის თავჯდომარე, ამიტომ მოხსენების გაკეთება მოუხდა მეორე ამხანაგს. უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური გაზეთები კარგა ხნით ადრე ამ კრების მოწვევამდე ფართო კამპანიას აწარმოებდნენ მეტყავეთა კავშირის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ მისი ბოლშევიკური გამგეობისათვის. მენშევიკები განგაშს სტეხდნენ იმის გამო, რომ მეტყავეთა კავშირი ბოლშევიკურ პროკლამაციებს ბეჭდავდა, კავშირის სახსრებიდან დახმარებას უწევდა დაპატიმრებული კომუნისტების ოჯახებს და არა ერთხელ გამოსულა მენშევიკური მთავრობისა და პროფკავშირული ხელმძღვანელობის ზედაფენების მკაცრი კრიტიკით. 29 ივნისის კრებაზე პროვოკაციული მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელი მენშევიკი ჩხენკელი. მაგრამ, მიუხედავად მისი ყოველგვარი ცბიერებისა, მთელმა კრებამ, გარდა 5 კაცისა, რომელთაც თავი შეიკავეს, მოიწონა კავშირის ძველი ბოლშევიკური გამგეობის მოქმედება. მენშევიკ ჩხენკელს მხოლოდ ისღა დარჩენოდა განეცხადებინა, რომ მას შემდეგ, რაც მან განმარტება მისცა კავშირის გამგეობის მოქმედებას, ნდობის გამოცხადება ძველი გამგეობისათვის მხოლოდ ბოლშევიკებს შეუძლიაო და ამიტომ მან დასტოვა კრება.

ჩხენკელის წასვლის შემდეგ კრებამ, მიუხედავად მისი გაფრთხილებისა, კვლავ ბოლშევიკური გამგეობა და სარევიზიო კომისია აირჩია. ამავე კრებაზე მეტყავეებმა მიიღეს საპროტესტო და უკმაყოფილების გამომხატველი რეზოლუცია, მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ და დაავალეს გამგეობას გაშარკვიოს კავშირის წევრთა დაპატიმრების მიზეზი და მოაწყოს კავშირის სახსრებიდან დაპატიმრებულთა დახმარება [2].

ბოლშევიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ აგრეთვე „ნემსის" კავშირშიაც. ჯერ კიდევ 1919 წელს კავშირის გამგეობის გადარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელის უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ. „ნემსის" მუშაობის მოსადუნებლად მენშევიკებმა გადასწყვიტეს გაეთიშნათ ეს კავშირი და მის ნაცვლად შეექმნათ მათი მორჩილი კავშირი.

1920 წლის ივლისში „ნემსის" კავშირის გამგეობაში მხოლოდ კომუნისტები გავიდნენ. კავშირმა გაშალა ენერგიული მუშაობა, მოაწყო ჟურნალის

---

[1] გაზ. „კომუნისტი" № 4. 1920 წ.

[2] გაზ. „კომუნისტი" № 9, 1920 წლის 11 ივლისი.

ს. მ. კიროვი

გამოცემა და სხვ. მაშინ მენშეკოვებმა დააპატიმრეს გამგეობის მთელი შემადგენლობა, რათა შეესუსტებინათ ამ კავშირრში ბოლშევიკური გავლენა[1].

დიდი გავლენით სარგებლობდნენ ბოლშევიკები აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო მუშა-მოსამსახურეთა კავშირშიაც. კლუბების, სასადილოებისა და სხვ. მუშა-მოსამსახურეთა კავშირთან არსებული არალეგალური ბოლშევიკური ფრაქცია ჯერ კიდევ 1919 წელს აწარმოებდა თავის მუშაობას. ამ კავშირის სარევიზიო კომისიაში ბოლოდ ბოლშევიკები აირჩიეს. მენშევიკებმა, მართალია, დააპატიმრეს და მეტეხში ჩასვეს ისინი. მაგრამ ამ გარემოებამ ბოლშევიკური ფრაქციის მუშაობაზე გავლენა არ მოუხდენია.

საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ მენშევიკები იძულებული გახდნენ ეცნოთ ბოლშევიკური ორგანიზაციის ლეგალიზაცია.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შესწყვიტა არსებობა და მის ნაცვლად შეიქმნა რკპ (ბ) ც. კ-ის კავბიურო ამხ. სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, რომელიც ამ დროს ბაქოში იმყოფებოდა. შექმნილ იქნა საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

3 ივნისიდან ტფილისში გამოსვლა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების ორგანომ — გაზ. „კომუნისტმა". მენშევიკური საპყრობილეებიდან აქტიურ პარტიულ მუშაობას ათასზე მეტი კომუნისტი დაუბრუნდა. იმ ამხანაგებსაც შეეძლოთ შესდგომოდნენ პარტიულ მუშაობას, რომლებიც აქამდე იმალებოდნენ ან იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია.

ივნისში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ტფილისში მოიწვია არალეგალური პარტიული თათბირი, საქალაქო და სამაზრო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. რომ გამოემუშავებინა ტაქტიკა პარტიული მუშაობისა ახალ პირობებში. სამწუხაროდ, ამ თათბირის ოქმები არსად არ აღმოჩნდა, მაგრამ მონაწილეთა მოგონებებიდან ჩვენ ვიცით, რომ ამ თათბირზე, არალეგალური მუშაობის გაშლის გადაწყვეტასთან ერთად, ის აზრიც გამოითქვა, რომ არ გატაცებულიყვნენ ლეგალიზაციით და შეენარჩუნებინათ პარტიის არალეგალური აპარატი (მაგალითად, პარტიამ მთლიანად შეინარჩუნა იარაღი, თავისი არალეგალური სტამბები და სხვ.).

მხოლოდ მუშაობის ლეგალური ფორმების მოხერხებულ შეხამებას პარტიის არალეგალური აპარატის არსებობასთან შეეძლო უდავოდ უზრუნველეყო ბოლშევიკური პარტიის კიდევ უფრო განმტკიცება და საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შეიარაღებული აჯანყების საშუალებით.

კომპარტიის ლეგალიზაცია მუშაობის უფრო ფართო ასპარეზს იძლეოდა. მაგრამ შეიარაღებულ აჯანყებას დღისწესრიგიდან არავითარ შემთხვევაში არ ხსნიდა.

---

[1] გაზ. „კომუნისტი" № 8. 1920 წ.

მენშევიკურ საქართველოში, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ფაქტიური ბატონობის პირობებში, ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაცია, რაზედაც მენშევიკები იძულებულნი გახდნენ დათანხმებულიყვნენ, პარტიისათვის მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო მასებზე გავლენის გასაძლიერებლად.

პარტიის ლეგალიზაციის დასაწყისიდანვე საქართველოს ბოლშევიკებმა ფართო მუშაობა გაშალეს.

ტფილისში არჩეულ იქნა საქ. კომპარტიის (ბ) ტფილისის ახალი კომიტეტი, რომელმაც მოახდინა პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია, დაამტკიცა პარტიის სარაიონო კომიტეტების ახალი შემადგენლობა და აღადგინა და განამტკიცა პარტიული უჯრედები. ტფილისის კომიტეტმა გააძლიერა პარტიული მუშაობა პროფკავშირებშიაც და განაახლა შემადგენლობა არალეგალური „მუშათა ცენტრისა", რომელიც ამ დროს არსებითად პროფკავშირთა კომუნისტური ფრაქციების პარტიულ ბიუროდ გადაიქცა.

პარტიის მუშაობას პროფკავშირებში უდიდესი მნიშვნელობა მიეცა. ბოლშევიკური გავლენა პროფკავშირთა მეტ ნაწილში თანდათან უფრო მტკიცდებოდა.

ბოლშევიკური გაზეთების გამოსვლამ და აგრეთვე ღია კრებებისა და მოხსენებების მოწყობამ პარტიას საშუალება მისცა უფრო ფართოდ გაეშალა ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდა და სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა მშრომელი მასებისათვის საბჭოთა რუსეთის შესახებ. ამ მხრივ უდიდესი როლი ითამაშა რსფსრ-ის დიპლომატიური წარმომადგენლის ამხ. ს. კიროვის ტფილისში ჩამოსვლის უკვე პირველმა დღემ.

ამხ. კიროვი, რომელიც სათავეში ედგა XI არმიას, მონაწილეობას იღებდა დენიკინის განადგურებაში და შემდეგ ჩრდილოეთ-კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენაში. ბრწყინვალე პროლეტარულმა ტრიბუნმა, სიტყვის არაჩვეულებრივმა ოსტატმა — ამხ. ს. კიროვმა თავისი ჩამოსვლის დღეს ტფილისში, მეტად მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელიც საბჭოთა მისიის სახლის წინ შეიკრიბა, მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. ამხ. ს. კიროვის გამოსვლის მიზანი იყო გაეფანტა ის საზიზღარი პროვოკაციული სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც ავრცელებდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი მენშევიკები და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები საბჭოთა რუსეთის შესახებ.

იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რომელიც საქართველოში დაჰყო 1920 წელს, ამხ. კიროვმა მუშათა და საერთოდ ყველა მშრომელთა უღრმესი სიყვარული მოიხვეჭა.

ამხ. ს. კიროვმა განსაკუთრებული როლი ითამაშა არა მარტო რკპ (ბ) ც. კ-ისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიცემულ დავალებათა შესრულებაში, არამედ იმაშიაც, რომ ის ხელმძღვანელობდა და იდეურ დახმარებას უწევდა საქართველოს კომპარტიას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.



КОММУНИСТ

ЦЕНА 5 РУБ.

Сегодня открывается 2-й конгресс Третьего Коммунистического Интернационала

Сегодня день предсмертной агонии империализма и торжества мирового пролетариата.

Да здравствует Третий Коммунистический Интернационал!

Да здравствует Всемирная Республика Советов!

ბოლშევიკური გაზ. „კომუნისტის“ 1920 წლის 17 ივლისის № 11-ის პირველი გვერდი

წერილში „მგზნებარე მებრძოლი“ ამბ. ლ. ბერია სწერს:

„1920 წლის ზაფხულს კიროვი იყო რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მენშევიკურ საქართველოში, ტფილისში. აქ იყო იგი საბჭოების ქვეყნის ნამდვილი წარმომადგენელი. ლენინის და სტალინის წარმომადგენელი, და ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოში“ [1].

კომუნისტური პარტიის ახალ პირობებში მუშაობის პირველმა პერიოდმა ლეგალიზაციის შემდეგ ცხადჰყო ბოლშევიზმის უდიდესი გავლენა საქართველოში. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა რაიონში ჩაატარა სამაზრო პარტიული კონფერენციები, რომ განეხორციელებინა პარტიის დირექტივები მუშაობის ახალი ტაქტიკის შესახებ და ერთ წუთსაც არ დავიწყნია ხელისუფლების დაპყრობისა და საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ამოცანები. მუშაობის ლეგალური პირობების შეხამებას არალეგალურთან კიდევ უფრო მეტად უნდა შეემჭიდროებინა ბოლშევიკური პარტიის რიგები და გაეადვილებინა მისთვის ძირითადი ამოცანის — შეიარაღებული აჯანყების მომზადების განხორციელება. ბოლშევიკური პრესა ფართოდ აშუქებდა პარტიულ მუშაობას ადგილებზე. ყველგან სწარმოებდა პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია და ახალ წევრთა მიღება, მტკიცდებოდნენ პარტიული უჯრედები და ორგანიზაციები.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადებამ — ყოველ

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 279, 1935 წ. 3 დეკემბერი.

მხრივ ხელი შეეწყოთ მისთვის ბოლშევიკური გაზეთების გავრცელების საქმეში — მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მასებში. აი, მაგალითად, რას სწერდნენ ქ. ფოთის რკინიგზელი მუშები:

„ამ ორი წლის შემდეგ ჩვენ. ბოლოსდაბოლოს, მოვესწარით მუშათა გაზეთის გამოსვლას. ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ ჩვენს გაზეთს. „კომუნისტ გრუზიის" და არ დავიჩრით ძირს ინტერნაციონალის წითელ დროშას, სანამ არ გავიმარჯვებთ" [1].

მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტებთან და რუსეთის კონტრრევოლუციასთან დაკავშირებული მენშევიკები, წარმოადგენდნენ რა მათ ხელში ბრძოლის იარაღს პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, კვლავ შეუდგნენ ძალადობისა და რეპრესიების გამოყენებას ბოლშევიკური პარტიისა და რევოლუციურად განწყობილი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მენშევიკები კვლავ შეუდგნენ ბოლშევიკური ორგანიზაციების განადგურებას, პარტიის წევრების მასობრივ დაპატიმრებას და ციხეში მოთავსებას, ან, უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს საზღვრებიდან გაძევებას.

მენშევიკურმა პარტკრილობამ, რომელიც 1920 წლის ივნისში შესდგა, გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება: „ყოველივე ძალღონითა და საშუალებით გაგრძელდეს ბრძოლა საქართველოს კომუნისტების წინააღმდეგ".

1920 წლის 28 ივნისს რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ამხ. ს. კიროვი, რომელიც თვალყურს ადევნებდა რსფსრ-სა და საქართველოს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების დაცვას, იძულებული შეიქნა მიემართნა საქართველოს მთავრობისათვის. ენერგიული საპროტესტო ნოტით საქართველოს კომუნისტური პარტიის მიმართ დაწყებული რეპრესიების გამო.

„... ჩემთან, — სწერდა ამხ. ს. კიროვი, — სულ ახალახალი განცხადებები შემოდის კომუნისტური პარტიის წევრების დატუსაღების შესახებ როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში, სადაც ,ამავე დროს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს სრულიად ხურავენ. ასე მოხდა ფასანაურში, ლეჩხუმის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიაში, დუშეთში და ბევრ სხვა ადგილას.

გარდა ამისა, ჩემს განკარგულებაში არის კომუნისტური პარტიის იმ წევრთა სია, რომელნიც დატუსაღებულნი იყვნენ რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამდე და, მიუხედავად ამ ხელშეკრულების X მუხლისა, ჯერაც არ არიან განთავისუფლებულნი.,. არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაქციო აგრეთვე იმ სრულიად დაუშვებელ მოვლენას საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ სადგომი რსფსრ-ის წარმომადგენლობისა საქართველოში გადაიქცა ადმინისტრატიული ხელისუფლების აშკარა სანადირო წყაროდ, სადაც არა-

[1] „კომუნისტ გრუზიი" № 1, 1920 წ.

მარტო კომუნისტური პარტიის წევრებს, არამედ უბრალო მოქალაქეებსაც კი იჭერენ“ [1].

1920 წლის 9 ივლისს ამხ. კიროვი სწერდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

— „ჩემს განკარგულებაში არსებული ცნობების თანახმად, ქუთაისის ციხეში დაპატიმრებული არიან ნიკოლოზ ნოზაძე, ნოე თოდუა, გიორგი ჩუბინიძე, ბაგრატ ცომაია და ლავრენტი ბერია. ყველა ამათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ მიესაჯათ საკატორღო მუშაობა წარსული წლის ოქტომბერში მომხდარ შეიარაღებულ გამოსვლაში მონაწილეობისათვის.

ვინაიდან ყველა ჩამოთვლილ მოქალაქეთ, თანახმად რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულების მე-X მუხლისა, აქეთ უფლება განთავისუფლებულ იქნენ სასჯელის მოხდისაგან, მე არ შემძლიან არ ჩავთვალო ციხეში მათი შემდგომი ყოფნა, როგორც ხელშეკრულების დარღვევა“ [2].

საქართველოს ბოლშევიკურ გაზეთებში ივლისსა და აგვისტოში უამრავი ფაქტია მოყვანილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი საგანგებო რაზმების მიერ მიღებული რეპრესიებისა და ველური თარეშის შესახებ ყველას მიმართ, ვისაც კი კომუნისტობას შესწამებდნენ. მიუხედავად პროტესტებისა, კომუნისტების დაპატიმრება მაინც გრძელდებოდა. დაპატიმრებულთა შორის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც იყვნენ. მენშევიკებმა დახურეს ბოლშევიკური პარტიული ბიურო სიღნაღში, ახალსენაკში, თელავში, დუშეთში და სხვ. ახალციხეში დააპატიმრეს კომპარტიის მთელი სამაზრო კომიტეტი. 2 ივლისს დააპატიმრეს მთელი სამაზრო კომიტეტი აგრეთვე ახალსენაკშიაც. ივლისის დასაწყისში ქ. გორში დააპატიმრეს მთელი პარტიული კრება. გორის მაზრაში ვითომდა „გაქცევის ცდისათვის“ მხეცურად მოჰკლეს დაპატიმრებული ბოლშევიკი კალიაშვილი. ტფილისში ხდებოდა მასობრივი დაპატიმრებანი.

ახალციხეში დახვრიტეს 26 ბოლშევიკი-ჯარისკაცი, რომელთაც უარი განაცხადეს აჯანყებულ აჭარელთა წინააღმდეგ წასვლაზე. სამეგრელოში მენშევიკებმა დახურეს 11 პარტიული ბიურო. შულავერში (ბორჩალოს მაზრა) დახურეს პარტიული ბიურო და ბიუროს ყველა წევრი დააპატიმრეს. იმავე მაზრაში, სახალხო გვარდიელებმა დახვრიტეს კომუნისტი ყარა-ვალი-ოღლი.

აი ტიპიური კორესპონდენცია რაიონებიდან იქაური პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ:

„უკანასკნელ ხანებში, — სწერდა „კომუნისტის“ კორესპონდენტი, — რეპრესიები გურიაში არა თუ არ შესუსტდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა... კომუნისტებზე სუფსაში, ოზურგეთში, ჩოხა-

[1] „რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მათი ურთიერთდამოკიდებულებანი“, გვ. 17.

[2] ს. მ. კიროვი „წერილები, სიტყვები, დოკუმენტები“, გვ. 250, გამ. 11 1937 წ.

ტაურში პირდაპირ ნადირობენ. ლანჩხუთში ქუჩაში თავს დაესხნენ და დააპატიმრეს ლეგალური კრებიდან დაბრუნებული ამხანაგები“ [1].

„თქვენდამი მომართულ ჩემს ნოტაში ა/წ. 9 ივლისის თარიღით და 330 №-ით, — სწერდა 19 ივლისს რ ს ფ ს რ -ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. კიროვი საქართველოს მთავრობას. — მე უკვე აღვნიშნე თქვენი მთავრობის აგენტების მიერ რ ს ფ ს რ - სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების საგანგებო საიდუმლო დამატების პირველი მუხლის პირდაპირი დარღვევის ფაქტები. ამ ნოტაზე თქვენგან პასუხის მიუღებლობის გამო, მე იძულებული ვიყავი მეცნობებინა ჩემი მთავრობისათვის ამის შესახებ და სათანადო განმარტება მიმეცა ამ დუმილისათვის. ეს მით უმეტეს, რომ რეპრესიები კომუნისტური პარტიის მიმართ საქართველოში არა თუ არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ უკანასკნელის დამამტკიცებელ საბუთს, გარდა იმისა, რომ განუწყვეტლივ გრძელდება პარტიის ცალკეული წევრების, ჯგუფებისა და კომიტეტების დაპატიმრება, კომუნისტურ პარტიუროთა დახურვა, დაბეჭდვა და სხვა, ისიც წარმოადგენს, რომ 17 ამა ივლისს ქ. ტფილისში ადგილი ჰქონდა ყველა პარტიული კომუნისტური გაზეთის ერთბაშად დახურვას; ამ უკანასკნელი ფაქტის შესახებ ირკვევა, რომ გაზეთი „კომუნისტის“ (რუსულ ენაზე) და „საქართველოს კომუნისტის“ (ქართულ ენაზე) დახურვა მოხდა პროკურორის განკარგულებით; ამასთან, აღნიშნული გაზეთების რედაქტორები პასუხისგებაში არიან მიცემულნი. მაგრამ, სინამდვილეში, გაზეთების დახურვას მოჰყვა დაპატიმრება ყველა თანამშრომლისა, თვით კორექტორამდე, და ყველა იმათი, ვინც რედაქციებში იმყოფებოდა, დაბეჭდეს სტამბაც. მთელი ეს გარემოება არ შეიძლება არ მოწმობდეს იმას, რომ ჩვენს წინაშე არის არა იმ რედაქტორების დევნის ფაქტი, რომლებმაც დაარღვიეს კანონის ესა თუ ის მოთხოვნა თქვენს რესპუბლიკაში, არამედ კომუნისტების ბეჭდვითი ორგანოების სრული ლიკვიდაცია იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალოს მათს ფაქტიურ განახლებას. ყველაფერი ეს არ შეიძლება არ განვიხილოთ, როგორც კვლავ პირდაპირი დარღვევა თქვენი მთავრობის აგენტების მიერ ა/წ. 7 მაისის ხელშეკრულების საგანგებო საიდუმლო დამატების 1-ლი მუხლისა და აგრეთვე მე-10 მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს იმ კომუნისტების განთავისუფლებას შემდგომი დევნისაგან სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ წესით, რომლებსაც წარსულში რსფსრ-ის ან რკპ-ის სასარგებლოდ უმოქმედნიათ.

ამავე დროს არ შემიძლია არ შევჩერდე 19 ამა ივლისის თარიღითა და 5704 №-ით რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისადმი მიმართულს თქვენს დეპეშაზე, რომელშიაც ჩამოთვლილია კომუნისტე-

[1] „ახალი კომუნისტი“ (რუსულ ენაზე), 1920 წლის 18 აგვისტო.


ЛЕНИНСКИЙ СОЮЗ РАБОЧЕ-КРЕСТЬЯНСКОЙ МОЛОДЕЖИ ГРУЗИ

Еженедельная газета

МОЛОДОЙ ПРОЛЕТАРИЙ

ЗАКАВКАЗСКОЕ ОБЛАСТНОЕ БЮРО ЦК РКСМ

ТИФЛИС

САКАРТВЕЛОს მ/ბ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანოს — გაზ. „მოლოდოი პროლეტარიის“ 1920 წლის 7 ივლისის № 2-ის პირველი გვერდი

ბის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების მოტივები. ამ დეპეშაში თქვენ, სხვათაშორის, ეყრდნობით იმ უტყუარ ცნობებს, რომლებიც თქვენი მთავრობის განკარგულებაშია, იმის შესახებ, რომ „საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრები, სარგებლობენ რა გარედან მიღებული ფულადი სახსრებით, გარდა თავისი ლეგალური მუშაობისა, გაცხოველებულ პროპაგანდას ეწევიან ჯარში, სახალხო გვარდიის რიგებში და გლეხთა ფართო მასებში; ამასთან, კომუნისტების სახელით მუშაობენ აშკარა რეაქციონერებიც, რომელთაც პარტიასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ეს მასობრივი დევნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას თქვენს მიერ მოყვანილი ფორმულებით. ამნაირად, არც თქვენს დეპეშას შეუძლია ოდნავ მაინც შეარბილოს თქვენი მთავრობის აგენტების მოქმედება და, მაშასადამე, ჩემს მიერ აღნიშნული დებულებანი ძალაში რჩებიან როგორც ჩემთვის, ისე ჩემი მთავრობისთვისაც“ [1].

17 ივლისს ტფილისში მენშევიკებმა ერთბაშად დახურეს ორივე ბოლშევიკური გაზეთი და პროკურორის განკარგულებით პასუხისგებაში მისცეს არა მარტო გაზეთების რედაქტორები, არამედ დააპატიმრეს ყველა მისი თანამშრომელი და დაბეჭდეს აგრეთვე ის სტამბებიც, სადაც ეს გაზეთები იბეჭდე-

---

[1] „რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მათი ურთიერთდამოკიდებულებანი“, გვ. 26 — 27.

ბოდა.. ამ დარბევის შემდეგ ბოლშევიკური გაზეთები გამოსვლის შესაძლებლობას მხოლოდ ოქტომბერშიღა ეღირსნენ. მენშევიკები ჯერ კიდევ უმალ ართმევდნენ ხელწერილებს მუშებსა და გლეხებს, არ წაეკითხნათ ბოლშევიკური გაზეთები. ამ გაზეთების კითხვისათვის ჯარისკაცებს სამხედრო-საველე სასამართლოს პასუხისგებაში აძლევდნენ. მასობრივად ითხოვდნენ სამსახურიდან არა მარტო კომპარტიის წევრებს, არამედ ყველას, ვისაც კი ბოლშევიზმის თანაგრძნობას შესწამებდნენ.

გაზ. „კომუნისტში" თამბაქოს წარმოების ერთი მუშა თავის კორესპონდენციაში — „იდეური ბრძოლის ერთერთი გმირი" სწერდა, რომ პროფკავშირთა საბჭოს თავჯდომარე თავის გამოსვლებში მუშათა საერთო კრებებზე:

„მუქარით აიძულებს მუშებს არ ჩაეწერნენ კომუნისტურ პარტიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნით და საქართველოს საზღვრებიდან გაძევებით ემუქრება. ასეთი ექსპერიმენტი არა ერთხელ მოუხდენია პროფკავშირთა „ხელმძღვანელს" და, ამგვარად, პროფკავშირთა გამგეობები მან საგანგებო რაზმის განყოფილებებად გადააქცია"[1].

26 ივნისს მენშევიკური მთავრობის მიერ დაშლილ იქნა საქ. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყრილობა, ხოლო მისი თავმჯდომარე ამხ. ბ. ძნელაძე დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა საქართველოს საზღვრებიდან.

მენშევიკების უხეში ძალადობა და თვითნებობა ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ, პარტიული მუშაობისათვის განსაკუთრებით მძიმე პირობებს ჰქმნიდნენ, მაგრამ ბოლშევიზმის გამარჯვების შეფერხება საქართველოში მათ მაინც ვერ შესძლეს.

იძლეოდა რა ახლო მომავლის პროგნოზს, გაზ. „კომუნისტი" ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში სრულიად სამართლიანად სწერდა:

„ჩვენმა პარტიამ ყოველი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, ყოველი ღონე იხმაროს ჩვენი რიგების შემჭიდროებისათვის, რომ გადამწყვეტ მომენტში პროლეტარიატზე ისტორიის მიერ დაკისრებულ უდიდეს ამოცანებს ღირსეულად და მომზადებულად შევხვდეთ. ვერავითარი ციხე-საპყრობილეები და გადასახლება ვერ შეარყევენ ჩვენი პარტიის ძალას და გავლენას. ვერავითარი რეპრესიები ვერ შეაჩერებენ კომუნიზმის ძლევამოსილ წინსვლას"[2].

---

[1] „კომუნისტი", № 7, 1920 წ. 8 ივლისი.

[2] იქვე.

მენშევიკების ბრძოლა ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ

I

1917 წლის აღწერით საქართველოს ტერიტორიაზე 2.402.230 სული ითვლებოდა. აქედან: ქართველი — 1.615.216 (67,2%), სომეხი — 279.975 (11,6%), რუსი — 116.775 (4,8%), ოსი — 95.587 (3,9%), თურქი — 85.149 (3,6%), აფხაზი — 40.393 (1,8%) და სხვა ეროვნებანი (გერმანელი, ბერძენი და სხვ.) — 169.145 (7,1%). თუ ავიღებთ ცალკეულ ეროვნებათა პროცენტულ შეფარდებას აღმოსავლეთ საქართველოში, დავინახავთ, რომ აქ ქართველები შეადგენენ 44,6%-ს, სომხები — 21,5%-ს, რუსები — 8,5%-ს, ოსები — 7,9%-ს, თურქები — 10,5%-ს და დანარჩენი ეროვნებანი — 7,0%-ს.

ამნაირად, ნაციონალური შემადგენლობის მხრივ საქართველო წარმოადგენდა მეტად ჭრელ ქვეყანას, სადაც ნაციონალური უმცირესობანი 30%-ზე მეტს შეადგენდნენ.

ახორციელებდნენ რა ნაციონალურ საკითხში დიდმპყრობელურ ნაციონალურ-შოვინისტურ პოლიტიკას, ქართველი მენშევიკები სჩაგრავდნენ ეროვნულ უმცირესობებს, რომელნიც მენშევიკების ბატონობის დროს ფაქტიურად საერთო-სამოქალაქო უფლებებსაც კი მოკლებულნი იყვნენ.

მენშევიკების დიქტატურამ საქართველოში უაღრესად გაამწვავა ნაციონალური კონფლიქტები საქართველოს გაბატონებულ კლასებსა და ნაციონალურ უმცირესობათა მშრომელ მასებს შორის.

ა/კ-ის კომუნისტური ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე ამხ. ს. ორჯონიკიძემ ასე დაახასიათა ნაციონალური ურთიერთობანი ამიერ-კავკასიაში კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიების ბატონობის დროს:

> „ეს ცალკეული ეროვნებანი თვით რესპუბლიკის შიგნით მენშევიკების, დაშნაკელებისა და მუსავატელების ბატონობის პერიოდში ერთმანეთს შორის გაეფთრებით იბრძოდნენ. თუ აიღებთ, მაგალითად, საქართველოს, დაინახავთ, რომ იქ მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში არაჩვეულებრივი შეტაკებები ხდებოდა. თქვენ დაინახავთ სამხრეთ-ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარისტანის განადგურებას, დაინახავთ ომს მუსულმანებთან ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში და ნამდვილ ომს საქართველოსა და სომხეთს შორის. იგივე ხდებოდა აზერბაიჯანშიაც: განუწყვეტელი ომი მუსულმანებსა და სომხებს შორის, რუსი მოსახლეობის განდევნა შემახისა და გეოჩაის მაზრებიდან. ასეთი-

ვე ხოცვა-ჟლეტა სწარმოებდა აგრეთვე სომხეთშიაც. ასეთ ნაციონალურ სიძულვილსა და სისხლიან შუღლს ა/კ-ის ცალკეულ ეროვნებათა შორის ადგილი ჰქონდა სწორედ მენშევიკების, დაშნაკელებისა და მუსავატელების ამ ქვეყნებში ბატონობის დროს" [1].

აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ნაციონალურ უმცირესობათა მშრომელი მასები მენშევიკების სასტიკ ჩაგვრასა და დევნას განიცდიდნენ. მათ არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ მათი ცხოვრების სწორად მოწყობა შეუძლია მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, იმ პარტიას, რომელმაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა განახორციელა და რუსეთის ერთა უფლებების დეკლარაციაში ყველა ერის თანასწორობა, დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევის უფლება აღიარა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, ხალხთა მეფური საპყრობილის ნაცვლად, შეექმნა ერთიან პროლეტარულ სახელმწიფოს ჩარჩოებში მთელს მსოფლიოში ჯერ არნახული მთელ რიგ ეროვნებათა და ტომთა სოციალისტური თანაცხოვრება.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდში სწერდა:

„საბჭოთა ხელისუფლება ხალხისაგან მოწყვეტილი ხელისუფლება როდია, — პირიქით, იგი ერთადერთი თავისებური ხელისუფლებაა, რუსის ხალხის მასებიდან გამოსული, მათთვის მშობლიური და ახლობელი. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება ის არნახული ძალა და გამძლეობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ჩვეულებრივად კრიტიკულ მომენტებში იჩენს ხოლმე. საჭიროა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამდენადვე მშობლიური და ახლობელი გახდეს რუსეთის განაპირა ქვეყნების ხალხთა მასებისთვისაც. მაგრამ იმისათვის, რომ მშობლიური გახდეს, საბჭოთა ხელისუფლება, უწინარეს ყოვლისა, გასაგები უნდა იყოს ამ მასებისათვის. ამიტომ საჭიროა, რომ ყველა საბჭოთა ორგანო განაპირა ქვეყნებში — სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, უშუალო ხელისუფლების ორგანოები (და აგრეთვე პარტიის ორგანოებიც) შედგენილ იქნან შეძლებისდაგვარად ადგილობრივ ადამიანთაგან, რომელთაც იციან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ენა, რომ ამ ინსტიტუტებში მიზიდულ იქნან საუკეთესო ადამიანები მკვიდრ ხალხთა მასებიდან, რომ ადგილობრივი მშრომელი მასები ჩაებნენ ქვეყნის მართველობის ყველა სფეროში, სამხედრო ფორმირებათა სფეროს ჩათვლით, რომ მასებმა დაინახონ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ორგანოები მათი საკუთარი გარჯის საქმეა, მათი მისწრაფებე-

[1] ა/კ-ის კომუნისტური ორგანიზაციების 1-ლი ყრილობა, ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება, გვ. 35 — 36.

ოსეთის უკან დახევა ულელტეხილით ჩრდილოეთ
კავკასიისაკენ 1920 წელს. მხატვარ ტუგალოვის სურათიდან
(ინახება ჟ. ორჯონიკიძეში)

ბის განსახიერებაა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაურღეველი სულიერი კავშირის დამყარება მასებსა და ხელისუფლებას შორის, მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ საბჭოთა ხელისუფლება გასაგები და ახლობელი გახდეს განაპირა ქვეყნების მშრომელი მასებისათვის" [1].

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ფაქტიურად ყოველგვარი ნაციონალური შევიწროებისა და უთანასწორობის აღმოფხვრას.

სომხეთსა და საქართველოს შორის ძმათა სისხლისმღვრელი სამარცხვინო ომის დროს მენშევიკები ბრალს სდებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სომხებს, რომ ეს უკანასკნელნი სამშობლოს ღალატობენ. მენშევიკები სდევნიდნენ მხოლოდ მშრომელ სომხებს და განსაკუთრებით კი მუშებს, რომელთაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი მიისწრაფვიან ბოლშევიზმის გაძლიერებისა და მენშევიკურ სახელმწიფოს მოსპობისაკენ. ქალაქების განტვირთვისა და უცხო ქვეშევრდომობის მომიზეზებით, მშრომელ სომხებს სისტემატურად ასახლებდნენ საქართველოს საზღვრებიდან.

თვალი გადაავლოთ მენშევიკების ბრძოლას სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა წინააღმდეგ.

როდესაც ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა დაადასტურა

---

[1] ი. სტალინი „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", ქართ. გამოცემა, გვ. 84—85, 1934 წ.

საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორება და ამიერ-კავკასია „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადა, სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა 1918 წლის მარტში შრავალრიცხოვან ყრილობებზე ჯავასა და ცხინვალში გადაჭრით განაცხადეს:

„სამხრეთ-ოსეთი დადგა რევოლუციური რუსეთისაგან ამიერ-კავკასიის ჩამოშორების უმაგალითო აღმაშფოთებელი ფაქტის წინაშე იმ მომენტში, როცა რუსეთის პროლეტარიატი მძიმე ბრძოლას აწარმოებს მძვინვარე ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიის შოვინისტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას გვერდი აუარეს სამხრეთ-ოსეთის ღარიბ მშრომელ მოსახლეობას. ჩვენ, მთელი სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლები, ხმამაღლა ვაცხადებთ პროტესტს ასეთი ძალადობის წინააღმდეგ, საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთისაგან ჩვენდა უნებლიედ ჩვენი იზოლაციისა და ჩამოშორების წინააღმდეგ.

ამ აღმაშფოთებელი ძალადობის ფაქტს, რომელიც ღარიბი მშრომელი ხალხის მტერთა ბანაკიდან მოდის, ჩვენ ვერასოდეს, ვერავითარ შემთხვევაში და ვერავითარ პირობებში ვერ შევურიგდებით. ჩვენ ვადასტურებთ, უსათუოდ, ჩვენი ხალხის ურყევ ნებისყოფას და გადაწყვეტილებას და ვაცხადებთ, რომ სამხრეთ-ოსეთი არის და უნდა დარჩეს თავისუფალი საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის განუყოფელ ნაწილად. ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის ჩამდგარ ბნელ ძალებთან ბრძოლაში ჩვენ გადაჭრით და დაუზოგავად ვიმოქმედებთ. ჩვენს ძმებსა და ამხანაგებს, რუსეთის ბოლშევიკებს, ვუძღვნით მხურვალე სალამს, ხოლო ამიერ-კავკასიის უზურპატორებსა და სეპარატისტებს ზიზღსა და კრულვას, როგორც პროლეტარული რევოლუციის მოღალატეებს“ [1].

ქართველი მემამულეები მენშევიკური ადმინისტრაციის მფარველობით აწყობდნენ შავ რაზმებს და ოსი-გლეხებისაგან ჰკრეფდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვილ მიწების საიჯარო გადასახადების ნარჩენებს და სხვადასხვაგვარ ბეგარას. გარდა ამისა, მენშევიკები სდევნიდნენ აგრეთვე ფრონტიდან დაბრუნებულ ოს ჯარისკაცებს, რომლებსაც ბოლშევიკობას სწაშებდნენ.

ყველა ამის შემდეგ აჯანყდნენ სოფელ ყორნისის, ორთევისა და სხვა ოსი-გლეხები. მათ მიემხრნენ ქართული სოფლებიც. 1918 წლის 19 მარტს ოსმა გლეხებმა. ქართველ გლეხთა მონაწილეობით, ხელში ჩაიგდეს სამხრეთ-ოსეთის ახლანდელი ადმინისტრატიული ცენტრი — ქ. სტალინირი (მაშინ ცხინვალი) და გამოაცხადეს იქ საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკებმა ძლივს ჩააქრეს ეს აჯანყება. აჯანყებულებთან შეტაკების დროს მოკლულ იქნენ სახალხო გვარდიის ნაწილების უფროსი მაჩაბელი და კომისარი ქადიშვილი, რომელიც სამხრეთ-ოსეთში ყველას ეჯავრებოდა.

---

[1] რეზოლუცია დაბეჭდილია ჟურნალში „ეიზნ ნაციონალნოსტეი“ № 24, 1920 წ. 25 ივლისი.

სამხრეთ-ოსეთი. სოფ. ხოჯა 1920 წ. დარბევის შემდეგ

ოსების რევოლუციური ბრძოლა მენშევიკებმა გამოიყენეს მეტად ბოროტი ნაციონალურ-შოვინისტური პროპაგანდისათვის და ცდილობდნენ გამოესახათ იგი კონტრრევოლუციური ეანდეის გამოსვლად რევოლუციურ და დემოკრატიულ საქართველოს წინააღმდეგ:

„რა მოხდა ცხინვალში? — სწერდა გაზეთი „ბორბა". — ოსების ბნელმა მასებმა, ქართველი მოსახლეობის ხულიგნური ელემენტების ერთი ნაწილის დახმარებით, დაანგრიეს ცხინვალი და შეუდგნენ მახლობელი სოფლების ძარცვა-გლეჯას. ძარცვა ძარცვისათვის, განადგურება განადგურებისათვის — აი ცხინვალის ამბების ხასიათი. ასეთად გვეჩვენება ეს ამბები პირველი ზერელე შეხედვით, მაგრამ, რასაკვირველია, ამის მიზეზი უფრო ღრმაა, ეს დემოკრატიასთან ბრძოლის ერთერთი ეპიზოდია" [1].

შემდეგში სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბრძოლა მენშევიკურ საქართველოს წინააღმდეგ თავისი დამოუკიდებლობისათვის არა თუ არ შესწყდა, არაშედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. სამხრეთ-ოსეთში ბოლშევიკური ორგანიზაციების ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად ამ მოძრაობამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის თანდათან უფრო მკაფიო პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, სამხრეთ-ოსეთში 1918 წლის გაზაფხულიდან მოწესრიგდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა. ამავე წლის 20 ივლისს აქ უკვე რკპ (ბ) პირველი საორგანიზაციო ბიურო შეიქმნა. 1919 წლის დასაწყისში სამხრეთ-ოსეთში უკვე არსებობდნენ როკის, ჯავის, ქემულთის, წონის, კოდორის, ცხინვალის, წყნა-

[1] „ბორბა", 1920 წ. 23 მარტი.

რის, კორნისის, ოქსანის, ორთევ-ბელოთისა და ანდრეთის სარაიონო პარტიული კომიტეტები. 1919 წლის 12 ივნისს არჩეულ იქნა რკპ (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი. სამხრეთ-ოსეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში ამ დროს ითვლებოდა დაახლოებით 960 წევრი და სამი ათასზე მეტი თანამგრძნობი. 1919 წლის სექტემბერში სამხრეთ-ოსეთში ჩამოყალიბდა აგრეთვე, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი „სპარტაკი", რომელიც შემდეგში, პარტიის ხელმძღვანელობით, სერიოზულ როლს თამაშობდა მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში [1].

სამხრეთ-ოსეთის მშრომელმა მოსახლეობამ უარი განაცხადა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. 1919 წ. მენშევიკებმა გარეკეს და კანონს გარეშე გამოაცხადეს 1918 წელს შექმნილი სამხრეთ-ოსეთის ნაციონალური საბჭო. 1919 წლის შუა თვეებიდან ბოლშევიკური ორგანიზაცია უკვე ხელმძღვანელობას უწევდა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეს და მან წამოაყენა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ლოზუნგი. ამ აჯანყების მომზადება დაკავშირებული იყო მთელი საქართველოს მუშათა და გლეხთა საერთო შეიარაღებულ აჯანყებასთან, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით.

1919 წლის ოქტომბერში აჯანყება მოხდა როკის რაიონში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, მაგრამ საერთო აჯანყების დამარცხებამ საქართველოში სამხრეთ-ოსეთის აჯანყების ბედიც გადასწყვიტა. აჯანყების ხელმძღვანელნი და მონაწილენი მენშევიკების ძლიერი შეიარაღებული ძალების შეტევის გამო იძულებულნი გახდნენ თოვლიანი უღელტეხილი გადაევლოთ, ჩრდილოეთ-ოსეთში გადასულიყვნენ და იქ თეთრგვარდიელთათვის მიუწვდომელ ხეობებში დამალულიყვნენ.

დენიკინის განადგურების შემდეგ, საქართველოში ახალი შეიარაღებული აჯანყების მზადებასთან დაკავშირებით, სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაცია, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ენერგიულად შეუდგა მზადებას მენშევიკური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1920 წლის ივნისის დასაწყისში აჯანყებულმა ოსებმა ძლიერი დახმარება მიიღეს ჩრდილოეთ-ოსეთიდან, სადაც ჩამოყალიბებული იყო რევოლუციური რაზმები ჯერ კიდევ 1919 წელს იქ გადასული სამხრეთ-ოსეთის ნაწილებიდან.

ოსებმა აჯანყება დაიწყეს და სასტიკად დაამარცხეს მენშევიკური ნაწილები. 8 ივნისს ოსების რევოლუციურმა რაზმებმა დაიკავეს ცხინვალი, სადაც გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ მენშევიკებმა მოახდინეს მთელი თავისი ძალების მობილიზაცია და რევოლუციური სამხრეთ-ოსეთი უთანასწორო ბრძოლის პირობებში ჩავარდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მენშევიკებს გათვალისწინებული ჰქონდათ. მენშევიკებმა მოახერხეს აჯანყების ცეცხლის ალში გახვეულ სამხრეთ-ოსეთში გადაესროლათ სამხედრო და

[1] ეურნ. „ბორბა კლასოვ" № 4, 1934 წ., გვ. 36.

სახალხო გვარდიის საიმედო ნაწილები ტფილისიდან და თვით აზერბაიჯანის ფრონტიდანაც, სადაც ის იყო დამთავრდა შეიარაღებული შეტაკება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა ცხენოსანი პოლკის 8 ათასეული, სახალხო გვარდიელები, 2 სამთო ბატარეია, აეროპლანები და ტანკები. აჯანყების ჩასაქრობად ჯალათის როლი დაეკისრა სახალხო გვარდიის ნაწილების უფროსს — ვ. ჯუღელს. მენშევიკებმა გადასწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ ბოლო ცეცხლითა და მახვილით ოსეთის საკითხისათვის.

მენშევიკურმა ყვითელმა პრესამ თავი მოუყარა მაშინ თავისი ბოროტი ცილისწამებისა და ტყუილების მთელს არსენალს, რომ გამართლებინა მენშევიკების საოცარი სისასტიკე. ოს გლეხებს სახავდნენ მძარცველებად და ველურებად, რომელთაც არ შეეძლოთ ასულიყვნენ პოლიტიკური თვითშეგნების სიმაღლეზე და სხვ.

სამხედრო მინისტრმა ლორთქიფანიძემ შემდეგი სამარცხვინო მოწოდება გამოუშვა მენშევიკური მთავრობის სახელით „მშობლიური კერის დამცველი ქართველი ჯარებისადმი“:

„არ დაინდოთ მოღალატენი — შხამიანი გველები და მათი წიწილები უნდა გაისრისოს, — ნათქვამი იყო ამ მოწოდებაში. — ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ბედნიერება... მისი მთავრობის ურყევი გადაწყვეტილებაა, რომ რკინის ცოცხით გასწმინდოს და აჰგაოს ღალატის ბუდეები და გავარვარებული შანთით ამოსწვას ჩვენი ეროვნული სხეულის ის დაჩირქებული ადგილები და მუწუკები, რომელნიც მთელს ორგანიზმს მოწამლვასა და დაღუპვას უქადიან“ [1].

ასეთ დოკუმენტს სრულიად უყოყმანოდ მოაწერდნენ ხელს დენიკინი და ვრანგელი.

აჯანყებულ ოსებს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტდნენ, მთელს სოფლებს ანადგურებდნენ. საარტილერიო ცეცხლით. სისხლი ღვართქაფად ინთხეოდა. აუპატიურებდნენ ქალებს. არ ინდობდნენ არც მოხუცებს და არც ბავშვებს.

ბარბაროსულად უსწორდებოდა რა რევოლუციურ სამხრეთ-ოსეთს, ვ. ჯუღელი თავის დღიურში სწერდა:

„1920 წ. 13 ივნისი

ჩვენს გარშემო ოსების სოფლები იწვის. საშინელი სასჯელია, მაგრამ სხვა გზა არ არის... მე დამშვიდებული სულით და წმინდა სინდისით შევყურებ ნაცრად და კვამლად ქცეულ სოფლებს“...

1920 წ. 14 ივნისი

... სოფლები აქ მაღალ მწვერვალებზეა გაშენებული, და ალბად. ოსები ფიქრობდნენ, რომ ისინი ჩვენთვის მიუწვდომელნი იქნებოდნენ!

[1] გაზ. „ერთობა“ № 137. 1920 წ. 20 ივნისი.

13 კომუნისტის დახვრეტა მენშევიკების მიერ ცხინვალში 1920 წლის ივნისში. მხატვარ ტუგალოვის სურათიდან (ინახება ჟ. სტალინირში. კულტურის სახლში)

მაგრამ ახლა ყველგან ცეცხლია... იწვის და იწვის ყველაფერი! გულშემზარავი ცეცხლი... რაღაც საშინელი. სასტიკი. ფეერიული სილამაზეა... და. მიმოავლო რა თვალი ამ ბნელ ღამეში მბზინავ ცეცხლს. ერთმა ძველმა ამხანაგმა მითხრა: „ახლა ჩემთვის უკვე გასაგები ხდება ნერონი და რომის გრანდიოზული ხანძარი"... [1]

სამხრეთ-ოსეთი დაცარიელდა. მოსახლეობის ერთი ნაწილი თოვლიან უღელტეხილს იქით — ჩრდილოეთ-ოსეთში გადაიხვეწა. ავადმყოფები და მოხუცები. ვინც გაქცევა ვერ მოახერხა. ტყეებსა და ხეობებში იმალებოდნენ. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც უკვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამოქალაქო ომის შედეგებს იკვლევდა სამხრეთ-ოსეთში, გამოარკვია. რომ 1920 წელს აქ მოკლულ და დაღუპულ იქნა 5279 კაცი. დამწვარ იქნა 1588 საცხოვრებელი და 2639 სხვა საოჯახო შენობა. განადგურებულ იქნა დაახლოებით 23.600 ჰექტარი ნათესი. დაიღუპა 32.460 მსხვილი (80,3%) და 78.485 (82.3%) წვრილფეხა საქონელი და სხვ. [2]

20 ივნისს ცხინვალში მენშევიკებმა დახვრიტეს 13 ოსი-კომუნისტი, რომლებიც მათ ტყვედ ჩაუვარდათ.

[1] ვ. ჯ უ ღ ე ლ ი. „მძიმე ჯვარი" (რუს. ენაზე). გვ. 230 — 233.
[2] კომისიის მასალები ინახება საქ. რევოლუციის მუზეუმში.

მენშევიკების ბრძოლა ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ

საქართველოს კომპარტიამ სასტიკი პროტესტი განაცხადა სამხრეთ-ოსეთში მენშევიკების ამგვარი თარეშის წინააღმდეგ.

მაგრამ მენშევიკები არ დაკმაყოფილდნენ რევოლუციური ოსეთის გადგურებით. მთავრობის დადგენილებით სამხრეთ-ოსეთში დარჩენილი მოსახლეობა მთლიანად უნდა გადაესახლებინათ ყარაიას ველზე. რომელიც კლიმატური პირობებით სრულიად გამოუსადეგარია სამხრეთ-ოსეთის მთიანი ადგილების მცხოვრებთათვის. სამხრეთ-ოსეთის მიტოვებულ სოფლებში კი მენშევიკები ასახლებდნენ გადმოსახლებულ ქართველებს. რომელთაც მთელ რიგ პრივილეგიებს აძლევდნენ.

ოსების ძალდატანებით აყრამ მშობლიური ადგილებიდან ხელი შეუწყო ადმინისტრატიული თვითნებობისა და აშკარა ძარცვა-გლეჯის გაძლიერებას.

თუ რა ხდებოდა ამ დროს უბედურ და მრავალტანჯულ სამხრეთ-ოსეთში ეს აშკარად სჩანს ხაშურის მენშევიკური ორგანიზაციის კომიტეტის 1920 წლის 17 სექტემბრის სხდომის ოქმიდან. რომლის ამონაწერიც აქვე მოგვყავს:

„მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7) ამხ. ან. ბაბილოვის მოხსენება ჯავისა და ცხინვალის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო კომიტეტს. თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამ ადგილების მცხოვრებნი. მან განაცხადა. რომ ის ცენტრალური კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დანიშნულია დასახლებულ ადგილებში გადასახლება-დასახლების საქმეთა მეთვალყურედ და ეხმარება მთავრობის იქაურ რწმუნებულს ამხ. ვ. ჟღენტს“.

„სულ ერთი თვეა, რაც მე იქ ვმუშაობ, — განაცხადა მან, — სურათი შემაძრწუნებელია. ძარცვა-გლეჯა საშინელ ხასიათს იღებს. ყველას: ადმინისტრაციას, ჯარს, თუ გვარდიას მიზნად აქვს დასახული შეიძინონ რაიმე ძარცვა-გლეჯის ნიადაგზე. მთავრობის განკარგულებით გადასახლებულ უნდა იქნას შვიდი საზოგადოება ათიათასი მცხოვრებით. თვით დასახლება უსისტემოდ ხდება და ეს მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევს.

ახალ დასახლებულებს ყველაფერი ესაჭიროებათ და ვერაფერს შოულობენ! სახლები ან დამწვარია ან გაძარცული. არაა საქონელი, არაა სამუშაო იარაღი. იქერენ ამა თუ იმ პირს, ართმევენ რაც რამ გააჩნია და ღვთის ანაბარად უშვებენ... ხალხი განადგურებულია. არ არის დაწესებულება, რომელიც ებრძოდეს ამ უწესობას...“ [1]

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი. მენშევიკური ორგანიზაციების ოქმები. მენშევიკების ხაშურის ორგანიზაციის 1920 წლის 17 სექტემბრის სხდომა.

როგორც ამ ოქმიდან სჩანს, სამხრეთ-ოსეთში იმდენად შემაძრუწუნებელი საშინელება ხდებოდა, რომ თვით ზოგიერთი მენშევიკი და მათი ორგანიზაციებიც კი იძულებულნი იყვნენ მიექციათ ამისათვის მთავრობის ყურადღება. მაგრამ საქართველოს მართველ მენშევიკურ პარტიას აღარაფრით აღარ შეეძლო თავი დაეღწია მის მიერ რევოლუციურ სამხრეთ-ოსეთში ჩადენილ ბოროტმოქმედებათაგან. ამ ბოროტმოქმედებათა და ყველა სხვა დანაშაულთათვის ისტორიამ ქართველი მენშევიკები სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

.II

აფხაზეთის შედარებით მცირე ტერიტორიაზე (ყოფ. სოხუმის ოლქი), 8. 398 კვ. კმ. ფართობით, აფხაზებს გარდა ცხოვრობენ აგრეთვე: ქართველები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ესტონელები, რუსები და სხვ.

ადმინისტრატიულად აფხაზეთი დაყოფილი იყო 5 მაზრად: გუდაუთის (ქ. გუდაუთი), გუმისტის (ქ. სოხუმი), კოდორის (ქ. ოჩამჩირე) და სამურზაყანოს (ქ. გალი).

რუსეთის ცარიზმმა აფხაზეთის ფეოდალურ დიდკაცობაზე დაყრდნობით ხელში ჩაიგდო აფხაზეთი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს (რუსეთის ჯარებმა ქ. სოხუმი დაიკავეს 1810 წ.).

აფხაზეთის მთავარი, მსხვილი ფეოდალი საფარ-ბეი ჩაჩბა შერვაშიძე 1809 წ. რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I სწერდა:

„ჩემს თავსა და ჩემთან ერთად აფხაზეთს და ყველაფერს, რაც აფხაზეთს მოეპოვება, ვუძღვნი მემკვიდრეობით ქვეშევრდომად და მონად სრულიად რუსეთის ყოვლად მოწყალე და ყოვლად უკვეგუსტოესი მონარქის ტახტს“ [1].

ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გაძლიერება, ყოვლად საოცარი ეკონომიური ექსპლოატაცია, უმკაცრესი ეროვნული ჩაგვრა, სისხლისმღვრელი, ულმობელი შურისძიება სრულიად ოდნავი დაუმორჩილებლობისათვის, — აი აფხაზეთის მშრომელთა ხვედრი „რუსეთის სახელმწიფოს“ ბატონობის დროს. ჩაგვრისა და ძალადობის პასუხად აფხაზეთის დამონავებული გლეხობა ხშირი აჯანყებით გამოდიოდა მემამულეებისა და მეფის რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც ლენინი „ხალხთა საპყრობილეს“ უწოდებდა. აფხაზეთში მთელმა XIX საუკუნემ გლეხთა აჯანყებების ნიშნით განვლო. ყველაზე დიდ აჯანყებებს აფხაზეთში ადგილი ჰქონდა 1821 წელს, 1830 წელს, 1840-41 წლებში, 1866 წელს და 1877-78 წლებში.

ცეცხლით, მახვილითა და ჯერ არნახული ძალადობით ჩაახშო რა გლეხთა რევოლუციური ბრძოლა, ცარიზმმა 1878 წლის შემდეგ აფხაზეთის მშრომელი ხალხი „დამნაშავე ხალხად“ გამოაცხადა.

მეფის მთავრობა არ დაკმაყოფილდა იმით, რომ აყვავებული სოფლები ნანგრევებად და ფერფლად იქნა გადაქცეული, ქონება დატაცებული, მარადგი

[1] არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. III, გვ. 209.

განადგურებული, ნათესი გადათელილი; განაგრძობდა რა თავის ჩვეულ პოლიტიკას, მთავრობამ ათიათასობით აფხაზეთის მოსახლეობა აიძულა გაქცეულიყო აფხაზეთიდან ახალ სამშობლოს საძიებლად (ეგრეთწოდებული მახაჯირები). აფხაზეთიდან გაქცეული გლეხები იძულებულნი გახდნენ მრავლად გადასულიყვნენ ბათომის მახლობელ მიდამოებში და აქ შეექმნათ სოფლები — მახმუდია, მერია და სხვ. პირველ სოფელში ცხოვრობდა გლეხი ხაშიმ სმორგა, რომლის სახლშიაც, როგორც ყველამ უწყის, 1902 წ. ბათომში მუშაობის დროს ცხოვრობდა ერთხანს დიდი სტალინი, რომელმაც აქ არალეგალური სტამბა მოაწყო [1].

აფხაზეთში დარჩენილ გლეხთა მიმართ მიღებულ იქნა შემდეგი ზომები (მოვიყვანთ ზოგ მათგანს):

1. „აჯანყებული კუთხეების მთელი მოსახლეობა (1877 — 78 წ.წ.) აღიარებულ იქნას ღალატის მონაწილედ და დამნაშავედ აჯანყების მოწყობაში და ამიტომ არ იქნას წარმოებული განსაკუთრებული გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რა მონაწილეობა მიუძღვის თვითეულ თემს ცალკეულად აჯანყებაში.

2. 1866 და 1877 წ.წ. ამბების განმეორების შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად აფხაზეთის დამნაშავე მოსახლეობა დაჯგუფებულ იქნას იმნაირად,

ა) რომ იგი წარმოადგენდეს არა მთლიან მასას, არამედ დაქსაქსული იყოს იმ ახალმოსახლეთა შორის, რომლებიც მოწვეულ უნდა იქნან თავისუფალ მიწებზე დასასახლებლად, და

ბ) რომ იგი დაცილებულ იქნას ზღვის ნაპირიდან კოლონისტურ სოფელთა ზოლით“ [2].

XX საუკუნის დამდეგს აფხაზეთში იწყება რევოლუციური მორძაობის ახალი მძლავრი აღმავლობა. მაგრამ ახლა ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ აფხაზეთის შშრომელნი აწარმოებენ საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად, რუსეთის პროლეტარიატთან კავშირში, ლენინ-სტალინის პარტიის, ბოლშევიკური პარტიის, ხელმძღვანელობით.

აფხაზეთზე უდიდესი გამარეკვოლუციონერებელი გავლენა ჰქონდა ბათომის მუშათა რევოლუციურ ბრძოლას, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

1903 წ. აფხაზეთში ეწყობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი არალეგალური ორგანიზაცია.

აფხაზეთში 1905 წელს მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას სათავეში ედგა დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

ამხ. სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და მეთაურობს აფხაზეთის მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ

---

[1] იხ. წიგნი „სტალინი და ხაშიმი“, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამ-მცემლობა, 1935 წ.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია 1878 წ., შეკვრა № 8719, საქმე № 70, გვ. 61 — 65.

ს. ორჯონიკიძე სოხუმის ციხის საკანში (1906 წ.)

ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა აფხაზეთის 15 წლისთავის აღსანიშნავ სტატიაში 1936 წლის 4 მარტს გაზ. „პრავდა“ სწერს:

„ხალხთა უზარმაზარ საპყრობილეში, როგორიც იყო მეფის რუსეთი, აფხაზეთი წამების თითქმის ყველაზე საშინელ საკანად გადაიქცა. არა ერთხელ მიუციათ ცეცხლისათვის მისი სოფლები, სისხლითა და მახვილით ამშვიდებდნენ მის ხალხს. მძიმე გადასახადებითა და ბაჟებით ახშობდნენ მისი ეკონომიური აყვავების უმდიდრეს ბუნებრივ შესაძლებლობებს.

მაგრამ აფხაზეთის ხალხი თავის გულში ატარებდა მჩაგვრელებისადმი სიძულვილის ჩაუქრობელ ალს. XIX საუკუნეში ეს ალი არაერთხელ ავარდნილა გლეხთა აჯანყების ხანძრად. ხოლო XXI საუკუნის დამდეგს ბოლშევიზმის უძლიერესმა ქარმა ლენინ-სტალინის მოძღვრება აფხაზეთამდეც მიიტანა და 1905 წელს რევოლუციურ მოძრაობას აფხაზეთში ხელმძღვანელად ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე მისცა“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ აფხაზეთში მუშებსა და რევოლუციურად განწყობილ გლეხებზე სასტიკი შურისძიება დაიწყო. ცეცხლითა და მახვილით მოვლეს მთელი აფხაზეთი დამსჯელმა ექსპედიციებმა.

პირველი ცნობა პეტროგრადში მომხდარი რევოლუციის შესახებ აფხაზეთში 1917 წლის 16 მარტს გამოქვეყნდა. სოხუმში დაუყოვნებლივ შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელშიაც ხელმძღვანელ როლს თავიდანვე ქართველი მენშევიკები ასრულებდნენ. სოხუმში ჯერ კიდევ 1916 წლიდან ბოლშევიკების სამხედრო ჯგუფი მუშაობდა. რევოლუციის შემდეგ შექმნილ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში კი ხელმძღვანელობა უკვე ბოლშევიკების ხელში იყო.

რევოლუციის შემდგომი განვითარების შესაჩერებლად. მენშევიკებმა სრული თანხმობით, ბურჟუაზიამ და მემამულეებმა 23 მარტს შეჰქმნეს „საზოგადოებრივი უშიშროების საოლქო კომიტეტი“, აფხაზეთის მთავართა შთამომავლის — თავად ა. შერვაშიძის თავმჯდომარეობით. მილიციის მეთაურად აფხაზეთში დანიშნულ იქნა მსხვილი მემამულე, ცნობილი რეაქციონერი თავადი გ. მარშანია.

მაგრამ აფხაზეთში, ისე როგორც ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებში, იბორონკულმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა ვერ შესძლეს რევოლუციის შემდგომი განვითარების შეჩერება, მასების ბოლშევიზაციის პროცესის შეჩერება.

გუდაუთის მაზრაში ფაქტიურად ჯერ კიდევ 1917 წ. გაზაფხულიდან ბოლშევიკები უპირატესული გავლენით სარგებლობდნენ. გუდაუთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ხელმძღვანელობა და უმრავლესობა ბოლშევიკებს ეკუთვნოდათ. ბოლშევიკები ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ აგრეთვე გაგრის მუშათა დეპუტატების საბჭოშიაც.

გალის რაიონში წარმატებით ეწეოდნენ ბოლშევიკურ აგიტაციას ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკების მხარეზე გლეხობის გაღმოსაბირებლად და მენშევიკებისა და ესერების სამხილებლად.

შესამჩნევად გაძლიერდა ბოლშევიკური ფრაქციის გავლენა სოხუმის მუშათა დეპუტატების საბჭოშიაც, სადაც 1918 წლის დამდეგს თავმჯდომარედ ბოლშევიკი აირჩიეს.

1917 წლის ნოემბერში მენშევიკებმა ქ. სოხუმში აფხაზეთის გლეხთა პირველი ყრილობა მოიწვიეს.

დემაგოგიით, ძალადობითა და არჩევნების გაყალბებით, რის მეოხებითაც ყრილობის დელეგატებად კულაკები და თავად-აზნაურები მრავლად არჩეულ იქნა, მენშევიკებმა უზრუნველყვეს თავისთვის უმრავლესობა და გაატარეს მათთვის სასურველი რეზოლუციები. ყრილობამ გამოიტანა დადგენილება ეგრეთწოდებულ „აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს“ შექმნის შესახებ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები, ასრულებენ რა თავისი პარტიის დირექტივებს და სათაეუში უდგებიან

რა აფხაზეთის კონტრრევოლუციას. გადადიან აშკარა ბრძოლაზე რევოლუ-ციურად განწყობილ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ. ამ მიზნით კონტრრევ-ოლუციური ბლოკი აწყობს რაზმებს თავად-აზნაურებისა, ყოფ. ოფიცრებისა და სხვა რეაქციური ელემენტებისაგან.

აფხაზეთში იწყება გლეხთა გამოსვლები მემამულეთა წინააღმდეგ და რევოლუციური გზით ხდება ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაცია სოფლად.

იღებენ რა მხედველობაში მასების ბოლშევიზაციის ზრდას აფხაზეთში, რევოლუციურ სიტუაციას ამიერ-კავკასიაში (მუშათა გაფიცვები და გლეხთა აჯანყებანი საქართველოში, ბაქოს კომუნის გამარჯვება) და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ჩრდილოეთ-კავკასიაში (1918 წ. გაზაფხულზე), აფხაზეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები დადებითად სწყვეტენ საკითხს, იმის შესახებ, რომ მოამზადონ შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ იარაღის ტრანსპორტი მიიღო ბათომიდან. გამომუშავებული გეგმით აჯანყება უნდა დაწყებულიყო გაგრა-გუდაუთის რაიონში წაბელდა-დრანდის რაიონების დახმარებით.

აჯანყება დაიწყო მარტის დამლევს გაგრასა და გუდაუთში, სადაც მტრის სუსტი წინააღმდეგობის შემდეგ გამოცხდებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. აჯანყებულთა რაზმმა განავითარა პირველი სამხედრო წარმატებანი. დაამარცხა კონტრრევოლუციური ძალები ახალ ათონთან და სწრაფად მიუახლოვდა სოხუმს. დასძლიეს თუ არა მტრის წინააღმდეგობა, ბოლშევიკებმა 6 აპრილს დაიკავეს სოხუმი, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. დაარსდა სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი.

11 აპრილს გალის რაიონში ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება. აქ მოძრაობის ცენტრს სოფ. რეპი შეადგენდა. ამგვარად, ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა მთელს აფხაზეთში, კოდორის რაიონის გამოკლებით, სადაც გლეხობის კულაკური ნაწილის დახმარებით გამაგრებულნი იყვნენ თავად-აზნაურული ბანდები და მენშევიკურ-ოფიცრული რაზმების ნაშთები.

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების განტკიცებისათვის დაუყოვნებლივ შეუდგა საადგილმამულო საკითხის რევოლუციურ გადაწყვეტას და ამ მიზნით დაარსებულ იქნა „საადგილმამულო კომიტეტი". სარევოლუციო კომიტეტმა კონტრიბუცია და საშემოსავლო გადასახადი შეაწერა შეძლებულთა კლასს. მიღებულ იქნა ენერგიული ზომები ქ. სოხუმში სურსათის შემოსაზიდად. წარმოებულ იქნა ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ და დაწესებულ იქნა მტკიცე ფასები პურზე. ადგილებზე ყველგან სარევოლუციო კომიტეტებს ირჩევდნენ და ეწყობოდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მუშაობა. ამავე დროს ბრძოლას აწარმოებდნენ ბურჟუაზიულ-შემამულურ-კულაკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელსაც ფარხმალი ჯერ კიდევ არ დაეყარა.



Цѣна 20 коп.

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

СУХУМСКАЯ ПРАВДА

(ежедневная газета)

Органъ Военно-Революціоннаго Комитета Сухумскаго Округа.

№ 2. Среда, 17 Апрѣля 1918 года. №

Да здравствуетъ власть Совѣтовъ Крестьянскихъ и Рабочихъ Депутатовъ!
Да здравствуетъ соціальная революція!
Да здравствуетъ соціализмъ!

ОТЪ РЕДАКЦІИ

Военно-Революціонный Комитетъ
ПОСТАНОВИЛЪ:
взысканіе подоходнаго налога продолжать. За не уплату и неисполненіе— конфискація имущества и продажа его въ торговъ.

В.-Р. Ком.

Сухумъ, 17 апрѣля.

Закавказскій сеймъ.

Изъ отчета мирной делегаціи.

გაზ. „სუხუმსკაია პრავდას" 1919 წლის 17 აპრილის № 2-ის პირველი გვერდი

ქ. სოხუმში გამოვიდა სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ორგანო — ყოველდღიური გაზეთი „სუხუმსკაია პრავდა". რომელმაც სერიოზული როლი ითამაშა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა, ბოლშევიკურ იდეათა პროპაგანდისა და საბჭოთა რუსეთის შესახებ სწორი ინფორმაციის საქმეში. მაგრამ 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში მხოლოდ 42 დღე იარსება.

თავი წამოჭყო შინაურმა კონტრრევოლუციამ, რომელსაც თავის ბაზად კოდორის რაიონი ჰქონდა. აფხაზეთის თავად-აზნაურები, რომლებიც გლეხებმა თავიანთი მამულებიდან გააძევეს, თურქების დესანტს ამზადებდნენ. ჩრდილო-ეთ-კავკასიასა და აფხაზეთის მეზობლად მყოფ ეუბანში თეთრგვარდიელები გაძლიერდნენ.

ამიერ-კავკასიის სეიმმა ქართველი მენშევიკების ინიციატივით აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ჩასახშობად დიდი სამხედრო ძალები დასძრა

ვ. ჯუღელის მეთაურობით. 10 მაისს მენშევიკურმა ჯარებმა შეტევა დაიწყეს ოჩამჩირიდან საბჭოთა სოხუმის წინააღმდეგ. ისინი გზადაგზა კონტრრევოლუციურ ძალებს იერთებდნენ თავად-აზნაურულ-კულაკური რაზმებიდან. სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა მთელ თავის შეიარაღებულ მუშურ-გლეხურ ძალებს თავი მოუყარა პოზიციაზე მდინარე კოდორთან (ქ. სოხუმიდან 22 კმ. მოშორებით).

11 მაისს დაიწყო კოდორის ბრძოლა.

მიუხედავად მოწინააღმდეგის ძალების დიდი სიჭარბისა, რომელსაც რეგულარული ჯარი და ძლიერი არტილერია ჰყავდა, წითელმა რაზმებმა მაინც გაუძლეს ბრძოლას 7 დღის განმავლობაში.

ამხნევებდა რა წითელ მებრძოლებს, სარევოლუციო კომიტეტი თავის მოწოდებაში სწერდა:

„ეს არის კლასობრივი ბრძოლა, და მხოლოდ ბრმები ვერა ხედავენ, რომ, ერთი მხრით, იბრძვიან კალედინისა და კორნილოვის ბანდები, ბურჟუაზიული რადა, ამიერ-კავკასიის თავგზაბნეული თეთრთავადური სეიმი და კულაკები, ხოლო, მეორე მხრით, ამავე გენერლების, კაპიტალისტებისა და სპეკულანტების მიერ ნაგვემ-ნაწამები მრავალმილიონიანი მშრომელი ხალხი. მენშევიკები, რომლებიც ამ რეაქციურ ტალღას მიჰყვებიან, მხოლოდ დანაშაულებრივ თეჯირს წარმოადგენენ რევოლუციის ულმობლად ჩაქრობისათვის გლეხებთან და მუშებთან სასტიკი ანგარიშგასწორებით“...[1]

მიუხედავად განსაკუთრებული გმირობისა და უაღრესად მედგარი წინააღმდეგობისა, წითელი რაზმები იძულებულნი იყვნენ მაინც უკან დაეხიათ კოდორის ფრონტიდან. 17 მაისს დატოვებულ იქნა სოხუმიც.

მაგრამ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აფხაზეთში 1918 წ. მაინც მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდა. მენშევიკებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ აფხაზეთში დამატებით გაგზავნეს ერთი დივიზია, გენ. მაზნიევის მეთაურობით. წითელი რაზმები მედგრად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სანამ არ გაარღვიეს თეთრყაზახური ყუბანი და არ შეუერთდნენ ჩრდილოეთ-კავკასიის წითელ არმიას. საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში 1918 წელს ყველაზე უფრო მეტხანს გალის რაიონში იარსება. მაგრამ შემოდგომაზე მენშევიკებმა იქაც გაიმარჯვეს, რის შედეგადაც აფხაზეთი კვლავ მთლიანად დაუმორჩილდა მენშევიკურ საქართველოს.

მენშევიკებმა აფხაზეთს სიტყვით აღუთქვეს ავტონომია და 1919 წლის 20 მარტს თვით განსაკუთრებული აქტითაც კი გამოაცხადეს იგი; მაგრამ სინამდვილეში აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე არც განუხილავთ და არც დაუმტკიცებიათ. აფხაზეთში უკონტროლოდ განაგებდნენ თარეშსა და ბატონ-პატრონობას მენშევიკების კომისრები და მენშევიკების მიერ დანიშნული მართველები. მენშევიკებმა დახურეს

[1] გაზ. „სუხუმსკაია პრავდა“ № 23. 1918 წლის 16 მაისი.

ერთადერთი გაზეთი აფხაზურ ენაზე — „აპსნი“. უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, არსებობა შესწყვიტეს სოფლის სკოლებმაც.

იქ არსებობდა ნაციონალური საბჭოც, რომლის უმრავლესობაც ბურჟუაზიულ-მემამულური ელემენტებისაგან შესდგებოდა. მაგრამ ეს საბჭო სულს ღაფავდა, რადგან აფხაზეთის მშრომელ მასებში მას არავითარი ნდობა და ავტორიტეტი არა ჰქონდა. მთელი მისი მოღვაწეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ დროგამოშვებით დელეგაციას გზავნიდა ტფილისში, რომ „ნებართვა აეღო საზღვარგარეთ თამბაქოს, კართოფილის, ლობიოს, თხილისა და სხვ. გასატანად“, ანდა გამოეთხოვა უმნიშვნელო დათმობანი შინამართველობის საქმეებში. აფხაზეთში არსებული რეჟიმის შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც აფხაზეთის ნაციონალურ საბჭოს 14 დელეგატის მოხსენებიდან, რომელიც წარუდგინეს მათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას 1919 წლის 29 სექტემბერს.

„...საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, — ვკითხულობთ ამ მოხსენებაში, — აფხაზეთში თავისი მართველობის პირველი დღეებიდანვე მოღვაწეობა იმით დაიწყეს, რომ საბოლოოდ გაექარწყლებინათ ის ძმური ურთიერთობა, რომელიც ძველისძველიდან არსებობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის...

აფხაზეთის ხალხს ჯერჯერობით სხვა არაფერი უნახავს, გარდა დამსჯელი ექსპედიციებისა, ხანძრებისა, გაწკეპლვისა და ქალების გაუპატიურებისა. და რადგან ყველა ეს ძალადობანი საქართველოს მთავრობის სახელით ხდებოდა, აფხაზთა მასებში ისეთი წარმოდგენა შეიქმნა ქართველებზე, როგორც მოძალადეებსა და მჩაგვრელებზე... გენერალმა მაზნიაშვილმა და მისი შტაბის უფროსმა, როგორც მეფის ძველმა ოფიცრებმა, ვერ შესძლეს შეეთვისებინათ რესპუბლიკური წყობილების დემოკრატული სული და მთელი მათი პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ მიემხროთ თავადაზნაურული ელემენტები და ჩამოეშორებინათ აფხაზეთის დემოკრატია. პირველ რიგში მათ მოაწყვეს თავადაზნაურთა რაზმები, რომლებიც შეუდგნენ პირადი ანგარიშების გასწორებას მათთვის საძულველ აფხაზეთის დემოკრატიასთან“[1].

ქვეეით მოხსენებაში ჩამოთვლილია მშრომელ აფხაზებზე მენშევიკური ადმინისტრატორების ძალადატანების, ძარცვა-გლეჯისა და დაცინვის ფაქტების მთელი სერია. მენშევიკებმა, სხვათაშორის, გარეკეს აფხაზეთის მეორე სახალხო საბჭო და დააპატიმრეს მისი წევრები. აფხაზეთის საგანგებო კომისარმა მენშევიკმა ბ. ჩხიკვიშვილმა, გენერალ მაზნიაშვილის მსგავსად, მოაწყო რაზმი სამურზაყანოს თავად-აზნაურებისაგან, გაძარცვა მთელი ჯეგრის მშვიდობიანი მოსახლეობა და სომხური სოფლები და მილიონობით ზარალი მიაყენა მათ.

[1] საარქივო ფონდი, პაპკა „საქართველო და აფხაზეთი“, აფხაზეთის სახალხო საბჭოს 14 დეპუტატის დელეგაციის მოხსენება.

ამავე დროს მენშევიკები აფხაზეთში დიდმპყრობელურ პოლიტიკას აწარმოებდნენ და ცდილობდნენ თავზე მოეხვიათ მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის მისთვის გაუგებარი ქართული ენა, რომლის ხმარებაც მთელ რიგ დაწესებულებებში უკვე საკალდებულო გახადეს.

მიწის საკითხი აფხაზეთში მენშევიკებმა ისე გადასჭრეს, როგორც დაწარჩენ საქართველოში. მემამულეთა მამულები და საუკეთესო მიწები მათ კვლავ ხელში დარჩა. გლეხები კი მიწის ნაკვეთებს საკუთრებად ღებულობდნენ საფონდო მიწებიდან ფასად 500-დან 3000 მანეთამდე დესეტინას.

საადგილმამულო საკითხის ასე გადაჭრის გამო აფხაზეთის უღარიბესი გლეხობა ან სრულიად უმიწაწყლოდ რჩებოდა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სამოწყალო ნადელს ღებულობდა, რაც სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას.

თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთის მშრომელ მოსახლეობას მენშევიკებთან, ეს იქიდან სჩანს, რომ 1920 წლის დასაწყისში, როდესაც საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აგრეთვე საერობო და საქალაქო თვითმართველობების არჩევნები ხდებოდა, მენშევიკები აფხაზეთში წარმოებულ არჩევნებში დამარცხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მიღებული იყო ყოველივე ზომები, თვით მოწინააღმდეგეთა დაპატიმრებამდე. აფხაზეთის მრავალ რაიონში მოსახლეობამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე პირდაპირ უარი განაცხადა.

მიუხედავად სასტიკი დამარცხებისა, უკვე 1918 წლის დეკემბერში სოხუმში ისევ თავი მოიყარეს ბოლშევიკურმა კადრებმა და აქტიურ პარტიულ მუშაკთაგან შეიქმნა ეგრეთწოდებული „ხელმძღვანელი პარტიული კოლექტივი“. მიუხედავად უსახსრობისა და მუშაობის არალეგალური პირობებისა, ორგანიზაციამ მაინც მოახერხა თვალსაჩინო მუშაობა გაეჩაღებინა მშრომელ მასებს შორის და დაერაზმა ისინი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის საბრძოლველად.

1919 წლის მარტში სოხუმში შესდგა ბოლშევიკური პარტიული კონფერენცია, რომელზედაც არჩეულ იქნა რკპ (ბ) სოხუმის დროებითი საოლქო კომიტეტი. იმავე წლის მაისის დამდეგს ოლქში ითვლებოდა 32 ბოლშევიკური უჯრედი და პარტიის 320 წევრი.

1919 წ. ოქტომბერში სოხუმში მოხდა ბოლშევიკების არალეგალური საოლქო კონფერენცია, რომელმაც აირჩია რკპ (ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა. 1920 წლის დამდეგს აფხაზეთის ყველა მაზრაში უკვე დაარსებული იყო სამაზრო და სარაიონო კომიტეტები, ხოლო სოფლებში — კომუჯრედები[1].

ბოლშევიკების მუშაობის მეოხებით ყველაზე პოპულარული ლოზუნგი აფხაზეთის მშრომელ მოსახლეობაში იყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისა-

[1] იხ. სტატია „ო პოლოჟენიი ე აბხაზიი“, ჟურნალი „ეიზნ ნაციონალნოსტეი“ № 28, 1920 წლის 16 სექტემბერი.

თვის, მენშევიკებისა და მემამულეების ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის. ბოლშევიკური ორგანიზაციის უდიდეს ავტორიტეტსა და გავლენას აფხაზეთში საკმაო დამაჯერებლობით მოწმობდა 1919 წელს სოხუმში ჩატარებული 1-ლი მაისის დღესასწაული, რომელმაც დარაზმა მშრომელი მასები. ბოლშევიკები სისტემატურ მუშაობას ეწეოდნენ პროფკავშირებში და პოზიციას პოზიციაზე აცლიდნენ ხელიდან მენშევიკებს. 1919 წლის ივნისის დასაწყისში ბოლშევიკებმა მოახერხეს გაეყვანათ აფხაზეთის პროფკავშირთა ცენტრალურ ბიუროში რამდენიმე კომუნისტი.

ამ გარემოებამ საბაბი მისცა მენშევიკებს გაეჩაღებინათ ახალი კონტრრევოლუციური აგიტაცია ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ და დაენიშნათ ახალი არჩევნები. რათა უზრუნველეყოთ თავისთვის მტკიცე უმრავლესობა პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოში, მენშევიკები, როგორც მმართველი პარტია, არ შეჩერდნენ იმის წინაშე, რომ შეეკოწიწებინათ ახალი კავშირი ქალაქის თვითმართველობის კანცელარიის მოსამსახურეებისა, ეკლესიების დარაჯებისა და ბებია-ქალებისაგან და სხვ.

საარჩევნო კრებებზე გამოდიოდნენ მენშევიკების საუკეთესო ორატორები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ ტფილისიდან ამ მიზნისათვის. მაგრამ შედეგები მათთვის პირდაპირ გამანადგურებელი გამოდგა. პროფკავშირთა ახალ ცენტრალურ ბიუროს პირველ სხდომაზე 18 ბოლშევიკი აღმოჩნდა, მაშინ როცა მენშევიკებისა და ესერების ბლოკს სულ მხოლოდ 7 ადგილი ჰქონდა.

ამის გამო ბოლშევიკების გაზეთი „რაბოჩი“ სწერდა:

„სოხუმის მუშათა პროფესიულმა კავშირებმა შემთანხმებლებს ყველა მათ ცდაზე განედევნათ ბოლშევიკები პროფკავშირებიდან ღირსეული და ნამდვილი პროლეტარული პასუხი გასცეს. დაჩაგრული მუშათა მასების კლასობრივმა ინსტინქტმა უკარნახა სოხუმის მშრომელთ, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია — ეს რევოლუციური მასების ერთადერთი საიმედო წინამძღოლია მათს მასობრივ ომში პარაზიტების, კაპიტალისტებისა და მსოფლიო იმპერიალიზმის მტაცებლების წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, როგორც სოციალიზმის მისაღწევი საიმედო გზისათვის“ [1].

1919 წლის 22 ივნისს სოხუმში შესდგა ყველა პროფკავშირის საერთო კრება, სადაც ირჩევოდა საკითხი დენიკინის წინააღმდეგ რევოლუციური ომისა და ამიერ-კავკასიის მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ. მენშევიკების ორატორები, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები — კ. ნინიძე და ის. რამიშვილი — ცდილობდნენ გადაეცდინათ სოხუმის პროლეტარიატი კლასობრივი პოზიციებიდან და მოეხსნათ საკითხი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამასთან, მენშევიკებმა დიდი სიუხვე გამოიჩინეს ცილისწამებაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ; ისინი უმტკიცებდნენ მუშებს, რომ იქ გამეფებუ-

[1] გაზ. „რაბოჩი“ № 1, 1919 წლის 8 ივლისი.

ლია შიმშილი და ანარქია და პროლეტარული დიქტატურის დღეებიც უკვე დათვლილიაო. მაგრამ კრებაზე გამოსულმა მუშა-ბოლშევიკებმა ღირსეული პასუხი გასცეს მენშევიკებს და მოითხოვეს დაპატიმრებული კომუნისტების განთავისუფლება და ერთიანი ფრონტის შექმნა მთელი ამიერ-კავკასიის მუშებთან ერთად. ბოლშევიკების წინადადება მიღებულ იქნა კრების დიდი უმრავლესობის მიერ.

1920 წელს, საქართველოსა და რსფსრ შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რკპ (ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტის რეორგანიზაცია მოხდა და ამის შემდეგ დაარსდა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტი.

საოლქო კომიტეტი ენერგიულად შეუდგა თავის წევრთა ხელახალ რეგისტრაციას, პარტიული რიგების განმტკიცებას, პარტიული კონფერენციების მოწვევას და ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდას აფხაზეთის მშრომელთა ფართო მასებს შორის. მარტო გუდაუთის რაიონში 1920 წელს ირიცხებოდა 8 ბოლშევიკური სასოფლო კომიტეტი და 14 მებრძოლი რაზმი, რომელიც 500 კაცისაგან შესდგებოდა.

პროფკავშირთა შორის უფრო მიზანშეზომილი მუშაობის ჩასატარებლად პარტიამ მიიღო ზომები, რომ შეექმნა სოხუმში ბოლშევიკური მუშათა ცენტრი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა შემდეგ მშრომელთა დარაზმვისა და გარეკოლუციონერების საქმეში.

აფხაზეთშიაც ისევე, როგორც საქართველოში, ბოლშევიკების წინაშე გაიშალა გაკოტრებულ მენშევიზმზე სრული გამარჯვების ფართო პერსპექტივები.

მაგრამ მენშევიკებმა, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ ეწარმოებინათ იდეური ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ, აშკარად დაარღვიეს რსფსრ-თან დადებული ხელშეკრულება და საშუალება მოუსპეს ბოლშევიკებს, ლეგალური მუშაობა ეწარმოებინათ თვით აფხაზეთშიაც კი. მათ კვლავ მიმართეს რეპრესიებს, ბოლშევიკური ორგანიზაციების დარბევას, გამოჩენილი მუშაკების დაპატიმრებას და სხვ... ასე, მაგალითად, 1920 წლის 22 ივნისს სოხუმში დაპატიმრებულ იქნენ საქართველოს კ.პ. (ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრები.

მაგრამ ამ ზომებს უკვე აღარ შეეძლო შეეჩერებინა ბოლშევიზმის ზრდა და მენშევიკური დიქტატურის დაღუპვის აუცილებლობა. როდესაც 1921 წლის თებერვალში საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, იარაღი აიღეს მენშევიკური ხელისუფლებისა და ინგლისსაფრანგეთის ინტერვენტების წინააღმდეგ, მაშინ აჯანყება აფხაზეთშიაც დაიწყო.

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთის სარევოლუციო კომიტეტმა რადიოთი აცნობა ლენინსა და სტალინს:

„მშრომელთა სურვილით იშვა ახალი სოციალისტური საბჭოთა

რესპუბლიკა — აფხაზეთი. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველმა ყრილობამ საბოლოოდ გადასწყვიტა ხალხის ბედიღბალი. პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა თვალსაჩინო მაგალითია წითელი არმიის დიდი განმათავისუფლებელი როლისა და ის .იმ ახალ სილას წარმოადგენს, რომელიც გააწნა დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მცირე ხალხთა მჩაგვრელებს — ყველა ქვეყნის იმპერიალისტებსა და მათ ლაქიებს — სოციალგამყიდველებს. ახალგაზრდა საბჭოთა აფხაზეთის სახელით მხურვალე სალამს ეუძღვნი მუშათა და გლეხთა დიად ქვეყანას — საბჭოთა რუსეთს და ყველა საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენ იმედი გვაქვს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძმური დახმარებისა და გამოვთქვამთ რწმენას, რომ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, მათთან კავშირში, ღირსეულად დაიცავს რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართ და დაეხმარება სოციალური რევოლუციის საქმეს მთელს მსოფლიოში".

III.

აჭარის ბედი ცოტა სხვანაირად მოეწყო, ვიდრე აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის ბედიღბალი. მენშევიკები აქ სრული ბატონები შეიქნენ მხოლოდ 1920 წლის მეორე ნახევრიდან. ამ დრომდე კი აჭარამ მცირეოდენი ხნით ჯერ თურქების ოკუპაცია, ხოლო შემდეგ ინგლისელების ინტერვენცია განიცადა.

როცა საქართველომ თურქეთთან ომი წააგო და მათ შორის 1918 წლის 4 ივნისს „მშვიდობიანობისა და მეგობრობის" ხელშეკრულება დაიდო, აჭარა ოსმალეთის ხელში გადავიდა. საქართველოსა და ოსმალეთს შორის საზღვარი მდინარე ჩოლოქთან დაიდო. ბათომში თურქეთის ჯარები ჯერ კიდევ 1918 წლის 1 აპრილს შევიდნენ.

ამიერ-კავკასიიდან თურქებისა და გერმანელების წასვლის შემდეგ (1918 წლის შემოდგომაზე, გერმანიაში მომხდარი ნოემბრის რევოლუციის შედეგად), აჭარის ოკუპაცია ინგლისის ჯარებმა მოახდინეს. ინგლისის პირველი სამხედრო გემები ბათომში 1918 წლის 15 დეკემბერს მოვიდნენ.

ინგლისელებმა აჭარაში სასტიკი კოლონიალური რეჟიმი დაამყარეს. გენერალ-გუბერნატორად აქ გენერალი კუკ-კოლოსი დაინიშნა. აჭარის მართვისათვის დაარსდა ბათომის ოლქის მართველი საბჭო, რომელიც შესდგებოდა მთლიანად რეაქციონერებისაგან, კადეტ მასლოვის მეთაურობით. მაგრამ ფაქტიურად მთელი მართველობა ინგლისის საოკუპაციო მხედრობის ხელში იყო. ბათომი დენიკინელი ოფიცრებითა და საბჭოთა რუსეთის საზღვრებიდან გამოყრილი კონტრრევოლუციური ელემენტებით გაივსო. ბათომი გადაიქცა ბოხალისეთა არმიის ზურგის მნიშვნელოვან ბაზად, რომელიც 1920 წელს ეურანგელს მერმრებს, ნავთსა და სხვა პროდუქტებს აწვდიდა.

ინგლისელები აქედანვე აწარმოებდნენ ბრძოლას საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

ბათომში გაჩაღდა გააფთრებული სპეკულაცია. კაპიტალისტური ევროპა ცდილობდა ბათომის პორტის საშუალებით გაესაღებინა ამიერ-კავკასიასა და ირანში თავისი ძველი საქონელი.

ინგლისელები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ნავთით ვაჭრობის მონოპოლია. ისინი კარგად გრძნობდნენ ბათომის მნიშვნელობას, როგორც პორტისა, საიდანაც ბაქოს ნავთი მსოფლიო ბაზარზე გადიოდა.

წიგნის — „იმპერიალიზმ ნეფტის" — ავტორი ლუი ფიშერი, უკეთებს ანალიზს ინგლისის ოკუპაციის მიზნებს საქართველოში, სწერს:

> „ინგლისელების ინტერესი საქართველოსადმი შემთხვევითი მოვლენა როდია. საქართველოზე გადის ბაქოს ნავთსადენი. საქართველო კავკასიის გასაღებია და იგი ბატონობს ევროპიდან აზიაში მიმავალ გზაზე. ბაქოდან გასატანმა ნავთმა საქართველო ტრანზიტით უნდა განვლოს" [1].

1919 წლის განმავლობაში ინგლისელებმა მოახერხეს 337,5 ათასი ტონა ნავთის პროდუქტის გატანა ბათომზე გატარებით.

მაგრამ საქართველოსა და ბათომის მნიშვნელობა მარტო იმით როდი ამოიწურებოდა, რომ ბაქოს ნავთს მათს ტერიტორიაზე უნდა გაევლო. ინგლისელების გეგმები გაცილებით უფრო ფართო იყო. იგივე ლუი ფიშერი სწერს:

> „ერთადერთ კომერციულად შესაძლებელ გზას ჩრდილოეთ-ირანის ნავთის საბადოებსა და გარე ქვეყნებს შორის წარმოადგენს ბაქო-ბათომ-დარდანელის გზა. კიდეც რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნავთსადენის გაყვანა სპარსეთის ყურემდე, ნავთის ზღვით გადაზიდვა ბუშირიდან ან სპარსეთის სხვა რომელიმე ნავთსადგურიდან ევროპაში მაინც ბევრჯერ უფრო შორეული აღმოჩნდებოდა, ვიდრე შავიზღვით გადაზიდვა. მეტად მაღალი ფრახტები აუცილებლად საზარალოდ გახდიდნენ წარმოებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩრდილოეთ-სპარსეთის სარეწაოებისათვის საჭირო მოწყობილობის იმპორტიც და ნავთის ექსპორტიც მხოლოდ კავკასიით უნდა ხდებოდეს... ხოლო საბჭოთა პორტი — ბათომი ბუნებრივი პუნქტია, საიდანაც სპარსეთის ნავთი მსოფლიო ბაზარზე უნდა განაწილდეს" [2].

„განათლებულმა" და „ჰუმანურმა" ინგლისელებმა, რომელთაც 1918 წლის აგვისტოში ესერულ-დაშნაკურ-მენშევიკური ბლოკის დახმარებით ბაქოს კომუნა გაანადგურეს და კასპიის იქითა მხარეში მხეცურად დახვრიტეს ბაქოს 26 კომისარი. მენშევიკების დახმარებით აჯარაშიაც დაუნდობელი ბრძოლა გაიჩაღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც კანონს გარეშე იყვნენ

---

[1] ლ ფ ი. ფ ი შ ე რ ი, „იმპერიალიზმ ნეფტი". გვ. 28.

[2] იქვე, გვ. 150.

გამოცხადებულნი. მიუხედავად ამისა, მუშათა მოძრაობა აჭარაში მაინც წინ მიდიოდა.

ბათომის პროლეტარიატს თავისი სახელოვანი რევოლუციური წარსული ჰქონდა. XX საუკუნის დასაწყისში ქალ. ბათომი უდიდესი სამრეწველო ცენტრის სახეს იღებდა ამიერ-კავკასიაში. რადგან ბათომს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე საუკეთესო პორტი მოეპოვებოდა. რომელიც შეერთებული იყო ბაქოსთან რკინიგზის ლიანდაგით, იგი ძლიერ შალე ნავთის მეფეების: როტშილდის, ნობელის, მანთაშევისა და სხვების სამრეწველო საწარმოთა ცენტრად გადაიქცა. ბათომის სწრაფადმოზარდი მრეწველობისათვის საჭირო მუშები მეზობლად მდებარე გურიასა და სამეგრელოში იკრიბებოდა. მუშათა შორის მრავლად იყვნენ აგრეთვე სომხებიც. ბერძნებიც. რუსებიც, თურქებიცა და სხვ. XX საუკუნის დასაწყისში ბათომში სამრეწველო პროლეტარიატი 5 ათას კაცს აღწევდა. ეს მრავალერიანი პროლეტარიატი უაღრესად ველურ, ბარბაროსულ ექსპლოატაციას განიცდიდა. ქარხნებში გამეფებული იყო 16 — 18-საათიანი სამუშაო დღე, უაღრესად დაბალი ხელფასი და მუშტი-კრივი. განსაკუთრებით ფართო და საზიზღარი ხასიათი მიიღო მუშათა დაჯარიმების სისტემამ (მარტო როტშილდის ქარხანაში ჯარიმის ფული ამ დროისათვის 600 ათას მანეთამდე დაგროვდა).

მუშები ქარხნებში სახიჩრდებოდნენ, ჯანმრთელობას ჰკარგავდნენ; უმეტესობა დაავადებული იყო ჭლექითა და მალარიით. მათი საბინაო პირობები საშინელი იყო.

> „ძნელია ასე ცხოვრება, — სწერდა გაზ. „ისკრაში“ (1902 წ. № 16) მუშა-კორესპონდენტი, — და ძალაუნებურად იბადება კითხვა — რისთვის ვიტანჯებით? ჩვენი ცხოვრება მოკლებულია ყოველგვარ სიხარულს, ის მხოლოდ სამარისაკენ მიგვაქანებს. განა უმჯობესი არ იქნება დავიხოცოთ არა დაზგებთან და არა მონებად, არამედ ბრძოლაში თავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის!“

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკვე 90-იანი წლებიდან საშინელი ექსპლოატაციით ვანაწამები ბათომის მუშები სტიქიურად ჩაებნენ ბრძოლაში. მაგრამ იმ ხანებში მუშებს არავითარი ორგანიზაცია არ გააჩნდათ. მუშათა გამოსვლებს მაშინ დაურაზმავი, სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

მუშების ასეთ გამოსვლებს სულ ადვილად ამარცხებდა კაპიტალისტების წინააღმდეგობა, რომელთაც სამხედრო-პოლიტიკური და სასამართლო აპარატი მუდამ სამსახურს უწევდა.

გარდატეხა ბათომის მუშათა მოძრაობაში მხოლოდ XX საუკუნის მიჯნაზე მოხდა, რაც დაკავშირებული იყო მუშათა მასობრივი მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებასთან მთელს ამიერკავკასიაში.

ამ მოძრაობამ აშკარად გამოხატული პოლიტიკური ხასიათი მიიღო, რაც პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ზრდას მოწმობდა. მას ხელ-

მძღვანელობდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომლის ფუძემდებელიც ამიერ-კავკასიაში დიდი სტალინი იყო.

„ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა, — ამბობდა ამის შესახებ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხ. ბერია საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე, — მ თ ე ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა და ა მ ი ერ - კ ა ვ კ ა ს ი ა ში მ ი ს ი ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი დ ღ ი დ ა ნ ვ ე მ ჭ ი დ რ ო დ ა რ ი ს დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მ უ შ ა ო ბ ა ს ა დ ა ს ა ხ ე ლ თ ა ნ“[1].

რსდმპ თბილისის ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტის დადგენილებით, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამხანაგი სტალინი იყო. ამხანაგი სტალინი 1901 წელს მიემგზავრება პარტიულ სამუშაოზე ბათომში. ამხანაგი სტალინი ბათომში ჩავიდა ამავე წლის ნოემბრის დამლევს. ამ ხნიდან ბათომის მუშათა მოძრაობაში გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა პარტიულ ორგანიზაციას. ამხანაგ სტალინისა და მის მიერ შექმნილი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშათა წინააღმდეგობა კაპიტალისადმი იწყებს შეგნებულ პოლიტიკურ ბრძოლაში გადაზრდას.

დაბინავდა რა ქ. ბათომის მუშათა რაიონში, ამხანაგმა სტალინმა მომარქსისტო ინტელიგენტებისათვის ანგარიშგაუწეველად სწრაფად დაამყარა უშუალო კავშირი მოწინავე მუშურ ელემენტებთან და პარტიულ მუშაობაში ჩააბა საუკეთესო, ყველაზე საიმედო და რევოლუციის საქმისადმი ერთგული მუშები. ამხანაგმა სტალინმა მოახერხა დაეარსებინა ბათომის მსხვილ საწარმოებში მუშათა სოციალდემოკრატიული წრეები.

ამხანაგი სტალინი უკან არ იხევდა არავითარი სიძნელისა და საშიშროების წინაშე, იგი აწყობდა და უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა სოციალდემოკრატიულ წრეებს და აწარმოებდა არა მარტო პროპაგანდისტულ მუშაობას, არამედ ასწავლიდა აგრეთვე მუშებს საორგანიზაციო ხერხებს და კონსპირატიული მუშაობის ტექნიკას. ამხანაგი სტალინი ცდილობდა თვითეული მუშიდან — სოციალდემოკრატიული წრის წევრებიდან — აღეზარდა კომუნიზმის საქმისათვის უაღრესად თავდადებული მებრძოლი, რომელიც მზად იქნებოდა შეურიგებელი ბრძოლა ეწარმოებინა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობაში წითელი ზოლით არის გატარებული ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ამხანაგი სტალინი ქართველი „ლეგალური მარქსისტების“, ოპორტუნისტების — ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის, კ. ჩხეიძისა და სხვ. წინააღმდეგ, რომელთაც მუშათა „აღზრდის“ საქმეში სურდათ ბურჟუაზიული განმანათლებლობით დაკმაყოფილებულიყვნენ და მარქ-

[1] ლ. ბ ე რ ი ა, „საანგარიშო მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე“, გვ. 125.

ი. ბ. სტალინი (1902 წ.)

სიზმის იდეების „მშვიდობიან“, ლეგალურ ოპორტუნისტულ პროპაგანდაზე შორს არ მიდიოდნენ.

„რამდენიმე წლის განმავლობაში, — მოგვითხრობს ამხ. თოდრია, — ეკითხულობდი ჟურნალ „კვალს“, დაახლოებით წელიწადნახევარს დავდიოდი „მესამედასელთა“ მიერ მოწყობილ საკვირაო სკოლაში და ვუსმენდი იქ რამიშვილსა და ჩხეიძეს.

რას გვასწავლიდნენ ისინი? ისინი გვასწავლიდნენ. თუ როგორ მოძრაობენ ვარსკვლავები, მთვარე, მზე, მიწა, მაგრამ არასოდეს არაფერი არ უთქვამთ ჩვენთვის იმაზე, თუ, მაინც, როგორ მიდის წინ რევოლუციური მუშათა კლასი. ამის მოსმენა მე მათგან ვერ შევძელი, ვერ შევძელი ამის ამოკითხვა მათთან რამდენიმე წლის ურთიერთობის განმავლობაში.

მაგრამ გაჩნდა სტალინი.

მან მეც მნახა ისევე, როგორც სხვა მუშები, თავი მოგვიყარა არალეგალურად პატარა წრეში და ამ წრის ორ-სამ კრებაზე თვალები უკვე ამიხილა — მაშინ შედარებით ჯერ კიდევ შეუგნებელ მუშას — და დამანახა, თუ როგორ მიმდინარეობს პროლეტარული რევოლუციური ბრძოლა.

ერთხელ ამხანაგი სტალინი მეკითხება: „რას გასწავლიან საკვირაო სკოლაში?“ და როდესაც მე მივუგე, რომ იქ გვასწავლიან, თუ როგორ მოძრაობს მზე, მან ღიმილით სთქვა:

„გამიგონე! მზე, ნუ გეშინია, გზას არ ასცდება, ხოლო შენ ის ისწავლე, თუ როგორ უნდა მიდიოდეს წინ რევოლუციური საქმე, და მომიწყვე მე პატარა არალეგალური სტამბა“ [1].

ბათომში ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით და საჭირო კონსპირაციის დაცვით ჩატარდა მუშათა მთელი რიგი მასობრივი კრებები. ამხანაგმა სტალინმა ბათომში მოაწყო პირველი არალეგალური სტამბა, სადაც პროკლამაციები და ფურცლები იბეჭდებოდა.

1901 წლის 31 დეკემბერს ქ. ბათომში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით (მუშა სილიბისტრო ლომჯარიას სახლში) შესდგა სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კრება. ბათომის ძველი მუშები ასე მოგვითხრობენ ამ კრების შესახებ:

„... მაგიდას შემოვუსხედით, ამხანაგმა სტალინმა მოგვაგონა, რომ ჩვენ სერიოზული საქმისათვის შევიკრიბენით. უაღრესი სიმარტივით აგვიხსნა მან ამ კრების მიზანი. არასოდეს, არასოდეს არ დაგვავიწყდებაᲗ ეს სიტყვები, ეს ხმა; არასოდეს, არასოდეს არ დაგვავიწყდება ეს ამაღელვებელი ღამე, 1901 წლის უკანასკნელი ღამე.

იგი გვეუბნებოდა: მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ, აი აქ დგანან

---

[1] „დიდი ბელადი და მასწავლებელი“ — ძველი მუშების ნაამბობი ამხანაგ სტალინის ბუშაობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. გვ. 7, „ზარია ვასტოკას“ გამოცემა. 1936 წ.

ქარხნები, ფაბრიკები, სახელოსნოები, გემები... ვინ შეჰქმნა ყოველივე ეს? ვინ ააგო ყოველივე ეს? ვის მოჰყავს მოძრაობაში ყოველივე ეს? ეს შეჰქმნეს მუშებმა, ეს ააშენეს მუშებმა, ეს მოძრაობაში მოჰყავთ მუშებს თავისი საკუთარი ხელით, თავისი კუნთებით, თავისი ოფლით, ხოლო ვის ეკუთვნის ყოველივე ეს? ვინ სარგებლობს ყოველივე ამით? ყოველივე ეს ეკუთვნის და ყოველივე ამით სარგებლობს სხვა. მისი სახელია თვითმპყრობელობა. მისი სახელია — კაპიტალიზმი, მისი სახელია — მემამულე. მისი სახელია ხუცესი.....

... შემდეგ იგი გვეუბნებოდა, რომ მუშას თავის მტრებთან — თვითმპყრობელობასთან, კაპიტალისტებთან, მემამულეებთან ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა აქვს. ეს გზაა — მტკიცე, მებრძოლი, შემჭიდროებული, დისციპლინირებული მუშათა პარტიის შექმნა. იგი ლაპარაკობდა ასეთი ორგანიზაციის წევრთათვის აუცილებელ თვისებებზე, მუშათა კლასის იდეებისადმი, ბრძოლისადმი, მისი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებაზე, ასეთი ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე, არალეგალური მდგომარეობის სუსხიან პირობებზე...

.... აი, ამხანაგი სტალინი მიმართავს სილიბისტრო ლომჯარიას. ყურადღებით ვისმენთ მასწავლებლის სიტყვებს, ვინაიდან ისინი მარტო სილიბისტროსათვის კი არ არის მნიშვნელოვანი: „თქვენ, სილიბისტრო, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — უკვე ერთი საფეხურით აიწიეთ თქვენს სამსახურებრივ კიბეზე, ქარხნის ადმინისტრაციამ შავი მუშიდან ნოქრად გადაგიყვანათ. ადმინისტრაციამ თქვენ თავი მოგიქონათ; იცოდეთ, სილიბისტრო, თავის მოქონვით არ მოლბეთ და დამთმობი არ გახდეთ. ეს გზა მოლიპული გზაა. აი ასე შოულობენ ფაბრიკანტები თავიანთთვის ერთგულ მსახურთ. აი ასე ამზადებენ ისინი შტრეიკბრეხერებს, მუშათა კლასის გამცემლებს“.

ყველამ დავლიეთ სილიბისტროს სადღეგრძელო, ვუსურვეთ მას სიმტკიცე, მუშათა კლასის საქმის ერთგულება და მტკიცეთ დავიხსომეთ სტალინის ეს ბრძნული სადღეგრძელო.

სილიბისტრომ ამხანაგ სტალინს უპასუხა სადღეგრძელოთი, რომელშიაც გამოთქმული იყო ჩვენი საერთო მხურვალე სიყვარული ჩვენი მასწავლებლისადმი.

სილიბისტრომ სთქვა: „შენ პირველი ჩირაღდანი ხარ ბათომის მუშებისათვის, გისურვებთ ასევე ნათლად გაუშუქო გზა მუშათა კლასს მრავალი, მრავალი წლების განმავლობაში“.

ფანჯრებში უკვე შემოანათა 1902 წლის პირველი დღის მახარობელმა — განთიადის ალისფერმა ზოლმა.

— უკვე თენდება, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — დროა, დავიშალოთ. მალე მზეც ამოვა, გაივლის წლები და ეს მზე გაანათებს ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და შვილისშვილებისათვის, ვუსურვებ ყველა

ჩვენგანს, რათა მალე შეგვძლებოდეს შევიკრიბოთ უკვე არა მალულად, ვიწრო ოთახებში, არამედ თავისუფლად, ვრცელ მინდორზე, თავისუფალ ჰაერზე...“ [1].

ამ კრებამ გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ეს ჯგუფი რსდმპ ბათომის კომიტეტის როლს ასრულებდა. 1902 წელს ჩამოყალიბდა რსდმპ ბათომის კომიტეტი. ამ კომიტეტთან დაარსდა სოფლის მუშათა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გურიაში გლეხთა მოძრაობას ხელმძღვანელობდა.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ცალკეული ქარხნებისა და საწარმოების მუშებმა პირველად იწყეს გამოსვლა თავიანთი კლასობრივი მოთხოვნებით მეწარმეებისადმი და მტკიცედ და ორგანიზებულად იცავდნენ ამ მოთხოვნებს.

1902 წლის იანვარში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა ბათომის მუშათა პირველი დიდი გაფიცვა მანთაშევის ქარხანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში პოლიცია ჩაერია, რომელმაც 112 მუშა დააპატიმრა და ბევრი მათგანი სოფლებში გადაასახლა, მუშებმა მაინც მოახერხეს დიდი გამარჯვება მოეპოვებინათ. მუშათა მოთხოვნები—დაპატიმრებულთა განთავისუფლება, დათხოვნილი მუშების სამუშაოზე დაბრუნება, ქარხნის მართველისა და რამდენიმე ბოროტი ნოქრის სამუშაოდან მოხსნა, სასადილო დროის გადიდება და მთელი ხელფასის მიღება — გაფიცვის დროს სავსებით დაკმაყოფილებულ იქნა.

ამ გაფიცვამ ცხადლივ დაანახვა ბათომის პროლეტარიატს, რომ ერთიანი ხელმძღვანელობით და დარაზმული ბრძოლით მუშებს შეუძლიათ სერიოზული გამარჯვება მოიპოვონ.

ამ დროს ბათომში დიდი ამბები მზადდებოდა. 1902 წლის 11 მარტს (26 თებერვალს) როტშილდის ქარხნის ადმინისტრაციამ განცხადება გამოაკრა, რომ, წარმოების შემოკლების გამო, 25 (12) მარტიდან დათხოვნილი იქნება 389 მუშაო. ამასთან, დასათხოვ მუშათა სიაში ადმინისტრაციამ ყველაზე შეგნებული ძველი მუშები მოაქცია, რათა მუშათა მასისათვის მოეშორებინა ხელმძღვანელები იმ რევოლუციურ ბრძოლაში, რომელიც მაშინ ბათომში ძლიერდებოდა.

გაიგეს თუ არა ეს. მუშებმა, რომელთაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, გადასწყვიტეს გამოეცხადებინათ გაფიცვა და მოითხოვეს იმის გარანტია, რომ წარმოებიდან არც ერთი მუშა არ დაეთხოვნათ.

ამასთან, მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი თანაბრად გაინაწილებენ ყოველგვარ გასაჭირს, „რომ ქარხანამ, თუ სამუშაო ყველას არ ყოფნის, დააწესოს მორიგი ცელა, ისე, რომ ისინი, ვინც სამუშაოზე იქნებიან, იღებდნენ

[1] გაზ. „პრავდა“ №, 1937 წ.

სრულ ხელფასს. ხოლო რიგს გარეშე მყოფი მუშები, რომლებიც უმუშევრად დარჩებიან, იღებდნენ ამ ხელფასის ნახევარს".

ამ განცხადების საპასუხოდ პოლიციამ, ქუთაისიდან ჩამოსული სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, 20 (7) მარტს ღამით დააპატიმრა 32 ყველაზე აქტიური მუშა. ხელისუფლების ასეთმა თვითნებობამ არა თუ ვერ შეაშინა მუშები, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერა მათში გამბედაობა იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად. 21 (8) მარტს როტშილდის ქარხნის მუშები მივიდნენ ციხესთან, სადაც დაპატიმრებული ამხანაგები ისხდნენ და მოითხოვეს მათი განთავისუფლება.

პოლიციამ ალყა შემოარტყა მუშებს და დემონსტრანტების ერთი ნაწილი შერეკა გადასაგზავნი ყაზარმების ეზოში, სადაც დააპატიმრა 348 კაცი. ამავე დღეს, საღამოთი, სოციალდემოკრატიულმა ჯგუფმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, გადასწყვიტა მოეწყო მეორე დღეს საყოველთაო დემონსტრაცია და იძულებული გაეხადნა პოლიცია გაენთავისუფლებინა დაპატიმრებულნი.

მართლაც, 1902 წლის 22 (9) მარტს მუშაობა შესწყვიტა ბათომის ყველა ქარხანამ და ფაბრიკამ და მრავალათასიანი მუშათა დემონსტრაცია მწყობრად, ორგანიზებულად და სიმღერებით დაიძრა ციხისაკენ.

დემონსტრანტების საწინააღმდეგოდ ხელისუფლებამ მთელი თავისი ძალები დარაზმა.

აღმავალი მუშათა მოძრაობის შესაფერხებლად და რევოლუციური ორგანიზაციების რიგებში არევდარევის შესატანად თვითმპყრობელობის ლაქიებმა გადასწყვიტეს სისხლში ჩაეხშოთ დემონსტრაცია. მეფის ჯალათმა კაპიტანმა ანთაძემ, რომელსაც უმაღლესი ხელისუფლებისაგან სათანადო დირექტივა ჰქონდა, უბრძანა კავკასიის მე-7 მსროლელი ათასეულის ასეულ ჯარისკაცს გაუფრთხილებლად დაეშინათ ტყვიები მუშათა მასებისათვის. ამ დემონსტრაციის შემდეგ მოკლული აღმოჩნდა 14 კაცი, ხოლო დაჭრილი მრავალი.

მუშათა დემონსტრაციის მხეცური დახვრეტის დროს ამხანაგი სტალინი განუშორებლად მუშებთან იმყოფებოდა; ხოლო დახვრეტის შემდეგ, მიუხედავად დაპატიმრების საფრთხისა, მან თავის ბინაზე წაიყვანა მის გვერდით დაჭრილი მუშა.

22 (9) მარტის მსხვერპლთა დაკრძალვამ გრანდიოზული პოლიტიკური დემონტრაციის ხასიათი მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ყოველხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა ამისათვის.

ამხანაგმა სტალინმა დასწერა პროკლამაცია, რომელიც 22 (9) მარტს ბათომში მომხდარ სისხლის ღვრას ეხებოდა. ეს პროკლამაცია ბლომად დაიბეჭდა და გავრცელებულ იქნა ბათომის მუშებს შორის, რომლებმაც შემდეგ ივი მთელს დასავლეთ საქართველოში გაავრცელეს.

1902 წელს ბათომში მომხდარი ამბები ამიერ-კავკასიაში აღმავალი რევოლუციური ქარიშხლის დასაწყისი და წინამაუწყებელი იყო. ამ ამბებს იმ-

დროინდელი მთელი რევოლუციური პრესა გამოეხმაურა. დემონსტრაციის მწეცურმა დახვრეტამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მუშებს, რომ მათი ,ყველაზე უფრო ძლიერი მტერი—ეს თვითმპყრობელობაა. რომელმაც მუშები დახვრიტა.

„თავისუფლებისათვის წამებულ მებრძოლთა 14 საფლავი მჭევრმეტყველურად ეუბნება ბათომის მუშებს, ვისთან უნდა ჰქონდეთ მათ საქმე; ეს საფლავები დესპოტური მთავრობის სიძულვილის მუდმივი საწინდარია. ამის შემდეგ ეკონომიური აგიტაცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთბაშად გადადის პოლიტიკურ აგიტაციაში“[1].

22 (9) მარტს მომხდარი დახვრეტის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა კიდევ უფრო გააძლიერა ზრუნვა პარტიული მუშაობისა. სოციალიზმის იდეის პროპაგანდისა, პროლეტარული მასების მომზადების განმტკიცებისა და გადამწყვეტი შეტევის წარმოებისათვის თავისი ,ულასობრივი მტრების წინააღმდეგ. ბათომის სისხლიანი დღეები და მუშების მწეცური დახვრეტა ერთერთი ძლიერი ბიძგი იყო გლეხთა მასობრივი მოძრაობისათვის დასავლეთ საქართველოში, რომელიც აქ 1902 წელს დაიწყო.

ამხანაგი სტალინის მითითებათა შესასრულებლად ბათომიდან სოფლად გაგზავნილმა მუშებმა მაშინ ფართო აგიტაცია გაშალეს.

1902 წლის მარტის ამბების შემდეგ პოლიციამ რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიერა და მუშების მასობრივი დაპატიმრება მოახდინა.

1902 წ. 18 (5) აპრილს ბათომის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომაზე დააპატიმრეს და ბათომის საპყრობილეში ჩასვეს ამხანაგი სტალინი. მაგრამ ის ციხიდანაც განაგრძობდა პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობას.

ბრწყინვალედ აშუქებს რა ამხანაგი სტალინის მუშაობას ბათომში, ამხ. ლ. ბერია სწერს:

„ამგვარად, ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოაწყო ამხანაგმა სტალინმა და მან პირველმა აამხედრა ბათომის მუშები რევოლუციური ბრძოლისათვის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამხანაგმა სტალინმა ბათომის მოწინავე მუშებთან ერთად შესძლო ბათომის მუშათა ფართო მასები ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში“[2].

ამიტომ მუშათა მოძრაობა ბათომში, მიუხედავად რეპრესიებისა, არა თუ არ მცირდებოდა, არამედ, პირიქით, თვით ოფიციალური ანგარიშების მიხედვითაც კი, ის კიდევ უფრო იზრდებოდა.

---

[1] „ბათომის კომიტეტის მოხსენებიდან რსდმპ II ყრილობაზე“.

[2] ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 41.



მუშის სიმართლე

№ 1. | ნულინაული პირველი | ორშაბათი, 22 იანვარი 1918 წ | ფასი 25 კაპ. | № 1.

ამხანაგებო

მუშებო, გლეხებო და ჯარის კაცებო!

ბაზ. „მუშის სიმართლის" 1918 წლის 22 იანვრის № 1-ის პირველი გვერდი

რევოლუციურმა ბრძოლამ ბათომის პროლეტრიატისა. რომელიც გლეხთა მოძრაობას მეთაურობდა მთელს დასავლეთ საქართველოსა და აჭარაში. უდიდეს აღმავლობას 1905 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში მიაღწია.

კონტრრევოლუციის გამარჯვება 1905 წლის შემდეგ ძვირად დაუჯდა ბათომის პროლეტარიატს და აჭარის რევოლუციურ გლეხობას. მუშები და მათი ხელმძღვანელი ბოლშევიკური ორგანიზაციები გადასახლებას და სასტიკ რეპრესიებს განიცდიდნენ. ამიტომ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის ბოლშევიკური რიგები ბათომში საგრძნობლად შეთხელებული იყო.

მაგრამ 1917 წლის შემოდგომისათვის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ აქ უკვე მტკიცე ავტორიტეტი მოიპოვა მუშათა მასებში. ბათომში გამოვიდა შემდეგი ბოლშევიკური გაზეთები: „ბურეევესტნიკ" (რუსულ ენაზე), „მუშის სიმართლე" (ქართულ ენაზე), „ცისკარი" (ბერძნულ ენაზე) და „მუშა და ჯარისკაცი" (სომხურ ენაზე). პარტიული უჯრედები ამ დროს მოწყობილი ჰქონდათ მელითონეებს, მბეჟდავებს, თამბაქოს მრეწველობის მუშებს, გემო-კვების მუშებს, რკინიგზელებს, სამხედრო ნაწილებს და სხვ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცნობას ბათომის პროლეტარიატი აღტაცებით შეხვდა. რსდმპ (ბ) ბათომის კომიტეტის დადგენილებით 1917 წლის ნოემბერში დაარსდა სარევოლუციო კომიტეტი, ბოლშევიკური კომიტეტის სამი წარმომადგენლისა, გარნიზონისა და სამხედრო-საზღვაო კო-

მიტეტის თითო წარმომადგენლის შემადგენლობით. სარევოლუციო კომიტეტი წარმოადგენდა ორგანიზაციის სამხედრო სექციას. დაახლოებით ამავე დროს ბათომის კომიტეტმა მუშათა და გურულ გლეხთაგან შეადგინა წითელი გვარდიის ბოლშევიკური რაზმი.

ამ რაზმმა შემდეგში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სერიოზული როლი ითამაშა მენშევიკებისა და ოფიცრული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და აგრეთვე ნავთსადგურის ტერიტორიის დაცვისა და ტრაპიზონის ფრონტიდან არმიის დემობილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში.

ბოლშევიკური განწყობილება გაბატონებას იწყებს ამ დროს ტრაპიზონის ფრონტზე მყოფ არმიაშიაც. საბჭოს გადარჩევის დროს 1917 წლის დეკემბერში პრეზიდიუმში მხოლოდ ბოლშევიკები გავიდნენ. ფრონტზე ჩამოყალიბდა სახალხო კომისართა საბჭოს სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი.

ფრონტზე გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი „ტრაპეზუნდსკაია პრავდა". სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი თავის მუშაობაში მჭიდროდ დაუკავშირდა ბათომის ბოლშევიკურ კომიტეტს. კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციასთან და თურქეთიდან ჯარების წამოსვლასთან დაკავშირებით ბათომის ბოლშევიკების წინაშე წამოიჭრა განსაკუთრებული მძიმე ამოცანა — მოეხდინათ არმიის დემობილიზაციის ჩატარება და იმ უამრავი სამხედრო ქონების გადარჩენა და საბჭოთა რუსეთში გადაგზავნა, რომელიც ამ ფრონტზე იყო. ძველი არმიის შემადგენლობიდან კომიტეტი არჩევდა საიმედო პირებს და გზავნიდა მათ ჩრდილოეთ-კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ბათომის ბოლშევიკურმა კომიტეტმა მოიწვია საოლქო პარტკონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციების უმრავლესობაც. ამ პარტკონფერენციის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ კიდევ უფრო განემტკიცებინა პარტიული მუშაობა და მოემზადებინა შეიარაღებული აჯანყება.

1918 წლის აპრილში ბათომის ბოლშევიკებმა უშუალო დახმარება აღმოუჩინეს იარაღითა და მებრძოლი ძალებით აფხაზეთის მუშებსა და უღარიბეს გლეხებს, რომელთაც მენშევიკების კონტრრევოლუციური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყება მოახდინეს და 1918 წლის 19 (6) აპრილს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აფხაზეთში მაშინ ტყვიისმფრქვევების, თოფებისა და ვაზნების სპეციალური ტრანსპორტი გაიგზავნა. ბოლშევიკური ორგანიზაციების გაელენა და ავტორიტეტი აჭარაში მეტად დიდი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად ჯერ თურქებისა და შემდეგ ინგლისელების საოკუპაციო რეჟიმის დამყარებისა და ბოლშევიკების კანონს გარეშე გამოცხადებისა, პარტიის გაელენა აჭარის მუშებსა და მშრომელ მასებს შორის არა თუ არ შესუსტდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა.

პროფკავშირთა გამგეობები, ერთისა თუ ორის გამოკლებით, ყველა ბოლშევიკური იყო.

პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოც ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა.

ინგლისელების ცდა — მუშათა კლასისათვის ბეჭდვითი ორგანო მოესპოთ — მარცხით დამთავრდა. ინგლისელმა ოკუპანტებმა განკარგულება გასცეს დაეხურათ პროფკავშირთა საბჭოს მიერ გამოცემული მუშათა ორგანო — „გოლოს ტრუდა“, რის წინააღმდეგაც ბათომის პროფკავშირთა საბჭო გაბედული პროტესტით გამოვიდა.

თავის მიმართვაში პროფკავშირთა ყველა წევრისადმი საბჭო სწერდა:

„ბათომის პროფკავშირთა საბჭო ბეჭდვითი ორგანოს ადმინისტრატიული წესით დახურვაში ხედავს ბეჭდვის თავისუფლების დარღვევას; ამ აქტში იგი ხედავს აგრეთვე რუსეთის რევოლუციის ერთერთი მონაპოვარის გაქელვას. ამიტომ პროფკავშირთა საბჭო ენერგიულ პროტესტს აცხადებს და, თანახმად ბათომის პროფკავშირთა კონფერენციის დადგენილებისა, ამ პროტესტს ერთდღიური საყოველთაო გაფიცვით აძლიერებს. გაფიცვის დღეს ნიშნავს და წესს იმუშავებს კონფერენციის მიერ ამ მიზნით არჩეული საგაფიცვო კომიტეტი.

საგაფიცვო კომიტეტის განკარგულება მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შესრულებულ უნდა იქნას უყოყმანოდ“.[1]

გაფიცვა გამოცხადდა 1919 წლის 8 აპრილს. ინგლისელთა საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა გაეუქმებინა თავისი განკარგულება და გაზეთი „გოლოს ტრუდა“ ისევ რეგულარულად გამოდიოდა.

იმავე 1919 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებმა მოაწყვეს და ჩაატარეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და მოითხოვეს მასლოვის მეთაურობით არსებული აჭარის მმართველი კონტრრევოლუციური საბჭოს ლიკვიდაცია.

ამის საპასუხოდ ინგლისელებმა დააპატიმრეს საგაფიცვო კომიტეტი. მაგრამ ამან ბათომის მუშები მაინც ვერ შეაჩერა და ოკუპანტები, მასების შეტევის გამო, იძულებული გახდნენ გაეუქმებინათ ზემოაღნიშნული საბჭო და შეემსუბუქებინათ რამოდენიმედ სამხედრო-პოლიციური რეჟიმი.

ბათომის მუშები პირველთა შორის გამოეხმაურნენ ბაქოს პროლეტარიატის მოწოდებას დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნის შესახებ.

„ბათომის პროლეტარიატი, პროფკავშირთა საბჭოს სახით, — ვკითხულობთ ბათომიდან ბაქოში მუშათა კონფერენციის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში, — აღტაცებაში მოჰყავს ბაქოს პროლეტარიატის — ამიერ-კავკასიაში რევოლუციის ამ დასაყრდენის — გმირულ გადაწყვეტილებას იბრძოლოს იარაღით ხელში მოხალისეთა არმიის შავი რეაქციის წინააღმდეგ, რის გამოც გულწრფელად გისურვებთ საბოლოო გამარჯვებას და გაძლევთ საზეიმო დაპირებას ყოველმხრივ ხელი შეგიწყოთ და შესაძლებელი დახმარება აღმოგიჩინოთ ამ ბრძოლაში“[2].

---

[1] საქართველოს რევოლუციის მუზეუმი, ბოლშევიკური პროკლამაციები, № 364.
[2] გაზ. „ეოლნა“ № 5, 1919 წ.

მიუხედავად არსებობის არალეგალური პირობებისა, ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ინგლისის ოკუპაციის დროს ფართო მუშაობა გაშალა. ბოლშევიკური უჯრედები არსებობდნენ მბეჭდავთა, მელითონეთა და ნავთსადგურის მუშათა შორის. ცალკეული უჯრედები არსებობდნენ აგრეთვე ბათომის მუშათა რაიონებში: ბარცხანაში, გოროდოკში და სხვ.. უჯრედების ჩამოყალიბება მოხერხდა აგრეთვე ბათომსა და ქობულეთში სანაპირო რაზმებს შორისაც.

ბათომის კომიტეტმა ჩაატარა მთელი რიგი კონფერენციები. განსაკუთრებული ყურადღება პარტიამ პროფკავშირთა მუშაობას მიაქცია. პროფკავშირში ჩაბმულ იქნენ თვით ის ჩინელებიც კი, რომლებიც ინგლისელმა ოკუპანტებმა ჩამოიყვანეს ბათომის ნავთსადგურში სამუშაოდ. ბათომის პროფკავშირთა საბჭო, რომელშიაც მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები მრავლად შედიოდნენ და რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, არსებითად იმ დროს მუშათა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოს როლს ასრულებდა.

მუშათა ორგანიზაციებიდან განდევნილმა მენშევიკებმა, რომლებმაც მათ შორის ყოველივე გავლენა დაჰკარგეს, თავისი მოღვაწეობა აჭარის ნაციონალურ კრებაში — მეჯლისში გადაიტანეს. მეჯლისში ამ დროს თავისი გავლენისათვის ორი ჯგუფი იბრძოდა: ერთი პროპაგანდას ეწეოდა აჭარის საქართველოსთან შეერთებისათვის (მისი ორგანო იყო „მუსულმანური საქართველო“) შინაურ საქმეებში ავტონომიური ერთეულის უფლებებით; მეორე, რომლის ორგანოც „სედაი მილლეტი“ იყო, თურქეთის ორიენტაციას აღიარებდა.

1920 წლის მარტში ოკუპანტებმა ნება დართეს მოეხდინათ ბათომის ქალაქის თვითმართველობის არჩევნები. მუშათა რაიონებს წაართვეს საარჩევნო უფლებები. ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ასეთ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. პროფკავშირთა წევრებმა, რომლებიც ქალაქში ცხოვრობდნენ, უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ქართველი მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ ქალაქის თვითმართველობის არჩევნები ასეთ პირობებშიაც კი სავსებით „დემოკრატიულიაო“. მათ ბლოკი შეჰკრეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან და თვითმართველობაში 20 ხმოსანი გაიყვანეს. ინგლისელების მითითებით შედგენილი ქალაქის სამართველო მათი ნებასურვილის მორჩილი აღმასრულებელი აღმოჩნდა. მშრომელი მასების ინტერესების ნამდვილი დამცველი კი ბათომის პროფკავშირთა საბჭო დარჩა, რომელიც მუშაობას კვლავ ბოლშევიკური ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით განაგრძობდა.

ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოახერხა აგრეთვე წარმატებით მუშაობა ინგლისელ მეზღვაურთა შორის და აჭარაში დაბანაკებულ საოკუპაციო ჯარის ნაწილებში. განსაკუთრებით ადვილად ხერხდებოდა ინგლისელების ფერადკანიანი ჯარების მოქცევა ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ბოლშევიკებმა მოაწყვეს ინგლისურ ენაზე პროკლამაციების ბეჭდვა და მათ შორის გავრცელება.

ბოლშევიკური ორგანიზაცია იბრძოდა რუსეთის კონტრრევოლუციის

წინააღმდეგ, რომელიც ბათომიდან, ინგლისელების დახმარებით, საომარ იარაღებსა და მეომრებს აწვდიდა ყირიმს.

მასების რევოლუციური განწყობილება თანდათან იზრდებოდა. ბათომში მოკლულ იქნა გენერალი ნათიევი, რომელიც მოხალისეთა არმიის ამიერკავკასიის ადგილობრივ კორპუსს ადგენდა. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციამ მოამზადა გემ „ვოზროჟდენიეს“ აფეთქება, რომელიც სამხედრო იარაღით დატვირთული ყირიმში წასასვლელად ემზადებოდა. ბათომიდან ინგლისელების წასვლის წინ, 1920 წლის ზაფხულში, რომ საშუალება არ მიეცა მენშევიკების ჯავშნიანი მატარებლისათვის შესულიყო ბათომში და რომ ხელი შეეშალა ნავთის შემდგომი გატანისათვის, პარტიის ბათუმის კომიტეტმა სამხარეო კომიტეტის დირექტივის შესასრულებლად. მოაწყო კონტრაბანდის ხიდის აფეთქება. მენშევიკების ჯავშნიანი მატარებელი შეჩერებულ იქნა და დროებით ნავთის გატანაც შესწყდა.

აჭარის გასაბჭოების ლოზუნგი მეტისმეტად პოპულარული იყო. 1920 წლის 22 აპრილს ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგა პროფკავშირთა ყველა გამგეობის, ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებისა და ზოგიერთი რაიონის გლეხთა დელეგატების მრავალრიცხოვანი კრება. ამ კრებაზე, მიუხედავად ინგლისელების კატეგორიული გაფრთხილებისა იმის შესახებ, რომ კრების ყველა მონაწილე დაპატიმრებული იქნება, თუ კრებაზე აჭარის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი აღიძრება. მიუხედავად მენშევიკების პროვოკაციული გამოსვლებისა და წინააღმდეგობისა, გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ ერთადერთი მისაღები ხელისუფლება აჭარაში მუშებისა და გლეხებისათვის არის საბჭოთა ხელისუფლება.

ქართველი მენშევიკები გაიძახოდნენ, რომ „ბათომი ქართველების უნდა იყოსო“. საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა ჯალათი, ცნობილი რენეგატი ვ. ჯუღელი სწერდა:

> „უბათომოდ ჩვენთვის ძნელია, არსებობა შეუძლებელია. ბათომი — ეს ჩვენი ნერვებია, ჩვენი ამოგლეჯილი, სისხლით მორწყული გულია“ [1].

მიუხედავად ასეთი მყვირალა ფრაზებისა, მენშევიკები ადვილად ურიგდებოდნენ ინგლისელთა მიერ ბათომის ოკუპაციას. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ გაძლიერებულ რეპრესიებს ბოლშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ და ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეჩერებინათ აჭარის მშრომელთა ბოლშევიზაციის პროცესი. საქართველოს მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრთან საიდუმლო დიპლომატურ მიმოწერაში, 1920 წლის თებერვალში, სწერდა, რომ საქართველოდან გაქცეულმა ბოლშევიკებმა საფუძველი ბათომში ჩაიყარეს და დიდი მუშაობა გაშალეს; ისინი თავის აგენტებს გზავნიდნენ აჭარის რაიონებში, ბეჭდავდნენ პროკლამაციებსა და მოწოდებებს, სარგებლობდნენ საიდუმლო

[1] ვ. ჯ უ ღ ე ლ ი „მძიმე ჯვარი“ (რუს. ენაზე), გვ. 187.

ს. მეძმარიაშვილი (გუბელი)

სტამბებით და გზავნიდნენ საქართველოში არალეგალურ ლიტერატურას და ფულს. რამიშვილი ინგლისის მინისტრს სთხოვდა „სიცხადე და გარკვეულობა ბათომის საკითხში“ და აცხადებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან „იმ დამღუპველი შედეგებისათვის შინაურ საქმეებში, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ ინგლისელები არ ჩაერევიან ბათომის პრობლემის გადაწყვეტაში“ [1].

დაამარცხეს რა ინტერვენციის დახმარებით თავის „საკუთარ“ მუშათა და გლეხთა აჯანყება, ქართველი მენშევიკები ინგლისელებისაგან მოითხოვდნენ გადამწყვეტ ზომებს აჭარის წინააღმდეგაც.

---

[1] ციტატა ამოღებულია გაზ. „ზარია ვოსტოკიდან“, 1932 წ., № 302.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ბათომში პროფკავშირთა საბჭოს მიერ 1920 წელს მოწყობილ საპირველმაისო დემონსტრაციას.

პირველი მაისის წინადღით მოკლულ იქნა აჭარელ გლეხთა ჯალათი გენერალი ლიახოვი, რომელმაც 1914 წლის ნოემბერში წარმოუდგენელი სისასტიკით ჩააქრო აჭარელ გლეხთა აჯანყება (მის დევნას 50 ათასზე მეტი აჭარელი გაექცა თურქეთში).

ინგლისელების მიერ ბათომის ოკუპაციის დროს გენერალი ლიახოვი აგროვებდა აქ ოფიცერთა რაზმებს დენიკინის ფრონტზე გასაგზავნად. ის მოკლულ იქნა შუადღისას ქალაქის ცენტრში.

გენერალ ლიახოვის მოკვლასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა ამხ. გუბელი (ს. მეძმარიაშვილი). მას სიკვდილი მოელოდა. საჭირო იყო მისი გადარჩენა რადაც არ უნდა დამჯდარიყო. ბათომის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა გამოეყენებინა ამისათვის საპირველმაისო დემონსტრაცია.

მენშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალნათ ეს გამოსვლა, მაგრამ ვერ შესძლეს. საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათასი კაცი. დემონსტრანტები მიდიოდნენ მარქსის, ენგელსისა და ლენინის სურათებით და ბოლშევიკური ლოზუნგებით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

აზიზიეს მოედანზე გრანდიოზული მიტინგი გაიხსნა. მიტინგის დადგენილებით განერალ კუკ-კოლისთან გაგზავნილ იქნა დელეგაცია მოთხოვნით დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა ციხიდან ამხ. გუბელი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი შეიარაღებულ ბანაკს წარმოადგენდა და ჯარებიც მზად იყვნენ პირველი ბრძანებისთანავე ემოქმედნათ, გენ. კუკ-კოლისი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა ამხ. გუბელის განთავისუფლების შესახებ. ძნელი წარმოსადგენია ის უდიდესი აღფრთოვანება და სიხარული, რომელიც დემონსტრაციის მონაწილეებმა განიცადეს, როდესაც ტრიბუნაზე ამხ. გუბელი გამოჩნდა და ძლიერი, ამაღელვებული სიტყვა წარმოსთქვა.

საპირველმაისო დღეების შემდეგ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო ენერგიული მუშაობა გაშალა. რადგან ხმები გავრცელდა ბათომიდან ინგლისელების ევაკუაციის შესაძლებლობის შესახებ, მსხვილმა ვაჭრებმა და სპეკულანტებმა დაიწყეს ბათომიდან უფრო ძვირფასი საქონლისა და, მათ შორის, ფქვილის, შაქრისა და მანუფაქტურის გაზიდვა ყირიმსა და კონსტანტინოპოლში, რაც ბათომს, პირველ რიგში, სასურსათო კრიზისით ემუქრებოდა.

განიხილა რა ეს საკითხი, პროფკავშირთა საბჭომ გადაწყვეტილება გამოიტანა:

„დაწესდეს კონტროლი საქონლის გატანაზე სტამბოლში. საქონლის გატანა საქართველოში.... თავისუფალი დარჩეს“.

არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა საბჭოს გადაწყვეტილება. მუშები მტკიცედ იცავდნენ მათთვის მიცემულ დირექტივას. კომისიის ნებადაურთველად არ შეიძლებოდა დატვირთულიყო არც

ერთი გემი. ინგლისელებმა სცადეს კომისიის გაუქმება, მაგრამ ისინი ამ საქმეში უძლურნი აღმოჩნდნენ. ეს კიდევ არაფერი, თვით ინგლისელებიც კი იძულებულნი ხდებოდნენ მიემართათ კომისიისათვის ამა თუ იმ საქონლისა და ნავთის გატანის ნებართვის მისაღებად. იმ დღეებში ბათომში ხელისუფლება ფაქტიურად ბათომის პროფკავშირთა საბჭოს ხელში იყო.

გენ. კუკ-კოლისი, როგორც ბათომის იმ პერიოდის ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მუშაკი გადმოგვცემს, გაბოროტებული უძლურებით ამბობდა:

„მე ვერ მოვითმენ, რომ ინგლისის მეფის დროშის გვერდით მეორე ხელისუფლება არსებობდესო".

მაიორი ორტონი კი აფრთხილებდა პროფკავშირთა საბჭოს ერთერთ წევრს:

„რას შერებით? ეს ხომ მეორე მთავრობის შექმნას ნიშნავს... თუ არ შეაჩერებთ მუშაობას, ჩვენ რეპრესიებს მივმართავთო".

თავისი მუქარა ინგლისელებმა მალე სისრულეში მოიყვანეს. კონსტანტინოპოლიდან სამხედრო გემები გამოიწვიეს ბათომში და 8 მაისს დააპატიმრეს პროფესიული მოძრაობის 18 უფრო თვალსაჩინო მუშაკი. დაპატიმრებულნი სასწრაფოდ გადაიყვანეს დრედნოუტ „როიალ ზავორენზე" და გაგზავნეს სტამბოლში" [1].

ამ დაპატიმრებით ინგლისელებმა ხელმძღვანელობა წაართვეს პროფკავშირებს.

ბათომის მუშათა მიერ გამოცხადებულ საყოველთაო გაფიცვას, რომელიც დაპატიმრებულთა განთავისუფლებას მოითხოვდა, მენშევიკებმა არა თუ მხარი არ დაუჭირეს, არამედ, პირიქით, ხელი შეუწყვეს მის ჩაშლას (დააპატიმრეს 20 რკინიგზელი მუშა).

პარტიული მუშაობის ერთერთი სუსტი მხარე აჭარაში ინგლისელი იმპერიალისტების მიერ მისი ოკუპაციის პერიოდში ის იყო, რომ ორგანიზაციამ ვერ შესძლო მაშინ საკმაოდ ფართო მუშაობის გაშლა სოფლად. ამის გამო, მშრომელ გლეხთა ერთ ნაწილს კვლავ ნაციონალისტური პარტიების გავლენა შერჩა. მაგრამ ბოლშევიკური პროპაგანდა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილიც კი იძულებული გახდა აღენიშნა ეს ინგლისელებთან მიმოწერაში, მაინც შეიჭრა აჭარის თვით უფრო მიყრუებულ რაიონებშიაც კი. აჭარიდან გაზ. „კომუნისტისათვის" გამოგზავნილ წერილში კორესპონდენტი იტყობინებოდა:

„ართვინში პარტიული (ბოლშევიკური) მუშაობა ამ 6-7 თვის წინეთ დაიწყო. ქალაქის მცირერიცხოვანი მუშები და ღარიბი მოსახლეობა მწვავე ეკონომიური კრიზისისა და აღმაშფოთებელი პოლიტიკური პირო-

---

[1] დაპატიმრებულებს მხეცურად ამოხოცავდნენ, მაგრამ საბჭოთა მთავრობა დროზე ჩაერია საქმეში და 1920 წლის შემოდგომაზე ისინი გაანთავისუფლეს მათი გაცვლით დაპატიმრებულ ინგლისელ ქვეშევრდომებზე (იხ. 1920 წლის 17 ოქტომბრის გაზ. „პრავდა" № 232).

ინგლისელთა მიერ დაპატიმრებულ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც დრედნოუტ „როიალ ზავოლრენზე" გაგზავნილ იქნა სტამბოლში

ბების გავლენის გამო მეტად უკმაყოფილონი იყვნენ არსებული მდგომარეობით და სიამოვნებით ეწერებოდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების რიგებში. თურქი მემამულეების, კულაკებისა და ველური ადმინისტრაციის მძიმე უღლით განაწამები ქალაქის მიდამოებში მცხოვრები თურქი გლეხობაც კი სიამოვნებით ყურს უგდებდა აგრეთვე ჩვენს აგიტატორებს, და სოფლებშიაც გაჩნდა კომუნისტური ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ თურქი პარტიული მუშაკები არ მოგვეპოვება, ჩვენი მუშაობა ამ მოკლე ხანში მაინც საკმაოდ დაწინაურდა და ბოლშევიზმი ისეთ მოვლენად გადაიქცა, რომელიც მეტად აინტერესებს ხალხთა მასებს. ადგილობრივი მემამულეები და კულაკები ჩვენს წინააღმდეგ დაირაზმნენ და უკიდურესად გააფთრებულ პროვოკაციას შეუდგნენ"[1].

აჭარის გლეხობამ რამდენჯერმე მოიგერია მენშევიკების ცდა, ხელში ჩაეგდოთ აჭარის ცალკეული რაიონები. ასე, მაგალითად, 1920 წლის დასაწყისში, როდესაც მენშევიკები შეეცადნენ გოდერძის უღელტეხილზე გადასვლას ხულოს რაიონის დასაკავებლად, აჭარელმა გლეხებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. მენშევიკების რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი მოჰკლეს.

[1] გაზ. „კომუნისტი", 1920 წლის 1-ლი იელისი.

ხოლო, ვინც გადარჩა ამ რაზმიდან, ყველანი განაიარაღეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლაშქრობის დროს მენშევიკების ჯარისკაცთა ერთმა ნაწილმა ბოლშევიკური პროპაგანდის ზეგავლენით უარი სთქვა მშრომელ აჭარელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამის შესახებ ჩვენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში შემდეგს ვკითხულობთ:

„მთავრობამ ხელთ იგდო მეტად ღირსშესანიშნავი დოკუმენტი. საიდანაც აშკარად სჩანს, რომ სათადარიგო ჯარისკაცთა ერთი ჯგუფის მიერ დაშვებული ღალატი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ მიატოვეს ფრონტი მეამბოხე აჭარელთა წინააღმდეგ და ამით სახიფათო მდგომარეობა შეუქმნეს ჩვენს მომქმედ ნაწილს ხულოში. ბოლშევიკების ზეგავლენით მოხდა“ [1].

იმავე წლის გაზაფხულზე, როცა მენშევიკებმა გადასწყვიტეს შესულიყვნენ აჭარაში რკინიგზის სადგურ ნატანების მხრიდან, ქობულეთის რაიონში მოხდა გლეხთა აჯანყება და მენშევიკურმა ნაწილებმა, დიდი წინააღმდეგობის გამო, უკან დაიხიეს.

1920 წელს რუსეთის კონტრრევოლუცია განადგურებულ იქნა. 1920 წლის ივლისში ინგლისელმა ოკუპანტებმა ბათომი დასტოვეს.

ინგლისელების წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ აჭარაში საქართველოს ჯარი შევიდა.

საქართველოს მთავრობის სახელით და გენ. კვინიტაძის ხელმოწერით ქართველმა მენშევიკებმა აჭარის მოსახლეობას მიმართეს მუქარის ხასიათის შემდეგი მოწოდებით:

„...საქართველოს მთავრობის ბრძანებით მე ჯარებით შემოვდივარ ბათომის ოლქში... წინადადებას გაძლევთ არ შეუშალოთ ხელი ჩვენი ჯარების შემოსვლას ოლქში და არ დაიწყოთ ბრძოლა თქვენი ძმების, ქართველების, წინააღმდეგ... მაგრამ, თუ წინააღმდეგობას გასწევთ, ჯარები დაგსჯიან თქვენ. ვინც იარაღით გაუწევს წინააღმდეგობას ჯარებს. იმას მოვეპყრობით ისე, როგორც მეამბოხეს. მას დავხვრეტთ, ხოლო მისი მიწა და ქონება, აგრეთვე მისი მამის, დედისა და ძმების ქონება ჩამორთმეული იქნება კონფისკაციის წესით და გადაეცემა ხაზინას, ოჯახი კი გადასახლებული იქნება ბათომის ოლქის საზღვრებიდან. სოფელი, სადაც კი ერთი თოფი გაეარდება, სასტიკად იქნება დასჯილი“.

მენშევიკური ჯარები ბათომში 8 ივლისს შევიდნენ. მენშევიკები ამ ამბებს საყოველთაო ნაციონალურ ზეიმად, „მშობლებისა და შვილების შეხვედრად“ ასაღებდნენ. მაგრამ მენშევიკების მოღალატეობის პირველივე ნაბიჯი აჭარაში იმით აღინიშნა, რომ აქ სამხედრო წესები გამოცხადდა და გენერალ-გუბერნატორად საკმაოდ ცნობილი ბ. ჩხიკვიშვილი დაინიშნა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა ბათომის დაკავების შემდეგაც ვერ გამოიყვანეს და მათ არც სურდათ გამოეტანათ სწორი დასკვნა არც სამხრეთ-

[1] გაზ. „ბორბა“ № 133, 1920 წ.

ოსეთთან და არც აფხაზეთთან ურთიერთობის ისტორიიდან. და მართლაც, ნაცვლად შეპირებული ავტონომიისა, აჭარაში, ისევე, როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში, „დაიწყო, — როგორც გაზ. „კომუნისტ გრუზიის“ გადმოცემიდან სჩანს, — განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი მართველობისა და შურისძიების პერიოდი. „უცხოელებისა“ და მაენე ელემენტების სახით ოლქის საზღვრებიდან განდევნილ იქნენ მენშევიკი სატრაპებისათვის არასასიამოვნო პირები, მთელი ქონების ჩამორთმევით... დაატრიალეს მათრახები, გაიგზავნა სხვადასხვა კუთხეში დამსჯელი ექსპედიციები“ [1].

თავიანთ მოქმედებას მენშევიკები იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს, აჭარა „საქართველოს რესპუბლიკისა და დემოკრატიული წყობილების მტრების ბუდე“ ყოფილიყოს, რომ ჯერ ოლქი ამ ანტისახელმწიფოებრივი ელემენტებისაგან უნდა გაწმენდილიყო და რეფორმები მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გატარებულიყო.

მენშევიკური ბრძოლის მახვილი, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მათი წევრების წინააღმდეგ. როდესაც ბოლშევიკური ორგანიზაციის ბათომის კომიტეტმა საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაციის ლეგალიზაცია მოითხოვა, ბ. ჩხიკვიშვილმა ცინიკურად უპასუხა:

„თუ ტფილისის კომუნისტების შეხედულებას იზიარებთ, ლეგალური არსებობის ნებართვას ჩემგან ნუ ელითო“ [2].

მენშევიკები მარტო დამუქრებით არ დაკმაყოფილდნენ. უცხო ქვეშევრდომთა და დემოკრატიული წყობილების მოწინააღმდეგეთა სახით, ბათომიდან გადასახლებულ იქნა ყველა ის კომუნისტი, რომელიც ლეგალურ მუშაობას შეუდგა.

სთვლიდნენ რა ბათომის პროფკავშირთა საბჭოს და მის მიერ გამოცემულ მუშურ გაზეთს „მოსკოვის პოლიტიკურ შტაბად“, მენშევიკებმა მოახდინეს მათი ლიკვიდაცია, ისარგებლეს რა იმით, რომ ჯერ კიდევ ინგლისელებმა გადაასახლეს ბათომიდან უფრო მოწინავე მუშები და პროფმოძრაობის ხელმძღვანელები. პროფკავშირების გათიშვით, პირდაპირი მუქარითა და რეპრესიებით მენშევიკებმა ბათომში პროფკავშირთა ახალი საბჭო და სამდივნო შეჰქმნეს და პროფმოძრაობის სათავეში მენშევიკი აიოლო დააყენეს. საბჭოში უმრავლესობის მიღების ერთი საშუალებათაგანი ის იყო, რომ მენშევიკებმა ზოგიერთი თავისი შემადგენლობით „კეთილსაიმედო“ პროფკავშირი რამდენიმე ცალკეულ კავშირად გაჰყვეს.

მაგალითად, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირი გაიყო: 1) ხაზინის, 2) ფოსტა-ტელეგრაფის, 3) გზატკეცილების, 4) ნავთსადგურის სამმართველოს, 5) საბაჟოსა და 6) დანარჩენ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირებად. თვითეულმა ახლად ჩამოყალიბებულმა კავშირმა პროფკავშირთა საბჭოში

[1] გაზ. „კომუნისტ გრუზიი“ № 22, 1920 წლის 13 ნოემბერი.
[2] გაზ. „საქართველოს კომუნისტი“ № 26, 1920 წლის 16 ივლისი.

თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მენშევიკური „უმრავლესობის“ შესაქმნელად. ბევრმა ამ კავშირთაგანმა საბჭოს არჩევნების შემდეგ თავისი არსებობა უკვე შესწყვიტა, ანდა, თუ არსებობდა, სიცოცხლის ნიშანწყალი მაინც არ გამოუჩენია [1].

მენშევიკებმა დააპატიმრეს არალეგალურად არსებული მეზღვაურთა პროფკავშირის გამგეობა და გაგზავნეს ქუთაისის ციხეში. დააპატიმრეს აგრეთვე მელითონელთა და ნავთის სარეწაოთა კავშირების წევრთა უმრავლესობა, რომელთაც ბოლშევიკობას აბრალებდნენ. ჩხრეკის დროს ერთ მუშას ბინაზე უპოვეს გაზ. „კომუნისტის“ რამდენიმე ნომერი და ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს მუშა ციხეში გამოემწყვდიათ.

„8 დეკემბერს, — სწერს გაზ. „კომუნისტ გრუზიის“ კორესპონდენტი, — ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ასეთ ფაქტს: პროფკავშირთა საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც პოლიციის მოხელეთა დასწრება სავალდებულო იყო, მენშევიკების მილიციამ რამდენიმე ბოლშევიკი დააპატიმრა და ციხეში გაგზავნა“ [2].

მენშევიკებმა, რომლებიც საქართველოში შეძლებული კლასების სასარგებლოდ განუწყვეტელი დათმობის პოლიტიკას აწარმოებდნენ, ბათომის მუშებს დამქირავებელთა წინააღმდეგ ეკონომიური ბრძოლის წარმოების უფლებაც კი წაართვეს. მაგალითად, როდესაც ბათომის ბინიათ-ოღლის კერძო ფაბრიკაში მოწვეულ იქნა საერთო კრება ხელფასის გადიდების შესახებ, პროფკავშირთა საბჭოს მდივანმა აიოლომ მუშათა მუქარაზე, რომ გაფიცვას გამოაცხადებენ, უპასუხა: „მთავრობას მოეპოვება ჯარები წესიერების დასამყარებლადო“.

ბათომში პროფმოძრაობის მენშევიკური ხელმძღვანელები თავიანთ მოქმედებაში სრულ თავაშვებულობამდე მივიდნენ.

პროფკავშირთა საბჭოს ან სამდივნოს მოქმედების სულ მცირეოდენი კრიტიკაც კი დეენასა და რეპრესიებს იწვევდა, როგორც კავშირის ცალკეული წევრების, ისე მთელი ორგანიზაციების წინააღმდეგ.

„თავისუფალი სიტყვის მაგიერ,—სწერს გაზ. „კომუნისტ გრუზიის ერთი კორესპონდენტი „ბატუმსკი რაბოჩის“ ფსევდონიმით,—სოციალიზმის ჯალათ ბ-ნ აიოლოსაგან ბრძანება მივიღეთ კრინტი არ დაეძრათ თვით ეკონომიურ საკითხებზედაც კი, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშებს ხიფათი მოელით, ისინი განსაკუთრებული რაზმის ხელში ჩაცვივდებიან, ხოლო თუ რას ნიშნავს ამ უკანასკნელთან შეხვედრა ეს ბევრმა მუშამ უკვე კარგად იცის, ბევრს ახსოვს, თუ როგორ მიაბჯენდნენ ხოლმე დაკითხვის დროს გულზე მაუზერს, როგორ აწითლებდნენ „სოციალისტური“ მათრახები მუშათა ზურგს და, ბაღლინჯოებით სავსე ოთახში 2-3 დღის ჯდომის შემდეგ, როგორ ხდებოდნენ მუშები იძულებულნი დაერ-

[1] „კომუნისტ გრუზიი“ № 39, 1920 წლის 3 დეკემბერი.

[2] გაზ. „კმუნისტ გრუზიი“ № 49, 1920 წ. 16 დეკემბერი.

ღვიათ თავიანთი ოჯახური კერა, სამ დღეში დაეტოვებინათ „სოციალიზმის სამეფო“ და წასულიყვნენ „საბჭოთა რუსეთის ჯოჯოხეთში“ [1].

მენშევიკების მიერ მოწყობილმა პროფკავშირთა საბჭომ, მიუხედავად ცალკეული კავშირების ენერგიული პროტესტებისა, უფლება მიითვისა იძულებით დაებეგრა ყველა კავშირის წევრები სხვადასხვა გადასახადით. მაგალითად, 1920 წლის 24 სექტემბერს საბჭომ დაავალდებულა ყველა პროფკავშირი მოეხდინათ 50-პროცენტიანი ანარიცხის გადაცემა კავშირის თვითეული წევრის დღიური ხელფასიდან სახალხო გვარდიის ფონდში. 14 ოქტომბერს საბჭომ დაადგინა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან ერთდროული შემოსავალი გადაერიცხათ პროფკავშირთა საბჭოს სასარგებლოდ. ამ დირექტივების შეუსრულებლობისათვის პროფკავშირთა საბჭო პროფკავშირების გამგეობათა დაშლით და დათხოვნით იმუქრებოდა.

მენშევიკებმა ვერ მოახერხეს მოეწესრიგებინათ მუშათა მომარაგება პირველი საჭიროების პროდუქტებით. ხელფასის გაცემას წარმოებებში თვეობით აგვიანებდნენ და, რადგან კვების პროდუქტები შეუჩერებლივ ძვირდებოდა, მუშებს შიმშილი და სრული ფიზიკური განადგურება მოელოდა. ბათომში, მრავალი წარმოება-დაწესებულების განუწყვეტელი ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო, უამრავი უმუშევარი გაჩნდა, რომლებიც პირდაპირ ქუჩაში იყვნენ გამოყრილნი და რომელთაც ოდნავი მატერიალური დახმარების მიღების იმედიც კი არსაიდან ჰქონდათ.

საადგილმამულო რეფორმის ჩატარებისათვის მზადებას აჭარაში მენშევიკები იმავე მიმართულებით შეუდგნენ, როგორც თვით საქართველოში, იმ ანგარიშით, რომ არ შეებღალათ თავადაზნაურულ-ფეოდალური ზედაფენების ინტერესები და შეენარჩუნებინათ მათთვის მიწები, ხოლო მიწების დანარჩენი ფონდი დაეგროვებინათ მთავრობის განკარგულებაში, რომ გაეყიდნათ შემდეგში კერძო საკუთრებად.

სასამართლოს აპარატი აჭარაში მენშევიკების დროს სრულიად უცვლელი დარჩა, ის ისეთსავე მდგომარეობაში იქნა დატოვებული, როგორც მეფის მთავრობის დროს იყო. სასკოლო საქმე მენშევიკებმა არა თუ ვერ გააუმჯობესეს, პირიქით, სრულ დაღუპვამდე მიიყვანეს. მათ, რასაკვირველია, თავი ვერ გაართვეს იმ ეკონომიურ რღვევას და შიმშილს, რომელთაც მთელს აჭარაში, განსაკუთრებით 1920 წელს, არაჩვეულებრივი მწვავე ფორმები მიიღეს. მენშევიკების დროს ეკონომიური და კულტურული ცხოვრება ბათომში სრულიად მიწყდა.

მთელი აჭარა 1920 წელს სამოქალაქო ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ხშირად გამოდიოდნენ პარტიზანული რაზმები, თავს ესხმოდნენ მთავრობის ჯარებს, არბევდნენ მილიციას და სხვ.

---

[1] „კომუნისტ გრუზიი“ № 36, 1920 წლის 30 დეკემბერი.

აჭარაში საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა თავისი სისასტიკით და ადმინისტრატიული თვითნებობით ისეთი სიძულვილი გამოიწვია მთელს მშრომელ მოსახლეობაში, რომ მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა გაეწვია იგი ბათომიდან და მის ადგილზე დაენიშნა ყოფილი სამხედრო მინისტრი გიორგაძე, საკმაოდ ცნობილი საქართველოში გლეხურ აჯანყებათა ჩაქრობით. მის თანაშემწედ დაინიშნა მიქაბერიძე, რომელიც ცარიზმის დროს ტფილისის პოლიციის ბოქაულად იყო. ერთი სატრაპის მეორეთი შეცვლა, რასაკვირველია, აჭარაში პოლიტიკის კურსის შეცვლას არ მოასწავებდა. მშრომელი მასები ტყუილად ელოდნენ ქართველი მენშევიკებისაგან ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრას. თავისი სამართლიანი მოთხოვნების საპასუხოდ ისინი, გარდა ხიშტებისა და მუქარისა, სხვას ვერაფერს ღებულობდნენ. თუ რამდენად გამწვავებული მდგომარეობა იყო ამ დროს აჭარაში, რამდენად დიდი უფსკრული გათხარეს ქართველმა მენშევიკებმა ქართველებსა და მშრომელ აჭარლებს შორის, ამას გარკვევით გვაუწყებს ერთი საიდუმლო მენშევიკური დოკუმენტი — სოციალდემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტის მოხსენება ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალდემოკრატიული ფრაქციისადმი, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 25 ოქტომბრით.

სოციალდემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი, რომელმაც ჯამი გაუკეთა მენშევიკურ ბატონობას აჭარაში, იძულებული იყო შემდეგი დასკვნები გამოეტანა:

„1. ოლქის დღევანდელი მდგომარეობა ძლიერ დამაფიქრებელია.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბათომის ოლქი შეუძლებელია საქართველოს ორგანიულ ნაწილად ჩაითვალოს, უკეთუ ანგარიშს გავუწევთ არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას, ოლქის მოსახლეობის სულიერ განწყობილებას და საქართველოსადმი მის დამოკიდებულებას.

მაშინ როდესაც ლიმანსა და სარფში მოსახლეობას თურქული სკოლები გაუხსნია და თურქეთიდან მასწავლებლები მოუწვევია, ხალხი ჩვენს სკოლებს გაურბის. ბევრ რაიონში ჩვენს ადმინისტრაციას ბოიკოტს უცხადებენ, ჩვენს ფულს არ ღებულობენ და გაცხოველებულ თურქულ და ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწევიან.

2. თუ აჭარაში ინგლისელების ყოფნის დროს საქართველოს ინტერესების დამცველად, გარდა ქართველებისა, ქართველ მუსულმანთა ის ერთი ჯგუფი მაინც გამოდიოდა, რომელიც გაერთიანებული იყო მეჯლისსა და განმათავისუფლებელ კომიტეტში, დღეს ქართველ მუსულმანთა ეს ჯგუფი ოპოზიციაში გვიდგას და, თუმცა ის ჯერ საქართველოს აშკარად არ გადადგომია, მაგრამ მთელ რიგ მიზეზთა გამო საქართველოს სასარგებლოდ ახლა ის უკვე აღარ მუშაობს. ამ ჯგუფის ოპოზიციაში ყოფნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ იგი ბათომში

საქართველოს ხელისუფლების ჩამოსვლისთანავე დიდ პრივილეგიებს მოელოდა, მაგრამ, სინამდვილეში კი ამ ჯგუფს თავისი იმედები სრულიად გაუცრუვდა.

3. ბათომში ყველა არაქართველი ელემენტი და ნაწილობრივ კი ქართველებიც ჩვენი მოწინააღმდეგენი არიან.

4. ამნაირად, საქართველოს სახელმწიფოებრივობას ამჟამად არც ქ. ბათომში და არც მის ოლქში არა ჰყავს არც ერთი ოდნავ მაინც თვალსაჩინო საზოგადოებრივი ჯგუფი, გარდა თვით ქალაქის მცირერიცხოვანი დემოკრატიისა, რომელზედაც მას დაყრდნობა შეეძლოს“ [1].

ბათომელი მენშევიკები, აღნიშნავდნენ რა თავისი პოლიტიკის დამღუპველ შედეგებს აჭარაში, გულმოდგინედ სახავდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომ შეენარჩუნებინათ აქ თავისი ბატონობა. ამ ღონისძიებათა შორის ისინი ერთერთ ზომად სთვლიდნენ სასგანგებო მართველობის სისტემის კიდევ რამოდენიმე ხანს შენარჩუნებას და ისეთი კონსტიტუციის შემუშავება-მომზადებას, რომელიც რამოდენიმედ მაინც მიიზიდავდა და ჩააბამდა ადგილობრივ მოსახლეობას ქვეყნის მართველობის საქმეში სათათბირო ორგანოში მონაწილეობის მიღებით და სხვ.

მაგრამ ყველა ამ ღონისძიებამ ვერ მოისყიდა აჭარის მშრომელი მოსახლეობა. მუშათა და გლეხთა უმრავლესობას, როგორც ინგლისელების ოკუპაციის დროს, ისე ახლაც მშვენივრად ესმოდა, რომ მათი ნამდვილი განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან შეუძლია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას. თუ როგორ ეპყრობოდა მშრომელი მოსახლეობა საბჭოთა რუსეთს, იმ ფაქტიდან სჩანს, რომ, როდესაც ბათომში 1920 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა ცნობები ყირიმში ვრანგელის საბოლოო განადგურებისა და თავისი ჯარების ნაშთებთან ერთად მისი საზღვარგარეთ გაქცევის შესახებ, მშრომელი მოსახლეობის აღფრთოვანებას საზღვარი აღარ ჰქონდა და ბათომში მდგარი გემების მატროსებმა საბჭოთა დროშები გამოჰკიდეს. საბჭოთა დროშა მოსახლეობის უამრავი რიცხვის თანდასწრებით გამოკიდულ იქნა აგრეთვე მეზღვაურთა სრულიად რუსეთის კავშირის შენობაზედაც.

მენშევიკური მილიცია ამის საპასუხოდ ველური გაბოროტებით ფანტავდა თავმოყრილ მასებს, რომლებიც საკმაო სიცხადით ამჟღავნებდნენ თავის სიმპატიებს საბჭოებისადმი. მილიცია ჰგლეჯდა წითელ დროშებს და მასობრივად აპატიმრებდა ბოლშევიკებს და ყველა მათ თანამგრძნობთ.

საქართველოს მენშევიკები რუსეთის დიდ პროლეტარულ რევოლუციამდე ღალატობდნენ პროლეტარიატის კლასობრივ პოზიციებს, ნაციონალურ საკითხში და კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროექტს იცავდნენ. როცა მენშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა გამოაცხადეს, ისინი ნაციონალურ საკითხში პრაქტიკუ-

[1] მარქს-ენგელს-ლენინის ინსტ. თბილისის ფილიალი. მენშევიკური პარტიის ოქმები და დოკუმენტები, მენშევიკების ბათომის კომიტეტის 1920 წლის 25 ოქტომბრის მოხსენება.

ლად დიდმპყრობელურ ნაციონალურ-შოვინისტურ პოლიტიკას ანხორციელებდნენ და სისხლისმღვრელ ლაშქრობას აწყობდნენ საქართველოს ნაციონალური უმცირესობების — ოსების, აფხაზებისა და აჭარლების წინააღმდეგ.

„იმპერიალისტურმა ომმა, — სწერს ამხანაგი სტალინი, — რომელმაც ძირიანფესვიანად გამოააშკარავა შეურიგებელი ნაციონალური წინააღმდეგობა და ბურჟუაზიული მრავალერიანი სახელმწიფოების შინაგანი უმწეობა, გამოიწვია ნაციონალური კონფლიქტების უკიდურესი გამწვავება გამარჯვებულ კოლონიალურ სახელწმიფოთა შიგნით (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია), დამარცხებული ძველი მრავალერიანი სახელმწიფოების სრული დაშლა (ავსტრია, უნგრეთი, 1917 წ. რუსეთი) და ბოლოს, — როგორც ბურჟუაზიის მიერ ნაციონალური საკითხის ყველაზე „რადიკალური“ გადაწყვეტა, — ახალი ბურჟუაზიული ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა (პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთ-სლავია, ფინლანდია, საქართველო, სომხეთი და სხვ.). მაგრამ ახალი დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობამ ვერ დაამყარა და არც შეეძლო დაემყარებინა ეროვნებათა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ვერ მოსპო და ვერც შეეძლო მოესპო ვერც ნაციონალური უთანასწორობა, ვერც ნაციონალური ჩაგვრა, ვინაიდან კერძო საკუთრებაზე და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა: ა) თავიანთ ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის გარეშე (პოლონეთი, რომელიც სჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; საქართველო, რომელიც სჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს; სამხრეთ-სლავია, რომელიც სჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.), ბ) თავიანთი ტერიტორიის გაფართოების გარეშე მეზობლების ხარჯზე, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (პოლონეთი — ლიტვის, უკრაინისა და რუსეთის წინააღმდეგ; სამხრეთ-სლავია—ბულგარეთის წინააღმდეგ; საქართველო—სომხეთისა და თურქეთის წინააღმდეგ და სხვ.), გ) „დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოებისადმი დამორჩილების გარეშე ფინანსიურ-ეკონომიური და სამხედრო მხრით“ [1].

---

[1] ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 90 — 91 (ქართული გამოც.) 1934 წ.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში

1920 წლის შემოდგომაზე სამეურნეო კრიზისმა საქართველოში თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. ნედლეულისა და სათბობის უქონლობის და აგრეთვე შრომის ნაყოფიერების კატასტროფული დაცემის გამო, საქართველოს მრეწველობა დამბლადაცემული იყო და სულს ღაფავდა.

ფაბრიკა-ქარხნების დიდი უმრავლესობა არ მუშაობდა. მარგანეცის ამოღება 1920 წელს 120,7 ათას ტონამდე დაეცა. არა ნაკლებ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქვანახშირის რმეწველობა, თუმცა ამოღების მხრივ იგი 1913 წლისას ცოტათი კიდეც სჭარბობდა. ამ მრეწველობის შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ცნობათა მიხედვით, რომელთაც ვპოულობთ ჩვენ მენშევიკური პარტიის ც. კ-ის 1921 წლის 12 თებერვლის ოქმებში. ტყიბულში სპეციალურად გაგზავნილი კომისიის იმ მოხსენებიდან, რომელიც მოსმენილ იქნა ამ სხდომაზე, გამოირკვა, რომ ნახშირის ამოღება, მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომებისა, საგრძნობლად შემცირდა. ტყიბულის მაღაროები სრული დანგრევის პირად იდგა. მუშები გარბოდნენ. პროფკავშირებმა დიდიხანია თავისი არსებობა შესწყვიტეს [1].

სრულ დანგრევამდე მივიდა აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტიც. მატარებელთა მოძრაობა მინიმუმამდე შემცირდა. რკინიგზას უკვე აღარ შეეძლო მომსახურეობა გაეწია არც შინაგან საქონელბრუნვისათვის და არც სამგზავრო მოძრაობისათვის. მრეწველობისა და ტრანსპორტის მდგომარეობაზე განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა სათბობისა და, უწინარეს ყოვლისა, ნავთის უქონლობამ. როგორც დოკუმენტალურად მტკიცდება, მენშევიკებმა ბაქოს ნავთის იმედით თავიანთი ნავთის მარაგი გაუგზავნეს ყირიმში ვრანგელს. სრულიად გასაგებია, რომ ბაქოს პროლეტარიატმა, რაკი ამაში საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების აშკარა დარღვევა დაინახა, შესწყვიტა ნავთის მიცემა საქართველოსათვის, რომ ანტანტასა და ვრანგელს არ ჰქონოდათ საშუალება განეგრძოთ სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მხოლოდ ვრანგელის განადგურების შემდეგ, 1920 წლის 14 ნოემბრის თარიღით ხელმოწერილ სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დადებულ იქნა, ერთის მხრით, საბჭოთა

---

[1] საქართველოს ს-დ. პარტიის ც. კ-ის ოქმები, 1921 წ. 12 თებერვლის სხდომა.

რუსეთსა და აზერბაიჯანსა და, მეორე მხრით, მენშევიკურ საქართველოს შორის, ეს უკანასკნელი ყოველდღიურად ღებულობდა 16 ათას ტონა ნავთის პროდუქტს.

მთელი სახალხო მეურნეობის საერთო კრიზისთან ერთად, საქართველოში კიდევ უფრო კატასტროფულად ეცემოდა ქაღალდის ფულის ღირებულება. მენშევიკები უკვე ვეღარ ასწრებდნენ ფულის ნიშნების ბეჭდვას, რომლის საერთო ნომინალური რაოდენობაც 1920 წლის შემოდგომისათვის 9 მილიარდ მანეთს აღწევდა.

ქართული ბონების კურსის დაცემის შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც იქიდან, რომ 1918 წ. შემოდგომაზე ინგლისური გირვანქა სტერლინგი ქართულ ბონზე 40 მან. ღირდა, ხოლო 1920 წლის ნოემბერში იგივე გირვანქა სტერლინგი ბაზარზე 16 ათასი ქართული მანეთი ღირდა.

საშინელ სიღატაკესა და განადგურებას განიცდიდა სოფელი. საერთო სასაქონლო კრიზისის დროს, როცა სოფელი ვერ ღებულობდა გლეხთა მასობრივი მოხმარების საქონელს და როცა მთელ რიგ რაიონებს თვითონ ესაჭიროებოდათ პურის შემოტანა, სოფელმა თითქმის სრულიად შესწყვიტა ქალაქისათვის სურსათ-სანოვაგისა და, უწინარეს ყოვლისა, მარცვლეულის მოწოდება.

საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის ძირფესვიანად მოშლილი იყო და ეს გარემოება კიდევ უფრო აღრმავებდა ამ ქვეყნის საერთო ეკონომიურ კრიზისს.

საქართველოს მართველი მენშევიკური პარტია მთელი რიგი წლების განმავლობაში უმტკიცებდა პროლეტარიატს უპირატესობას „დემოკრატიული გზისა სოციალიზმისაკენ".

„მაშინ როცა „დემოკრატიული" საქართველო აყვავებულ ოაზისს წარმოადგენს, — სწერდნენ არაერთხელ მენშევიკები, — ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთი სრულ დანგრევამდე და დაღუპვამდე მიიყვანეს".

მაგრამ, როდესაც ბოლშევიკებმა 1920 წლის შემოდგომისათვის გამარჯვებით დაამთავრეს სამოქალაქო ომი და მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასვეს ქვეყნის წინაშე ამოცანა მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების შესახებ, საქართველო — ეს „აყვავებული ოაზისი" — მენშევიკების მიერ შექმნილი მთელი კაპიტალისტური სისტემის უდიდეს კრიზისს განიცდიდა.

თვით ქართველი მენშევიკების გზაკვალაბნეული ბელადიც, მთავრობის თავჯდომარე ნ. ჟორდანიაც კი იძულებული იყო ეღიარებინა შექმნილი მდგომარეობის უაღრესი სიმძიმე და გამოუვალობა. 1920 წლის ოქტომბერში ეკონომიურ თათბირზე ტფილისში მან განაცხადა:

„რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ. შემდეგში ჩვენ რამდენჯერმე გავი-

მეორეთ ეს. ასე რომ, ამ სიტყვებს ჩვენ შევეჩვიეთ კიდეც და აღარ ვაძლევთ მათ მნიშვნელობას. მაგრამ ახლა უკვე გამართლდა ის, რასაც ვფიქრობდით, ახლა თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული ჩვენგანი მთელი სიმწვავით განიცდის მწარე სინამდვილეს: ჩვენ უკვე კატასტროფამდე მივედით"[1].

ამნაირად, მენშევიკები იძულებულნი იყვნენ თვითონვე ეღიარებინათ, რომ მათ ქვეყანა სამეურნეო კატასტროფის უფსკრულამდე მიიყვანეს. 1920 წელს, როდესაც მენშევიკები ნამდვილ პანიკას განიცდიდნენ, სულთმობრძავივით ფართხალებდნენ და აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, მათ სახელდახელოდ იწყეს ქვეყნის გადასარჩენი რეცეპტების წერა. ამისათვის, მათი აზრით, საჭირო იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაჯანსაღება, მანეთის კურსის აწევა, ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება და სხვ.

მაგრამ ეკონომიურ თათბირზე დასახული ღონისძიებანი განისაზღვრებოდნენ მხოლოდ ზოგიერთი ზედმეტი დაწესებულების შემოკლებით, გლეხობაზე საშემოსავლო გადასახადის დაწესებით, იძულებითი შინაური სესხის შემოღებით ფულის ემისიის შესამცირებლად და ევროპაში საგარეო სესხის აღების პროექტირებით.

მთავარ ამოცანად მრეწველობის აღდგენისათვის შრომის ნაყოფიერების ამაღლება ითვლებოდა. მაგრამ ამისათვის მენშევიკებმა სხვა ვერაფერი გამონახეს, გარდა იმისა, რომ მოწოდებით მიმართეს მუშათა კლასს — შეესრულებინა თავისი მოვალეობა დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე. მენშევიკების ასეთ ცდებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ქვეყნის დახსნა სამეურნეო-ეკონომიური კატასტროფისაგან. საქართველოს ფინანსთა მინისტრი კანდელაკი ნახევარი წლის განმავლობაში ამაოდ ატალახიანებდა ანტანტელ მინისტრთა კაბინეტების კარების ზღურბლებს და ევედრებოდა მათ საგარეო სესხის შესახებ. მხოლოდ ერთი ინგლისური სავაჭრო ფირმა დასთანხმდა მიეცა საქართველოსათვის სესხად 150 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

მუშათა კლასი შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო შრომის ნაყოფიერების გადიდებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლება მას თავის ხელში ექნებოდა და ის თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი იქნებოდა. მაგრამ ეს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა ხელისუფლების სადავეები მენშევიკებს ეპყრათ. ამიტომ, მენშევიკების მოწოდება შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ ხსენებულ კატასტროფულ პირობებში უშედეგო იყო. მენშევიკებს არ შესწევდათ უნარი, განეხორციელებინათ თუნდაც მათ მიერ დასახული სხვა ღონისძიებანი. ჩატარებული უნაყოფო ეკონომიური თათბირებისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების გამანადგურებელ შეფასებას იძლეოდა, სხვათა შორის, ოფიციალური მენშევიკური გაზეთი „ერთობა".

[1] გაზ. „ბორბა" № 235, 1920 წ.

„დაუსრულებელი ლაპარაკი, — სწერდა იგი, — განუწყვეტელი მსჯელობა დღეს, ხვალ, ზეგ, ამ კვირაში, იმ კვირაში, ლაპარაკი და ლაპარაკი, ისევ ლაპარაკი, ისევ მსჯელობა, ისევ თავიდან და ასე“... [1]

ეკონომიური კატასტროფა, რომელსაც ეს ქვეყანა განიცდიდა, გავლენას ახდენდა, უწინარეს ყოვლისა, ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებზე. პირველი მოთხოვნილების საგნები ყოველ საათობით ძვირდებოდა. სპეკულაციამ აშკარა ძარცვა-გლეჯის საზიზღარი ფორმა მიიღო. პური სრულიად მიუწვდომელი ხდებოდა მუშათა და მოსამსახურეთათვის. მომარაგების სამინისტრო პურის ნაცვლად მოსახლეობას რაღაც სრულიად უვარგის სუროგატს აწვდიდა.

„ხალხთა მასებისა და, განსაკუთრებით კი, ქალაქის მშრომელი მოსახლეობის სიღატაკემ და შიმშილმა, — სწერდა გაზ. „კომუნისტ გრუზია“, — უმაღლეს წერტილს მიაღწია... შიმშილისა და სიცივის მსახვრელი ხელი უკვე მუშათა კლასის ყელს შემოხვევია... წინ კი ჯერ კიდევ გრძელი ზამთარია მთელი თავისი საშინელებით. წინ მოსჩანს ქართული ბონების ფასის კიდევ უფრო დაცემა, პირველი მოთხოვნილების საგნების რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება და, მაშასადამე, თანდათან მზარდი სიძვირე, ფასების გააფთრებული თამაში, შავბნელი სასოწარკვეთილება და სრული უიმედობა პირდაღებული უფსკრულის წინაშე“ [2].

მენშევიკები შეჰპირდნენ მუშებს პურის ულუფის გადიდებას, ბინების მიცემას, ხელფასის ნატურით გასტუმრებას, შრომის ბეგარის შემოღებას არამშრომელი ელემენტებისათვის და სხვ. მაგრამ... სოციალდემოკრატიის სიტყვასა და საქმეს შორის უდიდესი წინააღმდეგობა არსებობდა. არც ერთი თავისი დაპირება მენშევიკებს არ შეუსრულებიათ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ 11 ნოემბერს პროფკავშირთა საბჭომ, შრომის სამინისტროსთან ერთად, შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა:

„რადგან რესპუბლიკის საზღვრებთან სამხედრო დროის პირობები შეიქმნა და ჩვენს რესპუბლიკას განადგურებით ემუქრება, რადგან ამ პირობების მოსასპობად საჭიროა რესპუბლიკის ყველა ცოცხალი ძალების ჩაყენება სამხედრო დროის პირობებში, ხოლო ამისათვის საჭიროა დიდი ფინანსიური საშუალებანი და სასურსათო მარაგი, აღმასრულებელი კომიტეტისა და სამდივნოს გაერთიანებულ სხდომას საჭიროდ მიაჩნია მოხსნას დღისწესრიგიდან საკითხი მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ [3].

შემთხვევითი როდია, რომ 1920 წ. შემოდგომას საქართველოში ახასიათებს მწვავე შინაპოლიტიკური კრიზისი. კლასობრივი წინააღმდეგობანი საქართველოში უკიდურესად გაშიშვლდა. დემოკრატიული ტყუილები თანდათან უფრო მეტად ვლინდებოდა და გავლენას ჰკარგავდა მასებს შორის. მტრო-

---

[1] გაზ. „ერთობა“, № 275, 1920 წლის 2 დეკემბერი.

[2] „კომუნისტ გრუზია“ № 41, 1920 წლის 5 დეკემბერი.

[3] ეურნ. „ეელეზნოდოროვნიკ“ № 42, 1920 წ.

ბისა და სიძულვილის გრძნობა ბურჟუაზიულ-მემამულური კლასებისა და მენშევიკური პარტიისადმი თანდათან უფრო ღრმავდებოდა და ვრცელდებოდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელთა ფართო მასებში.

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა II ინტერნაციონალის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ: ვანდერველდე, მაკდონალდი, ტ. შოუ, დებრუკერი, ინგელსი და სხვ.. აქვე ჩამოვიდა აგრეთვე II ინტერნაციონალის თვით პატრიარქი და თეორეტიკოსი, ბურჟუაზიის ლაქია — კ. კაუცკი. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო განემტკიცებინათ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და შემდეგ ინფორმაცია მიეწოდებინათ მთელი ქვეყნისათვის, რომ სოციალდემოკრატიის მართველობით საქართველო უბედნიერეს ქვეყანას წარმოდგენს მთელს დედამიწაზე. მაგრამ ყველა ამ გარემოებას მაინც არ შეეძლო მშრომელი მასების მოტყუილება და გაკოტრებული ქართველი მენშევიკების ხსნა.

პროლეტარიატის დიქტატურის უბოროტესმა მტერმა კ. კაუცკიმ ევროპაში დაბრუნებისას ბროშურა დასწერა მენშევიკური საქართველოს შესახებ, სადაც ის ქებათა-ქებას ასხამდა „ერთ სოციალდემოკრატიულ გლეხურ რესპუბლიკას“, მაგრამ თავის წერილებში ის მაინც იძულებული იყო აღენიშნა: „სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენო“ [1].

უდიდეს და გამოუვალ კრიზისს განიცდიდა თვით მენშევიკური პარტია.

მენშევიკური პარტიის უკვე დიდი ხნის წინათ დაწყებული რღვევის პროცესმა, რომლის შესახებაც მენშევიკები იძულებულნი იყვნენ ელაპარაკნათ თავიანთ დახურულ კრებებზე (მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ 1920 წლის 22 მარტის ოქმზე), 1920 წლის შემოდგომაზე უმაღლეს წერტილს მიაღწია.

აი რას სწერდა, მაგალითად, მენშევიკური პარტიის გახრწნის შესახებ ბოლშევიზმის ერთერთი დაუძინებელი მტერი ვ. ჯუღელი:

„ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ და პარტია კი გვენგრევა. და რაც უფრო ინგრევა პარტია, რაც უფრო ნელდება და კვდება პარტიული მუშაობა, მით უფრო ინგრევა სახელმწიფო...

დროა ამ საშინელ გულგრილობას, ამ წარმოუდგენელ პარტიულ თვითმკვლელობას და სახელმწიფოებრივ დანაშაულს ბოლო მოეღოს.

დღეს ჩვენ ხშირად უნებლიედ ვივიწყებთ მუშის პირდაპირ ინტერესებს...

დღეს ჩვენ ყველამ ცოტცოტა აღვირი წავიხსენით და თავისუფალ ჯირითს შევეჩვიეთ...

დღეს ჩვენ ყველანი გავიძახით საერთო გაჭირვებაზე, მაგრამ სრულიად არ გვაქვს ნათელი წარმოდგენა იმ აუტანელ ჯოჯოხეთზე, რომელშიაც ნადგურდება მუშათა კლასი“ [2].

---

[1] ციტატა მოყვანილია ე. იაროსლავსკის წიგნიდან — „ტრეტია სილა“, გვ. 56.

[2] გაზ. „ერთობა“ № 275, 1920 2 დეკემბერი.

1920 წლის შემოდგომა მდიდარი იყო დიდი პოლიტიკური მოვლენებით. საბჭოთა რუსეთმა ამ დროს ომი დაამთავრა და პოლონეთთან ზავი შეჰკრა. ვრანგელის დამარცხებით საბოლოოდ განადგურდნენ რუსეთის კონტრრევოლუციის შეიარაღებული ძალები.

1920 წლის აპრილში, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა აზერბაიჯანში. 29 ნოემბერს გამარჯვებით დამთავრდა ბოლშევიკური აჯანყება დაშნაკური მთავრობის წინააღმდეგ სომხეთში. მენშევიკური საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებით გარემოცული აღმოჩნდა.

1920 წლის ნოემბერში ბოლშევიკურმა პარტიამ გაიმარჯვა საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირში, სადაც ამ დრომდე მენშევიკები ისეთი გავლენით სარგებლობდნენ, რომ ეს კავშირი თავიანთ „სამკვიდრო მამულდედულად“ მიანჩდათ. 14 ნოემბერს, კავშირის გამგეობის გადარჩევის დროს, ახალი გამგეობა მთლიანად ბოლშევიკური აღმოჩნდა. არჩეული გამგეობა მენშევიკებმა სხვადასხვა საბაბით არ დაამტკიცეს და 22 ნოემბრისათვის ახალი არჩევნები დანიშნეს. ამ დროს მენშევიკებმა მოახდინეს მთელი თავიანთი ძალების მობილიზაცია. ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდა მენშევიკების, დაშნაკელების, სოციალ-ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატების ბლოკი. კრების დარბაზში დაშვებულ იქნა ბევრი ისეთი პირი, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირთან. კრების ადგილი გარშემორტყმული იყო განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლებით. ბლომად იყვნენ აგრეთვე განსაკუთრებული რაზმის წევრები თვით კრების დარბაზშიაც.

მენშევიკური ორატორები ჩვეულებისამებრ მეტად ბოროტ დემაგოგიას მიმართავდნენ და საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. არც ერთ ბოლშევიკურ ორატორს არ აძლევდნენ თავისი აზრის გამოთქმის საშუალებას. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ხმების დათვლის დროს აღმოჩნდა, რომ ბლოკის 262 ხმის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა მაინც 261 ხმა მიიღეს.

„ამ მომენტში, — როგორც გაზ. „კომუნისტ გრუზიი“ აგვიწერს, — კრების თავმჯდომარესთან ცხადდება დაგვიანებით მოსული მუშა და სთხოვს მას მისცეს ხმის მიცემის შესაძლებლობა; მას სიამოვნებით აძლევენ ყვითელი ბლოკის დაბეჭდილ № 1 ბლანკს, მაგრამ მუშა ართმევს თავის ამხანაგს № 2 სიას და ხმას აძლევს კომუნისტებს. მენშევიკების თავმჯდომარისა და ბლოკისტებისათვის ხდება ახალი სკანდალი, რომლისაგან გამოსავალსაც თავმჯდომარე პოულობს თავის პროვოკატორულ განცხადებაში, რომ ხმის მიმცემი მუშა „არაპატიოსნად“ მოიქცა. ამის შედეგად ბლოკის რიგებიდან გამორბის ერთი ბრგე მენშევიკი და ჩვენი

ამხანაგისათვის სახეში დემოკრატიული მუშტის გარტყმით ფიქრობს გამოასწოროს მენშევიკების და ძმათა მათთა უიმედო საქმე!"[1].

მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ტრამვაის მუშებშიაც. გაფიცვისა და მუშათა აშკარა გამოსვლების თავიდან ასაცილებლად მენშევიკები სისტემატურად აპატიმრებდნენ და ითხოვდნენ ყველა მუშას, რომელსაც ბოლშევიკობას შესწამებდნენ. მაგალითად, 12 ნოემბერს ტრამვაის პარკში დათხოვნილ იქნა 67 საუკეთესო მუშა, რომელთა ერთადერთი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ბრალს სდებდნენ ბოლშევიკების თანაგრძნობაში.

1920 წლის შემოდგომისათვის საქართველოს, ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს თავისი გავლენის კიდევ უფრო გაძლიერებას რკინიგზელთა შორის და დიდი მუშაობის შედეგად პარტიულ მუშაობაში ჩააბეს რკინიგზის მუშათა უფრო მოწინავე და კლასობრივად შეგნებული ელემენტები. რადგან მენშევიკები გრძნობდნენ თავის უძლურებას და არ შეეძლოთ გაეჩაღებინათ ბრძოლა ბოლშევიკების თანდათან უფრო გაძლიერებულ გავლენასთან, ისინი განაგრძობდნენ რკინიგზაზე ბოლშევიკებთან ბრძოლის თავისი საყვარელი მეთოდის გამოყენებას — შტატის შემცირების საბაბით უფრო ენერგიული და მაღალი კვალიფიკაციის მუშა-ბოლშევიკების დათხოვნას.

შემოდგომაზე ბოლშევიკურმა პრესამ გამოამჟღავნა რკინიგზელთა კავშირის ცენტრალური გამგეობისა და რკინიგზის სასურსათო კომიტეტის დიდი პოროტმოქმედება.

მაშინ როცა მუშები უკიდურეს სიღატაკემდე მივიდნენ და შიმშილით სულს ღაფავდნენ, რკინიგზელთა კავშირისა და სასურსათო კომიტეტის სათავეში მყოფთ ნისიად მიჰქონდათ დიდძალი დეფიციტური საქონელი და სასურსათო პროდუქტები ყოველგვარი კონტროლის გარეშე. სასურსათო საწყობში აშკარად ხდებოდა საქონლის ტაცება და სპეკულაცია. ქურდობაში დაჭერილ და ბოლშევიკური პრესის მიერ მხილებულ მენშევიკებს, მიუხედავად ყოველგვარი ხრიკებისა, უკვე აღარაფრით აღარ შეეძლოთ თავის გამართლება მუშათა წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ გახრწნილობა, ქურდობა, ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, ხაზინის გაქურდვა და მშრომელი მასებისაგან მოწყვეტა მენშევიკურ საქართველოს მთელი სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო ორგანოების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა.

იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა ამ დროს რკინიგზელთა შორის და როგორ გაიტეხეს საბოლოოდ სახელი მენშევიკებმა მუშების თვალში, ჩვენ ვპოულობთ „კომუნისტ გრუზიის" ფურცლებზე:

„შიმშილისაგან სასოწარკვეთილებამდე მისულმა მუშებმა, — სწერდა გაზეთი, — მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში 2 დეკემბერს დილის 8 საათიდან ხელი აიღეს სამუშაოზე და სურდათ მიტინგი მოეწყოთ. პროფკავშირის თავმჯდომარემ წინადადება მისცა მუშებს დაშლილიყვნენ, რადგან, — ამბობდა ის, — მუშების ასეთი მოქმედება აძლიერებს

[1] „კომუნისტ გრუზიი" № 31, 1920 წ. 25 ნოემბერი.

ნგრევას და სცემს ხელისუფლების პრესტიჟსო. მაგრამ მუშებმა მას ყურადღება არ დაუგდეს და აბუჩად აიგდეს იგი. პროფკავშირის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ მიტინგი. მიტინგზე მუშებისათვის მოულოდნელად გამოცხადდნენ ბ. ბ. ჯუღელი, დევდარიანი და სხვ. დევდარიანს სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ სხვადასხვა წამოძახილებით, რადგან მისი ტკბილი სიტყვები ვერაფრად დამაიმედებელი იყო მოტყუებულ მუშათათვის, რომელთაც შეჰპირდნენ, რომ 10 ნოემბრამდე ცოტათი მაინც გაუუმჯობესებდნენ მატერიალურ მდგომარეობას" [1].

უწევდა რა ანგარიშს რკინიგზელ მუშათა განწყობილებას, რკინიგზელთა კავშირის ცენტრლური გამგეობა ვერ ბედავდა მოეწვია დეკემბრის დასაწყისისათვის დანიშნული რკინიგზის მოსამსახურეთა, ოსტატთა და მუშათა მე-3 სადელეგატო ყრილობა. ეს ყრილობა მენშევიკებმა მოიწვიეს მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, როცა უკვე წინასწარ დაპატიმრებულ და მეტეხში მოთავსებულ იქნენ კომუნისტები და უფრო აქტიური მუშები. თვით ყრილობა მენშევიკებმა ჩაატარეს ნახევრად-კონსპირატიულად, ისე, რომ არ გაუშუქებიათ მისი მუშაობა პრესაში და, რა თქმა უნდა, არ დაუშვიათ კომუნისტების გამოსვლა კრებებზე.

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოს კომუნისტურმა (ბ) პარტიამ, განაგრძო რა წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების ლოზუნგის პროპაგანდა, წამოაყენა დებულება, რომ მუშათა კონტროლი დაწესებულიყო არა მარტო ცალკეულ ქარხნებსა და ფაბრიკებში, არამედ სახელმწიფოებრივი მასშტაბითაც. მუშათა კონტროლის ნამდვილი განხორციელებისათვის ბოლშევიკები წინადადებას აძლევდნენ მუშათა კლასს შეექმნა „შესაფერი და საიმედო ორგანო, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა საკონტროლო კომისიების მუშაობა და ხელმძღვანელობა გაეწია მათთვის". ასეთ მაღალავტორიტეტულ და ხელმძღვანელ ორგანოდ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მუშათა დეპუტატების საბჭო, და, ცხადია, არა ის საბჭოები, რომლებიც მენშევიკების დროს არსებობდნენ და რომელთაც, არსებითად, დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა. ბოლშევიკები აყენებდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ „აერჩიათ მუშათა დეპუტატების ახალი საბჭო, რომელიც განახორციელებდა კონტროლს პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე", ისეთი რევოლუციური საბჭო, რომელიც მუშათა ნამდვილი კლასობრივი ინტერესების გამომხატველი იქნებოდა.

სრულიად გასაგები მოსაზრებით მენშევიკებმა გადაჭრით გაილაშქრეს როგორც მუშათა კონტროლის ლოზუნგის, ისე მუშათა დეპუტატების ახალი საბჭოს არჩევის წინააღმდეგ. მენშევიკებმა კვლავ დაუწყეს მუშებს იმის მტკიცება, რომ ლოზუნგი მუშათა კონტროლის შესახებ — ეს მხოლოდ ბოლშევიკური დემაგოგიაა, რომ კონტროლი განუხორციელებელია და რომ იგი მრეწვე-

[1] „კომუნისტ გრუზიი" № 43, 1920 წლის 8 დეკემბერი.

ლობას საბოლოოდ დაანგრევს და მუშის ცხოვრებას ფაბრიკა-ქარხნების დაუსრულებელ ომად გადააქცევს. მუშათა კონტროლის განხორციელების ნაცვლად, მენშევიკები მუშებს თვალთმაქცურად აძლევდნენ წინადადებას: „დახმარებოდნენ მთავრობას მუშათა მომარაგების საქმეში“.

„არა, ბატონო მენშევიკებო, — სწერდა ამის შესახებ გაზ. „კომუნისტ გრუზიი“, — ამგვარი მოწოდებით საქმეს ვერ უშველით, ვიდრე მეპატრონეებს ყველა ჯურისა და რანგის სპეკულანტები წარმოადგენენ. მხოლოდ საქმის თავის ხელში აღებით შესძლებს საქართველოს მუშათა კლასი გადაირჩინოს თავი და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ამისათვის კი საჭიროა მუშათა კონტროლი, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს ახლად არჩეული მუშათა საბჭო.

ვინც ამის წინააღმდეგია, ის წინააღმდეგია მუშებისაც“ [1].

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა სასტიკად გაილაშქრეს მუშათა კონტროლის წინააღმდეგ, ბრძოლა ხსენებული კონტროლისათვის ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენით ქვედა ფენებიდან დაიწყო და ამ ლოზუნგს ფართოდ გამოეხმაურნენ მუშათა მასები.

თვით ისეთმა ხელოსნურმა პროფკავშირმა, როგორიც „ნემსის პროლეტარების“ კავშირი იყო, 20 ოქტომბერს თავის საერთო კრებაზე შემდეგი მოთხოვნა წამოაყენა:

„ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაწესდეს წარმოებაზე ამავე საწარმოს მუშათა უშუალო კონტროლი იმ მიზნით, რომ ნორმირებულ იქნას მეპატრონეებისა და კაპიტალისტების მოგება და მოწესრიგდეს ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებსა და პროდუქტებზე“ [2].

მუშათა კონტროლის დაწესებას და მუშათა დეპუტატების საბჭოების არჩევას მოითხოვდნენ აგრეთვე მელითონეები და სხვ.. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის პროლეტარიატის გამოსვლას, რომელმაც გადასწყვიტა მუშათა კონტროლი დაეწესებინა წარმოებაზე მუშათა დეპუტატების საბჭოს საშუალებით.

ბოლშევიკური გაზეთი „კომუნისტ გრუზიი“, აღნიშნავდა რა ჭიათურის უდიდეს მნიშვნელობას წარსულ რევოლუციურ მოძრაობაში, სწერდა:

„ჭიათურა ახლა კვლავ იღვიძებს, მუშა უფრო რევოლუციონერდება. მუშათა კონტროლის შემოღება მარგანეცის გაზიდვაზე — ეს პირველი ეტაპია რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა ჭიათურაში, რაც, შეიძლება, რევოლუციურ ხანძრადაც გადაიქცეს“ [3].

მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ბოლშევიკურმა გავლენამ საქართველოს მუშათა კლასში 1920 წლის დასასრულისათვის განვითარების

---

[1] „კომუნისტ გრუზიი“ № 47, 1920 წლის 12 დეკემბერი.

[2] „კომუნისტ გრუზიი“ № 24, 1920 წლის 15 დეკემბერი.

[3] „კომუნისტ გრუზიი“ № 1, 1920 წლის 20 ოქტომბერი.

უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს უდავო იყო ბოლშევიკური პარტიის თვით უაღრესად შეურიგებელი მტრებისთვისაც კი. აი, მაგალითად. რას სწერდა ამის შესახებ თავისი ღვარძლის დაუფარავად ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“:

„ბოლშევიკურმა მუშაობამ ჩვენში ფართო ხასიათი მიიღო. არსებული მთლიანი ფრონტი (მხედველობაში მიღებულია ყველა კონტრრევოლუციური პარტიების მთლიანი ფრონტი. — გ. ხ.) გაიბზარა. შიგნით ბოლშევიკური ძალების ზრდა, გარედან მათი სრული ბატონობა. ასეთია მდგომარეობა, რომელშიაც მოექცა საქართველო“ [1].

მეორე გაზეთი — „გრუზია“ ამავე დასკვნას იმეორებს:

„არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, — სწერს იგი, — რომ ჩვენს პროფესიულ კავშირებში გზას იკაფავს ფარულად რუსეთის ბოლშევიზმი, რომელიც ჩვენ ნაციონალური დაღუპვით გვემუქრება“ [2].

ბურჟუაზიულ-მემამულური კლასის ყველაზე ფრთხილმა და ფხიზელმა წარმომადგენლებმა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოების შიშით 1920 წლის ოქტომბრიდან იწყეს საქართველოდან თავიანთი კაპიტალებით ევროპაში გახიზნვა.

ქალაქებში გაძლიერებული მუშათა მოძრაობის გავლენით და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რევოლუციური ამბები მწიფდებოდა აგრეთვე სოფლებშიაც. გლეხთა მასები კვლავ მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსასვლელად. რომ დაემხოთ ბურჟუაზიულ-მემამულური დიქტატურა და რევოლუციური გზით გაენადგურებინათ მენშევიკების დროს შენარჩუნებული მემამულური მიწათმფლობელობა და სოფლად დარჩენილი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები.

ამავე ხანებში გამოირკვა აგრეთვე, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკებს არც ჯარზე დაყრდნობა შეეძლოთ.

მთავრობის მიერ მოწვეულ სპეციალურ საიდუმლო თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის უფრო ერთგული ცალკეული ჯარის ნაწილების მეთაურები და რომელზედაც მენშევიკებს სურდათ გამოერკვიათ, თუ როგორი იყო ჯარის სულიერი განწყობილება, ან შეიძლებოდა თუ არა იმედის დამყარება ჯარზე საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, გამოირკვა შემდეგი: ჯარის უფროსებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ქართველი ჯარისკაცები არავითარ შემთხვევაში არ იბრძოლებენ წითელი არმიის წინააღმდეგ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ აშკარად სჩანს ისიც, რომ წითელ არმიასთან ბრძოლაში არ შეიძლებოდა იმედის დამყარება არც სახალხო გვარდიაზე, რომელიც მენშევიკებს თავიანთ „საიმედო დასაყრდენად“ მიაჩნდათ [3].

---

[1] „საქართველო“. 1920 წლის 7 დეკემბერი.

[2] „გრუზია“, 1920 წლის 30 ნოემბერი.

[3] ცნობები ამ თათბირის შესახებ დაბეჭდილია ჟურნ. „რევოლუციის მატიანეს“ 1924 წლის 4 — 5 №-ში, გვ. 397.

ურთიერთ განწყობილება მენშევიკებსა და ნაციმცირესობათა მშრომელ მასებს შორის (აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ-ოსეთში) კვლავ მტრული და შეურიგებელი იყო.

მენშევიკები 1921 წლის დასაწყისში დაგვიანებულ ღონისძიებათა საშუალებით შეეცადნენ ოდნავ მაინც შეესუსტებინათ მშრომელი მასების მტრული განწყობილება მათდამი. მაგალითად, მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე 1921 წლის 6 იანვარს დირექტივა მისცა მიწათმოქმედების სამინისტროს სასწრაფოდ გადაეცა ერობისათვის ზუგდიდის მაზრაში თავ. მინგრელსკის უდიდესი ქონება[1]. ორი დღის შემდეგ მენშევიკების

სულიერი განწყობილება საქართველოს მთავრობის ჯარებში 1920 წლის შემოდგომისათვის დღითი-დღე უარესდებოდა.

მაგალითად, მე-7 ლეგიონში, რომელიც ყველაზე უფრო საიმედოდ და მტკიცედ ითვლებოდა, უეცარი გარდატეხა მოხდა: ამ ლეგიონის მესამე ათასეული, რომელიც აზერბაიჯანის საზღვრებზე იყო გაგზავნილი ჯარისკაცებში აშკარა მღელვარების დაწყების გამო, დაბრუნებულ იქნა ტფილისში. გენერალ-მაიორმა ქუთათელაძემ განკარგულება გასცა იმის შესახებ, რომ გზაში ეშელონს არავინ ჩამოშორებოდა ტფილისისაკენ დაბრუნების დროს. ჯარისკაცები მეთაურს იარაღით ემუქრებოდნენ. გზაზე ჯარისკაცები თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ და ტფილისში გუნდები 30 — 40 კაცის შემადგენლობით ჩამოვიდნენ (საარქივო ფონდი სამხედრო მისიის წარმომადგენლისა საქართველოში არსებულ რსფსრ-ის ელჩისასთან № 71. საქმე № 1, ფურც. 167 — 8).

დეზერტირობამ არმიაში კატასტროფული ხასიათი მიიღო. მთავრობის დეკრეტებმა და ჯარის უფროსთა მიერ გამოცემულმა ბრძანებებმა ვერ შეამცირეს ჯარიდან გაქცევა. ადმინისტრაციას ქალაქებსა და სოფლებში აუარებელი საქმე ჰქონდა დაგროვილი ჯარიდან გაქცევის შესახებ. ჯარებში საგრძნობლად გაძლიერდა კომუნისტური პროპაგანდა. ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ განსაკუთრებით სათადარიგო ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. აჭარაში აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედების დროს ქართული ჯარის ნაწილებმა დამარცხება განიცადეს, რადგან ჯარისკაცებმა საბრძოლო ბრძანება არ შეასრულეს. ზაქათალის ფრონტზე, ზაქათალის დაკავების შესახებ ბრძანების გაცემის შემდეგ, სათადარიგო ჯარისკაცები შეიკრიბნენ მიტინგზე და დაადგინეს არ შესულიყვნენ ზაქათალაში იქ მოსალოდნელი საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგოდ, რომელთაც ისინი ძმებს უწოდებდნენ. ამის გამო მენშევიკებმა დაშალეს მე-3 ათასეული და დახვრიტეს 11 ჯარისკაცი და სხვ. (იქვე, გვ. 91).

საქართველოში რსფსრ დიპლომატიურ მისიასთან სამხედრო წარმომადგენლის 1920 წ. 24 ნოემბრის მოხსენებაში ეკითხულობთ:

„30 ნოემბერს მიღებული ცნობების მიხედვით გაუწყებთ შემდეგს: ქალაქ ქუთაისში სდგას ფრონტელებისაგან შემდგარი 1-ლი ქვეითი პოლკი. განწყობილება ჯარისკაცებს შორის მკვეთრად გამოხატული რევოლუციურია. დამოკიდებულება მეთაურთა შემადგენლობის მიმართ დაძაბულია... ფრონტზე წასვლა არ სურთ. 16 ოქტომბერს საღამოთი მთელი გვარდია დავითხოვეთ. 17 ოქტომბერს მოხდა ქუთაისის პედაგოგების დემონსტრაცია ჯამაგირის სიმცირით გამოწვეული შიმშილობის ნიადაგზე. ისმოდა წამოძახილები: „ძირს მთავრობა“, „ძირს ბურჟუაზიული დემოკრატია“. მათ მხარი დაუჭირეს მუშათა წარმომადგენლებმა... ყვირილაში გვარდია ორი დღე ღელავდა, ხოლო რიონში, ორიოდე საათით შეკრების შემდეგ, დაშალნენ და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, რასაც ისინი თბილისადგომების უქონლობით ასაბუთებდნენ“ (იქვე).

[1] მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 6 იანვრის ოქმი.

ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანა — მოუმატოს თვითეულ მუშასა და მოსამსახურეს ნახევარი გირვანქა პური. ბოლოს, მენშევიკებმა გადასწყვიტეს წასულიყვნენ ისეთი ღონისძიების განხორციელებაზედაც კი, როგორიც არის არსებული ხელფასის გადიდება 100%-ით. მაგრამ ასეთ ღონისძიებებს უკვე აღარ შეეძლო ბადაერჩინა დასაღუპავად განწირული მენშევიკური მთავრობა. მაგალითად, ბეკდვითი საქმის მუშებმა აშკარად განაცხადეს, რომ დაწესებული მომატება მათ სრულიადაც არ აკმაყოფილებს.

თუ როგორი იყო მუშათა სულიერი განწყობილება, ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ აგრეთვე ელექტრონზე მომუშავეთა კავშირის მიერ ტფილისში 1921 წლის 31 იანვარს მოწვეული მუშათა კომიტეტების კონფერენციიდანაც.

როცა მომხსენებელმა კონფერენციაზე სთქვა: საჭიროა გამოკვლეული იქნას მუშათა ცხოვრების პირობებიო, სხდომაზე დამსწრე მუშათა კომიტეტების წარმომადგენელებმა ხმამაღლა განაცხადეს:

„საჭიროა გამოკვლეულ იქნან არა მუშები, არამედ ბურჟუაზია, რომ გავიგოთ რამდენად აუცილებელია მისი მადისათვის საზღვარის დადება, რომ მუშებმა უკეთესად იცხოვრონო“ [1].

* * *

ქართველმა მენშევიკებმა უკანასკნელ ზომებს მიმართეს, რათა გაეძლიერებინათ საქართველოში ყოვლად განუსაზღვრელი ძალადობა და აშკარა ტერორისტული დიქტატურა, და ამავე დროს ყოველგვარი ზომები იხმარეს იმისათვის, რომ შეიარაღებული დახმარება მიეღოთ დასავლეთის იმპერიალისტებისაგან და, ამასთან ერთად, განეგრძოთ გაძლიერებული დახმარების აღმოჩენა რუსეთის კონტრრევოლუციისათვის საბჭოთა რესპუბლიკებთან ბრძოლაში.

არ კმაყოფილდებოდნენ რა იმით, რომ საქართველოდან მენშევიკური მთავრობის გულთბილი დახმარებით საუკეთესო მებრძოლნი იგზავნებოდნენ ყირიმში, მენშევიკები მთელი 1920 წლის განმავლობაში განაგრძობდნენ ვრანგელის ჯარის მომარაგებას იარაღით, უუმბარებით, ქვანახშირით, ნავთით, საავიაციო ბენზინით, სამანქანო ზეთით და სხვ. მენშევიკების როლი ვრანგელის იარაღით მომარაგების საქმეში იმდენად დიდი იყო, რომ ამის შესახებ თვით ლოიდ-ჯორჯმაც კი საჭიროდ დაინახა ინფორმაცია მიეწოდებინა ინგლისის პარლამენტისათვის. 1920 წლის 21 ნოემბრის გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნში“ დაბეჭდილი იყო ოფიციალური დეპეშა, რომელიც იუწყებოდა: „ინგლისის პარლამენტში ლოიდ-ჯორჯმა დეპუტატის შეკითხვაზე განაცხადა, რომ საქართველო ვრანგელს იარაღით ამარაგებსო“.

1920 წლის გაზაფხულზე ვრანგელმა დესანტი გადმოსხა ჩრდილოეთ-კავკასიაში. თეთრი რაზმები გაერთიანდნენ „რუსეთის აღორძინების არმიის სახით გენ. ფოსტიკოვის უფროსობით. წითელი არმიის ნაწილების მიერ

[1] „რაბოჩაია ჟიზნ“ № 2, 1921 წ.

განადგურებული „რუსეთის აღორძინების არმია“ 9 ოქტომბერს მენშევიკებმა შემოუშვეს საქართველოს ტერიტორიაზე და მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკში გაგრიდან 16 კილომეტრის მოშორებით. მიუხედავად საქართველოში მყოფი რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გაფრთხილებისა და სასტიკი პროტესტისა, მენშევიკებმა ოქტომბერში შესაძლებლობა მისცეს გენ. ფოსტიკოვს 6 ათასი ყაზახით წასულიყო ყირიმში ვრანგელის გემებით. საბჭოთა ჯარების მიერ ვრანგელის განადგურების შემდეგ, მისი არმიის ნაშთების თავშესაფარად. მენშევიკების თანხმობით, პირველად დასახული იყო საქართველო. ამ მიზნით ვრანგელის საავიაციო ფლოტიც კი გამოემართა საქართველოს ნავსადგურებისაკენ — ფოთისა და ბათომისაკენ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, შეცვლილ იქნა მხოლოდ უკანასკნელ მომენტში და ვრანგელის თავშესაფარად ანტანტამ სტამბოლი დანიშნა.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულებისა, საქართველო 1920 წელსაც კვლავ რუსეთის კონტრრევოლუციის ბაზას წარმოადგენდა.

საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფარი და დახმარება ჰპოვეს: ეგრეთწოდებულმა „მთიელთა მთავრობამ“, „მთიელთა და თერგის ყაზახთა დამხმარე კომიტეტმა ბოლშევიკებისაგან მათი განთავისუფლების საქმეში“, „ჩრდილოეთ-კავკასიის საემიროს“ წარმომადგენლებმა, მუსავატელთა მთავრობამ, დენიკინის თვალსაჩინო მოღვაწეებმა და სხვ.. ესენი თავისუფლად აწყობდნენ საქართველოში აჯანყებულთა თეთრ რაზმებს, რომლებსაც შემდეგ აიარაღებდნენ და გზავნიდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი მუშაობისა და კონტრრევოლუციური აჯანყებისათვის.

„... ყუბანის (რადა), აზერბაიჯანისა (მუსავატი) და სხვა კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა სტუმართმოყვარული თავშესაფარი ჰპოვეს საქართველოში, საიდანაც მათ შეეძლოთ მუდმივ აჯანყებათა მოწყობა და მათი ხელმძღვანელობა მთელს საბჭოთა კავკასიაში.

კავკასიაში აღმოჩენილი კვალი ყველა შეთქმულობათა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიოდა ტფილისსა და ქუთაისში. ამავე დროს ქართულ პრესაში და მათ შორის ოფიციალურსა და ოფიციოზურ ორგანოებშიაც პროპაგანდა სწარმოებდა... საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად აზერბაიჯანსა და კავკასიის სხვა ნაწილებში. მაგრამ ეს ცოტაა, საქართველოს მთავრობა და მისი უაღრესად პასუხისმგებელი აგენტები, როგორც, მაგალითად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში. უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ შეთქმულობის საქმეებში“ [1].

1920 წლის შემოდგომაზე ინგლისის დიპლომატიურ წრეებსა და მენშევიკურ პრესაში აშკარად შეუდგნენ ქ. ბათომის ინგლისელებისათვის გადაცემის საკითხის განხილვას. ამის განხორციელებას ფიქრობდნენ სამხედრო

[1] „რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, გვ. 57—58, რსფსრ საგარეო საქმეთა სახკომისარიატის გამოცემა.

ოკუპაციის საბაბით, რათა ამით უზრუნველეყოთ საქართველოს მიერ თავისი ვალების გადახდა, ანდა პორტოფრანკოს შემოღების სახით ბათომში [1].

ბათომის — შავიზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ამ საუკეთესო ნავსადგურის — ოკუპაცია ინგლისელების მიერ, არსებითად, ნიშნავდა ანტანტის მზადებას ახალი გალაშქრებისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკები დიდის ხალისით უთმობდნენ ბათომს ინგლისელ იმპერიალისტებს აგრეთვე იმიტომაც, რომ ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ გამკლავებოდნენ აქ ბოლშევიკურ მოძრაობას. საბჭოთა მთავრობამ სასტიკი პროტესტი განაცხადა ინგლისელებ.ს მიერ ბათომის უკვე განზრახული დაკავების წინააღმდეგ და უშუალოდ მიმართა ინგლისისა და საქართველოს მშრომელთა მასებს. ამასთან ერთად, საბჭოთა რუსეთი თავდაცვის მიზნით იძულებული იყო გაეძლიერებინა თავისი სამხედრო ნაწილები ჩრდილოეთ-კავკასიაში. 1920 წლის დეკემბრის დამდეგს ტფილისში ჩამოვიდა საფრანგეთის „უზენაესი კომისარი“ — ა. შევალიე, ხოლო ბათომში — საფრანგეთის ადმირალი — დიუმენილი. 16 დეკემბერს ა. შევალიემ, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, დიპლომატისათვის იშვიათი გულახდილობით განაცხადა, რომ მთელი მსოფლიოს ინტერესი მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას სომხეთსა და აზერბაიჯანში, და იქვე აღუთქვა საქართველოს შეიარაღებული ძალით დახმარება, თუ ამ ქვეყნის შიგნით რევოლუცია მოხდებოდა ან თვით საქართველო „გარეშე მტრის თავდასხმის საგნად გახდებოდა“.

ამხელდა რა ანტანტის კონტრრევოლუციურ მოღვაწეობას და მის მისწრაფებას კავკასიაში გამაგრებისადმი, დიდი სტალინი 1920 წ. ნოემბერში ამბობდა:

> „... კავკასიის დიდი მნიშვნელობა რევოლუციისათვის განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროს წარმოადგენს, არამედ იმითაც, რომ იგი მდებარეობს ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ რუსეთსა და თურქეთს შუა და რომ იქ არის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სტრატეგიული გზები (ბათომი — ბაქო, ბათომი — თავრიზი და ბათომი — თავრიზი — არზრუმი). ყოველივე ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელსაც, რაკი იგი ამჟამად ჰფლობს სტამბოლს, შავი ზღვის ამ გასაღებს, — სურს შეინარჩუნოს პირდაპირი გზა აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიაზე გავლით. მთელი საკითხი ის არის — ვინ განმტკიცდება ბოლოსდაბოლოს კავკასიაში, ვინ გამოიყენებს ნავთს და უმნიშვნელოვანეს გზებს, რომლებიც აზიის შუაგულისაკენ მიიმართებიან, — რევოლუცია თუ ანტანტა.

---

[1] მენშევიკური მთავრობის გადაწყვეტილება ბათომის ოლქის ინგლისელებისათვის გადაცემის შესახებ გამოტანილ იქნა 1920 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში (იხ. საარქივო ფონდი № 71, საქმე № 2-ა, 134: საქართველოში არსებული რსფსრ მისიის სამხედრო წარმომადგენლის მოხსენება).

მენშევიკური მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით. წინა მხარეს საქართველოს ფაქტიური გატონ-პატრონები — უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები

აზერბაიჯანის განთავისუფლებამ ანტანტის პოზიცია კავკასიაში საგრძნობლად შეასუსტა. ასეთივე შედეგები მოჰყვა თურქეთის ბრძოლას ანტანტასთან. მიუხედავად ამისა, ანტანტა გულს არ იტეხს და ობობის ქსელს აბამს კავკასიაში. ტფილისის კონტრრეოლუციური მუშაობის ბაზად გადაქცევა. აზერბაიჯანის, დაღესტნისა და თერგის ოლქის მთიელთა ბურჟუაზიული მთავრობების შედგენა, რა თქმა უნდა. ანტანტის სახსრებითა და ბურჟუაზიული საქართველოს დახმარებით. ქემალისტებთან ფლირტი და თურქეთის პროტექტორატით კავკასიის ხალხთა ფედერაციის შექმნის იდეის ქადაგება. სამინისტროს ოთურმა სპარსეთში, რასაც ანტანტა უწყობს ხელს, და სპარსეთის ავსება სიპაეებით, — ყოველივე ეს და მრავალი სხვა ამგვარი გარემოება იმას მოწმობენ, რომ ანტანტის ძველ მგლებს არ სძინავთ. უეჭველია, ერანველის განადგურების შემდეგ, ანტანტის აგენტების მუშაობა ამ მიმართულებით თვალსაჩინოდ გაძლიერდა და გაცხოველდა"[1].

---

[1] გაზ. „პრავდა", 1920 წ. 30 ნოემბერი. „მდგომარეობა კავკასიაში", საუბარი ამხანაგ სტალინთან.

ტფილისში საფრანგეთის „უზენაესი კომისრის“ ა. შეევალრესა და ბათომში ადმირალ დიუმენილის ჩამოსვლის შემდეგ შესამჩნევად გაძლიერდა მენშევიკების აგრესიული მოქმედება საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და რეპრესიები ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ საქართველოს შიგნით. საქართველოში ფაქტიური დიქტატორი გახდა შინაგან საქმეთა სისხლიანი მინისტრი ნ. რამიშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმი აღჭურვილ იქნა განუსაზღვრელი უფლებებით. ახლა უკვე დოკუმენტალურად არის დამტკიცებული, რომ საქართველოს საგანგებო რაზმსა და საფრანგეთის კონტრდაზვერვას შორის მჭიდრო კავშირი და კონტაქტი არსებობდა.

მენშევიკები რომ ყოველგვარი ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობდნენ, რათა დახმარება გაეწიათ საბჭოთა რესპუბლიკებისადმი მტრულად განწყობილი ძალებისათვის, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: საბჭოთა სომხეთი, დაშნაკელების მიერ, თურქეთთან დაწყებული განმანადგურებელი ომისა და აგრეთვე მოუსავლობის გამო, 1920 წლის გასულს უდიდეს შიმშილს განიცდიდა. სომხეთი შველას მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებისაგან მოელოდა. ერთადერთი რკინიგზის ხაზი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საქართველოზე გადიოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში სპეციალური მუხლი იყო შეტანილი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა მარშრუტების ტრანზიტს სომხეთში საქართველოს ტერიტორიაზე გავლით, მენშევიკებმა გადაჭრით უარი სთქვეს გაეტარებინათ პურის სამარშრუტო მატარებლები სომხეთის დამშეული მოსახლეობის გადასარჩენად.

ამავე დროს სომხეთიდან განდევნილი დაშნაკური მთავრობა, სხვა კონტრრევოლუციურ მთავრობებთან ერთად, ტფილისში იყო მოკალათებული და მენშევიკების დახმარებით ამზადებდა კონტრრევოლუციურ გადატრიალებას საბჭოთა სომხეთში.

საქართველოს მთავრობა ხელშეკრულების ძალით ვალდებული იყო დაებრუნებინა საბჭოთა რუსეთისათვის ვრანგელის გემები, რომლებიც საქართველოს ნავსადგურებში იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, მენშევიკებმა საშუალება მისცეს ამ გემებს წასულიყვნენ სტამბოლში. კერძოდ, საფრანგეთის ნაღმოსნების მფარველობით, ბათომის ნავსადგურიდან გატაცებულ იქნა სტამბოლში გემი „პრინციპი“.

მენშევიკებმა მიზნად დაისახეს საქართველოს კომუნისტური (ბ) პარტიის სრული განადგურება. დეკემბრის შუა რიცხვებში კვლავ დახურეს ყველა ბოლშევიკური გაზეთი და დააპატიმრეს მათი თანამშრომლები. მთელს საქართველოში აპატიმრებდნენ კომუნისტებს და კომკავშირელებს, რომელთაც ასობით გზავნიდნენ ქუთაისის საკატორღო ციხეში. საქართველოს მთავრობის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მან ყოველგვარი ბრალდების წაუყენებლად თვით საბჭოთა მისიის რამდენიმე თანამშრომელიც კი დააპატიმრა და ქუთაისის საკატორღო ციხეში გაგზავნა. რუსეთის საკონსულო ბათომში ისეთ პი-

რობებში იმყოფებოდა, რომ შემდეგში მისი ამგვარი არსებობა შეუძლებელი იყო. ბათომში მენშევიკებმა გაანადგურეს „ცენტროსოიუზის“ განყოფილება, დააპატიმრეს საბჭოთა კონსულის ცოლი, თავს დაესხნენ და გაძარცვეს საბჭოთა დიპლომატიური შიკრიკი და სხვ.

ასეთი ღონისძიებებით მენშევიკები აშკარად მიისწრაფოდნენ საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტისაკენ.

1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება მენშევიკებმა ფაქტიურად გააუქმეს. პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის მიმართ მენშევიკური მთავრობის ასეთი უსაზღვრო თავხედური მოქმედება და საერთაშორისო უფლების ელემენტარული წესების დარღვევა, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნებოდა, რომ მენშევიკები იმ საერთო გეგმის თანახმად მოქმედებდნენ, რომელიც იმ ხანებში უნდა განეხორციელებინათ ანტანტასა და რუსეთის კონტრრევოლუციას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებით.

ქართველ მენშევიკებს კონტაქტი ჰქონდათ საფრანგეთთან და ამიტომ მათ მშვენივრად იცოდნენ იმ ფართო კონტრრევოლუციური გეგმის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა პროლეტარიატის დიქტატურის დამხობას რუსეთში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ანტანტა, რუსეთის თეთრგვარდიულ ორგანიზაციებთან ერთად, სარგებლობდა საბჭოთა რუსეთის სიძნელეებით სამოქალაქო ომის ეპოქიდან მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის დროს და გაცხარებით ამზადებდა აჯანყებებს კრონშტადტში, ციმბირში, ვოლგის მხარეში და სხვ.. თავიანთ იმპერიალისტურ პატრონებთან ერთად ქართველი მენშევიკები სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დღეები რუსეთში დათვლილი იყო და იქ უახლოეს ხანში ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების რესტავრაცია მოხდებოდა.

ამნაირად, ქართველი მენშევიკები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ არსებული ერთიანი კონტრრევოლუციური ფრონტის პირდაპირ მონაწილეებსა და მოწინავე რაზმს წარმოადგენდნენ.

აძლევს რა შეფასებას მებრძოლ ქართულ მენშევიზმს მთელი მისი ისტორიის მანძილზე, ამხ. ლ. ბერია თავის შესანიშნავ წიგნში ამბობს:

> „თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები მხარს უჭერდნენ „ომს გამარჯვებამდე“, იბრძოდნენ ფინეთისა და უკრაინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების წინააღმდეგ, მთლიანი, განუყოფელი ბურჟუაზიული რუსეთისათვის.
>
> ქართველი მენშევიკები — ქართველი ხალხის ყველაზე საზიზღარი მოღალატეები და გამცემლებია. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მათ მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს, ისინი დაუკავშირდნენ ჯერ გერმანიის, ხოლო შემდეგ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს და, დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად, გადააქციეს ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევო-

ლუციის პლაცდარმად (მენშევიკების კავშირი დენიკინთან, ალექსეევთან და სხვა თეთრგვარდიელ გენერლებთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად).

ქართველი მენშევიკები — ქართველი გლეხობის ინტერესების ყველაზე გათახსირებული მოღალატეებია. ისინი იცავდნენ ქართველ თავადებს და აზნაურებს გლეხთა რევოლუციური აღშფოთებისაგან; ისინი ანადგურებდნენ გლეხთა რევოლუციურ აჯანყებებს სამეგრელოში, ვურიაში, ლეჩხუმში, კახეთში, სამხრეთ-ოსეთში, დუშეთისა და სხვა მაზრებში; ისინი იყვნენ სტოლიპინის საადგილმამულო პოლიტიკის გამტარებელნი.

მენშევიკები ყველა რეაქციური ძალების — აზნაურების, თავადების, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის სულისჩამდგმელნი და დამრაზმველნი იყვნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკური „დემოკრატია" ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული წყობილების ხსნის უკანასკნელი ნავთსაყუდელი იყო.

მენშევიკები იყვნენ მხეცური ნაციონალ-შოვინიზმისა და ერთიმეორის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა წასისიანების პოლიტიკის ორგანიზატორები. სწორედ მათ — ქართველმა პურიშკევიჩებმა — მოაწყეს სისხლისმღვრელი ლაშქრობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა — ოსთა, აფხაზთა და აჭარელთა წინააღმდეგ.

სწორედ მათ, დაშნაკებთან ერთად, მოაწყეს სისხლისმღვრელი ძმათამკვლელი ომი ქართველ-სომეხთა შორის. ქართველი მენშევიკები, მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად, შამქორში რევოლუციურ ჯარისკაცთა დარბევის ორგანიზატორები არიან" [1].

II

მენშევიკებმა მიზნად დაისახეს საქართველოს კომპარტიისათვის მრეს-პოთ ლეგალური მუშაობის წარმოების შესაძლებლობა და ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ, რომ გაეწყვიტნათ კომპარტიასა და მასებს შორის არსებული კავშირი და უმეთაუროდ დაეტოვებინათ მუშათა კლასი, მაგრამ, მიუხედავად მენშევიკების მიერ მიღებული ღონისძიებებისა, კომპარტიამ მაინც შესძლო ყველა ლეგალურ და არალეგალურ შესაძლებლობათა გამოყენება თავისი მუშაობისათვის. საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობა ვერ შეაჩერა მის წინააღმდეგ გაძლიერებულმა რეპრესიებმა. ის დღითი-დღე ახალახალ გამარჯვებებს აღწევდა, აძლევდა მასებს სწორ ლოზუნგებს და უმარტავდა მათ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 1920 წელს მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდი — საქართველოს კომპარტია ისეთ მტკიცე და ძლიერ მასობრივ პარტიად გადაიქცა, რომელსაც უდიდესი ნდობა და ავტორიტეტი ჰქონდა არა მარტო პროლეტარულ მასებში, არამედ რევოლუციურ გლეხთა

[1] ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 194 — 195.

ფართო მასებშიაც. ამიტომ, ბოლშევიკური პარტიის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დადგა, ბუნებრივად, საკითხი არალეგალური აპარატის გაძლიერებისა და ახალი შეიარაღებული აჯანყების საშუალებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების საქმის მომზადების შესახებ. 1920 წლის 30 სექტემბერს საბჭოთა ბაქოში შესდგა საქართველოს კომუნისტების პარტიული თათბირი. ამ თათბირს დაესწრო 85-მდე პარტიული ამხანაგი, რომელთა შორისაც საქართველოდან ახლად ჩამოსული ბევრი ხელმძღვანელი პარტმუშაკი იყო. ამ მუშაკებმა დაწვრილებით გააცნეს თათბირს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. თათბირმა მიიღო ერცელი რეზოლუცია, რომელიც გაგზავნილ იქნა დასამტკიცებლად რკპ (ბ) კავბიუროში. თათბირი მიუთითებდა იმაზე, რომ საჭირო იყო ლეგალური მუშაობის ყველა შესაძლებლობათა გამოყენება; თათბირი ანგარიშს უწევდა აგრეთვე მენშევიკურ საქართველოში შექმნილ პირობებს და საჭიროდ სთვლიდა, რომ კომპარტიას თავისი მუშაობა უმთავრესად გადაეტანა არალეგალური აპარატის გაძლიერებაზე როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე; თათბირს უდავოდ მიაჩნდა აგრეთვე, რომ შემდეგში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა და შეიარაღებული აჯანყების მომზადება შესაძლებელი იყო მხოლოდ პარტიის ძლიერი და მტკიცე არალეგალური აპარატის არსებობის პირობებში [1].

რეზოლუციაში დასახული იყო აგრეთვე მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი სოფლად და მენშევიკურ არმიაში მუშაობის გაძლიერებისა, მშრომელ მასებთან კავშირის განმტკიცებისა, პარტიული პრესის მუშაობის გაუმჯობესებისა და მის გამოცემათა გავრცელებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ფურცლების მასობრივ გამოშვებას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა პროპაგანდა მშრომელ მასებში პარტიის მთავარი ლოზუნგისა — „მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს". თათბირმა დააყენა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო პარტიის რიგების გადასინჯვა მისი გაწმენდისათვის ყოველგვარი უცხო ელემენტებისაგან და პარტიის ყრილობის მოწვევა ახლო მომავალში [2].

არალეგალური პარტიული მუშაობის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ (უარის უთქმელად მუშაობის ლეგალურ შესაძლებლობაზედაც) კიდევ უფრო გადაჭრით გამოსთქვა თავისი აზრი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1920 წლის ოქტომბერში შეიკრიბა.

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა პარტიული მუშაობის ტაქტიკის გა-

---

[1] რეზოლუციაში ლეგალური და არალეგალური მუშაობის შესახებ ნათქვამია:

„ამჟამად უფრო საჭირო და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს არალეგალური პარტიული აპარატის შოწყობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ხელმძღვანელობის გასაწევად როგორც მთელი ლეგალური, ისე არალეგალური მუშაობისათვის. ამასთან ერთად, პარტია უარს არ ამბობს გამოიყენოს მუშაობისათვის ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობა, მაგრამ პარტიული მუშაობის სათავეში იქნება არალეგალური ორგანიზაცია".

[2] ბაქოში მოწვეული თათბირის რეზოლუციები დაბეჭდილია ეჟურნ. „რევოლუციის მატიანეს" 1923 წლის № 4-ში, გვ. 231—237.

მოსამუშავებლად გადაწყვეტილება გამოიტანა პარტიული ყრილობის მოწვევის აუცილებლობის შესახებ. ასეთივე გადაწყვეტილება გამოიტანა აგრეთვე მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. მაგალითად, გურიის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენციამ დაადგინა:

„განიხილა რა საკითხი ჩვენი მომავალი მუშაობის ხასიათის შესახებ, გურიის კომუნისტური ორგანიზაციების 7 ნოემბრის კონფერენციას სწორად მიაჩნია გურიის კომიტეტის, მისი პრეზიდიუმისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის გადაწყვეტილებები" (მხედველობაშია მიღებული პარტიული ყრილობის მოწვევის საჭიროება და პარტიის არალეგალური აპარატის გაძლიერება. — გ.ხ.) [1].

ლენინისა და სტალინის სტრატეგიის თვალსაზრისით რ. ს. ფ. ს. რ-სა დამენშევიკურ მთავრობას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, კომპარტიის ლეგალიზაცია წარმოადგენდა საესებით სწორ ნაბიჯს. აწარმოებდა რა ბრძოლას მასებისათვის, კომპარტია ათავსებდა პარტიული მუშაობის ლეგალურ და არალეგალურ მეთოდებს.

სრულიად აშკარაა, რომ, მას შემდეგ, რაც ქართველმა მენშევიკებმა ძლიერ შეზღუდეს უსაზღვრო რეპრესიებით პარტიის ლეგალური არსებობის შესაძლებლობა, მასების ბოლშევიზაციისა და ახალი შეიარაღებული აჯანყების მომზადების პირობებში, კიდევ უფრო ძლიერ წამოიჭრა პარტიის პარალელური არალეგალური აპარატისა და პარტიული მუშაობის ამ ნაწილის განმტკიცების საჭიროების ამოცანა.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ამ დროს ბრძოლას აწარმოებდა ამხ. ფ. მახარაძის მეთაურობით მომუშავე ბოლშევიკების ჯგუფის „მომემარცხენო" შეცდომების წინააღმდეგ; ეს ჯგუფი უარყოფდა პარტიის ლეგალური არსებობის საჭიროებას.

ამავე დროს პარტია ბრძოლას აწარმოებდა მემარჯვენე-ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პარტიის ლეგალური არსებობის საკითხში. მ. ორახელაშვილი, რომელიც 1937 წ. მხილებული იქნა როგორც საზიზღარი მოღალატე, ხალხის მტერი, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, ყოველნაირად ცდილობდა მოეხდინა პარტიის არალეგალური აპარატის ლიკვიდაცია.

ცნობილია, რომ ერთერთ პირობას კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების 21 პირობიდან წარმოადგენს კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ლეგალური არსებობის პირობებში პარტიის არალეგალური აპარატის არსებობის აუცილებელი საჭიროებაც.

„კლასობრივი ბრძოლა, — ნათქვამია კომინტერნში მიღების პირობების მესამე პუნქტში, — ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყა-

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, ბოლშევიკური ორგანიზაციების ოქმები.

ნაში სამოქალაქო ომის ფაზაში შედის. ასეთ პირობებში კომუნისტებს არ შეუძლიათ ნდობით მოეკიდნენ ბურჟუაზიულ კანონიერებას. ისინი ვალდებულნი არიან ყველგან შეჰქმნან პარალელური არალეგალური აპარატი, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში შეეძლება დაეხმაროს პარტიას თავისი მოვალეობის შესრულებაში რევოლუციის წინაშე.

ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კომუნისტები, საალყო წესების თუ განსაკუთრებული კანონების გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ლეგალურად აწარმოონ მთელი მუშაობა, უეჭველად საჭიროა არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეხამება"[1].

ანტანტამ პროვოკაციულად ჩააბა დაშნაკელების სომხეთი ქემალისტურ ოსმალეთთან ომში.

კრიტიკულ მომენტში ანტანტამ ბედის ანაბარა მიატოვა სომხეთი. ოსმალეთი ზედიზედ ამარცხებდა დაშნაკელების ჯარებს და უკუაგდო ისინი არა მარტო ყარსიდან, არამედ მალე დაკავებული იქნა ალექსანდროპოლი (ამჟამად ლენინაკანი). ოსმალეთს შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაუწევლად მთელი სომხეთის ტერიტორიის დაკავება, მაგრამ, რკპ (ბ) კავბიუროს მითითებით სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო მშრომელთა მასების რევოლუციური გამოსვლა დელიჟანის მაზრაში. შეიქმნა სომხეთის რევოლუციური კომიტეტი. 1920 წ. 29 ნოემბერს სომხეთში გამოცხადებული იქნა საბჭოთა რესპუბლიკა.

ამრიგად, ამიერკავკასიაში მხოლოდ მენშევიკურ საქართველოში რჩებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალური რესპუბლიკა.

ანტანტა ყოველნაირად ცდილობდა გამაგრებულიყო აქ იმისათვის, რომ, ვრანგელის განადგურების შემდეგ ყირიმში, ახალი ბრძოლა დაეწყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

1920 წლის ნოემბერში ტფილისში შესდგა საქართველოს კომპარტიის არალეგალური ყრილობა, რომელმაც აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი. ამ ყრილობამ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა პარტიის რიგების განმტკიცების, მისი პოლიტიკური ხაზის გამომუშავებისა და 1921 წლის თებერვალში ძალაუფლების ხელში ჩაგდების საქმეში.

რეაქციის თარეშს, მენშევიკების მართვა-გამგეობის ტერორისტულ მეთოდს შინაურ პოლიტიკაში და მათ ლტოლვას დაყრდნობოდნენ ანტანტას, უკვე აღარ შეეძლო შეეჩერებინა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება საქართველოში.

1920 წლის 30 ნოემბერს დიდმა სტალინმა, რომელიც დაბრუნდა სამხრეთიდან, სადაც ის მივლინებაში იყო, გაზ. „პრავდას". თანამშრომელთან სა-

---

[1] კომუნისტური ინტერნაციონალი 1919—1932 წ.წ. დოკუმენტებში, გვ. 101.

ებრის დროს. შეეხო რა სომხეთისა და საქართველოს მდგომარეობას, განაცხადა:

„...ანტანტის შანსები სომხეთსა და საქართველოში ვრანგელის განადგურების შემდეგ საგრძნობლად დაეცა. დაშნაკური სომხეთი, უეჭველია, დაეცა ანტანტის პროეოკაციის მსხვერპლად, რადგან ანტანტამ იგი თურქეთს წაუსისიანა და შემდეგ სამარცხვინოდ მიატოვა დასაგლეჯად. არავითარ ეჭვს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ სომხეთს თავის გადარჩენის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა დარჩა: კავშირი გაბას საბჭოთა რუსეთთან. ეს გარემოება, უეჭველია, გაკვეთილი იქნება ყველა ეროვნებისათვის, რომელთა ბურჟუაზიული მთავრობებიც ყველავ ფეხქვეშ ეგებიან ანტანტას, და უწინარეს ყოვლისა კი — საქართველოსათვის.

საქართველოს კატასტროფული საშეურნეო და საერთაშორისო მდგომარეობა ფაქტია, რომელსაც თვით ახლანდელი საქართველოს მესვეურნიც კი აღნიშნავენ. საქართველო, რომელიც გაეგბა ანტანტის ხაფანგში და ამიტომ დაჰკარგა როგორც ბაკოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად და ამიტომ დაადგა საბჭოთა კავშირთან მტრული დამოკიდებულების გზას, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად როდი იყო, რომ მომაკვდავი მეორე ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა, რევოლუციის ტალღით ევროპიდან გამოძევებულმა ბ-მა კაუცკიმ თავშესაფარი ჰპოვა მყრალ, ანტანტის ბადეში გახლართულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. ეჭვი არ არის, რომ გაკირვების ეამს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.[1]

---

[1] გაზ „პრავდა“. 1920 წ. 30 ნოემბერი.

ამხანაგი სტალინის პროგნოზი, რომელიც მენშევიკური საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის, შინაგან წინააღმდეგობათა ზრდისა და რევოლუციური კრიზისის გაძლიერების ღრმა ანალიზს ეყრდნობოდა, ძლიერ მალე სავსებით გამართლდა.

ითვალისწინებდნენ რა კონკრეტულ პირობებს და კლასობრივ ძალთა განწყობილებას ჩვენს ქვეყანაში, 1920 წლის დეკემბერში, მენშევიკების ტერორის საპასუხოდ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფილისის კომიტეტები და აგრეთვე „პროფკავშირთა კომუნისტური ფრაქციების მუშათა ცენტრი“ თავის მოწოდებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციისადმი, ყველა თანამგრძნობი მუშათა ორგანიზაციისა და გლეხთა მასებისადმი სწერდნენ:

„... ამხანაგებო! ჩვენ არ გვაშინებს ჩვენი მტრების მუშტის არც ეს მორიგი თარეში. ჩვენ დამშვიდებული ვართ... ყინული უკვე დაიძრა. მასები უკვე შეინძრნენ, მათ უკვე ჩამოიფერთხეს უკანასკნელი აპატიის ნიშანი, ნიღაბ-ჩამოგლეჯილი ბელადების მათ უკვე აღარაფერი სჯერათ... მეტი თავდაჭერა, მეტი შემჭიდროება, პარტიის წევრთა ორგანიზაციული შედუღება მშრომელ მასებთან მომავალი გამარჯვებისათვის — აი საით მოგიწოდებთ ჩვენ. ბრძოლა ჩვენი პარტიის ლეგალური არსებობისათვის ახალ პერიოდში გადადის, ეს ბრძოლა არ უნდა შეჩერდეს არც ერთი საათით. დეე განაგრძონ მენშევიკებმა ჩვენი დაპატიმრება და ციხეში გამომწყვდევა — ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს დროში ციხიდან ხელისუფლების სასახლემდე და პირიქით სულ ერთი ნაბიჯია.

მაშ, ამხანაგებო, ძმურად, ჩვეულებისამებრ მზად იყავით იტვირთოთ პარტიის სამსახურის მძიმე ჯვარი! ბრძოლა! მშრომელთა აღდგომა ახლოსაა. კომუნიზმის მზის პირველი სხივები უკვე ანათებენ მშრომელ საქართველოს. გაუმარჯოს კომუნიზმს!“ [1].

III

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რაზმავს რა რევოლუციური პროლეტარიატის ძალებს და ეყრდნობა რა პროლეტარიატისა და გლეხობის ფართო მასების დახმარებას, რკპ(ბ) კავბიუროს ხელმძღვანელობით, რომლის სათავეშიაც იდგა ამხ. ს. ორჯონიკიძე, 1921 წლის დასაწყისში კვლავ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადება, რათა უკვე საბოლოოდ გაიმარჯვოს კომუნიზმის წითელი დროშით.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყება დაიწყო ბორჩალოს მაზრაში.

საქართველოს მთავრობამ, ჯერ კიდევ სომხეთის ჩამოგდებულ დაშნა-

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 49, 1920 წლის 16 დეკემბერი.

კურ მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით, თურქების შემოტევის თავიდან ასაცილებლად, ბორჩალოს მაზრაში დროებით დაიკავა უმთავრესად სომხებით დასახლებული რაიონი[1]. რადგან ამ ხელშეკრულების ვადა 1921 წლის 11 თებერვალს თავდებოდა, სომხეთის საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას გაენთავისუფლებინა მის მიერ დაკავებული რაიონი, როგორც საბჭოთა სომხეთის ტერიტორიის ნაწილი. სადავო ტერიტორიალური საკითხების მშვიდობიანი მოგვარებისათვის სომხეთი წინადადებას იძლეოდა მოეწვიათ ორივე რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც არბიტრად იქნებოდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი.

რაკი საქართველოს მთავრობას აზრად ჰქონდა ძალად შეენარჩუნებინა მის მიერ წინათ დაპყრობილი ტერიტორია, მან უარი განაცხადა, როგორც კონფერენციის მოწვევაზე, ისე დაკავებული სადავო ტერიტორიიდან თავისი ჯარების გამოყვანაზედაც...

მოსახლეობის წინააღმდეგობას მენშევიკების მიერ დაყენებული ადმინისტრაციის განკარგულებათა მიმართ საქართველოს მთავრობამ უაღრესად სასტიკი რეპრესიებითა და ტერორით უპასუხა.

იმ აღმაშფოთებელ ძალადობათა შესახებ, რომელთაც მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები სჩადიოდნენ შულავრის რაიონში და რომელთა წინაშე მეფის „ოხრანკის“ მოქმედებაც კი სავსებით იჩრდილება, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დეპეშიდან, რომელიც გაუგზავნეს სოფ. ოფრეთის მცხოვრებლებმა საქართველოს დამფუძნებელ კრებას 1920 წლის 2 აგვისტოს:

„შეუძლებელი შეიქნა ცხოვრება სანაპირო რაზმების თავაშვებული მოქმედებისგამო. ბავშვების, მოხუცებისა და ქალების ცემა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გუშინ, 1-ლ აგვისტოს, მოედანზე, ქუჩებსა და სახლებში, იძულებულს გვხდიან ჩვენ ავიმაღლოთ ხმა და შეევედროთ მთავრობას, რომ მან ერთხელ და სამუდამოდ დაგვიფაროს ასეთი ძალადობისაგან. არ კმაყოფილდებიან იმით, რომ უსასყიდლოდ გვართმევდნენ და გვართმევენ თავიანთი პირადი საჭიროებისათვის ცხენებს, თივას, ხორცსა და შეშას, ახლა უკვე ხალხის ცემა-ტყეპას. შეუდგნენ მთვრალი ორგიების შემდეგ, ოფიცრებთან ერთად. დასახჩრებულნი ლოგინად არიან ჩავარდნილნი, არიან კბილებ-ჩამტვრეულნი, ბევრია თავგატეხილი, ცხვირ-მომტვრეული, თვალებდათხრილი და სხვ. იყო შემთხვევები, როცა გონებას ჰკარგავდნენ ბავშვები და ქალები. ნაცემია საზოგადოების უხუცესი წევრი, 90 წლის მოხუცი. ცხენოსანი ჯარისკაცები ხმალამოწვდილი სცემდნენ ხალხს, რომელსაც სიკვდილის მუქარით ქუჩებში ატარებდნენ. ქალები და ბავშვები იმალებოდნენ სხვენზე, საბძელში. იყო შემთხვევები, როცა ბავშვები თივაში ეფლობოდნენ, რომ

[1] ამჟამად სტეფანავანის რაიონი სომხეთში.

თავი გადაერჩინათ თავაშვებულ ჯარისკაცთაგან. ტყეებსა და მინდვრებში სამუშაოდ გასული ხალხი სახლში გვიან ღამით ბრუნდებოდა. დააპატიმრეს მედუქნე, რადგან მას ღვინო არ აღმოაჩნდა; ეძებდნენ სოფლად სამაზრო ერობის ხმოსანს — საზოგადოების წარმომადგენელს, რომ იგი მოეკლათ. სწორედ გასაკვირალია იმ ხალხის გულგრილობა და მოთმინება, რომელმაც ყველაფერი ეს გადაიტანა. დიდი მეცადინეობა იყო საჭირო, რომ თავიდან აეცილებინათ მოახლოებული ექსცესების შესაძლებლობა. ყველაფერი ეს ხდებოდა სამი მთვრალი უფროსის — ოფიცრების, ჯარისკაცებისა და ორი ვახმისტრის თანდასწრებით. ეს ოფიცრები არიან: ცხენოსანთა პირველი პოლკიდან — ნანცაბაძე და ციციანოვი, სანაპირო პოსტიდან — უსტავაშვილი და შულავერის სანაპირო განყოფილების ვახმისტრები — ვაჩნაძე და სანაძე. ძალადობის შიშით, რომელსაც უკვე ადგილი ჰქონდა, ახალგაზრდა ქალები სოფლის გარეთ სამუშაოდ ვერ მიდიან. დაბეჯითებით გთხოვთ მოახდინოთ სასტიკი გამოძიება“ [1].

ბოლოსდაბოლოს მშრომელი მასების მოთმინების ფიალა უკვე აღიესო.

10 თებერვალს, ღამით, ბორჩალოს მაზრაში საყოველთაო აჯანყება დაიწყო. ეს სიგნალი იყო საქართველოს სხვა რაიონებისთვისაც. აჯანყება შემდეგში უკვე საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგით სწარმოებდა.

16 თებერვალს აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების მოსაწყობად სოფ. შულავერში (ამჟამად — ქალაქი შაუმიანი) შესდგა საქართველოს სარევოლუციო კომიტეტი, რომელმაც საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. აჯანყებულთა შეიარაღებული ძალები წარმატებით მიიწევდნენ წინ. აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდნენ მენშევიკური არმიის რეგულარული ნაწილები. აჯანყებულთ თამამად შეეძლოთ ჰქონოდათ წარმატებისა და საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების ლიკვიდაციის სრული იმედი, რადგან მენშევიკებს მასებში მაშინ უკვე თითქმის აღარავითარი სერიოზული დასაყრდენი აღარ მოეპოვებოდათ. მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დასაჩქარებლად და მსხვერპლის რაოდენობის შესამცირებლად სარევოლუციო კომიტეტმა მუშათა და გლეხთა სახელით დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. მენშევიკებმა კვლავ თავხედურად გამოიწვიეს საბჭოთა რუსეთი, როცა ტფილისში მთელი საბჭოთა მისია დააპატიმრეს და ყველა მისი თანამშრომელი ციხეში ჩასვეს.

საქართველოს სამხედრო წრეები პროვოკაციულად მოქმედებდნენ საზღვარზე XI წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ, რათა სამხედრო მოქმედების დაწყება გამოეწვიათ.

ასე, მაგალითად, რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართ-

[1] საარქივო ფონდი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქმე № 54, გვ. 142.

ველოში 1921 წლის 26 იანვრის თარიღით და 532 №-ით საქართველოს შინაგან. საქმეთა მინისტრისათვის გაგზავნილ ნოტაში სწერს:

„25 იანვარს ჩემს მიერ მიღებულია ცნობები XI არმიის სარევოლუციო-სამხედრო საბჭოსაგან იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის სსრ-ის სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა პუნქტში, მდინარე მტკვრის გაყოლებით, წითელსა და ფოილოს ხიდებს შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარებმა სროლა აუტეხეს რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს.

20 იანვარს, 19 საათზე, ქართულმა ნაწილებმა სროლა აუტეხეს ჩვენს საგუშაგოს სოფ. გამაკაისთან. იმავე რიცხვში, სოფ. სალახიდან ხუთი ვერსის დაშორებით დასავლეთისაკენ სანაპირო პოლკის უფროსს თავს დაესხა ქართველ ცხენოსანთა რაზმი, დაახლოებით 30 მხედრისაგან შემდგარი, რომელმაც გადალახა სახელმწიფო საზღვარი და გადავიდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სამხრეთით. დაბოლოს, 21. იანვარს, 2 საათზე, ქართულმა ჯარმა სროლა აუტეხა ჩვენს ნაწილებს სოფ. კაზაგლისთან, რის შედეგადაც დაჭრილია ერთი წითელარმიელი.

ყოველივე ზემოხსენებული ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარებმა მოახდინეს თავდასხმა რუსეთის წითელ არმიაზე, თავდასხმა, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში. შეიძლებოდა იმ მეთაურთა შემადგენლობის ალარმისტული მოღვაწეობის შედეგი გამხდარიყო, რომელნიც ცდილობდნენ სამხედრო მოქმედების ან დიდი სანაპირო შეიარაღებული შეტაკების პროვოკაციულად გამოწვევას, წითელი არმიის ნაწილებს რომ თავდაჭერილობა და პასუხისმგებლობის შეგნება არ გამოეჩინათ რუსეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხალხთა წინაშე მოსალოდნელი შედეგებისათვის“ [1].

რუსეთის პროლეტარიატს და გმირულ წითელ არმიას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ამ შეგობარსა და დამცველს, არ შეეძლო არ გამოხმაურებოდა იმ ბრძოლას, რომელიც დაიწყო საქართველოს მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის ზურგს უკან აქტიურად მოქმედებდნენ და რომელსაც ყოველხმრივ ეხმარებოდნენ დასავლეთის იმპერიალისტები [2].

---

[1] „რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. გვ. 60.

[2] აი, მაგალითად, რას იუწყებოდა მენშევიკური გენერალური შტაბის 20 თებერვლის ცნობა: „საფრანგეთის ესკადრა გეეხმარება ჩვენი ტერიტორიის დაცვაში და ფლანგიდან ესვრის ბოლშევიკებს“.

იმავე ცნობაში 23 თებერვლის თარიღით ეკითხულობთ: „გაგრის ფრონტზე საფრანგეთის ესკადრამ სროლა აუტეხა ბოლშევიკებს“.

გაზ. „ერთობის“ დანამშრომელთან საუბრის დროს ნ. რამიშვილმა განაცხადა:

„საქართველო თანდათან იპყრობს ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღებას. ამ უკანასკნელთათვის თანდათან უფრო ნათელი ხდება ის როლი, რომელსაც თამაშობს საქარ-

ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით, ამხ. სერგო ორჯონიკიძისა და ამხ. კიროვის ხელმძღვანელობით მომქმედმა გმირულმა XI წითელმა არმიამ დახმარება აღმოუჩინა საქართველოს პროლეტარიატსა და მშრომელებს, რათა განთავისუფლებულიყვნენ საზიზღარი მენშევიკური მთავრობისაგან. რევოლუციურ აჯანყებულთა და წითელდროშოვანი წითელი არმიისათვის არსად არავითარი სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. დაიწყო მენშევიკების რეგულარული ჯარებისა და რევოლუციური არმიის მასობრივი დაძმობილება. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ქართველი კომუნისტები სამშობლოს მოღალატეებად და კანონს გარეშე გამოაცხადა.

ნ. რამიშვილის ხელმოწერით გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი ბრძანება:

„გამოეცხადოს ყველა ჯარისკაცს და გვარდიელს, რომ. თუ ისინი 4 მარტისათვის არ გამოცხადდებიან თავიანთ ნაწილებში, პასუხისგებაში მიეცემიან სამხედრო-საველე სასამართლოს წესით. სამართალში მიიცემიან აგრეთვე დეზერტირების მშობელნიც და დამფარავნიც“ [1].

სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით მენშევიკები შეუდგნენ იმ ჯარისკაცთა დახვრეტას, რომელთაც არ სურდათ ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ ყველა ამ ღონისძიებას, რა თქმა უნდა, უკვე აღარ შეეძლო შეეფერხებინა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, მენშევიკური არმიის მებრძოლნი თავიანთი სახლებისაკენ გარბოდნენ, საბჭოთა ჯარების მხარეზე გადადიოდნენ. ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების ინტერესების დაცვა მენშევიკური არმიის ჯარისკაცებს არ სურდათ.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ თვით სახალხო გვარდიის — მენშევიკების ამ პარტიული ჯარის — მეტმა ნაწილმაც კი, რომელზედაც ისინი ყველაზე მეტ იმედს ამყარებდნენ, უარი განაცხადა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მაგალითად,

„სახალხო გვარდიის საავტომობილო ნაწილებმა, რომელთაც მეტად ცნობილი მენშევიკი ფარნიევი მეთაურობდა, განაცხადეს, რომ ხვალინდელი მთავრობა, საქართველოს სარევოლუციო კომიტეტის მთავრობა, მათთან უფრო ახლოს არის, ვიდრე თავის გადასარჩენად გაქცეული მენშევიკები. ამიტომ სახალხო გვარდიის საავტომობილო ნაწილები ყველანი ტფილისში დარჩნენ“ [2].

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედა-ქალაქში — ტფილისში — აღმართულ იქნა საბჭოების წითელი დროშა.

თველო ახლო აღმოსავლეთში. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის დახმარება, რომელსაც გვიწევს ჩვენ საფრანგეთის რესპუბლიკა თავისი ფლოტით“.

21 თებერვალს დამფუძნებელ კრებაში ნ. ყორდანიამ განაცხადა: „... საფრანგეთმა ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია („ბრავო!“ ტაში, „ეაშა!“). საფრანგეთის ესკადრა მიიდგა გაგრას და გუშინ ჩვენ ჯარებთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას მტრებთან, და მტერი განადგურებულ იქნა.

[1] „ეხო ბატუმა“, 1920 წლის 5 მარტი.

[2] „რსფსრ. და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, გვ. 99.

ᲥᲘᲒᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ამხ. ორჯონიკიძე სწერდა ლ ე ნ ი ნ ს და ს ტ ა ლ ი ნ ს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

საქართველოს სარევოლუციო კომიტეტმა გამოუშვა თავისი პირველი დეკრეტები და შეუდგა პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლების ორგანოების შექმნას.

1921 წლის 3 მარტს სერგო ორჯონიკიძის საშუალებით საქართველოს სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა ვ. ი. ლენინისაგან მიიღო წერილი, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და განსაზღვრავდა საქართველოს კომუნისტების ტაქტიკას. წერილი თავდებოდა სიტყვებით:

„... გთხოვთ გახსოვდეთ, რომ შინაური და საერთაშორისო პირობები საქართველოსი მოითხოვენ ქართველ კომუნისტებისაგან — ერიდონ რუსეთის შაბლონს და ეძიონ უფრო მოქნილი თავისებური ტაქტიკა, დამყარებული მომეტებულ შეღავათზე ყველა წვრილბურჟუაზიულ ელემენტების მიმართ“ [1].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 6, 1921 წ.

4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადებულ იქნა აფხაზეთში.

მენშევიკური მთავრობა, რომელსაც თავის განკარგულებაში უმთავრესად ოფიცრებისა და იუნკრებისაგან შემდგარი მცირე სამხედრო ძალა მოეპოვებოდა, გაიქცა დასავლეთ საქართველოში და გაჩერდა ქუთაისში. მაგრამ 10 მარტს ქუთაისიც წითელმა ბრიგადამ დაიკავა, იმ ბრიგადამ, რომელმაც ამხ. ს. კიროვის მეთაურობით შესანიშნავად გადმოლახა კავკავიდან (ამჟამად — ქ. ორჯონიკიძე) თოვლით დაფარული, ზამთრობით ჩვეულებრივ გადაუვალი მამისონის უღელტეხილი.

ქართველი მენშევიკების უკანასკნელ თავშესაფარს ბათომი წარმოადგენდა. აქ მენშევიკებმა ახალი სისაძაგლე და გამცემლობა ჩაიდინეს. ისინი ფარულად შეუთანხმდნენ თურქეთის მთავრობას ართვინის, არდაგანის, ბათომის ოლქისა და თვით ქ. ბათომის გადაცემის შესახებ. ამის შედეგად, თურქეთის ჯარებმა მენშევიკურ მთავრობასთან მომხდარი შეთანხმების საფუძველზე დაიკავეს ქ. ბათომი და მისი ფორტები. ამ ყოვლად სამარცხვინო აქტით ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის მთავრობას, ერთის მხრით, იმედი ჰქონდა, რომ პროვოკაციულად მოაწყობდა შეტაკებას თურქეთსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ხოლო, მეორე მხრით, ის ყოველნაირად ცდილობდა მოეგო დრო გაჭცევისათვის.

საქართველოს სარევოლუციო კომიტეტმა, დიდი სტალინის მითითებით, შიმართა მთელ ქვეყნიერებას შემდეგი რადიო-დეპეშით:

„ყველას, ყველას, ყველას! საქართველოს მშრომელ მასის ძლევამოსილ აჯანყებას შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველო გახდა რეალურად დამოუკიდებელი და თავისუფალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. საბჭოთა საქართველოს სათავეში მდგომ მუშათა და გლეხთა მთავრობამ, რევოლუციონური კომიტეტის სახით, ჩამოგდებულ მენშევიკთა მთავრობასთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ბრძოლის დროს, აღიარა საქვეყნოდ მშრომელთა მთელი ძალა-უფლება და ხალხთა უფლება სრული თვითგამორკვევისა, მაგრამ ამ მომენტში, როდესაც შინაური რევოლუციონური გადატრიალება დასასრულს უახლოვდება და საბჭოთა ძალა-უფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მტკიცდება, ამ დროს ბოლშევიკების საწინააღმდეგო ძალები იჩენენ აქტიურად მტრულ განზრახვებს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველოს ნავთსადგური — ბათომი გახდა საგნად არა მარტო ინტრიგებისა, არამედ პირდაპირ დაპყრობითი სურვილებისა, განსაკუთრებით ანტანტის მთავრობათა მხრივ. ბათომის დაჭერა და ყოველად გაუმართლებელი თავდასხმა დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოზე ალბად დასაბუთებულ იქნება ვითომდა აჭარის ხალხის თვითგამორკვევის პრინციპით. საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა რევოლუციონური რესპუბლიკა აცხადებს, რომ თავისუფალი თვითგამორკვევა ხალხთა—საზოგადოდ და, კერძოდ, მომძე აჭარის ხალხისა, ისე-

თი პრინციპია ჩვენთვის, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეალიზაციას, მაგრამ მთავრობა არ შეურიგდება იმას, რომ ეს დიადი პრინციპი, ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ წამოყენებული და ხორცშესხმული, ვისმესგან გამოყენებულ იქნას რეაქციის იარაღად, აჭარისა და საქართველოს მშრომელ მასების ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ კატეგორიულ პროტესტს ბათომის დაჭერის განზრახვისა ან ოკუპაციის წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს განზრახული. საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი საქართველოს მუშათა და გლეხთა სრული თანხმობით ყველასათვის გასაგონად აცხადებს, რომ ყოველივე ძალა, რომელიც ბათომს თავს დაესხმის, ჩვენის მხრით ჰპოვებს მედგარ წინააღმდეგობას და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის სამართლიან ბრძოლაში, როგორც მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე ყველა ქვეყნების მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეს იქნება"[1].

ამავე მიზნით, ე. ი. დროს მოსაგებად, მენშევიკურმა მთავრობამ დელეგაცია გაგზავნა ქუთაისში საქართველოს სარევოლუციო კომიტეტთან მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, რომ ის ნებაყოფლობით აცხადებდა უარს ხელისუფლებაზე. საქართველოს სარევოლუციო კომიტეტის რწმუნებულთან მოლაპარაკების დროს, მენშევიკებმა ფლიდურად დაჰფარეს ის საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მათ დადებული ჰქონდათ თურქეთთან, და აგრეთვე ისიც, რომ თურქებმა მათი თანხმობით ბათომი უკვე დაიკავეს.

შეთანხმება იმის შესახებ, რომ მენშევიკური მთავრობა აბარებს ხელისუფლებას, ხელს უწყობს საბჭოთა ჯარების შესვლას ბათომის ოლქში და სხვ., ხელმოწერილ იქნა 1921 წლის 18 მარტს.

ქუთაისში გამართულმა მოლაპარაკებამ საშუალება მისცა მენშევიკების მთავრობას დრო მოეგო. სწორედ იმ მომენტში, როცა ქუთაისში შეთანხმების პირობები მუშავდებოდა, ბათომში მყოფი ნ. ყორდანიასა და ნ. რამიშვილის მთავრობა საიდუმლოდ, თავისი ჯარისა და მოსახლეობის შეუტყობინებლად. 17 მარტს, ღამით, გადაბარგდა იტალიის გემზე „ფერენ-ეოზეფ-მირილზე", რომელიც საქართველოს ნაპირებს 1921 წლის 18 მარტს გაშორდა. მენშევიკურმა მთავრობამ თან გაიტაცა რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთად ღირებული (ოქროთი) საქართველოს მშრომელთა ქონება, რომელსაც, გარდა მატერიალური ღირებულებისა, ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონდა[2].

17 მარტს მიღებულ იქნა ლენინის დეპეშა ტფილისში რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სახელზე:

---

[1] გაზ. „კომუნისტი" № 7, 1921 წ. 9 მარტი.

[2] სპეციალური კომისიის გამოკვლევით, რომელიც მუშაობდა 1927 წელს საბჭოთა მთავრობის დადგენილებით, მენშევიკებმა მარტო სახალხო განათლების საგანძურებიდან წაიღეს საზღვარგარეთ 10.471.770 ოქროს მანეთად ღირებული ძვირფასი ნივთები. ამას გარდა, მენშევიკებმა გაძარცვეს სახელმწიფო ბანკი, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, ხაზინა და სხვ.

„იმის გამო, რომ XI არმიის ნაწილები იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. თქვენ წინადადება გეძლევათ იმუშაოთ სრული კონტაქტით საქართველოს რევკომთან და მისი დირექტივების თანახმად; არ გადადგათ საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არავითარი ისეთი ნაბიჯი, რაიც შელახავდა ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს; მოეპყარით განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით საქართველოს ორგანოების სუვერენობას, ქართველ ხალხს; დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივები არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის საგახგებო განყოფილებას; პასუხისგებაში მიეცით ყველა ისინი, ვინც დაარღვევს ამ დირექტივებს; ასეთი დირექტივების დარღვევის თვითეული შემთხვევის შესახებ ან რაიმე გაუგებრობის შესახებ ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ — გვაცნობეთ ჩვენ“ [1].

ბათომში შესდგა სარევოლუციო კომიტეტი. მენშევიკური არმიის ჯარისკაცები და ოფიცერთა საგრძნობი ნაწილი დადგნენ სარევოლუცრო კომიტეტის დროშის ქვეშ.

18 მარტს ბათომში, აჭარის ცენტრში, წითელი არმიის ნაწილების დახმარებით, საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

მენშევიკების პროვოკაციამ — შეტაკება გამოეწვიათ თურქებსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის — ვერ გასჭრა. 1921 წლის 16 მარტს. რსფსრ და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად. თურქეთმა საბოლოოდ უარი სთქვა ქ. ბათომსა და აჭარის ჩრდილოეთ ნაწილზე (ყოფ. ბათომის ოლქი). სადაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ამნაირად, იმ დღეებში. როცა 1921 წლის მარტში მოსკოვში კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის X ყრილობა მიმდინარეობდა. მენშევიკური ხელისუფლებისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების დიდ ოჯახში შევიდა. საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით ახალი, ბრწყინვალე ერა დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიაში. იმ ხალხის ისტორიაში, რომელიც ლენინისა და სტალინის დიადი ძლევამოსილი დროშით უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენების ფართო გზას დაადგა.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 13, 1921 წ.

ᲓᲐᲛᲐᲬᲔᲑᲐᲜᲘ

1917—1921 წ. წ. პერიოდის ბოლშევიკური დოკუმენტები

რეზოლუციები რსდმპ(ბ) კავკასიის ორგანიზაციების თათბირისა, რომელიც შესდგა ბაქოში 1915 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამხ. ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით.*

I. მიმდინარე მომენტის შესახებ

1. საშინელმა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტამ, რომელიც მეორე წელიწადია გრძელდება, ნათელი გახადა ყველასთვის სიმართლე რსდმპ(ბ) მტკიცებისა, რომ ახლანდელი ომი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტური (კოლონიალური) პოლიტიკის აუცილებელი შედეგია და რომ ამ ომისათვის ერთნაირად პასუხისმგებელია ყველა ეს სახელმწიფოები, მიუხედავად მათი რამოდენიმედ მეტი თუ რამოდენიმედ ნაკლები აგრესიულობისა უკანასკნელ მომენტში, ომის დაწყების წინ.

2. მთავარი, გაკვეთილი, რომელიც ამ საშინელი კატასტროფიდან უნდა გამოიტანონ ხალხებმა, იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების მოსპობას მისი სასტიკი რეჟიმით — „ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ“, მათ რიცხვში კლასებისა კლასთა წინააღმდეგ, სახელმწიფოებისა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, — და ამ წყობილების სოციალისტური წყობილებით შეცვლას შეუძლია გადაარჩინოს ხალხები შემდგომი გაველურებისა და თვითგანადგურებისაგან და გამოიყვანოს კაცობრიობა კიდევ უფრო მეტი პროგრესის გზაზე. აქედან, ევროპის ყველა სოციალისტური პარტიის ძირითად ამოცანად ამჟამად ჩვენ სოციალური რევოლუციის გაძლიერებული პროპაგანდა მიგვაჩნია...

3. რაც შეეხება კერძოდ რუსეთს და იმ საკითხებს, რომლებიც წამოყენებულია რუსეთის სოციალდემოკრატიის წინაშე მიმდინარე მომენტით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითად საყოველთაო სახალხო ამოცანას ამჟამად შეადგენს ბრძოლა მეფის მონარქიის დამხობისათვის და მისი შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ. ერთის მხრით: 1) მეფის მთავრობის მაღალი ფენების — მიასოედოვის, სუხომლინოვის, ბარონ ფრედერიკსისა (სასახლის

---

* თათბირზე მონაწილეობას იღებდნენ ბაქოს, ტფილისის, ქუთაისისა და განჯის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატები.

მინისტრის ძმა) და სხვა მრავალ ათეულ პირთა ღალატმა და გამყიდველობამ, 2) მილიარდობით დატაცებამ და უთავბოლოდ ხარჯვამ და განიავებამ ხალხის ფულისა, რასაც ყოველდღიურად ღებულობდნენ თითქოს შეიარაღებისა და სამხედრო მომზადებისათვის, 3) ამის გამო ყუმბარებისა და საბრძოლო საჭურველის უქონლობამ, რამაც რუსეთის არმია, მილიონობით გლეხები და მუშები ჩააყენა უაღრესად ტრაგიკულ პირობებში და 4) ყველა ამის შედეგად საშინელმა სამხედრო დამარცხებამ, ხოლო, მეორე მხრით: 1) სრულმა უწესრიგობამ ქვეყნის შიგნით, 2) სამეურნეო ცხოვრების დეზორგანიზაციამ. 3) საშინელმა სიძვირემ და 4) ათეულ მილიონობით ხალხის სრულმა გაღატაკებამ და ლტოლვილებად და მათხოვრებად გადაქცევამ თვალსაჩინო გახადა ყველასათვის, რომ მეფის თვითმპყრობელობის მოთმენა ამიერიდან ყოვლად შეუძლებელია.

4. დაბოლოს, თვით დამპალმა და ხალხის მიმართ გამცემლურმა რუსეთის ბურჟუაზიამაც კი გაიგო, რომ მისი კეთილდღეობის შენობა აგებულია ქვიშაზე. მეფის მთავრობა, რომელიც მას მშვიდობიანობისას კარგ სამსახურს უწევდა „შინაურ მტრებთან" ბრძოლაში, უუნარო აღმოჩნდა დაეცვა ქვეყანა და თვით ისიც — ბურჟუაზიაც — დამარცხებისა და გაპარტახებისაგან უფრო კულტურული და ძლიერი გარეშე მტრის მხრივ.

5. მაგრამ რუსეთის ბურჟუაზია, რომელმაც ნათლად შეიგნო მეფის მთავრობის სრული უვარგისობა, მაინც ვერ ბედავს გამოუცხადოს მას გადამწყვეტი ბრძოლა. ეს საკვლებით გამო

შათა კლასმა საბოლოოდ გაღატაკებულ გლეხობასა და ქალაქის დემოკრატიაზე დაყრდნობით.

8. მაგრამ ასეთი ზავი რომ განხორციელდეს, საჭიროა ის შეჰკრას არა მეფის მთავრობამ, არამედ თვით აჯანყებულმა ხალხმა. როგორც ნამდვილი მშვიდობიანობის დასამყარებლად, ისე, საერთოდ, ძველი წესწყობილების სალიკვიდაციოდ და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაარსებლად რუსეთში, მუშათა კლასმა ამჟამად უნდა წამოაყენოს დამფუძნებელი კრების ლოზუნგი, რომელიც მოწვეული იქნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და სრულიად ფარული კენჭის ყრით. ამასთან, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ეს მოთხოვნა არ შეიძლება მიმართულ იქნას არც მეფის მთავრობისა და არც სახელმწიფო სათათბიროსაკენ და რომ დამფუძნებელი კრება შეიძლება მოწვეულ იქნას მხოლოდ რევოლუციური გზით.

9. იმ მოწოდებათა შესახებ, რომლებიც მიმართულია რუსეთის მუშებისადმი ქვეყნის დაცვის საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის და რომელსაც, სამწუხაროდ, მარქსიზმის ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსთაგანი — გ. პლეხანოვი შეუერთდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი თანამშრომლობა ხალხისა და ჯარის მოღალატე და გამყიდველი მეფის მთავრობასთან, ხმის მიცემა და მხარის დაჭერა სამხედრო კრედიტებისათვის, მონაწილეობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და სხვ. დაუშვებელია მუშებისათვის, ვინაიდან ყოველივე ამას არ შეუძლია არავითარი სარგებლობის მოტანა ქვეყნის ნამდვილი თავდაცვისათვის და, პირიქით, შეუძლია სამსახური გაუწიოს მეფის მთავრობას.

10. ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნისა და ჯარისათვის — ეს არის ბრძოლა იმისათვის, რომ მოწვეულ იქნას საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, რომელიც უზრუნველჰყოფს ნამდვილ ზავს, თავისუფლებას და რუსეთის მომავალს.

II. ნაციონალური საკითხის შესახებ

1904-5 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებამ იმედები გაუცრუა რუსეთის მოსახლე წვრილ ერებს და გააძლიერა მათში ნაციონალური პარტიკულარიზმი. რასაც შედეგად მოჰყვა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების განმტკიცება: ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა სოციალდემოკრატიის ოპორტუნისტულ ელემენტებზე და გამოიწვია რყევა პარტიის რიგებში ნაციონალური პროგრამის საკითხის შესახებ.

ახლანდელმა ომმა თავისი თვალთმაქცური ლოზუნგით ნაციონალური პრინციპის საფუძველზე ევროპის გარდაქმნისა და ერთა უფლებების დაცვის შესახებ — თავის მხრით ხელი შეუწყო ნაციონალიზმისაკენ რყევის გაძლიერებას ჩვენი პარტიის რიგებში.

ეს რაცაა. გარდა აღნიშნული ობიექტური მიზეზებისა, ნაწილობრივ აგრეთვე იმითაც აიხსნება, რომ პარტიის წევრები ნაკლებად იცნობენ იმ პირობებს, რაც საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიის ნაციონალურ პროგრამას, და თვით იმ პოლიტიკურ მუხლებსაც კი, რომლებიც ნაციონალურ საკითხს ეხება.

ამიტომ ჩვენ ვურჩევთ პარტიის ყველა წევრს, უწინარეს ყოვლისა, უფრო თართოდ გაეცნონ ნაციონალურ საკითხზე არსებულ პარტიულ ლიტერატურას (ბროშურა კ. სტალინისა — „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ", სტატიები ლენინისა — „პროსვეშჩენიეს" №№-ში და სხვ.) [1].

თავის მხრივ თათბირი აცხადებს: ყველაზე უფრო გავრცელებულ გაუგებრობად უკანასკნელ წლებში ითვლება კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც რუსეთში მოსახლე ყველა ერმა უნდა შეჰქმნას ცალკეული ნაციონალური სეიმი ცალკეული ნაციონალურწარმომადგენლობითი ორგანოებით ადგილებზე (გუბერნიებში, მაზრებში, ქალაქებში და სხვ.). ყველა სკოლა და კულტურულ-განმანათლებელი საქმეები გამოყოფილ უნდა იქნას საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოებისა, ცენტრალური პარლამენტისა და საოლქო და ადგილობრივი თვითმართველობების გამგებლობიდან და გადაცემულ იქნას ამ ნაციონალური ორგანიზაციების განკარგულებაში. მათ უნდა მიეცეს აგრეთვე სრულს განკარგულებაში პროპორციულად საჭირო თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ასეთი გამიჯნვა ეროვნებათა მიხედვით ჩვენ მიგვაჩნია ერთა ეკონომიური განვითარების მიმდინარეობის საწინააღმდეგოდ და მეტად მავნედ დემოკრატიისა და ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კულტურული საკითხების: სკოლის, ენის, ლიტერატურის, ხალხის მასებისა და მოზარდი თაობის განათლების დარგშიაც და აგრეთვე ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგებშიაც ყველა ეროვნების მუშები უნდა ცდილობდნენ ერთად დაიცვან თავიანთი კლასობრივი თვალსაზრისი და თავიანთი კლასობრივი ინტერესები საერთო-სახელმწიფოებრივ დემოკრატიულ დაწესებულებებში: ცენტრალურ პარლამენტსა და საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო და სხვა თვითმართველობებში. ვართ რა მტერი ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა და ვუჭერთ რა მხარს სრულ თავისუფლებას და ენის თანასწორუფლებიანობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საუკეთესო გარანტიას ამისათვის წარმოადგენს:

1) სახელმწიფოებრივი წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყველა მოქალაქის გათანასწორება უფლებებში, განურჩევლად ეროვნებისა (იხ. პროგრამის § 7).

2) ენების სრული თანასწორუფლებიანობა სკოლებში, ლიტერატურაში,

---

[1] იგულისხმება ი. სტალინის ბროშურა: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". კ(ობა) ამხ. სტალინის ფსევდონიმია.

საზოგადო კრებებზე. სასამართლოში, პოლიციაში და სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში (პროგრამის § 8).

3) საოლქო თვითმართველობა იმ ადგილებისათვის, რომელთაც ახასიათებს განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობები და განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობა (პროგრამის § 3).

ასეთია ნაციონალური საკითხის გადაჭრის საერთო ფორმები რუსეთში. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენი პროგრამა აღიარებს „თვითგამორკვევის უფლებას ყველა ერისათვის", რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში შედიან (პროგრამის § 9).

უწინარეს ყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ რომელიმე ოლქი ან ერი ეკონომიური განვითარების ობიექტურ მიზეზთა გამო ან სხვა მიზეზით არ მოისურვებს რუსეთის შემადგენლობაში დარჩენას, სახელმწიფოს კონსტიტუციამ უნდა უზრუნველჰყოს მისი უფლება გამოყოფაზე. ან. თუ რომელიმე ოლქს ან ერს სურს დარჩეს მთლიანი რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ არ კმაყოფილდება საოლქო თვითმართველობით და სურს მიიღოს ავტონომია (როგორც, მაგალითად, პოლონეთს), მაშინ მას უნდა ჰქონდეს ამის უფლება, თანახმად ძირითადი კანონისა თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

თუმცა ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ნაციონალური საკითხი რუსეთში სწორედ ჩვენი პროგრამის მიხედვით გადაიჭრება და უტოპიურად მიგვაჩნია რუსეთის ფედერატიული დაყოფისა და კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა. მაგრამ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოთხოვნათა პროპაგანდა ამჟამად მეტად საზარალო და რეაქციურ ხასიათს ატარებს. ნაცვლად მუშებისა და მოსახლეობის დემოკრატიული ფენების დაახლოებისა ინტერნაციონალური და საერთო-დემოკრატიული იდეალებისათვის საბრძოლველად, ისინი იწვევენ ნაციონალური უთანხმოებისა და მტრობის გაძლიერებას.

თათბირი ფიქრობს, რომ რომელიმე ერის თვით ცალკეული სამართლიანი მოთხოვნებიც კი. რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს თავისუფალ რუსეთში „ერთა თვითგამორკვევის უფლების" საფუძველზე, ამჟამად არ უნდა იქნას წამოყენებული და ხაზგასმული. მთელი მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის ძალღონე. განურჩეველად ეროვნებისა. უნდა მოხმარდეს ამჟამად საყოველთაო-სახალხო მორიგი ლოზუნგის განხორციელებას — მეფის მონარქიის დამხობას რუსეთში.

III. კავკასიის ეროვნებათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ

ომის დროს ეროვნებათა ურთიერთ დამოკიდებულება კავკასიაში მეტად გამწვავდა, მთავრობისადმი ლაქიობაში იმ გაშმაგებული კონკურენციის გამო, რომელსაც აწარმოებდნენ ერთმანეთს შორის სხვადასხვა ერთა გაბატონებული

კლასები: სომხის ბურჟუაზია. ქართველი თავადაზნაურობა და მუსულმანი ბეგები.

სომხის ბურჟუაზიამ ნიშნად მადლობისა იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომელსაც მეფის ყოფილი მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი იჩენდა მის მიმართ, და აგრეთვე იმისათვის, რომ უქვეშევრდომილესი გრძნობები გამოეხატა მეფის მთავრობისადმი, რომლის მფარველობის ქვეშაც ის თავისუფლად მდიდრდებოდა, ომის დროს ურა-პატრიოტიზმის უაღრესად ველური ვაკხანალია გაითამაშა.

ჩასჭიდა რა ხელი თურქეთის სომხების განთავისუფლების ლოზუნგს, რომელსაც პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული სომეხ ხალხის მასებში და ისარგებლა რა პოლიტიკური სიბეცით „დაშნაკცუტუნის" პარტიისა, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა სომხის გლეხთა და მეშჩანთა მასებში, სომხის ბურჟუაზიამ, ხსენებულ პარტიასთან ერთად, მოიმოქმედა ყველაფერი, რაც მას შეეძლო, იმისათვის, რომ თურქეთის სომხები გამოეყვანა რუსეთის მთავრობის ერთგულებად და იმ სახელმწიფოს მტრებად, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ამისათვის მან თავის ხარჯზე შეჰქმნა სომხის მოხალისეთა რაზმები, სადაც შეჰყავდათ აგრეთვე თურქეთის სომხებიც (თურქეთის ჯარების დეზერტირები და თვით თურქეთის პარლამენტის დეპუტატიც).

სომხის ბურჟუაზია ყოველ ფეხის გადადგმაზე აღნიშნავდა და ხმამაღლა უკეთებდა რეკლამას თავის არსებითად უბადრუკ სამხედრო დამსახურებას მთავრობის წინაშე და ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა იმისათვის, რომ დაეპირისპირებინა თავისი თავი თითქოს არაიმდენად ერთგული ქართველი ხალხისა და თითქოს არალოიალური და თითქმის მოღალატე მუსულმანური მოსახლეობისათვის.

მეორე მხრით, ქართველ და მუსულმან თავადაზნაურობას, რომელიც კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების პირველი ლაქიების როლს იყო შეჩვეული, არ შეეძლო შერიგებოდა სომხის ბურჟუაზიის გადამეტებულ გავლენას მეფის მოადგილეზე და, შეჰკრეს რა ბლოკი ერთმანეთშორის, ცდილობდნენ სახელი გაეტეხნათ სომხებისა და კერძოდ მათი რაზმებისათვის მთავრობის, არმიისა და რუსეთის საზოგადოებრივი აზრის თვალში.

ამასთან, მუსულმანური თავადაზნაურობა, რომელსაც მხარს უჭერდნენ კაპიტალისტები, და ქართველი თავადაზნაურობა, რომელსაც ემხრობოდნენ წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები, ცდილობდნენ, მსგავსად სომხის ბურჟუაზიისა, ჩაეთრიათ თავიანთ კლასობრივ პოლიტიკასა და კლასობრივ ქიშპობაში ხალხის მასები და გაეჩაღებინათ მუსულმან და ქართველ ხალხში მტრობა და სიძულვილი მთელი სომხის ხალხისადმი.

სომხის ბურჟუაზიისა და მისი მსახურის „დაშნაკცუტუნის" პარტიის ანგარებით მოსილი კლასობრივი პოლიტიკის სამწუხარო, მაგრამ ბუნებრივი შედეგი, რომელიც თავიდანვე გათვალისწინებული გვქონდა ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, და რომლის შესახებაც იმთავითვე ვიძლეოდით გაფრთხილებას,

ის იყო, რომ თითქმის სათითაოდ და მხეცურად ამოხოცეს თურქეთის ბეღ-კრული სომხები. როგორც თავის სახელმწიფოს აშკარა მოღალატეები. გარდ ამისა, ერთის მხრით, სომხის ბურჟუაზიის იმავე პოლიტიკის წყალობით და, მეორე მხრით, მასთან მუსულმანური და ქართველი შავრაზმული თავადაზნა-ურობის ქიშპობის მეოხებით შესამჩნევად გაუარესდა ურთიერთობანი ცალ-კეულ ეროვნებათა შორის კავკასიაში.

აღნიშნავს რა ყოველივე ზემოხსენებულს, თათბირი წინადადებას აძლევს ამხანაგებს გაძლიერებული აგიტაცია აწარმოონ მუშებსა და ყველა ეროვნების დაბალ ფენებს შორის გაბატონებული კლასების დანაშაულებრივი და გაბ-ცემლური პოლიტიკის საქმიანობლად. უნდა მოვუწოდოთ მუშებსა და კავკასიის მოსახლეობის ფართო მასებს არ წამოეგონ გაბატონებული კლასებისა და ნა-ციონალისტური პარტიების პროვოკაციის ანკესს და ახსოვდეთ, რომ მხოლოდ ყველა ეროვნების დემოკრატიის ძმურ ერთობაშია მათი გამარჯვებისა და განთავისუფლების საწინდარი და რომ, პირიქით, ნაციონალური მტრობის კიდევ უფრო გაძლიერებას შეუძლია გადააქციოს კავკასია სისხლიან ნაციო-ნალურ შეტაკებათა ასპარეზად.

IV. ორგანიზაციულ საკითხის შესახებ

ომის გამოცხადების დღიდან მთავრობა განსაკუთრებული სიმკაცრით და-ესხა თავს მუშათა კლასს. რათა გაენადგურებინა ყველა მისი ორგანიზაცია და-მოესპო პროლეტარიატისათვის ორგანიზებული ნებისყოფის ყოველგვარი გა-მოხატვის საშუალება. მან დახურა მუშათა ყველა გაზეთი, რომელიც ომის წინა წლებში მძლავრ შემაკავშირებელ ცენტრებს წარმოადგენდა მუშათა მოძრაობისათვის, ციხეში გამამწყვდია და გადაასახლა სახელმწიფო სათათ-ბიროს მუშათა დეპუტატები, რომლებიც რაზმავდნენ თავიანთ გარშემო რუ-სეთის მთელს პროლეტარიატს, აფხიზლებდნენ მის აზროვნებას და მოუწოდებ-დნენ მას ბრძოლისაკენ, დახურა მუშათა პროფესიული და კულტურულ-გან-მანათლებელი ორგანიზაციები და სხვ. ყველა ამან შეჰქმნა რუსეთში ნამდვი-ლი დესპოტური რეაქცია, ისეთი რეაქცია, რომლის მსგავსიც არსად არ უნახავს მუშათა მოძრაობას მთელს მსოფლიოში.

მაგრამ ამ ხანებში მუშათა ზოგიერთი ორგანიზაციული უჯრედი მაინც არსებობდა. ჭერ ქვეშ მოქცეული შეგნებული მუშები ცდილობდნენ კავშირი დაეჭირათ ერთმანეთთან. ცდილობდნენ არ ჩამქრალიყო მათში ცოცხალი სულ-ი, ეწარმოებინათ ბრძოლა იმ კაცთმოძულეობისა და იმ ხულიგნურ-პა-ტრიოტული შხამის წინააღმდეგ, რომელსაც დღითი-დღე აწვეთებდნენ მათ სულში ომის სისხლიანი ციებცხელებით დამთვრალი და გონებადაკარგული ბურჟუაზიული გაზეთები. ისინი ბევრ ადგილას ახერხებდნენ არალეგალური ფურცლების გამოშვებას. სადაც შესაძლებელი იყო, მუშები შედიოდნენ ომის ნიადაგზე შექმნილ ლეგალურ ორგანიზაციებში, რომლებსაც ისინი იყენებ-დნენ თავიანთი მიზნებისათვის და სხვ.

ამჟამად მთავრობის სამხედრო დამარცხებამ და ამით გამოწვეულმა ზელისუფლების დეზორგანიზაციამ და საზოგადოებრიობის ერთგვარმა აღმავლობამ ბურჟუაზიულ წრეებში რამოდენიმედ მაინც შეანელა რეაქციური ატმოსფერო და შეჰქმნა მუშებისათვის ერთგვარი აქტიურობის გამოჩენის მინიმალური შესაძლებლობა მაინც.

ამიტომ თათბირი მოუწოდებს ამხანაგებს:

1) მოიკრიბონ მთელი ძალღონე უწინარეს ყოელისა დაქსაქსული არალეგალური უჯრედების გასაერთიანებლად და ადგილებზე პარტიის ცოტად თუ ბევრად შემჭიდროებული და ჩამოყალიბებული ორგანიზაციების შესაქმნელად. შუშათა მიდრეკილება ამ მხრივ ძლიერდება, და შეგნებული ამხანაგები უნდა ცდილობდნენ ყოველმხრივ განამტკიცონ და გააფართოონ თავიანთი ორგანიზაციები.

2) ლეგალურ ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიულ კავშირებს, უნდა გამოცოცხლდნენ და გაფართოვდნენ ისინი ყველგან. სადაც კი გადაურჩნენ განადგურებას რეაქციის მხრივ, და მიღწეულ იქნას დახურული კავშირების აღდგენა.

3) საშინელ სიძვირესთან ბრძოლის ნიადაგზე დაიწყო ფართო კოოპერატიული მოძრაობა. შეგნებული ამხანაგები უნდა შეეიდნენ კოოპერატივებში, ეცადონ კიდევ უფრო გააფართოონ და გაძლიერონ ისინი, შეიტანონ მათში პროლეტარული იდეურობა და არ დაუშვან, რომ ისინი უბრალო დუქნებად გადაიქცნენ.

თანამედროვე მომენტის განსაკუთრებულ პირობათა გამო, კოოპერატივები გამოყენებულ უნდა იქნან არა მარტო მუშათა კლასობრივი ორგანიზაციის ფორმად, არამედ, საერთოდ, დემოკრატიული მოსახლეობის გასაერთიანებლადაც.

4) ლტოლვილთა. გადმოსახლებულთა და სხვათა დასახმარებლად ამჟამად ყველგან არსდება განსაკუთრებული კომიტეტები. მოვუწოდებთ რა მუშებს მონაწილეობა მიიღონ ომისა და მთავრობის უგუნური, ულმობელი პოლიტიკის უდანაშაულო მსხვერპლთა დახმარების საქმეში, რომელთაც მთავრობა მილიონობით ასახლებს თავიანთი ადგილებიდან, იძულებითი წესით უნადგურებს შინდვრებს, სახლებს და მთელს ქონებას, ჩვენ ვურჩევთ ამხანაგებს ეცადონ შეჰქმნან თავიანთი განსაკუთრებული მუშათა დამხმარე კომიტეტები, რომლებთანაც მოაწყონ შრომის ბირჟები და სხვ.. ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, დაუკავშირდნენ ობივატელურ კომიტეტებს. იმ პირობით, რომ შესაძლებელი დარჩეს მათი გამოყენება მუშათა დასარაზმავად. შენარჩუნებულ იქნას მუშაობაში დამოუკიდებლობა და დაიცვან თავი მებრძოლი ნაციონალიზმისა. ბურჟუაზიული ფილანტროპიზმისა და პატრიოტული აღტყინებისაგან, რაც თითქმის ყველა ასეთი ობივატელური კომიტეტის მოღვაწეობას ახასიათებს.

5) ჩვენ ვურჩევთ აგრეთვე შევიდნენ ობივატელურ კომიტეტებში, რომლებიც იმ მიზნით არსდებიან, რომ გააჩაღონ ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ

და მოაწესრიგონ სასურსათო საქმე. ამსუბუქებენ რა, ერთის მხრით, მუშათა მძიმე მდგომარეობას, რაც სიძვირისა და საჭირო პროდუქტების უქონლობის შედეგს წარმოადგენს, ეს კომიტეტები, მეორე მხრით, იძლევიან მუშათა დემოკრატიულ ობივატელთა უფრო ფართოდ დარაზმვის საშუალებას.

ურჩევს რა მუშებს ორგანიზაციის ყველა ამ ფორმას, თათბირი არ მალავს იმ უდიდეს და იშვიათ სიძნელეებს, რომლებთანაც დაკავშირებულია მუშათა მონაწილეობა როგორც თავის ირალეგალურ პარტიაში, ისე ხანდახან თვით ყოველად უმწიკვლო ლეგალურ ორგანიზაციებშიაც. მაგრამ მუშები შეეჩვევნენ იმას, რომ არ შედრკნენ მსხვერპლთა წინაშე, როცა ეს საჭიროა, ხოლო დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და მდგომარეობა რუსეთის შიგნით წარმოუდგენელ პასუხისმგებლობას აკისრებს რუსეთის მუშათა კლასს და აყენებს გადასაჭრელად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საკითხებს.

(საარქივო ფონდი № 7, საქმე 2859[1], ფურც. 232 — 235).

რსდმპ (ბოლშევიკების) ტფილისის კომიტეტის მოწოდება მუშებისადმი ოგოროდნიკებთან გათიშვის შესახებ

ამხანაგო მუშებო!

ორი უდიდესი, ერთი მეორის აშკარა მოწინააღმდეგე ფაქტორი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეკონომიურ-სამეურნეო ცხოვრებისა ერთსა და იმავე დროს არსებობს. ომი და რევოლუცია ერთსა და იმავე დროს სწარმოებს და ეს გარემოება ჰქმნის თანამედროვე მომენტს მეტად სერიოზულად.

ომი ამონავებს ხალხის მასას, რევოლუცია ანთავისუფლებს მას, ომი ანადგურებს ქვეყნის საწარმოო ძალებს, რევოლუცია ანვითარებს მათ და გამოჰყავს ისინი ახალ გზაზე. ომის წინსვლა რევოლუციის დაღუპვაა და ბრძოლა მათ შორის, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, არის ბრძოლა ძველსა და ახალ წყობილებას შორის.

შეწყვეტა ომისა, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა ყველა მეომარი ქვეყანა, შესაძლებელია მხოლოდ ინტერნაციონალურ საზღვრებში. ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალის — რევოლუციის გასამარჯვებლად საჭიროა, რომ რევოლუცია გადავიდეს სხვა მეომარ ქვეყნებში. ნაციონალურიდან ის გახდეს ინტერნაციონალური, საერთაშორისო ომის მოსპობა შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო რევოლუციას.

დარაზმვა საზოგადოებრივი კლასებისა, რომლებიც ცხოვლად არიან დაინტერესებულნი ამ ბრძოლის ამათუიმ შედეგით, არის დარაზმვა ერთთა — ომის გარშემო, ხოლო მეორეთა — რევოლუციის გარშემო.

ბურჟუაზია და ყველა გაბატონებული კლასები არიან ომის მომხრენი და არც შეიძლება არ იყვნენ მომხრენი ომისა და წინააღმდეგნი რევოლუციისა; პროლეტარიატი და ყველა დამონებული კლასი არიან და კიდეც უნდა იყვნენ მომხრენი რევოლუციისა და წინააღმდეგნი ომისა. ორპოფი მდგომარეობა, რო-

ნელიც ასასიათებს საშუალო კლასებს და რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს იცავენ ომისა და რევოლუციის ინტერესებს, არის ან მოტყუება, შეგნებულად მიმართული პოლიტიკურად განუვითარებელი მასის გაპამპულავებისაკენ, რაც მთლად ბურჟუაზიისათვის არის ხელსაყრელი, ან გონებრივი უილაჯობა, რომელიც არ აძლევს მათ შეძლებას გაერკვიონ საშინაო და საერთაშორისო სიტუაციის რთულ მოვლენებში.

ბურჟუაზია ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს შუალედი ძალები, რომლებიც ერთი ხელით რევოლუციას ეპოტინებიან, ხოლო მეორეთი ომს ჩასჭიდებიან და ცნობილნი არიან „რევოლუციური ობორონ(ცობის" სახელწოდებით: ის ცდილობს დაემყაროს მათ და ამავე დროს ამზადებს რევოლუციის დაბარცხებას შიგნით.

ამავე მიზნით ის ცდილობს ადგილობრივ საზღვრებში შეაკავოს რევოლუცია, რომ ის საზღვარგარეთ არ გადავიდეს; ამავე დროს მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო ბურჟუაზიას და მასთან ერთად ამზადებს საერთაშორისო რეაქციას, რომ საბოლოოდ შემუსროს რევოლუცია.

ბურჟუაზია რევოლუციის დაწყებიდანვე კონტრრევოლუციური იყო და ახლა ის აშკარად დგება საერთაშორისო რეაქციის გზაზე და ყოველი ღონით ამზადებს სამოქალაქო ომს სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ომის გადაჭრით მოწინააღმდეგე რევოლუციური პროლეტარიატი ცდილობს გაურკვიოს იმ ჯგუფებს, რომლებიც რევოლუციური ობორონ(ცობის შეხედულებას იზიარებენ, ომის ნამდვილი ხასიათი და რევოლუციის მნიშვნელობა, რომ სამუდამოდ გააწყვეტინოს მათ კავშირი ბურჟუაზიასთან და საბოლოოდ მიემხრონ ისინი რევოლუციას. ის ცდილობს მაქსიმუმამდე განავითაროს რევოლუცია შიგნით და მისი სრული გამარჯვებისათვის ევროპაშიაც გადაიტანოს იგი. საერთაშორისო რეაქციას ის ებრძვის საერთაშორისო რევოლუციით.

ბურჟუაზია ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა და დაჩაგრული კლასები ძველებურად დამონავებულ მდგომარეობაში ამყოფოს. პროლეტარიატი ამზადებს ძალებს, რომ შეჰქმნას პირობები ამ ბატონობის დასამხობად. ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ბრძოლა თანამედროვე ეპოქაში არის გაგრძელება საუკუნოებრივი ბრძოლისა ამ მოწინააღმდეგე კლასთა შორის; ეს ბრძოლა გაამწვავა თანამედროვე მომენტმა და წამოაყენა იგი საბოლოოდ გადასაჭრელად. ბრძოლის შედეგი საბედისწერო იქნება ერთ-ერთი მებრძოლი მხარისათვის. არავითარი მორიდება და შეთანხმება ამ კლასებისა არ შეიძლება.

ჩვენი პარტია, რევოლუციური სოციალდემოკრატიის პარტია, შეგნებულ მუშათა და უღარიბეს გლეხთა პარტია, თავის მიზნად ისახავს დაიცვას პროლეტარიატის ინტერესები. ის მიდის რევოლუციის პირდაპირი გზით, რომელიც მიმართულია ისტორიისაგან განწირული ძველი დროის ყველა ნაშთის სრული მოსპობისა და მთელი სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაციისაკენ; ამავე დროს ის სწყვეტს მომენტის ყველა მნიშვნელოვან საკითხს ისეთი

ზომებით, რომლებიც ნამდვილად უზრუნველყოფენ რევოლუციის გამარჯვებას. რევოლუციური ხალხის სრული ბატონობა მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოების სახით, რევოლუციური დიქტატურა ხალხისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული თავიდან ბოლომდე, რაც შეუძლებლად ხდის მასზე ძალმომრეობას ვისმე მხრით, ბატონობა იმ ხალხისა, რომელიც კაპიტალისტებისა და მემამულეების სურვილის წინააღმდეგ ახლავე უნდა სარგებლობდეს მთელი მიწით, რომელიც ილებს გადამწყვეტ ზომებს ომის დაუყოვნებლივ შესაწყვეტად, ამყარებს ნამდვილ კონტროლს წარმოებაზე იმ მიზნით, რომ დაიხსნას ქვეყანა აუცილებელი კატასტროფისაგან, რაც გამოწვეულია ეკონომიური არევ-დარევით. — აი რას ესწრაფვის ჩვენი პარტია რევოლუციის დღევანდელ საფეხურზე, რათა განამტკიცოს პროლეტარიატის პოზიცია სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

მომენტი მეტად სერიოზულია, მის მიერ წამოყენებული საკითხების გადაჭრა მეტად ძნელია და ეს გარემოება დაჟინებით მოითხოვს პროლეტარიატისა და მისი პარტიის მჭიდროდ დარაზმვის აუცილებლობას სოციალიზმის დროშის გარშემო, რომელიც გაანათებს ეკლიან და საძნელო გზას წმინდა პროლეტარული პოლიტიკის წარმოებისას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული რყევისაგან. გაუწია რა ამ გარემოებას ანგარიში, ცენტრალურმა კომიტეტმა 1917 წლის 24 — 29 აპრილს მოიწვია სრულიად რუსეთის კონფერენცია რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელიც წარმოადგენდა 80 ათასზე მეტ შეკავშირებულ პროლეტარს. კონფერენციამ გადაჭრა მთელი რიგი რევოლუციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები რევოლუციური სოციალდემოკრატიის თვალსაზრისით. ამაყად აღმართა სოციალიზმის დროშა და უახლოეს მიზნად დაისახა — მეორე ინტერნაციონალის ნანგრევებზე, რომელიც ბურჟუაზიას დანებდა და დამორჩილდა. — შეექმნა მესამე ინტერნაციონალი.

ტფილისის ბოლშევიკების საზოგადო კრებამ განიხილა კონფერენციის რეზოლუციები და ერთხმად მიიღო ისინი სახელმძღვანელოდ მთელს თავის მოქმედებაში.

აქედან წარმოსდგა საკითხი ტფილისის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულების შესახებ.

ტფილისის ორგანიზაციის უმრავლესობა იზიარებს მენშევიკ-ობორონცების თვალსაზრისს. მენშევიკები მხარს უჭერენ დროებითი მთავრობას, რომელიც აქტიურად აწყობს კონტრრევოლუციას და აწარმოებს შეტევითი იმპერიალისტურ ომს: ისინი მხარს უჭერენ ეგრეთწოდებულ თავისუფლების სესხს და ეწინააღმდეგებიან ჯარისკაცთა დაძმობილებას ფრონტზე: ისინი ცდილობენ აღადგინონ ინტერნაციონალი არა ყველა იმპერიალისტთან ყოველივე კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე, არამედ შეიდემანებთან ერთად, რომელთაც ბურჟუაზიას მიჰყიდეს თავი.

ჩვენი პარტია, იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო

გავლენისაგან, ვერაფერს ვერ დაუთმობს რევოლუციურ ობორონცობას და სწყვეტს მასთან ყოველივე კავშირს.

ამის გამო, კრებამ დაადგინა — გასწყვიტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს რევოლუციური ობორონცობის შეხედულებას, გამოიწვიოს იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე-ბოლშევიკი და შეიქმნას ცალკე სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც სდგას რევოლუციური სოციალდემოკრატიის თვალსაზრისზე...

გაუმარჯოს რევოლუციურ სოციალდემოკრატიას!
გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

რსდმპ (ბოლშევიკების) ტფილისის კომიტეტი.

(„კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წლის 6 ივნისი, № 67).

რსდმპ (ბ) ტფილისის საერთო-საქალაქო კონფერენციის რეზოლუცია

ფიმდინარე მომენტზე, პეტროგრადის 1917 წლის ივნისის ამბებთან დაკავშირებით

5, 6 და 9 ივნისს ტფილისში შესდგა ბოლშევიკების ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხები და თანამედროვე მომენტზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა თავის იმპერიალისტური პოლიტიკით (შეტევა, ხელშეკრულებათა გამოუქვეყნებლობა, ომის გაჭიანურება) ქვეყანას აყენებს საბოლოო ეკონომიური დეზორგანიზაციის კატასტროფული საშიშროების წინაშე; მინისტრ-კაპიტალისტებს, როგორც კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, არ ძალუძთ აწარმოონ მტკიცე დემოკრატიული პოლიტიკა (მუშათა კონტროლი წარმოებაზე, 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტით დაკანონება, სურსათის გაწესრიგება, მიწის საკითხი, ნაციონალური საკითხი და სხვ.); ისინი ემსახურებიან თავის კლასის ინტერესებს და, ამის გამო, განზრახ ხელს უშლიან რევოლუციის გაღრმავება-გაფართოებას; ისინი ემორჩილებიან დირექტივებს ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისას, რომელთანაც რუსეთის ბურჟუაზია სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში იმყოფება და რომელთანაც მას არ სურს გასწყვიტოს კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი. რუსეთის დიადი რევოლუციის თანდათან განვითარება იწვევს მსოფლიო სოციალურ რევოლუციას და მით ემუქრება თანამედროვე კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს და... აახლოვებს პროლეტარული იდეალების გამარჯვების დღეს; პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატი და ჯარის რევოლუციური ნაწილი

სათავეში უდგას დიად სოციალურ მოძრაობას თავისი გადამწყვეტი ბრძოლით კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ; შემთანხმებლობის პოლიტიკამ, რომელსაც მოჰყვა შეტევის მხარეს დაჭერა საბჭოთა უმრავლესობის მხრით, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგებს (მენშევიკები და ესერები) ხელმძღვანელობით, ხელი შეუწყო კონტრრევოლუციურ ძალთა აშკარა ორგანიზაციას, რომელსაც მეთაურობდნენ მინისტრი-კაპიტალისტები, სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო, და ხელი შეუწყო აგრეთვე ძალდატანებას რევოლუციურ მასებსა და სოციალისტური პროლეტარიატის ბელადებზე.

მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, ტფილისის საერთო-საქალაქო კონფერენციამ დაადგინა:

1. რევოლუციის გამარჯვებით დამთავრება შესაძლოა მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი ძალა-უფლება გადავა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცაკ-ის ხელში.

2. რევოლუციური პროლეტარიატისა და ჯარის რევოლუციური ნაწილის 3 — 5 ივლისს გამოსვლა იმ მიზნით, რომ მთელი ძალა-უფლება გადასცემოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ცენტრს და გაეჩაღებინათ ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. რის მოწყობასაც ცდილობდა ბურჟუაზია, რომელმაც ნიშანი მისცა თავის წარმომადგენლებს გამოსულიყვნენ მთავრობის შემადგენლობიდან, — მოწმობს გაკოტრებას ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდნენ წვრილბურჟუაზიული წრეების იდეოლოგები (მენშევიკები და ესერები).

3. რევოლუციური გადატრიალების პირველ დღეებიდანვე დემოკრატიის წინაშე დაისვა საკითხი მისი რევოლუციური ორგანოებისათვის მთელი ძალა-უფლების გადაცემაზე და ახლაც, მიუხედავად რევოლუციური მასის წინააღმდეგ მიღებული რეპრესიებისა, ეს საკითხი ძალა-უფლების შესახებ უფრო მწვავედ დგას, როგორც ერთადერთი გამოსავალი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისიდან, როგორც ერთადერთი საშუალება რევოლუციის გამარჯვებით დამთავრებისათვის.

4. რევოლუციური ხელისუფლების უახლოეს ამოცანას წარმოადგენს დაუყოვნებლივ კავშირის გაწყვეტა ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკასთან (შეტევის შეწყვეტა და გადამწყვეტი ზომების მიღება ომის დასასრულებლად); დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი ზომების მიღება წარმოების მოწყობისა, მასზე კონტროლის დაწესებისა და სურსათის სამართლიანად განაწილებისათვის; დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი ზომების მიღება ბურჟუაზიის ზედმეტი მოგების კონფისკაციისათვის, მათს კაპიტალსა და ქონებაზე საშემოსავლო, ქონების კვალობითი გადასახადის დაწესებისათვის; დაუყოვნებლივი კონფისკაცია მემამულური, სამონასტრო და სხვ. მიწისა და რეკვიზიცია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, რომელიც უნდა გადაეცეს გლეხობას, გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში.

(„კავკაზსკი რაბოჩი“ № 97, 1917 წ.).

რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი

რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო ყრილობისა, მიღებული 15 — 20 (2 — 7) ოქტომბრის სხდომაზე ქ. ტფილისში

I. მიმდინარე მომენტის შესახებ

რუსეთის რევოლუციის ნახევარი წლის ისტორიამ ნათლად დაანახა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ფართო მასას, რომელიც ბრმად ენდობოდა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს — მენშევიკებს და ესერებს, თუ რამდენად დამღუპველი იყო ამ უკანასკნელთა ობორონცული და შემთანხმებლური პოლიტიკა.

ჩვენი პარტიის ტაქტიკამ, რომელიც თავიდანვე მოითხოვდა კავშირის გაწყვეტას რუსეთისა და მოკავშირეთა ბურჟუაზიასთან, ძალა-უფლების გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში, რომლებიც აერთიანებდნენ რუსეთის ას მილიონზე მეტ მოსახლეობას, მსოფლიო ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მთელი მიწის გლეხთა კომიტეტების გამგებლობაში გადაცემას, დაჩაგრულ ერთათვის თვითგამორკვევის ფაქტიური უფლების მინიჭებას და გადამწყვეტი ზომების მიღებას წარმოებასა და ვაჭრობაში ბურჟუაზიულ ანარქიასა და სპეკულაციასთან საბრძოლველად და აგრეთვე ფინანსიურ და სასურსათო რღვევასთან საბრძოლველად,—ამ ტაქტიკამ საესებით გაამართლა თავისი თავი და იგი მთელმა რევოლუციურმა ხალხმა აღიარა.

1) როდესაც დაჩაგრულ ერთა მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა ვერაფერი მიიღეს დროებითი მთავრობისაგან, გარდა მოტყუებისა და რეპრესიებისა, თვით სიკვდილით დასჯისა და დამსჯელი ექსპედიციების აღდგენისა, თითონვე შეუდგნენ თავის ნებით აღნიშნული რევოლუციური პროგრამის განხორციელებას ქვევიდან.

2) რევოლუციის შვიდი თვის გაკვეთილმა და უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ამბებმა ვერაფერი ვერ ასწავლეს ობორონცულ პარტიებს, რომელთაც მეთაურობენ წერეთელი და კომპანია და რომლებიც განაგრძობდნენ თავიანთ დანაშაულებრივ და გამცემლურ-შემთანხმებლურ პოლიტიკას. შეჰქმნეს რა არევ-დარევის, მოტყუებისა და სიყალბის საშუალებით დემოკრატიული თათბირი და ეგრეთწოდებული „წინაპარლამენტი“ კორნილოველების, მილიუკოვების, გუჩკოვების, გენერალ ალექსეევისა და სხვ. მონაწილეობით და გადასცეს რა ფაქტიურად მთელი ძალაუფლება კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ საბოლოოდ გაენადგურებინათ უკანასკნელ თვეებში და განსაკუთრებით კი კორნილოვშჩინასთან ბრძოლაში გაძლიერებული საბჭოები. ეს კიდევ ცოტაა, მუშათა და ჯარისკაცთა მასების მიერ საბჭოებს მეტი ნაწილიდან განდევნილი, განწირული და უკუგდებული ობორონცები, წერეთლის, დანის, გოცისა და კომპანიის სახით, აცხადებენ, რომ საბჭოებმა უკვე შეასრულეს თავიანთი როლი, იწყებენ ბრძოლას რევოლუციის ამ მებრძოლ ორგანოთა წინააღმდეგ და უპირისპირებენ მათ საქალაქო თვით-

მართველობებს, სადაც მოკალათებულნი არიან ხალხის მიერ იმ დროს არჩეული ობორონცული ელემენტები, როდესაც იგი ჯერ კიდევ ნდობით უყურებდა ობორონცებსა და შემთანხმებლებს.

3) რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის ორგანიზაციათა პირველი ყრილობა აცხადებს, რომ მუშათა კლასს, ჯარისკაცებსა და გლეხებს არ შეუძლიათ გაუწიონ რაიმე დახმარება წერეთლისა და კომპანიის ხელით შეთითხნილ კერენსკისა და კონოვალოვის ხალხის საწინააღმდეგო კონტრრევოლუციურ მთავრობას. რევოლუციის მორიგ ამოცანად ჩვენ ვსთვლით, პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან სრული შეთანხმებით, სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის მოწვევას, რომელმაც თავის ხელში უნდა აიღოს მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება, გამოაცხადოს თავისი თავი რევოლუციურ კონვენტად და შეუდგეს რევოლუციის ძირითად მოთხოვნათა დაუყოვნებლივ განხორციელებას.

4) ყრილობა კარგად ხედავს, რომ ბურჟუაზია და მისი დამქაშები — კერენსკები და წერეთლები (ყოფილნი და ახლანდელნი), ეგრეთწოდებული სოციალისტი მინისტრები, არ დასთმობენ უბრძოლველად თავიანთ პოზიციებს და რომ, მეორე მხრით, გარდა მეფის მთავრობის მემკვიდრეობისა, ისინი გვიტოვებენ ჩვენ რღვევისა და ანარქიის ახალ მძიმე მემკვიდრეობას და შვიდი თვის განმავლობაში გამცემლური შემთანხმებლური პოლიტიკით გამოწვეულ ხალხის მასსების გულგატეხილობას. მაგრამ მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეჩერდნენ სიძნელეთა და მსხვერპლთა წინაშე და გაბედულად უნდა შეუდგნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და ქვეყნისა და რევოლუციის ხსნას დაღუპვისაგან. ყრილობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ძალა-უფლების დაპყრობა საბჭოების მიერ, რომლებიც პროლეტარიატს და უღარიბეს გლეხობას წარმოადგენენ, სიგნალი იქნება მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისათვის, რომელსაც ერთადერთს შეუძლია შესწყვიტოს მსოფლიო ომი და გახსნას გზა კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის.

5) სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მოწვევამდე ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგებს ყოველი ღონე იხმარონ საბჭოების განმტკიცებისათვის ადგილებზე, მათი შემადგენლობის განახლებისათვის, სადაც ეს საჭიროა, და მათი ძალა-უფლების გაფართოებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში.

6) ობორონცების პარტია კავკასიაში სდევნიდა ბოლშევიკებს და ამით გვისპობდა ჩვენ არმიასთან ურთიერთობის საშუალებას, არ უშვებდა არმიაში ჩვენს გაზეთებს და სხვ. ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატების კავკასიის ორგანიზაციის ყრილობამ გაილაშქრა თავისუფალი სიტყვის ახალი ჯალათების — მენშევიკებისა და ესერების ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ და დაავალა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს და სამხარეო კომიტეტს დაიწყონ ბრძოლა სიტყვიერი და ბეჭდვითი აგიტაციის თავისუფლებისათვის არმიაში და ამ ბრძოლაში, უწინარეს ყოვლისა, მოუწოდონ, სადაც ეს შესაძლებელია, თვით ჯარისკაცთა მასებს როგორც ზურგში, ისე ფრონტზე.

II. დამფუძნებელი კრების შესახებ

ყრილობა მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას უაღრესად ენერგიული მუშაობა აწარმოონ დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ფართოდ გაშალონ ჩვენი რევოლუციური პროგრამა და ეცადონ შემოიკრიბონ ჩვენი სიტ გარშემო ამომრჩეველთა რაც შეიძლება უფრო მეტი რაოდენობა.

III. წინაპარლამენტში მონაწილეობის შესახებ

ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატების კავკასიის ორგანიზაციის ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუყოვნებლივ გამოიწვიოს ჩვენი პარტიის წარმომადგენლები ეგრეთწოდებული წინაპარლამენტიდან, რადგან მას სრულიად უსარგებლოდ მიაჩნია პარტიისათვის მათი მონაწილეობა ამ მკვდარ კონტრრევოლუციურ დაწესებულებაში და სთვლის, რომ ამ მონაწილეობას შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა და არასწორი წარმოდგენა ჩვენი პარტიის როლისა და პოზიციის შესახებ ხალხთა მასების თვალში რუსეთსა და საზღვარგარეთ.

IV. მენშევიკების გაერთიანების შესახებ

მენშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაცია არის ნაწილი წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ობორონცული პარტიისა, რომელიც თავის თავს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას უწოდებს.

ლიბერების. დანების, წერეთლებისა და კომპანიის პარტიას არაფერი არა აქვს საერთო პროლეტარიატთან. პროლეტართა. ჯარისკაცთა და ამ უკანასკნელ ხანებში კი გლეხთა მასებმაც უკვე მოაგლიჯეს ნიღაბი ბურჟუაზიული შემთანხმებლობის პოლიტიკას და ზურგი შეაქციეს ობორონცების ბელადებსა და პარტიებს. არავითარი ნდობა ობორონცებს — აი რევოლუციურ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ლოზუნგი.

მენშევიკების პარტია წარმოადგენს რევოლუციის მიმდინარეობით კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისაკენ გადატყორცნილ გაკოტრებულ ბელადთა ორგანიზაციას.

მენშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაციამ თავისი საბოლოო ობორონცული მარცხი განიცადა ეგრეთწოდებულ გაერთიანებულ ყრილობაზე, სადაც მან თავი მოიყარა დან-წერეთლის ბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პოლიტიკის გარშემო და მიიღო პროლეტარიატის ამ მოღალატეთაგან დირექტივები და რეზოლუციები სახელმძღვანელოდ.

კორნილოვ-კერენსკის კონტრრევოლუციური ამბოხების შემდეგ აშკარად და თავხედურად მოიერიშე კონტრრევოლუციით შეშინებულმა მენშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაციამ ააჩქარა კურსის გამოცვლა და თავისი ბელადის (ჟორდანიას) პირით განაცხადა რევოლუციური დემოკრატიის ხელისუფლების ორგანიზაციის საჭიროებისა და ცენზიან ბურჟუაზიასთან კავშირის საბოლო-

ლოდ გაწყვეტის შესახებ. მაგრამ შემდეგი დღეების ამბებმა გამოამჟღავნა მენშევიკების ამ განცხადების მთელი სიყალბე. გაუბედავმა მშიშრულ-შემთანხმებლურმა პოლიტიკამ კონტრრევოლუციური დიქტატურისა, „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა“ და კერენსკის აშკარა კონტრრევოლუციური ბრძანებების მიმართ (რომლებიც მიმართული იყო არმიაში არსებული პოლიტიკისა და რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ და სხვ.) ნათლად დაგვანახა, რომ მენშევიკებს არაფერი არ უსწავლიათ და ოდნავადაც არ უღალატნიათ თავისი წვრილბურჟუაზიული ბუნებისათვის.

სიტყვით რევოლუციონერმა და საქმით შემთანხმებელმა ამიერკავკასიის მენშევიკებმა სრული უუნარობა გამოიჩინეს აქტიურ-რევოლუციური მოღვაწეობის საქმეში.

შეადგინეს რა დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სია ობორონცებთან (წერეთელთან, ჩხეიძესთან) ერთად, მათ ერთხელ კიდევ დაგვანახეს თავისი მისწრაფება ბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პოლიტიკისაკენ და სრული მოწყვეტა სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციური პოლიტიკისაგან.

ჩვენი რევოლუციურ-სოციალდემოკრატიული პარტიები ცალკეული ორგანიზაციებისა და ჯგუფების შემოერთების მთავარ პირობად აყენებენ გადაკრით გათიშვას ობორონცობასთან, და ამიტომ რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო ყრილობა მენშევიკების ამიერკავკასიის ყრილობის წინადადებაზე გაერთიანების შესახებ კატეგორიული უარით უპასუხებს.

V. ეროვნული საკითხის შესახებ

თანახმად ჩვენი პარტიის პროგრამისა და იმ რეზოლუციისა, რომელიც გამოტანილი იყო აპრილის კონფერენციაზე ეროვნული საკითხის შესახებ, ოსდმპ (ბ) კავკასიის ორგანიზაციების ყრილობა გამოდის შემდეგი მოთხოვნებით ჩვენი მხარისათვის:

1. კავკასიას უნდა მიენიჭოს ავტონომია და შეიქმნას სეიმი, რომელსაც ირჩევს კავკასიის მთელი მხარის მოსახლეობა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული უფლების საფუძველზე.

2. ფართო ადგილობრივი თვითმართველობა ახალი სამეურნეო-ადმინისტრატიული ერთეულების დაწესებით კავკასიის შიგნით; ამასთან, ეს ერთეულები, რომლებიც დასახულ უნდა იქნან უმთავრესად ეკონომიური და საყოფაცხოვრებო ნიშნის მიხედვით, უნდა დაემთხვან შესაძლებლობის ფარგლებში ნაციონალური შემადგენლობით ერთგვარ რაიონებს, ამ რაიონების მოსახლეობის სურვილის თანახმად. ეს სამეურნეო-ადმინისტრატიული გარდაქმნა უნდა მოხდეს მთელი კავკასიის მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოების ყრილობაზე.

3. აღიარებს რა ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას, მათი თვით ხახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, ჩვენი პარტია მოითხოვს დროებითი მთავ-

რობისაგან ამ უფლების დაუყოვნებლივ, აშკარად აღიარებას რუსეთში დასახლებული ყველა ერისათვის, და მათ შორის კავკასიის ხალხებისათვის. ამასთან ერთად, ყრილობა აცხადებს, რომ ის კავკასიის ერებს არ ურჩევს არც გამოყოფას და არც ფედერატიულ სახელმწიფოთა შექმნას. პირიქით, ვიღებთ რა მხედველობაში ერთა და ტომთა სიჭრელეს და მრავალრიცხოვანობას და აგრეთვე მათს ერთმანეთში არევას ჩვენს მხარეში და, მეორე მხრივ, ვითვალისწინებთ რა მუშათა მოძრაობის ერთიანობის ინტერესებს კავკასიაში, ჩვენ მოვუწოდებთ კავკასიის მთელ დემოკრატიას, განურჩევლად ეროვნებისა, უაღრესად მჭიდრო ერთობისა და დაახლოებისაკენ.

4. აღიარებს რა სავალდებულოდ საყოველთაო სწავლებას სახელმწიფოს ხარჯზე მშობლიურ ენაზე მეცადინეობის უზრუნველყოფით, პარტია კატეგორიულად გამოდის სასკოლო საქმის ცალკეულ ნაციონალურ ორგანოთა ხელში გადაცემის ცდების წინააღმდეგ. განათლების მთელი საქმე თავმოყრილი უნდა იყოს კავკასიის სეიმისა და ადგილობრივი და საოლქო თვითმართველობის ორგანოთა ხელში, რომლებიც, თანახმად მოსახლეობის მოთხოვნილებისა, ხსნიან როგორც ნაციონალურ, ისე შეერთებული ტიპის სკოლებს.

5. ვცნობთ რა ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად ეროვნებისა, ჩვენ ვემხრობით სახელმწიფო ენის პრივილეგიების მოსპობას და ენათა სრულ თანასწორუფლებიანობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში.

6. რაც შეეხება თურქეთის სომხეთის, ლაზისტანის, სპარსეთის, აზერბაიჯანის — იმ ტერიტორიების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს, რომელიც ეკუთვნის კავკასიას და დაკავებულია რუსეთის ჯარების მიერ, ამ საკითხის გადაჭრა ისევე. როგორც პოლონეთის, ელზას-ლოტარინგიისა და სხვა საკითხისა, უნდა ეკუთვნოდეს თვით ამ ოლქების მოსახლეობას ერთა იმ თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, რომელსაც იცავს ჩვენი პარტია. დემოკრატიამ ზავის ჩამოგდების დროს უნდა მოითხოვოს ამ განადგურებული ოლქების აღდგენა ბულგარეთისა და სერბეთის მაგალითისამებრ ყველა მეომარი სახელმწიფოს საერთო ფონდის ხარჯზე.

(ბროშურა — „რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები", რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გამოცემა).

რსდმპ (ბ) სამხედრო ორგანიზაციების ბიუროს მოწოდება ტფილისში კორნილოვის აგენტების გამოსვლის გამო

მტრები არ სთვლემენ, სრული შეგნებით, რომ დადგა მათი უკანასკნელი საათი, ისინი ამაო ბოროტებით ცდილობენ უნაყოფოდ განაგრძონ თავისი უბადრუკი დღენი. საამისო საშუალება მათ ბლომად მოეპოვებათ. ისინი მიმართავენ მათგან ყველაზე უფრო უტყუარ და საიმედო საშუალებას (უკვე არა-

ერთხელ გამოცდილს მათ მიერ ბოლშევიკების წინააღმდეგ) — ცილისწამებას და ადამიანის უვიცობისა და უძლურების გამოყენებას. და ეი ვინმე ლავროვი, რომელიც თავის თავს ბალტიის ფლოტის მატროსს უწოდებს და რომელიც რისთვისღაც იმყოფება არა თავის პოსტზე, არა ბალტიკაზე, სადაც უთანასწორო ბრძოლაში იღუპება ბალტიის რევოლუციური ფლოტი, არამედ იქ. ნშვენიერ ქალაქ ტფილისში, — სთითხნის ქაღალდებს ბინძური ხულიგნური გამოსვლით ბოლშევიკების წინააღმდეგ. მისმა ღირსეულმა თანამებრძოლმა კალმოსნობით, უბადრუკმა ცილისმწამებელმა, რომელიც თავისთავს სამხედრო კომისარს უწოდებს, კორნილოველმა, გვარად გობეჩიამ, სწორედ იმ გობეჩიამ, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა შემოეღოთ ფრონტზე სიკვდილით დასჯა ჯარისკაცთათვის, სწორედ იმ გობეჩიამ, რომელიც დაკავშირებული იყო მთელ რევოლუციურ რუსეთში ცნობილ სავინკოვთან და მასთან ერთად, კორნილოვთან შეთანხმებით, ცდილობდა ჩაეხშო რუსეთის რევოლუცია. — პეტროგრადის რევოლუციურ მუშათა და ჯარისკაცთა მიერ ღღეს უკვე ჩამოგდებული დროებითი მთავრობის ამ უბადრუკმა აგენტმა, კომისარმა გობეჩიამ გააკრა თავისი ხელმოწერით, ხულიგან ლავროვის მსგავსად, მოწოდება, რომელშიაც, კონტრრევოლუციური სწრაფმასროლით — ცილისწამებით შეიარაღებული, განმანადგურებელ აგიტაციას ეწევა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს საზიზღარი ცილისწამებელი გააფთრებული სიბოროტით სწერს მოწოდებაში, რომ ბოლშევიკები აჯანყდნენ „მეფის რეჟიმის აღსადგენად". ეს აშკარა კორნილოველი კონტრრევოლუციონერი, რომელიც, ალბათ, ძილშიაც კი ოცნებობს რომანოვების სისხლიანი დინასტიის დაბრუნებაზე, იმ მიზნით, რომ აამხედროს ბოლშევიკების წინააღმდეგ მუშები და ჯარისკაცები, მიმართავს ამგვარ საზიზღარ ცილისწამებას და რევოლუციის დაცვა-დაფარვის ფრაზებით ჰფარავს თავის ჭნელ კონტრრევოლუციურ სულს.

კმარა ტყუილები! თქვენ, შავბნელო, საზიზღარო არამზადებო, ვერ მოახერხებთ თქვენი საზიზღარი საქმის განხორციელებას. ხოლო მუშები და ჯარისკაცები, რომელთაც საკმაოდ მოისმინეს თქვენგან ბოლშევიკების ყოველგვარი ცილისწამება, სრულიადაც აღარ დაგიჯერებენ თქვენ და შესძლებენ უკუაგდონ თქვენი ბინძური ზრახვები, რომლებიც ამგვარ მოწოდებებს ეფარებიან.

(რევ. მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის
ბოლშევიკური პროკლამაციები).

კავკასიის მხარისა და ფრონტის რსდმკ (ბ) სამხედრო ორგანიზაციების კონფერენციის მოწოდება კავკასიის არმიის უველა ჯარისკაცებისადმი 1917 წ. ნოემბერში

დადგა უდიდესი მომენტი, როცა წყდება მუშურ-გლეხური რევოლუციის ბედი. მთელი რუსეთი ორად გაითიშა. ერთ მხარეზეა კაპიტალისტთა, მემამულეთა, მათ ხელისშემწყობთა და მსახურთა — ხალხის ჯალათთა მთელი ხროვა,

მეორე მხარეზე — მუშები, ღარიბი გლეხები — ჯარისკაცები და მეზღვაურები.

ხალხის დიდი ხნის მოთმინების საათმა დაჰკრა. რევოლუციის 8 თვის განმავლობაში დასცინოდნენ მას. 8 თვის განმავლობაში მემამულეები და კაპიტალისტები. რომელთაც ხელთ იგდეს უზენაესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება. განაგრძობდნენ ომს, ებრძოდნენ მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხებსა და ნაწილ მოთხოვნებს ზავის, პურის, მიწისა და თავისუფლების შესახებ; 8 თვის განმავლობაში მტაცებელ-მძარცველნი აძლიერებდნენ სახელმწიფოებრივ რღვევას. რომ შიმშილის მსახვრელი ხელით ჩაეხშოთ რევოლუცია. რევოლუციის 8 თვის განმავლობაში ისინი ებრძოდნენ მას, „სისხლითა და მახვილით" ცდილობდნენ მის ჩახშობას აპრილში, როცა პეტროგრადის მუშები და ჯარისკაცები გამოვიდნენ ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ. სისხლით მორწყეს მათ პეტროგრადის ქუჩები, როცა მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები გამოვიდნენ მოთხოვნით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". ისინი ცდილობდნენ მთელი რუსეთის სისხლით მორწყვას აგვისტოში, როცა გამოვიდნენ კორნილოვის მეთაურობით, რათა პირისაგან მიწისა აღეგავათ მუშათა. ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციური საბჭოები.

მათ იწყეს ცენტრალურ გუბერნიათა სოფლების „სისხლით" მორწყვა და შიმშილით გაწამებული. სასოწარკვეთილი ღარიბი გლეხრბის „რკინით" — ნარალით განადგურება, როცა შემოდგომაზე ეს უკანასკნელი შეუდგა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას. დაბოლოს, ვერ შესძლეს ,�ep უფრო გაეჭიანურებინათ დამფუძნებელი კრების მოწვევა, რაკი იცოდნენ, რომ მთელი ძალა-უფლება გადავიდოდა მუშებისა და გლეხების ხელში, მემამულეები და კაპიტალისტები ცდილობდნენ მოემზადებინათ ახალი კორნილოვშჩინა, რევოლუციის ახალი და უფრო გადამწყვეტი ჩახშობა.

ამხანაგო ჯარისკაცებო! პეტროგრადისა და კრონშტადტის რევოლუციურ მუშებსა და ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს არ დაუცდიათ, ვიდრე მათ მუხანათურად თავს დაესხმოდნენ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის შეიარაღებული ძალები, აჯანყდნენ და ჩამოაგდეს მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობა.

კონტრრევოლუციონერები, მთავარსარდლის კერენსკის „სტავკის" მეთაურობით. ახდენენ ძალთა მობილიზაციას, აწყობენ შეტევას პეტროგრადზე. მოლაპარაკებას აწარმოებენ ვილჰელმთან რევოლუციის ერთად ჩაქრობის შესახებ: ისინი ცდილობენ პეტროგრადის მოწყვეტას მთელი რუსეთისაგან, მის და მორჩილებას შიმშილით.

მათ ხელთ იგდეს ტელეგრაფი და არ უშვებენ პეტროგრადიდან არავითარ ცნობას და მუშათა და გლეხთა საბჭოების ახალი მთავრობის განკარგულებებს; ისინი აწყობენ საბჭოების მთავრობის ერთგული პოლკების განიარაღებას. გაჰყავთ ისინი ქალაქებიდან და შლიან მათ.

ამხანაგო ჯარისკაცებო!

დაჰკრა მუშურ-გლეხური რევოლუციის დიადმა საათმა.

დაირაზმეთ რკინის კედლად ჩვენი რევოლუციის დასაცავად. იხსენით ის.

იხსენით პეტროგრადისა და სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭო, მუშურ-გლეხური რევოლუციის მთავრობა მის წინააღმდეგ ამდგარ კონტრრევოლუციის ძალთაგან. არ გაუშვათ ხელიდან იარაღი. შეიარაღდით! ნუ წამოეგებით პროვოკაციის ანკეს.

ყველა გამოსვლები უნდა იყოს ორგანიზებული და მხოლოდ რევოლუციური სოციალდემოკრატიის პარტიის ხელმძღვანელობით.

ყოველი მოქმედება უნდა იყოს მოფიქრებული. სიფხიზლე! სიმტკიცე!

ნიღაბი ჩამოჰგლიჯეთ კონტრრევოლუციონერებს. გვაცნობეთ ყველა მათ განკარგულებათა შესახებ. აღკვეთეთ ყველა მათი განკარგულებანი, მიმართული საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ამხანაგო ჯარისკაცებო! გადამწყვეტი შეტაკება დაიწყო, გამარჯვება ხალხის ტანჯული უმრავლესობის მხარეზეა. ხალხის ჯალათები, მოძალადენი. მტაცებლები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ, დამარცხდებიან მუშების, გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების ერთსულოვანი ბრძოლით მთელს რუსეთში, ისე როგორც დამარცხდნენ ისინი პეტროგრადში!

ძირს მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობა!

ძირს კონტრრევოლუციური ბურჟუაზია!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მთავრობას!

გაუმარჯოს პროლეტარულ-გლეხურ რევოლუციას!

(რევ. მუზეუში. 1917 — 1921 წლის პერიოდის ბოლშევიკური პროკლამაციები).

№ ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲓᲛᲘ

არამზადები ხართ თქვენ ყველანი, სამხარეო საბჭოს წევრები იმისათვის, რომ თქვენ უარყოფთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენთვის მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებენ. რატომ დასცინით თქვენ ლენინს, თუ თქვენ მართლაც საბჭოს საკეთილდღეოდ ზრუნავთ, რატომ არ ფიქრობდით დღევანდლამდე დროებითი ზავის ჩამოგდებაზე და რატომ ცდილობდით განგეგრძოთ ომი. ახლა, მაშასადამე, თქვენ გულს გიმღვრევს ის გარემოება, რომ ლენინმა დროებითი ზავი ჩამოაგდო. თქვენ წააგეთ საბჭოში, მაშასადამე, თქვენთვის ზავიც ზედმეტია იმიტომ, რომ თქვენ თავს კარგათა გრძნობთ, ხოლო თქვენ რომ სანგრებში იჯდეთ, მაშინ კი არ უარყოფდით ლენინს. არამედ, პირიქით, შეეცდებოდით როგორმე მხარი დაგეჭირნათ მისთვის, რომ ხელისუფლება ლენინის ხელში გადასულიყო ზავის სასწრაფოდ ჩამოგდებისათვის. ეს ლენინია მეგობარი და მხსნელი დედამიწის ზურგზე, რომელიც ცდილობს იხსნას კაცობრიობის სიცოცხლე. ჩვენ არც კი ვიცით, როგორ დავაფასოთ იგი მისი კეთილი საქმისათვის — ზავისათვის. და თქვენ კი არ გსურთ ეს ზავი. თუ არ იქნება ზავი ახალი წლისათვის, ჩვენ თვითონ მივატოვებთ პოზიციას და წავალთ, ხოლო გზაში პირ-

ველს თქვენ ამოგხოცავთ და სათანადო მიეზღვება ყველას, რომლებიც ლენინის წინააღმდეგ ილაშქრებენ. მიიღეთ ეს ცნობად, კარგად დაიმახსოვრეთ და ერთ წუთსაც ნაღარ დააყოვნებთ, შეუერთდით ლენინს, ჩვენთვის ეს კარგი იქნება და თქვენც იცხოვრებთ ამ ქვეყნად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოგხოცავთ.[1]

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიმართვა მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვისა და ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ მიღებული რეპრესიების გამო

იმ დადგენილების გამო, რომელიც გამოიტანა კონტრრევოლუციონერი გეგეჭკორის მეთაურობით არსებულმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონურმა კომისარიატმა პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრთა დაპატიმრებისა და გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვის შესახებ, სამხარეო კომიტეტი გაცნობებთ, რომ იგი ა/წ 9 თებერვლიდან გამოსცემს გაზ. „კავკაზსკაია პრავდას“.

თავისუფალი სიტყვის, მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების მტრებმა, პურჟუაზიის, მემამულეებისა და ბეგების მსახურებმა — ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა, იმ მიზნით, რომ მოგისპონ თქვენ ყოველივე საშუალება — იქონიოთ მართალი ბეჭდვითი სიტყვა, დაბეჭდეს სტამბაც, სადაც იწყობოდა და ისტამბებოდა თქვენი გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“. და რედაქციაც.

ჩვენ შეგვწევდა უნარი გაგვეჩაღებინა ბრძოლა მეფის დევნისა და რეპრესიების წინააღმდეგ, ჩვენ შევძელით დაგვეძლია რუსეთის სისხლიანი მთავრობის თვითმპყრობელური დესპოტიზმი, ჩვენ შევძლებთ ვებრძოლოთ სასახლის უბადრუკ ტაკი-მასხარებს და სასახლის ახალ კამარილას, ჩვენ შევძლებთ დავძლიოთ მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, რომლებიც გაშმაგებით იბრძვიან მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ და უწყინარ კრავებად იქცევიან კაპიტალისტთა და მემამულეთა წინაშე.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ამიერ-კავკასიის მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს ჰქონდეთ მართალი ბეჭდვითი სიტყვა იმ დროს, როცა ყველა გაზეთი მეთოდურად ავრცელებს სიცრუეს საზოგადოებრივი განწყობილების გასაყალბებლად. გაზეთების დახურვითა და ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის დაპატიმრებით არ შეიძლება პროლეტარული რევოლუციის მძლავრი მსვლელობის შეჩერება, რომელსაც ცეცხლის რგოლში მოუქცევია ამიერკავკასია.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური პოლიტიკის ხელმძღვანელს ბ. გეგეჭკორს და მის მეგობრებს და კოლეგებს კონტრრევოლუციის საქმეში არ ძალუძთ ორდერებით მუშათა პრესისა და რევოლუციური ორგა-

---

[1] საქ. სსრ-ის ცენტრ. არქივი. ფ. 1, საქმე № 187. დოკუმენტი დათარიღებულია 1917 წლის 8 დეკემბრით. 1917 წლის მაისში კავკასიის არმიის პირველ სამხარეო ყრილობაზე არჩეული სამხარეო კომიტეტი თავისი შემადგენლობით მენშევიკურ-ესერული იყო. დოკუმენტის სტილი დაცულია უცვლელად.

ნიზაციების დევნა-დაპატიმრების შესახებ თავი იხსნან აბობოქრებული რევოლუციური ტალღისაგან.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ახლა თქვენ ნათლად ხედავთ საით მიჰყევეხართ ამიერ-კავკასიის კომისარიატს რუს ჯარისკაცთა სისხლის გუბეებით, რომელიც დაიღვარა შამქორთან, განჯასთან და სანდარასთან, და მუსულმან და სომეხ მუშათა და გლეხთა სისხლის ნაკადულებით, რომელიც იღვრება ურთიერთ შორის წარმოებულ უაზრო ნაციონალურ ბრძოლაში ბეგების, ხანების, მემამულეებისა და პოლიტიკური გაიძვერა-მაბეზრების გულის მოსაგებად.

ამიერ-კავკასიის ობორონცები, რომელთაც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები შესცვალეს სხვადასხვაგვარი კონტრრევოლუციური ორგანიზაციებით, ამიერ-კავკასიის კომისარიატით, ნაციონალური საბჭოებით და სხვ., ემზადებიან იმისათვის, რომ დაარტყან თქვენს რევოლუციურ ორგანიზაციას — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

10 თებერვლისათვის ისინი „ოტსტავკაში" გასულ დამფუძნებელი კრების წევრთაგან იწვევენ ეგრეთწოდებულ სეიმს, რომელსაც სურთ გადასცენ მთელი ძალაუფლება და ამით გააუქმონ და დააუძლურონ საბჭოები.

10 თებერვლისათვის ისინი სამარეს უმზადებენ ამიერ-კავკასიის რევოლუციას და აპირებენ მათ მიერ საბჭოებისათვის გამზადებულ კუბოთა დალურსმვას.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ნუთუ თქვენ ნებას მისცემთ ჩაჰკლან და გაქარწყლონ რევოლუციის დიადი მონაპოვარნი — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები? ნუთუ იმისათვის იღვრებოდა საუკუნოებით პატიოსან რევოლუციონერთა სისხლი, რომ რუსეთის იმ მუშათა და გლეხთა უდიდესი ზეიმის დღეებში, რომელთაც შეჰქმნეს თავისი მუშურ-გლეხური ხელისუფლება, ნება მიეცეს ობორონცებს ტალახში ამოსვარონ წითელი დროშა ამიერ-კავკასიის მუსულმან ბეგთა, სომხის მდიდართა და ქართველ თავად-აზნაურთა გულის მოსაგებად?

ძირს ამიერ-კავკასიის კომისარიატი და ბუტაფორული სეიმი!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!

(გაზ. „კავკაზსკაია პრავდა" № 1, 1918 წ.).

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდება მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი ტფილისში ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის გამო

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო!

დღეს, 10 თებერვალს, იხსნება ამიერ-კავკასიის სეიმი. ეს სეიმი წარმოადგენს ხალხისათვის ახალ სიყალბეს; ახალ მოტყუებას, ახალ საშუალებას ამიერ-კავკასიაში რევოლუციის ჩასახშობად მუსულმანი ბეგებისა და ხანების, ქართველი თავადებისა და სომხის ბურჟუაზიის გულის მოსაგებად.

რუსეთში მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა უკვე დაამსხვრიეს კავშირი და შეთანხმება მემამულეებთან და კაპიტალისტებთან. ყველგან განმტკიცდა და მტკიცდება რევოლუციური ხალხის — მუშებისა და გლეხების ხელისუფლება. ხალხის საუკუნოებრივ მჩაგვრელებს, რევოლუციისა და თავისუფლების მტრებს, საბოლოოდ წაერთვათ ხელისუფლება. უკანასკნელი ცდა რუსეთის შემთანხმებლებისა — შეექმნათ კოალიცია ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან დამფუძნებელ კრებაში — კრახით დამთავრდა. რუსეთის ას ორმოცდაათ მილიონიანმა მშრომელმა მოსახლეობამ — მუშებმა და გლეხებმა ამჯობინეს შეექმნათ თავისი რევოლუციური დამფუძნებელი კრება, ე. ი. მუშების, გლეხების, ჯარისკაცების, მატროსებისა და ყაზახების დეპუტატთა საბჭოების ყრილობა, და განმტკიცებინათ რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლება, საბჭოების შრომის რესპუბლიკა.

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო!

რუსეთში დამარცხებულ შემთანხმებლობას მენშევიკებისას და მემარჯვენე ესერებისას სურს საბოლოოდ მოიმაგროს ფეხი ჩვენში, კავკასიაში...

ამ კოალიციამ, რომელსაც ამიერ-კავკასიაში ამდენნხანს ამიერ-კავკასიის კომისარიატი ახორციელებდა, უკვე თავისი ნაყოფი მოიტანა.

კოალიციამ შედეგად მოგვცა რევოლუციური რუსეთიდან ამიერ-კავკასიის ჩამოცილება, რაზედაც ოცნებობდნენ მუსულმანი ხანები: მან გამოიწვია ოეოდალური და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში და ეს მხარე დააყენა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტისა და სხვა განმანადგურებელი ომების აუცილებლობის წინაშე; მან, ისევ და ისევ მუსულმანი ბეგებისა და ხანების გულის მოსაგებად, გამოიწვია კავკასიიდან რუსეთის არმიის გაძევება და რუსი ჯარისკაცების ვერაგულად ამოჟლეტა და გაძარცვა. მან — ამ კოალიციამ — მოახდინა ის, რომ არც ერთი რევოლუციური ღონისძიება არ ყოფილა გატარებული ამიერ-კავკასიაში არც გლეხობისა და არც მუშათა კლასისათვის.

თერთმეტ თვეს ბატონობდა კოალიცია ამიერ-კავკასიაში და ამ ხნის განმავლობაში თანდათანობით მივყავდით მას რევოლუციის დაკიმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური შავი რეაქციის გამარჯვება-ზეიმისაკენ. სასოწარკვეთილებამდე მისულმა მუსულმანმა და ქართველმა გლეხობამ უკვე ააფრიალა აჯანყების დროშა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ და წუთისოფელს ასალმებს თვით თავის ბეგებსა და თავადებს; სომხის გლეხობაც ასევითვე აჯანყების წინაშე სდგას. ყოფილი სოციალისტები — ჟორდანია, გეგეჭკორი და კომპ. — მათ მიერვე მოტყუებული მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარ დამსჯელ ექსპედიციებს გზავნიან მათივე მოძმე გლეხების დასაშოშმინებლად.

და რამდენადაც უფრო სამწუხარო და სავალალოა ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან კოალიციის შედეგები, რამდენადაც უფრო მეტად ზეიმობს ბეგური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუცია, იმდენად უფრო ცინიკები და უსირცხვილონი ხდებიან ბ. ბ. გეგეჭკორები და ჩხენკელები,

ამდენად უფრო ძლიერ ღალატობენ ისინი ხალხს და უმორჩილდებიან კონტრ-რევოლუციურ კლასებთან ბლოკის პოლიტიკას.

ამიერ-კავკასიის სეიმი, როგორც იმავე კოალიციის განსახიერება, თავის მიზნად ისახავს საბოლოოდ ჩაახშოს რევოლუცია ჩვენს მხარეში.

ვისთან ისხდებიან მენშევიკები ამიერ-კავკასიის სეიმში? ოთხ ათეულ მუსულმან ფეოდალურ ინტელიგენტთან, რომელიც გაუნათლებელი გლეხობის მოტყუებით იქნა არჩეული დამფუძნებელ კრებაში. მენშევიკები თავიანთ კავშირს ბეგებთან და ხანებთან ამდენხანს იმით ამართლებდნენ, რომ მათ, თითქოს, ირჩევს და ნდობას უცხადებს მუსულმანი გლეხობა. ახლა, როდესაც ეს სიცრუე მხილებულია, როდესაც მუსულმანი გლეხობა არა თუ ირჩევს, არამედ ულეტს თავის ბეგებსა და ხანებს, როგორც თავის უსაშინელეს მტრებს, განა მენშევიკები ახლა უარს ამბობენ მათთან კავშირზე? პირიქით, მათ სურთ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ მათ კოალიციურ სეიმში. მათ სამჯერ გაადიდეს სეიმის დელეგატთა რიცხვი და, ხანხოისკისთან და ხასმამედოვთან გადაჯაჭულნი, სამჯერ უფრო მძაფრად შეუდგებიან მუშურ-გლეხური რევოლუციის ჩახშობას ამიერ-კავკასიაში.

ვინ იქნება კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმში? „დაშნაკცუტუნის“ პარტია, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში ნაციონალიზმის შხამით სწამლავდა კავკასიისა და, პირველყოვლისა, სომხეთის დემოკრატიას. იქ იქნებიან ამ პარტიის ძველი ლიდერები, რომელთაც უკვე ზურგი შეაქცია სომხის პროლეტარიატმა, და რომლის ნდობასაც ჰკარგავს მისთვის ჯერ კიდევ სულ ამ ახლო ხანში ხმის მიმცემი სომხის გლეხობაც.

დაბოლოს, ვინ არიან თვით ის მენშევიკები, რომლებიც სეიმში იქნებიან? ესაა ქართველი დაშნაკცაკანები, კიდევ უარესი, — ესაა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც ლაქიობს მუსულმან ბეგთა წინაშე. ეს არის ჩხენკელი, რომელსაც აპატიმრებენ თვით ქართველი ჯარისკაცები. ეს არის ჟორდანია — განჯაში რუსი ჯარისკაცების განიარაღებისა და დახვრეტის მთავარი დამნაშავე. ესენი არიან ბ. ბ. გეგეჭკორი, რამიშვილი და ყაჩაღ აფხაზავას სხვა მეგობრები, რომელთა ხელისუფლების წინააღმდეგაც უკვე ამოძრავდა ქართველი დემოკრატია გორში, ქუთაისში და სხვაგან, რომლის დასამშვიდებლადაც ისინი გზავნიან დამსჯელ რაზმებს.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო!

რას უნდა მოელოდეთ თქვენ ამ სეიმისაგან — მუსულმანი ბეგებისა, სომეხი დაშნაკელებისა და ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენციისაგან? არაფერს, გარდა ახალი ბორკილებისა, ახალი სისხლისღვრისა და ამიერ-კავკასიაში და რევოლუციის სრული დაღუპვისა.

არა, ჩვენ გვინდა არა ეს კოალიციური სეიმი, არა ეს მუხანათური კავშირი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციისა, რომელსაც უკვე ზურგი შეაქციეს მუშათა და გლეხთა მასებმა, არამედ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები.

ეს საბჭოები ჰყავიან და მბრძანებლობენ რუსეთში, ჩვენში კი ისინი დაანგრიეს, წარყვნეს და წაბილწეს მენშევიკებმა და ესერებმა.

საჭიროა ხელახლა დავიწყოთ და ქვევიდან ვაშენოთ ეს საბჭოები, გავაერთიანოთ ძლიერ ორგანიზაციებში რევოლუციური კლასები და ავამხედროთ ისინი სეიმის გარშემო დარაზმული ფეოდალურ-ბურჟუაზიული წრეების წინააღმდეგ.

მუშათა კლასსა და გლეხობას სრული დამონება მოელის, თუ ვერ შეიგნებენ ისინი ამ აუცილებელ საჭიროებას, თუ არ შეჰქმნიან ისინი ამ ახლო მომავალში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ახალ რევოლუციურ საბჭოებს.

ჯერ კიდევ არ გახსნილა სეიმი და რეპრესიებისა და დევნის პოლიტიკას კი უკვე შეუდგნენ სეიმის ხელმძღვანელები. მათ საღვთო ომი გამოუცხადეს ბოლშევიკებს, ხელაღებით აპატიმრებენ ძველ რევოლუციონერებს, ხურავენ მათს გაზეთებს; სტამბებს დასჯის მუქარით უკრძალავენ ბოლშევიკური გაზეთების ბეჭდვას.

რეპრესიებისა და ძალადობის ვარეშე მენშევიკებისა და ბეგების ხელისუფლების არსებობა შეუძლებელია.

ტფილისის ერთერთ მოედანზე სომხებსა და მუსულმანებს შორის უკვე აღმართულია სახრჩობელა. სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეტის თავიდან აცილების მთელი იმედი დამყარებულია ამ სახრჩობელაზე. კომისარიატის „რევოლუციურ“ ხელისუფლებას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ხალხთა მასებზე სხვა საშუალებით, თუ არ სიკვდილით დასჯის მუქარით. ვაი, სირცხვილო! სახრჩობელა — აი სიმბოლო მენშევიკებისა და ბეგების „რევოლუციური“ და „სოციალისტური“ ხელისუფლებისა.

სეიმის სიმბოლოც ეს სახრჩობელა იქნება.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაპერწკლებია. თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ბლოკი ხალხს საბოლოდ წაუტერს ყელში თოკს.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და ვლეხებო!

მუშურ-გლეხური რევოლუცია ჩვენში უკვე დაიწყო; საჭიროა მივსცეთ ძალა რაც შეიძლება უფრო ფართოდ განვითარების საშუალება, უნდა შევიტანოთ მასში მეტი შეგნება და დარაზმულობა.

მეფის რეჟიმთან ბრძოლის საქმეში ამიერ-კავკასია ოდესღაც წინა რიგებში იდგა. ამჟამად კი კონტრრევოლუციის ყველაზე უფრო მტკიცე დასაყრდენს რუსეთში ამიერ-კავკასია წარმოადგენს.

საჭიროა ძალების გმირული დაძიმვა, რომ ვიხსნათ რევოლუცია, რომ ხელახლა დავუკავშირდეთ რუსეთის დიად საბჭოთა რესპუბლიკას.

ძირს კონტრრევოლუციური კავშირი ბეგებთან, მემამულეებთან, ბურჟუაზიასთან და მათ მსახურ ნაციონალისტებთან!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას კავკასიაში!

გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საბჭოების დიად სოციალისტურ რესპუბლიკას!

(რევ. მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. ბოლშევიკური
პროკლამაციები).

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდება მუშებისა და ჯარისკაცებისადმი 1918 წლის 23 (10) თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის გამო

ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! 1918 წლის 10 თებერვალს ამიერ-კავკასიის მენშევიკების კონტრრევოლუციურმა პარტიამ, რომელიც სათავეში უდგას ამიერ-კავკასიის კომისარიატს, მუხანათურად დახვრიტა მშვიდობიანი და შეუიარაღებელი მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) კომიტეტის მიერ.

ჩვენმა პარტიამ მრავალი სისხლიანი დახვრეტა და ტანჯვა-წამება განიცადა მეფის მთავრობის ჯალათებისა და დაქირავებული მკვლელებისაგან. მაგრამ ალექსანდრეს ბაღში 10 თებერვალს მოწყობილმა სისხლისღვრამ თავისი ვერაგობითა და მუხანათობით შავი რეაქციის ყველაზე უსაშინელეს ბოროტ-მოქმედებასაც კი გადააჭარბა.

მათ ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს მშვიდობიანი ხალხი ისე, რომ არც კი გააფრთხილეს ისინი. კიდევ მეტიც, ისინი მიეპარნენ მიტინგს წითელი დროშით ხელში რევოლუციონერების ნიღაბით და, როდესაც მიტინგის მონაწილენი ემზადებოდნენ მხიარულად მისალმებოდნენ მათ, ამ დროს მათ მუხანათურად ასტეხეს სროლა.

რამდენიმე წუთით ადრე სროლის დაწყებამდე მიტინგზე მოვიდა მენშევიკების ჯგუფი ნოე ხომერიკისა (მეტ სახელად „ხუნხუზა") და პეტრე გელეიშვილის (ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი) მეთაურობით, რომელთაც გასცეს უკანასკნელი ვერაგული განკარგულება ბაღის ყველა შესავალ-გასავალი კარების დაკეტვისა და მუშების დახვრეტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის შესახებ, რის შემდეგაც ეს არამზადები, ამ სისხლისღვრის განკარგულების მომხდენნი, გაიპარნენ ბაღიდან.

მყისვე ამის შემდეგ, ბარიატინსკის ქუჩიდან ბაღში შესასვლელი კარების მხრით გამოჩნდა ჯარისკაცთა ფარაჯაში გამოწყობილი ჯალათთა რაზმი. პრაპორშჩიკ იმნაძისა და ავაქიანცის (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი) მეთაურობით. წითელი დროშა, იუდური ღიმილი პრაპორშჩიკ იმნაძის სახეზე, სიხარული მიტინგის მონაწილეთა სახეებზე, ტაში მოსულთა პატივსაცემად და უცებ... ვერაგული ბათქი მუშების საწინააღმდეგოდ; ისროდნენ უმთავრესად ტყვიამფრქვევებით და ამავე დროს შაშხანებითაც ერთად.

მიტინგის ერთი ნაწილი გაიქცა და დასტოვა ადგილზე დაჭრილ-დახოცილნი. ხოლო დანარჩენები მიწაზე გაწვნენ. წითელი დროშები მარქსის, ენგელსისა და ლასალის სურათებით დახვრეტილ იქნა მენშევიკების დაქირავებულ ჯალათთა მიერ. პირველივე სროლა მიმართულ იქნა არა ჰაერში, არამედ ხალხისაკენ, რის გამოც რამდენიმე დაჭრილი და მრავალი დახოცილი აღმოჩნდა.

ჩვენ ჯერჯერობით შევძელით გამოგვერკვია მხოლოდ შემდეგ დახოცილთა გვარები: 1) მატეოსოვი, 2) ზაქარია სეხნიაშვილი, 3) გრიგოლ ვართა-

ნოვი, 4) გერასიმია და 5) პეტრე პისკუნოვი; დაჭრილები: 1) ნესტორ ცერცვაძე, 2) ალახვერდოვი, 3) მამედ ახბაბოვი, 4) ვარლამ ჯაფარიძე, 5) ნიკოლოზ ჩუნუხაძე, 6) მარიამ ბეგიჯანოვა, 7) ნიკოლოზ გარიშვილი, 8) გეღამ ანტონიანცი, 9) პროკოფი გურიევი, 10) ვარლამ ცქვიტელიძე, 11) ილარიონ წვერკიაზაშვილი, 12) პეტრე ტერ-მოსესოვი, 13) ლაზარე სხირტლაძე. 14) ილია ბარაბაშვილი და 15) მიხეილ მელიქაძე.

ბ. ბ. ჟორდანიას, რამიშვილისა და რევოლუციის სხვა მოღალატეთა ეს სისხლიანი ავაზაკობა, ალბათ, იმისათვის ესაჭიროებოდა მათ. რომ ღირსეულად აღენიშნათ ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნა, რომელიც დანიშნული იყო იმ დღისათვის.

დათვრნენ რა საკმარისად ჯარისკაცთა სისხლით შამხორში, მუსულმან ბეგთა ამ ლაქიებმა მოისურვეს გაესინჯათ მუშათა სისხლიც.

მიტინგის მთელი ადგილი სისხლის მორევს წარმოადგენს. ბაღის ხეივანი და სკამები შეღებილია დაჭრილთა და დახოცილთა სისხლით, სხეულის ნაფლეთებითა და დანოხეული ტვინით.

ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენი თვალით ნახეთ ეს უსაშინელესი ბოროტმოქმედება, ჩადენილი იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც ჯერ კიდევ უწოდებენ თავის თავს სოციალისტებს და მუშათა კლასის მეგობრებს.

ჩვენ მთელ ამ სისხლში გასვრილ ბოროტებას ვაყენებთ თქვენს საკუთარ პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე.

ძირს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ჯალათები!

ძირს თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური ხელისუფლება!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას!

გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკას!

P. S. ექიმთა შემოწმებით ყველა ჭრილობა მიყენებულია სასკდომი ტყვიებით.

(რევ. მუზეუმი. 1917—1921 წ. წ. პერიოდის პროკლამაციები).

რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტის მოწოდება 1918 წლის 28 (10) თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მოკლულთა დაკრძალვის გამო

ამხანაგო მუშებო!

დღეს, 14 თებერვალს, ვასაფლავებთ გვამს მოკლულ ამხანაგ გიგო ვართანოვისას, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის სოციალ-ჯალათების მსხვერპლი შეიქნა. ამხ. ვართანოვი და სხვები დაიღუპნენ იმისათვის, რომ მათ სურდათ ესარგებლნათ თავიანთი ელემენტარული უფლებით — საპროტესტო მშვიდობიან მიტინგზე მონაწილეობის უფლებით. ისინი დახვრეტილ იქნენ საშინელი ვერაგული და გაიძვერული გზით. ისინი დაიღუპნენ, გარდა ამისა, გეგეკორის მთავრობის მხრით ცილდაწამებულნიც. ამ მთავრობამ ყალბი ცნო-

ბები მიაწოდა ხალხს, თითქოს ისინი დახვრიტეს იმიტომ, რომ მათ მოჰკლეს მილიციონერი. არა, ათასმა მუშამ, რომელიც დაესწრო მიტინგს, და მთელმა ქალაქმა იცის, რომ 10 თებერვალს დახვრეტილი ჩვენი ამხანაგები არიან მსხვერპლნი ამიერ-კავკასიის იმ ახალი მმართველების სისხლისმწოველობისა და ვერაგობისა, რომელნიც თავიანთ თავს უსირცხვილოდ უწოდებენ „სოციალისტებს". ამ მთავრობის სინდისზეა რამდენიმე ათასი უმანკო მსხვერპლი ჯარისკაცებისა, რომელნიც დახოცილ იქნენ შამხორსა, ხაჩმაზსა და სანდარაში. მათ 10 თებერვალს ამ მსხვერპლთ მიუმატეს კიდევ დახოცილი მუშების ახალი სახელები.

ამხანაგო მუშებო! დავესწროთ დღეს, 14 თებერვალს, ამ დასაფლავებას და მით მოვიხადოთ ჩვენი უკანასკნელი ამხანაგური მოვალეობა ამ უდანაშაულო მსხვერპლთა წინაშე. ფიცი დავდოთ, რომ განვაგრძობთ ბრძოლას იმ ჯალათების წინააღმდეგ, რომელნიც წამოჭიმულან სასახლეში და ასამარებენ რევოლუციას ამიერ-კავკასიაში. ჩვენი ამხანაგები დაიღუპნენ იმიტომ, რომ ისინი ვერ შეურიგდნენ ბ. ბ. გეგეჭკორებისა და ხან-ხოისკების კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და მიტინგზედაც ლაპარაკობდნენ ამ რევოლუციური ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე. მაშ მტკიცედ და შეურყეველად დავიცვათ ის იდეალები, რომელთათვისაც დაიღუპნენ ჩვენი ამხანაგები.

ძირს ჯალათები და მოძალადენი!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საუკუნო ხსენება დაღუპულ ამხანაგებს!

კიდევ ახალი ძალადობა: ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიხეილის საავადმყოფოში გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა და ამით საშუალება მოგვისპო უკანასკნელი ვალი მოგვეხადნა სხვა დაღუპული ამხანაგი-მუშების წინაშე.

(რევ. მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის ბოლშევიკური პროკლამაციები).

ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის მოწოდება ტფილისის ყველა მუშისადმი 28 (10) თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მომხდარ დახვრეტასთან დაკავშირებით

ამხანაგო მუშებო!

კონტრრევოლუციამ კვლავ აღმართა თავისი მახვილი ჩვენს წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაიწყო რევოლუციონერ-ბოლშევიკების დაპატიმრება და დახურა მათი გაზეთები იმისათვის, რომ ისინი ააშკარაევებდნენ და ამჟღავნებდნენ კომისარიატის შეცდომებს და ბოროტმოქმედებას, როგორიც იყო, მაგალითად, განჯაში ჯარისკაცთა მუხანათური დახვრეტა.

იმავე დღეს, როგორც კი გამოაშკარავდა კომისარიატის ეს კონტრრევოლუციური განკარგულება, ტფილისის პროლეტარიატი გამოვიდა სასტიკი პრო-

ტესტით. რკინიგზის სახელოსნოებში გაიმართა რამდენიმე ათასი მუშის მღელვარე კრება, რომელმაც დაადგინა კომისარიატის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადების ნიშნად გამოაცხადოს გაფიცვა და მოითხოვოს დაპატიმრებულთა განთავისუფლება და ყადაღის მოხსნა გაზეთებზე. იმავე დღეს გადასწყვიტა გაფიცვის გამოცხადება მბეჭდავთა კავშირის, ელექტრონის მუშაკთა კავშირის, ბკერავთა კავშირის, არსენალის სახელოსნოებისა და მეტყავეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ. შემდეგ გაფიცვას მიემხრო ტოლლეს. ზარგარიანის, ბასანცოვისა და მამეღბეკოვის ქარხნები და ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახელოსნო. საპროტესტო რეზოლუციები მიიღეს მექისეთა კავშირის მუშებმა და სახელმწიფო დაწესებულებათა წვრილმა მოსამსახურეებმა. საპროტესტო რეზოლუცია მიიღო და დაადგინა მოითხოვოს სამი დღის განმავლობაში დაპატიმრებულთა განთავისუფლება და გაზეთებზე ყადაღის მოხსნა ცენტრალური პურისსაცხობის მუშებმა.

ასეთი პასუხი გასცა ტფილისის პროლეტარიატმა იმ კომისარიატის კონტრრევოლუციურ მოქმედებას, რომლის სათავეშიაც სდგანან ისეთი პიროები, რომელნიც თავიანთ თავს ყველავ სოციალისტებს უწოდებენ.

მაგრამ მეორე დღეს, 10 თებერვალს, ამ ეგრეთწოდებულმა სოციალისტებმა ახალი ჯერ არგაგონილი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. მათ დახვრიტეს ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ და შეუიარაღებელი მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი.

მიწა შეიღება რამდენიმე ათეული მოკლულისა და დაჭრილის უმანკო და უდანაშაულო სისხლით. როდესაც 1905 წლის 29 აგვისტოს მეფის ჯალათებმა სროლა აუტეხეს ტფილისის საბჭოში მოწყობილ მიტინგს, მათ იმდენი კეთილშობილება მაინც შესწევდათ, რომ სამჯერ გააფრთხილეს მიტინგის მონაწილენი, რომ, თუ არ დაიშლებოდნენ, მათ სროლას აუტეხდნენ. ბ-ნი გეგეჭკორის ჯალათებმა კი სროლა დაუწყეს მიტინგს ტყვიამფრქვეველებით ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე; პირიქით. მიეპარნენ მას წითელი დროშებით ხელში ისა სთხოვეს საზოგადოებას არ შეწუხებულიყო და არ დაშლილიყო. განა ვინ მოელოდა ასეთ მუხანათობას. ასეთ საზიზღარ გამყიდველობას იმ ხელისუფლების მხრით, რომელიც თავის თავს რევოლუციურს უწოდებს.

ამხანაგო მუშებო!

ტფილისის პროლეტარიატის სახელი და ღირსება და ჩვენთვის. მუშებისათვის, ეგზომ ძვირფასი რევოლუციის ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენ ენერგიული და სასტიკი პასუხი გავცეთ ამ ახალ ჯალათებს და მოძალადეებს.

იმ კონტრრევოლუციას, რომელიც კომისარიატმა დაიწყო, ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ერთსულოვანი პროტესტით — საერთო გაფიცვით. ჩვენ ვიბრძოდით მეფის მთავრობის საშინელ და სისხლიან ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ჩვენ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მუშათა სისხლის დაღვრის ახალ ფამხაშავეებს, ახალ მხეცებს და თავისუფალი სიტყვის ჯალათებს — ბ. ბ. გეგეჭკორს, ჩხენკელს და კომპანიას.

ჩვენ მოვითხოვთ: 1) დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქნას დადგენილება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის ამხ. შაუმიანისა და მისი

მდივნის ამხ. კუზნეცოვის დაპატიმრების შესახებ, 2) განთავისუფლებულ იქნას ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკი, 3) განახლებულ იქნას გაზეთების — „კავკაზსკი რაბოჩის", „ბრძოლისა" და „ბანვორი კრიეის" გამოშვება, 4) არავინ არ იქნას დასჯილი ამ პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობისათვის, 5) ამ გაფიცვის დღეებში, რომელიც გამოწვეულია ხელისუფლების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მეოხებით, გაფიცულთ მიეცეთ სრული სასყიდელი.

ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნან და რევოლუციურ სასამართლოს გადაეცნენ 10 თებერვლის მუშათა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტის ყველა დამნაშავენი.

ამხანაგო მუშებო!

სამშაბათს მოხდება ამიერ-კავკასიის ხელისუფალთა უსირცხვილო ბოროტების მსხვერპლთა დაკრძალვა. ჩვენ ყველანი უნდა დავესწროთ მათს დასაფლავებას და გამოვხატოთ ჩვენი უკანასკნელი ამხანაგური პატივისცემა მათდამი.

ძირს ჯალათები, რომელნიც ანთხევენ მუშათა უდანაშაულო სისხლს!

გაუმარჯოს პროლეტარულ სოლიდარობას და ბრძოლას!

გაუმარჯოს საერთო გაფიცვას—ტფილისის პროლეტარიატის პროტესტს!

(რეგ. მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. ბოლშევიკური
პროკლამაციები).

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა, მიღებული 1918 წლის 11 მარტს (26 თებერვალს) მიმდინარე მოვლენების შესახებ

პროლეტარიატისა და გლეხური არმიის ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო რუსეთში კაპიტალისტების, მემამულეებისა და მათი მაჩანჩალების — ესერებისა და მენშევიკების ბატონობა. მან საბოლოოდ გაანადგურა გაბატონებულ მქონებელ კლასთა კონტრრევოლუცია და ფართოდ გახსნა გზა დაჩაგრულ მუშათა და გლეხთა მასების შემოქმედებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის.

მთელს რუსეთს მოეფინა საბჭოთა ორგანიზაციები. ყველგან აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტური დროშა. და სახალხო კომისართა საბჭოც, რომელიც სათავეში უდგას საბჭოების ფედერატიულ რესპუბლიკას, გადაჭრით და შეუდრეკლად შეუდგა მშრომელი მასების ნება-სურვილების განხორციელებას.

სახალხო კომისართა საბჭომ ერთბაშად დახია მეფის საიდუმლო ხელშეკრულობები, რომლებიც დადებული ჰქონდა მეფეს დასავლეთ ევროპის მტაცებლებთან.

სახალხო კომისართა საბჭომ დაიწყო საზავო მოლაპარაკება ბრესტში. გაჩაღა სახალხო ზავის რევოლუციური პროპაგანდა და გადააქცია ბრესტი სო-

ციალური რევოლუციის სააგიტაციო მსოფლიო ტრიბუნად ევროპის პროლეტარიატისათვის.

მუშურ-გლეხური მთავრობის საზავო დელეგაციის ხმა გაიგო დასავლეთის პროლეტარიატმა.

ძლიერი რევოლუციური გამოძახილით გამოეხმაურნენ მას გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების მუშათა მასები, როგორ ელთა გავლენითაც გერმანიის იმპერიალისტები ყალბად გვაჩვენებდნენ თავს, უანქსიო და უკონტრიბუციო ზავის მომხრეებად. მაგრამ, ჩაახშეს რა თავის ქვეყანაში აჯანყება, მათ მიზნად დაისახეს სოციალური რევოლუციის ლიკვიდაცია რუსეთში. მათ წამოაყენეს თავხედური საზავო პირობები.

ზავის პროპაგანდისა და ხოცვა-ჟლეტის ლიკვიდაციის მიზნით, სახალხო კომისართა საბჭომ ომს თავი მიანება და დემობილიზაცია გამოაცხადა, რითაც დაანახა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს, რომ საბჭოთა რუსეთის მხრით მას არავითარი საფრთხე არ მოელის.

მაგრამ გათავხედებულმა იმპერიალისტებმა მაინც განაახლეს შემოტევა ავსტრო-გერმანიის ბანდებმა, პოლონელი მაგნატების თეთრგვარდიელებთან, ბალტიის მხარის ბარონებთან, ფინლანდიის კაპიტალისტებთან, რომანოვის დინასტიისა და რუსეთის მთელი კონტრრევოლუციური ნაწილის ნაძირალებთან ერთად, გააჩაღეს შემოტევა იმ საბაბით, რათა საბჭოთა ხელისუფლებას ხელი მოეწერა სამარცხვინო ზავზე.

სახალხო კომისართა საბჭო, რათა გამოეაშკარავებინა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის თვალში ამ უაჩაღური შემოტევის ნამდვილი ხასიათი, იძულებული შეიქნა ხელი მოეწერნა იმპერიალისტურ ზავზედაც კი.

მაგრამ ასეთ ზავზე ხელის მოწერამ ვერ შეაჩერა შემოსევა იმპერიალისტური გერმანიის, მისი ძველი და ახალი მოკავშირეების ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა და ყველა ერის კონტრრევოლუციონერთა სახით.

უდიდესი გარდატეხა ხდება მსოფლიო ისტორიაში. იმპერიალისტური ომები, დაწყებული დასაპყრობად და ერთი მეომარი ქვეყნის სხვებზე უფრო გასაძლიერებლად, ხდება აშკარა და უშუალო ომად კონტრრევოლუციასა და რევოლუციას შორის, კაპიტალსა და შრომას შორის, იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შორის. იგი ხდება მსოფლიო სამოქალაქო ომად.

მეომარი იმპერიალისტური ქვეყნებიდან გერმანიის იმპერიალიზმი გადაიქცა ყველა ერისა და ქვეყნის როგორც მტრული, ისე მოკავშირე და თანამემამულე იმპერიალისტთა მეომარი მხარის საერთო ორგანიზატორად და ხელმძღვანელად. ამჟამად გერმანიის იმპერიალისტებს და საერთოდ ყველა სახელმწიფოს აინტერესებს არა მარტო მიწების დაპყრობა, არამედ ჩახშობა მუშურ-გლეხური რევოლუციისა, რომლის ორგანიზატორიცა და ხელმძღვანელიც საბჭოთა რუსეთია.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის დათრგუნვა, ბურჟუაზიულ-მემამულური წესწყობილების აღდგენა რუსეთში, მით მთელი იმპერიალისტური ქვეყნიერების ხსნა სოციალური რევოლუციის

მრისხანე აჩრდილისაგან — აი ავსტრია-გერმანიის თავდასხმის ერთადერთი მიზანი. გერმანიის იმპერიალიზმთან სავსებით შეთანხმებული და მისი მორჩილი თურქეთის გაძვალტყავებული იმპერიალიზმიც შეტევაზე გადმოდის. იმის შიშით, რომ რევოლუციას შეუძლია მოედოს თურქეთს, გამოძახილი ჰპოვოს განაწამებ, დამშეულ და შიშველ თურქ ხალხში, შეუძლია გაანთავისუფლოს თურქეთის იმპერიალიზმის უღელქვეშ მგმინავი და ჩაგრული ხალხები, თურქეთის მტაცებელ-ფაშები უაღრესად არიან დაინტერესებული არა მარტო ბეგების კონტრრევოლუციის საბოლოო გამარჯვებით ამიერ-კავკასიაში, რასაც მხარს უჭერენ ნაციონალისტური პარტიებიც და მენშევიკებიც, არამედ სოციალისტურ-რევოლუციური მოძრაობის შეჩერებითაც კავკასიაში, პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკის გარეკა-დანგრევითაც რუსეთში.

ამ მტაცებლებს, ბეგების ბანდებთან ერთად, სურთ ცეცხლითა და მახვილით გაიარონ მთელი სივრცე და ზურგიდან დაეცნენ რუსეთის დიად სოციალისტურ რევოლუციას ფრონტის დასავლეთის იმპერიალიზმთან გაერთიანებისა და სოციალიზმის საბოლოოდ ჩახშობისათვის.

იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოელის სოციალისტურ რევოლუციას როგორც რუსეთში, ისე ყველა სხვა ქვეყანაში, სამხარეო კომიტეტი საჭიროდ სთვლის:

1. გაბედულ გამოსვლას იარაღით ხელში და აქტიურად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლებისა და სახალხო კომისართა საბჭოს დასაცავად.

2. ამ ბრძოლის წარმოებას სოციალიზმის დროშით და გადაჭრით უარყოფას ზოგიერთი პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგისას „ამიერ-კავკასიისათვის მეტად მნიშვნელოვანი პუნქტების — „ბათომის, ყარსისა და არდაგანის“ უკან დაბრუნების შესახებ, როგორც კავკასიის ბურჟუაზიის იმპერიალისტური ტენდენციების გამოვლინებას. ყოველგვარი საზღვრის უცნობლობას იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს მსოფლიო და, კერძოდ, თურქეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თვითგამორკვევის პრინციპის დაცვას ყველა ერისათვის და აგრეთვე ბათომის, ყარსისა და არდაგანის ბედის გადაწყვეტის დაშორჩილებას ამ ლოზუნგისათვის.

3. მუშათა და გლეხთა — რევოლუციის ამ შეგნებულ მებრძოლთა დარაზმვას სოციალისტურ რაზმებად „გარეშე“ და „შინაური“ კონტრრევოლუციისა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამხარეო კომიტეტი მიმართავს ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადებით აწარმოონ უაღრესად გაძლიერებული მუშაობა შექმნილი მდგომარეობის ფართო მასისათვის ასახსნელად და წითელი არმიის რევოლუციური რაზმების შესაქმნელად.

(გაზ. „კავკაზსკაია პრავდა“ № 2, 1918 წ., გვ. 1).

რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის 1919 წლის 20 აპრილის მიმართვა მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი დენიკინისათვის 31 საბჭოთა მუშაკის მოღალატური გადაცემის გამო

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! მოხდა რუსი მუშების ყოვლად გაუგონარი და საზიზღარი გამცემლობა საქართველოს „სოციალისტური" მთავრობის აგენტების მხრით. შამქორის ტრაგედიის შემდეგ, ტფილისში 10 თებერვალს მომხდარი მუშათა მიტინგის დახვრეტის შემდეგ, ქართველი გლეხების წინააღმდეგ 1918 წელს ჯალათი ჯუღელისა და კონიევის დამსჯელი ექსპედიციების დაგზავნის შემდეგ არ მომხდარა ისეთი დანაშაული, როგორიც ეს არის ჩაიდინა იმავე მთავრობამ 31 საბჭოთა მუშაკის გაცემით. გაზეთებიდან უკვე ცნობილია ამ საშინელი დანაშაულის დაწვრილებითი ამბავი და ამიტომ აქ ბევრს აღარ ვილაპარაკებთ. ა/წ. 8 აპრილს (ახ. სტილ.) საქართველოს სამხედრო გზაზე, ინგუშეთის მხრივ, დარიალის ციხესა და სადგ. ყაზბეგს შუა, გადმოვიდა ორმოცამდე წითელარმიელი და თერგის ოლქში მომუშავე სხვა საბჭოთა მუშაკი, რომელთა შორისაც იყო რამდენიმე ქალი და ბავშვი. ყველა ესენი 8 აპრილს, დილის 5 საათზე, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სამხედრო გზაზე იმყოფებოდნენ და თითქოს შეეძლოთ თავისუფლად ამოესუნთქათ და თავისი თავი უშიშრად ეგრძნოთ. მაგრამ მოხდა რაღაც წარმოუდგენელი ამბავი, რასაც არავინ არ მოელოდა. საქართველოს მთავრობის აგენტმა პოლკ. წერეთელმა, რომლის განკარგულებაშიაც აღმოჩნდნენ ეს პირები, ყველა ქალი და ბავშვი დაპატიმრებულნი გაგზავნა ტფილისში.

სულ სხვანაირად გაუსწორდა ის მამაკაცებს. ისინი ჯერ გაჩხრიკეს, ჩამოართვეს ყველაფერი ძვირფასი და შემდეგ კი გარეკეს ლარსისაკენ, რომ გადაეცათ იქ ყაზახებისათვის დასახვრეტად. დაპატიმრებულნი სრულიად არ მოელოდნენ ასეთ მოპყრობას საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის მხრით და ეელდრებოდნენ პოლკ. წერეთელს დაეხვრიტა ისინი იქვე, საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ მეფის ყოფილ მსახურზე, ახლა კი მენშევიკების ჯალათზე არაფერმა არ იმოქმედა. ის თავს იმით იმართლებდა, რომ მოქმედებდა უმაღლესი მთავრობის მოწერილობის თანახმად, და ყველა 31 კაცი გაძლიერებული მცველებისა და თვითონ წერეთლის თანხლებით გაიგზავნა ლარსში კაზაკებისათვის გადასაცემად.

გზაში 8 კაცი ამათგან მდ. თერგში გადავარდა, რადგან მათ უმჯობესად დაინახეს თავის დაღრჩობა, ვიდრე ცოცხლები ჩაბარებოდნენ ყაზახებს. დანარჩენები იმავე დღეს მიიყვანეს ლარსში. ამათგან ერთი ნაწილი იქვე დახვრიტეს ყაზახებმა, ნაწილი კი ნაცემი და შიშველ-ტიტველნი გაგზავნეს კავკავში, რათა სიკვდილით დასჯამდე ეწვალებინათ. ასეთია ფაქტი, რომელიც თავის თავზე თვითვე ლაპარაკობს. საქართველოს „სოციალისტური" მთავრობა, რომელსაც მეთაურობენ მენშევიკები — ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ი. წერეთელი და სხვ., დღემდე უმალავს ამ ფაქტს საქართველოს დემოკრა-

ტიას, ქართველ მუშებსა და გლეხებს. მას სურს დაუმალოს თავის ხალხს ეს ყოველივე საძაგელი და სამარცხვინო დანაშაული. ის სისტემატიურად აცდუნებს ქართველ მუშებსა და გლეხებს (არა იმათ, რა თქმა უნდა, რომელნიც უკვე მოეწყვნენ თბილ ადგილებზე) განცხადებებით: „დემოკრატიზმზე", საქართველოს „დამოუკიდებლობაზე", „რევოლუციის მონაპოვართა გადარჩენაზე" და სხვ., ნამდვილად კი მუშებისა და გლეხების ინტერესები მათ მიჰყიდეს ჯერ გერმანიის. შემდეგ კი მოკავშირეთა იმპერიალისტებს, შეჰკრეს საიდუმლო და აშკარა კავშირი ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებთან. მეფის ყოფილ გენერლებთან და ჯალათებთან, დენიკინებთან, კრასნოვებთან და კომპანიასთან. საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ 31 საბჭოთა მუშაკის გაგზავნა მეფის ჯალათ დენიკინისთვის აშკარა დამტკიცებაა იმისა, რომ საქართველოს „სოციალისტური" მთავრობა თითქმის ყველა ტერმინში ეხმარება რევოლუციის დაუძინებელ მტრებს და მეფის რეჟიმის აღდგენის ყველაზე გაბედულ მომხრეებს. სხვანაირად როგორ შეიძლება ახსნას ეს მუხანათური გამცემლობა? ცხადია. ქართველ მენშევიკებს სურთ დენიკინის გულის მოგება, სურთ გაუწიონ მას საწესახური საერთო საქმეში — საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკებისადმი სიძულვილმა ქართველი მენშევიკები იქამდე მიიყვანა, რომ ისინი ფეხქვეშ სთელავენ საკუთარ კანონსაც კი, რომლითაც ს

ქვეყანაში პოლიტიკურად დევნილთ საქართველოს ტერიტორიაზე სრული ხელუხლებლობა ენიჭება. რა თქმა უნდა, ბბ. ჟორდანიას, გეგეჭკორისა და კომპ ხელუხლებლობით და აშკარა მფარველობით სარგებლობენ ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერები, დაწყებული დენიკინელებით და გათავებული ჩრდილოეთ-კავკასიიდან გაქცეულ სხვადასხვა ვიგინდარებით და არამზადებით, როგორიც არიან, მაგალითად: ჩერქეზოვები, ჯაბაგიევები და სხვა ნაძირალები და არამზადები.

დეე. იცოდნენ ეს ქართველმა მუშებმა და გლეხებმა. დეე იცოდნენ მათ, თუ როგორ ღალატობენ რუს მუშებს „სოციალისტები" — ჟორდანია, ვეგეჭკორი, რამიშვილი და კომპ., როგორ უტიფრად დასცინიან ისინი რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებს. 31 საბჭოთა მუშაკის გადაცემა საქართველოს მთავრობის მიერ არ შეიძლება დატოვებულ იქნას ასე; ამ აქტით საქართველოს მთავრობამ ჩირქი მოსცხო მთელ ქართველ დემოკრატიას, რომლის სახელითაც ეს მთავრობა მოქმედებს. ამიტომ, რათა ჩამოირეცხონ ეს ლაქა, ქართველმა მუშებმა უნდა აღიმაღლონ ხმა დამნაშავეთა წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვონ მათგან პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ქართველი მუშები გახდებიან ჯალათ წერეთლის, რამიშვილისა და კომპ. დანაშაულის თანამონაწილენი.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ამჟამად, როცა სოციალისტური რევოლუციის ალი თითქმის მთელს მსოფლიოში სულ მაღლა და მაღლა იწევს, როცა სოციალისტური პროლეტარიატი გმირულ ლონისძიებებს მიმარ-

თავს, რომ დაამსხვრიოს კაპიტალის უღელი და გაანადგუროს მსოფლიო იმპერიალიზმი, რომელმაც უმაგალითო მსოფლიო ხოცვა-ყლეტა გამოიწვია, თქვენ უკვე ვეღარ უნდა მოგატყუონ და დაგაშინონ ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც თავიანთ პოზიციას ინარჩუნებენ მხოლოდ იმპერიალისტურ მთავრობათა დახმარებით (ჯერ თურქეთის, შემდეგ გერმანიის, ახლა კი ინგლისისა და მოკავშირეების დახმარებით).

ძირს მუშათა კლასის მოღალატენი!

ძირს თანამშრომლობა და კავშირი ბურჟუაზიასთან და კაპიტალიზმის მტაცებლებთან!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში. თვით მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

(მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბ. ფილიალი, 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის ბოლშევიკური დოკუმენტები).

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1918 წლის სექტემბრის მოწოდება მშრომელი მასებისადმი ამიერ-კავკასიაში დენიკინის აგენტების კონტრრევოლუციური მოქმედების შესახებ

ამხანაგებო! იმ ამბებმა, რომელთაც ამას წინათ ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე, ერთი მხრით, ჩვენი ამხანაგების დახოცვამ და, მეორე მხრით, დენიკინის აგენტების მოკვლის განზრახვამ, ძალაუნებურად მიიპყრეს საზოგადოების თითქმის ყველა ფენებისა და კლასების ყურადღება. სამწუხაროდ, ამიერ-კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანებულია კავკასიის სამხარეო კომიტეტში და რომლებშიაც ამჟამად ჩვენი პარტიის აშკარად თანამგრძნობი მუშები და გლეხები ათასობით და ათიათასობით ითვლება, პარტიული ლეგალური პრესის უქონლობის გამო, მოკლებულნი არიან საშუალებას სწრაფად და თავის დროზე გამოეხმაურონ მომხდარ ამბებს. ამავე დროს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის კლასობრივი მტრები, კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებმაც სახელმწიფო ძალაუფლებასთან ერთად ხელში ჩაიგდეს აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ყოველივე საშუალებანი, ცდილობენ ფართოდ ისარგებლონ ამ უპირატესობით, რათა ცილი დასწამონ, ლანძღონ და ტალახში ამოსვარონ კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც მათ ყველაზე უფრო სძულთ და რომელიც ყველაზე უფრო საშიშია მშრომელ მასაზე მათი კლასობრივი ბატონობისათვის.

ასე, მაგალითად, დენიკინის კონტრრევოლუციის აგენტების მოკვლის განზრახვა სოციალისტური პროლეტარიატის წყეულ მტრებს — ბურჟუებს, მემამულეებსა და მათ დაქირავებულ ლაქიებს — სოციალ-გამცემელ მენშევიკებს, რომლებიც ხელაღებით სდებენ ბრალს ამ საქმის მოწყობაში კომუნისტურ პარტიას, უნდათ წარმოგვიდგინონ ამნაირად: ერთი მხრით, დენიკინის წარმომადგენლები, რომლებიც მოვიდნენ ამიერ-კავკასიაში, როგორც ზავისა და მშვიდობიანობის მოციქულნი, როგორც ამიერ-კავკასიის ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრები და კეთილისმყოფელნი, მეორე მხრით, — ბოლშევიკები — საშინელი ბოროტმოქმედნი, სამშობლოს მოღალატენი, რომელთაც სისხლი სწყურიათ და სურთ შეჰქმნან ჩვენში ანარქია. სწორედ ასე გვინატავენ საქმეს მენშევიკებისა და ბურჟუაზიის სხვა დაქირავებული მეჯღაბნელები („ბორბა", „ერთობა", „აზერბაიჯანი" და სხვ.) და ასეთი სიცრუითა და ცილისწამებით ავსებული გაზეთები ვრცელდება ხალხში ათასობით და ათიათასობით. მაგრამ, საბედნიეროდ, მუშათა და გლეხთა მასები არც ისე გულუბრყვილონი არიან, რომ უდავოდ დაუჯერონ მენშევიკების სიცრუეს. ისინი ეძებენ სიმართლეს, ისინი მოითხოვენ ფაქტებს. ფაქტები კი აი რას ამბობენ. უწინარეს ყოვლისა, დაახლოებით ერთი თვის წინათ ქ. ბაქოს ერთერთ ქუჩაზე სრულიად აშკარად დენიკინის აგენტებმა, აზერბაიჯანის ხელისუფალთა უყურადღებობით თუ მათი თანხმობით, შეიპყრეს ამხ. ანჯიევაკი და ბორკილშეყრილი წაიყვანეს პიატიგორსკში, სადაც ის ჩაძოალრჩვეს. ამ ორმაგი და სამმაგი ბოროტმოქმედების შემდეგ იმავე ბაქოში ინგლის-დენიკინის შტაბის მიერ დაქირავებულმა აგენტებმა დახოცეს საუკეთესო მუსულმანი კომუნისტები — ამხ. მუსევი და აგნუმ ალიევი. ამხ. მუსევი სათავეში ედგა კონტრრევოლუციასთან მებრძოლ დაწესებულებას და, თუ ამ დროს დენიკინის აგენტების კონტრრევოლუციური მოღვაწეობა აზერბაიჯანში რამოდენიმედ მაინც ალაგმულ და შეჩერებულ იქნა, ამას უნდა ეუმადლოდეთ მხოლოდ ამხ. მუსევის დაუღალავ და თავდადებულ მუშაობას. სწორედ ეს პირები შეიქნენ პირველი მსხვერპლნი.

ვის შეეძლო მათი მოკვლა, მათი თავიდან მოშორება, თუ არ დენიკინის აგენტებს?

განა საჭიროა აქ კიდევ სხვა ასეთი ფაქტების მოყვანა, რომლებიც ასე ბევრია საქართველოსა და აზერბაიჯანის „თავისუფალი" „დემოკრატიული" რესპუბლიკების ტერიტორიაზე? განა საქართველოს მთავრობამ და მისმა მეთაურებმა მენშევიკმა „სოციალისტებმა" არ გადასცეს დენიკინს მიმდინარე წლის აპრილში რამდენიმე ათეული წითელარმიელი და საბჭოთა ბუშაკი, რომლებიც თერგის ოლქიდან გამოიქცნენ და ფიქრობდნენ დროებით მაინც შეეფარებინათ თავი საქართველოს რესპუბლიკისათვის და დამალოდნენ ყაზახურ-ოფიცრულ კონტრრევოლუციას? შემდეგ შასობრივი დაჭერა კომუნისტებისა, რომლებიც ამიერ-კავკასიის მთავრობებმა დამნაშავეებად გამოაცხადეს მარტო იმისათვის, რომ ისინი კომუნისტები იყვნენ. „ბედნიერი", „თავისუფალი" საქართველოს ყველა საპყრობილე უკვე სავსეა ჩვენი ამხანაგე-

ბით, რომელთაც ბ. ჟორდანიას, რამიშვილისა და კომპ. მთავრობა დაუნდობლად სდევნის. ადგილები არსებულ საპყრობილეებში უკვე აღარ ჰყოფნით. ჩვენ ჯერჯერობით უყურადღებოდ ეტოვებთ სხვა ფაქტებს ინგლის-დენიკინისა და მენშევიკების კონტრრევოლუციური მოღვაწეობიდან და ვეკითხებით ყველას: რას მოწმობენ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები? მენშევიკები, „ბორბა" და „ერთობა" ამტკიცებენ, რომ დენიკინის აგენტები ამიერ-კავკასიაში უაღრესად მშვიდობიანად და მეგობრულად არიან განწყობილნი. შეიძლება ეს ნაწილობრივ მართალიც იყოს. მაგრამ ვის მიმართ? ქართველ მენშევიკთა ბელადების, რომლებიც დენიკინელებს ჩექვებს ულოკავენ, და სხვა ბურჟუაზიულ-შემაბუნტარი არამზადების მიმართ. დიახ. ამათთან არიან დენიკინის აგენტები მართლაც კარგ განწყობილებაში და ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან კლასობრივი ინტერესები აახლოებს მათ დღევანდელი სამოქალაქო ომის პერიოდში, რომელიც სულ უფრო და უფრო ჩაღდება.

მართლაც-და, ტყეილუბრალოდ ხომ არ გაეშურა ბ-ნი ჟორდანია ბარათოვთან მასზე თავდასხმისთანავე. რათა განეცხადებინა მისთვის უქვეშევრდომილესი გრძნობები. ტყეილუბრალოდ არც მენშევიკებს მიუღიათ ასეთი მხურვალე მონაწილეობა „თამადა" ჩხიკვიშვილის მეთაურობით ბარათოვის ადიუტანტის დასაფლავების დროს დამხობილი მეფის თვითმყრობელობის ნაციონალური დროშით. განა არ უნდა იყვნენ ეს ვაჟბატონები ერთმანეთთან მეგობრულ და კეთილ განწყობილებაში?

სულ სხვა საქმეა მუშები და გლეხები. სულ სხვა საქმეა კომუნისტ ბოლშევიკების პარტია. იმათ ხომ დენიკინი არ ზოგავს, და ამიერ-კავკასიაშიაც სწორედ ამისათვის გზავნის ის თავის აგენტებს. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ დრომდე დენიკინის აგენტები ვერ გამოდიოდნენ აქ ასე აშკარად ბოლშევიკების წინააღმდეგ და მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში გათამამდნენ და ურცხვნი გახდნენ ისინი მეტისმეტად. უკვე ტფილისშიაც იყო შემთხვევები. როცა ჩვენი ამხანაგები დააპატიმრეს დენიკინელ ოფიცერთა მითითებით და თვით მბრძანებლებიც.

მენშევიკები კი ამტკიცებენ, რომ ყველა ეს მხეცობა, ჩვენი ამხანაგების ყველა ეს დევნა და მკვლელობა თეთრი ტერორი არ არის, რომ ეს ჩვენში სამოქალაქო ომის დასაწყისი არ არისო. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ჩვენი საუკეთესო ამხანაგების მასობრივი მკვლელობა, მათი დაუსრულებელი დევნა-დაპატიმრება და სხვ. სწორედ ნამდვილი თეთრი ტერორია და სხვა არაფერი, ხოლო ამ მკვლელობათა ჩადენა დენიკინის აგენტების მიერ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ნიშნავს დენიკინის აგენტების მიერ უკვე ამიერ-კავკასიის ჩათრევას აგრეთვე იმ სამოქალაქო ომში, რომელიც დღეს რუსეთში ხდება.

ჩვენზე, ჩვენს პარტიაზე, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის პროლეტარიატის მბრძანებელმა მთავრობებმა კანონს გარეშე დააყენეს და რომელიც იატაკქვეშეთშია ჩადენილი, თავდასხმებს ახდენენ, ჩვენ გვტაცებენ საუკეთესო ამხანაგებს. რომელთაც ან ხოცავენ, ან თვეობითა და წლობით საპყრობილეში ალპობენ. და როცა ამ მხეცობას, ამ უაზრო დევნას ჩვენი პარტიის ცალკეული

წევრები თავდაცვის ბუნებრივი გრძნობის ძალით იძულებულნი არიან პასუხი გასცენ ამათუიმ საშუალებით. ეს არის პასუხი არა მარტო თეთრ ტერორზე, არა მარტო შურისძიება დახოცილი და დაღუპული ამხანაგებისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ეს არის პარტიის ცალკეული წევრების თვითთავდაცვა და თავდაცვა კონტრრევოლუციონერების თავდასხმებისაგან.

ალბათ ჩვენს კლასობრივ მტრებს, ბატონ მენშევიკებს და კომპანიას სურთ, რომ ჩვენმა ამხანაგებმა უარი სთქვან თავდაცვაზე და ნებაყოფლობით ჩაუვარდნენ ხელში ჩვენს მტრებს. მაგრამ დეე იცოდნენ იმ ვაჟბატონებმა, რომ ჩვენი ამხანაგები ამას არ იზამენ, და არ იზამენ იმიტომ, რომ ეს პირდაპირ თვითმკვლელობა იქნებოდა. დეე იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩვენ ორგანიზებულ პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად განვაგრძობთ ბრძოლას კაპიტალისტების, მემამულეებისა და მათი დამქაშების ხროვის წინააღმდეგ, სანამ საბოლოოდ არ გავიმარჯვებთ მათზე.

(რევ. მუზეუმში. 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის პროკლამაციები).

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1918 წლის 10 დეკემბრის მიმართვა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი წითელი ფრონტის შექმნის საჭიროების შესახებ

ამხანაგებო!

ამიერ-კავკასიის „დემოკრატიული" მთავრობები წარმატებით ეცილებიან მეფის გენერლებს დენიკინს, ვრანგელსა და პოკროვსკის თავიანთ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობის საქმეში.

მათ სისხლით მორწყეს აჯანყებული საქართველო და ასობით და ათასობით გლეხები, ჯარისკაცები და მუშები ჩაამწყვდიეს ციხეებში.

უსაზღვრო გააფთრებით შეუდგნენ ისინი რუს, მთიელ და სხვა საბჭოთა მუშაკებისა და კომუნისტების მასობრივ გადაცემას დენიკინისათვის ქალაქების „განტვირთვის" საბაბით.

არსად და არასოდეს არ მიუღწევია შოვინისტურ პოლიტიკას ისეთი სამარცხვინო სიმაღლისათვის, როგორსაც მიაღწია მან ამიერ-კავკასიის „დემოკრატიულ" რესპუბლიკებში.

ჟორდანიას, უსუბეკოვისა და ხატისოვის ამიერ-კავკასიის მთავრობათა პირფერობამ და ფარისევლობამ იმპერიალისტური ევროპის მაკიაველისტურ მთავრობათა სისაზიზღრეს და სიყალბეს გადააჭარბა.

ისინი ყოველ კვირაში უმართავენ ერთმანეთს ბანკეტებს, სადილებს და ორგიებს; ყოველდღიურად, როგორც პრესაში, ისე საწერ მაგიდასთან ჯდომისა და ოფიციალური შეხვედრების დროს არწმუნებენ ისინი ერთმანეთს მეგობრობისა და მშვიდობიანობისადმი მისწრაფებაში; ყოველთვიურად სდებენ

ხელშეკრულებებს მეგობრობის შესახებ, ხოლო ამ ალერსიან და პირმოთნე ფრაზებს ამოფარებულნი, ისინი ჩუმ, მაგრამ გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ერთმანეთზე აძხეტრებენ თავიანთი ქვეყნების მუშებსა და გლეხებს და აღვივებენ ბნელი მასების უაღრესად ქვენა გრძნობებს.

ასეთია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების „დემოკრატიულ" მთავრობათა საშინაო პოლიტიკა: რეაქცია და შოვინიზმი.

აი ყოველი სოციალისტების ჟორდანიას, რამიშვილის, გეგეჭკორისა და მთელი მათი მენშევიკური თანამოძმეების დემოკრატიზმის ალფა და ომეგა.

მათი საშინაო პოლიტიკის ამ ძირითადი ტენდენციებით ისაზღვრება აგრეთვე ამ რესპუბლიკების მთელი საგარეო პოლიტიკაც.

კონტრრევოლუციური წვრილი ბურჟუაზიისა და ზოოლოგიური ნაციონალიზმის საზეიმოდ ისინი მზად არიან კავშირი დაამყარონ... საერთაშორისო პროლეტარიატისა და მუშათა რევოლუციის ყველა მტერთან.

ისინი გარყვნილი კურტიზანკის მსგავსად ნებდებიან ყველას. ვინც მათ უფრო მეტ სასყიდელს აძლევს და ვინც მეტს ხარჯავს კოსმეტიკაზე.

ისინი ეხვევოდნენ გუშინ თურქებსა და გერმანელებს, დღეს — ინგლისელებსა და იტალიელებს, ხოლო ხვალ... ისინი არ იტყვიან უარს ჩექმები და გალიფე-შარვალი გახადონ ბელოვეჟის ულრანი ტყის ჩასუქებულ გენერლებსა და ზუბრებს.

ამხანაგო მუშები, გლეხებო და ჯარისკაცებო!

დღეს თქვენ უფრო ფხიზლად უნდა იყოთ, ვიდრე ჩვეულებრივ.

თქვენ არა ერთხელ მოახერხეთ ხელი შეგეშალნათ მთავრობათათვის დაედვათ ხელშეკრულება დენიკინთან თქვენი ძმების — რუსი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

დენიკინის აგენტებზე ბაქოში — ბრენდებერზე და ტფილისში — ბარათოვზე 10 და 13 სექტემბერს შოხდენილი აქტებით, საქართველოს ყველა კუთხეში აჯანყების დაწყებით და ბაქოში საგაფიცვო მოძრაობის გაჩაღებით თქვენ ხელი შეუშალეთ ანტანტის ხელმძღვანელობით მომქმედ ამიერ-კავკასიის მთავრობათა გამცემლურ გეგმებს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა რევოლუციის წინააღმდეგ.

ახლა, როდესაც სასიკვდილოდ განგმირული დენიკინი თავისი ბანდების ნაშთებით უკან იხევს უუბანისა და ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, როდესაც დენიკინი უკვე აკაკუნებს ბაქოს, გაგრისა და დარიალის ხეობის კარებზე, როდესაც ამიერ-კავკასია კვლავ დაიბურა დენიკინის საფრთხის შავი ღრუბელით, ჩვენთვის საშიშია არა ის მტერი, რომელიც გარბის და რომელსაც ფეხდაფეხ მისდევს წითელი არმია; არა, საბჭოთა ჯარის ძლიერი იერიშით დაშლილ და შეთხელებულ დენიკინელთა რიგებს ერთიანი წითელი ფრონტით შეხვდებიან ამიერ-კავკასიის მუშები, გლეხები და ჯარისკაცები: ჩვენ ვუფრთხით ჩვენს მთავრობებს, რომელთაც მხოლოდ გამცემლობის უნარი აქვთ. დენიკინს და-

ღუპვა — ეს ამიერ-კავკასიის მთავრობათა დამარცხების დასაწყისი და მუშურ-კლეხური ხელისუფლების გამარჯვების საწინდარია საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, რადგან არა კავკასიის მთაგრეხილი, არამედ დენიკინის კონტრრევოლუციური ბარიერი აშორებს ერთმანეთს კავკასიის რევოლუციურ ტალღებსა და რუსეთის რევოლუციურ ოკეანეს.

ამიტომ ჟორდანიას, უსუბეკოვისა და ხატისოვის მოღალატური მთავრობები მთელის ძალღონით შეეცდებიან გადაარჩინონ დენიკინი სიბოლოო დაღუპვას და სთხოვენ ინგლისელებს ზღუდის შექმნას კავკასიასა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომ მუშურ-გლეხური რევოლუციის მძლავრმა ტალღებმა არ გადმოლახოს კავკასიის მთაგრეხილი...

ამხანაგებო! თუ ყუბანის „დემოკრატის“ კალაბუხოვის დასჯა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დენიკინთან ერთად ხვრეტდა ბოლშევიკებს და რომელიც დღეს დენიკინის ჯალათის ხელით დაეცა, თუ ყუბანში მომხდარი ამბები საკმაო გაკვეთილი არ არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავრობათათვის, თქვენ მაინც უნდა შეიგნოთ, თუ რა მუქარას უმზადებს დენიკინის მოსვლა ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს და თითონვე იფიქროთ თავის ბედიღბალზე.

პეტროგრადის მუშათა დარტყმით მტვრადქცეული იუდენიჩისა და ციმბირის მთებით წყნარი ოკეანისაკენ თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმბობღავი კოლჩაკის დახმარების გარეშე დარჩენილი და თავის უცხოელი სულისჩამდგმელებისა და ბატონ-პატრონების — საერთაშორისო იმპერიალისტური ყაჩაღების: ლოიდ-ჯორჯის, კლემანსოსა და ვილსონის მიერ მიტოვებული დენიკინი, თავის შავრაზმული ბანდების ნაშთებით, სულთმობრძაობის ჟამს სასტიკად იძიებს შურს ამიერ-კავკასიის ხალხებზე. ხოლო ბატონი ჟორდანიები, რამიშვილები, ეს უსუბეკოვები, ხანხოისკები, ხატისოვები და კაჩაზნუნები უცუდეს შემთხვევაში დასხდებიან ინგლისის გემებზე და გაჰქუსლავენ მათდამი მეგობრულად განწყობილ ინგლისისაკენ, ხოლო თავიანთი ქვეყნის მოტყუებულ მუშებსა და გლეხებს დაუტოვებენ დენიკინს დასარბევად და გასაძარცვავად. ამიტომ ამიერ-კავკასიის მუშები, გლეხები და ჯარისკაცები თვითონ უნდა შეუდგნენ ომის მოწყობას დენიკინის წინააღმდეგ.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!

ემზადეთ დაუყოვნებლივი ომისათვის მეფურ-გენერლური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. მთელი ჩვენ ძალები და საშუალებანი ჩვენ უნდა მივმართოთ დენიკინისა და მისი ნებსითი თუ უნებლიე მეგობრების წინააღმდეგ. ერთიანი წითელი ფრონტი უნდა შექმნათ ჩვენ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩვენზე ხმალამოწვდილი მტრის წინააღმდეგ. ვინც სამშვიდობო ხელს გაუწოდებს დენიკინს, ის ამიერ-კავკასიის ხალხთა თვითგამორკვევის მტერია.

გაუმარჯოს ომს დენიკინის წინააღმდეგ!

ამიერ-კავკასიის ხალხთა მძიმე განცდების ჟამს განთავისუფლებულ უნდა იქნან ციხეებში ჩამწყვდეული მუშები, გლეხები და ჯარისკაცები. მათ არ დაუზოგავთ თავიანთი სიცოცხლე ხალხის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ისი-

ნი საუკეთესო მებრძოლნი იქნებიან აგრეთვე დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხალხთა მასების უაღრესად საიმედო ხელმძღვანელნი — სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

გაუმარჯოს კავკასიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთ!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა აზერბაიჯანს!

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

(რევ. მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის ბოლშევიკური პროკლამაციები).

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 20 იანვრის მოწოდება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელი მასებისადმი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავრობათა მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტანტასთან კავშირის დამყარების გამო

ამხანაგებო! ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გამცემლურმა მთავრობებმა უაღრესად სამარცხვინო კავშირი დასდვეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან.

კავშირის მიზანია — ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან.

ინგლისის მტაცებლებმა, იმისათვის, რომ ჟორდანია, უსუბეკოვი და ხატისოვი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა სისხლს დაღვრიან წითელ არმიასთან უაზრო ბრძოლაში, „იცნეს“ ეს კონტრრევოლუციური მთავრობები და დაჰპირდნენ მათ დახმარებას მათი ძალა-უფლების განმტკიცებაში ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებზე.

სამხედრო პროგრამის განსახორციელებლად ბოლშევიკებთან ბრძოლის საქმეში ეს სამი რესპუბლიკა ერთიანდება საერთო მოქმედებათათვის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ. შავმა კონტრრევოლუციამ სასიკვდილო მარცხი განიცადა. ჯერი მიდგა მებრძოლ ყვითელ კონტრრევოლუციაზე, რომელთაც მეთაურობენ ქართველი მენშევიკები, აზერბაიჯანის ხანები და ბეგები და სომხეთის დაშნაკები.

მათი დანდობა არ შეუძლია რევოლუციის სამართლიან განაჩენს.

მეტად ბევრი ბოროტმოქმედება აქვთ ჩადენილი ამიერ-კავკასიის მუშურ-გლეხური რევოლუციის ამ მესაფლავეებს. მათ ვერ შეიფარებენ ახლა იმპერიალისტურ ძერათა შეკრული ფრთები.

სასიკვდილო აღსარების ჟამს მათ წინაშე ჩნდებიან სისხლიანი მოჩვენებანი: აი შამქორთან დახოცილ რუს ჯარისკაცთა აჩრდილები. აი ალექსანდრეს ბაღში დახვრეტილ ქართველ და სომეხ მუშათა აჩრდილები. აი დუშეთის რაიონის, სამეგრელოს, გურიისა და გორის მაზრის ბედკრული დამშეული გლეხების უთვალავ მსხვერპლთა აზრდილები და სხვ.

მუშათა და გლეხთა სისხლით დამთვრალნი, ისინი კეშმარიტი სულთ-მობრძაობით ლაპარაკობენ უკვე ახალ უამრავ მსხვერპლთა შესახებ, რომელიც სურთ გაიღონ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკური პატიმოყვარეობის გულის მოსაგებად. ყვითელი კონტრრევოლუცია უკვე ნიღაბახდილი გამოდის ბოლოსდაბოლოს საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

უკანასკნელი ჩვარი, რომელიც თავისი ფერით მენშევიკების რევოლუციურ წარსულს მოგვაგონებდა, ჩამოგლეჯილია და მის ადგილას კონტრრევოლუციის სამფერიანი დროშა ფრიალებს.

თუ იყვნენ ისეთი მუშები, რომლებიც დღემდე ვერ ხედავდნენ, რომ ნასახლეზე აღმართული წითელი დროშა, ეს მხოლოდ დაღუპულ მუშათა და გლეხთა სისხლით შეღებილი თეთრი დროშა იყო და სხვა არაფერი, დღეს ისინი ცხადად ხედავენ მენშევიკური პარტიის გამცემლობას, რომელმაც უკვე შესცვალა პროლეტარული წითელი დროშა ნაციონალისტური სამფეროვანი დროშით.

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მუშები და გლეხები არ იბრძოლებენ ჟორდანიების, რამიშვილების, ხან-ხოისკებისა და ხატისოვების გულის მოსაგებად რუსი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც მოდიან ჩვენს გასანთავისუფლებლად თმაგადავარცხნილი და ცილიდრებში გამოწყობილი სისხლის მწყურვალი გასკელებისა, უორდროპებისა და სხვა ყაჩაღებისაგან.

წითელ არმიასთან მუდმივად შეკავშირებულმა, ჩვენ, ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა, დავუპირისპირეთ პროლეტარული კავშირი თქვენს იმპერიალისტურ კავშირს. ჩვენ ვიომებთ არა ბოლშევიკებთან, არამედ თქვენთან. ჩვენს გამცემლებთან. ქართველი თავადაზნაურობის, აზერბაიჯანის ხანებისა და სომხეთის ბურჟუაზიის თქვენს ყვითელ კონტრრევოლუციურ კავშირს ჩვენ დავუპირისპირეთ რევოლუციური კავშირი, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა წითელი ძმობა.

ჩვენ დაგამხობთ თქვენ, ჩვენს დამბეჩავებლებს: ჩვენ განვდევნით ჩვენი ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს, რომლებმაც გაძარცვეს და ნამუსი ახადეს ჩვენს მდიდარ მხარეს.

ჩვენ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩვენშიაც და მთელს მსოფლიოშიაც შეექმნით პროლეტარულ ხელისუფლებას და სამუდამოდ აღვმართავთ კომუნიზმის წითელ დროშას.

ძირს მენშევიკურ-დაშნაკური და მუსავატური კავშირი!

გაუმარჯოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთა ძმობას!

გაუმარჯოს კავკასიის ხალხების საბჭოთა ფედერაციას!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

(რევ. მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის
ბოლშევიკური პროკლამაციები).

კავკასიის ხალხთა მშრომელი მასების 1920 წლის 15 მარტის მიმართვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსა, კომუნისტური ინტერნაციონალისა და წითელი არმიისადმი

ჩვენ, კავკასიის ყველა ხალხის მშრომელი მასა, გიძღვნით ჩვენს მხურვალე სალამს რუსეთის პროლეტარიატს, გლეხკაცობას და წითელ არმიას. თქვენი გამარჯვებანი, ძვირფასო ძმებო და ამხანაგებო, სამოქალაქო ომის ფრონტზე, თქვენი ღვაწლი და უმაგალითო გმირობა როგორც ბრძოლის ველზე, ისე შრომის ასპარეზზე, გვინერგავენ ჩვენ სულის სიმტკიცეს და რწმენას ჩვენს გამარჯვებაშიაც.

რევოლუციური ბრძოლის მსვლელობით რუსეთსა და კავკასიაში, ანტანტის ურცხვი და აღმაშფოთებელი აქტიური ჩარევით ჩვენს შინაურ საქმეებში, კავკასიის ნაძალადევი თანმიმდევრული ოკუპაციით გერმანიის, თურქეთისა და ინგლისის ჯარების მიერ, მშრომელი მასების ინტერესების ღალატით და გაცემით: საქართველოში — მენშევიკების პარტიის (ჟორდანია, გეგეჭკორი, ჩხენკელი, რამიშვილი, წერეთელი და სხვ.), აზერბაიჯანში — მუსავატელების „დემოკრატიული" პარტიისა (რასულ-ზადე, ხან-ხოისკი, ჯაფაროვი, უსუბეკოვი და სხვ.) და სომხეთში დაშნაკელების „რევოლუციური" პარტიის (ხატისოვი, კარჩიკიანი, ოგანჯანოვი და სხვ.) მიერ, ამ სამი კონტრრევოლუციური პარტიის ვერაგობით—ჩვენ, კავკასიის მშრომელი მასები, დღევანდლამდე ვიმყოფებით საკუთარი და უცხოელი კაპიტალისტების მონობაში.

ჩვენ არაერთხელ ვსცადეთ სისხლისმღვრელი იერიშის მიტანა ჩვენს ფლიდსა და ცბიერ მთავრობებზე.

ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონე დავძაბეთ იმისათვის, რომ გაგვენთავისუფლებინა ჩვენი დაბეჩავებული მხარე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მტაცებელ ონავართა და ბანკეტების, ორგიებისა და გარყვნილების წუმპეში ჩაფლულ ჟორდანია-უსუბეკოვ-ხატისოვის სამარცხვინო მთავრობათაგან.

წითელი ფრონტის უმწვავესი კრიზისის დროს, როცა შავი გენერლის დენიკინის ბანდები ორიოლიდან მოსკოვის გზაზე გამოვიდნენ, ჩვენ, ვიგრძენით რა რევოლუციური ინსტიქტით, რომ რევოლუცია უდიდეს საფრთხეში ვარდებოდა. აღვმართეთ საქართველოს აჯანყების დროშა. თუმცა ვიცოდით, რომ აშკარა დამარცხება მოგველოდა, და, შევქმენით რა ამით საფრთხე დენიკინის ზურგისათვის. გამოვეშურეთ თქვენსკენ თქვენს დასახმარებლად. როგორც თვით ჩვენმა მტრებმა აღიარეს, ჩვენ არ ვზოგავდით ჩვენს ძალებს, ჩვენს სიცოცხლეს და ჩვენს საკუთარ კერას, რომ გადაგვერჩინა წითელი არმია დამარცხებას, რადგან ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება — ეს ჩვენი სიკვდილი იქნებოდა, ეს ოქტომბრის რევოლუციის ყველა დიდ მონაპოვართა გაქარწყლება იქნებოდა, რომ საბჭოთა რუსეთის კატასტროფა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ყოველივე იმედის დაღუპვა იქნებოდა.

ჩვენ დავმარცხდით.

მაგრამ წითელი ჯარი, რომელმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა დენიკინის თეთრ არმიას, მოუახლოვდა კავკასიის საზღვრებს.

ჩვენი გამცემლური მთავრობები, რომლებიც აქამდე კარგად ახერხებდნენ წონასწორობის დაცვას რევოლუციურ სცილასა და კონტრრევოლუციურ ხარიბდას შორის, ახლა, მას შემდეგ, რაც გარეშე კონტრრევოლუციური დასაყრდენი და შინაგანი სიმტკიცე დაჰკარგეს, ცდილობენ შეუქმნან ახალი დაბრკოლებანი ჩვენს ლტოლვას თქვენთან შემოერთებისაკენ საბჭოთა კონსტიტუციის რევოლუციურ მატიანეში აღნიშნული პრინციპების საფუძველზე.

ჩვენ, კავკასიის ყველა ხალხის მშრომელი მასები, ამ მომართვის აქტით ვაცხადებთ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, რომ გვეზიზღება „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა კავკასიის მოსახლეობის უმცირესობამ ჩვენი მჩაგვრელებისა და მოძალადეების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „მთავრობების“ პირით.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ლოზუნგით, მათ სურთ მოუპოვონ დამოუკიდებლობა საბჭოთა მთავრობისაგან, ერთი მხრით, კავკასიის ქვეყნისჩაბა კაპიტალისტებს, მემამულეებსა და კულაკებს, ხოლო, მეორე მხრით, მათ სურთ გამოსთიშონ ამით კავკასიის მშრომელი მასა რუსეთის გლეხებსა და მუშებს, რომ უფრო ადვილად დაიმორჩილონ და სამუდამოდ დაიმონონ იგი. და, ბოლოს, ასეთი დამოუკიდებლობით ისინი ცდილობენ შეჰქმნან ფაქტიური და ფორმალური დამოკიდებულება ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის იმპერიალისტებისაგან და განამტკიცონ ჩვენი სრული ეკონომიური და პოლიტიკური მონობა.

ჩვენ არ გვსურს დავრჩეთ მონებად, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენ გვერდით გვიდგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთანაც ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში.

ჩვენ, კავკასიის ყველა კომუნისტი, ჩვენ, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და დაღესტნის მუშები და გლეხები, ჩვენ, კავკასიის ყველა ხალხთა: ჩეჩენთა, ოსთა, ყაბარდოელთა, ინგუშთა, ბალკარელთა, ყარაჩაელთა, ჩერქეზთა, აფხაზთა, აჭარელთა და ყაზახთა მშრომელი მასების წარმომადგენლები გამოუთქმელ მძიმე პირობებში ორი წლის განმავლობაში ვაწარმოებთ ბრძოლას იმ იდეალებისათვის, რომლებსაც თქვენ მიაღწიეთ ოქტომბრის რევოლუციის დღიდან.

ჩვენ ხან გამარჯვებულნი, ხან დამარცხებულნი დაუღალავად ვომობთ ყვითელ კონტრრევოლუციასთან — შავი კონტრრევოლუციის ამ მუდმივ მოკავშირესთან.

ჩვენ ვიტანჯებით ამ ხანგრძლივ ბრძოლაში.

ჩვენთვის ჯერ კიდევ არ ანათებს ოქტომბრის რევოლუციის ის დიადი მზე, რომელიც თქვენ თავს დაგქათქათებს.

კვლავ წინანდებურად იტანჯებიან მეფის ძველ ციხე-საპყრობილეებში ჩვენი ამხანაგები, ძმები და დები.

ჩვენ არ გვარგუნა ბედმა, რომ თავისუფლად ამოგვესუთქა მეფის სასხლიანი რეჟიმის დაცემის შემდეგ.

ეს რეჟიმი მუშურ-გლეხური საქართველოს ჯალათის — ნოე რამიშვილის, გამხეცებული უსუბეკოვისა და უსულგულო ხატისოვის კიდევ უფრო მწარე რეჟიმით შეიცვალა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე მეფის გენერლების ტყვიით ნაპედი მათრახი დათამაშობდა.

გვახსოვს რა ჩვენი მეგობრული მუშაობა დენიკინის შორეულ ზურგში, იმედები კავკასიის მშრომელი მასებისა, რომლებიც გულის ფანცქალით და მოუთმენლად ელოდებიან საბჭოთა რუსეთთან რაც შეიძლება ჩქარა შეერთებას, ჩვენ მტკიცედ და ღრმადა გვწამს, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და სახელოვანი წითელი არმია არ დარჩებიან გულგრილ მაყურებლებად იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებთ ჩვენ გაერთიანებულ შავ-ყვითელ კონტრრევოლუციასთან, და აქტიურად დაგვეხმარებიან ჩვენ კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

ჩვენ უზომოდ გვწყურია ხელიხელჩაკიდებულნი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად შევუდგეთ საყოველთაო შრომისა და სოციალისტური აღმშენებლობის ახალ ცხოვრებას.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას კავკასიაში!

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნაციონალს!

(მიმართვის ეს ტექსტი ხელმოწერილია კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციის სახელით რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტისა და კავკასიის ყველა ხალხთა და ეროვნებათა მშრომელი მასების წარმომადგენელთა მიერ). (რევოლუციის მუზეუმი).

საქართველოში მყოფი რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ს. კიროვის 1920 წლის 28 ივნისის ნოტა № 88 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

მე უკვე ორჯერ მქონდა პატივი შემეჩერებინა თქვენი ყურადღება იმ სისტემატურ რეპრესიებზე, რომლებსაც განიცდიან ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრები. თქვენი მთავრობის აგენტების მხრიდ.

მიუხედავად ამისა, ეს რეპრესიები არა თუ კლებულობენ, არამედ, პირიქით, ყოველდღე ეღებულობ მე სულ ახალახალ განცხადებებს კომუნისტური პარტიის წევრთა დაპატიმრების შესახებ როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში, სადაც ამავე დროს კომუნისტურ ორგანიზაციებს სრულიად ხურავენ. კომუნისტური ორგანიზაციები სრულიად დახურეს ფასანაურში, ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში, დუშეთსა და სხვა ადგილებში.

გარდა ამისა, ჩემს განკარგულებაშია სია კომუნისტური პარტიის წევრებისა, რომლებიც ციხეებში იმყოფებოდნენ რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებამდე და რომლებიც, წინააღმდეგ ხელშეკრულების მე-10 მუხლისა, ჯერაც არ არიან განთავისუფლებულნი. ამათ რიცხვში იმყოფება ელბაქიძე და სხვ.

არ შემიძლია არ მივაქციო აგრეთვე თქვენი ყურადღება იმ სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ სადგომი რსფსრ წარმომადგენლობისა საქართველოში გადაიქცა იმ სანადირო ადგილად, სადაც სელისუფლება აშკარად აპატიმრებს არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრებს, არამედ უბრალო მოქალაქეებსაც.

წარმომადგენლობის შენობიდან გამოსვლისას იქ მიმსვლელთ სისტემატურად აჩერებენ, სჩხრეკენ, აპატიმრებენ და საქართველოს ფარგლებიდან აძევებენ.

ყველაფერი ეს მაიძულებს გთხოვოთ თქვენ აუწყოთ თქვენს მთავრობას ჩემი ენერგიული პროტესტი ჩემი მთავრობის სახელით, რომელსაც არ შეუძლია არ დაინახოს ზემოაღნიშნულში საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს დადებული განსაკუთრებული დამატებითი ხელშეკრულების საიდუმლო შეთანხმების 1-ლი მუხლის პირდაპირი დარღვევა.

ამასთან ერთად, მე იძულებული ვარ აგრეთვე განვაცხადო, რომ, თუ ჩემ ძიერ აღნიშნული მოვლენები არ იქნება აღმოფხვრილი, მაშინ ჩემს მთავრობას არ დარჩება სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მიმართოს საპასუხო რეპრესიებს რსფსრ ტერიტორიაზე მყოფ ქართველ მოქალაქეთა მიმართ...

(„რსფსრ და საქ. დემოკრ. რესპუბლიკა, მაი ურთიერთ დამოკიდებულება", გვ. 17).

საქართველოში მყოფი რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ს. კიროვის 1920 წლის 9 ივლისის ნოტა № 330 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც ეს ჩემ ხელთ არსებული მასალიდან და ადგილობრივი პრესის ცნობებიდან სჩანს, გაძლიერდა მთავრობის რეპრესიები საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა მიმართ. ტფილისშიაც და საქართველოს მთელს ტერიტორიაზედაც კომუნისტების დაუსრულებელი დაპატიმრება ხდება.

იხურება კომუნისტების პარტიული ბიუროები. როგორც ეს სიღნაღში (29 ივნისს) და ახალ-სენაკში იყო, ხდება ოქმებისა და სარეგისტრაციო მასალის ამოღება და იკრძალება კომუნისტური პროპაგანდის წარმოება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფასანაურში მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში.

ტფილისში, ქუთაისსა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა ადგილებში ციხეებში იტანჯებიან თუ არ ასეულები, ყოველ შემთხვევაში, მრავალი ათეული

კომუნისტი, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან ოფიციალური ბრალდების წაუყენებლად და დაპატიმრების საფუძვლის მხოლოდ მოკლე და ბუნდოვანი ფორმულირებით.

ყველა ეს პირნი დაპატიმრებულნი არიან იმისათვის, რომ თითქოს ისინი კომუნისტურ აგიტაციას ეწევოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებში...

ახალ-სენაკის მაზრაში პირველ ივნისს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კომუნისტებზე თავდასხმის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა 21 კაცი, რომელთაც ბრალდებათ წაყენებული აქვთ — რაზმების შედგენა დეზერტირებისა და უკმაყოფილო ელემენტებისაგან და მოსახლეობის მოწოდება შეიარაღებული გაბოსვლისაკენ არსებული წესწყობილების დასამხობად.

თელავში, 1-ლ ივნისს, მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ადგილობრივი კომუნისტებისათვის სადგომის მიცემაზე წულუკიძის ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდის გადახდისათვის, დააპატიმრეს საქართველოს კომუნისტური პარტიის 3 წევრი.

29 ივნისს ახალციხეში დაპატიმრების მიზეზთა ყოველივე ფორმულირების გარეშე დააპატიმრეს პარტიის მთელი სამაზრო კომიტეტი. საქართველოს კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტის მთელი შემადგენლობა 2 ივლისს დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე ახალ-სენაკშიც...

1-ლ ივლისს გორში დააპატიმრეს მთელი პარტიული კრება; ამასთან, სამი კაცი დაპატიმრებულთაგან გალახულ იქნა.

დასასრულ, 8 ივნისს ტფილისში დაპატიმრებულ იქნა პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის წევრი — გიორგი სტურუა, რომელსაც ბრალი დასდეს იარაღის შესყიდვაში...

ბრალდებათა მთავარ წყაროს, რომელსაც უყენებენ დაპატიმრებულებს, წარმოადგენს განსაკუთრებული რაზმისა და მილიციის აგენტურული ცნობები.

გარდა ამისა, ადგილობრივი ადმინისტრაციის პასუხისმგებელმა პირებმა არა ერთხელ განაცხადეს იმის შესახებ, რომ ისინი არ დაუშვებენ კომუნისტურ აგიტაციას და არ მისცემენ ნებას კომუნისტებს იცხოვრონ იმ მაზრების ფარგლებში, რომლებსაც ისინი განაგებენ. ამას ადგილი ჰქონდა ლეჩხუმის მაზრაში, ფასანაურში და საქართველოს რესპუბლიკის სხვა ადგილებში.

ეს ცნობები საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა მიმართ მასობრივი რეპრესიებისა, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების დაპატიმრებისა და პარტიული ბიუროების სადგომების დაბეჭდვის შესახებ მაიძულებენ მე გამოვიყვანო დასკვნა, რომ მთავრობის ხელისუფლების აგენტები ატარებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის სრული ლიკვიდაციის განსაზღვრულ სის-

ტემას, და აღვნიშნო რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატების პირველი მუხლის პირდაპირი დარღვევა...

(„რსფსრ და საქ. დემოკრ. რესპუბლიკა, მათი ურთიერთ დამოკიდებულება", გვ. 23—25).

საქართველოში მყოფი რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ს. კიროვის 1920 წლის 19 ივლისის ნოტა № 598 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ჩემს ნოტაში ამა 9 ივლისის თარიღით და 330 №-ით, რომელიც მიმართული იყო თქვენდამი, მე უკვე აღვნიშნე თქვენი მთავრობის აგენტების მიერ რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატების 1-ლი მუხლის პირდაპირი დარღვევის ფაქტები. რადგან თქვენგან ამ ნოტაზე პასუხი ვერ მივიღე, მე იძულებული გავხდი მეცნობებინა ამის შესახებ ჩემი მთავრობისათვის და სათანადო განმარტება მიმეცა ამ დუმილისათვის. ეს მით უმეტეს, რომ რეპრესიები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ საქართველოში არა თუ შემცირდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ უკანასკნელს, გარდა იმ გარემოებისა, რომ განუწყვეტლივ გრძელდება პარტიის ცალკეული წევრების, ჯგუფებისა და კომიტეტების დაპატიმრება, პარტიული კომუნისტური ბიუროების დახურვა და დაბეჭდვა და სხვ., ისიც ადასტურებს, რომ ამა 17 ივნისს ქ. ტფილისში ადგილი ჰქონდა პარტიული კომუნისტური გაზეთების დახურვას ერთსა და იმავე დროს. ამ უკანასკნელი ფაქტის შესახებ გამორკვეულია, რომ რუსულ ენაზე არსებული გაზ. „კომუნისტისა" და ქართული გაზეთის „საქართველოს კომუნისტის" დახურვა მოხდა პროკურორის განკარგულებით; ამასთან, ხსენებული გაზეთების რედაქტორებს პასუხისგებაში აძლევენ. მაგრამ, სინამდვილეში, გაზეთების დახურვას თან ახლდა ყველა თანამშრომლის დაპატიმრება და თანაც კორექტორისა და იმ პირთა დაპატიმრებაც კი, ვინც რედაქციებში იმყოფებოდა: ამასთან, დახურულ იქნა სტამბაც. ყველა ეს პირობები არ შეიძლება არ მოწმობდეს იმას, რომ აქ სდევნიან არა რედაქტორებს, რომელთაც დაარღვიეს ესა თუ ის კანონი თქვენს რესპუბლიკაში, არამედ აქ ხდება კომუნისტების ბეჭდვითი ორგანოების სრული ლიკვიდაცია, რათა ხელი შეეშალოს მათს ფაქტიურ განახლებას.

ყოველივე ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ ა/წ. 7 მაისს დადებული ხელშეკრულობის განსაკუთრებული საიდუმლო დანართის 1-ლი მუხლისა და მე-10 მუხლის ახალი პირდაპირი დარღვევა თქვენი მთავრობის აგენტების მიერ, რომლითაც გათვალისწინებულია იმ კომუნისტების განთავისუფლება შემ-

ლგომი დევნისაგან, სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით, რომელთაც წარსულში ჩაუდენიათ რაიმე ქმედება რსფსრ-ის ან რკპ-ის სასარგებლოდ.

ამავე დროს, არ შემიძლია არ შეეჩერდე თქვენს ა/წ. 19 ივლისის № 5704 დეპეშაზე რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისადმი, სადაც მოყვანილია კომუნისტების წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიების მოტივები. ამ დეპეშაში თქვენ, სხვათა შორის, ეყრდნობით სარწმუნო ცნობებს, რომლებიც მოეპოვება თქვენს მთავრობას, იმის შესახებ, რომ „საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრები, გარდა თავიანთი ლეგალური მუშაობისა, ენერგიულ პროპაგანდას ეწევიან ჯარში, სახალხო გვარდიის რიგებსა და გლეხთა ფართო მასებში და სარგებლობენ დიდძალი ფულადი საღსრებით, რომელსაც გარედან იღებენ; ამასთან, კომუნისტების დროშით მუშაობენ აშკარა რეაქციონერებიც, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ პარტიასთან“.

მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ეს მასობრივი დევნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას თქვენს მიერ მოყვანილი ფორმულირებით. ამნაირად, არც თქვენს დეპეშას შეუძლია რამოდენიმედ მაინც შეარბილოს თქვენი მთავრობის აგენტების მოქმედება და, მაშასადამე, ჩემ მიერ აღნიშნული დებულებანი ძალაში რჩება როგორც ჩემთვის, ისე ჩემი მთავრობისათვის...

(„რსფსრ და საქ. დემ. რესპუბლიკა. მათი ურთიერთ დამოკიდებულება“, გვ. 26).

საქართველოში არსებული რსფსრ-ის დიპლომატიური მისიის სამხედრო წარმომადგენლის მოხსენებიდან მენშევიკურ საქართველოში არმიის განწყობილების შესახებ

ოფიცერთა შემადგენლობის დამოკიდებულებას ჯარისკაცებისადმი ასასიათებს სამხედრო მინისტრის შემდეგი ბრძანება:

„ამ უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის არმიაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე აღმაშფოთებელ შემთხვევას. ოფიცრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ჯარისკაცებს მოქმედებით. ზედმეტად მიმაჩნია განვუმარტო მეთაურებს, თუ რამდენად დაუშვებელია ასეთი ყოფა-ქცევა. უაღრესად სასტიკი სამხედრო დისციპლინა არმიის არსებობის საფუძველია, მაგრამ ქართველი მხედრის შეგნება იმდენად მაღალია, რომ მას სრულიადაც არ ესაჭიროება აღზრდის ბარბაროსული საშუალებანი. ვაი იმ ოფიცრებს, რომლებიც არა თუ ხელის შეხებით, არამედ დაუშვებელი ლანძღვითაც კი შეურაცხყოფენ თავისუფალი რესპუბლიკის მხედარს. ცალკეული ნაწილების მეთაურებს სასტიკად ვუბრძანებ ეზიზღლად ადევნონ თვალყური ამგვარ მოვლენებს და დაუნდობლად დასაჯონ დამნაშავენი. ასეთ ოფიცრებს ადგილი არა აქვთ, რესპუბლიკის არმიაში. გიბრძანებთ სასწრაფოდ მოახდინოთ კვლევა-ძიება მომხდარ შემთხვევათა შესახებ. დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ. ისინი გაძევე-

ბულ უნდა იქნან არმიიდან და მიცემულ იქნან სამართალში. ამიერიდან ამგვარი დანაშაულისათვის პასუხს აგებენ არა მარტო პირდაპირი დამნაშავენი, არამედ იმ ნაწილების მეთაურებიც, სადაც ადგილი ექნება ხსენებულ აღმაშფოთებელ მოვლენებს. სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე".

არმიაში არსებული სულიერი განწყობილება არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცედ, რესპუბლიკის სასარგებლო განწყობილებად; ყველა წარსული მობილიზაციის დროს ადგილი არა ჰქონდა არა მარტო ენტუზიაზმს, არამედ თვით ქვეყნის დაცვის უბრალო სურვილსაც კი, მაგრამ ყოველივე ეს გულმოდგინეთ და თანაც იძულებით ინიღბებოდა „ზურგში შექმნილი განწყობილებით", უმთავრესად მუშათა მასების განწყობილებით, ყოველგვარი მანიფესტაციების მოწყობით, სადაც ადგილი ჰქონდა არა ნებაყოფლობას და სამშობლოსადმი სიყვარულს, არამედ უაღრესად უხეშ ძალადობას, სადაც განკარგულებათა შეუსრულებლობა მანიფესტაციაზე გამოსვლის შესახებ ემუქრებოდა დამნაშავეს, უკეთეს შემთხვევაში, სამუშაოდან განდევნით და ლუკმა-პურის წართმევით და თვით საქართველოს საზღვრებიდან გაძევებითაც კი.

ყველაზე უფრო დამახასიათებელ და, მასთან ერთად, ქრონიკულ მოვლენას არმიაში წარმოადგენს **დეზერტირობა**, და ჯერ კიდევ არ არის გამონახული საშუალება არა მარტო მის აღმოსაფხვრელად, არამედ თვით ოდნავ მაინც შესასუსტებლადაც კი. მთავრობის მიერ გამოცემულმა დეკრეტებმა და უფროსთა ბრძანებებმა ვერ შესძლეს ჯარიდან გაქცეულთა ნაკადის შემცირება, ხოლო ზურგის ადმინისტრაცია ქალაქებსა და სოფლებში უზომოდ დატვირთულია გაქცევის საქმეებით. საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ქალაქ ტფილისის თვითეულ კომისარიატში ამ მომენტში არის 40 — 50 ამგვარი საქმე. თვალსაჩინო გავლენას ახდენს ჯარის განწყობილებაზე ამ უკანასკნელ ხანებში გაძლიერებული კომუნისტური პროპაგანდა, რომელსაც მჭიდროდ უკავშირებენ რუსეთის საბჭოთა წარმომადგენლობის არსებობას საქართველოში.

ამ პროპაგანდის გავლენას განსაკუთრებით განიცდიან სათადარიგო ჯარისკაცები; ამასთან, აჭარაში ჩეტნიკების წინააღმდეგ მომქმედ ნაწილებში ადგილი ჰქონდა საბრძოლო ბრძანებათა შეუსრულებლობისა და აჭარელთა წარმატებისათვის ხელისშეწყობის შემთხვევებს, რამაც გამოიწვია ქართველი ჯარების დამარცხება. მათ მიერ აჭარის დატოვება და თვით უკან დახევაც კი გოდერის უღელტეხილს იქით ახალციხისაკენ. ეს მღელვარება ბოლოს ლიკვიდირებულ იქნა და დამთავრდა 8 კაცის დახვრეტით.

მე-6 პოლკში, რომელიც ზაქათალის ფრონტზე მოქმედებდა, ბრძანების გაცემის შემდეგ ზაქათალის დაკავების შესახებ სათადარიგო ჯარისკაცებმა მოიწვიეს მიტინგი, რომელზედაც დაადგინეს არ შეასრულონ ბრძანება და არ გაილაშქრონ იქ მოსალოდნელი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, რომელთაც ისინი ძმებს უწოდებდნენ. მე-3 ათასეული, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამ საქმეში, დაშლილ იქნა, ხოლო მღელვარების მთავარი წამომწყებნი, 11 კაცის რაოდენობით, დახვრეტილ იქნენ.

ბათომის ოლქში არსებული ჯარის განწყობილებაზე მეტად დიდ გავლენას ახდენს კლიმატური პირობები, რომელიც, იქ მძვინვარე მალარიის მეოხებით, ყოველდღიურად ხელიდან სტაცებს პოლკს 30-მდე ჯარისკაცს და არყევს ჯარისკაცთა არა მარტო მორალურ, არამედ ფიზიკურ ძალღონესაც.

ამჟამად განწყობილება ჯარში და განსაკუთრებით კი სათადარიგო ჯარისკაცთა შორის დღითი-დღე უარესდება.

მე-7 პოლკში, რომელიც ყველაზე უფრო საიმედო და მტკიცე პოლკად ითვლება, ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება ძლიერ შეიცვალა. მე-3 ათასეული, რომელიც ამ დღეებში გაგზავნილი იყო აზერბეიჯანის საზღვრისაკენ ფოილოსა და წითელი ხიდების რაიონში, ჯარისკაცთა შორის აშკარა მღელვარების გამო, დაბრუნებულ იქნა უკან — ტფილისში სრულიად შიშველ-ტიტველ ჯარისკაცთა შესამოსავად და ფეხსაცმელებით უზრუნველსაყოფად და თანაც 1888 — 1889 წლებში დაბადებულ სათადარიგო ჯარისკაცთა გასანთავისუფლებლად.

1888 — 1889 წლებში დაბადებულთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მღელვარებას და აშკარა უკმაყოფილებას შემდგომი ვადების სამსახურის სათადარიგო ჯარისკაცთა შორის, რასაც ექცევა უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისა და მთავრობის ყურადღება და ახლო მომავალში უნდა ველოდეთ განკარგულებას შემდგომი ვადების სამსახურის სათადარიგო ჯარისკაცთა განთავისუფლებისა და მათი უფრო ახალგაზრდა სათადარიგო ჯარისკაცებით შეცვლის შესახებ.

თუ რამდენად გამქრალია ჯარის ნაწილებში დისციპლინა და რამდენად დიდია ჯარისკაცთა გაბოროტება, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ, როდესაც მესამე ათასეულის სალოღლიდან გამგზავრების დროს მისი მეთაურის — მაიორ ქუთათელაძის მიერ გაცემულ იქნა განკარგულება იმის შესახებ, რომ ჯარისკაცები არ მოშორებოდნენ გზაში ტფილისისაკენ მომავალ ეშელონს, ჯარისკაცებმა წამოავლეს იარაღს ხელი. დაუმიზნეს მეთაურს, დაემუქრნენ მას, რომ სასტიკად გაუსწორდებოდნენ, და გზაში დაიშალნენ და სახლში წავიდწამოვიდნენ. ისე რომ, ტფილისში ასეულები ჩამოვიდნენ სულ 30 — 40 კაცის წარმადგენლობით.

1-ლ აგვისტოს ს. ოფრეთში მოვიდა პირველი ცხენოსანი პოლკის ნახევარი ასეული ჯარისკაცი; მათთან ერთად იყვნენ ამავე პოლკის ოფიცრებიცა და ვახმისტრიც; ამ რაზმთან ერთად მოვიდნენ აგრეთვე სანაპირო რაზმის ჯარისკაცებიც. მათ მოითხოვეს სოფლისაგან 22 ზვინი თივა. სოფლელები შეუდგნენ ბრძანების შესრულებას, რადგან კარგად იცოდნენ, თუ რა მოელოდა მათ ბრძანების შეუსრულებლობისათვის. ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. უკვე რამდენჯერმე ჰქონდათ წაღებული ჯარისკაცებს სრულიად უსასყიდლოდ სურსათი, შეშა, თივა; მიჰყავდათ ცხენები და სხვა პირუტყვი. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბალეხების ცემა-ტყეპასაც ყოვლად უმიზეზოდ. მაგრამ 1-ლ

აგვისტოს მომხდარმა ამბებმა დაჩრდილა ყველაფერი, რაც კი ამ დრომდე მომხდარა.

იმ დროს, როდესაც გლეხები ურმებს ტვირთავდნენ მათზე დადებული „კონტრიბუციის" გადასახდელად, ცხენოსანმა რაზმმა შეაგროვა ხალხი, გარსშეფოფრტყა მას და დაუწყო მათრახებით ცემა. ისინი არ ინდობდნენ არც ქალებს და არც ბავშვებს. საშინლად სცემეს 90 წლის მოხუცი. სოფელში ბევრი აღმოჩნდა ცემა-ტყეპისაგან დაავადებულნი, დასახიჩრებული სახეებით.

ხალხი თავზარდაცემული გარბოდა და იმალებოდა, სადაც კი ახერხებდა — თივის ზვინებში, სახურავებში და სხვ.. ცემა-ტყეპის გმირები მათ სიკვდილით ემუქრებოდნენ. შეიჭრენ სახლში ერთი კომუნისტის დედასთან და ჭოკების მუქარით მოსთხოვეს მას ეთქვა, თუ სად იმალებოდა მისი შვილი.

მთელი სოფელი ტერორიზირებულია. ქალებს ეშინიათ და ფეხსაც არ სდგამენ სოფელს გარეთ სამუშაოზე გასასვლელად.

ამ ამბების შესახებ სოფლის წარმომადგენლებმა დეპეშით აცნობეს მთავრობის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა და სამხედრო საქმეთა მინისტრებს და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას.

(საარქივო ფონდი № 71, საქმე № 5, გვ. 8 — 10).

საქართველოში არსებულ რსფსრ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი სამხედრო მისიის 1920 წლის სექტემბრის მოხსენებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყების მოსაწყობად ტფილისში მომუშავე კონტრრევოლუციური ორგანიზაციების შესახებ

ამჟამად ტფილისში იმყოფება ორი განსაზღვრული ორგანიზაცია, რომლებიც ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად მუშაობენ. ამ ორგანიზაციების მიზანია აჯანყების მოწყობა ჩრდილოეთ კავკასიაში.

პირველ ორგანიზაციას სათავეში უდგას ვინმე ინალუკ კოციევი — მთიელთა მთავრობის მეთაური, რომელიც ცდილობს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთაგან შეჰკმნას დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მისი თანაშემწეები არიან ჯაბაგიევი და ახმედ ცალიკოვი.

კოციევი წინათ მუშაობდა და კავშირი ჰქონდა მოხალისეებთან, მაგრამ შემდეგ მიხვდა მათს ზრახვებს და უცბად შესცვალა თავისი პოლიტიკა და, სრულიად არ თანაუგრძნობს რა გენ. ვრანგელის ხრიკებს ამ მიმართულებით, ცდილობს არ გააჯავანოს მთიელთა საზღვრებში ვრანგელის ორიენტაცია და, მით უმეტეს, მისი აგენტები.

კოციევს სავსებით მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა, რომლისთვისაც, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში დაჭიმულ მდგომარეობაში ჰყავდეს.

მეორე ორგანიზაციას სათავეში უდგას ვინმე ელდაროვი — აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა წარმომადგენელი. იგი სავსებით შეთანხმებულად მუშაობს გენ. ვრანგელის წარმომადგენელ პოლკ. კუსეევთან, რომელსაც ტფილისში ჰყავს ორგანიზებული უჯრედი და თანაშემწენი — ივანოვი და ლუნევი.

საქართველოს მთავრობას ურთიერთობა აქვს ხსენებულ ორგანიზაციასთან თავისი გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის უფროსის პოლკოვნიკ გედევანოვის საშუალებით, რომელთანაც ამ საქმეებზე მუშაობს პოლკოვნიკი მეხტიევი.

ეს ორგანიზაცია აწარმოებს მთავარ მუშაობას აჯანყებულთა რაზმების ჩამოსაყალიბებლად. ამარაგებს მათ როგორც საბრძოლველი, ისე სხვა მასალებით და ხელმძღვანელობს სამხედრო ოპერაციებს. ამჟამად ელდაროვის მთავარ ამოცანას შეადგენს ისეთი მუშაობა, რომელიც მიმართულია აჯანყებული რაზმების გაერთიანებისა, ერთიანი მტკიცე ხელმძღვანელობის შექმნისა და სამხედრო მოქმედების დაწყებისაკენ. ამ მიზნით ამას წინათ ყირიმიდან ბათომში ჩამოვიდა გენ. პიკოვსკი, რომელმაც ვრანგელისაგან ბრძანება მიიღო პირადად მოაწესრიგოს ეს საქმე.

კოციევის პირველი ორგანიზაცია მუშაობს სრულიად დამოუკიდებლად-ხარჯავს დიდძალ ფულს, რომლის წყაროს გამორკვევაც დღემდე არ მოხერხდა. ადგილებზე უკვე არსებობენ ორგანიზებული ჯგუფები, და მოსახლეობას შორის სწარმოებს ძლიერი პროპაგანდა. ინგუშეთში, ევდოკიმოვსკის გამაგრებულ რაიონში, თავისი საკუთარი მთავრობაც კი არსებობს, რომელსაც ეწოდება „საემირო“ და რომელსაც მეთაურობს ვინმე ინალუკ დაშინსკი.

მაგრამ, რადგან ამ ორგანიზაციის სათავეში დგანან ყოფილი მთავრები, თავადები, მემამულეები და მთიელთა ყოფილი ოფიცრები, რომელთაც მოსახლეობაში კეთილი ხსოვნა არ დაუტოვებიათ, მე ვფიქრობ, რომ ამ ორგანიზაციას წარმატების ნაკლები შანსი აქვს და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია იარაღის ხელში აღება და თავისი ხელმძღვანელების უკან გაყოლა, თუ მეტისმეტად გაბოროტებულნი იქნებიან არსებული წყობილებით.

მეორე ორგანიზაცია მიმაჩნია გაცილებით უფრო ძლიერად. პირველი ისაა, რომ ამჟამად, გარდა საორგანიზაციო ცენტრისა ტფილისში, მას ადგილობრივ მოეპოვება ჩამოყალიბებული ორგანიზაციები, რომლებთანაც ცენტრს სრული კავშირი აქვს დამყარებული.

როგორც უკვე ვთქვი, ცენტრი იმყოფება ტფილისში — ეს არის პოლკ. კუსეევი და მისი შტაბი. ამავე ორგანიზაციას აქვს ტფილისში ეგრეთწოდებული „ინვალიდთა კავშირი“, რომელსაც მეთაურობს თერგის ორგანიზაციების წარმომადგენელი პოლკოვნიკი მედვედევი. არსებობს „ყოფ. რუსი ოფიცრების ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის“ ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობს პოლკ. პროზერკევიჩი.

ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ვრანგელის შტაბის ფილიალურ განყო-

ფილებას ტფილისში, რომელსაც ჰყავს ადგილებზე მებრძოლი ჯგუფები. სახელდობრ:

ოსების რაიონი და მთიანი ინგუშეთი პოლკ. ჯანჯიევის გამგებლობაშია. რომელსაც თავისი შტაბი ჰყავს კობში (საქართველოს სამხედრო გზაზე). ამ ჯგუფის რაზმები დგანან ყაზბეგში (პოლკ. გოლიევი), ბლაგირის ხეობაში (პოლკ. კაბულოვი) და კურტალის ხეობაში (როტმისტრი ელიხეევი).

ინგუშთა რაიონი — პოლკ. მესტოევის რაზმი. რიცხვით დაახლოებით 600 კაცს უდრის.

მთიანი ჩეჩნეთის რაიონს მეთაურობს ვინმე სარაკაევი, რომელიც მუშაობს თავის თანაშემწეებთან — სეიხანოვთან და ბორშჩიკოვთან ერთად. აჯანყებულთა რიცხვი განისაზღვრება 6.000 კაცით.

მთიანი დაღესტნის რაიონს უნდა მიაწვდინონ რაზმები, რომლებიც ახლა სდგება კახეთში... უმთავრესად ერდელის არმიის დანებების შემდეგ იქ გადარჩენილი თერგის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან — ყაზახებისაგან.

ბატალპაშინსკის რაიონი დაკავებული აქვს სულთან-კერიმ-გირეის ჯგუფს, რომელსაც ბაზად აქვს სოხუმი, საიდანაც ღებულობს მეომრებს, საბრძოლველ იარაღს და მომარაგებას.

ნისი რაზმის ორგანიზატორები არიან პოლკ. ჩუბაროვი და სმირნოვი. სოხუმშივე მუშაობენ ყუბანის რადის ყოფ. წევრები — სოკოლი და კრიკუნი და აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დ. ემუხვარი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილებისა, არსებობენ რაზმები, რომელთაგანაც ზოგიერთი უკვე მოქმედებს, სხვები კი ემზადებიან აჯანყების დასაწყებად, სახელდობრ:

ხვესტაკოვის რაზმები — ტუაპსე-სოჩის რაიონში, ნავრუზოვის რაზმი — ყაბარდაში, რაზმები — მინერალური წყლების რაიონში, ძმათა კანტემიროვების ჯგუფი — ნალჩიკის რაიონში, აჯანყებულნი — სოფ. პროხლადნაიასა და კოტლიარევსკაიას რაიონში...

(საარქივო ფონდი № 71. საქ. № 6. ფ. 6 — 7).

საქართველოში არსებული რსფსრ-ის დიპლომატიური მისიის სამხედრო წარმომადგენლის 1920 წლის 23 ნოემბრის მოხსენებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყების მომზადების საქმეში საქართველოს მთავრობის მონაწილეობის შესახებ

ამა 21 ნოემბერს მიღებული ცნობების თანახმად, გაცნობებთ შემდეგს:

ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოვიდა „ოსი" ნაფიცი ვექილი ელიკოვევი, რომელიც თავის დროზე მივლინებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ მთიელთა შორის აჯანყების მოსაწყობად: ჯოშინ მოახსენა საქართველოს მთავრობას იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მან შესძლო აეჯანყებინა (ეელელევებინა) მთიელები, მაგრამ მათ ბოლშევიკები შეჰპირდნენ თვითგამორკვევას და დაკმაყოფილეს მთიელთა მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობა შეჰპირდა მას, რომ განიხილავდა შექმნილ მდგომარეობას და მისცემდა პასუხს.

ელიკოვევმა ითხოვა ფული აჯანყების მოსაწყობად.

ამ მუშაობაში, ესე იგი აჯანყების მოწყობის საქმეში და საერთოდ კონტრრევოლუციურ მოღვაწეობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ: შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი და სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე.

(საარქივო ფონდი № 71, საქ. № 3, ფ. 1).

საქართველოში არსებული რსფსრ-ის დიპლომატიური მისიის სამხედრო წარმომადგენლის 1920 წლის 6 დეკემბრის მოხსენებიდან ბათომის პროლეტარიატის განწყობილების შესახებ

ბათომის პროლეტარიატში ოპოზიციური განწყობილება გადაიქცა მტკიცულ გაბოროტებად. გარდა სავალდებულო გამოქვითვის საკითხისა (პროფკავშირთა სამდივნოს შესანახად, გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნის" გამოსაცემად და სხვ.), მუშებს აღელვებს მენშევიკთა ლიდერების ჩარევა ხელფასის მომატების საქმეში. საქმე შემდეგშია: ბინიატ-ოღლისა და დანიელოვის თამბაქოს ქარხნების მუშებმა თანხმობა მიიღეს ფაბრიკათა ადმინისტრაციებისაგან ხელფასის 100%-ით გადიდების შესახებ. შრომის კომისარი წულაძე და პროფკავშირთა სამდივნოს თავმჯდომარე აიოლო მივიდნენ ფაბრიკებში და, განუმარტეს რა მუშებს მომატების შეუძლებლობა მთავრობის საერთო ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, „მოხსნეს" იგი. ამ გამოსვლამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია მეთამბაქოეთა შორის. ამჟამად საკითხი ისე სდგას, რომ მოსალოდნელია გაფიცვა, რასაც, ეჭვი არაა, მხარს დაუჭერენ სხვა საწარმოთა მუშები.

(საარქივო ფონდი № 71, საქმე № 3, გვ. 62).

XI წითელი არმიის პოლიტგანყოფილების მიმართვა საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის მიზეზთა შესახებ

16 თებერვალს წითელმა არმიამ ბრძანება მიიღო დაეწყო შეტევა საქართველოს მენშევიკურ-ბურჟუაზიული მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

რით არის გამოწვეული საბჭოთა მთავრობის ეს პასუხსაგები ნაბიჯი?

ამის მთავარი მიზეზები შემდეგია:

1. საქართველოს მენშევიკურ-ბურჟუაზიულმა მთავრობამ 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება არ შეასრულა.

ა) ნაცვლად საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ლეგალიზაციისა, ის აპატიმრებდა მის წევრებს, ათავსებდა მათ ციხეებში, ხვრეტდა, საქონელივით გზავნიდა საბჭოთა რუსეთსა და აზერბეიჯანში, ანგრევდა ბოლშევიკების პარტიულ ორგანიზაციას. მას ხანძარზე უფრო აფრთხობდა კომუნისტების მართალი სიტყვა და მათი რევოლუციური მუშაობა.

ბ) რუსეთის სავაჭრო გემებს, რომლებიც ბათომის ნავსადგურში იყო, არ აძლევდა ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა რუსეთს.

გ) აპატიმრებდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებს და ახდენდა საელჩოს ფულადი სახსრების კონფისკაციას. საქართველოს მთავრობა, რომელიც სრულიად არ გამოხატავდა მშრომელი მასების ნებისყოფას, ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა რუსეთის მიმართ, ხოლო უკანასკნელ ხანებში ის ახდენდა მობილიზაციას. საქართველოს ბურჟუაზიული პრესა არაერთხელ უწინასწარმეტყველებდა ხოლმე საბჭოთა ხელისუფლებას დაღუპვას ქართველი მენშევიკებისა და ბურჟუაზიის დახმარებით.

II. ქართველი მენშევიკებისა და ბურჟუაზიის მფარველობით და დახმარებით ეწყობოდა გენერალ ხვოსტიკოვის თეთრგვარდიული ბრბოები, რომელიც შეადგენდა ბეგების, ხანების, დაღესტნისა და აზერბაიჯანის ყაჩაღებისა და სომეხი დაშნაკელებისაგან. ეს ბრბოები ახდენდნენ აჯანყებებს და აუარებელ მსხვერპლს იწირავდნენ წითელი ჯარის რიგებიდან. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა დახმარებას უწევდა ვრანგელს და მზად იყო შეესრულებინა უცხოეთის ბურჟუაზიის (უმთავრესად ინგლისის) მტაცებლური მიზნები. კავკასიაში ის ყოველთვის აწყობდა ვერაგობას საბჭოთა რესპუბლიკების, რუსეთის, მთიულეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წინააღმდეგ და ეხმარებოდა ანტანტას, რომ მას კავკასია თავის კოლონიად გადაექცია.

III. მტრობა საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ყველაზე უფრო გამოაშკარავდა მაშინ, როცა მან უარი სთქვა იმაზე, რომ გაეტარებინა პური საბჭოთა რესპუბლიკიდან დამშეულ სომხეთში.

IV. საბჭოთა ხელისუფლებას კარგად მოეხსენებოდა ქართველი მენშევიკებისა და იქ შეგროვილი ბურჟუაზიის უმსგავსოებანი პატიოსანი მშრომელი ხალხის მიმართ. სამხრეთ-ოსეთი გადაბუგეს დამსჯელმა რაზმებმა; ახშობდნენ სხვაგან მომხდარ აჯანყებებსაც. ყოველი პატიოსანი გლეხი და მუშა ხმას იმა-

ღლებდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგრამ ამ სმას ახშობდა საქართველოს მთავრობა. ბევრი ჯარისკაცი ჯერ კიდევ წინათ ეძმობილებოდა წითელ არმიას.

მშრომელთა გამცემლები — მენშევიკები და ბურჟუაზია — ცალობით და ბითუმად ჰყიდდნენ პატარა საქართველოს დასავლეთის კაპიტალისტებზე და ემზადებოდნენ იმისათვის, რომ საქართველო ჩაეთრიათ ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მუშები, გლეხები და წითელარმიელები გულისტკივილით შეჰყურებდნენ მენშევიკური ხელისუფლების შავ ლაქას საქართველოში და თავის ვალდებულებად სთვლიდნენ დახმარებოდნენ საქართველოს მშრომელთ მენშევიკურ-ბურჟუაზიული უღლისაგან განთავისუფლების საქმეში.

V. ბორჩალოს მაზრისა და ნეიტრალური ზონის გლეხებმა პირველმა ააფრიალეს აჯანყების დროშა მენშევიკური ყაჩაღების წინააღმდეგ. მათ დაიწყეს რევკომ-საბჭოების დაარსება. საზიზღარი მენშევიკური მთავრობა ცდილობდა სისხლითა და ცეცხლით ჩაექრო აჯანყება, რომ ხელახლა დაემონებინა აჯანყებულნი. საბჭოთა ხელისუფლება თავის მოვალეობად სთვლიდა დახმარებოდა აჯანყებულთ და, ბოლოსდაბოლოს, გაეწმინდა საქართველო ბურჟუაზიული ხროვისა და მენშევიკური უწმინდურობისაგან, დახმარებოდა ქართველ მუშებსა და გლეხებს მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება საბჭოურად.

VI. წითელი არმია არ მოსულა საქართველოს დასაპყრობად, როგორც ამის შესახებ გაჰკივიან მენშევიკები. საქართველოს დამოუკიდებლობა დაცულია, ესპობა მენშევიკების ლაქიობა უცხოეთის ბურჟუაზიის წინაშე, და საქართველო, თავისი ხალხის ნებისყოფის თანახმად, შედის რუსეთის, აზერბაიჯანის, კავკასიათა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში.

VII. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში კავკასია გადაიქცა საბჭოთა ციხე-სიმაგრედ, ისპობა ნაციონალური სიძულვილი და ხოცვა-ჟლეტა, უზრუნველყოფილია კავკასიისა და რუსეთის ხალხთა ძმური თანამშრომლობა სამეურნეო მშენებლობის საქმეში. ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების: თურქეთის, სპარსეთის, არაბეთისა და ინდოეთის მოძრაობა უცხოეთის კოლონიზატორების წინააღმდეგ ღებულობს ახალ ბიძგს, რომ მათ უზრუნველჰყონ თავიანთი ნაციონალური განთავისუფლება.

VIII. საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იმყოფება მხოლოდ მუშათა, გლეხთა და პატიოსან რევოლუციურ მშრომელ ინტელიგენტთა ხელში. ყველა მშრომელის, ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია მხარი დაუჭიროს ამ ხელისუფლებას, საქართველოს თავისუფალი, ბედნიერი განვითარებისათვის.

(საქ. რევოლუციის მუზეუმი. 1917 — 1921 წ. წ. პერიოდის ბოლშევიკური პროკლამაციები).

მოწოდება საქართველოს საბჭოთა ყრილობისა მთელი ქვეყნის მშრომელებისადმი

ამხანაგებო!

ჩვენ, საქართველოს მშრომელი მასების წარმომადგენელნი, შეეკრიბენით რა საბჭოთა პირველ ყრილობაზე, ვუძღვნით ძმურ სალამს ყველა დაჩაგრულ მშრომელთ და მებრძოლთ მთელი ქვეყნის მყველეფელთა წინააღმდეგ. მასთან ერთად ვუგზავნით ჩვენ აღშფოთებულ პროტესტს მჩაგვრელთ და მათ დამქაშებს, რომელნიც სწორედ ამჟამად, ვითომც „საქართველოს დამოუკიდებლობისადმი“ სიყვარულით, კვლავ ამზადებენ ახალ თავდასხმას საქართველოს შუშურ-გლეხურ ხელისუფლებაზე.

ძალადობის ჯაჭვებით შებოჭილი საქართველო მრავალი წლობით შედიოდა სამეფო იმპერიის შემადგენლობაში და საქართველოს მშრომელი მასა რუსეთის მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებული დიდი ხანია თავგანწირული ებრძოდა მეფის თვითმპყრობელობას. მემამულეთა და ბურჟუაზიის ხელისუფლებას.

საქართველოს მშრომელი მასა, პოლიტიკურ ბრძოლაში ნაკლებად გამოცდილი, რამდენიმე წლით ჩაუვარდა ხელში წვრილ-ბურჟუაზიულ ქართველ ინტელიგენციას, რომელიც. მენშევიზმის დროშის ქვეშ თავმოყრილი. შეიქნა ქართველი მშრომელი მასის ხელმძღვანელი. და ამავე დროს ყოველგვარი დათმობის და შეთანხმების მაძიებელი თვითმპყრობელობასა და მემამულეებთან. რითაც ეს იხტელიგენცია საგრძნობლად აჩლუნგებდა მშრომელი მასის ბრძოლის უნარს.

საქართველოს გაბატონებული მენშევიკური პარტია იმპერიალისტური ომის დროს მოქმედებდა მუშათა ინტერესების მოღალატე — მუხანათ გამცემ, მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან ერთად და მით სწამლავდა ქართველი მშრომელი მასის შეგნებას ბურჟუაზიული პატრიოტიზმის შეამით.

1917 წლის მარტის რევოლიუციამ დასცა მეფის ტახტი და დროებით მთელ რუსეთში ხელისუფლება წვრილ-ბურჟუაზიულ. მენშევიკებისა და ესერების, პარტიებს ჩაუვარდა ხელში. მათ შორის შესამჩნევი ალაგი ეჭირათ ქართველ მენშევიზმის ბელადებს — წერეთელს. ჩხეიძეს და სხვებს.

საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში მენშევიზმის ლოზუნგი, როგორც სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებისა. იყო ანტანტის იმპერიალისტურ ქვეყნებთან ერთად ხელი-ხელჩაკიდებულად ომის გაგრძელება. სოციალურ დარგში მენშევიკები სულით და გულით იცავდენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

პოლიტიკურ დარგში ისინი საჭიროდ სთვლიდენ შეენახათ ბურჟუაზიის ბატონობა ეგრეთწოდებული „დემოკრატიული რესპუბლიკის“ სახით, რომელიც, როგორც გამოცდილებით ვიცით. ჩინებული იარაღია მბრძანებელ კაპიტალისტების ხელში მუშა ხალხის დასაჩაგრავად.

ნაციონალურ დარგში მენშევიკები ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ ფინების, უკრაინელებს და სხვა ეროვნებათა მისწრაფებათ. რომელნიც მეფის დროს მწარედ გმინავდენ მტარვალი თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ.

თვით საქართველოში მენშევიკები არაფერ ღონისძიებას არ ზოგავდენ, რათა, რაც შეიძლება მეტი დაყოვნებით ხელი შეეშალათ მშრომელთა მასის ბრძოლისათვის. მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხელს უშლიდენ აგრარულ საკითხის გადაჭრას, სტოვებდენ სამსახურში მეფის ძველ ჯალათობით განთქმულ მოხელეებს და სხვა.

მენშევიკების პრესა აშკარა ბურჟუაზიულ პრესასთან ერთად მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელთაც ჩამორჩენილ მუშებს და გლეხებს უხატავდნენ. როგორც რევოლიუციის მტრებს და მეფის აგენტებს.

პოლიტიკური ბრძოლის ისტორიასაც არ ახსოვს ამაზე უსინდისო სულმდაბლური და ბოროტი ცილისწამება.

პეტროგრადში, ოქტომბრის თითქმის უსისხლო გადატრიალების შემდეგ, რომელმაც დაამხო დამპალი წესწყობილება კერენსკის და წერეთლის, — მათთან ერთად კავკასიის მენშევიკების ბელადები სათავეში ჩაუდგნენ ხელმძღვანელებად სამოქალაქო ომს, რომელმაც ერთ ბანაკში მოუყარა თავი ყველა მენშევიკებს, ესერებს, კადეტებს და შავრაზმელებს მუშათა და გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

როდესაც მუშათა რევოლიუციამ სძლია ყველა დაბრკოლებანი, როდესაც ის იმარჯვებს მთელ სახელმწიფოში, ქართველი მენშევიკები აშორებენ მთელ ამიერკავკასიას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და ლამობენ გადააქციონ იგი დამოუკიდებელ მემამულეთა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ. გასწყვიტეს რა რუსეთის მუშათა კლასთან კავშირი, ისინი წავიდენ ხელიხელჩაკიდებული მშრომელი კლასის დაუძინებელ მტრებთან, როგორც მაგალითად ქართველ ნაციონალისტებთან, სომხების დაშნაკებთან და აზერბეიჯანის მუსავატისტებთან ერთად.

მთელი ამიერკავკასია, ქართველი მენშევიკების მეთაურობით, კონტრრევოლიუციონურ ბუდედ გადაიქცა. მხოლოდ იმიტომ, რომ უსათუოდ გაესრისათ გაღვივებული მუშურ-გლეხური რევოლიუცია.

ამრიგად თვით ამიერ-კავკასიაში, რომელიც რუსეთიდან მოწყვეტილი დარჩა არა ნაციონალურ, არამედ კლასიურ ნიადაგზე, მენშევიკების მეთაურობით განხორციელდა შეძლებულ კლასების დიქტატურა მშრომელი მასსის კისერზე, დამყარდა მყვლეფელ-მცარცველთა ბატონობა მუშებსა და გლეხებზე.

მენშევიკებმა ხელთ იგდეს ადმინისტრატიულ-პოლიციური აპარატი, ისინი ბატონობდენ საქართველოში და გეზს აძლევდენ მთელ ამიერ-კავკასიას.

ოსმალების და გერმანელების ამიერ-კავკასიაში შემოსვლამ საგრძნობლად გაამწვავა სხვა და სხვა ეროვნებათა ნაწილების შორის ბრძოლა ბურჟუაზიულ ფრონტზე. ქართველმა მენშევიკებმაც მოხერხებულად შეურჩიეს დრო, რათა დაეუცმაცებიათ ამიერ-კავკასია და ეი სწორედ ამ დროს გამოაცხადეს საქართველოს ვითომდა დამოუკიდებლობა. კაიზერის და სულთანის ჯარებს ისინი საიმედო ფარათ სთვლიდენ ჩრდილოეთის რევოლიუციის წინააღმდეგ და ამ

მხრივ გულღამშვიდებულნი ქართველი მენშევიკები დაუნდობლად უმასპინძლდებოდენ გაფიცულ მუშების და გლეხების აჯანყებას, რომელიც მუდამ ხან აქ წამოჰყოფდა თავს, ხან მთელი ჩვენი ქვეყნების სხვა და სხვა კუთხეებში.

როგორც წინეთ ჩხეიძის და წერეთლის სახით ქართველი მენშევიკები ლამობდენ იარაღით ხელში ჩაეკლათ ფინებისა და უკრაინელების ეროვნული თვითგამორკვევა, ისე ეხლაც საქართველოს საზღვრებში ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდებოდენ აფხაზების, აჭარელების და ოსების ეროვნულ მისწრაფებათ.

გერმანიის მილიტარიზმის დამხობას არ შეუცვლია ჩვენებური მენშევიკების არც შინაგანი, არც საერთაშორისო პოლიტიკა; მათ ეხლა მხოლოდ სხვა ბატონი მოსძებნეს და სხვის კალთას შეაფარეს თავი.

ამ დროიდან მენშევიკები გახდენ ანტანტის სათამაშო იარაღად. მათ მჭიდრო კავშირი დაიკავეს ყველა სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციონურ ძალებთან. ისინი ხელს უწყობდენ ყველას და ყველაფერს, რასაც კი რაიმე ზიანი უნდა მიეყენებია საბჭოთა რუსეთისათვის.

რასაკვირველია, მათი ლახვარი ხმალი უფრო მკაცრად საქართველოს კომუნისტურ პარტიას მოხვდა, რომელსაც სრულებით მოუსპეს ლეგალურად არსებობის საშუალება და აიძულეს ისევ ბნელ სარდაფებში განეგრძო თავისი მუშაობა. მათი ეგრეთწოდებული განსაკუთრებული რაზმი თარეშობდა მხოლოდ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

ინგლისური საოკუპაციო ჯარების ბათუმში ყოფნამ საბოლოოდ გაათამამა და უკანასკნელი სირცხვილი დაკარგვია მენშევიკებს, რომელთა პროვოკაციული გამოსვლები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უფრო აღვირახსნილი და აღმაშფოთებელი შეიქნა. დენიკინს კი საიმედოდ ჰქონდა გამაგრებული ზურგი „დემოკრატიულ საქართველოს წყალობით“.

დენიკინის ჯარების განადგურებამ 1920 წ. დასაწყისში და წითელი ჯარების მოახლოებამ ამიერ-კავკასიის საზღვრებთან უცბათ შეარყია ნაციონალისტური პარტიების ბატონობა ამიერ-კავკასიაში. მშრომელი მასები აღტაცებული იყვნენ რევოლიუციური ლტოლვით. სწორეთ ამ ხანაში შეეძლო წითელ არმიას შემოსულიყო საქართველოს საზღვრებში, რომელსაც მთელი მშრომელი ხალხი მოელოდა, როგორც მხსნელსა და განმათავისუფლებელს მენშევიკურ-ანტანტის ბატონობისაგან.

მოწინავე მუშები და გლეხები მოუთმენლად მოელოდენ ამას და დაბეჯითებით იწვევდენ საბჭოთა მთავრობას საშველად.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კი მუშათა და გლეხთა სისხლის აღვრის თავიდან ასაცილებლად, ერთის მხრივ, და რუსეთის და საქართველოს მუშათა და გლეხთა შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად, — მეორე მხრივ, — შეაჩერა წითელი ჯარის შემოყვანა საქართველოს საზღვრებში და ამის მაგივრად დასდო სამშვიდობო ხელშეკრულობა 1920 წ. მაისში.

მაგრამ მენშევიკებმა პირველ დღიდანვე ხელშეკრულობის მოწერისა დაიწყეს სისტემატიურად მისი დარღვევა და, ცხადლივ თუ მალულათ, ყოველ-

გვარ დახმარებას უწევდენ საბჭოთა რუსეთის მტრებს, იმ იმედით, რომ საბჭოთა ხელისუფლება, დღეს თუ არა ხვალ, მოისპობა და მუშათა და გლეხთა რევოლიუცია რუსეთში სრულიად ჩანელდებაო. მაგრამ მწარედ მოსტყუვდენ ეს ვაკუბატონები თავის ანგარიშში... პოლონეთთან ომის დასრულებას და ვრანგელის განადგურებას 1920 წ. შემოდგომაზე აუცილებლივ უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ფლანგის კონტრრევოლიუციონურ ფრონტის დაცემა.

მენშევიკებთან შეთანხმების ცდის შემდეგ, როცა მენშევიკების თავხედობამ და მათმა მუხანათობამ ყოველივე ზომას გადააცილა, რ. ს. ფ. ს. რ. არ შეეძლო განზე გამდგარიყო და გულგრილად ეცქირა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს მშრომელი მასსა მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ და სრულიად ბუნებრივია, რომ შეიარაღებული მუშები და გლეხები საბჭოთა ფედერაციისა მოვიდნენ ბურჟუაზიის და მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრებულ საქართველოს მშრომელ მასის დასახმარებლად.

წითელი ჯარი შემოვიდა რევოლიუციონურ სულით გაჟღენთილ მხარეში, როგორც მისი მხსნელი და განმათავისუფლებელი.

მენშევიკებისაგან შემდგარ ქართულ ეროვნულ ჯარის მომეტებულმა ნაწილმა უარი განაცხადა წითელ ჯართან ომზე და დაუძმობილდა მას. მოღალატე მენშევიკური მთავრობა სრულიად გაძევებული, ანტანტის გემებით გაიქცა და თან გაიტაცა ქართველი ერის ხაზინა.

ამ ხაზინას ხარჯავენ. დღეს ისინი იმაზე, რათა უფრო მეტი და უმსგავსო ცილი დასწამონ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს და წითელ ჯარს.

მეორე ინტერნაციონალის ლიდერები — კაუცკი, ჰენდერსონი, მაკდონალდი, ჰიუსმანი და ბევრი სხვა. იმპერიალისტური პოლიტიკის და მსოფლიო პირეის გაზეთების ხელმძღვანელებთან ერთად, ერთხმად უცხადებენ სიმპატიას საქართველოს დემოკრატიას, ვითომდა შელახულს საბჭოთა იმპერიალიზმისაგან.

ჩვენ. წარმომადგენელნი, — საქართველოს ნამდვილ მშრომელ მასისა — მუშები და გლეხები, შეკრებილნი ჩვენს საბჭოთა ყრილობაზე. ვაცხადებთ ჩვენს ზიზღსა და გმობას და სამარცხვინო დაღს ვასვამთ ამ სულმდაბლობით და ცილისწამებით სავსე უსირცხვილო საერთაშორისო კომედიას.

ჰენდერსონის და ვანდერველდის თვალთმაქცურ სიმპატიას კი უკუვაგდებთ აღშფოთებული ზიზღით ისევე. როგორც მათ მფარველთა — ლონდონის და საფრანგეთის მყვლეფელთა — სიმპატიას.

ქართველი მენშევიკების მფარველნი, კაპიტალისტური და სოციალ-დემოკრატიული წრეები წინადადებას იძლევიან მოვახდინოთ საქართველოში მცხოვრებთა დაკითხვა იმ რეფერენდუმების სახით, როგორც მოახდინა ან უნდოდა მოეხდინა ანტანტას სილეზიაში. აღმოსავლეთ გალიციაში, ლიტვაში, სომხეთში და სხვა, ერთი სიტყვით. ისეთი რეფერენდუმი, რომელზედაც პასუხი წინდაწინვე იყო გადაწყვეტილი მათ მიერ, ვინც საჭიროდ სცნო მოეწყო ეს დემოკრატიული დაკითხვის კომედია. ჩვენ უარვყოფთ ხალხის ნებისყოფის ასე თვალთმაქცურად საცინლად აგდებას. მშრომელ ქართველ ხალხს არა ერთხელ გამოუ-

თქვამს თავისი ნამდვილი აზრი: მრავალჯერ მომხდარი აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ, ქალაქების და სოფლების საბჭოების არჩევნების ადგილობრივ და ეხლაც სრულიად საქართველოს მშრომელთა მასის საბჭოების ყრილობა, რომელიც იძლევა მშრომელი ქართველი ხალხის პოლიტიკურ ალღოს, გრძნობებისა და სურვილების ნამდვილ და სწორ სურათს, — აი ნამდვილი აზრი და მისწრაფება ქართველი ხალხისა.

წითელი ჯარი ჩვენ გვესაჭიროება მანამ, სანამ არ გაჰქრება საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისათვის, ე. ი. იმ დრომდე, სანამ მთელი ქვეყნის მუშები არ ჩამოართმევენ ძალაუფლებას იმპერიალისტურ მტაცებლებს და არ შეჰქმნიან ნამდვილ გარანტიებს ყველა ერების წყნარ, მშვიდობიან და მეგობრულ თანამშრომლობისათვის. ჩვენ, საქართველოს მუშები და გლეხები, ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებთან და გლეხებთან ერთად მოუთმენლად მოველით იმ დღეს, როდესაც იმპერიალიზმის ნამდვილი განიარაღება მოგვცემს ნებას დავშალოთ მეტი ნაწილი წითელი ჯარისა და ჩვენი ძმები დავუბრუნოთ თავის ყანას და სახელოსნოებს მშვიდობიან შრომის ასაყვავებლად.

ევროპისა და მთელი ქვეყნის მუშებო და მშრომელო გლეხობამ! ყურს ნუ ათხოვებთ იმ ჭორებს, რომელსაც ავრცელებენ ჩვენი მტრები, ნუ დაუჯერებთ ცილისწამებას. ჩვენი და თქვენი მტრებისაგან მოჩმახულს, ისმინეთ ხმა თქვენი ძმების, ქართველი მუშების და გლეხებისა. წითელი ჯარი არ არის გარეგან ძალმომრეობის იარაღი, ის ჩვენი საკუთარი ბრძოლის საშუალებაა მშრომელთა განსათავისუფლებლად. მას, შემდგარს ყველა ხალხებისაგან დიდი საბჭოთა ფედერაციისა, ასულდგმულებს ერთსულოვანი იდეა ძმობისა და სოლიდარობისა. წითელმა ჯარმა არ იცის ეროვნული დაყოფა, ეროვნული ბრძოლა. ის ერთნაირად იცავს ყველა მშრომელი ხალხის ინტერესებს. გაკოტრებული მენშევიკები და აგენტები ანტანტისა ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე თავის აგიტაციით. რომელსაც ისინი ეწევიან ხალხისაგან წანართმევ ფულით, ცდილობენ შეჰქმნან ხელსაყრელი პირობები ახალი სამხედრო შემოსევისათვის უცხო იმპერიალიზმისა ამიერ-კავკასიაში. საამისოდ ნოე ჟორდანია ერთ და იმავე დროს მიმართავს იმპერიალისტურ თათბირს კანნაში და ყვითელ სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალს.

ჩვენ კი მოგმართავთ თქვენ, ევროპის და მთელი ქვეყნის მშრომელთა მასებს მოწოდებით გაუწიოთ რევოლიუციონური წინააღმდეგობა იმპერიალიზმის ზრახვათ და მათ მრავალგვარ დამქაშებს.

მოწინავე მუშებო! განუმარტეთ მთელი ქვეყნის **მშრომელთ, რომ ძალაუფლება საქართველოში პირველად მისი არსებობიდან იმყოფება ქართველი მუშების და მშრომელი გლეხობის ხელში. ეს ძალა-უფლება** ჩვენ მაჯრათ გვიჭირავს ხელში და მას არავის არ დავუთმობთ. მთელი ქვეყნის მუშების წინაშე ჩვენ ვაცხადებთ: მენშევიკების სამ ნახევარ წლის ბატონობის განმავლობაში მუშებისათვის საქართველოში სრულიად არაფერი არ გაკეთებულა, არც გლეხებს მიუღიათ მიწა, რომელსაც მათ მენშევიკები დაპირდნენ. მენშევიკებმა თავიანთ ბატონობის დროს ვერ შესძლეს დაემყარებინათ ვერც შინაგანი და ვერც

გარეშე მშვიდობიანობა. მათ მიახწიეს მას, რომ იმყოფებოდნენ აშკარა მტრულ განწყობილებაში არა მარტო საბჭოთა რუსეთთან, არამედ მეზობელ რესპუბ-ლიკებთანაც. ყველაზე უარესი ის იყო, რომ თვით საქართველოშიაც კი უკი-დურესად გაამწვავეს დამოკიდებულება ეროვნებათა შორის მათი ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკის მეოხებით. არა ერთხელ მისულა საქმე სისხლის-ღვრამდე ეროვნულ ნიადაგზე. საბჭოთა ძალაუფლებამ კი სულ მოკლე ხანში შესძლო გადაწყვეტა უაღრესად საჭირო ძირითადი საკითხებისა. მიწა მთლათ გადაცემულია მშრომელთათვის, ყოველგვარი ექსპლოატაცია მიწათმფლობე-ლობის დარგში მოსპობილია, დამყარებულია ნაციონალური მშვიდობიანობა შიგნით ყველა ეროვნებათა შორის, არსებობს მშვიდობიანი და ძმური დამოკი-დებულება საქართველოს გარეშე მყოფ როგორც საბჭოთა, ისე არა საბჭოთა სახელმწიფოებთან.

საბჭოთა ძალაუფლების საქართველოში ერთი წლის არსებობის დროს მშვიდობიანობა და სიწყნარე არც შიგნით და არც გარეთ ერთ წუთსაც არ დარღვეულა. ჩვენი სურვილია, რომ ყველა ხალხთან მშვიდათ ვიცხოვროთ და ძმური თანამშრომლობა გავსწიოთ. ჩვენ ვაშენებთ მრავალ წლის იმპერიალის-ტურ და სამოქალაქო ომებით დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრებას და სრული რწმენით ვაცხადებთ, რომ ახლო მომავალში გამარჯვებული გამოვალთ სამე-ურნეო ფრონტზე ისე, როგორც გამარჯვებული დავრჩით სამოქალაქო ომის ფრონტზე.

შეგნებულნო და პატიოსანო ჯარისკაცნო და მეზღვაურნო! განუმარტეთ თქვენს ძმებს, რომ ბურჟუაზიულ საქართველოს აღდგენა შეიძლება მხოლოდ მუშათა და გლეხთა გვამებზე. ჩვენ როგორც ერთი კაცი წინააღეუდგებით ყო-ველივე ცდას, რომელიც მიმართული იქნება მენშევიკურ ცრუ დემოკრატიის საზიზღარ და მძულვარე სამეფოს აღდგენისაკენ. ამ ლოზუნგით: თავისუფლება ან სიკვდილი!

ჩვენი კავშირი საბჭოთა სომხეთთან, საბჭოთა აზერბეიჯანთან და მთელ რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან უკვე გან-მტკიცებულია და დარჩება მიუვალ და დაუნგრეველ სიმაგრეთ მსოფლიო მშრომელ კლასისა.

ამხანაგებო, მუშებო და მშრომელო გლეხებო ევროპისა და მთელი ქვეყ-ნისა, ჩვენ მოგმართავთ თქვენ ამ ძმური მოწოდებით მსოფლიოს მშრომელი მა-სების ჩვენთან სოლიდარულ გრძნობისა და ძმური გაერთიანებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოების ძალაუფლებას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

(გაზ. „კომუნისტი", № 49, 1922 წ. 3 მარტი).

საქართველოში 1917 — 1921 წ.წ. პერიოდში მოამხდარი უმნიშვნელოვანესი ამბების ქრონიკა

1917 წელი

მარტი

16 (3). შესდგა ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვ. მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი კრება. გადაწყდა დაარსდეს ტფილისში მუშათა დეპუტატების საბჭო.

18 (5). ტფილისში დაარსდა მუშათა დეპუტატების საბჭო. არჩეულ იქნა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 15 კაცის შემადგენლობით.

19 (6). შესდგა ტფილისის გარნიზონის სადელეგატო კრება, სადაც არჩეულ იქნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს 25 კაცი.

21 (8). ქ. ქუთაისში შესდგა მუშათა დეპუტატების კრება.

21 (8). არჩეულ იქნა ხაშურ-სურამის რაიონის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

24 (11). გამოვიდა რსდმპ (ბ) კავკასიისა და ტფილისის კომიტეტების ორგანოს — გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" პირველი ნომერი.

ჭიათურაში შესდგა მიტინგი. რომელსაც დაესწრო 10 ათასი კაცი. არჩეულ იქნა მუშათა დეპუტატების საბჭო.

28 (15). ქ. ქუთაისში დაარსდა მუშათა დეპუტატების საბჭო.

31 (18). გაიხსნა ამიერ-კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ დელეგატები ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონის 18 საბჭოდან.

ტფილისში მუშაობა დაიწყო, როგორც სამხარეო ბურჟუაზიული ხელისუფლების ორგანომ, დროებითი მთავრობის ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა. ბ. ხარლამოვის (თავმჯდომარე), პაპაჯანოვის, მ. ჯაფაროვის, ა. ჩხენკელისა და კ. აბაშიძის შემადგენლობით.

აპრილი

3 (21 მარტი). დაარსდა მუშათა დეპუტატების საბჭო ქ. გორში.

მაისი

2 (19 აპრილი). ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გადაწყვეტილება გამოაქვს დაკავებულ იქნას ფრონტზე გაგზავნილი გაზ. „პრავდას" 40 ათასი ცალი.

3 (20 აპრილი). გაიხსნა ამიერ-კავკასიის რკინიგზების მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა.

საქართველოს საწარმოებში მუშებმა მოიპოვეს რვასაათიანი სამუშაო დღე.

5 (22 აპრილი). ტფილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ბოლშევიკებისა და პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით გაანთავისუფლა დაკავებული „პრავდა".

6 (23 აპრილი). გაიხსნა კავკასიის არმიის (მეტწილად მენშევიკურ-ესერული) სამხარეო ყრილობა. ყრილობის დღისწესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი და ტაქტიკა, 2) ომი და ზავი, 3) დამოკიდებულება დროებითი მთავრობასთან, 4) საადგილმამულო საკითხი, 5) მუშათა საკითხი და სხვ.

24 (11). შესდგა ტფილისის პროფკავშირების სადელეგატო კრება. არჩეულ იქნენ დელეგატები სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობაზე.

27 (14). შესდგა ბოლშევიკების საერთო-საქალაქო პარტიული კრება ტფილისში. მოსმენილ იქნა ამხ. მ. ცხაკაიასა და ფ. მახარაძის მოხსენებები „რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შესახებ".

31 (18). დაიწყო სამრეცხაო და სამღებრო დაწესებულებათა მუშების გაფიცვა. მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

მაისში ეკონომიური ხასიათის გაფიცვა გამოცხადდა ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკაში.

ივნისი

3 (21). გაიხსნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების (მეტწილად მენშევიკურ-ესერული) სამხარეო ყრილობა. დღის წესრიგში იდგა აგრარული, მუშათა, ნაციონალური და სხვ. საკითხები. ყრილობაზე არჩეულ იქნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი.

17 (4). გამოვიდა ყოველკვირეული ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის" პირველი ნომერი ქართულ ენაზე.

18 (5). გაიხსნა რსდმპ (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენცია. თანახმად რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის დადგენილებისა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მენშევიკებთან სრული ორგანიზაციული გათიშვის შესახებ.

19 (6). რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტმა გამოუშვა მუშებისადმი მოწოდება ობორონცებთან გათიშვის შესახებ.

27 (14). დაიწყო ტფილისის კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა.

28 (15). გაიხსნა ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ყრილობა.

ივლისი

2 (19 ივნისი). გაიხსნა გლეხთა სამხარეო ყრილობა.

8 (25 ივნისი). ტფილისში შესდგა გარნიზონის გრანდიოზული მიტინგი პეტროგრადში მომხდარი ივნისის გაძოსვლების გამო. მიტინგს 10 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგი ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით: „მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს“, „ძირს შეტევა“, „ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი“ და სხვ. მიღებულ იქნა ბოლშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლუცია.

ტფილისში ვაიფიცნენ კლუბებისა და რესტორანების მოსამსახურენი. მათ მხარი დაუჭირეს და გაიფიცნენ ელექტრონზე მომუშაეენი. გარდა ამისა, ამ პერიოდში გაფიცულნი იყვნენ ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშები, როტინოვის, დანდუროვის, ჩილინგაროვისა და პოპოვის სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავენი, პურის საცხობთა მუშები, მასწავლებლები და სხვ.

9 (26 ივნისი). რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა იმ ცემა-ტყეპის შესახებ, რომელიც მოხდა საგარნიზონო მიტინგზე 8 ივლისს (25 ივნისს).

18 (5). გაიხსნა რსდმპ (ბ) ტფილისის საერთო-საქალაქო კონფერენცია. მიღებულ იქნა რეზოლუცია მიმდინარე მომენტზე, პეტროგრადში მომხდარ ივლისის ამბებთან დაკავშირებით.

22 (9). გაიხსნა ბოლშევიკური ორგანიზაციების ქუთაისის საგუბერნიო კონფერენცია.

24 (11). ალექსანდრეს ბაღში შესდგა მიტინგი-პროტესტი, პეტროგრადში მომხდარ ივლისის ამბებთან დაკავშირებით. მიტინგს დაესწრო 3 ათასი კაცი. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია.

აგვისტო

3 (21 ივლისი). დამთავრდა მეეზოვეთა გაფიცვა ტფილისში.

5 (23 ივლისი). გამოქვეყნდა ბოლშევიკების წრიდან ტფილისის ქალაქის თვითმართველობაში ხმოსნებად ასარჩევი კანდიდატების სია.

16 (3). გამოქვეყნდა ტფილისის ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნების შედეგები.

20 (7). მოწვეულ იქნა დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ტფილისის ქალაქის თვითმართველობის პირველი სხდომა. ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (ბოლშევიკებისა) გამოვიდა თავისი დამოუკიდებელი დეკლარაციით.

აგვისტოში ტფილისში გაფიცული იყვნენ კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეები.

სექტემბერი

5 (23 აგვისტო). გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ 132 №-ში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „ლოზუნგებისათვის“.

6 (24 აგვისტო). შესდგა რსდმპ (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრება. მოსმენილ იქნა მოხსენება რსდმპ (ბ) VI ყრილობის შესახებ.

16 (3). რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტთან შეთანხმებით რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტს გამოაქვს გადაწყვეტილება მოიწვიოს ტფილისში კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა.

ქ. ტფილისში შესდგა ახალგაზრდათა კავშირის — „სპარტაკის" (ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტების კავშირი) დამფუძნებელი კრება.

სექტემბერში ტფილისში გაფიცული იყვნენ სპილენძის სატკეცი ქარხნის. საიტოვიჩის მექანიკური სახელოსნოს, თამბაქოს ფაბრიკების, აფთიაქების, ზინგერის კომპანიისა და სხვ. მუშა-მოსამსახურეები.

26 (13). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" 148 №-ში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „გლეხები და მუშები".

ოქტომბერი

7 (24 სექტემბერი). ქ. გორში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია.

8 (25 სექტემბერი). ქ. ქუთაისში შესდგა სახალხო მიტინგი, რომელზეც მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ.

9 (26 სექტემბერი). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" 158 №-ში დაიწყო ლენინის სტატიის — „რევოლუციის ერთერთი ძირითადი საკითხის" ბეჭდვა. ქ. ზუგდიდში ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ორგანიზაცია.

15—20 (2—7) ტფილისში შესდგა რსდმპ (ბ) კავკასიის პირველი სამხარეო ყრილობა. ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: მიმდინარე მომენტი. ნაციონალური საკითხი, დამფუძნებელი კრება, პარტიული პრესა და სხვ. არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

16 (3). ტფილისში შესდგა ბოლშევიკური ორგანიზაციების საერთო-საქალაქო კონფერენცია.

26 (13). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" 172 №-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია „ლევეასთან ბრძოლა და ომი"

28 (15). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" 174 №-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია „კრიზისი მომწიფდა".

31 (18). გამოქვეყნდა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიმართვა კავკასიის ყველა საბჭოსადმი იმის შესახებ, რომ საჭიროა მონაწილეობა მიიღონ დელეგატების არჩევნებში პეტროგრადში მოწვეული სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისათვის.

ოქტომბრში გაიფიცნენ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი ქ. ტფილისში, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში და სხვ.; გაფიცულნი იყვნენ ტფილისში ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშები, საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების მოსამსახურენი და სხვ.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" 176 №-ში დაიწყეს ბეჭდვა ლენინის სტატიისა — „მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ უნდა ეებრძოლოთ მას".

ნოემბერი

9 (27 ოქტომბერი). ტფილისში შესდგა არსენალის რაიონის მუშათა საერთო კრება; გამოტანილ იქნა რეზოლუცია მიმდინარე მომენტზე, რომელშიაც მხურვალე სალამს უძღვნიდნენ პეტროგრადში აჯანყებულ მუშებს, ჯარისკაცებს და მეზღვაურებს.

10 (28 ოქტომბერი). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ 185 №-ში დაიწყო ბეჭდვა ლენინის სტატიისა — „წერილი ამხანაგებისადმი“.

გარნიზონის 36 სამხედრო ნაწილის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, ტფილისში გამოტანილ იქნა დადგენილება — არ იცნონ ტფილისის მენშევიკურ-ესერული საბჭო და მოითხოვონ კავკასიის მე-2 საარმიო ყრილობის მოწვევა.

14 (1). ყოველკვირეულმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ბრძოლამ“ (ქართულ ენაზე) დაიწყო გამოსვლა ყოველდღიურად.

16 (3). ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარსახელოსნოების მუშათა კრებამ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ მთავარსახელოსნოების მუშები რუსეთის ყველა მუშასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი, გამოვლენ მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს დასაცავად. ანალოგიური რეზოლუციები მიიღეს მბეჭდავებმა, ბათომის მუშებმა და სხვ.

22 (9). გაიხსნა რსდმპ (ბ) ქუთაისის საგუბერნიო კონფერენცია.

24 (11). საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის ინიციატივით ტფილისის სახალხო სახლში შესდგა თათბირი ამიერ-კავკასიაში სამხარეო ხელისუფლების მოწყობის შესახებ. თათბირზე გამოქვეყნებულ იქნა რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის დეკლარაცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტი და მასში შემავალი მთელი მხარის ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია მთლიანად დგანან სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობისა და მის მიერ არჩეულ სახალხო კომისართა საბჭოს პოზიციაზე და რომ სამხარეო კომიტეტს არ მიაჩნია შესაძლებლად მონაწილეობა მიიღოს იმ თათბირში, რომელშიაც კონტრრევოლუციური ელემენტები მონაწილეობენ.

ერევნის მოედანზე შესდგა ჯარისკაცთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი საშუალებით.

28 (15). გამოქვეყნდა ბრძანება ამიერ-კავკასიის კომისარიატის დაარსების შესახებ.

დეკემბერი

2 (19 ნოემბერი). მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ესერებისა და ბურჟუაზიულ-ლიბერალური საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ტფილისში გაიხსნა საქართველოს ეგრეთწოდებული ეროვნული ყრილობა. ყრილობაზე არჩეულ იქნა ბურჟუაზიულ-მემამულური ეროვნული საბჭო.

12 (29 ნოემბერი). მენშევიკებმა ხელთ იგდეს ტფილისის არსენალი, რომელსაც გარნიზონის ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილები იცავდნენ.

13 (30 ნოემბერი). მენშევიკებმა დაარბიეს ბოლშევიკური გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩისა“ და „ბრძოლის“ რედაქციები

14 (1). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე დაიბეჭდა რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის მოწოდება არსენალზე მენშევიკური გვარდიის თავდასხმის გამო.

17 (4). ტფილისში გაიფიცნენ მბეჭდავი მუშები.

18 (5). ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დროებითი ზავი ჩამოაგდო თურქეთთან კავკასიის ფრონტზე.

25 (12). გაიხსნა კავკასიის არმიის მე-2 სამხარეო ყრილობა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია. რომელიც სცნობდა რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლებას. ყრილობამ აირჩია კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო, რომლის შემადგენლობაც უმთავრესად ბოლშევიკური იყო.

29 (16). ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა დებულება „საადგილმამულო კომიტეტებისათვის“ სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, იურიდიულ პირთა და კერძო მფლობელობის მიწების გადაცემის შესახებ.

30 (17). გურიაში გაიხსნა ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია.

31 (18). რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერდნენ ლენინი და სტალინი, კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა ამხ. ს. შაუმიანი.

1918 წელი

იანვარი

1 (19 დეკემბერი). ტფილისში გაიხსნა მუშათა დეპუტატების საბჭოების მე-2 სამხარეო ყრილობა.

2 (20 დეკემბერი). ჩოხატაურის რაიონში (გურია) გაიფიცნენ სახალხო მასწავლებლები.

8 (26 დეკემბერი). ტფილისში გაიხსნა კავკასიის პროფესიულ კავშირთა პირველი სამხარეო კონფერენცია.

9 (27 დეკემბერი). ქ. ხონში გაიმართა სახალხო მიტინგი ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

20 (7). ქართველი მენშევიკების უშუალო დირექტივით სადგურ შამქორთან დახვრიტეს ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდნენ კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

22 (9) ამიერ-კავკასიის რკინიგზების მთავარსახელოსნოებში შესდგა მასობრივი მიტინგი 1905 წლის 9 იანვარს პიტერში დახვრეტილ მუშათა ხსოვნის აღსანიშნავად.

26 (13). შესდგა ტფილისის 1-ლი რაიონის ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენცია.

27 (14). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ 9 №-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია „როგორ მოატყუეს ხალხი სოციალისტ-რევოლუციონერებმა და რა მისცა ხალხს ახალმა მთავრობამ“.

ქუთაისში შესდგა მუშათა კრება. მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია.

ჰაითურაში და საჩხერეში შესდგა იმპერიალისტური ომის მონაწილე ყოფილ ჯარისკაცთა კრებები. მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ.

31 (18). ჯუმათში (ვურია) შედგა სახალხო მიტინგი, სადაც მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ.

ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ფრონტიდან დაბრუნებული, ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცების ხელმძღვანელობით, 1918 წლის დამდეგიდან საქართველოში იწყება 1917 წელს მომხდარ გამოსვლებზე უფრო მასობრივი გლეხთა გამოსვლები, მიმართული როგორც ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლების, ისე სოფლად არსებული ფეოდალურ-ჰემამულური ნაშთების წინააღმდეგ.

გლეხთა გამოსვლები განსაკუთრებული სიძლიერით განვითარდა ქართლში, სამეგრელოში, კახეთში, ბორჩალოს, ლეჩხუმის, რაჭისა და სხვა მაზრებში.

თებერვალი

2 (20 იანვარი). დაიწყო მღელვარება ქუთაისის გარნიზონის სამხედრო ნაწილებში.

4 (22 იანვარი). მბეჭდავთა კავშირმა ტფილისში გაფიცვა გამოაცხადა, რადგან მეწარმეებმა უარი სთქვეს კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე.

ამხ. ს. შაუმიანი შეუდგა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის თანამდებობის აღსრულებას.

5 (23 იანვარი). მენშევიკებს გამოაქვთ გადაწყვეტილება მოიწვიონ ტფილისში ამიერ-კავკასიის სეიმი იმ დეპუტატთა შემადგენლობით, რომლებიც არ-ჩეულნი იყვნენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის.

6 (24 იანვარი). ბათომში შესდგა სამხედრო გემების მეზღვაურთა საერთო კრება. მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია.

7 (25 იანვარი). ბაქოში ა/კ-ის რკინიგზების მთავარსახელოსნოების მუშათა კრება. ამხ. ს. შაუმიანის მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ჰკიცხავდა ამიერ-კავკასიის კომისარიატის მოქმედებას და მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ამიერ-კავკასიაში.

8 (26 იანვარი). გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იგი უარს აცხადებს სეიმის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

განიხილეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება ამხ. ს. შაუმიანის დაპატიმრების შესახებ.

9 (27 იანვარი). შესდგა ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარსახელოსნოების ნუშათა კრება, რომელზედაც გადაწყდა გაფიცვის გამოცხადება.

10 (28 იანვარი). შესდგა რსდმპ (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენცია.

შესდგა მეტყველთა პროფესიული კავშირის საერთო კრება, სადაც გადაწყდა გაფიცვის გამოცხადება შამქორთან ჯარისკაცების დახვრეტისა და ამხ. ს. შაუმიანის დასაპატიმრებლად ბრძანების გაცემის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

13 (31 იანვარი). მეტყველთა კავშირის ინიციატივით ალექსანდრეს ბაღ-

პროფკავშირთა უმრავლესობის მონაწილეობით. შესდგა საპროტესტო მიტინგი შამქორთან მომხდარი ამბებისა და ბრძანების გაცემისათვის ს. შაუმიანის შეპყრობის შესახებ.

გამოვიდა პირველი ნომერი „კავკაზსკი ვესტნიკ სოვეტა ნაროდნიხ კომისაროვ". ამხ. სტ. შაუმიანის რედაქტორობით.

15 — 16 (2—3). რსდმპ (ბ) გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით

გორში შესდგა მასობრივი მიტინგები.

16 (3). ქ. გორში აჯანყდა მე-4 პოლკი ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ.

17 (4). ქ. გორში გამოცხადდა სამხედრო წესები.

დ. ხაშურში ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს იარაღი ცეიხჰაუზიდან.

ქართლის მთელი რიგი რაიონები გლეხთა აჯანყებებმა მოიცვა.

შესდგა რსდმპ (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენცია.

19 (6). ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ქუთაისში აჯანყდნენ ჯარის ნაწილები და ხელთ იგდეს ძალაუფლება.

21 (8). ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებით დაიხურა ბოლშევიკური გაზეთები: „კავკაზსკი რაბოჩი", „ბრძოლა" და „ბანვორი კრივ". დააპატიმრეს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები.

22 (9). რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების მიმართ ბოლშევიკური გაზეთების დახურვისა და ბოლშევიკური პარტიის წევრთა წინააღმდეგ მიღებული რეპრესიების გამო.

22 (9). გამოვიდა გაზ. „კავკაზსკაია პრავდას" პირველი ნომერი რსდმპ(ბ) სამხარეო კომიტეტის ორგანო.

ტფილისში შესდგა რკინიგზელთა მიტინგი, რომელსაც სამი ათასი კაცი დაესწრო. მიღებულ რეზოლუციაში კრებამ მოითხოვა ბოლშევიკური გაზეთებისაგან აკრძალვის მოხსნა და დაპატიმრებულ კომუნისტების განთავისუფლება.

23 (10). რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების მიმართ ტფილისში ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის გამო.

ალექსანდრეს ბაღში შესდგა ტფილისის პროლეტარიატისა და გარნიზონის ჯარისკაცების მასობრივი მიტინგი ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

მენშევიკებმა ალექსანდრეს ბაღში დახვრიტეს ბოლშევიკური მიტინგი.

24 (11). რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა მუშებისა და ჯარისკაცებისადმი ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის გამო.

ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ქ. ტფილისის მუშებს საყოველთაო ვაფიცვით გასცენ პასუხი ალექსანდრეს ბაღში მომხდარ დახვრეტას.

ტფილისში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, როგორც ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის პასუხი.

25 (12). ფოთში გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები.

26 (13). ამიერ-კავკასიის სეიმი გამოცხადდა მხარის საკანონმდებლო ორგანოდ.

27 (14). რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა მუშებისადმი ალექსანდრეს ბაღში მოკლულთა დაკრძალვის გამო.

თებერვალში ტფილისში ჩამოყალიბდა არალეგალური „მუშათა ცენტრი“, რომელიც შემდეგში რსდმპ (ბ) ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით პროფკავშირებში მუშაობდა.

მარტი

1 (16 თებერვალი). ტყიბულის მუშებმა გამოაცხადეს ეკონომიური გაფიცვა, რომელიც ერთ თვეზე მეტს გაგრძელდა.

ამიერ-კავკასიის სეიმმა აირჩია დელეგაცია თურქეთთან საზავო მოლაპარაკებებს საწარმოებლად.

2 (17 თებერვალი). ამიერ-კავკასიის სეიმმა უარი სთქვა ბრესტის ზავის ცნობაზე, რომლის თანახმადაც თურქეთს უნდა გადასცემოდა ყარსი, არდაგანი და ბათომი.

ტფილისში გაიფიცნენ კლუბების, რესტორანებისა და სასტუმროების მუშა-მოსამსახურენი.

5 (20 თებერვალი). ქ. ქუთაისში გაიხსნა საგუბერნიო ბოლშევიკური პარტიული კონფერენცია დასავლეთ საქართველოს ყველა ორგანიზაციის დელეგატთა მონაწილეობით. კონფერენციის დღისწესრიგში იდგა საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი და საკითხი ხელისუფლების შესახებ, 2) საადგილმამულო საკითხი, 3) გლეხთა საბჭოების მოწყობის შესახებ, 4) სასურსათო საკითხი, 5) წითელი გვარდიის შესახებ, 6) საორგანიზაციო საკითხები, 7) მიმდინარე საქმეები.

თელავში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყდა მე-8 პოლკი.

7 (22 თებერვალი). ფოთში შესდგა მე-3 პოლკის ჯარისკაცთა კრება, სადაც მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია.

დაიწყო გლეხთა აჯანყება ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში.

სახალხოგვარდიელებმა აიღეს ქ. თელავი და ჩააქრეს მე-8 პოლკის აჯანყება.

11 (26 თებერვალი). გაზ. „კავკაზსკაია პრავდას" 2 №-ში დაიბეჭდა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ვრცელი რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ. რეზოლუცია თავდებოდა სიტყვებით: „სამხარეო კომიტეტი მიმართავს ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადებით, უაღრესად გააძლიერონ მუშაობა, რომ აუხსნან ფართო მასებს შექმნილი მდგომარეობა და მოაწყონ წითელი არმიის რევოლუციური რაზმები".

14 (1). მენშევიკებმა ლეჩხუმის მაზრა, გლეხთა აჯანყების ჩაქრობის მიზნით, კანონს გარეშე გამოაცხადეს.

15 (2). თურქეთის ჯარებმა შესწყვიტეს დროებითი ზავი და შეტევაზე გადმოვიდნენ.

20 (7). ამიერ-კავკასიის სეიმმა მიიღო აგრარული კანონი გაბატონებული კლასების ინტერესების სასარგებლოდ.

ქ. ბათომში მენშევიკურმა გვარდიამ ხელთ იგდო ბოლშევიკების კრეისერი „კოროლ კარლი".

21 (8). ტფილისში გაიფიცნენ ადელხანოვის ფეხსაცმელებისა და ქეჩის ფაბრიკის მუშები.

23 (10). ტფილისში გაიფიცნენ კოლოფების მკეთებელი მუშები.

24 (11). ბათომში დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „ბურევესტნიკი".

26 — 27 (13 — 14). გაზ. „პრავდას" 55 და 56 ნომრებში გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის სტატია: „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით".

შესდგა ბურჟუაზიულ-მემამულური მინისტრთა კაბინეტი ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

29 (16). მთავრობის განკარგულებით დაიხურა ბოლშევიკური გაზეთები „კავკაზსკაია პრავდა" და „ჩვენი ბრძოლა".

შესდგა პარტიის (ბოლშევიკების) გურიის კომიტეტის კრება: დღის წესრიგში დასმული იყო ზავისა და მიწის საკითხი.

აპრილი

1 (19 მარტი). დაიწყო გლეხების აჯანყება სამხრეთ-ოსეთში; აჯანყებულებმა აიღეს ქ. ცხინვალი.

3 (21 მარტი). მენშევიკებმა დახურეს ქუთაისში ბოლშევიკური გაზეთი „ჩვენი ბრძოლა".

4 (22 მარტი). სახალხოგვარდიელებმა უკან დაიბრუნეს ქ. ცხინვალი და უსასტიკესი ზომების მიღებით ჩააქრეს გლეხთა აჯანყება სამხრეთ-ოსეთში.

8 (26 მარტი). წარმატებით განვითარდა ბოლშევიკური აჯანყება აფხაზეთში. აჯანყებულებმა აიღეს ქ. სოხუმი. შეადგინეს იქ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი და გამოაცხადეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება. სოხუმში გამოვიდა გაზეთი „სუხუმსკაია პრავდა".

9 (27 მარტი). გაფიცვა გამოაცხადეს კახეთის რკინიგზის მუშებმა.

10 (28 მარტი). ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაციამ ტრაპიზონში სცნო ბრესტის ზავის პირობები. შემდეგში მოლაპარაკება ზავის შესახებ სწარმოებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე.

13 (31 მარტი). ჩაშალა საზავო მოლაპარაკება ამიერ-კავკასიასა და თურქეთს შორის. თურქეთის ჯარებმა წინ წაიწიეს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

გამოქვეყნდა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ნოტა კავკასიაში თურქეთის ჯარების წინ წაწევისა და სომხეთში თურქეთის ჯარის ნაწილების მოქმედების შესახებ.

14 (1). თურქებმა აიღეს ქ. ბათომი.

15 (2). ტფილისში გაიფიცნენ საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეები და ქალაქის სასაკლაოთა მუშები.

დაიწყო გლეხთა აჯანყებები სამეგრელოში.

17 (4). თურქებმა აიღეს ქობულეთი და მისი რაიონი მდ. ჩოლოქამდე.

ტფილისში გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკაია რაბოჩაია პრავდა".

21 (8). თურქეთის ჯარის ნაწილების შემოჭრა ოზურგეთის მაზრაში.

ბოლშევიკურ გაზ. „კავკაზსკაია რაბოჩაია პრავდაში" დაიბეჭდა კორესპონდენცია ზუგდიდის მაზრიდან იმის შესახებ. რომ იქ შესდგა 15 სასოფლო საზოვადოების დელეგატთა და ყოფილ ჯარისკაცთა კრება. მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა შეიქმნას გლეხთა დეპუტატების საბჭოები, არ იცნონ ამიერ-კავკასიის სეიმის გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორების შესახებ და სხვ.

22 (9). თურქებმა აიღეს ქ. ოზურგეთი.

კონტრრევოლუციურმა სეიმმა ამიერ-კავკასია „დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკად" გამოაცხადა.

სეიმმა დაადგინა განაახლოს თურქეთთან საზავო მოლაპარაკება.

25 (12). შესდგა ამიერ-კავკასიის ახალი, ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობა ა. ჩხენკელის მეთაურობით.

26 (13). ამიერ-კავკასიის სეიმმა დაადგინა 18 აპრილიდან წელთაღრიცხვა შემოიღოს ახალი სტილით.

28 (15). თურქეთმა სცნო ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელი" რესპუბლიკა.

მაისი

1. რკპ (ბ) ტფილისის კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა მუშებისადმი პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის გამო.

ტფილისში გაიმართა საპირველმაისო ბოლშევიკური მიტინგები.

11. გაიხსნა ბათომის საზავო კონფერენცია გერმანიის, თურქეთის, ამიერ-კავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისა და დაღესტნის დელეგატთა მონაწილეობით.

14. საქართველოს ე. წ. ეროვნულმა საბჭომ განიხილა საკითხი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გერმანელთა მოწვევის შესახებ.

17. აფხაზეთში დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიკებმა დასტოვეს ქ. სოხუმი.

26. სეიმმა უარი სთქვა თავის რწმუნებაზე და მოხდა ამიერ-კავკასიის დაშლა. საქართველოს ეგრედწოდებულმა ეროვნულმა საბჭომ „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“ გამოაცხადა.

შესდგა საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის პირველი მთავრობა ნ. რამიშვილის მეთაურობით.

29. გერმანიამ სცნო საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა.

30. მოხდა გლეხთა აჯანყება სამეგრელოში მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი გადავიდა ქ. კავკავში (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე).

რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ბიუროს დატოვება ტფილისში.

ივნისი

4. დაიდო „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“ ოტომანურ იმპერატორულ მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის.

5. თანახმად დადებული ხელშეკრულებისა, თურქებმა გაანთავისუფლეს საქართველოს ტერიტორია.

9. დაიწყო გლეხთა მღელვარება სიღნაღის მაზრაში მენშევიკების წინააღმდეგ.

17. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაიწყო გლეხთა აჯანყება დუშეთის მაზრაში.

19. ქ. დუშეთი დაიკავეს აჯანყებულებმა.

21. ტფილისში გაიფიცნენ ტელეგრაფის მოსამსახურეები.

25. ქ. დუშეთში გაიხსნა გლეხთა ყრილობა. ყრილობამ აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია და მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

28. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაიწყო გლეხთა აჯანყება საჩხერის რაიონში.

30. მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ს. საჩხერე.

ივნისის განმავლობაში ტფილისში გაფიცულნი იყვნენ ლიტოგრაფიის

მუშები, მბეჭდავები. კასპარიანცის, ტერ-ასატუროვისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნების ამხ-ბათა მუშები და ტელეფონის ქსელის მუშა-მოსამსახურენი.

ივლისი

3. მენშევიკების ჯარებმა დაიკავეს ქ. დუშეთი.

9. ბაღდათში დაბანაკებული მე-12 პოლკი აჯანყდა მენშევიკების დიქტატურის წინააღმდეგ; აჯანყებულთ შეუერთდა მახლობელი სოფლების გლეხობა.

13. კონტრრევოლუციურმა მენშევიკურმა მთავრობამ გამოიტანა დადგენილება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სპეციალური დეპარტამენტის შექმნის შესახებ „შინაურ ანარქიასთან საბრძოლველად“.

24. დაიწყო გლეხთა გამოსვლები ტყიბულის რაიონში.

30. სამხრეთ-ოსეთში შეიქმნა რკ (ბ) პირველი საორგანიზაციო ბიურო.

ივლისში ტფილისში გაიფიცნენ ელექტრომუშები, საავტომობილო სახელოსნოების მუშები და საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურენი, ქ. ქუთაისში — ფარმაცევტები, რკინიგზელები და სხვ.

აგვისტო

3. დაიწყო გლეხთა გამოსვლები ხონის რაიონში.

4. ტფილისის საგუბერნიო ციხეში ჩაამწყვდიეს 144 კაცი — დუშეთის აჯანყების აქტიური მონაწილენი.

5. მენშევიკებმა გაატარეს ბაქოსაკენ თურქეთის ჯარები ბაქოს კომუნის ჩასახშობად. მენშევიკურმა მთავრობამ საზეიმო ბანკეტი გაუმართა თურქეთის ჯარების უფროსს — ხალილ-ფაშას.

6. დაიწყო გლეხთა აჯანყებები სამეგრელოში.

20. დაიწყო მუშათა გაფიცვა ტყიბულის მაღაროებში.

სექტემბერი

1. მენშევიკებმა ძლიერი სამხედრო ძალა გაგზავნეს გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად სამეგრელოში.

2. დაიწყო გლეხთა აჯანყება აღბულაღის რაიონში. ორი ათას შეიარაღებულ გლეხთა შეტაკების დროს მთავრობის რაზმი დამარცხდა და იძულებული გახდა უკან დაეხია.

5. გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად თეთრ-წყაროსაკენ გაიგზავნა გერმანელთა რაზმი. გაიხსნა საქართველოს რკინიგზების მუშა-მოსამსახურეთა პირველი ყრილობა.

17. დაიწყო თელავის რაიონის რკინიგზელთა გაფიცვა.

19. რსფსრ საბჭოთა მთავრობამ სცნო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ქ. ეკატერინოდარში (ამჟამად კრასნოდარი) შესდგა მოხალისეთა არმიის, ყუბანის მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირი, სადაც გარჩეულ იქნა საკითხი კავშირის შეკვრის შესახებ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სექტემბერში ტფილისში ჩატარდა ამიერ-კავკასიის ბანკის, საკრედიტო დაწესებულებებისა და სადეზინფექციო კამერების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა. ფოთში ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები: გაიფიცნენ აგრეთვე ბორჯომის მამულის მუშებიც.

ოქტომბერი

4. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდა „საქართველოს პარლამენტი".

20. გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სრულიად საქართველოს კონფერენცია.

23. მეტეხის ციხეში დაპატიმრებულმა ბოლშევიკებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

ნოემბერი

1. აფეთქებულ იქნა რკინიგზის ხიდი სადგურ მცხეთასა და ქსანს შუა.

3. განახლდა ტყიბულის მაღაროების მუშათა გაფიცვა.

5. რკინიგზაზე და ფოთის ნავთსადგურში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები.

9. ტფილისსა და მის მიდამოებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები.

10. ტფილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია.

17. რკინიგზის მთავარსახელოსნოებში გამოცხადდა გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

20. თელავის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო წესები.

ნოემბერში ტფილისში მზადდებოდა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა და ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვა რამდენიმე თვის განმავლობაში ჯამაგირის მიუღებლობის ნიადაგზე.

გერმანიაში მომხდარი რევოლუციის გამო, გერმანელმა ოკუპანტებმა დასტოვეს საქართველოს რესპუბლიკა.

დეკემბერი

2. ქ. ტფილისში არსენალის მუშებმა მოითხოვეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადარჩევა.

4. მენშევიკების ჯარებმა დაიკავეს ქ. ახალქალაქი.

5. მენშევიკების ჯარებმა დაიკავეს ქ. ახალციხე.

9. შეტაკება მოხდა სომხურ და ქართულ სამხედრო ნაწილებს შორის სად. სანაინთან.

12. ტფილისში ჩამოვიდა ინგლის-ამერიკის მისია.

13. ფოთის ნავსადგურიდან წავიდა გერმანელი ჯარების უკანასკნელი ეშელონი.

15. დაიწყო ინგლისის ოკუპაცია ბათომში.

20. ქ. ბათომში ჩამოვიდა ამერიკის მისია.

22. შესწყდა დიპლომატიური ურთიერთობა და დაიწყო ომი სომხეთსა და საქართველოს შორის.

29. საქართველოს ჯარებმა აიღეს ს. შულავერი (ამჟამად ქ. შაუმიანი).

1919 წელი

იანვარი

1. სომხეთსა და საქართველოს შორის დამყარდა დროებითი ზავი.

8. ბათომიდან საქართველოში გამოემგზავრა ინგლისის ფერად-კანიანი ჯარების პირველი ეშელონი.

9. მენშევიკებმა დელეგაცია გაგზავნეს ევროპაში.

10. დაწყო მუშაობა საქართველო-სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენციამ საზავო ხელშეკრულების დასადებად.

17. დაიწყო გლეხთა გამოსვლები ახალციხის მაზრაში.

24. საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აგრარული კანონი.

იანვრის დამდეგს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი გადმოვიდა კავკავიდან (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე) ტფილისში, რათა უშუალო ხელმძღვანელობა გაეწია შეიარაღებული აჯანყებისათვის საქართველოში. იანვრის დამდეგს ჩამოყალიბდა რკპ (ბ) ტფილისის ახალი კომიტეტი.

თებერვალი

24. მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება გადასცეს დენიკინს ჩრდილოეთ-კავკასიიდან უკანდახეული და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული წითელი არმიის ნაწილები და საბჭოთა მოქალაქენი.

თებერვალში ქუთაისში ჩატარდა საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვა.

მარტი

15. გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.

16. გაიხსნა ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობა.

20. ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშათა და მოსამსახურეთა სადელეგატო კრებამ გადასწყვიტა 24 მარტიდან გამოაცხადოს გაფიცვა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება იძულებული გახდა გამოეცა დეკლარაცია აფხაზეთისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ.

24. დაიწყო ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა.

26. შესდგა საქარხნო კომიტეტებისა და მელითონეთა პროფესიული კავშირის გამგეობის სხდომა, რომელზედაც მონაწილეობას იღებდნენ ქარხნების 24 წარმომადგენელი და გამგეობის წევრები. ამ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს გაფიცულებს ყოველმხრივ, თვით საპროტესტო გაფიცვის გამოცხადებითაც კი.

27. გამოვიდა „ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის საგაფიცვო კომიტეტის „იზვესტიას" პირველი ნომერი.

შესდგა მეტყავეთა კავშირის სადელეგატო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს გაფიცულებს მატერიალურად და, ნიშნად პროტესტისა ქალაქის გამგეობის მოქმედების წინააღმდეგ, გამოაცხადოს გაფიცვა 1-ლი აპრილიდან.

შესდგა ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა სადელეგატო კრება, სადაც გამოვიდნენ ბაქოს პროლეტარიატის დელეგატები და აღუთქვეს გაფიცულებს მორალური და მატერიალური დახმარება.

საგაფიცვო კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატისა და ტფილისის უღარიბესი მოსახლეობისადმი გაფიცვის შესახებ.

28. შესდგა ტფილისის მუშათა დეპუტატების მენშევიკური საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა მიზანშეუწონლად სცნო.

30. შესდგა ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიული კავშირის საერთო კრება, რომელმაც მუშა-მოსამსახურეთა მიერ გამოცხადებული გაფიცვა სწორად ჩასთვალა და დახმარების აღმოჩენა აღუთქვა გაფიცულებს ამ ბრძოლაში.

ანალოგიური რეზოლუციები გამოიტანეს ხოშტარიას თუჯის ჩამომსხმელი და მექანიკური ქარხნის მუშებმაც, ნემსის პროლეტარებმაც, მრეცხავებისა და მღებავების კავშირმაც და სხვ.

მარტში ქ. სოხუმში შესდგა ბოლშევიკური პარტიული კონფერენცია, სადაც არჩეულ იქნა რკპ(ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტი.

აპრილი

5. საგაფიცვო კომიტეტის დადგენილების თანახმად, შესწყდა ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა.

8. ბათომის პროფესიულ კავშირთა საბჭომ დაადგინა გამოაცხადოს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ნიშნად პროტესტისა ინგლისელების მიერ გაზ. „გოლოს ტრუდას" დახურვის წინააღმდეგ.

11. ტფილისში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა პირველი ყრილობა.

13. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის დილის სხდომაზე ბაქოს პროლეტარიატის სახელით გამოვიდა ამხ. მიქოიანი, რომელმაც წინადადება მისცა სხდომას შეჰქმნას ერთიანი ფრონტი მუშათა კლასის საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

14. გაიხსნა ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კონფერენცია.

15. რკინიგზის უბანი ბათომი — ნატანები, ინგლისელებთან შეთანხმებით, გადავიდა მენშევიკურ საქართველოს გამგებლობაში.

16. დაიხურა საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა.

20. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა მიმართვა მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი დენიკინისათვის 31 საბჭოთა მუშაკის მოლალატურად გადაცემის შესახებ.

მაისი

1. საპირველმაისო დემონსტრაცია ქ. სოხუმში ჩატარდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

22. წინანდლის მამულში (კახეთში) გამოცხადდა მუშათა გაფიცვა.

25. შესდგა სატარიფო პალატის პირველი სხდომა.

27. ტფილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის კოოპერაციის წარმომადგენელთა ყრილობა.

შესდგა დეპოსა და მთავარ-სახელოსნოების მუშათა კრება, სადაც განხილულ იქნა საკითხი ტარიფების შესახებ. მიღებულ რეზოლუციაში რკინიგზელებმა სასტიკად გაჰკიცხეს მენშევიკური მთავრობისა და რკინიგზელთა ცენტრალური კავშირის მუშათა პოლიტიკა.

ივნისი

1. შესდგა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, ტფილისის კომიტეტისა და პროფკავშირთა საბჭოს სპეციალური თათბირი, საქართველოს მუშათა კლასში ბოლშევიკური გავლენის ზრდასთან დაკავშირებით.

9. ბაქოს მუშათა კონფერენციამ ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მიმართა წინადადებით — მოწვეულ იქნას ტფილისში ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობა, რათა შეიქმნას მთლიანი ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გამოვიდა ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის „ვოლნას“ პირველი ნომერი.

10. ტფილისში გაიფიცნენ სამღებრო და სამრეცხაო დაწესებულებათა მუშები.

ქ. ფოთში გაიფიცნენ ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშები.

12. ძოეწყო რკპ(ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი.

13. ამიერ-კავკასიაში დენიკინის შემოსევის საშიშროებასთან დაკავშირებით ტფილისში, ქუთაისში, ბათომში, ფოთსა და სოხუმში გაჩაღდა მუშათა შიტინგები. თავიანთ რეზოლუციებში მუშები მოითხოვდნენ მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის ერთიანი ფრონტის შექმნას.

გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა მენშევიკური საბჭოს ორგანოს — ორკვირეული ჟურნალის „რაბოჩაია ჟიზნის“ პირველი ნომერი.

20. გაიხსნა სენაკის მაზრის მასწავლებელთა კონფერენცია.

22. სოხუმში შესდგა პროფკავშირთა წევრების საერთო კრება დენიკინის წინააღმდეგ რევოლუციური ომის საწარმოებლად ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. მიღებულ იქნა ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია.

26. ტფილისის მუშათა დეპუტატების მენშევიკურმა საბჭომ უარჰყო ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევა და არ მიიღო ბაქოს პროლეტარიატის წინადადება დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

27. შესდგა დეპოსა და მთავარსახელოსნოების მუშათა მიტინგი. მიტინგზე ბაქოს პროლეტარიატის სახელით გამოვიდა ამხ. ა. მიქოიანი დენიკინის წინააღმდეგ რევოლუციური ომის ორგანიზაციის შესახებ.

28. სახალხო უნივერსიტეტში შესდგა ამხ. მიქოიანის ლექცია თემაზე: „დენიკინის საფრთხე და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები“.

29. შესდგა მეტყავეთა კავშირის საერთო კრება, სადაც გამოვიდა ამხ. ა. მიქოიანი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

ივლისი

1. მენშევიკებმა დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა“. გამოვიდა გაზეთები: „რაბოჩი“ და „რაბოჩი პუტ“.

20. შესდგა შორაპნისა და ოზურგეთის მაზრების მასწავლებელთა კონფერენციები.

27. რაჭის მაზრაში მოხდა შეტაკება გლეხებსა და სახალხოგვარდიელებს შორის.

აგვისტო

19. შესდგა ბოლშევიკური პარტიის ტფილისის საგუბერნიო კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა საკითხი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ.

არალეგალური პარტიული კონფერენციები შეიარაღებული აჯანყების შესახებ ჩატარებულ იქნა საქართველოს მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სექტემბერში მოწოდებით მიმართა მშრომელ მასებს ამიერ-კავკასიაში დენიკინის აგენტების კონტრრევოლუციური მოქმედების შესახებ.

სექტემბერი

13. თავს დაესხნენ ბოსაკლავად დენიკინის აგენტს საქართველოში — გენ. ბარათოვს.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა მშრომელი მასებისადმი მენშევიკების მიერ არკადი ელბაქიძის მოკვლის შესახებ.

18. რკინიგზის მთელს ხაზზე გამოცხადდა სამხედრო წესები.

20. გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის ე. წ. ნაციონალური საბჭოს მე-8 ყრილობა.

22. ბაქოში გაიხსნა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების 1-ლი ყრილობა. ყრილობაზე არჩეულ იქნა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, ამიერ-კავკასიის ყველა კომკავშირული ორგანიზაციების რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ორგანიზაციული გაერთიანების შესახებ.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოაკრა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბოლშევიკური პარტიის წევრთა ყოველგვარი მკელელობა მთავრობის აგენტების, ან მენშევიკური პარტიის წევრთა მიერ გაწსილული იქნება როგორც თეთრი ტერორი და თავის დასაცავად პარტია სათანადო ზომებს მიიღებს.

ოქტომბერი

23. მოეწყო ქ. ფოთში ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალური კრება შეიარაღებული აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებით.

24. დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ლაგოდეხში, სამტრედიაში, ს. კულაშში, ს. გუბში და სენაკისა და დუშეთის მაზრების ზოგიერთ რაიონში და სხვ. შეიარაღებული აჯანყება დაიწყო აგრეთვე სამხრეთ ოსეთში — როკის რაიონში.

ნოემბერი

9. დაიწყო შეიარაღებული აჯანყება გურიაში (ლანჩხუთში, ჩოხატაურში, სუფსაში და სხვ.) და გოჩის მაზრაში.

15. მენშევიკებმა სიკვდილით დასაჯეს 1918 წელს მომხდარი დუშეთის აჯანყების ხუთი ხელმძღვანელი.

16. მენშევიკებმა სიკვდილით დასაჯეს დ. ჩოხატაურში მომხდარი აჯანყების ხელმძღვანელები.

29. მოეწყო მასწავლებელთა გაფიცვა ქ. ქუთაისში.

ნოემბერში დაიწყო საქართველოში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყებათა მონაწილეების მასობრივი დაპატიმრება. მენშევიკებმა გააძლიერეს რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ და დაიწყეს იმათი ვითომდა როგორც უცხოელების გაძევება ქალაქებიდან, ვისაც ბრალს სდებდნენ ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობაში.

დეკემბერი

4. გამოქვეყნდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის საპროტესტო ნოტა, საქართველოში კომუნისტების მასობრივი დაპატიმრებისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების დევნის გამო.

10. რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშებსა და გლეხებს, დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი წითელი ფრონტის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

1920 წელი

იანვარი

8 — 9. რსფსრ საგარეო საქმეთა კომისრის მიმართვა საქართველოს მენშევიკური მთავრობისადმი წინადადებით — შეჰკრან ურთიერთშორის კავშირი დენიკინის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელი მასებისადმი იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობებმა კავშირი შეჰკრეს ანტანტასთან, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

12. გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა მინისტრის ევგ. გეგეჭკორის ნოტა იმის შესახებ, რომ მენშევიკურ მთავრობას არ სურს მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა რუსეთთან ერთად დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანტანტის უზენაესმა საბჭომ გადასწყვიტა იცნოს საქართველოს მთავრობა „დე ფაქტო“.

14. მოწვეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, ანტანტის მიერ საქართველოს „დე ფაქტო“ ცნობის შესახებ.

იმავე კრებამ დადგენილება გამოიტანა, შეიცვალოს წითელი დროშა ნაციონალისტური დროშით.

20. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა ახალი მიმართვა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელი მასებისადმი ამიერკავკასიის მთავრობებისა და ანტანტის კავშირის შესახებ.

23. მეტყველეთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება გამოაცხადოს გაფიცვა 26 იანვრიდან, უკეთუ მეწარმენი არ დააკმაყოფილებენ მუშათა მოთხოვნებს.

1920 წლის იანვარში ისევ გამოვიდა ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი „კავკაზსკაია პრავდა“.

თებერვალი

3. შესდგა სადგურ ტფილისის რკინიგზელთა საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა საკითხი 8-საათიანი სამუშაო დღისა და 60%-იანი მომატების შესახებ.

6. გამოქვეყნდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახ. კომისრის ნოტა იმის შესახებ, რომ ქართველმა მენშევიკებმა უარი სთქვეს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

29. მოხდა მელითონეთა კავშირის გამგეობის გადარჩევა. გამგეობის ახლად არჩეული 13 წევრიდან 11 ბოლშევიკი აღმოჩნდა.

მარტი

15. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციისა და ყველა ეროვნების მშრომელი მასების სახელით მიმართა სრ. რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, კომინტერნსა და წითელ არმიას თხოვნით — დახმარება გაუწიონ პრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ამიერ-კავკასიაში.

16. დაიწყო დასავლეთ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა.

18. ქ. ტფილისში შესდგა მესანგრეთა ათასეულის კომუჯრედთა წარმომადგენლების არალეგალური კრება.

22. შესდგა ტფილისის გარნიზონის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელშაც მიიღო წითელი არმიის მისასალმებელი რეზოლუცია, საქართველოს საზღვრებთან მისი მოახლოების გამო.

დაიწყო რკინიგზელთა გაფიცვა ხაშურის რაიონში. ამავე დროს გაიფიცნენ სამტრედიის რაიონის რკინიგზელებიც.

აპრილი

7. შესდგა ბეჭდვითი საქმის მუშათა კრება, სადაც განხილულ იქნა საკითხი გამგეობის წევრთა დაპატიმრებისა მენშევიკების მიერ და ხელფასის გადიდების შესახებ.

22. ბათომში შესდგა ყველა პროფკავშირთა გამგეობების, ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებისა და მთელი რიგი რაიონების გლეხთა დელეგატების კრება. კრებამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ერთადერთი მისაღები ხელისუფლება მუშებისა და გლეხებისათვის აჭარაში არის საბჭოთა ხელისუფლება.

28. აზერბაიჯანში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

30. ბათომში მოჰკლეს გენ. ლიახოვი, აჭარელ გლეხთა ცნობილი ჯალათი და ვრანგელის აგენტი ქ. ბათომში.

აპრილში გაფიცვა გამოაცხადეს ქ. ფოთის ტრანსპორტის მუშებმა, წინანდლის მამულის მუშებმა და სხვ.

მაისი

1. მოხდა ბოლშევიკების გამოსვლა ქ. ტფილისში პირველ მაისს.

ქ. ბათომში გაიმართა მრავალათასიანი საპირველმაისო დემონსტრაცია. შოეწყო დემონსტრანტების მსვლელობა მარქსის, ენგელსისა და ლენინის სურათებით და ბოლშევიკური ლოზუნგებით — აჭარაში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შესახებ.

2. ბოლშევიკების შეიარაღებული თავდასხმა ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელზე ტფილისში მისი ხელში ჩაგდების მიზნით.

7. ხელი მოაწერეს რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას.

8. ინგლისელებმა ბათომში დააპატიმრეს პროფესიული მოძრაობის 18 უფრო ცნობილი ხელმძღვანელი და დრედნოუტ „როიალ-ზავორენით“ გაგზავნეს კონსტანტინოპოლში.

14. თანახმად რსფსრ-სა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებისა, მენშევიკების ციხეებიდან გაანთავისუფლეს დაპატიმრებული ბოლშევიკები.

20. მოხდა საქართველოს კომპარტიის ლეგალიზაცია. არჩეულ იქნა საქართველოს კპ(ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

ივნისი

3. გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის ორგანო — გაზეთი „კომუნისტი“ ქართულ ენაზე.

4. ეკონომიურ ნიადაგზე ტფილისში გაიფიცნენ რკინიგზის მთავარსახელოსნოებისა და დეპოს მუშები.

6. ს. ნაგომარში გაიხსნა გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 24 დელეგატი 10 რაიონიდან.

გაიხსნა ხაშურის ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენცია.

7. დაარსდა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის დროებითი საოლქო კომიტეტი.

8. გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა რსფსრ-სა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება.

დაიწყო აჯანყება სამხრეთ-ოსეთში. ოსების რევოლუციურმა რაზმებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, დაიკავეს ცხინვალი (ამჟამად სტალინირი) და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

9. შესდგა საქ. კ. პ. (ბ) მე-2 რაიკომის ბიუროს სხდომა პარტაქტივთან ერთად.

13. შესდგა საქ. კპ (ბ) ჭიათურის ორგანიზაციის კრება.

20. გაიხსნა საქ. კპ (ბ) სიღნაღის სამაზრო პარტიული კონფერენცია.

მენშევიკური ჯარების მიერ სამხრეთ-ოსეთში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მენშევიკებმა დახვრიტეს 13 კომუნისტი-ოსი, რომელნიც მათ ტყვედ ჩაუვარდნენ.

გაიხსნა საქ. კპ(ბ) ახალსენაკის სამაზრო პარტიული კონფერენცია.

დააპატიმრეს საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრები.

21. შესდგა ბორჯომის რაიონის ბოლშევიკური ორგანიზაციის კრება.

25. შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციის კრება.

27. მენშევიკებმა დააპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადაგზავნეს საქ. კპ(ბ) გორის ორგანიზაციის კრების მონაწილენი.

საქ. კპ(ბ) ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა ქ. ხონში ს. წულუკიძის საფლავზე მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდი მისი გარდაცვალების 15 წლისთავის აღსანიშნავად.

28. რსფსრ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. კიროვმა სა-

პროტესტო ნოტით მიმართა მენშევიკურ მთავრობას იმის შესახებ, რომ უკანასკნელი არ ასრულებს სამშვიდობო ხელშეკრულებას და აპატიმრებს კომუნისტებს.

29. გაზ. „საქართველოს კომუნისტში“ გამოქვეყნდა საბჭოთა აზერბაიჯანისა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება.

30. დააპატიმრეს საქ. კპ(ბ) ახალციხის სამაზრო კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

ივლისი

1. დაიწყო კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება და პარტიული ორგანიზაციების დახურვა სენაკის მაზრაში.

გამოვიდა რუსულ ენაზე გაზ. „კომუნისტი“—საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის ორგანო.

მელითონელებმა მიიღეს გაზ. „კომუნისტის“ მისასალმებელი რეზოლუცია. რეზოლუცია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „კრება კატეგორიულად აცხადებს მთელი რევოლუციური პროლეტარიატის წინაშე, რომ ის არ დასთმობს მებრძოლი მარქსიზმის სასახელო პოზიციებს და არასოდეს არ გაუშვებს ხელიდან მუშათა წითელ დროშას“.

2. გაზ. „საქართველოს კომუნისტში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“.

3. შესდგა საქ. კპ(ბ) ბორჩალოს სამაზრო კომიტეტის წევრთა და საქ. კპ(ბ) შულავერისა და ოფრეთის რაიკომების წევრთა გაერთიანებული სხდომა.

8. ინგლისელების მიერ ბათომის დატოვების შემდეგ, იქ შევიდა მენშევიკების ჯარი.

9. გაზ. „საქართველოს კომუნისტში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „პუბლიცისტის შენიშვნები“.

9. რსფსრ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში ამხ. კიროვმა ახალი ნოტით მიმართა მენშევიკურ მთავრობას — რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატების 1-ლი მუხლის დარღვევის გამო: კომუნისტების დაპატიმრება, პარტიული ორგანიზაციების ლიკვიდაცია და სხვ.

17. მენშევიკებმა ერთსა და იმავე დროს დახურეს ბოლშევიკური გაზეთები „საქართველოს კომუნისტი“ და „კომუნისტი“, დააპატიმრეს რედაქციის ყველა თანამშრომელი და დაბეჭდეს სტამბა, სადაც ეს გაზეთები იბეჭდებოდა.

აგვისტო.

მენშევიკები განაგრძობენ რეპრესიების გაძლიერებას საქართველოს. კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მისი ლიკვიდაციის მიზნით.

სექტემბერი

30. საბჭოთა ბაქოში შესდგა საქართველოს კომუნისტების პარტიული თათბირი (მონაწილეობდა 85 კაცი).

ოქტომბერი

3. ქ. ქუთაისში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების თათბირი. შესდგა პარტიული კრებები ოზურგეთის მაზრაში.

4. ქვემო-ცაგერში დააპატიმრეს საქ. კპ(ბ) ლეჩხუმის კომიტეტის ბიუროს მთელი შემადგენლობა.

5. მთავარსახელოსნოების მუშებმა ტფილისში ადმინისტრაციას წაუყენეს ეკონომიური მოთხოვნები.

10. ბოლშევიკურ გაზეთ „ახალ კომუნისტში" დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის წერილი გერმანელი და ფრანგი მუშებისადმი „კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის შესახებ წარმოებული კამათის გამო".

გაზ. „ახალ კომუნისტში" დაიბეჭდა მეტეხის ციხეში დაპატიმრებული ბოლშევიკების პროტესტი სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ კომუნისტების დახვრეტის გამო.

13. შესდგა საქ. კპ(ბ) ფოთის კომიტეტის კრება.

14. შესდგა ბოლშევიკური პარტიული აქტივის კრება ქ. ბელავში.

17. ქ. ტფილისში შესდგა „ნემსის პროლეტართა" კავშირის კრება.

20. გამოვიდა გაზ. „კომუნისტ გრუზიი"—საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის ორგანო.

ჭიათურის მუშათა დეპუტატების საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება მარგანეცის გაზიდვაზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.

24. ქ. ქუთაისში შესდგა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საგუბერნიო კომიტეტის პლენუმი.

31. რსფსრ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში საპროტესტო ნოტით მიმართა მენშევიკურ მთავრობას სამხედრო ოკუპაციის წესით ქ. ბათომის ინგლისელებისათვის გადაცემის განზრახვის გამო.

ნოემბერი

2. შესდგა ხაშურის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციის საერთო კრება.

3. გაზ. „ახალ კომუნისტში" დაიბეჭდა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი იმის შესახებ, თუ როგორ იდღესასწაულონ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 3 წლისთავი.

7. გაზ. „ახალი კომუნისტი" და „საქართველოს კომუნისტი" დაეთმო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავი მასალების გაშუქებას.

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრება ოქტომბრის 3 წლისთავის აღსანიშნავად. შესდგა პარტიული კრებები ქ. ტფილისში, ფოთში, ქუთაისში, თელავში, ბათომში და სხვ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავად.

12. დაიწყო ფოთის მუშათა გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

14. ხელმოწერილ იქნა სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმება, ერთის მხრივ, რსფსრ-ის და საბჭოთა აზერბაიჯანისა და, მეორე მხრივ, მენშევიკურ საქართველოს შორის.

მბეჭდავთა კავშირის გამგეობის გადარჩევის დროს ახალი გამგეობა მთლიანად ბოლშევიკური აღმოჩნდა.

18. რსფსრ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში კვლავ მიმართა მენშევიკურ მთავრობას საპროტესტო ნოტით ინგლისელების მიერ ბათომის მოსალოდნელი დაკავების შესახებ.

25. გაზ. „საქართველოს კომუნისტში" გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებმაც ფარდა ახადეს რკინიგზის ცენტრალური სასურსათო კომიტეტის დიდ ბოროტმოქმედებას.

28. ტრამვაის მუშებმა და მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე დადგენილება გამოიტანეს, ულტიმატურად მოსთხოვონ მთავრობას მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

29. სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

30. გაზ. „პრავდაში" დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის საუბარი ვაზეთის თანამშრომელთან „კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ".

ეხება რა მენშევიკურ საქართველოს, მისი შინაური და საგარეო მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე, ამხანაგ სტალინს გამოჰყავს დასკვნა, რომ „საქართველო უკანასკნელ დღეშია".

ნოემბრის შუა რიცხვებში ტფილისში შესდგა საქართველოს კომპარტიის არალეგალური ყრილობა.

დეკემბერი

2. რკინიგზის მთავარსახელოსნოებში შესდგა მუშათა მიტინგი, რომელმაც ეკონომიური მოთხოვნები წაუყენა მენშევიკურ მთავრობას.

4. მუშათა სასახლეში გაიხსნა საქართველოს საავადმყოფო სალაროთა კონფერენცია.

5. დააპატიმრეს გაზ. „ახალი კომუნისტისა" და „კომუნისტ გრუზიის" თანამშრომლები.

ტფილისის სადგურზე მენშევიკებმა დააპატიმრეს თანამშრომლები რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა სომხეთში.

10. რსფსრ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში საპროტესტო ნოტა გაუგზავნა მენშევიკურ მთავრობას საბჭოთა რუსეთიდან სომხეთში გაგზავნილი სასურსათო მარშრუტების ტფილისში დაკავების გამო.

16. ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქართველოში არსებულ რსფსრ-ის

სრულუფლებიან წარმომადგენლისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის იმის შესახებ, რომ ის გემები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ნავსადგურებში რუსეთის ძველი ან ახალი დროშით, აღიარებულია რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის განკარგულებაში საქართველოში.

16. ბოლშევიკურ გაზეთებში დაიბეჭდა საქ. კპ(ბ) ც. კ-ის, ტფილისის კომიტეტისა და პროფკავშირთა მუშათა ცენტრის კომუნისტური ფრაქციის მოწოდება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ყველა ორგანიზაციისა, ყველა თანამგრძნობისა, საქართველოს მუშათა ორგანიზაციებისა და გლეხთა მასებისადმი. მოწოდება თავდებოდა სიტყვებით: „მაშასადამე, ამხანაგებო, ერთსულოვნად, ჩვეული მზადყოფნით შევუდგეთ პარტიის სამსახურის მძიმე ჯვარს! ბრძოლისაკენ! მშრომელთა კვირა დღე ახლოსაა. კომუნიზმის მზე უკვე აფენს თავის პირველ სხივებს მშრომელთა საქართველოშიაც!

გაუმარჯოს კომუნიზმს!"

17. მენშევიკური მთავრობის განკარგულებით დახურეს ყველა ბოლშევიკური გაზეთი, დაპეჭდეს პარტიული კომიტეტების სადგომები, ასობით დააპატიმრეს და გაგზავნეს ქუთაისის საკატორღო ციხეში საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრები. დააპატიმრეს და იმავე ციხეში გაგზავნეს საბჭოთა მისიის თანამშრომლები.

დეკემბრის პირველ ნახევარში არალეგალურად შესდგა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად საქართველოს კონფერენცია.

1921 წელი

იანვარი

4. ბათომში მენშევიკების აგენტებმა გაძარცვეს საბჭოთა დიპლომატიური შიკრიკი.

15. მენშევიკურმა მთავრობამ ყადაღა დაადო რსფსრ-ის ქონებას საქართველოში.

20. ქართული ჯარის ნაწილებმა სროლა აუტეხეს სანაპირო პოსტებს სოფ. გამაკაიასთან და სალახთან.

21. ქართულმა ჯარმა სროლა აუტეხა წითელი არმიის ნაწილებს ს. კაზაგლასთან.

25. აზერბაიჯანის სსრ-ის სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა პუნქტებში მდ. მტკვრის მიმართულებით წითელ და ფოილოს ხიდებს შუა მენშევიკურმა ჯარებმა სროლა აუტეხეს წითელი არმიის ნაწილებს.

31. შესდგა მუშათა კომიტეტების კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო ტფილისში ელექტრომუშაკთა კავშირის ინიციატივით.

თებერვალი

11. ბორჩალოს მაზრაში, მენშევიკების მიერ ოკუპირებულ რაიონში, დაიწყო აჯანყება ლოზუნგით — ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

16. ს. შულავერში (ამჟამად შაუმიანი) დაარსდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი.

25. საქართველოში გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლუციამ.

26. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა პირველი დეკრეტები და შეუდგა პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლების ორგანოების შექმნას.

მარტი

4. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში. აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა აცნობა ამბ. ლენინს და სტალინს, რომ „მშრომელთა ნებასურვილით იშვა აფხაზეთის ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა".

6. გაზ. „პრავდა გრუზიის" 1921 წ. 6 მარტის ნომერში ვამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის წერილი ამბ. გ. კ. ორჯონიკიძისადმი, რომელიც შეიცავს დირექტივას საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წევრებისათვის.

10. წითელმა ჯარმა, ამბ. კიროვის მეთაურობით, რომელმაც გადმოლახა ცნობილი მამისონის უღელტეხილი. დაიკავა ქ. ქუთაისი.

17. გაზ. „პრავდა გრუზიის" 1921 წ. 17 მარტის მე-13 №-ში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის დეპეშა მე-11 არმიის სამხედრო-სარევოლუციო საბჭოს სახელზე იმ ტაქტიკის შესახებ, რომელსაც უნდა დაადგეს წითელი არმია საქართველოში.

18. ქუთაისში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებულსა და მენშევიკურ მთავრობას შორის, რსფსრ-ის წარმომადგენლის მონაწილეობით, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლითაც მენშევიკური მთავრობა კისრულობდა ჩაებარებინა ხელისუფლება, მოეხდინა ფრონტის ლიკვიდაცია და ზელი შეეწყო საბჭოთა ჯარებისათვის ბათომში შესვლის საქმეში.

მენშევიკური მთავრობა გაიქცა ბათომიდან ევროპაში იტალიის გემით.

დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება აჭარაში.

სახელთა სიჯუვარ-საძიებელი

ა

აბდუშელიშვილი — 267.
აბაშიძე კ. — 163, 437.
აბხაზი — 163, 188.
ადელხანოვი — 15, 16, 18, 57, 57, 103, 446.
ავაქიანცი — 399.
აიოლო — 331, 428.
ალახვერდოვი — 400.
ალიხანოვი—105, 243.
ალექსანდრე I — 298.
ალექსეევი — 147, 206, 386.
ალფტანი — 243.
ალიევი ა.—409.
ამირაჯიბი ა.—243.
ამილახვარი—147, 188.
ანანოვი—175.
ანთაძე—318.
ანტონიანცი—400.
ანჯიევსკი—409.
არსენიძე—231.
არატანაშვილი—244.
არამიანცი—176.
აფხაზავა—397.
ახბაბოვი მ.—400.

ბ

ბაბალოვი ა.—297.
ბახინი—54.
ბაშაძე—188.
ბარათაშვილი—134, 163.
ბარბიუსი ა.—136, 137.
ბაუერი ო.—9C.
ბარათოვი—232, 410, 412.
ბარამაშვილი ი.—400.
ბაგრატიონ-მუხრანსკი—174.
ბაგრატიონი—9.
ბაქრაძე—188.
ბერია ლ. პ.—V, VI, VII, VIII, 10, 70, 95, 96, 281, 283, 312, 319, 355, 356.
ბეგიჯანოვა მ.—400.
ბიჩი—206.
ბინიატ-ოღლი—428.
ბოზარჯიანცი—15, 17, 18, 57.
ბორშჩიკოვი—427.
ბრენდებერი—412.
ბრიუკოვეცკი,—48.
ბუდიონოვი—253.

გ

გაჯი-კაფაროვი—14.
გაგოშვილი ხ.—244.
გაიდამაკინი—257.
გარიშვილი ნ.—400.
გასპარიანცი ხ.—116.
გვაზავა გ.—163.
გეგეჭკორი ე.—18, 65, 76, 78, 88, 9C, 106, 109, 110, 111, 149, 197, 199, 199, 206, 396, 397, 400, 401, 402, 406, 407, 412, 416, 456.
გეგეჭკორი ა.—195, 196, 198.
გეგეჭკორი მ.—197.
გერსამია—400.
გედევანოვი გ.—180, 181, 426.
გელეიშვილი პ.—180, 181, 398.
გიორგაძე—134, 147.
გოლიევი—427.
გოლდმანი—208.
გობეჩია—391.
გ ო ც ი—386.
გრიგორიადი—198.
გრუზინსკი—175, 181.
გურამიშვილი—163.
გურიევი პ.—400.
გუბილი (მეძმარიაშვილი ხ.)—326.
გუჩკოვი—386,

დ

დანიელოვი—428.
დ ა ნ ი—90, 386, 388.
დაშინსკი—426.
დევდარიანი ს.—346.
დემიდოვი—163.
დენიკინი—147, 206, 207, 220, 226, 227, 228, 229, 230, 230, 232, 237, 246, 249; 253, 255, 257, 259, 260, 261, 266, 294, 295, 322, 326, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 416, 418, 433, 453, 454, 456.
დიასამიძე ნ.—163.
დროგომიროვი—206.
დუმბაძე ლ.—82.

ე

ეკატერინე II—164.
ელიკოვევი—428.
ელდაროვი—426.
ელშინი—23, 25.
ელიხეევი—427.
ენუხვარი დ.—427.
ენგელსი ფ.—37, 113, 129, 207, 297, 326, 334; 399, 457.
ენფიანჯიანცი—18, 107.
ერაძე—140.
ერზიკიანი ე.—88.
ერეკლე II—164.

ვ

ვანდერველდე ე.—343, 438.
ვარნა-ჩევი—54.
ვაჩნაძე—188, 363.
ვართანოვი გ.—399, 400.
ვეშაპელი გ.—163.
ვეზიროვი—188.
ვილსონი—413.
ვიშაუ—10.
ვილჰელმი II—392.
ვორონცოვ-დაშკოვი—27, 45.
ვრანგელი—249, 257, 258, 334, 350, 351, 411; 425, 426, 429, 457.

ზ

ზარგარიანცი—64, 110, 263.
ზურაბოვი ა.—59, 221.

თ

თევზაძე ს.—223.
თოდუა ნ.—283.

ი

იაროსლავსკი ე.—343.
ივანოვი—426.
იმნაძე—399.

კ

კაპაშვილი—244.
კასპარიანცი—154.
კალიაშვილი—288.
კალინოვსკი—176.
კარპინსკი—105.
კაუცკი კ.—90, 136, 137, 343, 360, 434.
კანდელაკი—341.
კაბულოვი—427.
კალედინი ა.—90.
კალატოზოვი—188.
კარაულოვი—90.
კაჩაზნუნი—413.
კარჩიკიანი—416.
კედია ს.—163.
კეცხოველი ლ.—73.
კერიოშვილი—244.
კერენსკი ა.—77, 81, 387, 388, 392, 432.
კვინიტაძე—329.
კიროვი ს.—VI, 271, 278, 280, 282, 283, 284, 365, 367, 418, 415, 421, 458, 459, 460.
კირიონი—79.
კლემანსო—233, 413.
კორსუნსკი—138.
კორძაია—175.
კორნილოვი—386, 388, 391, 391.
კორნი ჟ.—232.
კოლონტაი ა.—68.
კოციევი ი.—425, 246.
კროტკოვი ვ.—43.
კრერი-ფონ—199.
კრიკუნი—427.
კუზნეცოვი—106, 403.
კუკ-კოლისი—326, 327.
კუსევი—426.

ლ

ლასხიშვილი გ.—181, 189.
ლავროვი—391.

ლასალი—399.
ლებედინსკი—78.
ლევანდოვსკი—78, 272.
ლეონიდი—129.
ლიუქსემბურგი რ.—227.
ლიბერი—388.
ლენინ ვ. ი. III, VII, 3, 5, 8, 9, 26, 29. 31. 34, 35, 37, 38, 42, 49, 65, 68, 70, 70, 71, 72, 76, 82, 86, 95, 106, 107, 113, 119, 120, 129, 132, 133, 149, 167, 168, 207, 246, 249, 250, 253, 268, 269, 271, 297, 299, 300, 308, 326, 334, 358, 365, 366, 368, 369, 393, 394, 440, 441, 442, 443, 457, 459, 463.
ლიახოვი—326, 457.
ლინდებაუმი—48.
ლიადოვი—212.
ლომჯარია ხ.—315, 316.
ლორთქიფანიძე გ.—134, 295, 423, 428.
ლოიდ-ჯორჯი—413.
ლუკომსკი—206.
ლუნევი—426.

მ

მახარაძე ფ.—68, 69, 358, 438.
მარქსი კ.—VI, 37, 42, 113, 129, 207, 297, 326, 334, 399, 457.
მატეახოვი—399.
მაზნიაშვილი—147, 199, 205, 304, 305.
მანთაშევი—311, 317.
მაჩაბელი გ.—163, 189.
მარშანია გ.—301.
მაკიაშვილი ნ.—224.
მასლოვი—309.
მაკდონალდი—343, 434.
მაპავარიანი—192.
მამუკაშვილი—243.
მდივანი ბ.—84.
მდივანი—9, 189.
მეხხიშვილი შ.—163.
მელიქაძე მ.—400.
მეხტიევი—426, 427.
მენაბდე ხ.—243.
მედვედევი—426.
მილიუკოვი პ.—388.
მიქელაძე—23.
მინგრელსკი—349.
მიქოიანი ა. 224. 225, 229, 271. 452. 454.
მუსევი—409.

ნ

ნათიევი—324.
ნანცაბაძე—363.
ნერუჩევი ა.—183.
ნერონი—396.
ნიკოლოზი II—46, 197, 265.
ნინიძე გ.—189, 307.
ნოზაძე ნ.—283.
ნობელი—311.

ო

ოგანჯანოვი—416.
ონიაშვილი—123.
ოკუჯავა მ.—82.
ორლოვი—36, 38, 45, 46.
ორახელაშვილი მ.—83, 358.
ორჯონიკიძე ხ.—271, 273, 275, 289, 299, 300, 361, 365, 366, 367, 451, 463.
ორტონი—327.

პ

პარეაძე გ.—224.
პაპაჯანოვი—437.
პასტრულინი—20, 28, 29, 30.
პეტერსონი—30.
პიატაკოვი ლ. ლ.—62.
პიხკუნოვი პ.—400.
პიკოვსკი—426.
პოპოვი—182.
პოტრეხოვი—68.
პოკროვსკი—249, 411.
პრეევალსკი—78.
პროზერკევიჩი—426.
პურიშკევიჩი—356.

ჟ

ჟდანოვი ა.—VI.
ჟორდანია ნ.—26, 28, 41, 42, 43, 44, 45, 50, 51, 72, 79, 81, 88, 89, 91, 105, 109, 111, 124, 127, 130, 131, 134, 135, 136, 147, 149, 154, 159, 163, 164, 165, 181,

189, 199, 200, 254, 267, 269, 312, 340, 353, 365, 367, 368, 388, 397, 400, 406, 407, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 437.
ეურული გ.—134, 163.
ეღენტი ვ.—207.

რ

რამიშვილი ნ.—27, 41, 43, 44, 45, 46, 55, 56, 88, 91, 106, 134, 137, 142, 149, 179, 193, 214, 231, 261, 267, 312, 364, 365, 367, 368, 397, 400, 406, 407, 410, 412, 413, 415, 416, 418, 428, 448.
რამიშვილი ი.—62, 65, 307.
რასულ-ზადე—416.
რეგერი კ.—15.
როძიანკოვი ვ.—47.
როტშილდი—10, 311, 317.
რომანოვი ნ. ნ.—44, 46, 391.
რომანოვი ა. ვ.—175.
რომანოვსკი—206.
როტინოვი—57.
რუხაძე ლ.—259.

ს

ხავინკოვი ბ.—391.
საფარიანცი—15.
ხანაძე—363.
სარაკაევი—427.
სარკისოვი—17.
ხეიხანოვი—427.
ხეილანოვი—105.
ხენნიაშვილი ზ.—399.
სხირტლაძე ლ.—400.
ხკობელევი შ.—68.
ხოლოვონოვი—48.
სოკოლი—427.
ხოლოვეოოვი—23.
სმირნოვი—227.
სულტან-კრიმ-გირეი—427.
სტალინი ი.—V, VI, VII, VIII, 10, 41, 69, 70, 72, 76, 79, 81, 82, 84, 85, 87, 88, 89, 94, 95, 101, 106, 107, 111, 115, 116, 119, 120, 121, 122, 128, 130, 131, 148, 150, 151, 160, 166, 167, 168, 185, 187, 254, 255, 256, 268, 271, 281, 299, 300, 308, 312, 313, 315, 316, 317, 318, 319, 335, 352, 353, 358, 359, 361, 365, 366, 367, 369, 375, 442, 446, 461, 463.
სტოლიპინი პ.—41, 192.
სტურუა გ.—37, 229, 420.
ხუმბათაშვილი—176.
ხუშინსკი—48.

ტ

ტერ-ასატუროვი—154.
ტერ-ხაკოვი—15.
ტერ-გევორკოვი—14.
ტერ-მოხესოვი პ.—400.
ტილიშვილი—244.
ტოლე—18, 59, 105, 110.
ტრეხკინი—28.
ტრეიმანი ი.—98.
ტროცკი ლ.—68.
ტუგალოვი—296.

უ

ურატაძე გ.—269.
ურუშაძე—156.
უსუბეკოვი—261, 411, 413, 414, 416, 418.
უსტავაშვილი—363.

ფ

ფავლენიშვილი—242.
ფარნიევი ნ.—244, 365.
ფიოლეტოვი—54.
ფიშერი ლ.—150, 310.
ფირალოვი ა.—172.
ფოსტიკოვი—350, 351.
ფონ-კრესი—132, 134, 199, 242.
ფრედერიკსი—373.
ფულიაშვილი ნ.—244.

ქ

ქავთარაძე ს.—82.
ქუთათელაძე—349, 424.

სახელთა სიტყვარ-საძიებელი

უ

უავრიევი—175.
უუფუნია—198.
უარა-ვალი-ოღლი—283.

შ

შატილოვი—257.
შაუმიანი ს.—32, 53, 84, 83. 90, 91, 93, 94, 106, 107, 108, 110, 112, 115, 129, 168, 373, 442, 443, 444.
შარაშენიძე დ.—137.
შაბუროვი—175.
შერვაშიძე ს. ჩ.—298.
შერვაშიძე ა.—301.
შინგარიოვი—167.
შუვალიე ა.—352, 354.
შოუ ტ.—343.
შმერლინგი—48.
შუშიაშვილი თ.—195.

ჩ

ჩიკვაიძე—257.
ჩოლოყაშვილი—164.
ჩუბაროვი—427.
ჩუბინიძე გ.—283.
ჩუხუნაძე ნ.—400.
ჩხეიძე ნ.—29, 43, 68, 122, 134, 135, 149; 431;
ჩხენკელი ა.—29, 30, 48. 77. 79, 88. 123; 124; 134, 179, 182, 187, 264, 396, 397, 402, 416. 437. 447.
ჩხიკვიშვილი ბ.—230, 239, 305, 329, 330, 333, 410.

ც

ცალიკოვი ა.—425.
ცინცაძე კ.—82.
ციციანოვი—9, 174. 176, 188, 363.
ცომაია ბ.—283.
ცქვიტელიძე ვ.—400.
ცხაკაია მ.—438.

ძ

ძნელაძე ბ.—239, 286.

წ

წერეთელი ი.—135, 149, 386. 387, 388, 406. 416, 431, 432.

წერეთელი—406.
წიწინაშვილი გ.—243.
წვერკიაშაშვილი ი.—400
წულაია—57.
წულუკიძე ა.—420, 458.

ჭ

ჭიაბრიშვილი—299.
ჭუმბურიძე ი.—27, 28.

ხ

ხატახოვი—45, 46, 47, 211, 260, 411, 413, 414, 415, 416, 418.
ხარლამოვი—437.
ხაიტოვიჩი—57.
ხან-ხოისკი—401, 413, 415, 416.
ხალილ-პაშა—147, 449.
ხაშმ ს.—299.
ხელაძე ა.—99, 223.
ხვოსტიკოვი—429.
ხომერიკი ნ.—27, 28, 144, 191, 192, 241, 267, 399.
ხიდირბეგიშვილი—175.
ხოშტარია—220.
ხუნდაძე—29.
ხერხეულიძე—188.

ჯ

ჯაფარიძე ა—61, 64, 66, 67.
ჯაფარიძე ვ.—400.
ჯაფაროვი მ.—416, 437.
ჯავახიშვილი ი.—204.
ჯაბაგიევი—425.
ჯანტიევი—427.
ჯიბლაძე ნ.—27, 28.
ჯულელი ვ.—256, 295, 304, 324, 343, 346.

ჰ

ჰენდერსონი—434.
ჰილფერდინგი—90.
ჰიუსმანი—438.
ჰუხეინოვი ჯ.—14.

შინაარსი

წინასიტყვაობა — V

ამიერკავკასია 1917 წლის რევოლუციის წინადღით — 1

მუშათა მოძრაობა 1917 წელს — 39

მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში — 85

1918 წელი საქართველოში — 117

გლეხთა მოძრაობა 1917—1918 წლებში — 161

საქართველოს პროლეტარიატი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში 1919 წელს 201

1920 წელი საქართველოში — 251

მენშევიკების ბრძოლა ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ — 287

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში — 337

დამატებანი:

1917—1921 წ. წ. პერიოდის ბოლშევიკური დოკუმენტები — 373

საქართველოში 1917—1921 წ. წ. პერიოდში მომხდარი უმნიშვნელოვანესი აბბების ქრონიკა 437

სახელთა სიტყვარ-საძიებელი — 465

პ/მგ. რედაქტორი პ. შარია

პარტგამომცემლობა № 56. მთავლიტის რწპ. № 2703. შეკვეთა № 193. ტირაჟი 5000. ქაღალდის ზომა 72×110. წიგნის ზომა 7×11.

ფასი 12 მან. ყდა 2 მან.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობის სტამბა. ორჯონიკიძის ქ. № 50

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
53	7 ქვემ.	ესწრებოდნე	ესწრებოდნენ
92	7 ზევ.	საადგილ—მამულო	აგრარულ
103	16 ზევ.	მართველობას	მმართველობას
104	13 ქვემ.	თ ა ი ს	თ ა ვ ი ს
167	17 ქვემ.	საწინააღმდეგო	საწინააღმდეგოდ
215	6 ქვემ.	უდიდესი	დ ი დ ი
226	2 ქვემ.	არაჩვეულებრივი	საგანგებო
230	12 ქვემ.	გაანადგურეს	ანადგურებდნენ
274	13 ქვემ.	პროლეტართა	მუშაკთა
298	4 ზემ.	მ ა რ თ ვ ე ლ	მმართველ
323	12 ქვემ.	სამართველო	სამმართველო
331	10 ქვემ.	„კომუნისტ გრუზიის	„კომუნისტ გრუზიის“
334	4 ქვემ.	კლასობრივ პოზიციებს.	კლასობრივ პოზიციებს
340	19 ქვემ.	მართველი	მმართველი
342	4 ზემ.	რომელსაც ეს ქვეყანა	რომელსაც ქვეყანა
346	11 ზემ.	ცენტრლური	ცენტრალური
366	7 ზემ.	საშუალებით	სახელზე